მამული ენა სარწმუნოება

1

ქართლის ცხოვრება

ლეონტი მროველი
•
ჯუანშერი

გამომცემლობა „ახალი ივირონი“
თბილისი
2011

*გამომცემლობა „**ახალი ივირონი**” გთავაზობთ ახალ სერიას სახელწოდებით „**მამული, ენა, სარწმუნოება**”. ახალი სერიის დაარსება განაპირობა იმ დიდმა ინტეერსმა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში საქართველოს ისტორიის, ენისა და ქრისტიანული რწმენის მიმართ. სერიაში წარმოდგენილი ლიტერატურა ხელს შეუწყობს ეროვნული სულისა და ჯანსაღი პატრიოტული გრძნობების გაღრმავებას, ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულსა და ეკლესიური მოძღვრების შესწავლას. ეს ყოველივე, საფუძვლად უნდა დაედოს ქრისტიანულ და ეროვნულ ფასეულობებს, რაც კვლავ შეაკავშირებს მომავალი თაობის აღზრდისა და ცხონების უმთავრეს საკითხს. გამოცემა განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.*

ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო:	**ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა**
რედაქტორი:	**დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია**
მხატვარი:	**სპარტაკ ცინცაძე**
გარეკანის გაფორმება:	**გიორგი წერეთელი**
ტექნიკური რედაქტორები:	**ირაკლი ხუციშვილი** **ნინო ბურდული**

© გამომცემლობა „ახალი ივირონი”

ISBN 978-9941-0-3818-1 (ყველა ტომის)
ISBN 978-9941-0-3819-8 (I ტომის)
ISSN 2233-3428

მეფეთა ცხოვრება

დავიწყებ ქართველთა მეფეებისა და ადრინდელი წინაპრებისა და ჩამომავლების ცხოვრების თხრობას[1]

[თავი პირველი]
[რვა ძმის ამბავი]

პირველად ვახსენოთ ეს, რომ სომხებისა და ქართველების, რანებისა[2] და მოვაკნელების[3], ჰერებისა[4] და ლეკების[5], მეგრელებისა[6] და კავკასიელების[7] — ამ მონათესავეთა მამა ერთი იყო, სახელად თარგამოსი8. ეს თარგამოსი იყო თარშის ძე, იაფეთის, ნოეს ძის, ძისწული9. და იყო ეს თარგამოსი გმირი კაცი.

და ენების გაყოფის შემდეგ, როდესაც ააშენეს ბაბილონში[10] გოდოლი და გაიყვნენ იქ ერები და გაიფანტნენ იქიდან მთელ ქვეყანაზე[11], წავიდა ეს თარგამოსი თავისი მოდგმითურთ და დამკვიდრდა ორ უკაცრიელ მთას — არარატსა და მასისს[12] შუა[13]. და იყო მისი ჩამომავლობა დიდი და ურიცხვი, რადგან ჰყავდა მრავალი ცოლი[14], ძეები და ასულები, თავისი ძეებისა და ასულების შვილები და შვილიშვილები, რადგანაც იცოცხლა მან ექვსასი წელი[15]. და ველარ იტევდა არარატისა და მასისის მიწა [მათ][16].

ხოლო ის ქვეყანა, რომელიც წილით რგებოდა [თარგამოსს], ეს არის იმ ქვეყნის საზღვარი: აღმოსავლეთით გურგანის ზღვა[17], დასავ-

ლეთით პონტოს ზღვა[18], და სამხრეთით ორეთის მთა[19] და ჩრდილოეთით მთა კავკასია[20].

ხოლო მის შვილებს შორის გამოჩნდა რვა კაცი, ძლიერი და სახელოვანი გმირები, რომელთა სახელებიც ესენია: პირველს ერქვა ჰაოსი[21], მეორეს — ქართლოსი[22], მესამეს — ბარდოსი[23], მეოთხეს — მოვაკანოსი[24], მეხუთეს — ლეკოსი[25], მეექვსეს — ჰეროსი[26], მეშვიდეს კავკასოსი[27], მერვეს — ეგროსი[28]. ეს რვანი იყვნენ გმირები, ხოლო ჰაოსი ყველაზე მეტად გმირი იყო, მაგნაირი არასოდეს ყოფილა, არც წარღვნის წინ და არც შემდეგ, ტანით, ძალითა და სიმხნევით. ხოლო ველარ იტევდა [მათ] არარატისა და მასისის ქვეყანა.

გაუყო თარგამოსმა ქვეყანა და თავისი სანათესაო ამ რვა გმირს: ნახევარი თავისი სანათესაოსი და ნახევარი და უმჯობესი [ნაწილი] თავისი ქვეყნისა მისცა ჰაოსს, ხოლო ამ შვიდს მისცა მათი წილხვედრი მათივე არზანიგებისაებრ[29]. წამოიყვანა ეს შვიდი ჩრდილოეთის მხარისკენ და გაუყო ქვეყნები მათი ღირსებისამებრ.

მისცა ქართლოსს [ქვეყანა] და მიუჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით — ჰერეთი და ბერდუჯის მდინარე[30]; დასავლეთით პონტოს ზღვა; სამხრეთით — მთა, რომელიც მიჰყვება ბერდუჯის მდინარის სათავეს და მთა, რომელიც მიუყვება დასავლეთის მხარისკენ, რომლის წყალიც გარდამოედინება ჩრდილოეთის მხარისკენ და ერთვის მტკვარს, მთა, რომელიც მიუყვება კლარჯეთსა და ტაოს შორის ვიდრე ზღვამდე[31]; და ჩრდილოეთ საზღვარი — ღადო[32], მცირე მთა, რომელიც გამოდის შტოდ კავკასიიდან და აწვდენს წვერს (?) ღადოს დასასრულს, რომელსაც ახლა ჰქვია ლიხი[33]. და ამ საზღვრებს შუა მისცა ყველაფერი ქართლოსს. ხოლო ბარდოსს მისცა [ქვეყანა] მტკვრის სამხრეთით, ბერდუჯის მდინარიდან [იქამდე], სადაც იყრებიან მტკვარი და არახსი[34]. ამ ბარდოსმა ააშენა ქალაქი ბარდავი[35] და იქ დასახლდა.

ხოლო მოვაკანს მისცა [ქვეყანა] მტკვრის ჩრდილოეთით, მცირე ალაზნის[36] შესართავიდან ვიდრე ზღვამდე[37]. და ამან ააშენა ქალაქი მოვაკნეთი[38] და დამკვიდრდა იქ. ხოლო ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკვრის ჩრდილოეთით, მცირე ალაზნის შესართავიდან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსაც ახლა ჰქვია გულგულა. და ამ ჰეროსმა ააშენა პირველად ქალაქი ორივე ალაზანის შესაყარს შორის და უწოდა თავისი სახელი

— ჰერეთი. და მის გამო ჰქვია ჰერეთს ჰერეთი. და ახლა იმ ადგილს ჰქვია ხორანთა[39].

ხოლო ეგროსს მისცა ზღვისპირა ქვეყანა[40] და მიუჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით მცირე მთა, რომელსაც ახლა ჰქვია ლიხი[41]; დასავლეთით ზღვა; [ჩრდილოეთით] მცირე ხაზარეთის მდინარე[42], სადამდეც მიწვდება კავკასიის წვერო. ხოლო ამ ეგროსმა ააშენა ქალაქი და უწოდა თავისი სახელი ეგრისი[43]. ახლა იმ ადგილს ჰქვია ბედია.

ხოლო კავკასიის [მთების] ჩრდილოეთით არ იყო თარგამოსის წილხვედრი [მიწა], არამედ არც იყო ადამიანი კავკასიის ჩრდილოეთით; და დაუსახლებელი იყო ის ქვეყანა კავკასიიდან ვიდრე დიდ მდინარემდე[44], რომელიც ჩადის დარუბანდის ზღვაში[45]. ამის გამო გამოჰყო მრავალი გმირიდან ორი გმირი, ლეკანი და კავკასი.

და მისცა ლეკანს [ქვეყანა] დარუბანდის ზღვიდან ვიდრე ლომეკის მდინარემდე[46], ჩრდილოეთით ხაზარეთის დიდ მდინარემდე[47].

და მისცა კავკასის [ქვეყანა] ლომეკის მდინარიდან ვიდრე კავკასიის დასასრულამდე, დასავლეთით[48].

ხოლო ჰაოსი დამკვიდრდა თავისი მამის, თარგამოსის სამყოფელში და დაიკავა ქვეყანა ჩრდილოეთით, ისე, როგორც დაგვიწერია[49]; სამხრეთით ორეთის მთიდან[50], აღმოსავლეთით ვიდრე გურგანის ზღვამდე; და დასავლეთით ვიდრე პონტოს ზღვამდე. და ამ შვიდივე გმირზე იყო მმართველი და ბატონი ჰაოსი. და ეს ყველა იყო ჰაოსის მორჩილი. და ეს რვანივე ერთად ემონებოდნენ გმირ ნებროთს, რომელიც იყო პირველი მეფე მთელი ქვეყნიერების[51].

ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში მოუწოდა ჰაოსმა ამ შვიდ გმირს, შემოიკრიბა და უთხრა მათ: „მოგვცა მაღალმა ღმერთმა ძალა და ჩვენი მოდგმის სიმრავლე. ახლა დამბადებლის შემწეობით არავის ვემონოთ და არავის ვემსახუროთ დამბადებელი ღვთის გარდა“. დაემოწმა ის შვიდი გმირი და განუმტკიცეს ეს განზრახვა; და განუდგნენ ნებროთს და აღარ მისცეს ხარკი. მოელაპარაკნენ სხვა ვიღაც ხალხებსაც და სხვა ხალხებმაც უორგულეს [ნებროთს][52].

მაშინ განუწყრა ნებროთი [თარგამოსიანებს], შემოკრიბა თავისი გმირები, მთელი თავისი სპა, რომელიც ემორჩილებოდა და გამოემართა თარგამოსიანებისკენ. ხოლო ჰაოსმა მოუწოდა შვიდივე გმირს

და თარგამოსის ყველა მოდგმას. და დაეხმარნენ სხვა ვიღაც დასავ-ლელი ხალხებიც. შეკრიბა ჰაოსმა ყველა ესენი და დადგა მასისის ძირში. და როცა მოადგა ნებროთი ადარბადაგანის ქვეყანას[53], დადგა იქ და გაგზავნა სამოცი გმირი და მათთან ერთად ძლიერი სპა თარგა-მოსიანებთან საბრძოლად.

ხოლო როცა მოაღწია ნებროთის იმ სპამ, მაშინ მიეგება [მათ] ის შვიდი გმირი[54], ჰაოსის ძმები, ძლიერი სპით. ხოლო ჰაოსი უძლიერესი სპით დაუდგა [ძმებს] ზურგიდან. გაიმართა მათ შორის სასტიკი ბრ-ძოლა, რომელიც ჰაერის სისასტიკეს[55] ემსგავსა, რადგან [იყო] მათი ფეხის მტვერი, როგორც სქელი ღრუბელი; მათი აბჯრის ელვარება — როგორც ცის ელვა; მათი პირის ხმა — როგორც ქუხილის ხმა; მათი ისრების სიმრავლე და ქვის ტყორცნა — როგორც ხშირი სეტყვა და მათი სისხლის ნთხევა — როგორც სეტყვის ღვარი[56].

გაძლიერდა ბრძოლა მათ შორის და ამოწყდა ორივეგან ურიცხვი. ხოლო ჰაოსი ედგა ზურგში თავის გმირებს, ამხნევებდა და ანუგეშებ-და საზარელი ხმით, რაც მეხისტეხის მსგავსი იყო.

მაშინ სძლიეს თარგამოსიანებმა და მოსპეს ნებროთის ის სამოცი გმირი და მათი სპა. ხოლო ეს შვიდი თარგამოსიანი გმირი — ქართლო-სი, ბარდოსი, მოვაკანი, ჰეროსი, ლეკანი, კავკასანი, ეგროსი — ესენი გადარჩნენ ცოცხლები, ჭრილობების გარეშე და უძლეველნი ემად-ლობლებოდნენ ღმერთს. ხოლო როცა ესმა [ეს ამბავი] ნებროთს, გაწ-ყრა და გამოემართა მათკენ მთელი თავისი ძალით.

ხოლო ჰაოსს არ ჰყავდა ნებროთის სპის ოდენი სპა. გამაგრდა იგი მასისის ხევხუვებში. მიადგა ქვემოდან ნებროთი; და იყო იგი აღჭურ-ვილი რკინითა და სპილენძით ტერფიდან თხემამდე. და ავიდა ერთ გორაზე ჰაოსთან სალაპარაკოდ და ეუბნებოდა, რომ ისევ დამორ-ჩილებოდა მას, რადგან ეწადა მისი შემობრუნება [თავისკენ]. ხოლო ჰაოსმა უთხრა თავის გმირებს: „გამიმაგრეთ ჩემი ზურგის მხარე და მივუახლოვდები ნებროთს“. და წავიდა და მივიდა პირისპირ ნებრო-თის სიახლოვეს და სტყორცნა ისარი და დაჰკრა ნებროთის მკერდს, სპილენძის აბჯარზე და გაიარა ზურგიდან. მაშინ დაეცა ნებროთი და გაიქცა მისი ლაშქარი. და გათავისუფლდნენ თარგამოსის ჩამო-მავლები. და მაშინ ჰაოსმა გაამეფა თავისი თავი საკუთარ ძმებზე და

სხვა მოდგმებზეც, თავის საზღვრების მახლობლად. ხოლო შვიდივე ეს ძმა წავიდა თავ-თავის ქვეყანაში და იყვნენ ჰაოსის მორჩილი.

ხოლო აქამდე დავწერეთ რვავე ძმის ეს ამბავი.

[თავი მეორე]
[ქართლის ამბავი]

ხოლო აქედან დავიწყოთ და ვთქვათ ამბავი ქართლისა და მათი მოდგმისა, და მათი ცხოვრება ვიდრე ჩვენ დღეებამდე; და როგორ განუყო თარგამოსმა ქვეყანა მის ჩამომავლობას და თავის რვავე შვილს და მისცა ქართლოსს ქვეყანა, რომელიც ზემოთ აღვწერეთ.

და ეს ქართლოსი მოვიდა პირველად იმ ადგილას, სადაც შეერთვის არაგვი მტკვარს და გავიდა იმ მთაზე, რომელსაც ეწოდება არმაზი[57]. და პირველად შექმნა სიმაგრეები მასზე და აიშენა იქ სახლი და უწოდა იმ მთას თავისი თავის სახელი — **ქართლი**[58]. და ვიდრე მასზე არმაზის კერპის აღმართვამდე ერქვა იმ მთას **ქართლი**. და მის გამო ეწოდა მთელ ქართლს ქართლი[59], ხუნანიდან[60] ვიდრე სპერის ზღვამდე[61]. ამის შემდეგ იმავე ქართლოსმა ააშენა ორბის ციხე[62],

რომელსაც ახლა ჰქვია სამშვილდე[63]. და შემდეგ ააშენა მტვერის ციხე, რომელსაც ახლა ჰქვია ხუნანი[64]. ცოცხლობდა იგი მრავალ წელს და გამრავლდა მისი ჩამომავლობა. ხოლო მის შვილებს შორის გამოჩნდა ხუთი გმირი, რომელთა სახელებიც ესენია: პირველს [ერქვა] მცხეთოსი, მეორეს — გარდაბოსი[65], მესამეს — კახოსი, მეოთხეს კუხოსი, მეხუთეს — გაჩიოსი[66]. ეს ხუთივე იყო გმირი. მაგრამ მცხეთოსი იმ სხვებზე უგმირესი იყო[67].

მოკვდა ქართლოსი და დამარხეს ის ქართლის [მთის] თავზე, რომელსაც ახლა ეწოდება არმაზი. და ამის შემდგომ, მისმა ცოლმა ააშენა დედაციხე[68]. და მანვე ააშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც ახლა ჰქვია რუსთავი[69]. და გაყო ქართლოსის ცოლმა ის ხუთივე გმირი, თავისი შვილები.

გარდაბოსს მისცა ხუნანი და მიუჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით ბერდუჯის მდინარე, დასავლეთით ქალაქი გაჩიანი და სამხრეთით ზემოხსენებული მთა და ჩრდილოეთით მტკვარი[70].

ხოლო გაჩიოსს მისცა ორბის ციხე[71] და [ქვეყანა] სკვირეთის მდინარიდან[72] ვიდრე აბოცის თავამდე[73]. და ამ გაჩიოსმა ააშენა ქალაქი გაჩიანი[74], რომელსაც მაშინ ერქვა სანადირო ქალაქი[75].

ხოლო კუხოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც ახლა ჰქვია რუსთავი, მისცა არაგვიდან ვიდრე ჰერეთამდე, კახეთის მთის თავამდე[76] და მტკვარს შუა[77].

ხოლო კახოსს მისცა [ქვეყანა] კავკასიასა და კახეთის მთას შორის, არაგვიდან ვიდრე ტყეტბამდე, რომელიც არის ჰერეთის საზღვარი[78]. და ამ კახოსმა ააშენა ჩელეთი[79]; კუხოსი დაეხმარა ჩელეთის შენებაში[80], რადგან დედაციხე კახოსის ხვედრი იყო. და მისცა კახოსმა დახმარებისთვის და [ისიც] დაეხმარა ჩელეთის შენებაში, რომელსაც ერქვა ბერი, კახეთის ამ პირველშენს[81].

ხოლო მცხეთოსი, რომელიც თავის ძმებზე უგმირესი იყო, იგი დარჩა მათი მამის, ქართლოსის სამყოფელში, რომელსაც ახლა ჰქვია არმაზი. და მანვე ააშენა ქალაქი მტკვრისა და არაგვს შორის შესაკრებელში და უწოდა თავისი სახელი მცხეთა[82]. და დაიკავა ქვეყანა ტფილისიდან და არაგვიდან დასავლეთით, ვიდრე სპერის ზღვამდე[83]. და ის იყო გამგებელი და ბატონი იმ ოთხივე ძმაზე და ეს ოთხივენი იყვნენ მისი მორჩილნი[84].

ეს არის ქართლოსის ძეთა გაყოფის [ამბავი], რომლებიც გაყო მათმა დედამ ქართლოსის სიკვდილის შემდეგ[85]. ხოლო მრავალ წელსა და მრავალ ჟამს იცოცხლა ქართლოსის ძემ და გამრავლდა მისი ჩამომავლობა და ამათი ყველა მათგანის ჩამომავლობა გამრავლდა.

ხოლო მცხეთოსის შვილებს შორის გამოჩნდა სამი სახელოვანი გმირი, რომელთა სახელებიც ესენია: პირველს [ერქვა] უფლოსი, მომდევნოს — ოძრახოსი და მესამეს — ჯავახოსი[86]. გაუყო [მცხეთოსმა] მათ ქვეყანა და მათი მთელი სანათესაო.

ოძრახოსს მისცა ტასისკარიდან[87] ვიდრე სპერის ზღვამდე კლდოვანი ქვეყანა[88]. ამ ოძრახოსმა ააშენა ორი ციხე-ქალაქი: ოძრხე[89] და თუხარისი[90].

ხოლო ჯავახოსს მისცა [ქვეყანა] ფანავრიდან[91] ვიდრე მტკვრის თავამდე[92]. და ამ ჯავახოსმა ააშენა ორი ციხე-ქალაქი — წუნდა[93] და არტანის ქალაქი[94], რომელსაც მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ახლა ჰქვია ჰური.

ხოლო უფლოსი დარჩა მათი მამის, მცხეთოსის სამყოფელში, მცხეთაში. და ეკავა ქვეყანა არაგვიდან და ტფილისიდან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრამდე. და მან ააშენა უფლისციხე[95], ურბნისი[96] და კასპი[97]. არაგვიდან და არმაზიდან ვიდრე ტასისკარამდე უწოდა ამ ქვეყანას ზენასოფლის [ქვეყანა], რომელსაც ახლა ჰქვია შიდაქართლი[98].

ხოლო ვიდრე მცხეთოსის სიკვდილამდე, თარგამოსის ეს ყოველი მოდგმა იყო ერთმანეთის სიყვარულში; და ჰქონდათ ნებროთიანთა შიში და ელოდნენ ნებროთიანებისგან ნებროთის სისხლის ძიებას. და ჩქარობდნენ ისინი ციხე-ქალაქების გამაგრებას ნებროთიანთა შიშის გამო[99].

ხოლო როცა მოკვდა მცხეთოსი, ქართლოსის ძე, ჩავარდა შური ქართლოსის შვილებს შორის. დაიწყეს ბრძოლა და დავა ერთმანეთთან. რადგან არ ემორჩილებოდნენ და არც ბატონს უწოდებდნენ უფლოსს, მცხეთოსის ძეს, რომელიც დატოვებული იყო ქართლოსის ტახტზე, რადგან მამამისისგან ჰქონდა მინიჭებული ქართლოსიანებზე ბატონობა. დაიწყეს ბრძოლა და დავა ერთმანეთში; და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა: რაღაც ხანს მათგან ორი მოდგმა აღუდგებოდა წინ ერთს და რომელიმე სხვები შეეშველებოდნენ მას და რომელიმე სხვები კიდევ წინ აღუდგებოდნენ ერთმანეთს და სხვები ეშველებოდნენ; რაღაც ხანს ჩამოვარდებოდა მათ შორის მშვიდობა და [მერე] ისევ აირეოდნენ და ებრძოდნენ [ერთმანეთს]. და გაგრძელდა მათ შორის ასეთი ამბავი და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულესი და უსახელოვანესი, არამედ ალაგ-ალაგ მეთაურებს გაიჩენდნენ [ხოლმე]. ხოლო ვინც იჯდა მცხეთაში, ვითომდა ის იყო სხვა ყველას მეთაური. და [მას] არც მეფე ეწოდებოდა სახელად, არც — ერისთავი, არამედ მამასახლისი ეწოდებოდა და ის იყო სხვა ქართლოსიანების მომრიგებელი და მოსამართლე, რადგან ქალაქი მცხეთა განდიდებული იყო ყველაზე მეტად და უწოდებდნენ დედაქალაქს[100].

და იმ დროს დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი და გახდნენ მსახურნი მზის, მთვარის და ხუთი ვარსკვლავისა, და მტკიცე და უმთავრესი მათი საფიცარი იყო ქართლოსის საფლავი[101].

[თავი მესამე]
[ხაზართა გამოსვლა]

იმ დროში გაძლიერდნენ ხაზარები[102] და დაუწყეს ბრძოლა ლეკისა და კავკასის ნაშიერთ. და ყველა ეს თარგამოსიანი იმ დროს იყო მშვიდობით ერთმანეთის სიყვარულში. ხოლო კავკასის შვილებზე ბატონი იყო დურძუკი[103], ტირეთის ძე[104]. შეეთქვნენ ესენი თარგამოსიანების ექვსივე მოდგმას და ითხოვეს შველა ხაზარების წინააღმდეგ.

ხოლო შეიკრიბა თარგამოსიანების ყველა მოდგმა, გადაიარეს მთა კავკასია და მოაოხრეს ხაზარეთის მთელი საზღვრები, ააშენეს ქალაქები ხაზარეთის პირას და წამოვიდნენ. ამის შემდეგ ხაზარებმა გაიჩინეს მეფე და დაემორჩილა ყველა ხაზარი მათ [მიერ] გამორჩეულ იმ მეფეს. წამოიძღოლეს იგი და გამოიარეს ზღვისკარი, რომელსაც ახლა ჰქვია დარუბანდი[105]. წინ ვერ აღუდგნენ თარგამოსიანები, რადგან იყო ხაზართა სიმრავლე ურიცხვი, მოაოხრეს თაგამოსიანთა ქვეყანა და შემუსრეს არარატის, მასისისა და ჩრდილოეთის ყველა ქალაქი[106]. და გადაურჩათ ციხე-ქალაქები: თუხარისისა, სამშვილდე და მტვერის ციხე, რომელიც არის ხუნანი, შიდაქართლი და ეგრისი. და ისწავლეს ხაზარებმა ორივე ეს გზა, რომელიც არის ზღვისკარი — დარუბანდი და არაგვისკარი, რომელიც არის დარიალა[107]. და გაახშირეს ხაზარებმა გამოსვლა და მათი მოოხრება და ესენი წინ ვეღარ აღუდგნენ. და იმ დროიდან გახდა ყველა ეს თარგამოსიანი ხაზართა მოხარკე. ხოლო როდესაც პირველად გამოვიდა ხაზარების მეფე და მოაოხრა ქვეყნები, რომლებიც ზემოთ დავწერეთ, და გადაიარა მთა კავკასია. და [მაშინ] იყო მისი ძე, სახელად უობოსი[108], და მისცა თავის ძეს სომხეთისა და ქართლის ტყვეები. და მისცა კავკასის ნაწილი ქვეყანა, ლომეკის მდინარის დასავლეთით, [იმ] მთის დასავლეთამდე, რომელიც კავკასის ნაწილი იყო. ხოლო დურძუკი, რომელიც უწარჩინებულესი იყო კავკასის შვილებს შორის, მივიდა და დაჯდა მთის ნაპრალში და უწოდა თავისი სახელი — დურძუკეთი. და აძლევდა ხარკს ხაზარების მეფეს[109].

ხოლო იმავე გზაზე მისცა თავის მამისძმისწულს ხაზართა მეფემ ლეკანის ნაწილი, აღმოსავლეთით დარუბანდის ზღვიდან ლომეკის

მდინარემდე. და მისცა რანისა და მოვაკნის ტყეები და დამკვიდრდა ის იქ, [ქვეყანაში] რომელიც ლეკანის ნაწილი იყო.

ხოლო ხოზონიხი, რომელიც უწარჩინებულესი იყო ლეკანის ჩამომავალთა შორის, მივიდა და დაჯდა მთის ნაპრალში, ააშენა ქალაქი და უწოდა თავისი სახელი — ხოზანახეთი[110].

და გავიდა ამასობაში მრავალი დრო. და ეს ყველა მოდგმა იყო ხაზარების მოხარკე.

ხოლო იმ დროიდან გაძლიერდნენ სპარსელები მზის აღმოსავლეთიდან, ნებროთის ჩამომავლები. და გამოჩნდა ნებროთის ჩამომავალთა შორის ერთი გმირი კაცი, სახელად აფრიდონი[111], „რომელმან შეკრაო ჯაჭვითა ბევრასფ გველთა უფალიო[112] და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთშეუვალიო“ (ამგვარი რამ არის დაწერილი „სპარსთა ცხოვრებაში“[113]). აფრიდონი დაეუფლა სპარსთა მთელ ქვეყანას, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში შეგზავნა ერისთავები, მისი ხელქვეითები, ზოგიერთი ქვეყანა კი მოხარკედ აქცია. ამან გამოგზავნა თავისი ერისთავი დიდი სპით, რომელსაც სახელად ერქვა არდამი[114], ნებროთის ჩამომავალთა შვილი[115]. მოვიდა ქართლში და შემუსრა ქართლის ყველა ქალაქი და ციხე[116]. და მოსპო ყველა, რამდენი ხაზარიც იპოვა ქართლში. ამ არდამ ერისთავმა ააშენა ქალაქი ზღვისკართან და უწოდა სახელად დარუბანდი, რაც ითარგმნება: „დახშა კარი“. და მანვე შემოზღუდა მცხეთა-ქალაქი ქვითკირით. და აქამდე არ იყო ქართლში ქვითკირის ხელობა. და ამის მერე ისწავლეს ქვითკირი. ამ არდამმავე შემოავლო კირის ზღუდე არმაზის ციხეს და [ტერიტორიას] აქეთკენ მტკვრამდე და შემოზღუდა არმაზის სერი ვიდრე მტკვრამდე. და ერისთავობდა არდამი მრავალ წელს. ხოლო როდესაც გაუყო აფრიდონმა მთელი ქვეყანა თავის სამ ძეს, მაშინ, რომელ ძესაც მისცა სპარსეთი სამკვიდროდ, მასვე შეხვდა წილად ქართლი, [ძეს] რომელსაც ერქვა იარედი[117].

ხოლო არდამ ერისთავის შემდეგ გარდაიცვალა ოთხი ერისთავი. იმ დროიდან მოუცლელები შეიქნენ აფრიდონის ძეები, რადგან იწყეს ერთმანეთთან ბრძოლა. და მოკლა ორმა ძმამ იარედი, მათი ძმა[118].

მაშინ ნახეს მარჯვე დრო ქართლოსიანებმა, შეეხმიანნენ ოსებს, გადმოიყვანეს ოსები და ნახეს სპარსელთა ერისთავი ველად გასუ-

ლი, რომელიც კნისობდა[119], და მოკლეს იგი. და ვინც ნახეს სპარსელი, ყველა გაწყვიტეს ოსებმა და ქართველებმა. და გათავისუფლდნენ ქართველები, ხოლო რანი და ჰერეთი დარჩათ სპარსელებს.

და ამ [ამბიდან] მრავალი წელიწადის შემდეგ, კვლავ გაძლიერდნენ სპარსელები. და განდიდდა სპარსელთა მეფე, რომელსაც ერქვა ქეკაპოსი[120].

ხოლო იმჟამად იყო ლეკეთში ვინმე გრძნეული კაცი, ხოზანიხიზის ჩამომავალი, და მან თავისი გრძნეულებით დააბრმავა ქეკაპოს მეფე და მისი სპა, და [ქეკაპოსი] ვერ შევიდა ლეკეთში, უკან მობრუნდა და მაშინღა გაუნათდა თვალები[121]. ამ ქეკაპოსმა კვლავ მოხარკედ აქცია ქართველები და წავიდა.

და ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში მოვიდა ამბავი, რომ მოსემ განვლო[122] ისრაელთა ზღვა[123], და იკვებებიან ისინი უდაბნოში მანანით[124]. გაუკვირდა ყველას და მათ ყველამ, წარმართებმა, აქეს ისრაელთა ღმერთი.

და ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში მოუცლელი გახდა ქეკაპოსი, სპარსელების მეფე, რადგან დაიწყო ბრძოლა თურქებთან[125]. მაშინ ნახეს მარჯვე დრო სომხებმა და ქართველებმა და გაუდგნენ სპარსელებს და გაამაგრეს თავიანთი ციხეები და ქალაქები და შეუერთდა [მათ] თარგამოსიანი ყველა მოდგმა.

და ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში გამოგზავნა ქეკაპოსმა, სპარსელების მეფემ, თავისი ძე, რომელსაც ერქვა ფარბოროტი[126], დიდი სპით, სომხებსა და ქართველებსა და ყველა თარგამოსიანზე. ხოლო შეიკრიბა ყველა ეს თარგამოსიანი და მიეგება და შეებრძოლნენ ადარბადაგანში და გააქციეს ფარბოროტი, და მოსპეს მისი სპა.

და ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში კვლავ გამოაგზავნა ამ ქეკაპოსმავე თავისი ძისწული, ძე შიოშ ბედნიერისა[127], რომელიც მოკლულ იქნა თურქეთში, როგორც წერია „სპარსელთა ცხოვრების“ წიგნში[128]. გამოემართა ეს შიოშის ძე, სახელად ქაიხოსრო[129]. წინ ვერ აღუდგნენ მას სომხები და ქართველები, რადგან დიდი იყო მისი ძალა. მოიარა მთელი სომხეთი და ქართლი, მოაოხრა ყველაფერი, იავარყო ყველა ციხე და ქალაქი და დატოვა ერისთავები და ააშენა ადარბადაგანში თავიანთი რჯულის სალოცავი სახლი და წავიდა.

და ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში მოუცლელი გახდა ქაიხოსრო მეფე და დაიწყო ბრძოლა თურქებთან, ეძიებდა რა თავიანთი მამის სისხლს. და ნახეს დრო სომხებმა და ქართველებმა, გაუდგნენ სპარსელებს და მოსპეს სპარსელების ერისთავები და გათავისუფლდნენ.

ხოლო იმ დროშივე მოვიდნენ თურქები, იმავე ქაიხოსროსგან გამოქცეულები. გამოიარეს მათ გურგანის ზღვა[130], ამოყვნენ მტკვარს და მოვიდნენ მცხეთაში — ოცდარვა სახლი[131]. და შეუთანხმდნენ მცხეთის მამასახლისს, აღუთქვეს შემწეობა სპარსელთა წინააღმდეგ. ხოლო მცხეთელმა მამასახლისმა შეატყობინა მთელ ქართველობას, რომლებმაც ინდომეს ამ თურქების დამეგობრება, რადგან ჰქონდათ სპარსელთა შიში, და შემწეობისთვის დაიმეგობრეს ეს გამოძევებული თურქები, და გაანაწილეს[132] ყველა ქალაქში. ხოლო მათი უმეტესობა მოვიდა და ნახა ერთი ადგილი მცხეთაში, დასავლეთის მხარეს, კლდეებს შორის გამოკვეთილი ღრმული და მოითხოვეს ის ადგილი მცხეთელების მამასახლისისაგან. [მანაც] მისცა. და ააშენეს იგი, შემოზღუდეს მტკიცედ და ეწოდა იმ ადგილს სარკინე[133].

და იყვნენ [ერთად] ეს თურქები და ქართველები ერთმანეთის ნების აღმსრულებლები, მოელოდნენ სპარსელების მოსვლას, ამაგრებდნენ ციხეებსა და ქალაქებს.

იმ დროს საიდანაც ვინ მივიდოდა ავისმოქმედი - საბერძნეთიდან, გინდაც ასურიდან გაქცეული, გინდ ხაზარეთიდან - ყველას იმეგობრებდნენ ქართველები სპარსელების წინააღმდეგ დახმარებისთვის. და გავიდა ამასობაში ბევრი დრო[134].

მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემ[135] მოაოხრა იერუსალიმი და იქიდან გამოქცეული ურიები[136] მოვიდნენ ქართლში და მოითხოვეს მცხეთელების მამასახლისისაგან მიწა ხარკით, რომელმაც მისცა და დაასახლა არაგვზე წყაროსთან, რომელსაც ჰქვია ზანავი.

და რა მიწაც ჰქონდათ მათ ხარკით, ახლა ჰქვია ხერკი იმ ხარკის გამო[137].

აქამდე ქართლოსიანების ენა მხოლოდ ქართული იყო, რომლითაც ლაპარაკობდნენ, ხოლო როდესაც შეიკრიბა ეს ურიცხვი მოდგმა ქართლში, მაშინ ქართველებმაც წაახდინეს თავისი ენა და ამ ყველა მოდგმისაგან შეიქმნა ნართაული ენა.

და განიკუთვნეს მათ ყველა მოდგმის [რჯულზე] უბოროტესი რჯული, რადგან ცოლ-ქმრობისთვის არად მიაჩნდათ ნათესაობა და ყველა სულიერს ჭამდნენ; საფლავი არ იყო, მკვდარს ჭამდნენ[138].

ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში ამოვიდა სპარსელთა მეფის, ვაშტაშაბის[139] ძე, სახელად სპანდიატ-რვალი[140], ის გოლიათი და სახელოვანი. ხოლო ვერ დაუპირისპირდნენ სომხები და ქართველები, გაამაგრეს კი ციხეები და ქალაქები და მოელოდებოდნენ მის მოსვლას. ხოლო მოვიდა რა ის ადარბადაგანში, მოაღწია სპარსელებამდე ამბავმა, რომ მოკლეს მისი მამისმამა თურქებმა და [რომ] შემოვიდნენ თურქები სპარსეთში. მაშინ მიატოვა სპანდიატმა ბრძოლა სომხებთან და ქართველებთან, მიუბრუნდა თურქებს თავისი მამისმამის სისხლის საძიებლად.

და გათავისუფლდნენ სომხები და ქართველები.

ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში გამეფდა სპარსეთში სპანდიატის ძე, რომელიც არის სახელად ბარამი [და], რომელიც ცნობილია არდაშირობით[141]. ეს განდიდდა სპარსელთა ყველა მეფეზე უმეტესად. ამან დაიპყრო ბაბილოვანი[142] და ასურეთი[143], მოხარკედ აქცია ბერძნები და რომაელები[144]. და მაშინ ქართველები მისივე მოხარკე იყვნენ. და იყო ქართლში ასეთნაირად აღრეული ეს ყველა მოდგმა და ისმოდა ქართლში ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ეს ენები იცოდნენ ქართლში მყოფებმა, ყველამ — მამაკაცმა და ქალმა.

თავი [მეოთხე]

ალექსანდრეს შემოსვლა

ეს ალექსანდრე[145] გამოჩნდა საბერძნეთის ქვეყანაში — ქვეყანაში, რომელსაც ჰქვია მაკედონი, ეგვიპტელი ნიკტანების ძე[146], როგორც წერია მისი ამბავი ბერძნების წიგნში[147]. ამ ალექსანდრემ დაიპყრო ქვეყნიერების ყველა კიდე. ეს გამოვიდა დასავლეთიდან და შევიდა სამხრეთით, შემოვიდა ჩრდილოეთით, გადმოიარა კავკასის [მთები] და მოვიდა ქართლში[148] და ნახა მთელი ქართველობა რჯულით ყველა

მოდგმაზე უბოროტესი. რადგან ცოლ-ქმრობისთვისა და სიძვისთვის არად მიაჩნდათ ნათესაობა, ყველა სულიერს ჭამდნენ, მკვდარს ჭამდნენ, როგორც მხეცები და პირუტყვები, რომელთა ქცევის წარმოთქმაც [კი] უხამსობაა[149]. და იხილა რა ეს სასტიკი წარმართი მოდგმა, რომელსაც ჩვენ ბუნთურქებს და ყივჩაღებს ვუწოდებთ, მოსახლე მტკვრის მდინარეზე მიყოლებით, გაუკვირდა ეს [მათი ყოფა] ალექსანდრეს, რადგან არანაირი მოდგმა არ სჩადიოდა ამას და ენება, რომ აღმოეფხვრა ისინი იმ ქალაქებიდან, მაგრამ იმ დროს ვერ შეძლო, რადგან ნახა მაგარი ციხეები და ძლიერი ქალაქები. კიდევ გამოვიდნენ ქალდეველთა სხვა მოდგმები და დასახლდნენ ისინიც ქართლში.

ამის შემდეგ გაძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრო მთელი ქვეყანა და ამოვიდა ქართლის ქვეყანაში. და ნახა ეს ძლიერი ციხე-ქალაქები შუაქართლში: წუნდა[150], მტკვრის ხერთვისი[151], ღადო[152] კლდეზე შეკიდული ოძრხე[153], თუხარისი სპერის მდინარეზე[154], რომელსაც ჰქვია ჭოროხი, ურბნისი[155], კასპი[156] და უფლისციხე[157], ქალაქი დიდი მცხეთა და მისი უბნები, სარკინე, ციხედიდი და ზანავი, ურიათა უბანი[158] და რუსთავი და დედაციხე, სამშვილდე და მტვერისციხე, რომელიც არის ხუნანი და კახეთის ქალაქები. ყველა ამ ციხე-ქალაქში ნახა სასტიკად მებრძოლი კაცები. და გაყო თავისი ლაშქარი და ყველა ამ ციხე-ქალაქს გარეშემოარტყა და თვითონ დადგა მცხეთაში. და დაუყენა ლაშქარი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქვემოთ და თვითონ დადგა ქსანზე, ადგილზე, რომელსაც ჰქვია ნასტაკისი[159]. ხოლო მტვერისციხესა და თუხარისს არ შეებრძოლა, რადგან ვერ შეძლებდა დაპყრობას. ხოლო სხვა ეს ციხეები და ქალაქები დაიპყრო ექვს თვეში, ხოლო სარკინელი ბუნთურქებიდან ზოგმა აგინა მეფეს. გაუწყრა [ბუნთურქებს] ალექსანდრე და აღარ ინება ზავი და მათი ვედრება არ შეიწყნარა და უთხრა მათ: „რადგან მაგინეთ მე, ეს იქნება თქვენი სანაცვლო, რომ დაგხოცავთ ყველას“. და გარშემოერტყა ქალაქ სარკინეს და ვერსაიდან გაერიდა ერთი კაციც კი. ხოლო სარკინელებს გაუჭირდათ, რადგან ებრძოდა [ალექსანდრე] თერთმეტი თვე[160]. დაიწყეს ფარულად კლდის კაფვა და გახვრიტეს ის კლდე, რომელიც რბილი იყო და ადვილად სახვრეტი. და გაიკრიფნენ იმ ხვრელში სარკინელები ღამე და შერბოდნენ კავკასიაში და დატოვეს ცარიელი ქალაქი[161]. დაიპყრო ალექსანდრემ მთელი ქართლი და მოსპო ქართლში მყოფი ყველა ის აღ-

რეული მოდგმა და ის უცხო მოდგმები მოსპო და დაატყვევა და ქალები და უმეცარი ყმაწვილები, თხუთმეტ წელზე უმცროსები; და დატოვა ქართლოსიანთა მოდგმა და დატოვა მათზე პატრიკად [კაცი] სახელად აზონი[162], იარედოსის ძე[163], მისი სანათესაო მაკედონის ქვეყნიდან[164]. და მისცა ასიათასი კაცი რომის ქვეყნიდან, რომელსაც ჰქვია ფროტა-თოსი[165]. ეს ფროტათოსელები იყვნენ ძლიერი და მხნე კაცები და ემონე-ბოდნენ[166] რომის ქვეყანას. და მოიყვანა ქართლში, მისცა [ისინი] პატრიკ აზონს და დატოვა ქართლში ერისთავად აზონი და მასთან ის სპა, ქართ-ლის მფლობელად[167] და უბრძანა ალექსანდრემ აზონს, რომ პატივი სცენ მზეს და მთვარეს და ხუთ ვარსკვლავს და ემსახურონ უხილავ ღმერთს, ყოველივეს დამბადებელს. რადგან იმ დროს არ იყო წინასწარმეტყველი და ჭეშმარიტი რჯულის მოძღვარი, რომელიც ასწავლიდა და ამხელდა, არამედ თვითონ მოიგონა ეს რჯული ალექსანდრემ, თავის მეფობისას მთელ ქვეყანას ეს რჯული დაუწესა და წავიდა ალექსანდრე.

ხოლო ამ აზონმა მოარღვია ზღუდეები ქალაქ მცხეთას საფუძ-ვლითურთ და დატოვა ის ოთხი ციხე, რომელიც იდგა ქართლის პირას: თავადი ციხე, რომელიც არმაზია; და ერთი ციხე — არმაზ-ის ქიმის დასასრულს; და ერთი — მცხეთის თავზე; მეოთხე ციხე დასავლეთით — მცხეთა მტკვარზე. ესენი შემოიმტკიცა და გაავსო ისინი ლაშქრით და ქართლის ყველა ქალაქს მოარღვია ზღუდეები და დაიპყრო ქართლის ყველა საზღვარი, ჰერეთიდან და ბერდუჯის მდინარიდან ვიდრე სპერის ზღვამდე. და დაიპყრო ქართლს ზემოთ ეგრისიც და მოხარკედ აქცია ოსები, ლეკები და ხაზარები.

და რომ წავიდა ალექსანდრე ეგვიპტეში, ააშენა ქალაქი ალექსან-დრია და თორმეტ წლამდე მოიარა მთელი ქვეყნიერება, თორმეტ წე-ლიწადში დაეპყრო ქვეყნიერების ყოველი კიდე. და მეთორმეტე წელს ალექსანდრიაში მოკვდაო ის, უთანასწორო დიდი ხელმწიფე[168]. და როცა კვდებოდა იგი, მისსავე სიცოცხლეში გაუშვა ის მთავრები, რომ-ლებიც შეპყრობილნი და დამონებულნი იყვნენ მისგან. და ისინი წავ-იდნენ თავ-თავის ქალაქში, როგორც ნაბრძანები იყო. მერე მოიყვანა ოთხი კაცი, მისი ტომისა, რომლებიც იყვნენ სახელად: ანტიოხოზი[169], ჰრომოსი[170], ბიზინტიოსი[171] და პლატონი[172]. და მისცა ანტიოქოსს ასურასტანი და სომხეთი, და აღმოსავლეთის მხარე მიუჩინა მას. და

მან ააშენა თავისი სახელით ქალაქი ანტიოქია[173]. ხოლო ჰრომოსს მისცა თრიმიკოსი, და მიუჩინა დასავლეთის მხარე. და მან ააშენა ქალაქი რომი[174]. და ბიზინტიოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი, და მიუჩინა ჩრდილოეთის მხარე. და მოწერა ანდერძის წერილი აზონ პატრიკს ქართლის ერისთავს, რომ ემსახუროს ის ბიზინტიოსს[175]. და მან ააშენა ქალაქი ბიზინტია, რომელსაც ახლა ჰქვია კონსტანტინეპოლი[176]. ხოლო პლატონი დატოვა ალექსანდრიაში. და მოკვდა ალექსანდრე.

ხოლო ამ აზონმა მიატოვა ალექსანდრეს მოცემული რჯული, დაიწყო კერპთმსახურება და შექმნა ვერცხლის ორი კერპი: გაცი და გაიმი[177]. და ემონებოდა იგი ბიზინტიოსს, საბერძნეთის მეფეს. იყო [აზონი] მაგარი და მრისხანე კაცი და ეს დააწესა და უბრძანა თავის სპას, რომ: „ყოველმა ქართველთაგანმა, რომელმაც იქონიოს იარაღი, მოკალით იგი“. და აკეთებდნენ ის რომაელები ასე ქართველებზე და ვინც კი გამოჩნდებოდა ქართველთაგანი მოხდენილ ტანიანი, კლავდნენ მას. და იყო დიდი გაჭირვება ქართველთა მოდგმაზე. და ეს აზონი იმ რომაელებზეც მოსისხლე იყო და მოესპო მრავალი მათგანი.

ფარნავაზის ცხოვრება,
რომელიც იყო ქართლის პირველი მეფე,
ქართლოსიანი

იმ დროს იყო ერთი ჭაბუკი მცხეთა ქალაქში, რომელსაც ერქვა ფარნავაზი[178]. ეს ფარნავაზი იყო მამით ქართველი, ნათესავი უფლოსის, მცხეთოსის ძის და დედით — სპარსი ასპანელი[179]. და იყო იგი ძმისწული სამარისი[180], რომელიც ალექსანდრეს მოსვლისას მცხეთელი მამასახლისი[181] ყოფილიყო. ეს სამარი და მისი ძმა, ფარნავაზის მამა, მოიკლნენ ალექსანდრეს მიერ. ხოლო ფარნავაზის დედას წაეყვანა ფარნავაზი, სამი წლის ყმაწვილი და თავი შეეფარებინა კავკასიაში. და იქ გაზრდილიყო და მოსულიყო მცხეთაში თავის მამულში. ხოლო ეს ფარნავაზი იყო კაცი გონიერი, მხედარი და მამაცი და დახელოვნებული მონადირე. და მალავდა იგი თავის სიკარგეს აზონის შიშის გამო. ხოლო თავისი მონადირეობით გახდა აზონის ნაცნობი და შეიყვარა

იგი აზონმა მონადირეობისთვის. ევედრებოდა ფარნავაზს დედამისი: „ჩემო შვილო, მოერიდე აზონს და შენი თავის ნურანაირ სიკარგეს ნუ გამოაჩენ, რომ არ მოგკლან შენ“. და იყო შიში და ძრწოლა მასზე.

და როცა გახშირდა აზონის შიში მათზე, უთხრა ფარნავაზს დედამისმა: „ჩემო შვილო, დატოვე შენი მამების სამყოფელი და წამიყვანე ჩემს მამულში, ასპანში, ჩემს ძმებთან და გაერიდები შენ ცოცხალი აზონს ხელიდან“. და მტკიცედ განიზრახეს ეს, წასულიყვნენ ასპანში.

უჭირდა ფარნავაზს თავისი მამების სამყოფელის დატოვება, მაგრამ დიდი შიშის გამო გადაწყვიტა წასვლა.

მაშინ იხილა ფარნავაზმა სიზმარი, თითქოს იყო იგი უკაცრიელ სახლში და [გულით] უნდოდა გასვლა და ვერ გავიდა. მაშინ შემოვიდა მის სარკმელში მზის შუქი და შემოერტყა მის წელს და გაიზიდა და გაიყვანა იმ სარკმელში. და როცა გავიდა ველზე, იხილა მზე ქვემოთ ჩამოსული, მიჰყო [ფარნავაზმა] თავისი ხელი, მოჰხოცა მისი სახის ცვარი და იცხო თავის სახეზე[182].

გაიღვიძა ფარნავაზმა და გაუკვირდა და თქვა: „ის სიზმარი ეს არის, [რომ] მე წავალ ასპანში და იქ სიკეთეს ვეწევი“.

ხოლო იმ დღეებში გავიდა ფარნავაზი და ნადირობდა მარტო და დაედევნა ირმებს დიღმის ველზე. და გარბოდნენ ირმები ტფილისის ხევ-ხუვებში. მისდევდა ფარნავაზი, სტყორცნა ისარი და დაჰკრა ირემს. და ცოტა გაიარა ირემმა და დაეცა კლდის ძირას. მივიდა ფარნავაზი ირემთან; და ის დღე [უკვე] შეღამებული იყო; ჩამოქვეითთა და დაჯდა იმ ირემთან, რომ იქ დაეყო ღამე და დილასღა წასულიყო. ხოლო იმ კლდის ძირში იყო გამოქვაბული, რომლის კარებიც ამოქოლილი იყო ქვით ძველად და სიძველის გამო ნარღვევი გასჩენოდა იმ ნაშენებს. მაშინ წამოასხა ძლიერმა წვიმამ. ხოლო ფარნავაზმა ამოიღო ჩუგლუგი[183] და გამოარღვია იმ გამოქვაბულის კარი, რომ იქ შიგნით გამშრალებულიყო იმ წვიმისგან და შევიდა იმ გამოქვაბულში. და ნახა იქ წარმოუდგენელი განძი, ოქრო და ვერცხლი და ოქროსა და ვერცხლის წარმოუდგენელი ნივთები.

მაშინ ფარნავაზს გაუკვირდა და აივსო სიხარულით. და გაახსენდა ის სიზმარი და დაგმანა გამოქვაბულის კარი ისევე და სწრაფად წამოვიდა და უთხრა თავის დედას და თავის ორ დას. და იმავე ღამეს წამოვიდნენ ის სამნივე სახედრებითა და ჭურჭლებით და დაიწყეს გამოტანა იმ

განძის და დაფლვა თავის საცავში. ხოლო როცა გათენდებოდა, კვლავ ისევე ამოქოლავდნენ იმ გამოქვაბულის კარს. და ასე გამოკრიბეს ის განძი ხუთი ღამე და შეინახეს თავიანთ საცავში.

მაშინ ფარნავაზმა გაგზავნა თავის მონა ქუჯისთან[184] და უთხრა: „მე ვარ ჩამომავალი უფლოსის, მცხეთოსის ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა და არის ჩემთან დიდძალი სიმდიდრე. ახლა ინებე, რომ ამ სიმდიდრით მოვიდე შენთან და ვიყოთ ჩვენ ძმები და ვიხმაროთ ის სიმდიდრე ორთავემ. გამოვუჩნდეთ ჩვენ მტრად აზონ ერისთავს და ჩვენმა ბედმა მოგვცეს ჩვენ კარგი გამარჯვება.“[185] მაშინ გაიხარა ქუჯიმ დიდი სიხარულით და უთხრა: „ადექი და მოდი ჩემთან და ნუ დაიშურებ შენს სიმდიდრეს და შენი სიმდიდრით გაგიმრავლებ შენ სპას, ვიდრე გამოვჩნდებით აზონის მტრად. მაშინ გაიხარებს მთელი ქართველობა მისგან დახოცილები და ამოწყვეტილები. და მგონი, რომელიმე იმ რომაელთაგანიც[186] შემოგვიერთდება, რადგან ურიცხვი მათგანიც არის დახოცილი აზონის მიერ“[187].

მაშინ ფარნავაზი ფარულად წავიდა სიხარულით და რაც შესაძლებელი იყო იმ განძიდან, თან წაიღო, და დედაცა და თავისი დებიც თან [წაიყვანა]. და მივიდა ქუჯისთან და უთხრა მას ქუჯიმ: „შენ ხარ შვილი ქართლის მეთაურებისა და შენ გმართებს ჩემი ბატონობა[188]. ახლა ნუ დაიშურებ შენს ქონებას, რომ გავამრავლოთ სპა და თუკი მოგვეცემა გამარჯვება, შენ ხარ ჩვენი ბატონი და მე ვარ შენი მონა“.

მაშინ შეერთდნენ და მოეთათბირნენ ოსებსა და ლეკებს. ხოლო მათ გაიხარეს, რადგან არ ეწადათ ხარკის მიცემა აზონისთვის[189]. და გამოჰყვნენ ოსები და ლეკები, და გაიმრავლეს სპა. ეგრისიდან შეიკრიბა ურიცხვი სპა და გამოემართა აზონისკენ, აზონმა კი მოუწოდა თავის სპას და შემოიკრიბა.

მაშინ ათასი რჩეული მხედარი იმ რომაელთაგან, რომლებსაც ბოროტება შემთხვეოდათ აზონისგან, განუდგნენ აზონს და მოვიდნენ ფარნავაზის წინაშე. მაშინ ყველა ქართველი განუდგა აზონს. ხოლო იმ სპას, რომელიც დარჩა აზონს, ვეღარ მიენდო იგი, რადგან ყველასთვის ბოროტება ჰქონდა გაკეთებული. წავიდა აზონი და მივიდა კლარჯეთში და გამაგრდა იგი კლარჯეთის სიმაგრეებში[190].

ხოლო მოვიდა ფარნავაზი მცხეთაში და დაიპყრო მცხეთის ის ოთხი ციხე. და იმავე წელიწადს დაიპყრო მთელი ქართლი გარდა კლარ-

ჯეთისა. ამ ფარნავაზმა მიავლინა შუამავლები ასურასტანის მეფის ანტიოქოსის[191] წინაშე და გაუგზავნა დიდძალი ძღვენი. და აღუთქვა მას მსახურება და ითხოვა მისგან შემწეობა ბერძნების წინააღმდეგ. ხოლო ანტიოქოსმა მიიღო მისი ძღვენი და უწოდა თავის შვილად და გამოუგზავნა გვირგვინი. და უბრძანა სომხეთის ერისთავებს, რომ შეშველებოდნენ ფარნავაზს[192].

ხოლო მეორე წელს აზონმა შემოიერთა სპა საბერძნეთიდან[193], გაძლიერდა ძალიან და გამოემართა ფარნავაზისკენ. ხოლო ფარნავაზს გაემრავლებინა ქართლის მხედრობა, მოუწოდა მათ და მოუხმო ქუჯის და ოსებს. და შეიკრიბნენ ყველა ესენი და შემოუერთდნენ ანტიოქოზის ერისთავები სომხეთიდან. და ეს ყველა შეკრიბა ფარნავაზმა და მიეგება არტანის ნაქალაქევთან[194], რომელსაც ერქვა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელიც არის ჰური[195]. და შეებრძოლნენ იქ და მოხდა ძლიერი ბრძოლა. და ამოწყდა ორივე მხრიდან ურიცხვი. ხოლო დაძლეულ იქნენ ბერძნები ფარნავაზის მიერ, გარბოდა მათი ბანაკი. და მოკლეს აზონი და მათი ურიცხვი სპა მოსპეს და დაატყვევეს.

და წავიდა ფარნავაზი და მოაოხრა საბერძნეთის საზღვარი ანძიანძორა[196] და ეკლეციდან[197] შემობრუნდა, მოვიდა კლარჯეთში და დაიპყრო კლარჯეთი[198] და წამოვიდა მცხეთაში დიდი სიხარულით[199]. ხოლო მის სიმდიდრეზე დაემატა აზონის ქონებაც[200] და დაგროვდა მეტისმეტი სიმდიდრე.

ხოლო ეგრისწყლის ქვემოთ [ტერიტორია] დარჩა ბერძნებს[201], რადგან იმ ადგილების მკვიდრებმა არ ინებეს ბერძნებისგან განდგომა. მაშინ ფარნავაზმა მისცა თავისი და ოსების მეფეს ცოლად და მეორე და მისცა ქუჯის ცოლად[202]. და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა[203], ზღვიდან მთამდე, რომელშიც არის ეგრისი და სვანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად იქ. და იქ ქუჯიმ ააშენა ციხეგოჯი[204].

მაშინ ფარნავაზი უშიშარი შეიქნა თავისი ყველა მტრის მიმართ და გამეფდა მთელ ქართლსა და ეგურზე და გაამრავლა ყველა ქართლოსიანი მხედარი, გაამწესა რვა ერისთავი და სპასპეტი[205].

ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად და მისცა მცირე მთიდან, რომელიც არის ლიხი, ვიდრე ზღვამდე, რიონს ზემოთ[206]. და ამავე ფარნავაზმა ააშენა ორი ციხე, შორაპანი[207] და დიმნა[208].

და გაგზავნა მეორე კახეთის ერისთავად და მისცა არაგვიდან ვიდრე ჰერეთამდე, რომელიც არის კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუნანის ერისთავად და მისცა ბერდუჯის მდინარიდან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანამდე, რომელიც არის გარდაბანი[209].

მეოთხე გაგზავნა სამშვილდის ერისთავად და მისცა სკვირეთის მდინარიდან ვიდრე მთამდე, რომელიც არის ტაშირი და აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად და მისცა ფანავარიდან ვიდრე მტკვრის თავამდე, რომელიც არის ჯავახეთი და კოლა და არტანი.

მეექვსე გაგზავნა ოძრხის ერისთავად და მისცა ტასისკარიდან ვიდრე არსიანამდე, ნოსტის თავიდან ზღვამდე, რომელიც არის სამცხე და აჭარა.

მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად და მისცა არსიანიდან ზღვამდე.

და მერვე, ქუჯი, იყო ეგრისის ერისთავი.

ხოლო ერთი დააყენა სპასპეტად და მისცა ტფილისიდან და არაგვიდან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავარამდე, რომელიც არის შიდაქართლი. და ეს სპასპეტი იყო ყოველთვის მეფის წინაშე და მთავრულად გამგებლობდა ყველა ერისთავზე.

ხოლო ამ ერისთავების დაქვემდებარებაში, ადგილ-ადგილ, გაამწესა სპასალარები[210] და ათასისთავები[211] და ყველა მათგანისგან მოდიოდა სამეფო და საერისთავო ხარკი[212].

ასე დააწესა ეს ყველაფერი ფარნავაზმა სპარსელების სამეფოს მსგავსად[213]. და მოიყვანა ცოლი დურძუკელების[გან], კავკასის ჩამომავალი[214]. ამ ფარნავაზმა შემოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ და ქართლის ყველა ქალაქი და ციხე, ალექსანდრესგან მოოხრებული, ამან ააშენა. და ვეღარ იძიეს შური ბერძნებმა მასზე, რადგან მოუცლელები იყვნენ ბერძნები რომაელებთან ბრძოლის გამო[215]. და ამავე ფარნავაზმა შექმნა დიდი კერპი თავის სახელზე. ეს არის არმაზი, რადგან ფარნავაზს სპარსულად არმაზი ერქვა[216]. აღმართა ის კერპი, არმაზი ქართლის [მთის] თავზე და იმ დროიდან ეწოდა არმაზი იმ კერპის გამო. და ჩაატარა დიდი დღესასწაული იმ აღმართული კერპისთვის. ოცდაშვიდი წლისა გამეფდა და სამოცდახუთი წელი მეფობდა ნებიერად[217]. და ემსახურებოდა იგი ანტიოქოსს, ასურასტანის მეფეს და მთელი

თავისი დღეები, რაც [მეფედ] დაჯდა მშვიდობით გაატარა და ააშენა და გაავსო ქართლი. ხოლო გაზაფხულისა და შემოდგომის დროის თვეებს დაჰყოფდა მცხეთაში, სამეფო ქალაქში და ზამთრის თვეებს დაჰყოფდა გაჩიანებში, ხოლო ზაფხულის თვეებს — წუნდაში. და დროდადრო მიდიოდა ეგრისში და კლარჯეთში და მოიკითხავდა მეგრელებსა და კლარჯებს[218] და განაგებდა ყველა აშლილ საქმეს. ხოლო ის რომაელები, ათასი მხედარი, რომლებიც აზონისგან შემოუერთდნენ ფარნავაზს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ისინი გაანაწილა ხევებსა და მხარეებში, უპატრონა მათ კარგად, რადგან აზონთან ბრძოლაში მამაცურად იყვნენ. და უწოდა მათ სახელად აზნაურები[219].

და რაც წავიდა ალექსანდრე, აღარ ჭამდნენ [ქართველები] ადამიანს, გარდა იმისა, რომელსაც შესწირავდნენ კერპს მსხვერპლად. იყო მოსვენება და სიხარული მთელ ქართლზე ფარნავაზის მეფობის გამო და ამას ამბობდა ყველა: „ვმადლობთ ჩვენს ბედს, რომ მოგვცა ჩვენ მეფე ჩვენი მამების ჩამომავალთაგან და მოგვიხსნა უცხო ხალხებისგან ხარკი და ჭირი“.

და ეს ყველაფერი აღასრულა ფარნავაზმა სიბრძნითა და სიქველით, სიმხნითა და სიმდიდრით. ჰყავდა ძე და უწოდა სახელი საურმაგი.

და ეს ფარნავაზი იყო პირველი მეფე ქართლში ქართლოსის ჩამომავალთაგანი. ამან გაავრცელა ქართული ენა და აღარ ილაპარაკებოდა სხვა ენა ქართლში, გარდა ქართულისა.

და ამან შექმნა ქართული მწიგნობრობა[220].

და მოკვდა ფარნავაზი და დამარხეს არმაზის კერპის წინაშე.

მეორე მეფე საურმაგი

და ამის ნაცვლად გამეფდა მისი ძე საურმაგი[221].

იმ დროს მოითათბირეს ქართლის ერისთავებმა და თქვეს: „არ არის კარგი ჩვენთვის, რომ ვემსახურებოდეთ ჩვენს ნათესავს, არამედ ვიყოთ ერთად და მოვკლათ ჩვენ საურმაგი და ვიყოთ ჩვენ თავისუფლები, როგორც ვიყავით თავდაპირველად და მივცეთ ხარკი, ვინც კი გამოჩნდება ძლიერი. რადგან ასეთი ყოფით უფრო მოვისვენებთ“.

დაამტკიცეს [თავიანთი] განზრახვა და საურმაგის მოკვლა[222]. ხოლო იგრძნო საურმაგმა და წავიდა ფარულად და გარბოდა, წაიყვანა თან დედამისი და მივიდა დურძუკების ქვეყანაში, თავის დედისძმებთან.

მაშინ ის რომაელების აზნაურები წავიდნენ და მივიდნენ დურძუკეთშივე და უთხრეს საურმაგს: „მამაშენის დიდი სიკეთეა ჩვენზე. ამიტომ ვართ ჩვენ მტკიცე შენს ერთგულებაში“.

მაშინ საურმაგი მოეთათბირა ოსების მეფეს, თავის მამისდისწულს და ითხოვა დახმარება. ხოლო იგი სიხარულით წავიდა მის საშველად. და საურმაგმა შეკრიბა დურძუკეთიც და გამოემართა ქართველებზე და ვერავინ დაუპირისპირდა მას.

და დაიპყრო ქართლი და მოსპო მისგან განდგომილები და ზოგსაც შეუნდო, ხოლო დაამდაბლა ქართლოსიანები და დააწინაურა აზნაურები, ხოლო გაამრავლა [ქვეყანაში] დურძუკები, კავკასის ჩამომავლები.

ხოლო ხაზარების იმ ტყვეობისას, ყველანი მშვიდობით გადარჩენილიყვნენ ქვეყნის სიმაგრის გამო და ვეღარ იტევდა [მათ] დურძუკეთი.

მაშინ ამ საურმაგმა წამოიყვანა ისინი, კავკასის მთელი მოდგმის ნახევარი და რომელიმე მათგანი დააწინაურა და სხვები დაასახლა მთიულეთში, დიდოეთიდან[223] ვიდრე ეგრისამდე, რომელიც არის სვანეთი და ესენი ჰყავდა თავის სანდო [ხალხად], დედულელები.

და დაჯდა საურმაგი მცხეთაში მეფედ და უმატა მცხეთისა და ქართლის ყველა სიმაგრეს. და მან შექმნა ორი კერპი: აინინა და დანანა და აღმართა მცხეთის გზაზე[224].

და ემსახურებოდა იგი ასურასტანის მეფეს[225]. და მოიყვანა ცოლი სპარსელი, ბარდაველი ერისთავის ასული[226]. და ჰყავდა მასთან ორი ასული და არ ჰყავდა ძე.

მაშინ მოიყვანა სპარსეთიდან ნებროთის შვილი[227], მისი ცოლის სანათესაოდან, დედის დისწული, და აიყვანა ის შვილად, რომელსაც სახელად ერქვა მირვანი. და მისცა თავისი ასული ცოლად[228], [მისცა] ქალაქი გაჩიანი და სამშვილდის საერისთავო და ერთი ასული მისცა ქუჯის ძეს, თავისი მამის დისწულს[229].

მეფობდა საურმაგი ბედნიერად მრავალ წელს. და მოკვდა საურმაგი[230] და გამეფდა მის ნაცვლად მისი შვილობილი მირვანი.

მესამე მეფე მირვანი,
ნებროთიანი

ეს მირვანი[231] იყო ტანით სრული, მშვენიერი, ძლიერი, მხნე და ქველი. ამის მეფობისას დურძუკებმა დაივიწყეს ფარნავაზისა და საურმაგის სიყვარული. და გადმოვიდნენ დურძუკეთში მყოფნი და თან მიუერთდნენ ჭართალეთში მკვიდრი კავკასიელები, მოაოხრეს კახეთი და ბაზალეთი. მაშინ მირვან მეფემ მოუწოდა ქართლის ყველა ერისთავს და შემოკრიბა მთელი სპა, მხედარი და ქვეითი და ყველა კავკასიელი, რომლებიც გადმოსახლებული იყვნენ საურმაგ მეფის მიერ, იყვნენ ნამდვილად მირვანის მორჩილებაში, გარდა ჭართალებისა. შემოკრიბა ეს ყველა და გაემართა დურძუკეთისკენ. შეიკრიბნენ დურძუკები და დაუდგნენ [მირვანს] იმ გზის გადასასვლელების სიმაგრეებში. მაშინ მირვანი გადავიდა ცხენიდან, მივიდა თავის ქვეითებთან და გაუძღვა წინ ქვეითებს, ზურგიდან გამოაყოლა მხედრები და მივიდა იმ კარიბჭეებში, როგორც ჯიქი სიფიცხით, როგორც ვეფხვი სიმხნით, როგორც ლომი ძახილით. შეიქნა მათ შორის ძლიერი ბრძოლა. ხოლო მირვანს ვერ კვეთდა დურძუკთა მახვილი, როგორც სიპ კლდეს და იდგა უძრავად, როგორც მტკიცე კოშკი. და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა და ამოწყდა ორივე მხრიდან ურიცხვი. ხოლო დაიძლივნენ დურძუკები და გაიქცნენ. მიჰყვნენ უკან ქართველები, მოსპეს და დაატყვევეს. და შევიდა მირვანი დურძუკეთში და მოაოხრა დურძუკეთი და ჭართალი. და შეაბა ქვითკირის კარი და უწოდა [მას] სახელად დარუბალი[232].

და დაჯდა მირვანი მცხეთაში, მეფობდა ნებიერად და უშიშრად. იყო სიკეთის უხვად მიმნიჭებელი კაცი. და შეიყვარა იგი ქართლის ყველა მკვიდრმა. და ემსახურებოდა იგი ასურასტანელების მეფეს[233]. ამის ზეობის დროს გადაინაცვლა ანტიოქის მეფობამ ბაბილოვანში[234].

და იმ დროს გამეფდა სომხეთში [კაცი], რომელსაც ერქვა არშაკი[235]. მოეთათბირა მირვანი არშაკს და მისცა თავისი ასული არშაკის ძეს, არშაკს[236].

და მოკვდა მირვანი და გამეფდა მის ნაცვლად მისი ძე, ფარნაჯომი.

მეოთხე მეფე, ფარნაჯომი,
ნებროთიანი

ამ ფარნაჯომ[237] მეფემ უმატა ყველა ციხე-ქალაქის შენებას და ამან ააშენა ციხე ზადენი[238] და შექმნა კერპი სახელად ზადენი[239] და აღმართა ზადენზე და დაიწყო კახეთში ქალაქ ნელქარის შენება, რომელიც არის ნეკრესი. ამის შემდეგ შეიყვარა სპარსელთა რჯული - ცეცხლისმსახურება, მოიყვანა სპარსეთიდან ცეცხლისმსახურები და მოგვები და დასვა ისინი მცხეთაში, იმ ადგილას, რომელსაც ახლა ჰქვია მოგვთა, და დაიწყო ცხადად კერპების გმობა[240]. ამისთვის მოიძულეს იგი ქართლის მკვიდრებმა, რადგან დიდი იმედი ჰქონდათ კერპებისადმი.

მაშინ შეითქვა ქართლის ერისთავთა უმრავლესობა, და მიავლინეს მათ შუამავალი სომხების მეფის წინაშე და უთხრეს: „ჩვენი მეფე გადავიდა ჩვენი მამების რჯულიდან, აღარ ემსახურება ქართლის მპყრობელ ღმერთებს, შემოიღო მამისეული რჯული და მიატოვა დედისეული რჯული. ახლა აღარ არის იგი ჩვენი მეფობის ღირსი. მოგვეცი შენი ძე არშაკი, რომელსაც ჰყავს ცოლად ფარნავაზიანთა, ჩვენს მეფეთა ჩამომავალი. მოგვაშველე შენი ძალა და გავაქციოთ ფარნაჯომი, ახალი რჯულის შემომღები და იყოს ჩვენს მეფედ შენი ძე, არშაკი და ჩვენს დედოფლად მისი ცოლი, ჩვენი მეფეების შვილი“.

მაშინ მოეწონა სომხების მეფეს ეს განზრახვა, გაგზავნა მათი შუამავალი კარგი პასუხით და უთხრა მათ: „თუკი ჭეშმარიტად უბინო გულით გნებავთ თქვენს მეფედ ჩემი ძე, თქვენ, ყველა ერისთავმა, მომეცით მე მძევალი და მოგცემთ ჩემს ძეს თქვენს მეფედ და ყოველგვარი საბოძვარით აგავსებთ“.

მაშინ ქართლის ერისთავების უმრავლესობამ მისცა მძევლები და განაცხადეს ფარნაჯომისგან განდგომა. მაშინ სომხების მეფე მთელი მისი ძალით გამოემართა ქართლში.

ხოლო ფარნაჯომ მეფემ მოუწოდა სპარსელებს და მოიყვანა ძლიერი სპარსელები და ვინც დარჩენოდა, შემოკრიბა [ის] ქართველებიც. ხოლო ქართლის განდგომილი ერისთავები მიეგებნენ სომხების მეფეს ტაშირში და იქ შეიკრიბა სომხებისა და ქართველების სიმრავლე. ხოლო ფარნაჯომიც მიეგება [მათ] იქვე ტაშირში. შეიქნა

მათ შორის ძლიერი ბრძოლა, ამოწყდა ორივე მხრიდან ურიცხვი, რადგან დაიძლია ფარნაჯომი სომხებისა და ქართველებისგან. და მოკლულ იქნა ფარნაჯომი და მოსპეს მისი სპა[241].

ხოლო ფარნაჯომის ძე, მირვანი, ერთი წლის ყმაწვილი, წაიყვანა მისმა მამამძუძემ და გაიქცა სპარსეთში. ხოლო სომხების მეფემ მისცა [ქართველებს] თავისი ძე, არშაკი.

მეხუთე მეფე არშაკი,
არშაკუნიანი

დაჯდა მეფედ არშაკი[242] და დაიპყრო მთელი ქართლი. და მეფობდა იგი ნებიერად და უმატა ქართლის ყველა სიმაგრეს და უმეტესად შემოამტკიცა ზღუდეები ჯავახეთში ქალაქ წუნდას.

მოკვდა არშაკი და გამეფდა მისი ძე, არტაგი.

მეექვსე მეფე არტაგი,
არშაკუნიანი

და ეს მეფე არტაგი[243] მხოლოდ ორ წელს მეფობდა და მისი მეფობის მეორე წელს მოვიდნენ სპარსელების ერისთავები დიდი სპით ფარნაჯომისა და სპარსელების იმ სპათა სისხლის საძიებლად, რომლებიც ამოწყვიტეს ფარნაჯომთან ერთად. წინ ვერ აღუდგა მათ არტაგი, ქართველების მეფე, რადგან დიდი იყო სპარსელების ძალა, მაგრამ გაამაგრა მან ციხეები და ქალაქები. და მოიარეს სპარსელებმა მთელი ქართლი და მოაოხრეს ველები, მაგრამ ვერცერთი ციხე-ქალაქი ვერ წაართვეს და წავიდნენ[244].

მოკვდა არტაგი და დაჯდა მის ნაცვლად მისი ძე, ბარტომი.

მეშვიდე მეფე, ბარტომი,
არშაკუნიანი

ამ ბარტომ[245] მეფემ უმატა მცხეთის ზღუდეებს და ქართლის ყველა სიმაგრეს.

ხოლო აღზარდეს სპარსელებმა ფარნაჯომის ძე, მირვანი, რომელიც ფარნაჯომის სიკვდილისას წაეყვანა თავის მამამძუძეს, რომელიც ვახსენეთ თავდაპირველად. ეს მირვანი იყო კაცი მამაცი, მხნე, მხედარი და მრავალგზის გამოცდილი თურქებისა და არაბების ბრძოლაში. ამ მირვანმა შეკრიბა ძლიერი სპა სპარსეთში, გაემართა ქართლში და მოუგზავნა შუამავალი ქართლის ერისთავებს და უთხრა მათ: „გაიხსენეთ იმ მამაჩემის, მირვანის[246] სიყვარული და თქვენს მიმართ მისი სიკეთე. თუმცაღა მამაჩემმა შემოიღო უცხო რჯული თქვენს შორის და მისგანაც გქონდათ სიკეთე. სამართლიანად მოიკლა მამაჩემი, რადგან კარგად ვერ დაიჭირა თქვენი მამების რჯული და ახლა ნუ არის შიში და საზრუნავი თქვენს გულებში მამაჩემის სიკვდილისთვის, რადგან რჯულის დატოვებისათვის კლავენ მამები შვილებს და ძმები ძმებს და არ იძიება რჯულის დატოვებისთვის მოკლულთა სისხლი. მე ვარ თქვენი მეფეების შვილი, ფარნავაზიანი, თუმცაღა აღზრდილი ვარ სპარსელებთან, არამედ ვარ მე თქვენი მამების რჯულზე და იმედი მაქვს მე ქართლის მპყრობელი ღმერთებისა და მათი იმედით მოვდივარ ჩემი მამულის საძიებლად. ახლა მიითვალეთ ჩემგან დიდება და სიკეთე თქვენ, ყველა ქართველმა“[247]. ხოლო ქართლის ერისთავებმა არ შეიწყნარეს მირვანის ბრძანება, არამედ ყველა მივიდა ბარტომ მეფის წინაშე. ხოლო ცოტაოდენი ვინმე ქართველი, არა წარჩინებულები, წავიდნენ და მიუერთდნენ მირვანს. ხოლო ბარტომ მეფემ შემოკრიბა ქართლის მთელი სპა და შემოიერთა ძალა სომხეთიდან და მიეგება ის ხუნანში და ზურგად დაიკავა ქალაქი ხუნანი.

მოვიდა მირვანი და დადგა ბერდუჯის მდინარეზე. და დაიწყეს ბრძოლა. და გამოჩნდნენ ორივე]მხარეს] შორის ბუმბერაზები. იყო ყოველდღე ბუმბერაზთა ბრძოლა ერთი თვე: ხან [ესენი] სძლევდნენ მათ და ხან [ისინი] სძლევდნენ ამათ.

ხოლო ამ ერთ თვეში ამ მირვანმა თავისთავად მოკლა ქართველებისა და სომხების ცამეტი ბუმბერაზი და არავინ გამოჩნდა ქართველებსა და სომხებს შორის მირვანის მძლეველი და ვერც თავად მეფე ბარტომი ებრძოდა მას, რადგან არ ჰქონდა მას გოლიათობის ძალა.

მაშინ ბარტომ მეფემ გააწყო თავისი სპა და შეუტია მთელი სპით მირვანს და იქიდან მირვანი მოეგება მთელი სპით. და შეიქნა მათ შორის ძლიერი ბრძოლა. ამოწყდა ორივე მხრიდან ურიცხვი და დაიძლივნენ სომხები და ქართველები სპარსელებისგან, და მოკლეს ბარტომი, ქართველების მეფე. ხოლო ამ ბარტომ მეფეს არ ჰყავდა ძე, არამედ ერთი ასული, და თავის სიცოცხლეშივე მოეყვანა მას ეგრისიდან ქუჯის ძისწული, სახელად ქართამი, რომელსაც მოსდგამდა ფარნავაზიანობა ფარნავაზის დის, ქუჯის ცოლისაგან და დედამისის, საურმაგის ასულის, ქუჯის ძის ცოლისაგან. და ამ ეგრისელი ქართამისთვის მიეცა თავისი ასული ცოლად ბარტომ მეფეს და აეყვანა ეს შვილად. და ეს ქართველების მოსაწონებლად ექნა ბარტომს, რადგან ქართველებს დიდი სიყვარული ჰქონდათ ფარნავაზიანების მიმართ და არ უნდოდათ სხვა მოდგმის მეფობა, რომელსაც არ მოსდგამდა ფარნავაზიანობა[248].

ხოლო ეს ქართამი, ბარტომ მეფის ძედ შვილობილი, იმავე ბრძოლაში მოიკლა ბარტომთან ერთად, ხოლო მისი ცოლი, ბარტომის ასული, ფეხმძიმე დარჩა, გაიქცა და წავიდა სომხეთში და იქ შვა ვაჟი და უწოდა სახელად ადერკი. და იზრდებოდა ის იქ.

ხოლო როდესაც მოკლა მირვანმა ბარტომი და შემოვიდა ქართლში და დაიპყრო მთელი ქართლი, ვინც დარჩენილი იყო ქართლის ერისთავი ციხეებსა და სიმაგრეებში, მისცა მათ ფიცი და აღთქმა და გამოიყვანა ყველანი. და იძულებით გამოიყვანა ბარტომის ცოლი სამშვილდიდან და შეირთო ცოლად, რომელიც არშაკუნიანებისავე შვილი იყო. და დაჯდა იგი მცხეთაში.

მერვე მეფე მირვანი

და ნებიერად მეფობდა მცირე ხანს და მოკვდა[249]. და დაჯდა მის ნაცვლად მისი ძე არშაკი.

მეცხრე მეფე, არშაკ მეორე,
მირვანის ძე, ნებროთიანი

ხოლო ეს არშაკ მეფე[250] იყო დედით არშაკუნიანი და მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი. ამ არშაკმა გაამშვენიერა ნელქარი, კახეთის ქალაქი, რომელიც არის ნეკრესი[251] და მიუმატა უფლისციხის სიმაგრეს[252]. და იყო ეს ძალით ძლიერი, დიდი და გოლიათი.

ხოლო ეს ადერკი, ქართამის ძე, ბარტომ მეფის ასულისწული, რომელიც ვახსენეთ ზემოთ, აღზარდეს სომხეთში. და იყო კაცი აღნაგობით მშვენიერი, ტანით დიდი და გოლიათი, მრავალგზის იყო გამოცდილი სომხებისა და ასურელების ბრძოლაში. და მას მოეკლა მრავალი ბუმბერაზი და სახელოვანი გამხდარიყო იგი. ამ ადერკიმ მოითხოვა სპა სომხების მეფისგან და [მანაც] მისცა მას [სპა] და გამოემართა, ქართველთა მეფე არშაკზე, თავის დედისძმაზე. ხოლო არშაკმა შემოკრიბა ქართლის ყველა ერისთავი, შემოიერთა ძალა სპარსეთიდან და მიეგება წინ. და შეიკრიბა ორივე სპა თრიალეთში და დაიბანაკეს ერთმანეთის მახლობლად. სთხოვა არშაკმა თავისთან ბრძოლა ადერკის, ხოლო ადერკი სიხარულით აღიჭურვა მშვენიერი საჭურვლით და დაჯდა ტაიჭზე და უთხრა თავის სპას: „გამიმაგრეთ ჩემი ზურგის მხარე და ნუ შეშინდებით“. და გავიდა ასევე არშაკი, აღიჭურვა და გავიდა მებრძოლთა შორის. დაიძახა ორივემ სასტიკი ხმით და შეუტიეს ერთმანეთს. და დაიწყო ორივემ შუბით კვრა და ვერ კვეთდნენ ერთმანეთის საჭურველს. და ბრძოლის განგრძობისას გაუტყდათ შუბები, ამოიღეს ჩუგლუგები და დაიწყეს ბრძოლა ჩუგლუგებით. როცა მიახეთქებდნენ იმ ჩუგლუგს თავიანთ საჭურველზე, ეს მსგავსი იყო უროს ხმისა, რომელსაც სცემს მჭედელი გრდემლზე, და მათი ძახილის ხმა მსგავსი იყო ქუხილისა.

მაშინ ვერ სძლიეს ერთმანეთს, დაიღალნენ და უკუდგნენ იქით და აქეთ. დაღამდა ის დღე და დაისვენა ორთავემ და დილით კვლავ გამოვიდნენ და აიღეს მშვილდები და დაიწყეს ერთმანეთის დევნა და შემუსრვა. დაჰკრა ადერკიმ ისარი არშაკის მკერდს და ვეღარ დაიფარა იგი საჭურვლის სიმაგრემ და გავიდა ზურგიდან. და ჩამოვარდა არშაკი ცხენიდან. შემობრუნდა ადერკი სწრაფად და მივიდა სომხეთის სპასთან

და უთხრა მათ: „გაფიცებ თქვენ ღმერთებს, ნუ მიმართავთ თქვენს მახვილებს ქართველებზე, რადგან ჩემი თანამემამულეები არიან. და ახლა მე ვარ მათი მეფე, თქვენი ძალითა და შემწეობით“. შეისმინეს სომხებმა მისი ვედრება და გაჩერდნენ ადგილზე. შემობრუნდა და მოვიდა ადერკი ქართველების სპის მახლობლად. და დაუძახა ხმამაღლა: „მე ვარ თქვენი მეფეების შვილი და ჩემს ბედს მოუცია მეფობა ჩემთვის. ახლა მიიღეთ ჩემგან სიკეთე და სიხარული. აჰა, აი აღარ მოვუშვებ სომხების სპას თქვენზე“. მაშინ მიუგეს ქართველებმა: „შენ გამოჩნდი უმჯობესი ფარნავაზის ყველა ჩამომავალს შორის, როდიდანაც მოკვდა ეს ჩვენი მეფე. ახლა შენ ხარ ჩვენი მეფე და ვმადლობთ ჩვენს ბედს, რადგან მოგვეცა ამ ჩვენი მეფის საზღაურად ჩვენი მეფეებისავე შვილი, გოლიათი და სახელოვანი“. და ჩამოქვეითდა ყველა ქართველი, დაეცნენ პირქვე და თაყვანი სცეს ადერკის. და მშვიდობიანად შეიკრიბნენ ერთად სომხები და ქართველები და რანის სპარსელები და მოიტანეს ქართველებმა არშაკის გვირგვინი და დაადგეს ადერკის და წამოიყვანეს.

მეათე მეფე ადერკი, ბარტომის ძე, არშაკუნიანი

და ამ ადერკიმ[253] დაიპყრო მთელი ქვეყანა — ქართლი და ეგრისი და მისცა სომხების მეფემ თავისი ასული ცოლად და დაჯდა მცხეთაში და მეფობდა კარგად. ოცდაათი წლის გამეფდა და ორმოცდაჩვიდმეტი წელი მეფობდა[254].

ხოლო მისი მეფობის პირველსავე წელს იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ურიასტანის ბეთლემში[255]. და მოვიდნენ მასთან მოგვები ძღვენის შესაწირად[256] და იმ მოგვების იერუსალიმში შესვლაისას მოვიდა ამბავი მცხეთაში, რომ „სპარსელებმა იერუსალიმი მოაოხრესო“ და ურიები, რომლებიც მცხეთაში იყვნენ, შეიქნა მათ შორის გლოვა და ტირილი, და შემდეგ, მეორე წელს, სხვა ამბავი მოვიდა, რომ „ის სპარსელები არა მოსაოხრებლად მოვიდნენ იერუსალიმში, არამედ [მო]ჰქონდათ ძღვენი ვიღაც [ახალ]შობილი ყმაწვილისთვის“. და გაიხარეს

მცხეთელმა ურიებმა. და ამის შემდეგ, რომ გავიდა ოცდაათი წელი, მოვიდნენ ურიების შიკრიკები იერუსალიმიდან მცხეთელ ურიებთან, რომ „ვისთვისაც მოვიდნენ მოგვები და შეწირეს ძღვენი, გაზრდილია იგი და თავის თავს ამბობს ღვთის ძედ. და ახლა გამოგვიგზავნია ჩვენ შიკრიკები ყველა ურიასთან, რომ მოვიდნენ რჯულის მეცნიერები და გავიკითხოთ და ვიბჭოთ მასზე. და ახლა თქვენგანაც წამოვიდნენ რჯულის მეცნიერები მანდედან, ***რომ ჩვენი მამების რჯული შეუცვლელი დავტოვოთ და განვამტკიცოთ და მოსეს მცნება აღვასრულოთ, რომ იმ ახალი რჯულით, რასაც გვიქადაგებს, არ შეაცდინოს უმარტივესი ვინმე ჩვენი რჯულისა, ხოლო მისი სიკვდილითაც შური ვიძიოთ.***

მაშინ კი წავიდა ელიოზი, მოხუცებული კაცი[257]. ხოლო ჰყავდა მას დედა ელი მღვდლის ტომიდან[258] და ასევე ერთი და. ხოლო წამსვლელს ევედრებოდა დედა თავის ძეს, რომ: „წადი მაშ, შვილო, საყვარელო, მეფის ამ მოწოდებაზე და რჯულის წესისამებრ, მაგრამ მხოლოდ ეს, რომელსაც შენ გასწავლი, დაიმახსოვრე, ნუკი შეუერთდება შენი გონება მათ იმ ბოროტ განზრახვას და ნურც ეზიარები მისი იმ სისხლის დათხევას; ნუ, ჩემო შვილო, გევედრები, ნუ, რადგან უეჭველად იცოდე, რომ იგი არის წინასწარმეტყველთა სიტყვა, რომელსაც თავდაპირველადვე მოასწავებდნენ[259].

და წავიდნენ აქედან ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი[260]. და იქ შეესწრნენ უფლის ჯვარცმას. და მათ წამოიღეს იქიდან უფლის კვართი[261], ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა, როგორც წერია ეს ცხადად „ქართლის მოქცევაში“[262].

ხოლო როცა კი იერუსალიმში ლურსმავდნენ უფალს, ლურსმნებზე კვერის დარტყმისას მყისვე იმავ დროს მცხეთაში ხმა გაიგონა ელიოზის დედამ. ხოლო მან საშინელი კივილით დაიყვირა და თქვა: მშვიდობით, ისრაელის მეფობავ, რადგან უგუნურებით მოკალით, უბადრუკებო და წარწყმედილებო, ყოველთა უფალი და მაცხოვარი, და გახდით თქვენი შემოქმედის ბოროტად მკვლელები. ვაი თქვენ, უბადრუკებო! ვინ ნახოს ისეთი გლოვა, რომლის ღირსიც თქვენ ხართ, ხოლო უფრო კი ვაი მე, რადგან ჩემს სიკვდილამდე მოისმინეს ჩემმა ყურებმა ყოველი მწუხარების მოსასმენელი“.

და მყის ამ სიტყვაზე მაშინვე გარდაიცვალა ის ქალი დიდ და გამოუთქმელ მწუხარებასა და გლოვაში. ხოლო როდესაც უფლის იმ კვართზე წილი ყარეს უღმერთო ურიებმა უფლის ჯვარცმისას, ღვთის განგებულებამ შეახვედრა მცხეთელ ურიებს.

და წამოვიდა იერუსალიმიდან ელიოზი და ლონგინოზი და წამოიღო ის წმინდა კვართი[263]. როცა მოიტანა ელიოზმა მცხეთაში, მყისვე წინ მიეგება მისი და გოდებითა და საშინელი ტირილით, ცრემლით დასველებული, და მოეხვია მისი სასურველი ძმის ყელს, მაგრამ როდესაც ნახა ყველა სასურველზე უსასურველესი — ჩვენი მხსნელის კვართი, მყისვე მონდომებითა და სიყვარულით შეიტკბო თავის მკერდზე და მაშინვე სული განუტევა იმ ნეტარმა ქალმა სამნაირი მიზეზის გამო: პირველად უფლის სიკვდილისა და მისი ვნებისათვის; მეორედ, რადგან ეზიარა მისი ძმა უფლის სისხლს; ხოლო მესამე, რადგან გაახსენდა თავისი დედის მწუხარებით სიკვდილიც. რადგან ყველა მწუხარება ერთბაშად შემოეკრიბა, ამიტომაც დაიძლია ადამიანური ბუნებისგან და სიკვდილი მიესაჯა დიდი მწუხარების ტკივილისგან.

მაშინ ის დიდი საკვირველი ამბავი გაისმა მთელ ქალაქ მცხეთაში და როცა ცნობილი გახდა, მეფესაც და ყველა მთავარს, და მთელ ხალხს და ყველას ერთად გაუკვირდა ეს საშინელი ამბავი.

ხოლო როცა იხილა ადერკი მეფემ[264] ის წმინდა კვართი, მოიწადინა, იმ სამოსელის დიდი მშვენიერების გამო, იგი შეემოსა თავის შეგინებულ ტანზე. ხოლო მისი საკვირველების გამო და იმ მიზეზით, რაც კი მოხდა, აღარ ინება იმ მკვდრის მკერდიდან [უფლის კვართის] აღება.

ხოლო ელიოზმა დამარხა ის თავისი და სანატრელი დამარხვით. რადგან ერთად, როგორც ჰქონდა თავის მკერდზე ის კვართი, ასევე დამარხა. ხოლო ის წმინდა კვართი წმინდადვე დარჩა და წმინდავე იქნება, როგორც თავდაპირველადვე, როგორც წერია ეს ცხადად „ქართლის მოქცევაში“.

და უფლის ამაღლების შემდეგ, როდესაც წილი იყარეს მოციქულებმა, მაშინ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს წილად ხვდა მოსაქცევად საქართველოს ქვეყანა. და ჩვენებაში ეჩვენა მას მისი

ძე, ჩვენი უფალი და უთხრა: „ჰოი, დედაო ჩემო, არ უარვყობ ყველა მოდგმაზე მეტად გამორჩეულ იმ ერს მაგ შენი მეოხებისთვის. ხოლო შენ მიავლინე პირველწოდებული ანდრია შენდამი ხვედრებულ ნაწილში და თან გაატანე შენი ხატი, როგორც [ეს] შენს სახეზე დადებით გამოისახება და შენს ნაცვლად ის შენი ხატი მკვიდრობდეს მათ მცველად ჟამთა უკუნისამდე“.

მაშინ უთხრა ყოვლადწმინდამ ანდრია მოციქულს: „შვილო ანდრია, დიდად უმძიმს ჩემს სულს, რომ იმ ქვეყანაში, ჩემს ნაწილში, არ ქადაგებულა ჩემი ძის სახელი. როცა გავემართე ჩემი ძის საქადაგებლად იმ ჩემს წილადხვედრებულ ქვეყანაში, მაშინ გამომეცხადა ჩემი სახიერი ძე და ღმერთი და მიბრძანა, რომ შენ წახვიდე და წაასვენო ჩემი სახე და ჩემი სახიერი ძის [სახე], ჩემს წილხვდომილ ქვეყანაში, რომ მე ვიყო მათი ცხოვრების გამგებელი, ხელი გავუმართო და შევეწიო მათ და მტერთაგან ვერავინ დაძლევს მათ“. უთხრა მას მოციქულმა: „ყოვლადწმიდაო, შენი სახიერი ძისა და შენი ნება იყოს ყოველ ჟამს“. მაშინ ყოვლადწმიდამ მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდო თავის პირისახეზე. და გამოისახა ასეთი ხატი, რომ თავის წიაღში ეტვირთა განხორციელებული ჩვილი, ყოვლადსახიერი ღვთის სიტყვა, რომელიც ახლა ყველასათვის ხილვადია — ხატი აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის[265] *და მისცა ის მოციქულ ანდრიას და უთხრა: „ჩემგან შობილი უფლის მადლი და შეწევნა თანაშემწედ გყავდეს შენ, სადაც წახვიდე და მეც თანაშემწე ვარ მაგ ქადაგებისა და დიდად შევეწევი ჩემდამი ხვედრებულის იმ მონაწილეს“. მაშინ დავარდა მოციქული მიწაზე და ცრემლით მადლი შესწირა ყოვლადწმინდას და გამოვიდა იქიდან სიხარულით და გაემართა სახარების საქადაგებლად.*

ხოლო ამ ადერკი მეფემ უმატა ქართლის სიმაგრეებს, ქალაქებსა და ციხეებს და უმეტესად შემოამტკიცა ქალაქ მცხეთის ზღუდეები წყლის იქით და აქეთ. და ამავე ადერკის მეფობაში მოვიდნენ წმინდა თორმეტ მოციქულთაგანნი ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთში და ეგრისში. და იქ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი — ნიკოფსის ქალაქში, ბერძნების საზღვარზე[266]. ხოლო ანდრიამ მოაქცია მეგრელები და წავიდა კლარჯეთის გზაზე.

მოვიდა ანდრია ქალაქ ტრაპიზონში, რომელიც არის მეგრელთა მხარე[267], სადაც დაჰყო ცოტა ხანი და ნახა პირუტყვული უგუნურება იმ ქალაქის მკვიდრთა შორის, გავიდა იქიდან და შევიდა ქართლის ქვეყანაში, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება და დაიწყო სახარების ქადაგება, რადგან [იქაური] კაცები პირუტყვებზე უგუნურები იყვნენ და არ იცნობდნენ შემოქმედ ღმერთს და ყველა საძაგელ და არაწმინდა წესს ასრულებდნენ, რომელიც სათქმელადაც კი უჯეროა. და მრავალი გაჭირვება და განსაცდელი მოითმინა ურწმუნოებისაგან და ღვთის და იმ წმინდა ხატის შეწევნით ყველაფერი მადლობით მოითმინა, ვიდრე ყველა მოაქცია და მოიყვანა სარწმუნოებაში. რადგან იმ ადგილზე, რომელზედაც დაასვენა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, აღმოცენდა წყარო ძალზე მშვენიერი და დიდი, რომელიც დღესაც უწყვეტად ამოდის.

და შეიკრიბნენ ყველანი ყოველი მხრიდან, იმ ქვეყნის მკვიდრნი, და მონათლა ყველანი მამის და ძის და სულიწმიდის სახელით, და დააყენა მღვდლები და დიაკონები და დაუდო სარწმუნოების წესი და საზღვარი და ააშენეს მშვენიერი ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე. და როცა უნდოდა წმინდა მოციქულს იქიდან წასვლა, ევედრებოდნენ და არ უშვებდნენ წასასვლელად, არამედ ეუბნებოდნენ: „თუკი შენ წახვალ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეგ წმინდა ხატი აქ დაგვისვენე ჩვენს იმედად და მცველად“.

ხოლო წმინდა მოციქულმა ანდრიამ გააკეთა მსგავსი ზომის ფიცარი და დადო იმ ხატზე. და მყისვე გამოისახა იმ ხატის შეუცვლელი სახე, და მისცა იგი მათ.

ხოლო მათ სიხარულით მიიღეს და დაასვენეს თავის ეკლესიაში პატივით, რომელიც დღემდე არსებობს.

ხოლო წმინდა მოციქულს მშვიდობა უთხრეს და სიყვარულით გამოემშვიდობნენ, ეამბორნენ და გამოაგზავნეს. ხოლო ის გამოემართა და გადმოიარა მთა, რომელსაც ეწოდება რკინისჯვარი[268] და ნათქვამია, რომ ის ჯვარი თვით ნეტარი ანდრიას მიერ არის აღმართული.

ხოლო როცა ჩაიარა ოძრხის ხევი და მოვიდა სამცხის საზღვრებთან, დაისვენა სოფელში, რომელსაც ეწოდება ზადენგორა[269].

შეხედა მოციქულმა და ნახა, რომ იმ ადგილის ადამიანები მსხვერ-პლს სწირავდნენ ყრუ კერპებს.

და ილოცა მოციქულმა იმ წმინდა ხატის მიმართ და ყველა ის კერპი დაემხო და შეიმუსრა. ხოლო წმინდა მოციქული გამოემარ-თა და მოაღწია აწყურს, რომელსაც თავდაპირველად ეწოდებოდა სოსანგეთი. და მოპირდაპირედ [იყო] საქრისი[270]. და დაისვენა ერთ ადგილას, სადაც იყო საკერპო ტაძარი, რომელსაც ახლა ძველ-ეკლესია ეწოდება. და მასში იმსახურებოდნენ მათი კერპები.

ხოლო მთავრობდა მაშინ ქალი ვინმე ქვრივი სამძივარი, რომელ-საც მხოლოდ ერთი ძე ჰყავდა და მთელი მისი იმედი მის მიმართ მოძ-რაობდა და სწორედ იმ დროს მომკვდარიყო. და იყო ტირილის ვაე-ბა და დიდად მრავალი მღელვარება. და იმ ღამეს იხილეს ციხიდან დიდი ნათელი [იქ], სადაც ესვენა ყოვლადწმინდის ხატი, გაუკვირ-დათ დიდად მათი ვინაობის გამო და, გათენდა რა, სწრაფად გამოგ-ზავნეს კაცები, რომ ნახონ, თუ ვინ არიან, ან რა არის. და როცა ნახეს იმ კაცებმა წმინდა მოციქული და ყოვლადწმინდას ხატი, სწრაფად წავიდნენ და აუწყეს იმ ქვრივ ქალს, რომ: „ვიღაც უცხო კაცები არ-იან და უცხო ღმერთს ქადაგებენ შემოქმედად და დამბადებლად და კაცთა სიცოცხლის მომნიჭებელად და მკვდართა აღმდგენელად. და აქვთ მათ მშვენიერი ხატი და მას სცემენ პატივს“. როცა ესმა ეს სიტყვა მკვდართა აღდგომის [შესახებ] იმ ქალს, გაკვირდა და ცოტა რამ ნუგეში ეცა მის გულს, მიავლინა თავისი მონები მოციქულის დასაძახებლად, რომელსაც, როგორც [კი] მივიდა, უთხრა ქალმა, რომ: „ვინ ხართ, ან საიდან მოდიხართ, ან რა არის ეგ თქვენი უცხო მოძღვრება, რომელსაც ამბობთ, რადგან არსად გაგონილა ასეთი ამბავი“. მიუგო წმინდა მოციქულმა და უთხრა: „მოვდივარ წმინდა ქალაქ იერუსალიმიდან, სადაც დაიდგა უფლის ფეხი, გოლგოთაზე და ბეთლემში, ცებს მიმსგავსებულებში და მონა ვარ და მოციქული ჩვენი უფლის, იესო ქრისტესი, რომელიც წამში აღადგენს მკვდრებს და მას ვქადაგებ ღმერთად და უფლად და ყველა დაბადებულის გამგებლად. და ვინც ირწმუნებს მას და ნათელიღებს მამისა და ძისა და წმიდა სულის სახელით, ყველაფერი, რასაც ითხოვს სარწმუნოე-ბით, მიეცემა და ყველა სენისაგან განიკურნება“. ხოლო როცა ესმა

ეს ქალს, დავარდა მიწაზე და უთხრა ცრემლით მოციქულს: „შეიწყალე ეს ჩემი სიქვრივე და უბადრუკება; რადგან მკვდართა აღმდგინებლის მონა ხარ, ილოცე შენი ღვთის მიმართ და მიანიჭე ამ ჩემს შვილს სიცოცხლე და ყველაფერს, რასაც მიბრძანებ, გაგიგონებ და არ გაგიურჩდები, თუკი ჩემ ძეს აღმდგარს ვიხილავ. რადგან მხოლოდ ეს მყავს და სხვა არა“. ხოლო წმინდა მოციქულმა მიუგო და უთხრა: „თუკი იწამებ იესო ქრისტეს, ღვთის ძეს, ჭეშმარიტ ღმერთს, რომელიც ჩვენს მიერ იქადაგება, რამდენიც და რაც [გინდა] ითხოვო სარწმუნოებით, ყველაფერი მოგეცემა მის მიერ“. ხოლო იმ ქალს როცა ესმა ეს, აივსო სიხარულით და ცრემლით უთხრა მოციქულს: „ჰოი, ჭეშმარიტი ღვთის მონავ, ჭეშმარიტად მწამს და ვაღიარებ იესო ქრისტეს, რომელსაც შენ ქადაგებ, არამედ შეეწიე ჩემს ურწმუნოებას“. ხოლო მოციქულმა გამოიყვანა მთელი ის ხალხი და მგოსნები და არავინ დატოვა იქ, მხოლოდ ის ქვრივი და მისი რამდენიმე ახლობელი და აიღო ხელში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი და დაასვენა იმ საწოლზე, სადაც იდო ის ყმაწვილი. და დაიწყო ლოცვა და ვედრება ღვთის მიმართ ხელაპყრობილმა. და ლოცვის შემდეგ დაიკავა იმ ყმაწვილის ხელი და როგორც ძილისაგან, ასე აღადგინა იგი და მისცა დედამისს. და როცა ნახა ყველამ ეს უცხო სასწაული, გაუკვირდათ ძალიან და რამის სათქმელად ღონე არ ჰქონდათ. ხოლო ქალმა როცა იხილა თავისი ძე გაცოცხლებული, სიხარულით ადგა და დავარდა მოციქულის ფეხებთან, ცრემლით თაყვანი სცა და მადლი შეწირა და ირწმუნა უფალი იესო ქრისტე. და ნათელიღო ქალმა ძესთან ერთად და მთელი მისი სახლეულით. და სწრაფად მიავლინა თავისი მონები და გაატანა წერილები სამცხის მთავრებთან და ასე მიუწერა: „აჰა, ქვრივი გახარებთ, ძმებო, დიდ სიხარულს მთელ ხალხს. მოვიდა ერთი ვინმე კაცი უცხო ქვეყნიდან, რომელიც უცხო ღმერთს ქადაგებს და აქვს მას ზეცის ხატი, რომელმაც ჩემი მკვდარი ძე აღადგინა. ახლა სწრაფად მოდით, რომ უმჯობესი წესი და რჯული ავირჩიოთ და ვცნოთ, თუ რა არის საჭირო. და როცა ესმათ მესხებს ეს საკვირველი ამბავი, სწრაფად შეიკრიბნენ ყოველი მხრიდან და იყო ხალხის დიდი სიმრავლე, ვიდრე აივსო საქრისის ველი. და გაუკვირდა ყველას იხილეს რა ქვრივის ის ძე მკვდრეთით აღმდგარი.

ხოლო იყო იმ ქალაქში საკერპო საკურთხეველი, რომელშიც იმსახურებოდნენ მათი ბილწი ღმერთები, არტემი და აპოლონი.

და როცა ნახეს ეს ამბავი იმ სიცრუის მღვდლებმა, აივსნენ შურით და დაიწყეს მოციქულთან დავა და დაპირისპირება, ასევე ის ხალხიც — ზოგი ამბობდა: „გვმართებს იმის თაყვანისცემა, რომელმაც ასეთი სასწაული აღასრულა“, ხოლო ზოგი ამბობდა, რომ: „აპოლონი და არტემი არიან დიდი ღმერთები“.

და იყო დავა და შფოთი მათ შორის, სანამ ასეთი საქმე და თათბირი დაამტკიცეს მთელი ხალხის თანამოწმობით. და უთხრა [მოციქულმა]: „გააღეთ კარი მაგ საკერპო ტაძრისა და შევასვენებთ ჩვენ ამ ხატს თქვენი კერპების შუაში და ბეჭედი დავადოთ ერთად ორივე კარზე და დააყენეთ მცველები და ილოცეთ თქვენ ამაღამ თქვენი ღმერთების მიმართ, ხოლო ჩვენ ვილოცებთ იესო ქრისტეს, ჩვენი ჭეშმარიტი ღვთის მიმართ და ვნახოთ განთიადზე: თუკი დაძლიოს თქვენმა ღმერთმა, მისი თაყვანისცემა გვმართებდეს, ხოლო თუკი ჩვენმა ღმერთმა სძლია, მას ვცეთ ყველამ თაყვანი“. და დაასკვნეს ასე.

შეასვენეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი მათ კერპებს შუა და ბეჭედი დაადეს კარზე და მცველები დააყენეს და დაიწყეს ლოცვა იმ სიცრუის მღვდლებმა. და წმინდანმა ილოცა ქრისტეს, ჩვენი ჭეშმარიტი ღვთის მიმართ.

და როცა გათენდა და გააღეს საკერპოს კარი, ნახეს მათი ყველა კერპი მიწაზე დანარცხებული და მტვრის მსგავსად [წვრილად] დამსხვრეული, ხოლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ბრწყინავდა როგორც მზე დიდებითა და პატივით. მაშინ ის კერპის მღვდელები აივსნენ სირცხვილით და თავიანთი უმეცრებისთვის შენდობას ითხოვდნენ მოციქულისგან. და მთელმა ხალხმა მადლობის ხმა ამოუშვა და თქვეს, რომ: „დიდია ქრისტიანების ღმერთი, რომელსაც მოციქული ანდრია ქადაგებს“. და ირწმუნა ყველამ ჩვენი უფალი იესო ქრისტე და სიხარულით ნათელიღო ყველამ მამის და ძის და სულიწმინდის სახელით. და იყო იმ დღეს დიდი სიხარული მთელი იმ ხალხისა და ადიდებდნენ ღმერთს, რომელმაც იხსნა ისინი ეშმაკის ხელთაგან.

ხოლო წმინდა მოციქულს სურდა ასევე წასვლა სხვა ქალაქებშიც და სოფლებშიც ქრისტეს სახარების საქადაგებლად, ხოლო ის

ქალი და ზოგადად მთელი ხალხი ევედრებოდა, რომ არ განშორებოდა მათ, არამედ ყოველდღე ესწავლებინა რჯულის წესი. და მოციქულიც დაემორჩილა მათ და რამდენიმე ხანს გაჩერდა მათთან და ასწავლა მათ რჯულისა და სარწმუნოების ყველა წესი და დაუყენა ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკონები და კვლავ გაემზადა სახარების საქადაგებლად. და კვლავ შეევედრნენ ის ქვრივი ქალი და სრულიად მესხები, არ განშორებოდა მათ. ხოლო წმინდა ანდრიამ მიუგო და უთხრა: „სხვა ქალაქებში და სოფლებშიც საჭიროა უფლის სახარების ჩემგან ქადაგება“. ხოლო მათ უთხრეს: „თუკი წახვალ, ყოვლადწმიდის ეგ ხატი აქ დაგვისვენე ჩვენს იმედად და მცველად“. მიუგო მოციქულმა და უთხრა, რომ: „ეს ხატი თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახე ზე დადებით გამოსახული არის“. და მოუთხრო ყველაფერი თანმიმდევრულად, უფლის ამაღლების შემდეგ როგორ ყარეს წილი წმინდა მოციქულებმა მთელი ქვეყნიერების მოსაქცევად და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს როგორ ხვდა წილად სამცხის ეს ქვეყანა და [რომ] მის მიერ არის გამოგზავნილი აქ ეს ხატი წილხვდომილთათვის იმედად და მცველად და საჭიროც ასე არის, რომ დაესვენოს აქ მკვიდრად ჟამთა უკუნისამდე. და როდესაც გაიგონეს ეს მოციქულისგან იმ ქვრივმა და მესხებმა, უფრო მეტი სიხარულით აივსნენ, შეიცნეს რა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობა, მადლობა შესწირეს ქრისტეს და მის უბიწოდ მშობელს და უფრო მეტი სიყვარული და სურვილზე სურვილი შეჰმატეს ამ წმიდა ხატისადმი და ცრემლით ადიდებდნენ მას სიხარულით.

და დაასვენეს ყოვლადწმინდა აწყურის ღვთისმშობლის ყოვლად დიდებული ხატი იმ მცირე ეკვდერში, რომელსაც ახლა ძველ-ეკლესიას უწოდებენ.

ხოლო წმინდა მოციქულმა ანდრიამ მოიკითხა ყველა სიმდაბლით და სიყვარულით, მისცა მშვიდობა და გაემართა სხვა ადგილებშიც სახარების საქადაგებლად.

ხოლო როცა ესმა ადერკი მეფეს მეგრელებისგან რჯულის დატოვება, გაუწყრა და მიავლინა თავისი ერისთავები და იძულებით კვლავ მიაქცია მეგერელები [წარმართობაზე]. და დამალეს ხატები და

ჯვრები და განურისხდა ადერკი მეფე კლარჯეთის ერისთავს, რომ მშვიდობით გაუშვა მან ანდრია მოციქული[271].

ხოლო როცა დაესრულა მარტვილიის დღესასწაული[272], წამოვიდა იქიდან[273] დიდებული ანდრია სხვა მოციქულებთან ერთად.

მოდიოდნენ ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ, ასწავლიდნენ ხალხებს და ახდენდნენ სასწაულებს.

და ასე მიაღწიეს ქართლის ქვეყანას.

და მერე გაიარეს ტაოს მხრის ქვეყანა და ვიდრე მდინარე ჭოროხამდე იმ მხარის ყველა სოფელი მოიარეს და შეუსვენებლად ქადაგებდნენ ღვთის სახელს.

და ასე ქადაგებით მიაღწიეს სვანეთის ქვეყანას. ხოლო იმ ქვეყანაში მთავრობდა იმ ხანებში ქალი ვინმე მთავარი, რომელმაც ირწმუნა მოციქულთა ქადაგება. და მატათა იმ სხვა მოწაფეებთან ერთად დარჩა იმ მხარეებში. ხოლო დიდი ანდრია სიმონითურთ შევიდა ოსეთის ქვეყანაში და მიაღწია ქალაქამდე, რომელსაც ეწოდებოდა ფოსტაფორი[274], სადაც დიდი სასწაული მოახდინეს და მრავალი ხალხი მოაქციეს და გაანათლეს. იქიდან წავიდნენ და შევიდნენ აფხაზეთის ქვეყანაში და სევასტე ქალაქში[275] მივიდნენ, რომელსაც ახლა ეწოდება ცხუმი და უქადაგეს ღვთის სიტყვა და მრავალმა შეიწყნარა. და იქ დატოვა ნეტარმა ანდრიამ სვიმონ კანანელი სხვა მოწაფეებთან ერთად და თვითონ ჯიქეთის ქვეყანაში ავიდა. ხოლო იმ ქვეყნის კაცები ჯიქები იყვნენ[276], კაცები გულით ფიცხლები და ბოროტ საქმეებში გახვეულები, ურწმუნოები და გაუმაძღრები, რომელთაც არ შეიწყნარეს მოციქულის ქადაგება, არამედ უნდოდათ მისი მოკვლა. ხოლო ღვთის მადლმა დაიცვა და იხილა რა მათი მოუდრეკელობა და პირუტყვებრივი გონება, დატოვა [ისინი] და წავიდა. ამიტომაც აქამდე ურწმუნოებაში არიან. ხოლო სვიმონ კანანელის საფლავი არის ნიკოპს ქალაქში[277], აფხაზეთსა და ჯიქეთს შორის, რადგან იქ აღესრულა წმინდა სვიმონ კანანელი.

ხოლო კვლავ განამტკიცა [სარწმუნოებაში] წმინდა ანდრიამ მეგრელები და აფხაზები და წავიდა სკვითეში[278].

ხოლო ამავე ადერკის მეფობაში გამოჩნდა კვლავ სპარსეთის მეფობა[279]. რადგან რა დროიდანაც შესულიყო ალექსანდრე და მოეოხრე-

ბინა სპარსეთი, ამ დრომდე აღარ დამჯდარიყო მეფე სპარსეთში, რადგან ადგილ-ადგილ იყვნენ სპარსეთში ერისთავები. მაშინ შეიკრიბნენ სპარსეთის ერისთავები და დასვეს მეფედ აჟღალან[280] ბრძენი. მაშინ სომხები და ქართველები იყვნენ მორჩილი აჟღალანის, სპარსელების მეფისა, და ვიდრე ადერკის მეფობამდე ერთი ჯდებოდა ქართველების მეფედ, რამდენადაც ბევრნი იყვნენ მეფეების შვილები.

ხოლო ამ ადერკის ჰყავდა ორი ძე, რომლებსაც ერქვათ სახელად ერთს ბარტომი[281] და მეორეს ქართამი[282]. და ამათ გაუყო მთელი თავისი ქვეყანა: მისცა ქალაქი მცხეთა და ქვეყანა მტკვარზე — შიდაქართლი, მუხნარის მხარის ქალაქი და მთელი ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, ჰერეთიდან ვიდრე ქართლის და ეგრისის თავამდე — ეს ყველაფერი მისცა ბარტომს, თავის ძეს, ხოლო არმაზის მხარის ქალაქი, მტკვრის სამხრეთი ქართლი, ხუნანიდან ვიდრე მტკვრის თავამდე და მთელი კლარჯეთი მისცა ქართამს, თავის ძეს[283]. და მოკვდა ადერკი.

მეთერთმეტე მეფეები ბარტამი და ქართამი, ადერკი სომხების მეფის ძეები, არშაკუნიანები

და მეფობდნენ მის შემდეგ მისი ძენი[284]. ხოლო ამათ მეფობაში ვესპასიანოს რომაელების კეისარმა[285] მოაოხრა იერუსალიმი და იქიდან გამოქცეული ურიები მოვიდნენ მცხეთაში და დასახლდნენ ძველადვე მოსულ ურიებთან, რომლებსაც შეუერთდნენ ბარაბას შვილები, რომელიც უფლის ჯვარცმისას გაუშვეს ურიებმა ჩვენი უფლის, იესოს ნაცვლად[286].

და მეფობდნენ ეს ბარტომი და ქართამი მშვიდობიანად და ერთმანეთის სიყვარულში. ჰყავდა ძე ბარტომს, რომელსაც ერქვა კაოსი[287] და ქართამს ჰყავდა ძე, სახელად ფარსმანი[288].

და მოკვდნენ ადერკის ძეები, ბარტომი და ქართამი. და მათ შემდეგ გამეფდნენ მათი შვილები: არმაზში — ფარსმანი და შიდაქართლში — კაოსი[289].

მეთორმეტე მეფეები ფარსმანი და კაოსი,
ბარტომისა და ქართამის ძეები, არშაკუნიანები

ხოლო ადერკიდან ვიდრე ამათ მეფობამდე იყვნენ სომხების მეფის მორჩილებაში. და უფრო მეტად არმაზელი მეფეები ეშველებოდნენ სომხებს ყველა მათი მტრის წინააღმდეგ.

მაშინ გამეფდა სომხეთში ის დიდი მეფე იარვანდი[290]. და დაივიწყა მან ქართველების სიკეთე, იმძლავრა ფარსმან არმაზელზე და წაართვა ქართლის საზღვარი — ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე და დაასახლა წუნდაში მხეცი ადამიანები, დევების ჩამომავლები და უწოდა წუნდას სახელად ქაჯატუნი, რაც ითარგმნება დევთა-სახლად[291]. და ვერ დაიბრუნეს ქართლის მეფეებმა თავიანთი საზღვრები, და მოკვდნენ დიდ მწუხარებაში ფარსმანი და კაოსი.

და დაჯდნენ მეფედ მათ შემდეგ მათი შვილები, არმაზში აზორკი[292] და შიდაქართლში არმაზელი[293].

მეცამეტე მეფეები აზორკი და არმაზელი,
ფარსმანის და კაოსის ძეები, არშაკუნიანები

ხოლო ეს მეფეები, არმაზელი და აზორკი, იყვნენ მხნე და მამაცი კაცები. და შეითქვნენ ესენი და განიზრახეს ქართლის საზღვრების მოძიება. მაშინ მოკლა სუმბატ ბივრიტიანმა[294] იარვანდი, სომხების მეფე და დასვა მეფედ იარვანდის ძმა, რომელსაც ეწოდებოდა სახელად არტაშანი[295].

მაშინ ქართლის ამ მეფეებმა, აზორკმა და არმაზელმა, მოუწოდეს ოსებს და ლეკებს და გადმოიყვანეს ოსების მეფეები[296], ორი გოლიათი ძმა, სახელად ბაზუკი და აბაზუკი[297], ოსეთის სპით. და მათ გადმოიყოლეს თან პაჭანიკები[298] და ჯიქები[299]. და გადმოვიდა ლეკთა მეფე და გადმოიყოლა დურძუკები და დიდოები. და ქართლის ამ მეფეებმა შემოკრიბეს თავიანთი სპა და შეიკრიბა ეს მთელი ურიცხვი სიმრავლე. და მარჯვედ ფარულად შეიკრიბნენ, ვიდრე შეიკრიბებოდა სომხების სპა. და შევიდნენ ესენი სომხეთში და უეცრად მოაოხრეს შირაკუანი[300] და ვანანდი[301] ბაგრევანამდე[302] და ბასიანამდე[303] და შებრუნდნენ და

მოაოხრეს დაშტი[304] ვიდრე ნახჭევანამდე[305] და აიყვანეს ტყვე და [აიღეს] ალაფი ურიცხვი და აივსნენ ყოველგვარი სიმდიდრით და გამოიარეს ფარისოს[306] გზა.

მაშინ სუმბატ ბივრიტიანმა მოუწოდა სომხეთის სპას და შეიკრიბნენ სწრაფად სომხები და დაედევნენ. ხოლო ყველა ეს ჩრდილოელი გასული იყო მტკვარზე და მისულიყვნენ კამბეჩოანში[307] და დაებანაკათ იორზე და იყოფდნენ ტყვეს და ალაფს[308].

მაშინ სუმბატმა მიავლინა შუამავალი და უთხრა მათ: „რაც აგიღიათ ალაფი სომხეთიდან — პირუტყვი, ოქრო, ვერცხლი და ნაქსოვი — ყველაფერი მიჩუქებია თქვენთვის და რაც დაიღვარა სომხების სისხლი თქვენ მიერ, ისიც უძიებელი დარჩეს თქვენზე, არამედ ის ხალხი, ახლა რომელიც გყავთ ტყვედ, გაუშვით და წადით მშვიდობით, გამდიდრებულები და ყველაფრით სავსენი“.

ხოლო მათ უპასუხეს:

„სხვა არაფრისთვის შემოვედით სომხითში, თუ არა შენს მოსაძებნად და ვერ გნახეთ შენ. და ახლა მოდი ჩვენთან, მიიღე შენი ნაწილი; თუ არა, მოვალთ შენთან, სადაც იქნები, და ვერ გააღწევ ცოცხალი ჩვენს ხელთაგან“.

მაშინ სუმბატ ბივრიტიანმა გაიარა მტკვარი[309]. და ბაზოკ ოსების მეფემ სთხოვა მუქარა, მიუგზავნა შუამავალი და ითხოვა პირის-პირ ბრძოლა.

ხოლო სუმბატი აღიჭურვა და შეჯდა თავის ცხენზე და გავიდა მებრძოლებს შორის. და იქიდან გამოვარდა ბაზოკი. და შეჰყვირა ორივემ და შეეტაკნენ. და ჰკრა სუმბატმა შუბები სარტყლის ზევით და გაატარა ზურგში ერთი წყრთა, აიღო ცხენიდან და დასცა მიწაზე. მაშინ შეუტია მას ანბაზუკმა თავისი ძმის საშველად, ხოლო მოიწოდა სუმბატმა ის შუბები, მიეგება და მასაც ასევე ჰკრა და გაუტარა, აიღო და დასცა მიწაზე. და თქვა: „ეს [თქვენ] — სომხების დედებისა და მამების, ჩვილი ყმაწვილებისთვის, რომლებიც თქვენ მოსპეთ!“.

მაშინ იმ მთელმა სპამ, ოსებმა, ლეკებმა და ქართველებმა და ყველა იმ ჩრდილოელმა მოდგმამ ერთხმად შეჰყვირეს და თქვეს: „რადგან მოკლეს ის ორი ძმა, ყველანაირი გოლიათობის თავკაცები, ჩვენი სიკვდილი არაფრად არის შესარაცხი“. და უფრო მეტად გაბოროტდნენ და შეიკრი-

ბა ყველა არზოკისა და არმაზაელის, ქართველების მეფეების სპასალარობის ქვეშ და ყველამ შეუტია სუმბატს და სომხეთის სპას.

მაშინ შეიქნა ძლიერი ბრძოლა მათ შორის, და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა სამი ჟამიდან ვიდრე მეცხრე ჟამამდე[310]. და ამოწყდა ორივე მხრიდან ურიცხვი და ავიდა მტვერი და დღე დაბნელდა, როგორც ღამე და არეულები იყვნენ ერთად და ვეღარ ცნობდნენ ერთმანეთს იმ მტვერისაგან.

მაშინ დაიძლია ჩრდილოეთის ბანაკი სომხებისგან, გაიქცნენ და დაიფანტა ყველა, გამოუდგა სუმბატი, მრავალზე მრავალთაგან დაჭრილი და სდია ღამემდე და მოსპო ყველა ოსი და ლეკი, რომელთაგან მცირედი გადარჩა; ხოლო ქართველები უფრო მეტნი გადარჩნენ გასაქცევი გზების ცოდნით და შემოიხიზნა ქართლის ორივე მეფე დაჭრილი მცხეთაში. მაშინ სუმბატი გამარჯვებული შემოვიდა ქართლში და მოაოხრა ქართლი, — რაც იპოვა ციხეებსა ქალაქებს გარეთ, არამედ ციხე-ქალაქებს არ ებრძოდა, რადგან მზად არ იყო [სომხეთიდან] სწრაფად გამოსვლის გამო. არამედ ააშენა ციხე ოძრხის მხარეში, რომელსაც ეწოდება სამცხე, ადგილზე, რომელსაც ჰქვია დემოთი[311], შეკიდებული ღადო მთაზე. და დაუტოვა მასში ლაშქარი წუნდელთა დასახმარებლად, რადგან ოძრხელებთან საბრძოლველად წავიდა.

ხოლო ქართლის ეს მეფეები, არზოკი და არმაზელი, მათი გულის სიფიცხით არ შეუშინდნენ, არამედ გაამაგრეს თავიანთი ციხე-ქალაქები, გაწირეს ქართლის მთელი ველები და არ სცხრებოდნენ სომხებზე თავდასხმისაგან. და დაიწყეს ოსებმა თავიანთი სისხლის ძიება სომხებზე, გადმოვიდნენ ქართლში და დაუმეგობრდნენ ქართველებს. და აირივნენ ერთად ოსები და ქართველები და მუდმივად ებრძოდნენ სომხებს.

და იყო ოძრხე ქალაქში მეფე არმაზელის ერისთავი, აზნაურთაგანი, და იდგა იგი სარწმუნოებით არმაზელის ერთგულებაზე და მას ეშველებოდნენ მეგრელები. ხოლო წუნდელები და დემოთელები ეშველებოდნენ ერთმანეთს და დაუცხრომლად იბრძოდნენ და უდიდესი მათი ბრძოლა იყო მდინარეზე, რომელსაც ჰქვია ნოსტე[312].

და იყო კლარჯეთში არზოკ მეფის ერისთავი, აზნაურთაგანივე, და ის აზარალებდა სომხეთის საზღვრებს, პარხლის ქვეყანას[313], რომელიც არის ტაო[314], და მავნებელი ვერავინ შედოდა კლარჯეთში, რადგან

შეუვალი და მაგარი იყო ტყით და კლდით, და კლარჯეთის მკვიდრები იყვნენ მკვირცხლი, და - ასევე მხედარი კაცები. ხოლო თვით ქართლის მეფეები მცხეთიდან გაემართებოდნენ სომხეთში აბოცის გზაზე[315] და მუდმივად ასე მოძრაობდნენ ქართველები.

მაშინ გამოემართა თავისი მთელი ძალით არტაშანი, სომხების მეფე და მისი სპასპეტი სუმბატ ბივრიტიანი. ხოლო ქართველებმა გაამაგრეს ციხეები და ქალაქები და შემოიერთეს ძალა ოსეთიდან და გაავსეს ციხეები და ქალაქები და მოვიდნენ სომხები და დადგნენ მცხეთაში და ებრძოდნენ ხუთი თვე. და ყოველდღე იყო ბუმბერაზთა ბრძოლა.

მაშინ გაუჭირდათ ქართველებსა და ოსებს, ითხოვეს მშვიდობა და აღუთქვეს მორჩილება და სისხლისა და საზღვრის აღარძიება[316]. მაშინ ისმინა სომხების მეფემ მათი ვედრება და შეიქმნა საფიცარი და აღთქმა[317]. და დაიმონა ქართველები და ოსები სომხების მეფემ და წავიდა.

ხოლო გავიდა ამასობაში რამდენიმე წელი და აშენდა ქართლი, სომხებისგან მოოხრებული.

მაშინ მოუცლელი გახდნენ სომხები, რადგან დაიწყეს ბრძოლა სპარსელებსა და ბერძნებთან[318]. და ნახეს მაშინ მარჯვე დრო ქართველებმა და ოსებმა, დაიწყეს სომხების დარბევა, რადგან სომხების მთელი სპა და მეფის ორი ძე და სუმბატი იყვნენ საბრძოლველად სპარსელებთან[319]. და როცა გაახშირეს ქართველებმა და ოსებმა სომხების ზიანი, მაშინ არტაშან მეფემ შეკრიბა სპა, რომელიც შინ დარჩენოდა და მისცა თავის ძეს ზარენს[320] და გამოგზავნა ქართველებზე.

ხოლო შეიკრიბნენ ქართველები და ოსები და მიეგებნენ ჯავახეთის მხარეში. და შეებრძოლნენ და სძლიეს ქართველებმა და ოსებმა და გააქციეს ზარენი, სომხების მეფის ძე, და მოსპეს მთელი მისი სპა და სდიეს სომხეთის საზღვრამდე, დაეწივნენ ზარენს, მეფის ძეს, და შეიპყრეს იგი იმ ტბის პირას, რომელსაც ჰქვია ცელი[321] და უკან წამოიყვანეს.

ხოლო ოსებს უნდოდათ ამ ზარენის მოკვლა მათი მეფეების სისხლისათვის, არამედ ქართველებმა დაიცვეს ცოცხლად მათი საზღვრის დასაბრუნებლად და ჩასვეს პატიმრად დარიალანის ციხეში. ვერ იპოვნეს სომხებმა, რადგან მოუცლელები იყვნენ სპარსელების გამო.

მაშინ მესამე წელს მოვიდა სუმბატ ბივრიტიანი და მეფის ორი ძე, არტავაზი და ტიგრანი[322], სომხეთის მთელი სპით. მაშინ ქართლის მეფეებმა

უბრძანეს თავიანთ ქვეყანას ციხე-ქალაქებში თავის შეფარება, და მთიულეთელებმა[323] გაამაგრეს ციხეები და ქალაქები. ხოლო მოვიდნენ სომხები და დადგნენ თრიალეთში[324]. და ჩადგნენ მათ შორის შუამავლები და დაზავდნენ; მისცეს ქართველებმა მეფის ძე[325] შეპყრობილი და აღუთქვეს დახმარება ასე: „თუკი ვინმე მტერი აღდგეს თქვენზე და აქეთ შეგებრძოლოთ, ჩვენ ორივე მეფე ჩვენი თავითა და ჩვენი სპით გვერდში დაგიდგეთ და გიშველოთ; და თუკი ასევე ვინმეს იქით შეებრძოლოთ, ათას-ათასი შეჭურვილი მხედრით შეგეშველოთ“. და ესეც აღუთქვეს ქართველებმა, რომ: „ამ ჩვენ ქალაქში დრამა არტაშან მეფის სახით დავბეჭდოთო“[326]. ხოლო ამის გამო სომხებმა უკან მისცეს ქართლის საზღვარი — ქალაქი წუნდა და დემოთის ციხე, ჯავახეთი და არტანი. და იმ დროიდან დამოყვრდნენ სომხები და ქართველები და ოსები. და სამივე ერთობლივად ებრძოდა მტერს.

და აღესრულნენ არზოკი და არმაზაელი, დიდად ნუგეშისცემულები, რადგან თავიანთი სიმხნით უკან მიიღეს ქართლის საზღვრები. და მათ შემდეგ მეფობდნენ მათი შვილები: არმაზში — ამაზასპი[327] და შიდაქართლში — დეროკი[328].

მეთოთხმეტე მეფეები ამაზასპი და დეროკი, აზორკ და არმაზელის ძეები, არშაკუნიანები

და მათ შემდგომად[329] მეფობდნენ მათი შვილები: არმაზში — ფარსმან ქველი და შიდაქართლში — მირდატი.

მეთხუთმეტე მეფეები ფარსმან ქველი და მირდატი, ამაზასპის და დეროკის ძეები, არშაკუნიანები[330]

აქამდე ყველა ეს ორ-ორი მეფე იყვნენ მოყვრობაში: ერთად - ვიღაცის მოყვრები და ერთად - ვიღაცის მტრები. მაშინ ამ მირდატმა, ქართველმა მეფემ მოიყვანა სპარსელი ცოლი, მეფეების ჩამომავალი და სპარსელების წაქეზებით მტრად გაუხდა ფარსმან ქველს, არმაზელს და განიზრახა ფარსმან ქველის მუხთლად მოკვლა. და მოიპატიჟა მირ-

დატმა ფარსმან ქველი თავის სახლში, ვითომცდა სამეჯლისოდ და მოსალხენად, რაც უთხრა ვიღაცამ ფარსმანს და გაარიდა [საფრთხეს]. ხოლო იგი აღარ მივიდა.

იმ დროიდან გახდნენ ერთმანეთის მტრები და მირდატს ეშველებოდნენ სპარსელები, ფარსმანს კი — სომხები.

და ეს მირდატი იყო კაცი ჯავრიანი და მოსისხლე, ხოლო ფარსმან-ქველი იყო კაცი კეთილი და უხვად გამცემელი და შემნდობი, აღნაგობით მშვენიერი, ტანით დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და მამაცი ბრძოლაში, უშიში როგორც უხორცო[331] და ყველაფრით უმჯობესი ქართლის ყველა მეფეზე[332], რომლებიც გარდაცვლილნი იყვნენ მის წინ.

ის უყვარდათ მირდატის მხარის ქართველებსაც და სძულდათ მირდატი მოსისხლეობისა და მისი სიავისათვის. და შემოუერთდა მას მირდატის მხარეს მყოფთა უმრავლესობაც, სძლია ფარსმან ქველმა და გააქცია მირდატ მეფე. და წავიდა მირდატი სპარსეთში.

ხოლო მაშინ იყო ფარსმან ქველის სპასპეტი, ასევე ქველი და გოლიათი, სახელად ფარნავაზი. ეს ფარნავაზი ფარსმანის ძუძუმტე იყო, საიმედო, ერთგული და სანდო. და ის დააყენა შიდაქართლში [ფარსმანმა], მირდატის ადგილას. და, საერთოდ, ფარნავაზი იყო ქართლში სპასპეტად, ხოლო მეფე ფარსმან ქველი დადიოდა [სხვადასხვა მხარეებში] და განაგებდა თავის სამეფოს.

მაშინ მირდატმა გამოიყვანა სპარსელები, ძლიერი სპა, და გამოემართა ფარსმანისკენ. ხოლო ფარსმანმა შემოკრიბა ქართლის სპა და შემოიერთა ძალა სომხეთიდან და მიეგება რკინისხევის[333] ვიწროებში. და დაიწყეს ბრძოლა ბუმბერაზებმა მრავალი დღის განმავლობაში და თუკი გამოჩნდებოდა ბუმბერაზი სპარსელებს შორის, რომელსაც ვერ ებრძოდნენ ქართლისა და სომხეთის ბუმბერაზები, მასთან გადიოდა თვით მეფე ფარსმანი ან მისი სპასპეტი ფარნავაზი და ასე ჯობნიდნენ და სძლევდნენ. და იმ ბრძოლაში მოკლა ფარსმან მეფემ სპარსელების ჩვიდმეტი ბუმბერაზი, ხოლო მისმა სპასპეტმა ფარნავაზმა მოკლა ოცდასამი.

მაშინ იყო სპარსელებს შორის ერთი გოლიათი კაცი, სახელად ჯუმბერი, რომელიც ლომს ხელით იჭერდა[334]. და მან სთხოვა პირისპირ ბრძოლა მეფე ფარსმანს. ხოლო ფარსმან ქველი სიხარულით აღიჭურვა და გავიდა. და შეჰყვირა ორივემ სასტიკი ხმით და შეუტიეს ერთმანეთს

და დაიწყეს ბრძოლა ხმლით. და მათი ბრძოლის ხმა ემსგავსა ქუხილისა და ჭექის ხმას. აჯობა ფარსმანმა, ჩამოაგდო და მოკლა და მობრუნდა თავისი სპის მხარეს და დაიძახა ხმამაღლა და უთხრა მათ: „აჰა, მძვინვარე ლომებო, ცხვრები დასეტყვილი!“[335]. მაშინ შეუტიეს ქართველებმა და სომხებმა სპარსელებს და გააქციეს და ამოწყვიტეს და დაატყვევეს ურიცხვი და წავიდა მირდატი ლტოლვილი სპარსეთშივე.

და მეორე წელს კვლავ მოვიდა მირდატი [უფრო] მეტად უძლიერესი სპით. ხოლო ფარსმან ქველმა შემოკრიბა თავისი სპა, მხედრები და ქვეითები და დადგა მცხეთაში, ქალაქში, რადგან არ ჰყავდა სპა მირდატის სპის ოდენა. მოვიდა მირდატი და დადგა ჯაჭვში[336] და ისევ ყოველდღე იბრძოდნენ ბუმბერაზები. და იმ ბრძოლაში მოკლა ფარსმან მეფემ თავისდათავად თორმეტი ბუმბერაზი, ხოლო სპასპეტმა ფარნავაზმა მოკლა თექვსმეტი ბუმბერაზი. მაშინ ფარსმან მეფემ თავისი გულის სიფიცხით აღარ გაითვალისწინა? სპარსელების სიმრავლე, არამედ გავიდა განთიადის ჟამს თავისი სპით და [თავს] დაესხა. და მისცა მისმა ბედმა ძლევა: გააქცია მათი რაზმი და ამოწყვიტა ურიცხვი. და წავიდა მირდატი ლტოლვილი სპარსეთშივე.

და იმ დროიდან განითქვა ფარსმან ქველისა და მისი სპასპეტის, ფარნავაზის სახელი. და გახდა იგი ქართლისა და სომხეთის სპათა წინამძღოლი. და დაიწყო ბრძოლა სპარსელებთან და სპარსეთში შესვლა. და ვეღარასოდეს ვერავინ წინ ვერ უდგებოდა ფარსმან ქველს.

მაშინ სპარსელებმა იხმარეს ეს ხერხი, რომ მოიყვანეს ერთი მზარეული და აღუთქვეს მას დიდი სიკეთე და უთხრეს ასე, რომ: „წადი და შეეხიზნე ფარსმან ქველს და წაიყოლე შენ სასიკვდილე წამალი და შეუზავე [ფარსმანს] მის საჭმელთან და შეაჭამე“. ხოლო წავიდა ის მზარეული და ჰქნა ისე, როგორც უთხრეს იმ სპარსელებმა. და ასე მოკლა ფარსმან მეფე ქველი.

მაშინ შეიქნა გლოვა და ტირილი მთელ ქართველობაში, წარჩინებულებიდან ვიდრე გლახაკებამდე. და ყველა თავში იცემდა [ხელს] ყველა ქალაქსა და დაბაში, რადგან დასხდებოდნენ [ხოლმე] გლოვის მგოსნები და იკრიბებოდა ყველა და ახსენებდნენ ფარსმან ქველის სიმხნევესა და სიქველეს და მშვენიერებასა და სახიერებას და ამბობდნენ ასე: „ვაი ჩვენდა, რადგან მოგვიძია ბოროტმა ბედმა და ჩვენი მეფე,

რომლისგანაც გამოხსნილი ვიყავით მტრების მონობისგან, მოიკლა იგი გრძნეული კაცების მიერ და ახლა [კი ხელში] ჩავუვარდით ჩვენ მოსაოხრებლად უცხო მოდგმას“. მაშინ გამოვიდნენ სპარსელები და წამოიყოლეს თან მირდატი და დაიპყრეს ქართლი და მისცეს მირდატს მისი ნაწილი, ხოლო ფარსმანის ნაწილი თვითონ დაიკავეს და დატოვეს ერისთავი არმაზში[337]. ხოლო ფარნავაზ სპასპეტმა წაიყვანა ფარსმან ქველის ცოლი და ძე და გაიქცა და მივიდა სომხეთში, რადგან სომეხთა მეფის ასული იყო ფარსმანის ცოლი[338]. და დაიპყრეს ქართლი მირდატმა და სპარსელების ერისთავმა[339]. ხოლო მეგრელები დაადგნენ ფარსმანის ძის ერთგულებას. ხოლო იმ დროს მოყვრობდნენ სომხები და ბერძნები[340]. მაშინ სომხების მეფემ შემოიერთა ძალა ბერძნებისგან და გამოემართა საბრძოლველად სპარსელებთან და ქართველებთან. მიუერთდნენ მეგრელები და შეიკრიბა ურიცხვი სიმრავლე. მაშინ მირდატმა და სპარსელების ერისთავმა მოიერთეს ძალა სპარსეთიდან. ხოლო სომხები, ბერძნები და მეგრელები ჩავიდნენ შიდაქართლში და იქ მიეგებნენ სპარსელები და ქართველები მდინარეზე, რომელსაც ჰქვია ლიახვი.

და იქ მოხდა ბრძოლა მათ შორის ადგილზე, რომელსაც ჰქვია რეხა[341]. და ამოწყდა ორივეგან ურიცხვი, დაიძლივნენ სპარსელები და ქართველები და მოკლეს მირდატი და სპარსეთის ერისთავი და მოსპეს მათი სპა[342].

მეთექვსმეტე მეფე ადამი, ფარსმან ქველის ძე, არშაკუნიანი

და დასვეს მეფედ ფარსმან ქველის ძე, რომელსაც ერქვა ადამი[343]. და მხოლოდ სამი წელი მეფობდა და მოკვდა[344]. და დარჩა მისი ძე, ერთი წლის ყმაწვილი; და ვიდრე აღიზრდებოდა ის ყმაწვილი, მეფობდა ადამის დედა, ფარსმან ქველის ცოლი, რომელსაც სახელად ერქვა ღადანა[345]. როცა აღიზარდა ფარსმან ქველის ძისწული, სახელად ფარსმანივე, მეფობდა იგი[346].

მეჩვიდმეტე მეფე, ფარსმანი,
ადამის ძე, არშაკუნიანი[347]

ხოლო მეფობდა ეს ფარსმანი მთელ ქართლზე და ჰყავდა ძე და უწოდა სახელად ამაზასპი. და ამის შემდეგ მოკვდა ფარსმანი და მის შემდეგ მეფობდა მისი ძე ამაზასპი.

მეთვრამეტე მეფე ამაზასპი,
ფარსმანის ძე, არშაკუნიანი

ხოლო ეს ამაზასპი იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, ფარსმან ქველის მსგავსი. და მის მეფობაში გადმოვიდნენ ოსები, დიდი სპა, დვალეთის გზაზე[348]. ხოლო ვერ იგრძნო ამაზასპ მეფემ ოსების გადმოსვლა ვიდრე [მათ მიერ] მთის გადმოვლამდე. მოვიდნენ ოსები და დადგნენ ლიახვზე რვა დღე დასასვენებლად და არსად გავიდა მარბიელი [რაზმი], რადგან ქალაქ მცხეთის შესამუსრად იყვნენ გადმოსულები[349]. მაშინ ამაზასპმა მოუწოდა ქართლის ყველა ერისთავს. და მოვიდნენ აღმოსავლეთის ერისთავები: ერისთავი კახეთისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვილდისა.

და შეიკრიბნენ სპასპეტის მხედრები; და ვიდრე დასავლეთის ერისთავების მოსვლამდე, ოსები მოვიდნენ ქალაქის ჩრდილოეთ მხრიდან, რომელიც არის მუხრანი.

მაშინ ამაზასპ მეფემ გაავსო ციხეები და მცხეთის კარიბჭეები ლაშქრით. და იყო ქვეით მცხეთელთა სიმრავლე, რომლებიც კარიბჭეებს და ზღუდეებს იცავდნენ. მათ [გარდა] კიდევ, რომლებიც გარეთ საომრად გადიოდნენ, იყო ოცდაათი ათასი ქვეითი მთლიანად და იქვე [კიდევ] სხვა, რომელსაც ჰყავდა ათიათასი მხედარი. და გავიდა ამაზასპი და გაანაწილა ის ქვეითები არაგვის იქით და აქეთ, კარიბჭეების სიმაგრეებში, ხოლო მხედრების ლაშქრით გავიდა ადგილას, რომელსაც ჰქვია საფურცლე. და დაიჭირა ზურგად ქალაქი და ის ქვეითები, რომლებიც დაეყენებინა კარიბჭეებში. და დაიწყეს ბრძოლა ბუმბერაზებმა. და გავიდა ამაზასპი მშვილდით და დაიწყო სროლა ფიცხელი გულით და ძლიერი მკლავით. იმ ზომაზე შორს ისროდა, რომ დაპირისპირებით მდგარი ოსები ვერ ატ-

ყობდნენ და ვერც ხედავდნენ სიშორის გამო, თუ საერთოდ ჰქონდა მშვილდი. და ჰკრავდა იგი ისარს, რომელსაც [წინ] ვერ უდგებოდა საჭურვლის სიმაგრე. და იმ დღეს ამაზასპმა თავისდათავად მოკლა თხუთმეტი რჩეული ბუმბერაზი და მრავალი ცხენი. და ამაზასპის სხვა ბუმბერაზებმაც მოკლეს ოსების მრავალი ბუმბერაზი; და დიდი ვნება მიაყენეს ოსებს.

იმ დღეს შემოვიდა ამაზასპი ქალაქში მხედარი სპითურთ, ხოლო ის ქვეითები იდგნენ იქვე ადგილზე კარიბჭეებში. და იმ ღამეს მოემატნენ მხედრები, რომლებიც ვერ წამოეყვანათ თან ერისთავებს მათი სისწრაფის გამო.

და როცა გათენდა, კვლავ გავიდა იქვე ამაზასპი და აიღო შუბები. და გამოვიდა ოსებისგან ერთი კაცი, რომელსაც ერქვა სახელი ხუანხუა[350]; იგი გამორჩეული იყო ოსების სპას შორის. შეჰყვირა ორივემ და შეუტიეს ერთმანეთს. და პირველივე მისვლაზე დასცა ჰოროლი ამაზასპმა და გაატარა ზურგიდან და მოკლა ის. და ამოღო ხმალი და შეუტია სხვა ბუმბერაზებსაც და მოკლა ორი სხვაც, შემობრუნდა და შემოვიდა ქალაქში მხედრებითურთ. ხოლო ქვეითები იდგნენ იქვე კარიბჭეებში და იმ ღამეს კვლავ მოემატნენ მხედრები.

ხოლო განიზრახეს თავდასხმა ოსებზე. და გავიდა და [თავს] დაესხა ოსებს განთიადის ჟამს, მხედრებითა და მთელი ქვეითებით, სძლია და გააქცია მათი რაზმი და მოკლა ოსების მეფე და მოსპო მათი მთელი სიმრავლე.

და მეორე წელს შემოიერთა ძალა სომხეთიდან და შეკრიბა მთელი თავისი სპა და გადავიდა ოსეთში. და ვერავინ აღუდგა წინ. და მოაოხრა ოსეთი და მოვიდა შინ გამარჯვებული.

და ამის შემდეგ შეუჩნდა სილაღე და დაიწყო მოსისხლეობა და ამოწყვიტა მრავალი წარჩინებული. და ამისთვის მოიძულა იგი ქართლის ერმა. და გადაემტერა იგი სომხებს და შეიყვარა სპარსელები[351].

მაშინ გადგა დასავლეთის ხუთი ერისთავი: ეგრისის ორი ერისთავი, ერთი ოძრხის, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდის. შეეთქვნენ ესენი სომხების მეფეს და ითხოვეს მისი ძე მეფედ, რადგან ამაზასპის დისწული იყო.

მაშინ სომხების მეფე დიდი ძალით გამოემართა ქართლისკენ და შემოიერთა ძალა საბერძნეთიდანაც. და შეეთქვა ოსებსაც, ხოლო ოს-

ები სიხარულით წამოვიდნენ, რადგან მათი მოსისხლე იყო ამაზასპი. და გადმოვლეს თაკვერის გზა[352] და მოვიდნენ ეგრისის ერისთავებთან.

მაშინ ამაზასპმა მოუწოდა სპარსელებს და მოვიდნენ ძლიერი სპარსელები. და შეკრიბა ქართველებიც, რომლებიც დარჩენოდა. მაშინ ოსებმა და მეგრელებმა გადმოვლეს მცირე მთა და შეიკრიბნენ ისინი და ქართლის განდგომილი ერისთავები და მოვიდნენ ყველა ესენი სომხების მეფის წინაშე.

ხოლო გამოემართა ამაზასპი და მოეგება იგი გუთისხევში[353] და არავინ აღმოჩნდა იმხელა სპაში, ბერძნებს, სომხებს, ოსებს, მეგრელებსა და ქართველებს შორის, ამაზასპთან ცალკე შემბრძოლებელი. არამედ შეებრძოლნენ ერთმანეთს ის სპანი და შეიქნა მათ შორის ბრძოლა. იძლია ამაზასპი და გაიქცა მისი სპა. და მოკლეს ამაზასპი და შემუსრეს მისი სპა და დაიპყრეს ქართლი.

და დატოვა სომხების მეფემ თავისი ძე მეფედ ქართლში, ამაზასპის დისწული, სახელად რევი.

მეცხრამეტე მეფე, რევი, არშაკუნიანი

და ამ რევმა მოიყვანა ცოლი საბერძნეთიდან, ლოღოთეთის[354] ასული, სახელად სეფელია[355]. და ამ სეფელიამ მოიტანა თან კერპი, სახელად აფროდიტოს და აღმართა მცხეთის თავზე. და უშვა ძე [რევს] და უწოდა სახელად ვაჩე.

ეს რევ მეფე თუმცაღა იყო წარმართი, მაგრამ იყო მოწყალე და შემწე ყველა გაჭირვებულისა. რადგან გაგონილი ჰქონდა მას მცირედით სახარება ჩვენი უფლის იესო ქრისტესი და ჰქონდა რამ ქრისტეს სიყვარული.

და ამან თავის მეფობაში აღარავის მიუტევა ქართლში ყმაწვილთა კვლა, რომელსაც მის უწინ და პირველად კერპთა მიმართ შეწირავდნენ მსხვერლად ყმაწვილებს და ვიდრე იგი იყო მეფედ, აღარავინ კლავდა ყმაწვილებს კერპებისთვის, არამედ ცხვრისა და ძროხის შეწირვა დაუწესა.

ამისთვისაც ეწოდა მას რევ მართალი[356]. და მეფობდა ეს რევი კეთილად, და მოკვდა რევი.

მეოცე მეფე ვაჩე
რევის ძე, არშაკუნიანი

და ამის შემდეგ მეფობდა მისი ძე, ვაჩე[357].

ოცდამეერთე მეფე ბაკური,
ვაჩეს ძე, არშაკუნიანი

და ვაჩეს შემდგომ მეფობდა ვაჩეს ძე, ბაკური.

ოცდამეორე მეფე მირდატი,
ბაკურის ძე, არშაკუნიანი

და ბაკურის შემდეგ მეფობდა ბაკურის ძე, მირდატი.

ოცდამესამე მეფე ასფაგური,
მეფე მირდატის ძე, არშაკუნიანი

და მირდატის შემდეგ მეფობდა მისი ძე, ასფაგური[358]. ამ ასფაგურმა ააშენა ციხე-ქალაქი უჯარმა[359].

ხოლო ალექსანდრეს მეფობიდან ეს ყველა მეფე მეფობდა ქართლში და იყვნენ კერპთმსახურები.

და ეს ასფაგური იყო ფარნავაზიანების მოდგმის უკანასკნელი მეფე. და ამის დროს გამეფდა სპარსეთში ქასრე ანუშირვან სასანიანი[360], რომელმაც მოსპო აჟღალანიანი მეფეები[361], რომელიც ცნობილია არდაშირობით[362], როგორც წერია „სპარსელების ცხოვრებაში“[363]. ხოლო სომხეთში გამეფდა კოსარო[364].

და ამ კოსარო სომხების მეფემ დაუწყო ბრძოლა სპარსელების ქასრე მეფეს. და შეეწეოდა მას ასფაგური, ქართველების მეფე.

და ეს ასფაგური უღებდა კავკასიელების კარებს და გამოიყვანდა ოსებს, ლეკებს და ხაზარებს, და მიდიოდა სომხების მეფე კოსაროსთან ერთად სპარსელებთან საბრძოლად.

და პირველსავე შესვლაზე სპარსეთში შეებრძოლა ქასრე, სპარსელების მეფე და გააქციეს იგი და მოსპეს მისი სპა. და იმ დროიდან წინ ველარ აღუდგა ამათ სპარსელების ის მეფე და გაახშირეს სპარსეთში შესვლა და სპარსეთის აოხრება[365].

ხოლო დასრულდნენ ფარნავაზიანი ქართლის მეფეები.

თავი მეოთხე
სპარსელების შემოსვლა ქართლში და მირიანის მეფობა, ქასრეს ძისა

როცა გააქციეს სომხებმა და ქართველებმა და ჩრდილოეთის მოდგმებმა სპარსელების მეფე და გაახშირეს სპარსეთში შესვლა და სპარსეთის აოხრება და ვერცერთხელ ვერ დაუპირისპირდა მათ სპარსელების მეფე, მაშინ სპარსელთა მეფემ, მწუხარებით სავსემ, მოუწოდა ქვეყნების მთავრებს, პიტიახშებსა და ერისთავებს და ითათბირა და ეძებდა გამოსავალს თავს დატეხილი ბოროტებისგან და აღუთქვამდა დიდ ძღვენს და პატივს [იმას], ვინც აპოვნინებდა შურისგების ხერხს[366].

ხოლო იმ კრებულში იყო ერთი წარჩინებული მთავარი, სახელად **ანაკი**, სომხების მეფის, კოსაროს ნათესავთაგანი. ადგა ის, წარმოდგა და თქვა: „დევნილია ჩვენი სპა სომხების მეფის, კოსაროსაგან, ამოწყვეტილები არიან ჩვენი მხედრები და დასცემიათ მათ შიში და ძრწოლა სპარსელებისა და გაძლიერებულები არიან ისინი და ვერ ძალგვიძს მათთთან დაპირისპირება. ახლა ეს არის ჩემი განზრახვა, რომ მშვიდობით და ვედრებითა და ხარკის მიცემით დავამშვიდოთ კოსარო მეფე“.

ეს რაც თქვა ანაკმა, გულით [კი] არ თქვა, არამედ [იქ შეკრებილ] სიმრავლეს უფარავდა თავისი გულის განზრახვას. მიეახლა მეფეს და უთხრა ცალკე: „იცოდე, რომ არათუ ესაა ჩემი განზრახვა, რაც ვთქვი, არამედ ღირსი გამხადე შენ წინაშე მარტო საუბრისა და ვაუწყებ შენს მეფობას ჩემს გულისზრახვას“.

და მის შემდეგღა ისაუბრეს [სხვა] წარჩინებულებმა ცალ-ცალკე მეფის წინაშე და წავიდნენ.

მაშინ ფარულად მოუწოდა მეფემ ანაკს და უთხრა მეფეს ანაკმა: „მეფეო, იცოცხლე უკუნისამდე, მე გიპოვი კოსაროზე შურისგების ხერხს. წავალ მასთან ჩემი დედა-წულითურთ და მომენდობა იგი ნათესაობის გამო და შენმა ბედმა [ნეტავ] კარგად გაჭრას და მოვკლავ იმ მეფეს და დავდებ ჩემს თავს შენთვის“.

მოეწონა ეს განზრახვა მეფეს. და მოკლე ხანში წამოვიდა ანაკი და მისი ძმა თავიანთი დედ-წულითურთ, ვითომცდა განდგომილ[იყვნენ]

სპარსელების მეფისაგან. და მივიდა სომხეთის საზღვრებში, ქალაქში, რომელსაც ჰქვია ხილხალა, სომხების მეფის საზამთრო ადგილებში. იხილა რა კოსარო მეფემ [ანაკი], დიდი პატივით მიიღო, რადგან [ანაკი] ყოველი ხერხით თავის მოსვლას სანდოდ აჩვენებდა და ხედავდა მეფე, რომ მთელი თავისი სახლეულით მისდამი მოემართა. მაშინ მისცა მას მეფემ პატივი, თავის ტახტზე მეორე კაცად აიყვანა სიხარულით და მშვიდად დაყვეს რა ზამთრის დღეები და მოვიდა ზაფხულის დროის დღეები და ადიდნენ მდინარეები, წამოვიდა მეფე იქიდან და მოვიდა ქალაქ არარატში და გამზადებულიყო კოსარო მეფე კვლავ სპარსეთში შესასვლელად.

მაშინ ერთ დღეს გავიდა მეფე სანადიროდ და გაჰყვნენ თან ანაკი და მისი ძმა, და წაიღეს ალესილი მახვილები ფარულად ბეწვის საწვიმრის ქვეშ; და იპოვეს დრო და მოკლეს მეფე და გაიქცნენ.

ხოლო დაედევნენ სომხეთის მთავრები და მოუსწრო ზოგმა ხიდზე და ზოგმა მოუსწრო ფონზე და შეიმწყვდიეს ვიწროში; ვერავინ წაუვიდა [მდევრებს] და მოკლეს [ანაკი და მისი ძმაც] და მოსპეს მათი ყველა ნათესავი, მხოლოდ გადარჩა მათი ორი შვილი, რომლებიც გააშორეს მათმა მამამძუძეებმა: ერთი გაიქცა საბერძნეთის საზღვრებისკენ და მეორე — სპარსეთის საზღვრებისკენ.

როცა ესმა ეს ამბავი სპარსელების მეფეს, ქასრე სასანიანს, აივსო სიხარულით და გამოემართა მთელი მისი ძალით; მოვიდა პირველად სომხეთში და დაიპყრო სომხეთი, მოსპო და დაატყვევა სომხების მეფის ყველა ნათესავი[367].

ხოლო კოსარო მეფის ერთი ძე, მცირე ყმაწვილი, გაიქცა საბერძნეთის საზღვრებისკენ და იქ იზრდებოდა, რომელსაც ერქვა თრდატი[368]. მაშინ, როცა დაიპყრო სომხეთი სპარსელების მეფემ და შემოვიდა ქართლში, წავიდა ასფაგური, ქართველების მეფე ოსეთში, რომ შემოემატებინა სპა ოსეთიდან და გაემაგრებინა ციხე-ქალაქები.

ხოლო როცა შევიდა ასფაგური ოსეთში, ეწია სიკვდილი და მოკვდა იქ[369]. ამ ასფაგურს არ ჰყავდა ძე, არამედ ერთი ასული. მაშინ შეიკრიბა ქართლის ყველა ერისთავი მცხეთა ქალაქში სპასპეტთან, რომელსაც ერქვა მაეჟანი[370]. მოითათბირეს ერთად მწუხარებით სავსეებმა და თქვეს: „არ ვაუფლოთ ჩვენს გულებზე მწუხარება, რათა არ წაგვერთ-

ვას გონიერება, არამედ ვეძიოთ ჩვენი გაჭირვებისა და განსაცდელის საშველი“.

მაშინ თქვა მაეჟან სპასპეტმა: „რომ იყოს ჩვენთან იმოდენა ძალა, ჩვენც ასჯერ მეტ სპარსელს გავუსწორდებოდით, დავდებდით ჩვენს თავებსაც სასიკვდილოდ და წინ აღვუდგებოდით მათ და რომ დარჩენილიყო ჩვენი მეფის მემკვიდრე ან ჩვენი მეფეების ჩამომავალი, რომელიც ღირსი იქნებოდა მეფობისა, დავდგებოდით ციხე-ქალაქებში და დავდებდით ჩვენს თავებსაც სასიკვდილოდ და შევჭამდით კაცის ხორცსაც, როგორც უწინ ჩვენი მამები. მაგრამ მოსულ დროებას ამგვარად მოუტანია, რომ მოიკლა სპარსელების მიერ სომხეთის ის დიდი მეფე, წაღებულია სომხეთი, რომელსაც ესაზღვრებოდა ჩვენი სამეფო და დაუღია თავისი პირი სპარსელების მეფეს მთელი ქვეყნიერების შთანსათქმელად. არავინ არის ჩვენთან მისი წინააღმდგომი და დარჩენილები ვართ ჩვენ ობლად, როგორც უმწყემსო ცხვრები. ახლა ეს არის ჩემი განზრახვა, რომ მივეგებოთ წინ სპარსელების მეფეს და დავემორჩილოთ და ვითხოვოთ მისგან წყალობა და ვითხოვოთ მისგან მისი ძე ჩვენს მეფედ და ვევედროთ, რომ შერთოს ცოლად თავის ძეს ჩვენი მეფის, ასფაგურის ასული. ვაუწყოთ იმ ქალის ქართლოსიანების და ნებროთიანების და დიდებული არშაკუნიანების და ჩვენი ფარნავაზიანი მეფეების ნათესაობა და ვითხოვოთ მისგან ჩვენი მამების რჯულზე დაჭერა და ვითხოვოთ ჩვენში სპარსელების არაღრევა და ჩვენი წარჩინებულადვე დატოვება, იქნებ შეიწყნაროს ეს ჩვენი ვედრება და ეს ყველაფერი ჰქნას ჩვენთვის და თუკი ჩვენი მამების რჯულს წაგვართმევს და ჩვენზე სპარსელებს დააყენებს წარჩინებულად და ჩვენი მეფეების მოდგმას ამოწყვეტს, მაშინ სიკვდილი უმჯობესია ჩვენთვის, ვიდრე ამგვარი რამის ნახვა, დავსხდეთ ჩვენდა თავად ციხე-ქალაქებში და ამოვწყდეთ ყველანი“[371].

მაშინ დაემოწმა ყველა ერისთავი მაეჟან სპასპეტის განზრახვას და გაგზავნეს შუამავალი სპარსელთა მეფის წინაშე და მოახსენეს ეს ყველაფერი, რაც განეზრახათ.

ხოლო გამოიკითხა სპარსელების მეფემ პირველად ქალაქ მცხეთის შესახებ და უთხრეს მისი სიგანე და სიგრძე და ხაზარებისა და ოსების სიახლოვე.

და მერე გამოიკითხა ასფაგურის ასულის გვარიშვილობა და უთხრეს [მისი] ნათესაობა ნებროთიანებთან და არშაკუნიანებთან და ფარნავაზიანებთან. ძალიან მოეწონა სპარსელების მეფეს ეს და შეიწყნარა ქართველების ვედრება, რადგან თვითონაც უკეთესად მიიჩნია მისი ძის მცხეთაში მეფედ დასმა, რადგან სომხეთისა და ქართლის, რანისა და მთელი იმ მხარის ყველა ქალაქს შორის უმეტესად და უმაგრესად მიიჩნია და ჩრდილოელი მტრების სიახლოვეს, რომ ებრძოლოს მათ იქიდან და დაიპყროს მთელი კავკასიელები[372]. აღუსრულა ყველა ის სათხოვარი ქართველებს და მისცა ყველაფერზე ფიცი და ღთქმა. და მოვიდა მცხეთაში და მიეგება მაეჟან სპასპეტი და ქართლის ყველა ერისთავი. მაშინ მოიყვანეს ასფაგურ მეფის ასული სამშვილდიდან, რომელსაც ერქვა აბეშურა[373] და შერთო იგი სპარსელების მეფემ თავის ძეს, რომელიც იქ თან ჰყავდა, შვიდი წლის, მხევლის ნაშობი, რომელსაც ერქვა სპარსულად მიჰრანი, ხოლო ქართულად მირიანი[374].

ეს მირიანი ის არის, რომელმაც სიბერის ჟამს სცნო დამბადებელი ღმერთი და მიიღო მოციქულების სახარება წმინდა ნინოს მიერ და გახდა აღმსარებელი წმინდა სამებისა და თაყვანისმცემელი პატიოსანი ჯვრისა[375].

[თავი მეხუთე]
ოცდამეოთხე მეფე მირიანი,
სპარსელების მეფის ძე, ხოსროიანი

ახლა ვახსენოთ მირიანის ცხოვრება, ქასრე არდაშირ სასანიანის[376] ძის.

როცა შეიწყნარა ქასრე მეფემ ქართველების ვედრება და შერთო თავის ძეს, მირიანს ქართველების მეფის ასული და მისცა ქართველებს მეფედ თავისი ძე და დასვა მცხეთას. და მისცა ქართლი, სომხეთი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი[377].

და იყო მირიანი მაშინ შვიდი წლის. და თან ჰყავდა ქასრე მეფეს მირიანის დედა და არ დატოვა იგი მირიანთან, რადგან უყვარდა მირიანის

დედა, როგორც თავისი თავი, არამედ დატოვა მამამძუძედ და გამგებლად ერთი წარჩინებული, რომელსაც ერქვა სახელად მირვანოზი.

და დატოვა ორმოცი ათასი რჩეული სპარსელი მხედარი და არ დააყენა ქართლის საზღვრებში ის სპარსელები იმ ფიცის გამო, რომელიც შეფიცული იყო ქართველებისადმი, არამედ დააყენა ჰერეთში და მოვაკანში და სომხეთში.

ხოლო უბრძანა მირვანოზს, რომ იმ სპარსელთაგან რჩეული შვიდი ათასი მხედარი სულ ქალაქში[378] იყოლიოს თავისი ძის მცველად. და ასე დაეზავა ქართველებს, რომ კარიბჭეები და ციხეები და ყველა ქალაქი ეკავოს სპარსეთის ლაშქარს და [რომ] სხვა სპარსელების სიმრავლე არ იყოს ქართლის ქვეყანაში არეულად; „და იყოს ჩემი შვილი ორივე რჯულზე: ჩვენი მამების ცეცხლმსახურებაზე და თქვენი კერპებისაზე“, რადგან თავდაპირველადვე ამაზე მოეცა ფიცი. და წავიდა მეფე და აიღო კავკასიელების ყველა ხევი და დასვა ყველგან მთავრები და უბრძანა ყველა მათგანს, რომ იყვნენ მისი ძის, მირიანის მორჩილები, და უბრძანა მირიანს, თავის ძეს და მის მამამძუძეს მირვანოზს, რომ ებრძოლონ ხაზარებს და წავიდა მეფე სპარსეთში.

ხოლო ამ მირვანოზმა შემატა ქართლის ყველა სიმაგრეს და ყველაზე უმეტესად მოამტკიცა ნეკრეს ქალაქის ზღუდეები. და აღიზარდა მირიანი იმ შვიდი კერპისა[379] და ცეცხლის მსახურებაში[380], ხოლო შეიყვარა ქართველები და დაივიწყა სპარსული ენა და ისწავლა ქართული ენა და უმატა კერპებისა და ბომონების შემკობას, კეთილად ეპყრობოდა კერპთა ქურუმებს და ქართლის ყველა მეფეზე უმეტესად აღასრულებდა იმ კერპების მსახურებას და შეამკო ფარნავაზის საფლავი[381]. ხოლო ეს ყველაფერი ქართველების მოსაწონად გააკეთა[382] და კეთილად ეპყრობოდა ქართველებს ძღვენითა და ყველანაირი დიდებით. და შეიყვარა იგი მთელმა ქართველობამ ყველა მეფეზე უმეტესად. და მეფობდა ასე მირიანი მცხეთის გაღმა ქართლში, სომხეთში, რანში, ჰერეთში, მოვაკანში და ეგრისში.

და როცა შეიქნა მირიანი თხუთმეტი წლის, მოუკვდა ცოლი, ქართველთა მეფის ასული და ამაზე დასრულდა ქართლში ფარნავაზიანი მეფეების მეფობა და დედოფლობა[383].

მაშინ შეწუხდა მთელი ქართველობა მათი დედოფლის სიკვდილის გამო, მაგრამ დარჩნენ მირიანის ერთგულებაზე, რადგან საერ-

თოდ აღარავინ იყო ფარნავაზიანების ჩამომავალი, რომელიც ღირსი იყო ქართველების მეფობისა. და ასე შეიტკბეს, ამ მიზეზის გამო, მირიანის მეფობა.

ხოლო მირიან მეფემ უმატა ქართველებს სიკეთე, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთიდან, პონტოდან, ოლიგოტოსის[384] ასული, სახელად ნანა.

და დაიწყო ბრძოლა ხაზარებთან და მუდმივად ებრძოდა.

ხან განუდგებოდნენ მირიანს ლეკები და გამოიყვანდნენ რა ისინი ხაზარებს თავის შემწედ, მიეგებებოდა მათ წინ მირიანი ჰერეთში ან მოვაკანში და იქ ებრძოდა მათ. და ხან დურძუკებსა და დიდოებს შემოიერთებდნენ და გამოიყვანდნენ ხაზარები, და მაშინ მათ ებრძოდა.

და ვერასოდეს სძლიეს ხაზარებმა და ყოველთვის მირიანი ძლევდა.

და ასე მრავალჯერ გადაიხადა ხაზარებთან ბრძოლა. და უფრო მეტი ლაშქრობა მისი იყო დარუბანდში, რადგან მოვიდოდნენ ხაზარები და მოადგებოდნენ დარუბანდს, რომ აეღოთ და გაეხსნათ ფართო კარი და იქიდან დაეწყოთ გასვლა სპარსელებზე.

ხოლო როდესაც მოვიდოდნენ ხაზარები დარუბანდში, მაშინ წავიდოდა მირიანიც დარუბანდის საშველად. ხან უომრად გაერიდებოდნენ ეს ხაზარები მირიანს და ხანაც ბრძოლით გააქცევდა იგი.

ხოლო როცა გახდა მირიანი ორმოცი წლის, მაშინ მოკვდა მამამისი, სპარსელების მეფე და დაჯდა მის შემდეგ მეფედ სპარსეთში მირიანის უმცროსი ძმა, რომელსაც ერქვა ბარტამი[385].

და როცა ესმა ეს მირიანს, მოუწოდა მის მთელ სპას, შეკრიბა და გაემართა ბაღდადში, რათა დამჯდარიყო მამამისის ტახტზე.

მაშინ მისმა ძმამ შეკრიბა ურიცხვი სპა და მიეგება საბრძოლველად ნისიბინის ხევზე. და როცა ნახეს სპარსეთის უხუცესებმა და მარზაპანებმა, რომ მახვილი უნდა დასცენ ერთმანეთს, დადგნენ მათ შორის შუამავლად და მოთათბირედ და დათანხმდა ორივე მეფე მათ ბჭობას[386]. და დასხდნენ რა სათათბიროდ, მაშინ მირიანმა თქვა სარჩელი: „პირმშო შვილი ვარ მე მამაჩემისა და საუფლისწულოდ მებოძა მკლავით წაღებული უცხო ქვეყნები და მთელი ჩემი დღეები იქ დამიყვია ხაზარებთან ბრძოლაში და მრავალჯერ ჩემი სისხლით დამიცავს სპარსეთი ხაზარებისგან. ამიტომ ჩემი არის მამაჩემის ტახტი“. ხოლო ბარტამი ამბობდა ამაზე, რომ: „თუმცა პირმშო მირიანი არის, მაგრამ

მხევლის ნაშობი არის და მხევლის ნაშობს ეყოფა ბედისგან [ხვედრად ის] სამეფოები, რაც მას ხვდომია. ხოლო მე ნაშობი ვარ ჰინდოელების მეფის ასულის, სპარსელების დედოფლისა და გსმენიათ მამაჩემის ანდერძი და გინახავთ, რომ თავისი ხელით დამადგა გვირგვინი ჩემს თავზე“.

ხოლო მათ იბჭეს და მისცეს სპარსეთის მეფობა ბარტამს, ხოლო მირიანს გულის დასამშვიდებლად მისცეს ბარტამის [წილი]დან ჯაზირეთი და შამის[387] ნახევარი და ადარბადაგანი[388] და ეს ყველაფერი ქართლს, სომხეთს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს ზედ დაურთეს.

და წამოვიდა მირიანი.

ხოლო ვიდრე მირიანი ჯერ იქ იყო, გადმოიარეს ოსებმა ფეროში და კავტია[389] და ააოხრეს ქართლი. ხოლო მირიანი გარე-გარე გადავიდა ოსეთში, მოაოხრა ოსეთი და მიაღწია ხაზარეთამდე და გადმოიარა დვალეთის გზა და მოვიდა შინ.

და ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში ჩვეულებისამებრ მოვიდნენ ხაზარები საბრძოლველად დარუბანდთან.

ხოლო მირიანი წავიდა დარუბანდის საშველად და ვიდრე იგი იქ იყო ხაზარებთან ბრძოლაში, მაშინ გუთების მეფე ურიცხვი სპით შევიდა საბერძნეთში[390].

ხოლო ბერძნების მეფე შეიკრიბა დიდი სპით და წინ აღუდგა. მაშინ გუთების მეფემ სთხოვა პირისპირ ბრძოლა კეისარს, ხოლო კეისარს არ ძალუძდა მასთან ბრძოლა, მაგრამ იყო ბერძნების სპაში სომხების მეფის, კოსაროს ძე, სახელად თრდატი, რომელიც ვახსენეთ ზემოთ. აღზრდილიყო იგი საბერძნეთში და იყო იგი გოლიათი. იმ დროს იყო იგი ბერძნების სპასთან და ის გამოარჩია ბერძნების მთელმა სპამ და შემოსეს ის კეისრის სამოსლითა და საჭურვლით და კეისრის სახით გაუგზავნეს საბრძოლველად გუთების მეფეს. გამოვიდა იქიდან გუთების მეფე და შეუტიეს ერთმანეთს საბრძოლველად. სძლია თრდატმა და ხელით შეიპყრო, და გააქციეს გუთების რაზმი. ხოლო კეისარმა მისცა სპა თრდატს და გამოგზავნა სომხეთში, თავის მამულში[391]. გამოვიდნენ სომხეთში და გააძევეს მირიანის ერისთავები[392].

მაშინ მირიანი შებრუნდა ხაზარების ბრძოლიდან და მოიყვანა სპარსეთიდან თავისი ახლობელი, მეფეთა ჩამომავალი, სახელად ფერ-

ოზი[393] და მან მოიყოლა თან დიდი სპა. და ამ ფეროზს მისცა მირიანმა თავისი ასული ცოლად და მისცა ქვეყანა ხუნანიდან ბარდავამდე, მტკვრის ორივე მხარე, და დააყენა იგი ერისთავად იქ[394]. და სხვა ძალაც მოირთო სპარსეთიდან და დაუწყო ბრძოლა თრდატს.

ხოლო როცა მოირთავდა თრდატი ძალას საბერძნეთიდან, შემოუტევდა მირიანს, მას [კი] არ ჰქონდა დაპირისპირების ძალა და ამაგრებდა ციხე-ქალაქებს, და მოივლიდა თრდატი მის ქვეყანას. და როცა გაძლიერდებოდა მირიანი სპარსეთიდან, მაშინ წინ ვერ აღუდგებოდა თრდატი და მოივლიდა მირიანი სომხეთს.

და ასე დაუცხრომლად იყო შფოთი მათ შორის მრავალ წელს და არავინ აღმოჩენილა არასდროს სპარსელებს შორის თრდატთან ცალკე შემბრძოლებელი. და სახელოვანი შეიქნა იგი მთელ ქვეყანაზე და სძლევდა ყოველთვის მასთან მებრძოლებს, როგორც წერია მისი ამბავი „სომხების ცხოვრებაში“[395].

ამის შემდეგ გამეფდა სპარსეთში მირიანის და ბარტამის მესამე ძმა[396], რომელმაც გამოუგზავნა მირიანს შუამავალი და უთხრა: „რომ შევიკრიბოთ და გადავიაროთ სომხეთი და შევიდეთ საბერძნეთში“.

მაშინ გამოვიდა სპარსელების მეფე და მიეგება მირიანი და შეიკრიბა ურიცხვი სიმრავლე, როგორც ველის თივა და ხეთა ფოთლები — სიმრავლით. და გადაიარეს სომხეთი და წინ ვერ აღუდგა თრდატი, არამედ გაამაგრა ციხე-ქალაქები. და მოაოხრეს სომხეთი და შევიდნენ საბერძნეთში. და წინ ვერ აღუდგა მათ ბერძნების მეფე კონსტანტინე და ჩავარდა დიდ მწუხარებაში[397]. და როცა დაიწყეს საბერძნეთის მოოხრება, მაშინ დაარწმუნეს მეფე კონსტანტინე ვიღაც ღვთისმსახურმა კაცებმა და უთხრეს, რომ: „ვიხილეთ ქრისტეს საკვირველება და მტერთა ძლევა მისი მოსავებისგან, [თუ] ქრისტეს ყველა მოსავი ჯვრის წინამძღოლობით როგორ სძლევს თავის მტრებს“. ხოლო კონსტანტინე მეფემ ირწმუნა მათი, როგორც წერია ეს ცხადად „ბერძნების მოქცევაში“, მოინათლა კონსტანტინე და წამოიძღვანია ჯვრის ნიშანი და შეებრძოლა მტერს, იმ ურიცხვ სპარსელებს, მცირე სპით და ქრისტეს ძალით გააქცია მათი რაზმი და მოსპო მათი სიმრავლე[398]. და გარბოდა ის ორი ძმა მცირე მხედრობითღა და მიჰყვა უკან კონსტანტინე და შევიდა მათ საზღვრებში[399].

და სპარსთა მეფე შევიდა სპარსეთში ლტოლვილი, ხოლო მირიანი დადგა ქართლში და გაამაგრა ციხე-ქალაქები.

უღონო შეიქნა მირიანი და შეეშინდა ქართლიდან სრულიად განდევნისა, რადგან ამოწყვეტილიყო იმ ბრძოლაში მისი ყველა წარჩინებული, სპარსელები და ქართველები.

და ამიტომაც გაგზავნა შუამავალი კონსტანტინე მეფის წინაშე და ითხოვა მისგან მშვიდობა და აღუთქვა მას მსახურება და სპარსელებისგან განდგომა და მისდამი მიმხრობა, რაც მოეწონა კონსტანტინეს, რადგან შიში ჰქონდა კვლავ სპარსელების მეფისა და დახმარებისათვის დაეზავა მირიანს. და აიყვანა მირიანის შვილი მძევლად, რომელსაც ერქვა ბაქარი[400], და დაამოყვრა თრდატი და მირიანი და დაამზახა ერთმანეთს, რადგან მისცა თრდატმა თავისი ასული, რომელსაც ერქვა სალომე, მირიანის ძეს ცოლად, რომელსაც ერქვა რევი[401]. და მიუჩინა საზღვარი მირიანს და თრდატს ასე:

რომელი ქვეყნების მდინარეებიც მიედინებიან სამხრეთით და ერთვიან არაქსს, ეს მხარეები თრდატის მხარეს დატოვა, და რომელი მხარეების მდინარეებიც ჩრდილოეთით მიედინებიან და ერთვიან მტკვარს, ესენი მირიანის მხარეს დატოვა.

და დაუწესა რა ეს კონსტანტინე მეფემ და გახდა რა მათი შუამდგომელი, წავიდა თავის სამეფოში[402].

და მეფობდა მირიანი იქ: ქართლში, რანში, ჰერეთში, და მოვაკანში. და ჰქონდა ეგრისიც ვიდრე ეგრისწყლამდე.

და მისცა თავის ძეს, რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასვა იგი უჯარმაში, რევი და მისი ცოლი სალომე, თრდატის ასული და ცხოვრობდნენ ისინი უჯარმაში.

ხოლო ფეროზს, მირიანის სიძეს ჰქონდა მხარე, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მირიანისგან მიცემული და იყო იგი იქ ერისთავად.

იმ დროს მოსული იყო წმინდა და ნეტარი დედა და ემბაზი ჩვენი[403] ნინო და დაეყო მცხეთაში სამი წელი და გაეცხადებინა ქრისტეს რჯულის ქება და ახდენდა კურნებებს წამლის გარეშე და ხმამაღლა დაეწყო მას ჩვენი ღმერთის, ქრისტეს ჭეშმარიტი რჯულის ქება[404].

ღეონტი მოოველი

მირიან მეფის მოქცევა და მასთან ერთად მთელი ქართლისა წმინდა და ნეტარი ჩვენი დედის ნინო მოციქულის მიერ

თავდაპირველად ვახსენოთ ჩვენი წმინდა და ნეტარი დედის და მთელი ქართლის განმანათლებლის, ნინო მოციქულის ცხოვრება, რომელიც თვით მან ნეტარმავე მოგვითხრო მისი აღსრულების ჟამს, რომელიც აღწერა მორწმუნე დედოფალმა სალომე უჯარმელმა, მირიან მეფის ძისცოლმა, თრდატ სომხების მეფის ასულმა[405].

და იყო იმ დროს, როცა წმინდა გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტესთვის[406], იყო კაბადუკიის ქალაქიდან[407] ერთი კაცი მთავართა სწორი[408], ღვთის მონა, სახელად ზაბულონი, და ის წავიდა რომში მეფის წინაშე სამსახურებლად და წყალობის მისაღებად მისგან[409]. და იმავე ხანებში ერთი კაცი იყო კოლასტრაში[410] და ჰყავდა ორი შვილი, ძე და ასული. და სახელი მისი ძის [იყო] იობენალი, ხოლო ასულისა — სოსანა. და როცა აღესრულნენ ეს მეუღლეები და დარჩა ის და-ძმა ობლად და ადგნენ და წავიდნენ ისინი წმინდა ქალაქ იერუსალიმში და დაიიმედეს ყველა ქრისტიანის სასოება — წმინდა აღდგომა და თავი შეავედრეს იქ[411]. სადაც ეს ძმა იობენალი ეწია დევტალარობას[412], ხოლო ის მისი და სოსანა მსახურებდა ნიაფორს[413], სარა ბეთლემელს. ხოლო ის კაბადუკიელი ჭაბუკი, სახელად ზაბულონი, რომელიც [ზემოთ] ვახსენეთ, მიიწია მეფის წინაშე რომში. და დადგომილები იყვნენ იმ დროს ბრანჯები[414] რომაელებთან საბრძოლველად პატალანის ველზე[415]. და მისცა უფალმა ზაბულონს, იმ კაბადუკიელ ჭაბუკს ძალა უძლეველი და გაუწია უზომო წინააღმდეგობა მტერს და გააქცია ბრანჯები და შეიპყრო ბრანჯების მეფე და ყველა

მათი მთავარი და მიიყვანა ისინი მეფის წინაშე[416]. ხოლო მეფემ განაჩინა მათი სიკვდილი. მაშინ დაიწყეს ტირილი იმ ბრანჯებმა და ევედრებოდნენ ზაბულონს: „მოგვეცი პირველად თქვენი რჯული და შეგვიყვანე თქვენი ღვთის ტაძარში და მაშინღა დადგეს ჩვენი სიკვდილი, რადგან შენ შეგვიპყარ, შენვე აღასრულე ეს ჩვენზე და უბრალო იქნები ჩვენი სისხლისაგან, ახოვანო“. ხოლო ზაბულონს როგორც [კი] ეს ესმა, სწრაფად აუწყა მეფეს და პატრიარქს[417] მათი სიტყვა. და ნათელსცეს მათ ზაბულონის ხელქვეშ და შეიყვანეს ღვთის ტაძარში, აზიარეს წმინდა საიდუმლოებს, ქრისტეს ხორცსა და სისხლს და უჩვენეს მათ მოციქულთა ის დიდებანი[418]. და დილით ადრე ადგნენ ის ბრანჯები და შეიმოსეს სამკვდრო სამოსელი და გავიდნენ კაცთა საკლავ სასისხლე ადგილას, ლოცულობდნენ და ჰმადლობდნენ ღმერთს ნათლისღებისათვის და ამბობდნენ: „ჩვენ სიკვდილში უკვდავები ვართ, რადგან ღირსი გაგვხადა ღმერთმა ამგვარი დიდების მისაღებად, იმ გამოულეველი საგზლისა — ხორცისა და სისხლისა ქრისტესი[419], უკვდავი ღვთის ძის, რომელიც უმაღლესია ყველა მთაზე და უქვესკნელესი — ყველა უფსკრულზე, რადგან იგი არის კურთხეული უკუნისამდე. ხოლო ვაი ჩვენს შვილებს, სიმწრის ნაყოფთ და სიბნელის მკვიდრებს“. და იძახდნენ: „მოვიდეს ჯალათი და წაგვაცალოს ჩვენგან ჩვენი თავები“. ხედავდა რა ამას ზაბულონი, აღელდა გონებით და ტირადა მწარედ, რადგან როგორც ცხვრებმა თავიანთი თავები დასაკლავად მოიდრიკეს, სასიკვდილოდ გაეწვდინათ და როგორც კრავებს, თავიანთ შვილებს საწყალობლად იგლოვდნენ. მაშინ მათი შემწყალებელი ზაბულონი შევიდა მეფის წინაშე, გამოითხოვა ისინი მეფისგან, სამკვდროდ გამზადებულები და მიმადლა მეფემ და უთხრა: „მიბოძებია ისინი შენთვის და რაც გნებავს ის უყავ მათ“. მაშინ ზაბულონმა გაუშვა ისინი. ხოლო ისინი ევედრებოდნენ ზაბულონს, რომ წაჰყვეს მათ ქვეყანაში და მისცეს ქრისტეს რჯული, წყლით ნათლისღება მთელ მათ ხალხს. ხოლო მან შეისმინა მათი ვედრება და მოითხოვა მღვდელი პატრიარქისგან და ბრძანება მიიღო მეფისაგან და წავიდნენ სიხარულით. და როცა მიუახლოვდნენ ერთი დღის სავალზე, მივიდა მანამდე ამბავი, რომ: „მეფე ცოცხალი არის, მოდის და ყველა მთავარი მასთან ერთად“. მაშინ დაიძრა ათი საერისთავო: ხოზამა, ხოზა, გაახლაჯა, ხონებაგა, ხინგარაგა, ზაჯა, ზაგა, ზარდა, ზამრა და სამეფო თმონიდი[420] და მიეგებებოდნენ ეს ყველანი დიდ

და ღრმა მდინარეზე[421]. და გაჰყო მეფემ ის ხალხი და დააყენა წყლის იქით და აქეთ. აკურთხეს იმ მღვდლებმა ის წყალი და ჩავიდა მთელი ხალხი იმ წყალში, განიბანნენ და ამოვიდნენ ერთ ამოსასვლელში და ადებდა მღვდელი თავის ხელს მთელ იმ ხალხს. და იყო იქ [ზაბულონი] ათი დღე. და აზიარა მთელი ის ხალხი ქრისტეს საიდუმლოს, დატოვა მღვდლები და დაუწესა ქრისტიანობის ყველა წესი[422].

ამის შემდეგ წავიდა მათგან, დაუტოვა ყველას მშვიდობა და წავიდა დიდძალი საჩუქრებით რომისკენ და განიზრახა თავის გონებაში: „წავიდე იერუსალიმში და ვამსახურო ეს ჩემი საჩუქრები ღვთის ადგილებს“. და წავიდა იერუსალიმისკენ და როცა მიაღწია იერუსალიმს, გაუყო მთელი თავისი მონაგები გლახაკებს ღვთის მცნების გამო. და ნახა, რომ თავდაპირველად ნახსენები ის დევტალარი, პატრიარქი გამხდარიყო და ძალზე დაუმეგობრდნენ ერთმანეთს ზაბულონი და ის პატრიარქი[423]. მაშინ უთხრა სარა ნიაფორმა პატრიარქს ასე, რომ: „ეს ზაბულონი — მამა და ემბაზი ბრანჯთა[424], კაცი სრული ღვთისმოშიშებითა და ყოველნაირად სიბრძნით არის. მიეცი შენი და სოსანა ცოლად მას“.

მართლაც, მოეწონა წმინდა პატრიარქს სარა ნიაფორის ეს განზრახვა და მისცა სოსანა ცოლად ზაბულონს.

და წავიდა ზაბულონი თავის ქალაქში, კოლასტრაში[425]. ეს წმინდა ნინო, ქართლის მოძღვარი, მათგან იშვა მხოლოდ ერთი, სხვა შვილის გარეშე[426]. და აღზარდა დედამისმა სოსანამ გლახაკთა მსახურებაში.

ხოლო როცა გახდა ნინო თორმეტი წლის[427], მაშინ გაყიდეს მისმა მშობლებმა ყველაფერი, რაც ჰქონდათ და წავიდნენ იერუსალიმში და გაუყვეს გლახაკებს. ხოლო მიაღწიეს რა იერუსალიმს, მაშინ ზაბულონმა დაიწერა ჯვარი პატრიარქისაგან და გაიმიჯნა თავისი ცოლისაგან და ჩაიკრა თავის მკერდში თავისი ასული, წმინდა ნინო და დაღვარა, როგორც წყარო, ცრემლები თავის თვალებიდან ნინოს სახეზე და უთხრა: „შენ, ერთადერთო ასულო ჩემო, აგერ გტოვებ შენ ობლად ჩემგან და მიგაბარებ ცათა მამას, ყოველთა გამზრდელ ღმერთს. რადგან იგია ობლების მამა და ქვრივების გამკითხავი. ნუ გეშინია, შვილო ჩემო! ოღონდ შენ მარიამ მაგდანელის[428] შური გადაიღე ქრისტეს სიყვარულისთვის და ლაზარეს იმ დების[429]. და, თუ შენ ისევე შეიყვარებ მას, როგორც მათ შეიყვარეს, მან ასევე მოგცეს შენ ყველაფერი, რასაც ითხოვ მისგან“. ხოლო ეს რომ თქვა, დაუტოვა

საუკუნო ამბორი და წავიდა იორდანეს გაღმა, იმ ველურ კაცებთან, სადაც მისი საქმეები იცის ღმერთმა, ყოვლისმცოდნედ დამბადებელმა[430].

ხოლო წმინდა ნინოს დედა მისცა პატრიარქმა მსახურად გლახაკ დედებს და უძლურებს და წმინდა ნინო ემსახურებოდა დვინელ სომეხ ნიაფორს ორი წელი[431] და ეკითხებოდა სულ ქრისტეს ვნებების შესახებ: ჯვარცმის, დაფლვისა და მისი აღდგომის და იმ სამოსლისა და ტილოებისა და სუდარისა და ჯვრისა და სხვა [ამბებს] ყველაფერს თანმიმდევრობით ეკითხებოდა, რადგან [მაშინ] არავინ იყო და არც [მანამდე] ყოფილიყო ვინმე იერუსალიმში მისი ტოლი ძველი და ახალი რჯულის ცოდნით, ყველაფრის — ზედმიწევნით.

ხოლო დაიწყო მან თხრობა მისთვის და უთხრა: „ვხედავ, ჩემო შვილო, შენს ძალას როგორც ძუ ლომის ძალას, რომელიც დაჰღრიალებს ყველა ოთხფეხს, თუგინდ როგორც დედალი ორბისას, რომელიც მამალზე უფრო ადის ჰაერის სიმაღლეში და მთელ ხმელეთს თავისი თვალის გუგაში მცირე მარგალიტის ტოლად ჩაისვამს, შეხედავს და განჭვრეტს თავის საჭმელს ცეცხლისებრ, ხოლო დაინახავს რა, მიუშვებს ფრთებს და შეუტევს მას[432]. ასევე იქნება შენი ცხოვრება სულიწმინდის წინამძღვრობით. ახლა კი დავიწყებ და მოგითხრობ ყველაფერს:

რადგან, როდესაც იხილეს ის უკვდავი ღმერთი[433] მოკვდავმა კაცებმა ამ ქვეყნად, რომელიც მოსულიყო წარმართების მოსაწოდებლად, რადგან თვითონ ინება ქვეყნიერების ხსნა, დაიწყო სიკეთის კეთება ჰურიებისთვის: მკვდრების აღდგინება, ბრმების თვალისახელა, სნეულთა განკურნება. ეს შეშურდათ [ჰურიებს] და იბჭეს და გაგზავნეს მხედრები ყველა ქვეყანაში სასწრაფოდ ჰურიების მოსაყვანად და თქვეს, რომ: „აჰა, აგერ ვიღუპებით, მოდით და შეიკრიბეთ ყველა“. მაშინ მოვიდა ყველა ქვეყნიდან ურიცხვი კაცი, მოსეს რჯულის მცოდნეები, რომლებიც წინაღუდგნენ წმინდა სულს და რაც კი იყო გასაკეთებელი ქრისტესთვის, მათ აღასრულეს, რადგან ჯვარს აცვეს[434] და მის სამოსელზე წილი იყარეს[435] და შეხვდა წილით ჩრდილოელ მცხეთელ მოქალაქეებს ის უკერავი კვართი[436]. ხოლო დაფლეს იმ ურიებმა იესო და დახურეს მისი საფლავი, მაგრამ იგი აღდგა, როგორც თქვა თავდაპირველად და ის ტილოები იპოვეს იმ საფლავში[437]. როცა გათენდა, ეს ყველაფერი ნახა პილატემ[438] და მოვიდა პილატეც და პილატეს ცოლიც

ქრისტეს საფლავთან. და ის ტილოები, როგორც იპოვნეს, წამოიღო პილატეს ცოლმა და წავიდა სწრაფად პონტოში, თავის სახლში და გახდა ქრისტეს მორწმუნე[439]. ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ [ეს ტილოები] მოხვდა ლუკა მახარებლის ხელში და დააწყო მან ისინი, სადაც თვითონ იცის. ხოლო სუდარა არ აღმოჩნდა, თუმცაღა თქვეს ვიღაცეებმა პეტრეზე, რომ: „[მან] მოახერხა [სუდარის] აღება და ჰქონდა მასო“. მაგრამ ცხადად არ გვითხრეს [ეს ამბავი], [ისევ] როგორც სხვა რამ[440]. ხოლო ის ჯვრები[441] ამ ქალაქშივე, იერუსალიმში არიან დამარხულები, მაგრამ მათი ადგილი არავინ იცის. როდესაც ინებებს ღმერთი, ისინიც გამოჩნდება“[442]. როცა ესმა ეს ყველაფერი წმინდა ნინოს ნიაფორისგან, მისცა კურთხევა და მადლი ღმერთს. და კვლავ ჰკითხა მას, რომ: „სად არის ჩრდილოეთის ის ქვეყანა, საიდანაც მოსულ იმ ჰურიებს წილად ხვდათ და წაიღეს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ის სამოსელი?“. მიუგო და უთხრა სარა ნიაფორმა, რომ: „არის აღმოსავლეთით ქალაქი სახელად მცხეთა, ქართლის ქვეყანა და სომხეთის მთიულეთი საწარმართო, მაგრამ ამ დროში უჟიკთა[443] საგამგებლოდ შექმნილა იგი“. ხოლო იმ დღეებში მოვიდა ვიღაც ქალი ეფესოდან[444] წმინდა აღდგომის თაყვანის საცემად[445] და ეკითხებოდა იმ ქალს ნიაფორი, რომ: „ელენე დედოფალი[446] ისევ ისეთივე ცდომასა და ბნელში არის?“. ხოლო მან უთხრა ასე, რომ: „მე ვარ მათი მხევალი და მათი ყველა განზრახვის, ცხადისა და ფარულის, მცოდნე და ვიცი მე მისი [ამბავი], რომ აქვს მას დიდი სურვილი, ქრისტეს რჯულისა და ნათლისღებისათვის“. ხოლო ესმა რა ეს იმ ქალისაგან წმინდა ნინოს, უთხრა ნიაფორს ასე, რომ: „გამგზავნე მე და მივალ ელენე დედოფლის წინაშე, იქნებ დავუახლოვდე მის წინაშე ქრისტეზე სასაუბროდ“. ხოლო ნიაფორმა აუწყა პატრიარქს ნინოს ეს საწადელი და ამბავი. ხოლო [ნინოს] დედისძმამ მოუწოდა წმინდა ნინოს, თავის დისწულს და დააყენა წმინდა საკურთხევლის აღსავალზე და დააწყო მისი წმინდა ხელები მის მხრებზე, შესტირა ცას თავისი გულის სიღრმიდან და თქვა: „უფალო, ღმერთო საუკუნეთაო, შენს ხელებს შევავედრებ ამ ჩემს ობოლ დის შვილს და ვაგზავნი შენი ღვთაებრიობის საქადაგებლად, რომ ახაროს შენი აღდგომა; სადაც შენ ინებო მისი სვლა, იყავ, ქრისტე ღმერთო, ამის თანამგზავრი, ნავსადგური, მოძღვარი და ენის მცოდნე, როგორც ამაზე წინ [მყოფ] შენის სახელის

მოშიშთ“[447]. და გააშორა თავისი დედისგან განშორების ამბორით და გამოსახა მასზე ჯვრის სასწაული და ასე ღვთის მიმართ ლოცვითა და კურთხევით გაუშვა[448].

და გაემართა წმინდა ნინო ეფესოდან მოსულ იმ ქალთან ერთად და როცა მიაღწიეს რომის სამეფოს, იმ ქალის სახლში, რომლის თანამგზავრიც გახდა, იპოვეს იქ ვიღაც დედოფალი და მეფეების ნათესავი, სახელად რიფსიმე და მისი დედამძუძე გაიანე[449], ქალწულების მონასტერში, რომლებსაც ქრისტეს აღსარების სურვილი ჰქონდათ და ელოდნენ იერუსალიმიდან ნათლისღებას. მაშინ იმ ქალმა მოიყვანა წმინდა ნინო და მისცა წმინდა რიფსიმეს და აუწყა მისი ამბავი, რომელიც ნახა რა ქრისტესმოყვარე რიფსიმემ, სიხარულით შეიტკბო და მიიღო თავის სახლში, თავის წინაშე, წმინდა ნინო იმ თანამგზავრის ქალის ხელიდან. და ასე იყო რა მასთან წმინდა ნინო, იმავე წელიწადს მოინათლა რიფსიმე, რისი სურვილიც ჰქონდა და მასთან ერთად გაიანეც, მისი დედამძუძე და მის სახლში მცხოვრები სხვებიც, რიცხვით ორმოცდაათი სული, წმინდა ნინოს ხელს ქვეშ მოინათლნენ. და წავიდა ეს ყველა თავიანთ მონასტერში და და იყო მათთან ერთად წმინდა ნინო ორი წელი.

იმ დღეებში გაგზავნა კეისარმა [ხალხი] ლამაზი და მშვენიერი ქალის მოსაძებნად, რომ ეპოვნათ მისი ღირსი ცოლი. და როცა მიაღწიეს იმ მაძიებლებმა ქალწულთა იმ მონასტერს და იხილეს რიფსიმე და ნახეს მისი გარეგნობა და გამოიკითხეს მისი გვარიშვილობა, რადგან არავინ იყო სახით რიფსიმეს მსგავსი და გამოსახეს მისი სახე ფიცარზე და გაგზავნეს კეისრის წინაშე, მოეწონა კეისარს და აივსო სიხარულით და გადაწყვიტა ქორწილის გადახდა დიდი სიხარულით, რისთვისაც სწრაფად მიავლინა ელჩები და გამგებლები მთელი თავის საბრძანებელში, რომ ყველა შეიკრიბოს ძღვენით და დიდი სიხარულით მოვიდნენ მეფის ბრძანებაზე სამეფო ქორწილში. ხოლო იხილეს რა იმ ყველა წმინდანმა მტრის ფარული ვერაგობა და მისი გახურებული ისრები, რომლითაც მიისწრაფოდა წმინდა ქალწულებზე სასროლად, შეწუხდნენ, რადგან რისხვის ჭურჭელი აღმოჩნდა მეფე, როგორც გველი, რომელიც სამოთხეში ალაპარაკდა[450], ასევე აქაც მის მსგავსად [ლაპარაკობდა] — ეს ურჯულო, რომელსაც ჰქონდა შერყვნილი თაყვანისცემა ბილწი და საძაგელი კერპებისა.

ხოლო ნახეს რა ნეტარმა რიფსიმემ, გაიანემ და სხვა იმ წმინდა და ყოვლადქებულმა დედებმა მათზე მოწევნული ეს განსაცდელი, მაშინ გაიხსენეს მათ ის უბიწო აღთქმა და ქების ღირსი მარტოობაში ცხოვრება, რომელშიც იყვნენ დამოძღვრილები და გოდებით ტიროდნენ ურჯულო მეფის წინაშე წმინდა რიფსიმეს მშვენიერების გაცნობას, რომელიც გამოხატული გაუგზავნეს. ლოცულობდნენ დაუცხრომლად და უმკაცრეს კანონებს შეუყენეს საკუთარი თავი, ევედრებოდნენ ყოვლადმოწყალე ღმერთს მრავალი ვედრებით. და ერთიანად, ერთმანეთში განზრახვით ყველამ დატოვა ის ქვეყანა ფარულად, ორმოცდაცამეტმა სულმა და მოაღწიეს ლტოლვილებმა სომხეთის მხარეებსა და მიდამოებს, იმ ადგილს, რომელსაც ჰქვია ახალქალაქი, ვალერის[451] აშენებულს, რომელიც არის დვინი, სომხების მეფის სამყოფელი.

და შევიდნენ იქ საწნახელის კარვებში, რომლებიც აშენებული იყო ჩრდილოეთის მხარეს და აღმოსავლეთით, და საზრდოობდნენ იქ თავიანთი ხელსაქმის გაყიდვით.

იხილა რა კეისარმა, რომ გაერიდნენ ხელიდან და მისი ბოროტი ტრფიალებისგან წმინდა რიფსიმე და სხვა მისთანები, აივსო უნუგეშო მწუხარებით და გაგზავნა კაცები ყველა ადგილას მათ მოსაძებნად. მაშინ მოვიდნენ კეისრის ელჩები თრდატის, სომხების მეფის[452] წინაშე და მოართვეს კეისრის წერილი, რომელშიც ეწერა ასე: თვითმპყრობელი კეისარი საყვარელ ძმას და მეგობარს და ჩემს თანამოსაყდრეს, თრდატს მოგიკითხავ. იცოდეს შენმა ძმობამ და თანაშემწეობამ, რისთვისაც ყველანაირად ვიტანჯებით — იმ შემცდარი ქრისტიანი ხალხისაგან. რადგან ყველანაირად შეურაცხყოფილი ხდება ჩვენი უფლება მათი კრებულისგან და დასაწუნი გახდა ჩვენი ხელმწიფება მათგან. რადგან ისინი ვიღაც მკვდარ ჯვარცმულს ემსახურებიან და ძელს სცემენ თაყვანს და კაცთა ძვლებს სცემენ პატივს და საკუთარი თავის სიკვდილი მათი უფლისთვის დიდებათ შეურაცხავთ და არ ეშინიათ ჰურიების და იმ ჰურიებისაგან მოკლულის და ჯვარცმულის ეშინიათ და შემცდარნი არიან. მეფეებს აგინებენ, ღმერთებს შეურაცხყოფენ და ნათელი მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ძალასაც არად დაგიდევენ, არამედ მათ იმ ჯვარცმულის მიერ შექმნილად აცხადებენ. და ისე შეაბრუნეს ქვეყანა, რომ მამაკაცები ქალებისგან და ქალები მამაკაცე-

ბისგან სიცოცხლეშივე განეშორებიან. და თუმცა დიდი მუქარითა და დიდძალი ტანჯვით ამოვწყვიტეთ, მაგრამ კვლავაც უფრო მეტად გამრავლდნენ. ხოლო ახლა მე მომიხდა ხილვა მათი მოდგმისგან ერთი ახალგაზრდა ქალისა და განვიზრახე მისი ჩემთვის ცოლად მოყვანა, ხოლო მას ჩემი არც როგორც მეფის სურვილი უთხრა მისმა გულმა, არამედ საძულველად და არაწმინდად შემრაცხეს მე, რის გამოც ფარულად გაიქცნენ ჩემგან და შენი ქვეყნის მხარეებში არიან წამოსულები. ცნობილი იყოს ეს შენთვის, ჩემო ძმაო, მოიძიე ისინი და მათნაირებს რომ იპოვნი, სიკვდილით მოაკვდინე, ხოლო რომლეიაც შეაცდინეს მათ, სახითა და სახელით მშვენიერი რიფსიმე, ჩემთან გამოგზავნე, და თუკი შენ მოგეწონება იგი, შენი თავისთვის დაიგულე, რადგან არ მოიპოვება მისი მსგავსი სხვა იონების ქვეყანაში[453]. და ჯანმრთელად იყავი შენ ღმერთების მსახურებაში“.

ხოლო წაიკითხა რა თრდატმა კეისრის ეს ბრძანება, მაშინვე დაიწყო მათი ძებნა და იპოვა რა ისინი ზემოხსენებულ იმ საწნახელის კარვებში და იხილა რა რიფსიმე, აივსო გულისთქმის ტრფიალებით და დიდი სიხარულით და გადაწყვიტა თავისთვის მისი ცოლად მოყვანა. ხოლო ეურჩა რა თრდატს ამ საქმის გამო წმინდა რიფსიმე, მაშინ იწამა იგი მის მიერ წამების ღვაწლით, მასთან გაიანეც, მისი დედამძუძე და მათთან მყოფი მრავალი სხვაც, როგორც ეს წერია მათი წამების წიგნში და გვეუწყება ის სასწაულები, რომლებიც მოხდა მათი წამების დროს სომხების მოქცევისას (რადგან თრდატ მეფე ღვთის განგებით ღორად გადაიქცა[454]).

ხოლო წმინდანებისგან რომელიმე მათგანი დაიმალა და გაიქცა[455], რომელთან ერთადაც მაშინ ეს წმინდა ნინო დამალულ იქნა ვარდის ეკლებს შორის, რომელიც ჯერ არ ყვაოდა იმ დროს. და როდესაც ამოდიოდა იმ წმინდა მოწამეთა სულები, იხილა წმინდა ნინომ სტეფანეს მსგავსი დიაკონი[456], ჩამომავალი ნათლის ოლარით და მას ხელები ჰქონდა სასაკმევლე, რომლისგანაც გამოდიოდა სურნელების კვამლი, რომელიც ცებს ფარავდა, და მასთან ერთად ზეცის მხედრობის[457] სიმრავლე. და მათ შეუერთდნენ წმინდა მოწამეების[458] სულები, რომელიც, იხილა რა წმინდა ნინომ, შეჰღაღადა ასე: „უფალო, უფალო, რად მტოვებ მე ასპიტთა და იქედნეთა შორის?“[459].

მაშინ ხმა მოესმა ზემოდან, რომელიც ეუბნებოდა, რომ: „ასევე იქნება შენი წაყვანაც, როდესაც ეგ ეკალი, რომელიც შენს გარშემო არის, მთლიანად გახდება სურნელოვანი ვარდის ფურცელი, მაგრამ ადექი და წადი ჩრდილოეთის მხარეს, სადაც დიდძალი სამკალი არის და მუშაკი საერთოდ არა“[460].

და წამოვიდა იქიდან წმინდა ნინო და მოაღწია ორბანთას[461], სომხეთის საზღვრებში. და იქ დაიზამთრა დიდ გაჭირვებაში. და მეოთხე თვეს, რომელიც არის ივნისი[462], გამოემართა და მოაღწია ჯავახეთის მთებს[463], სადაც შეხვდა გადამდინარე დიდ ტბას, რომელსაც ჰქვია ფარავნა[464]. და გაიხედა რა იქით და იხილა ჩრდილოეთის მთები, რადგან იმ ზაფხულის დღეებში იყვნენ თოვლით სავსე და სასტიკი ჰაერით. და შეძრწუნდა წმინდა ნინო და თქვა: „უფალო, უფალო, მიიღე ჩემი სული ჩემგან“. და დაჰყო იქ ორი დღე და ითხოვა საზრდო იმ ტბაში მონადირე მეთევზეებისგან. და მწყემსებიც იყვნენ იმავე ადგილას და დარაჯობდნენ ღამის სადარაჯოზე თავის სამწყემსურს და მოუხმობდნენ თავიანთ ღმერთებს, არმაზს და ზადენს და აღუთქვამდნენ მათ შესაწირავს: „როცა მოვალთ მშვიდობითო“. ხოლო წმინდა ნინო მცოდნე იყო ცოტათი სომხური ენის, რადგან ადრე ესწავლა ნიაფორისგან[465] და იპოვა იმ მწყემსებს შორის სომხურად მოლაპარაკე და ჰკითხა მას, რომ: „რომელი მხარიდან ხართ?“. ხოლო მან მიუგო და უთხრა, რომ: „დაბა ელარბინიდან[466] და საფურცლიდან და ქინძარელები[467], დიდი ქალაქის, მცხეთის რაბატელები[468], სადაც ღმერთები ღმერთობენ და მეფეები მეფობენ“. და ჰკითხა, თუ: „სად არის მცხეთა?“ ხოლო იმ მწყემსმა მხოლოდ ეს აუწყა, რომ მდინარე გასდის ამ ტბას მცხეთაში მისასვლელად[469].

ხოლო წმინდა ნინომ დაიდო ლოდი სასთუმლად, დაწვა და დაიძინა იმ ტბის გასადინართან. და როცა ეძინა, მოვიდა ჩვენებაში ერთი კაცი[470], სიმაღლით ზომიერი და თმით ნახევრადთმიანი[471].

და მისცა მან ბეჭედდასმული წიგნი წმინდა ნინოს და უთხრა: „მიართვი ეს სწრაფად ქალაქ მცხეთაში წარმართების მეფეს“. ხოლო წმინდა ნინომ დაიწყო ტირილი და ვედრება მისდამი: „ბატონო, მე ქალი ვარ უცხო და უმეცარი და არც ენა ვიცი, როგორ მივიდე უცხო ქვეყანაში და უცხო ხალხთან?“. მაშინ კაცმა გაუხსნა ის წიგნი და მისცა წა-

საკითხად და დაწერილი იყო რომაულად[472] და იესოს ბეჭედი იყო [ზედ დასმული]. დაწერილი იყო იმ წიგნში ათი სიტყვა[473].

ა“. სადაც იქადაგება ეს სახარება, იქაც ითქმოდეს ეს ქალი.

ბ“. არც მამაკაცობა არის და არც ქალობა, არამედ თქვენ ყველა ერთი ხართ.

გ“. წადით და მოიმოწაფეთ ყველა წარმართი და მონათლეთ ისინი მამის და ძის და სულიწმიდის სახელით.

დ“. ნათელი გამობრწყინდა წარმართებზე შენი ერის, ისრაელის სადიდებლად.

ე“. სადაც იქადაგება სასუფევლის ეს სახარება, იქაც ითქმებოდეს მთელ ქვეყანაში.

ვ“. ვინც თქვენ მიგიღებთ, მე მიმიღო და ვინც მე მიმიღებს, მიიღებს ჩემს მომავლინებელს.

ზ“. რადგან ძალიან უყვარდა მარიამი უფალს, ვინაიდან ყოველთვის ისმენდა მის ჭეშმარიტ სიტყვას.

ᲗᲐ“. ნუ გეშინიათ იმათგან, რომლებიც თქვენს ხორცს კლავენ, ხოლო სულის მოკვლა არ ძალუძთ.

თ“. უთხრა მარიამ მაგდანელს იესომ: „წადი, ქალო, და ახარე ჩემს ძმებს“.

ი“. სადაც იქადაგებთ მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით.

როცა წაიკითხა ეს სიტყვები წმინდა ნინომ, იწყო ვედრება ღვთის მიმართ და მიხვდა, რომ ზეციდან იყო ეს ჩვენება. და აღაპყრო თვალები ზეცისკენ და ხვალინდელი დღისთვის ითხოვა მისი დახმარება.

და ამის შემდეგ გაჰყვა იმ ტბის მდინარეს და მიედინებოდა იგი დასავლეთის მხრისკენ და შეუდგა ძნელ და ფიცხელ გზას, იხილა დიდი გაჭირვებები გზისგან და დიდი შიში მხეცებისგან, ვიდრე მიაღწია იმ ადგილს, სადაც წყალმა აღმოსავლეთისკენ იწყო დინება[474] და იქიდან დაიწყო მისი შვება, რადგან იპოვა იქ მოგზაურები, რომლებთან ერთად მიაღწია ქართლის სანახებს, იმ ქალაქს, რომელსაც ეწოდება ურბნისი[475], სადაც იხილა უცხო ხალხი, უცხო ღმერთების მსახური, რადგან ცეცხლს, ქვებსა და ხეებს ღმერთივით სცემდნენ თაყვანს. რისთვისაც შეწუხდა ამ წმინდანის სული და შევიდა ჰურიათა ბაგინში ებრაული ენის გამო[476] და დაყო იქ ერთი თვე და ეცნობოდა ამ ქვეყნის რაობას.

მაშინ, ერთ დღეს, დაიძრა სიმრავლით დიდძალი ხალხი იმ ქალაქიდან დიდ სამეფო ქალაქ მცხეთაში მიმავალი, რაღაც ნივთების შესაძენად და მათი ღმერთის, არმაზის წინაშე მსხვერპლის შესაწირად. და თან წაყვა მათ ის წმინდანიც. ხოლო როცა კი მიაღწიეს ქალაქ მცხეთას, მოგვთას გაღმა ხიდზე[477] და დადგნენ იქ. და ხედავდა წმინდა ნინო იმ ცეცხლისმსახური ხალხის მოგვობას და ცთომილებას და ტიროდა მათი წაწყმედის გამო და გლოვობდა თავის უცხოებას.

და ჰა, აი, მეორე დღეს იყო ოხვრისა და საყვირის ხმა. გამოვიდა ხალხი ურიცხვი, როგორც ველის ყვავილი და საშინელი ზრიალი გამოდიოდა და ჯერ მეფე არ გამოსულიყო. და როცა მოვიდა [მეფის გამოსვლის] დრო, იყო სირბილი და აქეთ-იქით მალვა ყველასი და შიშისაგან [ყველა] თავის სამალავში შერბოდა.

და ჰა, მყის გამოვიდა დედოფალი ნანა და ნელ-ნელა გამოდიოდა ხალხიც. და შეამკეს ყოველი ქუჩა სხვადასხვა ფერის სამოსლებითა და ფოთლებით. და დაიწყო მთელმა ხალხმა მეფის ქება. მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელი და თვალისმომჭრელი შესახედაობით. და ჰკითხა წმინდა ნინომ ვიღაც ჰურია ქალს, რომ: „რა არის ეს?“. ხოლო მან უთხრა: „მათი ღმერთების ღმერთი, არმაზი უხმობს, რომლის გარეშე არ არის სხვა კერპი“. მაშინ მყისვე წავიდა წმინდა ნინო არმაზის სანახავად. და აივსნენ ის მთები დროშებითა და ხალხით, როგორც ველები ყვავილებით. ხოლო წმინდა ნინომ შეუსწრო [ხალხს] არმაზ ციხეში და დადგა იგი კერპის მახლობლად ზღუდის ნაპრალზე. და ვხედავდი[478] წარმოუდგენელ და ენით გამოუთქმელ საკვირველებას, [თუ] როგორი შემზარავი იყო მეფეთა და მთელი ხალხის შიში და ძრწოლა იმ წამომდგარი კერპების წინაშე.

და ნახა წმინდა ნინომ, რომ იდგა ერთი სპილენძის კაცი და მის ტანზე ეცვა ოქროს ჯაჭვი და [ეხურა] ოქროს ჩაფხუტი, სამხრე თვლები ესხა ზურმუხტი და ბივრიტი და ხელში ჰქონდა ხმალი ბრწყინვალე, როგორც ელვა და ტრიალებდა [მის] ხელში[479]. თუკი ვინმე შეეხება, თავისი თავი სასიკვდილოდ გაუწირავს და ამბობდნენ: „ვაი მე, თუკი რამე დავაკელი ამ დიდი არმაზის დიდებას, ან რამეში შევცდი ებრაელებთან საუბრისას, გინდაც მოგვების მოსმენისას, [თუნდ] მხოლოდ შეხვედრილი ვიყო მზისმსახურებთან და იმათთან, რომლებიც ჰყვებიან [თავისი] უმეცრებით ვიღაც დიდ ღმერთზე და ზეცათა ღვ-

თის ძეზე და ნუთუ იპოვის ჩემში რაიმე ბიწს და დამცემს მე ის მისი მახვილი, რომლისაც ყველას ეშინია“. და შიშით თაყვანს სცემენ მას.

და იყო მის მარჯვნივ ოქროს კაცი და მისი სახელი [იყო] გაცი და მის მარცხნივ — ვერცხლის კაცი და მისი სახელი [იყო] გაიმი, რომლებიც ღმერთებად მიაჩნდათ ქართლის ხალხებს[480].

მაშინ ტიროდა და ოხრავდა ნეტარი ნინო ღვთის მიმართ ჩრდილოეთის ქვეყნის იმ ცთომილებებისთვის, მათგან ნათლის მიფარვას და ბნელის დაუფლებას [მათზე], რადგან შეხედა იმ ძლიერ მეფეებს და ყველა მთავარს, რომლებიც ცოცხლად ჩაენთქა ჯოჯოხეთს, დაეტოვებინათ დამბადებელი და ქვებსა და ხეებს, სპილენძსა და გამოჭედილ რვალს ღმერთად თაყვანს სცემდნენ და ესენი იცნობდნენ ყოვლის შემოქმედად.

მაშინ გაახსენდა ის სიტყვა, რომელიც ამცნო იობენალ პატრიარქმა, წმინდა მამამ, რომ: „სრულ[ყოფილ] მამაკაცს გგზავნი და მიხვალ უცხო ქვეყანაში და დარაგეველ ზეფელ ბარკადულ ხალხთან, რაც ბრანჯულად არის: „მებრძოლ და ღვთისმოწინააღმდეგე ხალხთანო“[481].

მაშინ აიხედა ზეცისკენ მან და თქვა: „უფალო, შენი ძალის სიმრავლით ფეხ ქვეშ გეგებიან შენ შენი მტრები[482] და შენი სულგრძელებით აკეთებენ, რასაც მოიგუნებებენ ეს მტვერნი და ნაცარნი ქვეყანაზე, მაგრამ ნუ უგულვებელყოფ [მათ], რადგან შენი ხატი არის კაცი, რომლისთვისაც ერთი წმინდა სამებისაგანი განკაცდი და აცხონე მთელი ქვეყანა და მოხედე წყალობით ამ ხალხსაც და შერისხე ამ უჩინარ სულებს, წუთისოფლისმპყრობელ ბნელეთის მთავრებს[483] და ჩაყარე [ისინი] მიუვალ ადგილას. და მიჩვენე მე, უფალო, ჩემი მამისა და დედის ღმერთო, ამ შენს მხევალს და შენი მონების ნაშობს, რომ იხილოს ქვეყნიერების ყველა კუთხემ შენი მხსნელობა და რომ ჩრდილოეთი სამხრეთთან ერთად ხარობდეს[484] და ყველა ხალხმა ერთადერთ ღმერთს გცეს თაყვანი ქრისტე იესოს, შენი ძის მიერ, რომელსაც შეშვენის მადლობა და დიდების მიცემა უკუნისამდე“.

და როცა დაასრულა ეს ლოცვა წმინდა ნინომ და მხოლოდ თვალის დახამხამება იყო, [რომ] დასავლეთიდან ჰაერი და ქარი ამოვარდა და ხმა გამოსცა ქუხილმა საზარელი ხმით და გამოჩნდნენ საშინელების მომასწავებელი სწრაფი ღრუბლები. და მოიტანა დასავლეთის ნია-

ვმა საძაგელი სუნი სიმწარისა და სიმყრალისა. მაშინ გარბოდა მთელი ხალხი ქალაქისკენ და სოფლისკენ და მიეცათ დრო, ვიდრე არ შეასწრო ხალხმა თავიანთ სახლებში. და მყის მოახლოვდა მწარედ სასტიკი ის რისხვის ღრუბელი, მოიტანა ლიტრის ოდენა[485] სეტყვა მხოლოდ იმ ადგილას და დაანაწევრა ის კერპები და შემუსრა, დაარღვია ზღუდეები[486] სასტიკმა ქარმა და ჩაყარა კლდეში. ხოლო წმინდა ნინო გადარჩა მშვიდობით იმ ადგილას, სადაც თავდაპირველად შესულიყო.

ხოლო მეორე დღეს გამოვიდა მირიან მეფე და მთელი ის ხალხი თავიანთი ღმერთების საძებნელად და ვერ პოულობდნენ, რის გამოც მათ შიში და ძრწოლა დაეცათ. და გლოვობდა ის გულსასტიკი ხალხი და ამბობდა, რომ: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯანი[487] და ეს ჩვენი ღმერთი არმაზი ყველანაირად მტრები არიან. ამან მასზე ზღვა მოაქცია და ახლა მან შური იძია და მის მიერ მოიწია ეს“[488]. ხოლო ვიღაცეები ამბობდნენ, რომ: „რომელი ღვთის ძალითაც თრდატი ღორად გარდაიქმნა და იმავე ღვთის ძალით [ისევ] კაცად იქცა, იმ ღმერთმა მოაწია ეს, რადგან სხვა ღმერთს არ ძალუძს ამგვარის მოხდენა“.

ასეთ რამეს ამბობდნენ, რადგან მას შემდეგ, რაც თრდატ მეფე ქრისტეს ძალით ღორად გარდაქმნილიყო და ქრისტეს ძალითვე კვლავ კაცად მოქცეულიყო[489], იმ დროიდან ქრისტეს ქება-დიდება ფარულად აღარ ითქმებოდა ქართლში, ვინაიდან ღვთის მადლს დაეწყო აღმოსავლეთის მიფენა.

ხოლო რისხვის იმავე დღეს, როდესაც დაცხრა ის სეტყვა და სასტიკი ქარი, მაშინ გამოვიდა წმინდა ნინო იმ კლდის ნაპრალიდან და იპოვა ის ბივრიტის თვალი[490], აიღო და წამოვიდა წინა მხარეს, იმ კლდის ქიმის დასასრულთან, სადაც ყოფილიყო ძველი ციხე[491] და იქ იდგა ბრინჯის ერთი ხე[492], მშვენიერი, მაღალი და რტომრავალი, სადაც ყოფილიყო ბარტამ მეფის[493] საგრილებელი[494] და დასასვენებელი. და მივიდა იმ ხის ქვეშ, გამოსახა ქრისტეს ჯვრის ნიშანი და ლოცულობდა იქ ექვსი დღე[495] და ჰმადლობდა ღმერთს და ევედრებოდა, რომ მოეხედა წყალობით იმ შეცთომილ ხალხზე და ეხსნა ეშმაკისაგან.

ხოლო როდესაც ეს მოხდა[496], იყო მეექვსე ჟამი[497] და იმ თვის მეექვსე დღე, როდესაც ევმანუელმა თაბორზე მამის ხატი უჩვენა იმ მოწაფეთა მოთავეებს და იმ წინასწარმეტყველთა მოთავეებს[498].

მაშინ მოვიდა ერთი სეფექალი[499], სახელად შროშანა და ნახა ის იმ ხის ქვეშ, გაუკვირდა და მოიყვანა ბერძნულად მოსაუბრე ქალი, და ჰკითხა მისი ასავალ-დასავალი. ხოლო წმინდა ნინომ აუწყა და უთხრა, მთელი თავისი ასავალ-დასავალი და თავისი ამბავი, მხოლოდ თავისი დედა-ძმების შესახებ არ აუწყა, რადგან ტყვედ უთხრა თავისი თავი[500]. მაშინ შეეცოდა შროშანას იგი მისი უცხოობისთვის, თვალი ცრემლით აევსო და აიძულებდა მას, რომ წაჰყოლოდა სამეფო კარზე. მაგრამ წმინდა ნინომ არ ინება მასთან წასვლა და წავიდა შროშანა. ამის შემდეგ მესამე დღეს ჩამოვიდა იგი ქალაქში, გადმოვიდა მტკვარზე და გაემართა მეფის ბაღისკენ, სადაც ახლა არის ღვთივაღმართული ის სვეტი და საკათალიკოსო ეკლესია[501] და მივიდა რა იმ ბაღის კართან, ნახა ბაღის მცველის პატარა სახლი.

შევიდა წმინდა ნინო, და იჯდა მასში ქალი, რომლის სახელიც [იყო] ანასტოსი. და როცა ნახა იმ ქალმა, ადგა, მოეხვია და ჩაიკრა როგორც ნაცნობმა, დაბანა ფეხები და სცხო ზეთი[502] და გაუშალა პური და ღვინო. და დაჰყო მასთან წმინდა ნინომ ცხრა თვე[503].

ხოლო ეს ანასტოსი და მისი ქმარი იყვნენ უშვილოები და ძალიან დარდობდნენ. მაშინ იხილა წმინდა ნინომ ჩვენებაში: მოვიდა ნათლისფერი კაცი[504] და უთხრა, რომ: „შედი მაგ ბაღში, ნაძვების ქვეშ მცირე ბაბილო[505] არის, საუფლოდ შემზადებული, მიწა აიღე იმ ადგილიდან, შეაჭამე მაგ ხალხს და ეყოლებათ შვილი“. გააკეთა ასე და შვეს მრავალი ძე და ასული, რისთვისაც ირწმუნეს მათ ქრისტე ნინოს მიერ და დაემოწაფნენ მას ფარულად.

მაშინ წმინდა ნინომ ქალაქის ზღუდის გარეთ იპოვა ეკლიანი მაყვლის ერთი ბუჩქი, სადაც ახლა არის საეპისკოპოსო ზემო ეკლესიის[506] საკურთხეველი და ის გაიხადა თავის სამყოფლად. და შექმნა ნასხლევის ჯვარი[507] და აღმართა იმ ბუჩქის ქვეშ და მუდმივად ლოცულობდა დღე და ღამე დაუცხრომლად. და ემსახურებოდა ის ცოლ-ქმარი[508] და უკვირდათ მისი ღვაწლი, მარხვა და ლოცვა და მღვიძარება. და მრავალგზის მოდიოდა იგი ჰურიათა უბანში ებრაული ენის გამო და უფლის კვართის მოსაძიებლად, რომელიც სმენოდა იერუსალიმში ნიაფორისგან, რომ: „უფლის კვართი მცხეთელ ჰურიებს წაუღიათო“. ამიტომ ეძებდა იმ ჰურიებთან, რომ გაეგო იმ კვართის რამე ამბავი. და იპოვა ერთი ჰურია მღვდელი,

სახელად აბიათარი და უქადაგა მას და მის ასულს, სიდონიას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახარება[509]. ხოლო მათ ირწმუნეს და დაემოწაფნენ, — ისინი და სხვა ექვსი ჰურია ქალი[510], — და დაიდეს წმინდა ნინოს სწავლების უღელი ნათლისღების გარეშე, რადგან არ მოიძიებოდა მღვდელი, რომელიც მონათლავდა [მათ], და ფარულად იყვნენ მისი მოწაფეები. და ახდენდა კურნებებს და საკვირველებებს იგი ქრისტეს ძალით, მრავალი განრღვეული განკურნა თითქოსდა წამლის გამოყენებით.

და ასე იმყოფებოდა მცხეთა ქალაქში მხოლოდ სამი წელი[511].

და იმ ხანებში იყო[512] მირიან მეფისა და მისი ძმისწულის, სპარსელების დიდი მეფის შესვლა საბერძნეთში, როდესაც კონსტანტინემ, ბერძნების მეფემ ქრისტეს ძალითა და ჯვრის წინამძღოლობით გააქცია მეფეები და მათი ურიცხვი სპა შემუსრა[513].

თქმული აბიათარ მღვდლისა, რომელიც დაემოწაფა წმინდა და ნეტარ ნინოს

მე, აბიათარი მღვდელი, ვიყავი იმ წელიწადის წილხვედრილი[514], როდესაც ეს წმინდა და ნეტარი ნინო მოვიდა მცხეთაში და იმავ დროს მოაღწია ჩემამდე ანტიოქიიდან[515] ჰურიათა მღვდლების წერილმა[516], რომელშიც ეწერა ეს, რომ: „სამად გახლიჩა ღმერთმა ისრაელის სამეფო[517]. აჰა, აი, ჩვენი წინასწარმეტყველები დადუმდნენ და ვისაც სული უხმობდა, ყველა აღესრულა[518] და გავიბნიეთ ჩვენ მთელ ქვეყანაზე და რომაელებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა[519]. ვტიროდით ჩვენ ხალხთან ერთად, რადგან გავარისხეთ შემოქმედი ღმერთი. ახლა იხილეთ მოსეს წიგნები და ის სიტყვა, რომელიც დაგვიწერა ჩვენ ეს ყველაფერი, რომ: „ვინც თავის თავს ქვეყანაზე ღვთის ძედ აცხადებდა, მოკვდესო“[520]. ნუთუ ასე შევცდით იმ ნაზარეველი იესოს[521] სიკვდილში? რადგან ვხედავთ, როდესაც უწინ ჩვენი მამები შესცოდავდნენ ღმერთს და სრულიად დაივიწყებდნენ მას, მისცემდა იგი მათ სასტიკი ხელმწიფის ხელში და ტყვეობაში, ხოლო როდესაც მოიქცეოდნენ და შეჰღაღადებდნენ, სწრაფად იხსნიდა მათ ჭირისაგან. და ეს შვიდგზის ვიცით წიგნებიდან[522]. ხოლო ახლა, ვინაიდან ხელი შემართეს იმ მწირი ქალის[523]

ძეზე და მოკლეს იგი, აიღო ღმერთმა თავისი ხელი ჩვენზე“. და გახლიჩა ჩვენი სამეფო და გაგვაშორა თავის ტაძარს და უგულვებელყო ჩვენი მოდგმა. და სამასი წელი[524] არის, რაც არ ისმინა ჩვენი ვედრება და არც დაგვალხინა. ფიქრი გვაქვს, რომ ზეციდან იყო ის კაცი“[525].

გახშირდა წერილები.

ხოლო მე, როცა გავიგე ეს, დავიწყე გამოკითხვა იმ ქალისგან, ნინოსგან, ქრისტეს შესახებ, თუ საიდან იყო იგი, ან რა მიზეზით განკაცდა ღვთის ძე.

მაშინ ნეტარმა ნინომ გახსნა თავისი ბაგე, როგორც ამომდინარე ჭამ და დაიწყო მოყოლა დასაბამიდან და ჩემს წიგნებს ზეპირად აღმოთქვამდა და განმიმარტავდა, და როგორც მძინარეს გამაღვიძებდა და როგორც უგუნურს განმანათლებდა[526] და ჩემს წინაპრებს შემაბრალებდა და რჯულის შეცვლას შემაგონებდა, ვიდრე არ ვირწმუნე მისი სიტყვებით იესო ქრისტე, ღვთის ძე, მისი ვნება და აღდგომა, მისი მეორედ მოსვლა საშინელი, და ჭეშმარიტად იგია წარმართთა მოლოდინი. მე და ჩემი შვილი[527] ვეღირსეთ იმ ცოდვათა განსაწმედელი საპკურებლის მიღებას, ემბაზის წყალს, რომელსაც ნატრობდა დავით წინასწარმეტყველი და ვერ ეწია[528] და მესმა მე ახალი რჯულის მგალობელი ერის[529] ხმა, რომელსაც ნატრობდა იგივე დავითი და ღირსი გავხდით, რომ ვზიარებოდით ღვთის ძის, ქრისტეს და ქვეყნიერების ცოდვებისთვის შეწირული კრავის ხორცსა და სისხლს[530], რომლის გემოს ხილვაც ტკბილია და [დე,] ამის მერე ინებოს უფალმა ხორციდან ჩემი გასვლა. და მერეც მრავალი სასწაული იხილეს ჩემმა თვალებმა მცხეთაში, წმინდა ნინოს მიერ აღსრულებული ჩემს დღეებში.

თქმული იმავე აბიათარ მღვდლისა, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს კვართის შესახებ

მე, აბიათარ მღვდელი, მოგითხრობ მამაჩემის მონათხრობს და [იმ ამბავს], რომელიც წიგნებიდან და მამაჩემისა და დედაჩემის ჩემს მიერ ყურის გდებით ვიცი და მათ [კი] სმენოდათ მათი

მამისაგან: როდესაც მეფობდა იერუსალიმს ჰეროდე[531], გვესმა, რომ „იერუსალიმი სპარსელებმა დაიპყრესო“, რისთვისაც შეიქნა გლოვა და წუხილი ქართველ ჰურიებში, მკვიდრ მცხეთელებში, ბოდელ[532] მღვდლებში[533], კოდისწყაროელ[534] მწიგნობრებში[535] და სობის-კანანელ[536] მთარგმნელებში[537]. ეს ყველა დაიძრა [იერუსალიმში] გასაქცევად. ხოლო მცირე ხნის შემდეგ მოაღწია სხვა ნუგეშისცემის მაცნემ, რომ: „სპარსელები არა იერუსალიმის დასაპყრობად მოვიდნენ, არამედ აბჯრისა და საჭურვლის ნაცვლად ჰქონდათ სამეფო ოქრო და წყლულების სწრაფმკურნალი მური და სურნელოვანი გუნდრუკი და ეძებდნენ ვიღაც [ახალ]შობილ ყრმას, დავითის ძეს, რომელიც იპოვეს, — ერთი ხიზანი, ხიზანი ქალისგან შობილი უდროოდ და უადგილო ადგილას, როგორც ჩვევიათ სოფლის გარეთ მყოფ ხალხს. და ესენი იმ ყრმასთან მოვიდნენ, თაყვანისცეს მას და შესწირეს მას ის ძღვენი მშვიდობით“[538]. და შეიქნა დიდი სიხარული ქართველ ჰურიებში.

ხოლო ამის შემდეგ, გავიდა რა ოცდაათი წელი[539], მოიწერა ანა მღვდელმა[540] იერუსალიმიდან ჩემს მამისმამასთან, ელიოზთან ასე, რომ: „იგივე [ყრმა], რომლისთვისაც სპარსელი მეფეები[541] ძღვენით მოვიდნენ, გაზრდილა იგი და ასაკის სისრულეს მიაღწია და თავის თავს ეძახის ღვთის ძეს. მოდით ყველანი მის სიკვდილზე, რომ აღვასრულოთ მოსეს მცნება“[542]. და წავიდა აქედან ელიოზი, ჩემი მამისმამა, უხუცესი[543] კაცი და ჰყავდა მას დედა ელი მღვდლის ტომიდან[544] და ჰყავდა მას ერთი და. და ევედრებოდა ელიოზს დედამისი ასე: „წადი, შვილო, მეფის მოწოდებაზე და რჯულის წესზე, ხოლო რასაც [ისინი] განიზრახავენ, ნუ შეუერთდება შენი გონება, ნუ, შვილო, რადგან ის არის წინასწარმეტყველების სიტყვა და ბრძენთა იგავი, ჰურიებისგან დაფარული საიდუმლო და წარმართების ნათელი და საუკუნო ცხოვრება“.

და წავიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი[545] და იქ შეხვდნენ უფლის ჯვარცმას. ხოლო როდესაც ალურსმავდნენ უფალს ჯვარზე და მსახურმა კვერი დაჰკრა უფლის ლურსმნებს იერუსალიმში, აქ ელიოზის დედამ გაიგონა და შეჰკივლა და თქვა: „მშვიდობით, ჰურიათა მეფობავ, რადგან მოკალით თქვენი თავების

მაცხოვარი და მხსნელი და შეიქენით ამიერიდან შემოქმედის მკვ-ლელები. ვაი ჩემს თავს, რომ უწინ არ მოვკვდი, რომ [ეს] აღარ სმენ-ოდა ჩემს ყურებს და არც ამის შემდეგ მეღირსა მე წარმართებზე ნათლის [გამობრწყინების] და ისრაელის მშვიდობის ხილვა[546]. და ამ [სიტყვაზე] გარდაიცვალა.

ხოლო უფლის ის კვართი წილად ხვდა იმ მცხეთელ ჰურიებს[547]. წამოიღო ელიოზმა და მოიტანა მცხეთაში და მიეგება მისი და ცრემ-ლით დასველებული. მოეხვია ყელზე თავის ძმას და გამოართვა იესოს ის სამოსელი, მიიხუტა თავის მკერდზე და სწრაფად განუტე-ვა სული ამ სამი ტკივილით: ქრისტეს სიკვდილისთვის და დედისათ-ვის და ძმისთვის, რომელიც ეზიარა უფლის სისხლს.

მაშინ იყო დიდი საკვირველება და შეშფოთება მცხეთაში, რად-გან გაუკვირდა თვით დიდ მეფე ადერკის[548] და ერისა და მთავართა მთელ სიმრავლეს. და მოესურვა ადერკი მეფეს ის სამოსელი, მაგრამ იმ საკვირველებისგან თავზარდაცემული და შეშინებული შეიქნა და არ ინება [სამოსლის] გამოღება იმ მკვდრის ხელებიდან, რომელ-საც მაგრად და სურვილით შემოემკერდა იგი. და ელიოზმა დამარხა თავისი და, მას კი ხელთ ჰქონდა უფლის ის სამოსელი. და არის ის ადგილი, რომელიც უფალმა უწყის. მრავალი წლის შემდგომ ადერკი მეფის ძისწულის შვილმა, არმაზაელ მეფემ[549], მოიძია ის სამოსელი ჰურიებთან და ვერ იპოვა, რადგან აუწყეს ეს ყველაფერი, რაც იყო.

და არავინ იცის ის ადგილი, გარდა იმისა, რომ: „არის იგი ლი-ბანით მოტანილი და მცხეთაში დარგული და გაზრდილი ნაძვის მახ-ლობლად“[550].

და ესეც მეცნობა მამაჩემისგან, რომ არის სხვაც, ძლიერებით შე-მოსილი, ელიას ის ორმაგი მოსასხამი[551] ამ ქალაქში და ჩვენს ხელთ, საკურთხევლის ქვების სიმტკიცის ქვეშ უპოვნელად, სანამ მისი დრო [არ დადგება]“[552].

რადგან მრავალგზის მაიძულა წმინდა ნინომ მამაჩემის მიმართ, რომ გამოვიკითხო მისგან სამოსლის ის ადგილი გულმხურვალედ, მან კი მხოლოდ ეს მითხრა, რომ: „აქ არისო მისი სამარხავი ადგილი, რომელზედაც ადამიანთა ენა არ დადუმდება ღვთის მიმართ სა-გალობლად და არის ის ადგილი როგორც იაკობის ადგილი, კიბედ

ნანახი და ზეცას აღწეული“[553]. ხოლო ელიოზის სახლი იყო ქალაქის დასავლეთით, მოგვეთის გაღმა, ხიდთან[554].

იმ დღეებში ორგზის და სამგზისაც იხილა ჩვენება წმინდა ნინომ თავის მუხლებზე მცირედი ჩათვლემისას, თითქოს მოდიოდნენ ცის ფრინველები, ფერით შავები და ჩავიდოდნენ იმ მდინარეში, განიბანებოდნენ და გათეთრდებოდნენ და ამოვიდოდნენ იმ ბაღში[555], რტოებს მოკენკავდნენ და იმ ყვავილს მოძოვდნენ და მონდომებით და სურვილით წმინდა ნინოსთან მივიდოდნენ, თითქოს მისი არის ის ბაღი, გარს შემოევლებოდნენ ჟღურტულით მშვენიერად. ეს უთხრა წმინდა ნინომ თავის მოწაფეს, სიდონიას, აბიათარის ასულს, ხოლო სიდონიამ უთხრა წმინდა ნინოს: „უცხოო და აქ შობილო, ტყვეო და ტყვეთა მხსნელო, ვიცი, რომ შენ მიერ დაგვიდგა ეს ახალი დრო და შენ მიერ ისმა ის ძველი ამბავი, ჩვენი მამების ნამოქმედარი, იმ ზეცის კაცის[556] იმ უბრალო სისხლის უსამართლოდ დაღვრა, რომლითაც იქნა ჰურიების სირცხვილი, ცისქვეშეთში გაბნევა, მეფობის დაცემა, იმ წმინდა ტაძრის წართმევა[557], უცხო ერის მოწოდება და მათი დიდების მათთვის მიცემა: იერუსალიმო, იერუსალიმო, როგორ გაგიშლია შენი ფრთები და შეჰკრებ მთელი ცისქვეშეთის ხალხებს შენს ფრთებ ქვეშ[558]. აჰა, აი, აქაც მოსულა ეს ქალი, რომელიც შეცვლის ამ ქვეყნის ყველა წესს“. და მიუბრუნდა წმინდა ნინოს და უთხრა: ეს შენი ჩვენება ის არის, რომ ეს ადგილი შენ მიერ სამოთხედ გადაიქცევა“.

ხოლო როცა მოვიდა მირიან მეფე საბერძნეთიდან, გამოქცეული კონსტანტინე მეფისაგან, ვიდრე მის მოსვლამდე გაეცხადებინა წმინდა ნინოს ქრისტეს რჯულის ქადაგება[559], რადგან ამბობდა იგი ხმამაღლა, რომ: „გიპოვეთ ჩრდილეთის მკვიდრნი ცთომილებაში“, და გამოაჩინა ნასხლევის ის ჯვარი და იმით ახდენდა დიდ საკვირველებებს. რადგან განრღვეულს კურნავდა წამლის გარეშე, ჯვრის შეხებით და მასთან ერთად ქადაგებდნენ მისი მოწაფეები, რომლებიც თავდაპირველად ფარულად დაემოწაფნენ, შვიდი დედა, ჰურიების მოდგმა: სიდონია, აბიათარის ასული და ექვსი სხვა და ბაღის მცველი ის ცოლ-ქმარი[560] და აბიათარ მღვდელი, ის ახალი პავლე[561], რომელიც უშიშრად და დაუცხრომლად ქადაგებდა ქრისტეს რჯულს

და, რომელიც დიდად მცოდნე იყო ძველი რჯულისა და ეს ახალი რჯული ესწავლა წმინდა ნინოსგან და ნინოზე მეტად უმხელდა ყველა კაცს ჭეშმარიტ რჯულს[562].

მაშინ ამბოხდნენ ჰურიები აბიათარზე, რომ ქვით ჩაექოლათ იგი[563]. ხოლო მირიან მეფემ მიაგზავნა მსახურები და გაარიდა აბიათარი სიკვდილს, რადგან მირიან მეფეს ქრისტეს რჯულის სურვილი ჰქონდა, რადგან სმენოდა ქრისტესმიერი სასწაულები საბერძნეთიდან და სომხეთიდან, და არ აბრკოლებდა ის ნინოს და მისი მოწაფეების ქადაგებას[564]. მაგრამ ებრძოდა ეშმაკი, ის უჩინარი მტერი და ვერ გადაეწყვიტა ქრისტეს აღსარება. ხოლო ნანა დედოფალი უფრო მეტად გულფიცხი იყო და შეურაცხყოფდა იმ ქადაგებას. ხოლო წმინდა ნინო ლოცულობდა დაუცხრომლად იმ თავის სამყოფელში, იმ მაყვლების ქვეშ და გაკვირვებული იყვნენ ის წარმართები მისი ლოცვისა და მღვიძარების გამო. და უცხოდ ეჩვენებოდათ ეს ამბავი; დაიწყეს მისი გამოკითხვა, ხოლო ის აცნობდა ძველ და ახალ წიგნებს და განასწავლიდა იმ უგუნურებს და უგულისყუროებს და ნერგავდა მათ გულებში ქრისტეს სიყვარულს.

და იყო ასე სამი წელი, როდიდანაც განაცხადა ქრისტეს ქადაგება და დაიმოწაფა მრავალი.

მაშინ იყო ვინმე ყმაწვილი, ბატონის ვაჟიშვილი, მძიმედ სნეული, და დაატარებდა დედამისი კარდაკარ, რომ ეპოვა ვინმე მკურნალობის მცოდნე და გაეკეთებინა მისთვის სასარგებლო. და გამოიკვლია ის ყველამ და ვერ იპოვეს განსაკურნებლად სასარგებლო რამ იმ ყმაწვილისთვის. და მრავალგზის უთხრეს მკურნალებმა იმ ქალს, რომ: „არაფერი ერგება მაგ ყმაწვილს“. ხოლო ის ქალი იყო წარმართი, გულფიცხი და მუდმივად აძაგებდა ქრისტეს რჯულს და არ უშვებდა სხვებსაც წმინდა ნინოსთან მისასვლელად და საკითხავად. ხოლო როცა სასო წარეკვეთა მკურნალებისგან, მოვიდა და დავარდა წმინდა ნინოს წინაშე და ევედრებოდა ყმაწვილის გაკურნებას. მაშინ უთხრა წმინდა ნინომ: „არანაირ მკურნალობას, რომელიც ადამიანთაგან არის, მე არ ვიზამ, ხოლო ჩემი ღმერთი ქრისტე მისცემს მაგ ყმაწვილს განკურნებას, რომელიც ყველასგან განწირულია“. და რა საგებზეც მუდამ ლოცულობდა წმინდა ნინო, იმაზე უბრძანა მან მას დადება იმ ყმაწვილისა,

და დაიწყო ღვთის მიმართ ვედრება. და იმ საათშივე განიკურნა ის ყმაწვილი და გამოჯანმრთელებული მისცა დედამისს. ხოლო ყმაწვილის დედამ აღიარა ქრისტე და თქვა: „არ არის სხვა ღმერთი, ქრისტეს გარდა, რომელსაც ქადაგებს ნინო“. და დაემოწაფა წმინდა ნინოს და გაჰყვა მის კვალს და ადიდებდა ღმერთს[565].

მაშინ დედოფალი ნანა ჩავარდა დიდ და მწარე სნეულებაში, რისი განკურნებაც ვერავინ შეძლო, რადგან ყველა ხელოვანმა მკურნალმა წამოცალა თავისი წამლები და ვერ შეძლო მისი განკურნება. დაღონდნენ და სასო წარეკვეთათ. მაგრამ აცნობეს ვიღაცეებმა დედოფალს, რომ: „იმ რომაელი ტყვე ქალის მიერ, რომელსაც ჰქვია ნინო, - მისი ლოცვით, - მრავალი სნეული იკურნება“. მაშინ უბრძანა თავის მსახურებს, რომ მოეყვანათ ნინო. მივიდნენ დედოფლის მსახურები და ნახეს წმინდა ნინო მაყვლის ბუჩქის ქვეშ, ლოცულობდა რა მეექვსე ჟამზე, და უთხრეს დედოფლის ბრძანება. ხოლო წმინდა ნინომ უთხრა: „არ არის ჩემთვის ნაბრძანები, რომ გავიდე [იქ], სადაც ჩვენი ბანაკი არ არის, არამედ დედოფალი მოვიდეს ამ ჩემ სამყოფელში და ნამდვილად განიკურნება ქრისტეს ძალით“. ხოლო იმ მსახურებმა გადასცეს დედოფალს ნინოს ის ნათქვამი.

მაშინ დედოფალი გულმოდგინედ ეუბნებოდა მათ: „გამიმზადეთ მე საკაცე და მიმიყვანეთ მასთან“. მაშინ წაიყვანეს საკაცით იმ მსახურებმა და მასთან ერთად - მისი ძე რევი და ერის სიმრავლე.

რომ მივიდნენ წმინდა ნინოს იმ სამყოფელში და დადეს დედოფალი მის საგებზე, დაიწყო წმინდა ნინომ ლოცვა და ვედრება ღვთის მიმართ დიდხანს და მოიტანა ის ჯვარი, რომელიც ჰქონდა, შეახო თავზე, ფეხებზე და მხრებზე ჯვრის სახედ და მყისვე განიკურნა და ადგა გამოჯანმრთელებული და ირწმუნა ქრისტე და თქვა: არ არის სხვა ღმერთი, გარდა ქრისტესი, რომელსაც ქადაგებს ეს ტყვე ქალი“[566].

და იმ დროიდან გაიხადა იგი თავის შინაურ მეგობრად და მუდმივად ეკითხებოდა და გამოკითხავდა ქრისტეს რჯულს და ასწავლიდა წმინდა ნინო და აბიათარი, ახალი პავლე და მისი ასული, სიდონია. და გახდა დედოფალი მორწმუნე და სცნო ჭეშმარიტი ღმერთი. და ეკითხებოდა დედოფალს მეფე, [თუ] როგორ განიკურნა მყისიერად. და უყვებოდა დედოფალი ყოველივე ამას, რაც მოხდა მასზე, [თუ] როგორ გან-

იკურნა წამლის გარეშე ლოცვითა და ჯვრის შეხებით. და ერის სიმრავლე, რომელსაც ენახა, ამოწმებდა დედოფლის სიტყვას.

მაშინ გაუკვირდა მირიან მეფეს და დაიწყო ქრისტეს რჯულის გამოძიება და მრავალგზის ეკითხებოდა [ხოლმე] იმ ჰურიაყოფილ აბიათარს ძველ და ახალ წიგნებს და ის აუწყებდა [ხოლმე] ყველაფერს. და ნებროთის წიგნიც[567], რომელიც ჰქონდა მირიან მეფეს, იმ წიგნშიც იპოვა ასე დაწერილი:

„იმ გოდლის აშენებისას ხმა გაისმა ზეციდან ნებროთის მიმართ, რომელიც ეუბნებოდა: მე ვარ მიქაელი, რომელიც დაყენებული ვარ ღვთის მიერ აღმოსავლეთის მთავრად; გადი მაგ ქალაქიდან, რადგან ღმერთი იფარავს მაგ ქალაქს. ხოლო უკანასკნელ ჟამს მოვა ცის ბატონი, რომლის ხილვაც გინდა შენ უბრალო ხალხს შორის. მისი შიში განაქარვებს წუთისოფლის გემოს; მეფეები დატოვებენ მეფობას და დაიწყებენ სიგლახაკის ძიებას; იგი განახავს გაჭირვებაში და გიხსნის შენ“.

მაშინ მიხვდა მირიან მეფე, რომ ძველი წიგნები და ახალი [წიგნები][568] ეთანხმებოდნენ [ერთმანეთს] და ნებროთის წიგნიც ამტკიცებდა [ამას] და გაუჩნდა ქრისტეს რჯულის [მიღების] სურვილი. და ებრძოდა ის უჩინარი მტერი, აკავებდა ქრისტეს აღიარებისგან, გულში უნერგავდა კერპებისა და ცეცხლის იმედს. მაგრამ მუდმივად ევედრებოდა დედოფალი ქრისტეს აღიარებას. და იყო მეფე დედოფლის მოქცევიდან ერთი წელიწადი ორგულებაში[569]. ხოლო წმინდა ნინო ასწავლიდა ხალხს დაუცხრომლად და არავის აუწყებდა, თუ „ვინ ვარ, ან საიდან მოვდივარ“, არამედ ტყვეს ეძახდა თავის თავს.

ამის შემდეგ ის მოგვი, სპარსელი მთავარი, სახელად ხუარა, სნეული იყო, უკეთური სულით სასტიკად იგვემებოდა და სიკვდილს იყო მიახლოვებული. და იყო ის მთავარი მირიან მეფის ტომის. მაშინ შეევედრნენ წმინდა ნინოს ნანა დედოფალი და მეფე, ხოლო მეფე განიხილავდა ამ საქმეს ცოტა ორგულებით. ეუბნებოდა წმინდა ნინოს: „რომელი ღვთის ძალით ახდენ ამ კურნებას? ან ხარ შენ არმაზის ასული, ან ზადენის შვილი, უცხოებიდან მოხვედი და შეეფარე და მართებთ შენი მოწყალება და მოგანიჭეს კურნების ძალა, რომ ამით იცხოვრო უცხო ქვეყანაში. დიდებულები არიან [არმაზი და ზადენი] უკუნისამდე! ხოლო შენ ჩვენ წინაშე იყავ, როგორც ჩვენი შვილების ერთი ძიძათაგანი და პატივცე-

მული ამ ქალაქში. არამედ ამ უცხო სიტყვას ნუ ამბობ, რომაელების ამ მცდარი რჯულის[570] [შესახებ] სულაც ნუ ინებებ ლაპარაკს, რადგან აჰა, აგერ დიდი ღმერთები, ქვეყნის მპყრობელნი, მზის მომფენელნი, წვიმის მომცემელნი და მიწიდან ნაყოფთა გამომზრდელნი, ქართლის [ღმერთები] არმაზი და ზადენი — ყველა საიდუმლოს გამომეძიებელნი, ჩვენი მამების ძველი ღმერთები, გაცი და გაიმი, — ისინი იყოლიე ხალხის დასარწმუნებლად. ახლა, თუკი განკურნავ ამ მთავარს, გაგამდიდრებ და გაქცევ მცხეთის მკვიდრად, არმაზის მსახურად. და თუმცაღა იმ ჰაერითა და სეტყვით მოხდა მისი შემუსვრა, მაგრამ ის ადგილი შეურყეველია. ეს არმაზი და ქალდეველების ღმერთი ითრუჯანი ყველანაირად მტრები არიან: ამან მასზე ზღვა მოაქცია და მან ამაზე ასეთი გასჭირი მოაწია[571], როგორც აქვთ ჩვეულება ქვეყნიერების მპყრობელებს. და ეს იკმარე ჩემგან ბრძანებად“. მიუგო ნეტარმა ნინომ:

„შენ, მეფევ, იცოცხლე უკუნისამდე ქრისტეს სახელით, მისი დედისა და მასთან ყოველი წმიდანის ვედრებით! მოავლინოს შენზე ღმერთმა, ცისა და ქვეყნის შემოქმედმა, ყოველი დაბადებულის დამბადებელმა, მისი დიდი და დიდებული და აურაცხელი მრავალმოწყალებისაგან, როგორც ღუმელიდან, მისი მადლის ერთი ნაპერწკალი, რომ შეიცნო და გონებით მიხვდე ცის სიმაღლეს და მზის სინათლეს, ზღვის საძირკვლის სიღრმეს და ქვეყნის სივრცეს და მის საფუძველს, და რომ უწყოდე შენ, მეფევ, თუ ვინ შემოსა ცანი ღრუბლით და ჰქუხან ჰაერის ხმით, და იძვრის მიწა მისი სიმძაფრით და რბიან მეხისტეხანი, მის კვალზე გიზგიზებს ცეცხლი მისი გულისწყრომისგან, ან როდესაც შეიძვრება ის დიდი ვეშაპი ზღვაში, შეიძვრება მთელი დედამიწა, ვიდრე [არ] დაირღვევა მყარი მთები, კლდეები და ქვები. და გამცნე შენ ეს ყველაფერი ზედმიწევნით, რადგან ღმერთი არის ცებში და ის თვითონ უხილავია ყველა დაბადებულისგან, გარდა თავისი ძისა, რომელიც მისგან გამოვიდა და ქვეყანაზე გამოჩნდა როგორც კაცი, რომელმაც ყველაფერი აღასრულა, რისთვისაც მოსულიყო, და ავიდა იმავე სიმაღლეებში მამასთან და იხილა ერთადერთი დაუსაბამო, რომელიც მაღალია და დაბლა მყოფთ ზედამხედველობს, და მაღლებს შორიდან ცნობს. მეფეო, ახლოს არის შენი მიახლება და მიხედვა ღვთისკენ, რადგან არის ამ ქალაქში ერთი სასწაული: ღვთის

ძის სამოსელი აქ არის და ელიას ხალენის ყოფნაც ზოგმა აქ თქვა და მრავალი სასწაულია, რომლებსაც ღმერთი გამოაჩენს. და ახლა მე ამ შენს მთავარს განვკურნავ ჩემი ღმერთის, ქრისტეს ძალით და მისი ვნების ჯვრით, როგორც დედოფალი განვკურნე დიდი სენისგან და რაც კი ვაუწყე მას, იმას აკეთებს იგი, რომ თავისი სულიც გააბრწყინოს და თავისი ერიც აახლოს ღმერთს".

და მოჰგვარეს ის მთავარი და მოვიდა ნანა დედოფალიც, იმ ბაღში, იმ ნაძვების ქვეშ და დააყენა იგი აღმოსავლეთით და ააპყრობინა ხელები და ათქმევინა სამგზის: „ვიჯმნი შენგან, ეშმაკო და შევუდგები ქრისტესა, ძესა ღმრთისასა"[572]. და ტიროდა ნინო თავისი სულის ოხვრით და ითხოვდა ღვთისაგან შეწევნას იმ კაცზე, და იყვნენ მისი მოწაფეებიც იქვე ერთი დღე და ორი ღამე. და სწრაფად გავიდა მისგან ის ბოროტი სული და დაემოწაფა წმინდა ნინოს სახლეულით თავისი ხალხით და ადიდებდა ღმერთს

[თავი მეშვიდე]

თქმული ქალ სიდონიასი, რომელიც იყო ნინოს მოწაფე, რაც იხილა და დაწერა:

სასწაულით მოქცევა მირიან
მეფისა და ნინოსადმი შევრდომა,
ქრისტეს აღიარებისათვის, ჯვრის
აღმართებისათვის, ეკლესიების
აშენებისათვის და მასში
[მომხდარი] იმ სასწაულებისთვის
მამაო, გვაკურთხე!

და იყო ზაფხულის ერთ დღეს, ივლისის თვის ოცში, შაბათ დღეს[573], გავიდა მეფე სანადიროდ მუხნარის მხარეს და შეუჩნდა ის უჩინარი მტერი, ეშმაკი და ჩაუგდო გულში კერპებისა და ცეცხლის სიყვარუ-

ლი და ფიქრობდა მთელ მათ მსახურებაზე და ყველა ქრისტიანის მახვილით ამოწყვეტაზე. და უთხრა მეფემ თავის ოთხ თანამზრახველს: „ღირსები ვართ ჩვენ ჩვენი ღმერთებისგან ბოროტი რომ დაგვატყდეს, რადგან დაუდევრები ვიყავით მათ მსახურებაში და დავუშვით ჩვენ გრძნეული ქრისტიანების [მიერ] მათი რჯულის ქადაგება ჩვენს ქვეყანაში, რადგან გრძნეულებით ახდენენ თავიანთ საკვირველებებს. ახლა ეს არის ჩემი განზრახვა, რომ სასტიკად მოვსპოთ ჯვარცმულის ყველა მოსავი და უფრო მეტად შევუდგეთ ქართლის მპყრობელი ღმერთების მსახურებას, ვამხელ ნანას, ჩემ ცოლს, რომ შეინანოს და მიატოვოს ჯვარცმულის რჯული, და თუ არ დამემორჩილება, დავივიწყებ მის სიყვარულს და სხვებთან ერთად მასაც დავღუპავ. და დაუმოწმეს მისი განზრახვა [მეფეს] თანამზრახველებმა, რადგან გულმხურვალედ იყვნენ ამ საქმისადმი და თავიდანვე [ეს] უნდოდათ და ვერ კადრულობდნენ გაცხადებას.

ხოლო მეფემ მოიარა მუხნარის მთელი სანახები და ავიდა თხოთის მთაზე[574] მაღლარ ტყეში, რომ გადაეხედა კასპისა და უფლისციხისთვის და გავიდა მთის თხემზე. სწორედ შუადღისას დაბნელდა მზე მათზე და შეიქნა სიბნელე, როგორც უკუნი ღამე და დაფარა სიბნელემ არე-მარე და ადგილები და დაეფანტნენ ერთმანეთს გაჭირვებისგან და ურვისაგან[575]. და დარჩა მეფე მარტო და დადიოდა მთებში და მაღლარ ტყეში შეშინებული და შეძრწუნებული. და დადგა ერთ ადგილას და წარეკვეთა ამ ცხოვრების სასო. და როცა მოეგო თავის ცნობაზე, ფიქრობდა თავის გულში ასე: „აჰა, აი, მოვუწოდებ ჩემს ღმერთებს და ვერ ვპოვე შვება. ახლა, რომელსაც ქადაგებს ნინო, ჯვარსა და ჯვარცმულს და ახდენს კურნებებს მისი იმედით, არ ძალუძს [მას] ჩემი ხსნა ამ გაჭირვებისგან? რადგან ვარ მე ცოცხლად ჯოჯოხეთში და არ ვიცი, მთელი ქვეყნიერებისთვის მოხდა დაქცევა და ნათელი სიბნელედ გადაიქცა თუ მხოლოდ ჩემთვის არის ეს გასაჭირი, ნინოს ღმერთო, გამინათე ეს სიბნელე და მაჩვენე ჩემი სამყოფელი და ვაღიარებ შენს სახელს და აღვმართავ ჯვრის ძელს და თაყვანს ვცემ მას და ავაშენებ სახლს ჩემს სალოცავად და ვიქნები ნინოს ფრომაული რჯულის მორჩილი.

ეს ყველაფერი რომ წარმოთქვა, გათენდა და გამობრწყინდა მზე. და გადმოვიდა მეფე ცხენიდან, დადგა იმავე ადგილას, აღაპყრო

ხელები აღმოსავლეთით ცისკენ და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყველა ღმერთზე ზევით და უფალი ყველა უფალზე ზევით, ღმერთი, რომელსაც ქადაგებს ნინო და საქებელი არის შენი სახელი ყველა დაბადებულისგან ცისქვეშეთში და ქვეყნიერებაზე, რადგან შენ მიხსენი მე გაჭირვებისაგან და გამინათე ჩემი სიბნელე. აჰა აი, მივხვდი, რომ გინდოდა ჩემი ხსნა და შვება და ჩემი შენდამი მიახლება, კურთხეულო უფალო. ამ ადგილას აღვმართავ ჯვრის ძელს, რომლითაც იდიდება შენი სახელი და მოიხსენიება ეს ამბავი და სასწაული უკუნისამდე“.

და დაიხსომა ის ადგილი [მეფემ] და გამოემართა. იხილეს ნათელი და შემოუერთდა გაბნეული ხალხიც.

ხოლო მეფე ღაღადებდა: „მიეცით ნინოს ღმერთს დიდება მთელმა ერმა, რადგან ის არის საუკუნეთა ღმერთი და მხოლოდ მას შეშვენის დიდება უკუნისამდე“.

ხოლო ნანა დედოფალი და მთელი ხალხი გავიდა მეფის მისაგებებლად, რადგან ჯერ გაეგოთ [მისი] დაღუპვა და მერე მშვიდობით მოსვლა და მიეგებებოდნენ ქინძარში და ღართაში[576].

ხოლო ნეტარი ნინო იდგა მწუხრის ლოცვაზე იმ მაყვლოვანში, მისი ჩვეულებისამებრ, თავის დროს და ჩვენც მასთან, ორმოცდაათი სული.

და იყო: როცა შემოვიდა მეფე, შეძრული იყო ქალაქი და ხმამაღლა ღაღადებდა მეფე: „სად არის ის უცხო ქალი, რომელიც დედა არის ჩემი და მისი ღმერთი — ჩემი მხსნელი“. და როცა უთხრეს, რომ: „აქ, მაყვლოვანში არის და ლოცულობსო, მობრუნდა მეფე და მთელი მისი ლაშქარი, მოვიდა და ჩამოხდა სახედრიდან და ეუბნებოდა ნინოს: „ახლა ღირსი ვარ შენი ღმერთისა და ჩემი მხსნელის სახელის მოწოდების“. ხოლო წმინდა ნინო ასწავლიდა და მოუწოდებდა სწრაფად ეცა თაყვანი აღმოსავლეთით და ეღიარებინა ქრისტე, ღვთის ძე.

მაშინ იყო მთელი ხალხის გრგვინვა და ტირილი, როდესაც ხედავდნენ მეფესა და დედოფალს ცრემლიანებს.

და მეორე დღეს[577] გაგზავნა ელჩები საბერძნეთში მირიან მეფემ კონსტანტინე მეფის წინაშე და ნინოს წერილი ელენე დედოფლის წინაშე და აუწყეს ყველა ეს ქრისტესმიერი სასწაული, რომელიც მოხდა მცხეთაში მირიან მეფეზე და წადიერად მოითხოვეს მღვდლები ნათლისღებისთვის.

ხოლო წმინდა ნინო და მისი მოწაფეები ქადაგებდნენ ხალხში დღე და ღამე დაუცხრომლად და უჩვენებდნენ სასუფევლის ჭეშმარიტ გზას.

თქმული მისივე ეკლესიების აშენებისთვის

როდესაც დაადგა მეფე და მთელი ერი ქრისტიანობას გულმოდგინებით, ვიდრე მღვდლების მოსვლამდე, უთხრა მეფემ წმინდა ნინოს: „მეჩქარება მე ღვთის სახლის აშენება, სად ავუშენოთ?“. უთხრა წმინდა ნინომ: „სადაც მეფეთა აზრია მტკიცე“. უთხრა მას მეფემ: მიყვარს მე ეს შენი მაყვლოვანი და იქ მნებავს ჩემი გონებით, მაგრამ არ [ვიზამ] ასე, არამედ არ გავერიდები იმ სამეფო ბაღს და ნაძვების სიმაღლეს და ამათი რტოების ნაყოფიერებას და ყვავილების სურნელებას, რადგან ჩვენება, რომელიც შენ იხილე, — იმ უშნოფრთიანი ფრინველების წყლით განბანვა და ბრწყინვალედ გათეთრება და მათი დასხდომა ბაღის იმ ხეებზე და ტკბილი ხმით მათი გალობა, — [იმას ნიშნავს, რომ] ეს ხორციელი და წარმავალი სამოთხე შეგვეცვლება საუკუნო სამოთხედ და იქ ავაშენოთ ღვთის სახლი ჩვენს სალოცავად, ვიდრე მღვდლების მოსვლამდე საბერძნეთიდან“.

და მაშინვე მოიტანა ხე და აჩქარებდა ხუროებს და მოკვეთა ის ნაძვი[578] და იმ ნაძვისაგან დაამზადა ეკლესიის შვიდი სვეტი. და როცა ააშენეს კედელი ხით და აღმართეს ის ექვსი სვეტი ცალ-ცალკე, ხოლო ის უდიდესი სვეტი, რომელიც სანახავად საკვირველი იყო, ეკლესიის შუაში შესადგმელად გამზადებული, ვერ შეძლეს მისი აღმართვა[579]. და აუწყეს მეფეს ის საკვირველება - იმ სვეტის ადგილიდან სრულიად ვერდაძვრა.

მაშინ მოვიდა მეფე ხალხის სიმრავლით. და მოიტანეს მრავალგვარი მანქანა და სიმარჯვითა და ხალხის სიმრავლის ძალითაც ეცადნენ აღმართვას და ვერ შეძლეს. და გაკვირვებული მეფე და ხალხის სიმრავლე და ამბობდნენ: „რა არის ეს?“. და როცა დადგა მწუხრი, წავიდა მეფე თავის სახლში დიდად შეწუხებული.

ხოლო წმინდა ნინო და მისი თორმეტი მოწაფე ქალი დარჩნენ იმ სვეტთან. ხოლო ის სანატრელი გოდებდა იმ სვეტზე და დაადინებდა თავის ცრემლებს. როცა სწორედ შუაღამე იყო, ჩამოიქცა ეს ორივე მთა, არმაზი და ზადენი, თითქოსდა ჩამოირღვნენ და გააჩერეს ორივე წყალი და მტკვარმა გადმოხეთქა და მიჰქონდა ქალაქი და შეიქნა მოთქმისა და გოდების საზარელი ხმა. აგრეთვე არაგვიც გადმოვიდა ციხეზე და იყო საზარელი გრგვინვა. შეშინდნენ დედები და გარბოდნენ, ხოლო ნეტარი ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინიათ, ჩემო დებო, მთები იქვე არიან და წყლებიც იქვე დიან და მთელ ერს სძინავს. ხოლო ეს, რომ თითქოსდა მთები დაირღვნენ, სამართლიანად გეჩვენებათ, რადგან ურწმუნოების მთები დაირღვნენ ქართლში, ხოლო წყლები, რომლებიც დადგნენ, [მოასწავებს, რომ] კერპების მიმართ ყმაწვილთა შეწირვის სისხლი შეჩერდება, ხოლო ეს მოთქმის ხმა არის ეშმაკთა სიმრავლისა, რადგან ისინი იგლოვენ თავიანთ თავებს, რომლებიც გარბიან ამ ადგილიდან ღვთის ძალითა და ქრისტეს ჯვრით. მობრუნდით და ილოცეთ ღვთის მიმართ“. და მყისიერად დაცხრა ის ხმა და არაფერი იყო[580].

და დადგა წმინდა ნინო, აღაპყრო ხელები და ლოცულობდა ღვთის მიმართ და ამბობდა: „რომ არ დაბრკოლდეს ეს საქმე, რომელსაც ადგას მეფე“.

და ვიდრე არ ეყივლა ქათამს, ქალაქის სამივე კარს ზარი დასცა ძლიერმა ლაშქარმა, დალეწეს კარები და აივსო ქალაქი სპარსელების ლაშქრით და შეიქნა თავზარდამცემი ზრიალი და კივილი და კვლა და სისხლი დიოდა და აივსო მთელი ადგილი [სისხლით] და მოვიდა მათთან ყიჟინისა და მახვილის სიმრავლე და იმ სხვების შიშისაგან დნებოდა [მათი] ხორცი და გაილია მათი სული და ტიროდნენ [დედები] თავიანთი ნათესავებისთვის.

და მალე გაისმა, იძახდნენ რა ხმამაღლა :

„სპარსელების მეფე ხუარა ბრძანებს და მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა: ყველა ჰურია გაარიდეთ მახვილის პირს“. ეს რომ მომესმა, მოვეგე ცნობაზე; და შევეჭვდით მე და ჩემთან ერთად ის ათი [ქალიც] და მოახლოებულიყვნენ მახვილოსნები, ჩვენს გარშემო სცემდნენ და კლავდნენ. და გაისმა ძლიერი ხმა — „მირიან მეფე შეიპყრესო“. ირგვლივ მიმოიხედა იმ მხნედმოღვაწემ და თქვა: „ეს, რაც ხდება, ვიცი, რომ

ახლა დიდად სჭირს და ვმადლობ ღმერთს, რომ ეს მათი წარწყმედისა და ქართლის ცხონებისა და ამ ადგილის დიდების ნიშანი არის“.

და გვანუგეშებდა, როგორც ხელოვანი მოძღვარი, ჭეშმარიტად მოძღვარი და ქრისტეს მოციქული. და მიუბრუნდა [ჩვენკენ] მომავალ იმ ხალხს და უთხრა: „სად არიან სპარსელთა მეფეები ხუარა და ხუარან-ხუარა, საბასტანიდან გუშინ წამოხვედით, მალე მოხვედით და დიდი რამ ლაშქარი ხართ? ძლიერად დალეწეთ ეს ქალაქი და მახვილი დაჰკარით. [ვუბრძანებ] ქარებს და ნიავებს: წადით ბნელიდან ჩრდილოეთისკენ, კედარის მთებისკენ. აჰა, მოვიდა, რომელსაც თქვენ გაურბიხართ“. და შეატოკა ხელი ჯვრისსახედ და მყისიერად გაუჩინარდა ყველა მათგანი[581]. და შეიქნა დიდი სიმყუდროვე და დედები შენატროდნენ მას და ადიდებდნენ ღმერთს.

ხოლო როცა ცისკარი იხსნებოდა, მიერულა ყველა იმ დედას, ხოლო მე, სიდონია, მღვიძარე ვიყავი. და იგი[582] იდგა ხელაპყრობილი. აჰა აი, წარმოუდგა ერთი ჭაბუკი იმ ნეტარს, მთლიანად ნათლით შემკობილი, ცეცხლის ზეწრით შეგრაგნილი და უთხრა რაღაც სამი სიტყვა[583]. ხოლო იგი დაეცა პირქვე, ხოლო იმ ჭაბუკმა მიჰყო ხელი იმ სვეტს და აამაღლა და წაიღო სიმაღლეზე. და მე გაკვირვებული მივუახლოვდი და ვუთხარი ასე: „დედოფალო, რა არის ეს?“. ხოლო მან მითხრა: „მოიდრიკე თავი მიწაზე“ და ტირილი დაიწყო შიშისგან. და ცოტა ხნის შემდეგ ადგა და ამაყენა მეც და გავშორდით იმ ადგილს. ხოლო დედები, რომლებიც [ჩვენს] გარდა კიდევ [იქ] იყვნენ, მათაც იხილეს: ის სვეტი ცეცხლის მსგავსად ჩამოდიოდა და მიუახლოვდა იმ კვარცხლბეკს და დადგა მიწიდან აცილებული, ასე თორმეტი წყრთა და ნელა ჩამოინაცვლებდა თავის კვარცხლბეკზე, იმავე ნაძვის ძირის გადანაჭერზე.

როცა ის იყო გარიჟრაჟდა, ადგა მეფე გულდამძიმებული დარდისაგან, გახედა იმ ბაღს, დაწყებულ ეკლესიას, სადაც მტკიცე იყო მისი გონება, იხილა ნათელი, როგორც იმ ბაღიდან ცაში აღწეული. იწყო სირბილი და სწრაფად მოდიოდა და მისი სახლის მთელი სიმრავლე და ქალაქის მთელი მოსახლეობა მოვიდა მასთან ერთად.

და იხილეს ის საკვირველება: ნათლით ბრწყინვალე სვეტი ჩამოდიოდა თავის ადგილზე, თითქოს როგორც ზეციდან და დადგა იმ კვარცხლბეკზე და დაემყარა კაცთაგან ხელშეუხებლად. და ნეტარე-

ბა იყო იმ დროს, რადგან ეს რომ ხდებოდა, შიშითა და სიხარულით აივსო ქალაქი მცხეთა და ცრემლის მდინარეები სდიოდა მეფეებსა და მთავრებს და მთელ ხალხს მათი სულის სიღრმიდან და ადიდებდნენ ღმერთსა და შენატროდნენ ნეტარ ნინოს. და ხდებოდა იმ დღეებში დიდი და მრავალი სასწაული.

პირველად მოვიდა ჰურია, შობიდან ბრმა, მიუახლოვდა იმ სვეტსა და იქვე აეხილა თვალი და ადიდებდა ღმერთს.

მეორე მოვიდა სეფეწული ყმაწვილი, ამაზასპანი[584]; იწვა რვა წლის [სნეული]. მოიყვანა დედამისმა სარწმუნოებით და დააწვინა საკაცით იმ ნათლის სვეტის წინაშე და ნამდვილადვე ნათლის [სვეტის წინაშე] და ევედრებოდა ნეტარ ნინოს და ეუბნებოდა: „მოხედე, დედოფალო, ამ ჩემს ძეს, სიკვდილად მიწევნულს. რადგან ვიცი, ღმერთების ღმერთი არის ის, რომელსაც შენ ემსახურები და ჩვენ გვიქადაგებ“. მაშინ წმინდა ნინომ შეახო ხელი იმ სვეტს, [შემდეგ] დაადო იმ ყრმას და უთხრა: „გწამს იესო ქრისტე, ღვთის ძე, მთელი ქვეყნიერების საცხონებლად ხორცით მოსული? განიკურნე ამიერიდან და ადიდე იგი, ვისმა ძალამაც განგკურნა“. და სწრაფად წამოდგა ის ყმაწვილი, როგორც უტკივარი. და დაეცა დიდი შიში მეფესა და მთელ ხალხს. და ნაირ-ნაირი სნეულნი მოდიოდნენ და იკურნებოდნენ, ვიდრე მეფემ არ შექმნა საბურველი იმ სვეტის ხის გარშემო და დაფარა თვალთახედვისგან. და ასევე შეეხებოდა [ხოლმე] ხალხი იმ ფარდულს და განიკურნებოდნენ.

სწრაფად დაიწყო მეფემ და დაასრულა ეკლესია იმ ბაღში.

და როცა მიაღწიეს მირიან მეფის ელჩებმა კონსტანტინე მეფის წინაშე და მოუთხრეს ყველაფერი, რაც მოხდა, მაშინ აივსო სიხარულით მეფე და მისი დედა, ელენე დედოფალი: პირველად ამისთვის, რომ ღვთის მადლი მიეფინებოდა ყველა ადგილს და მათ ხელქვეშ მიიღებდა ნათელს მთელი ქართლი. შემდეგ, იმისთვის გამხიარულდნენ, რომ დასტური მიიღეს მირიან მეფისაგან სპარსელების სრულად ამოსაწყვეტად და მათის სიყვარულის მტკიცედ მიღებისა. და ადიდებდნენ და მადლობდნენ ღმერთს. და გამოაგზავნა ჭეშმარიტი მღვდელი იოვანე ეპისკოპოსად და მასთან ორი მღვდელი და სამი დიაკონი. და მოსწერა მირიანს კონსტანტინე მეფემ დალოცვის წერილი და ღვთისადმი სამადლობელი კურთხევა და გამოატანა ჯვარი[585] და მაცხოვრის ხატი და

მასთან ერთად დიდი ძღვენი. და ელენე დედოფალმა მოსწერა ქებისა და ნუგეშისცემის წერილი.

მოაღწია იოვანე ეპისკოპოსმა და მასთან ერთად მღვდლებმა და დიაკონებმა და დესპანებმა მცხეთას და აივსნენ სიხარულით მეფე და დედოფალი და მთელი მათი ერი, რადგან ყველას სურდა ნათლისღება. მაშინ სწრაფად გაგზავნა ბრძანება მირიან მეფემ ყველა ერისთავთან, სპასალარებთან და სამეფოს ყველა პირთან მის წინაშე მოსაწოდებლად და სწრაფად მოვიდა ყველა ქალაქში.

მაშინ მოინათლა მეფე წმინდა ნინოს ხელქვეშ[586] და შემდეგ დედოფალი და მათი შვილები იმ მღვდლებისა და დიაკონთა ხელქვეშ. და ამის შემდეგ აკურთხეს მდინარე მტკვარი და ეპისკოპოსმა გაამზადა ერთი ადგილი ხიდის ახლოს, მოგვეთის კართან, სადაც იყო ელიოზის სახლი, და იქ სცემდა ნათელს წარჩინებულებს, სათითაოდ, და იმ ადგილს ეწოდა მთავართა სანათლო. ხოლო მის ქვემოთ, მდინარის პირასვე, ორგან, ის ორი მღვდელი და დიაკონი ნათლავდა ხალხს. და მიაწყდებოდა ის ხალხი ერთმანეთს გულსწრაფად, და ევედრებოდნენ მღვდლებს, რომ პირველად სწორედ მისთვის ეცათ ნათელი.

და ასე მოსურნე იყო ის ხალხი ნათლისღებისა, რადგან მოესმინათ წმინდა ნინოს ქადაგება, რომელშიც ამბობდა: „ყველამ, რომელიც არ მიიღებს ნათელს, ვერ იპოვოს საუკუნო ნათელი“[587], და ამიტომ ესწრაფვოდა ნათლისღებას ყველა მათგანი.

და ამგვარად მოინათლა მთელი ხალხი და ქართლის უმრავლესობა, მხოლოდ არ მოინათლნენ კავკასიელი მთიულები, არც მოვიდნენ ამ ნათლის მოფენისას, არამედ დარჩნენ სიბნელეში რამდენიმე ხანს. და მცხეთელმა ჰურიებმაც არ მიიღეს ნათელი, მაგრამ ბარაბიანებმა[588] მიიღეს ნათელი, ორმოცდაათმა სახლმა, და გახდნენ ჭეშმარიტი ქრისტიანები. ამიტომაც განდიდდნენ ისინი მეფის წინაშე; და უბოძა [მეფემ] მათ დაბა, რომელსაც ჰქვია ციხედიდი[589]. მაგრამ არ მოინათლა ფეროზი, მირიან მეფის სიძე, რომელსაც ჰქონდა რანი ბარდავამდე მიცემული მირიან მეფისაგან, არც მისმა ხალხმა მიიღო ნათელი, არამედ მხოლოდ ხორციელად ემსახურებოდა მირიან მეფეს.

მაშინ გაგზავნა მირიან მეფემ იოვანე ეპისკოპოსი და მასთან ერთი წარჩინებული კონსტანტინე მეფის წინაშე და მოითხოვა ცხოვრების

ხის ნაწილი[590], რომელიც სწორედ იმ დროს აღმოეჩინა ღვთისმოყვარე ელენე დედოფალს და მოითხოვა ბევრი მღვდელი, რომ მიევლინებინა ყველა ქალაქში და [ყველა] ადგილას და მოენათლათ ხალხი, რომ სწრაფად მიეღო ნათელი ქართლის ყველა სულიერს. და მოითხოვა ქვითხუროების მოძღვრები ეკლესიების ასაშენებლად.

რომ მიაღწიეს კონსტანტინე კეისრის წინაშე, სიხარულით უძღვნა სიცოცხლის ხის ნაწილი და ის ფიცრები, რომლებზედაც უფლის ფეხები იყო დალურსმული და ხელის ლურსმნები და გამოაგზავნა მღვდლები და დიაკონები ძალიან ბევრი, რადგან კონსტანტინე მეფემ თავის მეფობაში ააშენა წმინდა ეკლესია, ღვთის ხუთასი ტაძარი და მისცა დიდძალი განძი იოვანე ეპისკოპოსს და უბრძანა: „სადაც საჭიროდ მიიჩნიო ქართლის მხარეებში, ააშენე ეკლესიები ჩემი სახელით და ეს საჩუქრები დააბინავე ქართლის ქალაქებში“.

და წამოვიდა ეპისკოპოსი და მასთან ერთად ელჩი.

და როცა მოაღწიეს ადგილს, რომელსაც ჰქვია ერუშეთი[591] და დატოვა იქ ხუროები ეკლესიის საქმისთვის, დაუტოვა განძი და უფლის ლურსმნები და წამოვიდა. და დატოვა წუნდაში[592] ხუროები და განძი და როცა დაიწყო ეკლესია, წამოვიდა და მოვიდა მანგლისში[593] და დაიწყო ეკლესია და დატოვა უფლის ის ფიცრები.

მაშინ შეწუხდა მირიან მეფე ამის გამო, რადგან პირველად სამეფო ქალაქში [კი] არ მოვიდნენ, არამედ სხვა ქალაქებში და ადგილებში დაიწყეს ეკლესიების შენება და [იქ] დატოვეს [წმინდა] ნაწილები. ხოლო მოვიდა წმინდა ნინო მეფის წინაშე და უთხრა: „ნუ სწუხხარ, მეფეო, რადგან ასე არის საჭირო: სადაც მივლენ, დათესავენ [ხოლმე] ღვთის სახელს. ხოლო ამ ქალაქში არის ის დიდებული უფლის სამოსელი“.

მაშინ მოიყვანა მეფემ აბიათარ მღვდელი და მასთან მრავალი ჰურია და გამოიკითხა მათგან იმ კვართის ამბავი. ხოლო მათ მოუთხრეს ყველაფერი, რომელიც ზემოთ აღწერილი არის. მაშინ აღაპყრო ხელები მირიან მეფემ და თქვა: „კურთხეული ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ცოცხალი ღვთის ძევ, რადგან თავდაპირველადვე გინდოდა ჩვენი ხსნა ეშმაკისაგან და იმ ბნელი ადგილისგან. ამისათვის ის შენი წმინდა სამოსელი გამოატანე წმინდა ქალაქ იერუსალიმიდან იმ ებრაელებს, შენი ღვთაებრიობისგან გაუცხოებულებს და მოგვეცი ჩვენ, უცხო მოდგმას“.

და დაადგა მეფე და მთელი ქართლი ქრისტიანობას მტკიცედ. დაიწყეს ხუროებმა ეკლესიის შენება გარეუბანში, იმ მაყვლოვანზე, წმინდა ნინოს სამყოფელში, სადაც ახლა არის საეპისკოპოსო ეკლესია[594]. მაშინ თქვა წმინდა ნინომ: „კურთხეულია ღმერთი და მამა ჩვენი უფლის, იესო ქრისტესი, რომელმაც მოავლინა მისი წმინდა სიტყვა მაღალი ცებიდან, თავისით ძლიერი ტახტიდან გადმოსული ამქვეყნად მდაბლად, შობილი უეჭველად დავითის თესლისაგან, მხოლოდშობილი, წმინდა და უბიწო ქალისაგან, რომელიც ამოერჩია მას და ამ მიზეზით შეიქნა ჩვენი ცხოვრების მიზეზი, რომელმაც ცის ქვეშ ყველაფერი გაანათა და მორწმუნეები აცხოვნა, რომელიც იშვა როგორც კაცი, ყველას სინათლე, მამა ღვთის ხატი და როგორც ვიღაც რჯულის მსახურმა ნათელიღო წყლისგან და მიწისგან[595], ჯვარს ეცვა, დაეფლო და აღდგა მესამე დღეს და ავიდა მაღლა მამასთან და კვლავ მოვა დიდებით, რომელსაც შეშვენის ყოველივე დიდება მამასთან და წმინდა სულთან [ერთად]“.

პატიოსანი ჯვრის აღმართებისათვის

როცა ნათელიღეს მეფემ და დედოფალმა და მათმა შვილებმა და მთელმა ხალხმა, მაშინ იდგა ერთი ხე ერთ ადგილას, კლდეზე, შეუვალ ბორცვზე და იყო ის ხე დიდად მშვენიერი და სურნელოვანი. და ეს საკვირველება იყო იმ ხისგან, რომ ისარნაცემი ნადირი, რომელიც მოვიდოდა და შეჭამდა მის ფოთოლს, გინდაც ჩამოცვენილ თესლს, გადარჩება სიკვდილს, თუნდაც სასიკვდილო ადგილას დიდად დაწყლულებული ყოფილიყო.

ეს ძალიან საკვირველად მიაჩნდათ იმ უწინდელ წარმართებს და აუწყეს იოვანე ეპისკოპოსს იმ ხის ამბავი, ხოლო ეპისკოპოსმა თქვა: „აჰა აი, ჭეშმარიტად თავდაპირველადვე შენახული არის ეს ქვეყანა ღმერთისგან თავის მსახურად, რადგან ღმერთისაგან აღმოცენდა ის ხე შენახული ამ დროისთვის, რადგან ახლა მოეფინა ღვთის მადლი ქართლს და იმ ხისგან არის საჭირო პატიოსანი ჯვრის შექმნა, რომელსაც თაყვანს სცემს ქართლის მთელი უმრავლესობა“. და წავიდა რევი, მეფის ძე და ეპისკოპოსი და ხალხის სიმრავლე და მოკვეთეს ის ხე და

წამოიღეს თავის რტოებიანად. და მოჰქონდა ათ ათეულ კაცს ზეზეულად რტოიანად და ფოთლებიანად შემოჰქონდათ ქალაქში.

და შეიკრიბა ხალხი იმ სიმწვანისა და ფოთლიანობის დროს, ზაფხულის პირზე, როდესაც ყველა სხვა ხე ხმელი იყო, ხოლო ეს [იყო] ფოთოლდაუცვენელი, სურნელოვანი და სანახავად მშვენიერი.

და აღმართეს ის ხე [თავის] ძირზე, ეკლესიის კართან, სამხრეთით და უბერავდა ნელი ნიავი და შლიდა იმ ხის ფოთლებს და არხევდა მის რტოებს. და იყო მისი ხილვა მშვენიერი, როგორც სმენით ვიცით იმ ალვის ხის ამბავი[596].

ეს [ხე] მოკვეთეს ოცდახუთ მარტს, პარასკევ დღეს[597]. და იდგა ის ხე ასე ოცდაჩვიდმეტ დღეს[598] და არ შეიცვალა ფერი მისმა ფოთოლმა, თითქოსდა იდგა თავის ძირზევე, წყაროსთავზე, სანამ მაღლარი ტყის ყველა ხე [არ] შეიმოსა ფოთლით და ნაყოფის გამომღებელი ხეები [არ] შეიმოსნენ ყვავილით. მაშინ მაისის თვის პირველში გაკეთდნენ ეს ჯვრები[599] და ამ თვის შვიდში აღიმართნენ მეფეების ხელისდადებით[600], ქალაქის მთელი ხალხის სიხარულითა და მოწადინებით და იყვნენ ეკლესიაში.

იხილა ქალაქის მთელმა ხალხმა ყოველ დღეს: აჰა, ჩამოდიოდა ცეცხლის ჯვარი ზეციდან და მის გარშემო — ვარსკვლავთა გვირგვინის მსგავსად, და დგებოდა ეკლესიაზე ვიდრე განთიადამდე და გარიჟრაჟზე გამოდიოდა მისგან ორი ვარსკვლავი: ერთი წავიდოდა აღმოსავლეთით და ერთი დასავლეთით და თვით ის [ჯვარი] ასე ბრწყინვალე, ნელნელა გადიოდა არაგვის იმიერ მხარეს და დადგებოდა [ხოლმე] კლდის ბორცვზე ზემო მხარეს, იმ წყაროს ახლოს, რომელიც აღმოაცენა წმინდა ნინოს ცრემლებმა და იქიდან ამაღლდებოდა ზეცაში. და ასე მრავალგზის იხილა მთელმა ხალხმა ჩვენი ღვთის მაცხოვარება.

მაშინ დაიწყეს ნეტარი ნინოს გამოკითხვა, თუ: „რა არის [ეს], რომ გამოდის ბრწყინვალე ვარსკვლავი და ერთი მიდის აღმოსავლეთით და ერთი დასავლეთით?“.

ხოლო მან თქვა:

„გაგზავნეთ კაცები მაღალ მთებზე აღმოსავლეთით, ვიდრე კახეთის მთამდე და დასავლეთით, ვიდრე ამ ქალაქის სანახებამდე და როდესაც გამობრწყინდებიან ის ცისკრის ვარსკვლავები, ნახავენ, თუ სად გაჩერდებიან და იქვე აღიმართოს ქრისტეს ეს ორი ჯვარიო“.

მაშინ გააკეთა მეფემ ასე და მოიცვა მთების თავები მიყოლებით. ხოლო ეს დღე იყო პარასკევი და შაბათი თენდებოდა[601]. იყო იგივე სასწაული და მოხდა ასევე, როგორც ყოველთვის ხდებოდა.

მეორე დღეს მოვიდნენ დასავლეთის [კაცები], რომლებიც იდგნენ ქვაბთათავის[602] მთებზე და მოუთხრეს მეფეს: „როცა გამოვიდა ის ვარსკვლავი, ამაღლდა და მიაღწია თხოთის მთებს, კასპის გადასასვლელს, დაადგა ერთ ადგილას და ნელა გაუჩინარდა“. და ასევე მოვიდნენ კახეთის მთიდან და თქვეს: „ვიხილეთ აქედან მომავალი ვარსკვლავი და დაადგა კუხეთის დაბა ბოდს“.

მაშინ უბრძანა ნეტარმა ნინომ: „წაიღეთ ორი ჯვარი და აღმართეთ ერთი თხოთზე, სადაც გაგიმხილათ ღმერთმა თავისი ძალა და ერთი მიეცი სალომეს, ქრისტეს მხევალს და აღმართოს უჯარმა ქალაქში. რადგან ბოდი, კუხეთის დაბა, წინ არ აღუდგეს მეფეთა ქალაქს, რადგან ხალხის სიმრავლე არის მასში“, ხოლო დაბა ბოდისი თვით მოვიხილო, ის ღვთისსათნო ადგილი[603].

და გააკეთეს ასე, როგორც უბრძნა წმინდა ნინომ. ხოლო ეს, ზეცის სასწაულით გამოჩენილი მცხეთის პატიოსანი ჯვარი აიღეს კაცობრივი ხელით და მივიდნენ იმ ბორცვის ქვეშ. იმ წყაროზე ათიეს ღამე და ილოცეს ღვთის მიმართ და ნეტარი ნინო ცრემლით შეაზავებდა მას და ხდებოდა კურნებები და დიდი სასწაულები.

ხოლო მეორე დღეს ავიდნენ იმ კლდეზე. და მივიდა ის ნეტარი იმ ბორცვზე, დაეცა იმ ქვებზე, ტიროდა თვითონ ის და მასთან მეფეები და მთავრები და მთელი ერის სიმრავლე, [ისე, რომ] მთები ხმას გამოსცემდნენ. და დაადო ხელი ერთ ქვასა და უთხრა ეპიკოპოსს: „მოდი, რადგან შენ გევალება და დაწერე ჯვარი ამ ქვას“ და მან გააკეთა ასე და იქ აღიმართა ის ჯვარი დიდებით[604], მეფეების მიერ. და მოიდრიკა ის ურიცხვი ხალხი და თაყვანი სცეს ჯვარს და აღიარეს ჯვარცმული ჭეშმარიტად ღვთის ცოცხალ ძედ. და იწამეს სამებით დიდებული ღმერთი. ხოლო ის დიდი მთავრები არ შორდებოდნენ წმინდა ეკლესიას და სინათლის სვეტს და იმ ცოცხალ ჯვარს, რადგან ხედავდნენ იმ უზომო სასწაულებსა და იმ ენით აუწერელ კურნებებს.

და აღვსების ზატიკის კვირა დღეს[605] გააკეთა [ეს] მირიან მეფემ და მთელმა მცხეთამ ის შესაწირი დღე დააწესა ჯვრის სამსახურებლად — აღვსების ზატიკი — მთელმა ქართლმა დღევანდელ დღემდე.

და იყო რამდენიმე დღის შემდეგ, მარტვილიის წინ, იხილეს დიდად საშინელი სასწაული, ოთხშაბათ დღეს[606]: აჰა აი, სინათლის სვეტი ჯვრის სახედ იდგა იმ ჯვრის თავზე და თორმეტი ვარსკვლავი გვირგვინის მსგავსად [იდგა] მის გარშემო, ხოლო ის ბორცვი სურნელის მსგავსად იკმეოდა. და ხედავდა ამ სასწაულს ყველა და მრავალი უღმერთოთაგანი მოიქცა და მოინათლა იმ დღეებში, ხოლო ქრისტიანები უფრო [მეტად] მორწმუნეები ხდებოდნენ და ადიდებდნენ ღმერთს.

მერე კვლავ იხილეს ჯვრის სხვა სასწაული: ცეცხლივით [რაღაც] იდგა მის თავზე, შვიდწილად მზეზე უბრწყინვალესი, ზედ დაადგა მას და როგორც ქურას ასდის ნაპერწკლები, ასევე ღვთის ანგელოზები ადიოდნენ და გადმოდიოდნენ მასზე, ხოლო ჯვრის ის ბორცვი იძროდა ძლიერად და როცა ის სასწაული დაცხრებოდა, ასევე ის ძვრაც დაცხრებოდა.

როცა იხილეს ის სასწაული, გაუკვირდა ყველას და უფრო და მეტად ადიდებდნენ ღმერთს. და როცა ხდებოდა წლითი-წლად ის სასწაული, და მთელი ხალხი ხედავდა [მას] შიშით და ძრწოლით, მოდიოდნენ გულმოდგინედ თაყვანის საცემად.

იმ დროს რევს, მეფის ძეს, ჰყავდა მცირეწლოვანი ყმაწვილი. და იყო სნეული და სიკვდილამდე იყო მისული, რადგან მხოლოდ ის ჰყავდა მათ, მოიყვანა და დადო იგი ჯვრის წინაშე და ცრემლით ამბობდა: „თუკი მიბოძებ ამ ყმაწვილს ცოცხალს, ავაშენებ გუმბადს შენს სამყოფელად“. და იქვე განიკურნა ის ყრმა და განკურნებული და გაცოცხლებული წაიყვანა. მერე მოვიდა აღთქმულის შესასრულებლად და დიდი სიხარულით გადაიხადა მადლობა. და გულმოდგინედ ააშენა მცხეთის ჯვრის საბურველი რევმა[607], მეფის ძემ და ყოველწლიურად მოდიოდა და აღასრულებდა იმ აღთქმულ მსხვერპლს. და იმ დღიდან უფრო მოდიოდა ყველა უძლური და სნეული, იკურნებოდნენ და სიხარულით ადიდებდნენ ქრისტეს წმინდა ჯვარს.

იყო ვიღაც ჭაბუკი მამაკაცი და ორივე თვალი დაბრმავებოდა. იჯდა იგი ქრისტეს ჯვრის წინაშე და შვიდი დღის შემდეგ აეხილა თვალები და ადიდებდა პატიოსან ჯვარს.

მერე ვიღაც ქალი იყო, უკეთური სულისგან მუდმივად გვემული იმდენად, რომ მისი ძალა და გონება წაერთმია რვა წელი და თავის სამოსელს იხევდა. და როგორც კი მოიყვანეს და პატიოსან ჯვარს ამთხ-

ვიეს, თორმეტი დღის შემდეგ განიკურნა და თავის ფეხით წავიდა და ადიდებდა ღმერთს და თაყვანს სცემდა პატიოსან ჯვარს.

და ასევე იყო ვიღაც მცირეწლოვანი ყმაწვილი, უცბად დაეცა და მოკვდა. აიღო ის დედამისმა და დააგდო ჯვრის წინაშე ის მკვდარი ყმაწვილი, დილიდან მწუხრამდე. ხოლო დედამისი ტირილით ლოცულობდა ჯვრის წინაშე და სხვები ეუბნებოდნენ: „წაიღე, ქალო და დამარხე, რადგან მკვდარია და ნუღარ აწუხებ“. ხოლო მან არ წარიკვეთა სასო, არამედ უფრო საწყალობლად ტიროდა და ლოცულობდა. მხოლოდ მწუხრის ჟამს მოსულიერდა [ყმაწვილი] და თვალები აახილა და შვიდი დღის შემდეგ განკურნებული და გაცოცხლებული წაიყვანა ის ყმაწვილი დედამისმა და ადიდებდა ღმერთს.

იხილეს რა სასწაული და ყოვლადწმინდა ჯვრის მაკურნებლობა, მრავალი უშვილო მოდიოდა და ითხოვდნენ შვილიერებას და შვილმრავალი ხდებოდნენ და შესაწირავებსა და მადლობას სწირავდნენ. არათუ, რომელიც მიდიოდნენ, მხოლოდ მათ მიანიჭებდა იგი კურნებას, არამედ, რომლებიც შორიდან ითხოვდნენ მცხეთის წმინდა ჯვრისაგან შეწევნას, იქვე მისი შეწევნით მიიღებდნენ მადლს, სძლევდნენ მტრებს და სასწრაფოდ მოდიოდნენ მადლობის შესაწირად. მრავალნი უღმრთონი, გაჭირვებაში ჩაცვივდებოდნენ რა, როდესაც შეჰღაღადებდნენ წმინდა ჯვარს, მაშინვე თავს აღწევდნენ გაჭირვებას და სიხარულით მოდიოდნენ პატიოსანი ჯვრის სამთხვევად, საჩქაროდ ინათლებოდნენ და ადიდებდნენ პატიოსან ჯვარს. მრავალნი მრავალ გაჭირვებაში ჩაცვენილან და პატიოსანი ჯვრის ძალით განკურნებულან სხვადასხვა სატანჯველისგან.

დღემდე მორბიან მასთან, ევედრებიან, მყისვე იკურნებიან და ადიდებდნენ მამას და ძეს და წმინდა სულს.

წერილი, რომელიც მოსწერა რომის პატრიარქმა და ბრანჯების მეფემ ნინოს და მეფე მირიანს და ქართლის მთელ ხალხს

იმ დღეებში მოვიდა წმინდა პატრიარქის წერილი რომიდან ნინოს და მეფისა და ქართლის მთელი ერის მიმართ. და მოავლინა ბრანჯი

დიაკონი ქების შესასხმელად და კურთხევის მისაცემად და ნეტარი ნინოსაგან დალოცვის წასაღებად და მადლის საზიარებლად. [დიაკონს] ჰქონდა ბრანჯების მეფის წერილი ნინოსთანაც, რადგან მამამისისაგან მიეღო ნათელი ბრანჯეთში[608]. და ეს ყველაფერი სმენოდა იერუსალიმიდან და კონსტანტინეპოლიდან, რომ ქართლის ქვეყანას მიეფინა სიმართლის მზე. ამისთვის მოეწერა სანატრელი წერილი, რომ ეუწყა იმ სვეტისა და მაყვლოვანის ის აქაური სასწაულები და ძალა და კურნება.

ეს ყველაფერი იხილა და მოისმინა ის სასწაულები ბრანჯმა დიაკონმა, რომლებიც მომხდარიყო მცხეთაში და გაკვირვებული ადიდებდა ღმერთს, წაიღო წერილები და წავიდა.

* * *

მაშინ უთხრა მეფემ წმინდა ნინოს და ეპისკოპოსს: „მნებავს ასე, რომ იძულებით მახვილით მოვაქციო მთიულები და ჩემი სიძე, ფეროზი და დავამონოთ ღვთის ძეს და ვათაყვანოთ პატიოსან ჯვარს“.

მაშინ უთხრეს [მეფეს]: არ არის ნაბრძანები უფლისგან ამხვილის აღება, არამედ სახარებითა და პატიოსანი ჯვრით ვუჩვენოთ ჭეშმარიტი გზა, საუკუნო ცხოვრებაში მიმყვანი და ღვთის მადლმა გაანათლოს მათი გულის ის სიბნელე“.

და წავიდა წმინდა ნინო და იოვანე ეპისკოპოსი და მათ თან გააყოლა მეფემ ერთი ერისთავი.

მივიდნენ და დადგნენ წობენში[609] და მოუწოდეს მთიულებს, პირუტყვის მსგავს ხალხს, ჭართალელებს[610], ფხოელებს[611], წილკნელებსა[612] და გუდამაყრელებს[613] და უქადაგეს მათ ქრისტიანების ჭეშმარიტი რჯული, საუკუნო ცხოვრებაში მიმყვანი, ხოლო მათ არ ინებეს ნათლისღება.

მაშინ მეფის ერისთავმა ცოტათი მიმართა მახვილი მათზე და ძალით შემუსრა მათი კერპები.

გადმოვიდნენ იქიდან და დადგნენ ჟალეთში და უქადაგეს ერწოთიანეთელებს, ხოლო მათ შეიწყნარეს [ქადაგება] და მოინათლნენ, ხოლო ფხოელებმა დატოვეს თავიანთი ქვეყანა და გადავიდნენ თუშეთში[614]. და სხვა მთიულების უმრავლესობაც არ მოიქცა, არამედ

დაუმძიმა მათ მეფემ ხარკი, როცა არ ინებეს ნათლისღება. ამისთვის გაიკრიბნენ ისინი და შეცდნენ. და ზოგი მოაქცია აბიბოს ნეკრესელმა ეპისკოპოსმა და ზოგი მათგანი დარჩა წარმართობაშივე დღემდე.

ხოლო წმინდა ნინო გაემართა რანში წასასვლელად, ფეროზის მოსაქცევად და როცა მიუახლოვდა კუხეთს, ბოდისის დაბას, დაჰყო იქ რამდენიმე დღე. და მოდიოდნენ მასთან კახეთიდან[615] და აღიარებდა მის სწავლებას მრავალი ხალხი.

მაშინ დასნეულდა იქ. და როცა გაიგო რევმა, მეფის ძემ და სალომემ, მისმა ცოლმა, რომლებიც ცხოვრობდნენ უჯარმაში, მოვიდნენ ნინოსთან და აცნობეს მეფესა და დედოფალს, ხოლო მათ მიავლინეს ეპისკოპოსი იოვანე წმინდა ნინოს წამოსაყვანად, ხოლო წმინდა ნინო არ ემორჩილებოდა. მაშინ წავიდა თვით მეფე და მრავალი ხალხი და შეიკრიბა ამ ამბავზე მრავალი ძლიერი ხალხი, რადგან ხედავდა მთელი ის ხალხი ნინოს სახეს, როგორც ზეცის ანგელოზის სახეს და მოახევდნენ მისი სამოსლის კიდეს, აიღებდნენ და რწმენით ემთხვეოდნენ და იძულებით ევედრებოდა ყველა დედოფალი, გარშემო მსხდომი, რომლებსაც გადმოსდიოდათ თვალებიდან ცრემლები მათი მოძღვრისა და მოღვაწისა და სნეულების ხელოვანი მკურნალის განშორების გამო.

და უებნებოდნენ სალომე უჯარმელი და პეროჟავრის სივნიელი და მათთან [ერთად] ერისთავები და მთავრები ეკითხებოდნენ, თუ: „საიდან ან როგორ მოხვედი ამ ქვეყანაში ჩვენს მხსნელად, ან სადღა მოხდა შენი აღზრდა, დედოფალო? გვაუწყე ჩვენ შენი ამბავი, რად ამბობ [შენს] ტყვეობას, სანატრელო ტყვეთა მხსნელო, რადგან ეს გვისწავლია შენ მიერ, რომ ყოფილან წინასწარმეტყველები ღვთის ძის უწინ და შემდეგ თორმეტი მოციქული და სხვა სამოცდათორმეტი და ჩვენთან არავინ მოავლინა ღმერთმა, შენ გარდა[616] და როგორ ამბობ, რომ ტყვე ვარო მე, ანუ როგორც უცხო“.

მაშინ დაიწყო სიტყვა წმინდა ნინომ და თქვა: „სარწმუნოების ასულნო, ღვთის მახლობელნო, ჩემო დედოფლებო, გხედავთ თქვენ, როგორც იმ პირველ დედებს, სრულ სარწმუნოებასა და ქრისტეს სიყვარულში[617] და გნებავთ ჩემი, გლახაკი მხევლის, გზის ცოდნა. და გაუწყებთ კიდეც, რადგან აჰა მოსული არის ჩემი სული ჩემს ხორხთან, დავიძინებ ჩემი დედის ძილით[618] საუკუნოდ. არამედ მოიტანეთ კალმები

და აღწერეთ ჩემი გლახაკი და უქმი ცხოვრება, რომ იცოდნენ თქვენმა შვილებმაც თქვენი სარწმუნოება და ჩემი [თქვენგან] შეწყნარება და ღვთის სასწაულები, რომლებიც გინახავთ.

მაშინ სწრაფად მოიტანეს საწერ-კალმები სალომე უჯარმელმა და პეროჟავრი სივნიელმა. დაიწყო სიტყვა წმინდა ნინომ და ისინი წერდნენ. და მოუთხრო ყველაფერი, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, იმ წმინდანისა და ნეტარის[619] ცხოვრება და შეავედრა მეფეს იაკობ მღვდელი, რომ იოვანეს შემდეგ იგი იყოს ეპისკოპოსი.

მაშინ იოვანე ეპისკოპოსმა შეწირა ჟამი და აზიარა წმინდა ნინო ქრისტეს ხორცსა და სისხლს და შეავედრა [წმინდა ნინომ] თავისი სული ცათა მეუფეს თავისი ქართლში მოსვლიდან მეთოთხმეტე წელს[620], ქრისტეს ამაღლებიდან სამას და ოცდათვრამეტ წელს, დასაბამიდან ხუთი ათას რვაას ოცდათვრამეტ წელს.

მაშინ დაიძრა ეს ორივე ქალაქი, მცხეთა და უჯარმა და მთელი ქართლი, ნინოს გარდაცვალებისას. იქ მივიდნენ და დამარხეს მისი ძლევაშემოსილი გვამი კუხეთის ადგილსავე, ბოდის დაბაში, რადგან იქ ითხოვა თვითონ დაფლვა მეფისგან, ღვთის შეხედულებით. სიმდაბლის გამო გააკეთა ეს წმინდანმა, რადგან ის ადგილი უბრალო იყო. და დამწუხრებული იყო მეფე და ყველა წარჩინებული მისი იქ დამარხვის გამო, მაგრამ მისი მცნებისა და ანდერძის შესასრულებლად დამარხეს იქ.

და რომ შეასრულა ეს ყველაფერი ღვთივგანბრძნობილმა მირიან მეფემ, განამტკიცა მთელი ქართლი და ჰერეთი ერთარსება სამების, დაუსაბამო ღმერთისა, ყოველივეს დამბადებელის სარწმუნოებაში და განმტკიცდნენ სრულ სარწმუნოებაში, მაშინ კეისარ კონსტანტინეს, რომელსაც ჰყავდა მძევალი, მირიანის ძე, რომელსაც ერქვა ბაქარი, გამოუგზავნა ის მეფე კონსტანტინემ დიდი ძღვენით და მოსწერა [მირიანს] ასე: „მე, კოსტანტინე მეფე, თვითმპყრობელი, ცათა მეუფის ახალი მონა, თავდაპირველად ეშმაკისგან დატყვევებული და მერე გამოხსნილი დამბადებლის მიერ, მოგწერ შენ, ღვთივგანბრძნობილ და ჩემნაირადვე ახალნერგ მორწმუნე მეფეს, მირიანს, იყოს შენთან მშვიდობა და სიხარული! როდიდანაც იცანი შენ ერთარსება სამება, დაუსაბამო ღმერთი, ყოველივეს დამბადებელი, აღარ მჭირდება მე შენგან მძევალი, არამედ საკმარისია ჩვენს შორის შუამდგომლად ქრისტე,

ღვთის ძე, ყოველთა ჟამთა უწინარეს შობილი, რომელიც განკაცდა ჩვენი ხსნისთვის და [საკმარისია] მისი პატიოსანი ჯვარი, რომელიც მოცემულია ჩვენთვის, მის მოიმედეთათვის წინამძღოლად და დამბადებელი ღვთის შუამდგომლობით ვიყოთ ჩვენ სიყვარულში ძმებივით და შენი შვილი შენთვისვე მიბოძებია, ნახე და გაიხარე და ღვთისგან მოვლენილი მშვიდობის ანგელოზი იყოს შენთან მარადის. გადევნოს დამბადებელმა ღმერთმა მაცდური ეშმაკი შენი საზღვრებიდან“.

მოვიდა ბაქარი, მეფე მირიანის ძე და კონსტანტინე მეფის ელჩი მცხეთაში[621]. აივსნენ სიხარულით მირიან მეფე და ნანა დედოფალი და მადლობდნენ ღმერთს, ყველა საბოძვარის მომცემელს.

მაშინ მირიან მეფემ დაასრულა საეპისკოპოსო ეკლესია[622] და აღასრულა მისი სატფურება[623] მრავალი დიდებით.

და მეფის მოქცევიდან ოცდამეხუთე წელს მოკვდა მისი ძე, რევი[624], თრდატ სომხების მეფის სიძე, რომლისთვისაც მიეცა [მირიანს] მეფობა მისსავე სიცოცხლეში. და დამარხეს [იმ] აკლდამაშივე, რომელიც რევს, თვითონ მასვე აეშენებინა.

და იმავე წელიწადს დასნეულდა მირიან მეფე, რომელიც აღესრულა[625]. და მოიყვანა თავისი ძე ბაქარი და თავისი ცოლი ნანა და უთხრა ნანას: აჰა აი, მე მივდივარ საიდანაც მოვედი და ვმადლობ მრავალმოწყალე ღმერთს, ცისა და ქვეყნის დამბადებელს, რომელმაც ეშმაკისაგან დატყვევებული მიხსნა მე ჯოჯოხეთის პირისაგან და ღირსი გამხადა, [რომ დავდგე] მის მარჯვნივ[626]. შენ, ნანა, თუკი ცხოვრებამ დაგაცალოს, ჩემს შემდეგ გაყავი ჩვენი სამეფო განძი ორად და მიიტანე [ერთი ნაწილი] ჩვენი განმანათლებლის, ნინოს საფლავზე, ჟამთა ცვალებადობისთვის, რომ არ შეირყეს უკუნისამდე ის ადგილი, რადგან მეფეთა სატახტო [კი] არ არის, არამედ მწირი [ადგილი] არის“. ასევე დაუბარა ეპისკოპოსს, რომ დააწესონ იმ ადგილის დიდება, „რადგან ღირსი არის პატივისცემისა“.

ხოლო თავის ძეს უთხრა: „ჩემო შვილო, შეიცვალა ჩემი სიბნელე სინათლედ და სიკვდილი — სიცოცხლედ. შენთვის მომიცია ჩემი მეფობის გვირგვინი. ღმერთმა, ცისა და ქვეყნის დამბადებელმა, გაგამტკიცოს შენ სრულ სარწმუნოებაში. დე, დაისწავლიდე მთლიანად ღვთის ძის მცნებებს და მიჰყევი მათ სრულად და ქრისტეს სახელისთვის სიკვდილი სიცოცხლედ მიგაჩნდეს, რომლითაც წარუ-

ვალ სიცოცხლეს მოიგებ და სადაც იპოვი იმ მავნებელ ცეცხლის კერპებს, ცეცხლით[ვე] დაწვი და ნაცარი შეასვი იმათ, რომლებიც მათ ესავენ. და ეს შენ შვილებსაც ამცნე, რადგან მე ვიცი ეს, რომ კავკასიაშიც არ დაილევიან [კერპები]. ხოლო შენ ამ [საქმეს] შეუდ ექი შენი გულით და შენი თავი შეავედრე ღვთის ძეს, ჟამთა უწინარეს შობილს და განკაცებულსა და ჩვენი ხსნისთვის ვნებულს და პატიოსანი ჯვრის წინამძღოლობით სძლევ მტრებს, როგორც აქვთ ჩვეულება გულით მის მოსავებს. და პატივი ეცი ღვთივაღმართულ იმ ცოცხალ სვეტს და იყოს მთელი შენი სასოება მის მიმართ და შენი მისვლა საუკუნო ძილთან სამების სარწმუნოებაში.

და მოატანინა წმინდა ნინოს ის ჯვარი, რომელიც თავდაპირველადვე ჰქონდა და ჩამოკიდა სამეფო გვირგვინი იმ ჯვარს. და მოიყვანა თავისი ძე, ბაქარი. და მის თავზე გამოსახა ჯვრის სახე და აიღო გვირგვინი ჯვრიდან და დაადგა თავზე თავის ძეს.

და აღესრულა მირიან მეფე და დაიმარხა ზემო ეკლესიაში, სამხრეთის შუა სვეტთან, ჩრდილოეთ მხარეს. და იმ სვეტში არის ნაწილი იმ ღვთივაღმართული სვეტის.

და მეორე წელს მოკვდა ნანა დედოფალი და დაიმარხა იმ სვეტისვე დასავლეთით, სადაც მირიან მეფე იყო დამარხული.

ოცდამეხუთე მეფე ბაქარი,
მირიანის ძე. ხოსროიანი[627]

და დაჯდა მეფედ მისი ძე ბაქარი[628] და იყო მორწმუნე, როგორც მამამისი. და მან მოაქცია უმრავლესი კავკასიელები, რომლებიც ვერ მოექცია მამამისს. და ჩამოვარდა მისსა და სომხებს შორის მტრობა, რადგან სომხები ბაქარის ძმისწულის, რევის ძის, თრდატ სომეხთა მეფის ასულისწულის მეფობას ლამობდნენ ქართლში.

ხოლო ეს ბაქარი შეეთქვა სპარსელების მეფეს, თავის მამისძმისწულს, დაემოყვრა და გაუცვალა ქვეყანა თავისი დის ქმარს ფეროზს. რომელსაც ჰქონდა რანი ბარდავამდე მირიანისგან მიცემული,

და მისცა მის ნაცვლად სამშვილდის მიღმა ქვეყნები ვიდრე აბოცის თავამდე[629].

მაშინღა მოინათლა ფეროზი და მისი ხალხი. და მოიერთეს ძალა ხვასროიანებისგან და შეებრძოლნენ სომხებს ჯავახეთში, სძლიეს და გააქციეს სომხები.

მაშინ ბაქარ მეფემ, ბერძნების მეფისა და სპარსელების მეფის შუამდგომლობით, დააწერინა თავის ძმისწულებსა და მათ დედას სალომეს ხელწერილი ასე, რომ: „ვიდრემდის იქნება ბაქარის ჩამომავლობა, რომელსაც შეეძლება მეფობის ფლობა, მისი იყოს მეფობა და არასოდეს ეძიონ მეფობა რევის ჩამომავლებმა“.

მაშინღა მოიყვანა თავისი ძმისწულები და მისცა კუხეთი და დასვა [ისინი] რუსთავში ერისთავად[630].

ამ ბაქარმა მისი ცხოვრების მთელი დღეები დიდ სარწმუნოებაში აღასრულა და გაამრავლა მღვდლები და დიაკონები მთელ ქართლსა და რანში, ეკლესიაში სამსახურებლად. ამან ააშენა წილკნის ეკლესია631. მოკვდა და დაიმარხა თავის ძმასთანვე[632].

ოცდამეექვსე მეფე მირდატი,
ბაქარის ძე, ხოსროიანი

და დაჯდა მეფედ მისი ძე, მირდატი[633] და მეფობდა დიდ სარწმუნოებაში. და მან ააშენა ეკლესია თუხარისის ციხეში[634], რადგან კლარჯეთის ხევში არ იყო ეკლესია და იქ დაადგინა მღვდელი კლარჯების მოძღვრად და უმატა ერუშეთისა და წუნდის ეკლესიების შემკობასა და შენებას.

მაშინ ამ მირდატის მეფობაში დაიწყეს ქართველებმა ცოცხალი სვეტისგან ნაწილის გამოღება და ჯვრად გაკეთება, რადგან დიდი სასწაულები და განკურნებები ხდებოდა იქ, სადაც იყო ნაწილი ცოცხალი სვეტისა. და არ უკრძალავდა მათ მირდატ მეფე ნაწილის გამოღებას, რადგან ჭეშმარიტმა ეპისკოპოსმა იაკობმაც ასევე მიიჩნია საჭიროდ და თქვა: „მონიჭებულია უფლისგან და საჭიროა იმ ღვთივაღმართული

სვეტის ჯვრისსახედ შექმნა“. და მოიფინა ქართლის ყოველ ადგილას ცოცხალი სვეტის ნაწილები.

მაშინ ამ მეფე მირდატმა იმავე სვეტისგან შექმნა ზომიერი ჯვარი და რაც დარჩა იმ ცოცხალი სვეტისგან, მას გარეშემოავლო ქვითკირი და აამაღლა ქვითკირი თავდაპირველი სვეტის ოდენა [სიმაღლეზე] და იმ სვეტის თავზე აღმართა ის ჯვარი, მაცოცხლებელი ხე. და მისი ცხოვრების მთელი დღეები უშფოთველად აღასრულა დიდ სარწმუნოებაში. და მის დროს მოკვდა იაკობ ეპისკოპოსი და დაჯდა იობ სომეხი, ნერსე კათალიკოსის[635] დიაკონი. და მოკვდა მირდატ მეფე.

ოცდამეშვიდე მეფე ვარაზ-ბაქარი,
მირდატის ძე, ხოსროიანი

და დაჯდა მეფედ მისი ძე, ვარაზ-ბაქარი[636]. და შეირთო ორი ცოლი: ერთი — თრდატის, რევის ძის, მირიანის ძისწულის ასული და მეორე — ფეროზის ძისწული, მირიანის ასულისწულის [ასული]. და უშვა რევის ძმისწულმა ორი ძე, რომელთაც სახელად ერქვათ მირდატი და თრდატი; ერთი უშვა ფეროზის ძისწულმა, რომელსაც ერქვა ფარსმანი. ეს მეფე ვარაზ-ბაქარი იყო ურწმუნო და რჯულის მოძულე კაცი და ვერ კადრულობდა ხალხის გამო რჯულის სიძულვილის გაცხადებას, რადგან მოქცეულიყო ქართლი და დიდ სარწმუნოებაში იყვნენ აზნაურები და ქართლის მთელი ხალხი. და ვარაზ-ბაქარი მათი შიშის გამო ვერ აცხადებდა რჯულის დატოვებას. არსად არ ააშენა მან ეკლესია, არც აშენებულთ შეჰმატა რამე და ყოვლითურთ ურჯულოდ იქცეოდა. ამის ზეობაში გამოგზავნა სპარსელების მეფემ ერისთავი დიდი სპით სომხებსა და ქართველებზე ხარკის დასადებად. მაშინ სომხებმა მოუგზავნეს ვარაზ-ბაქარს ელჩი და უთხრეს, რომ შეიკრიბონ და მოიერთონ ძალა ბერძნებისგან და გააღონ კავკასიის კარები და გამოიყვანონ ოსები და ლეკები და წინ აღუდგნენ სპარსელებს. და თავისი წარჩინებულებიც ეუბნებოდნენ, რომ სპარსელებს წინაღდგომოდა. არ ისმინა არც სომხების, არც თავისი წარჩინებულების, რადგან იყო ის მხდალი და მშიშარა.

გადაჯდა იგი კახეთის ხევში და ააშენა ციხე ხიდარში[637] და გაამაგრა ციხე-ქალაქები და უბრძანა ყველას, რომ დამალონ ჯვრები.

და მოვიდნენ სპარსელები პირველად სომხითში და მოაოხრეს სომხეთი და შემოვიდნენ ქართლში. და ააშენა სპარსელების ერისთავმა [ციხე] ტფილისის კართა შორის მცხეთის ციხედ. მაშინ ვარაზ-ბაქარი შეეთქვა ქვეშევრდომად და ითხოვა მშვიდობა, ხოლო სპარსელების ერისთავმა უთხრა მას: „პირველად მომეცი რანი და მოვაკანი, რადგან სპარსეთის საზღვრების არის და იმათი არის, რომლებიც სპარსელებ-ის მეფეების სრულყოფილი შვილები არიან და სხედან მათი მამების ტახტზე და თქვენთვის, რომლებიც მხევლის ნაშობები ხართ, საკმარი-სია ქართლი. გქონდეთ ქართლი და ხარკი მიეცით ხოსროიან მე-ფეებს“. მაშინ ვარაზ-ბაქარმა ვეღარ უპასუხა, დიდი შიშისგან მისცა რანი და მოვაკანი და მოუჭრა ხარკი, ხოლო სპარსელების ერისთავმა მისცა ტფილისის ციხე და წავიდა. და იმიერიდან შეიქნენ სომხები და ქართველები სპარსელების მოხარკეები.

და ამის შემდეგ განდგნენ კლარჯები ვარაზ-ბაქარისგან და მიუერთდნენ ბერძნებს. და დაიპყრეს ბერძნებმა თუხარისი და მთელი კლარჯეთი ზღვიდან არსიანამდე და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი კლარჯეთის გარეშე და ჰერეთი და ეგრისი. სპარსეთის იმავე ერისთავ-მა წაიყვანა ტყვედ ფეროზის შვილები, მირიანის, მორწმუნე მეფის ასულისწულები და მათი ქვეყანა, ქართლის საზღვარი, მისცა ვარაზ-ბაქარსვე[638]. და მოკვდა ვარაზ-ბაქარ და დარჩა მისი სამი ყმაწვილი ძე, რომლებიც ვერ იჭერდნენ მეფობას.

ოცდამერვე მეფე თრდატი,
ვარაზ-ბაქარის სიმამრი, ხოსროიანი

მაშინ ქართლის წარჩინებულებმა განიზრახეს და დასვეს მეფედ ვარაზ-ბაქარის სიმამრი, რევის ძე, მირიანის ძისწული, მოხუცებული კაცი, სახელად თრდატი[639], და მისცეს ვარაზ-ბაქარის შვილები, მისი ასულისწულები, აღსაზრდელად. ხოლო მესამე შვილს, [ვარაზ-

ბაქარის] მეორე ცოლისგან, რომელსაც ერქვა სახელად ფარსმანი, ზრდიდა სამშვილდის ერისთავი. ხოლო მეფობდა ეს მოხუცებული თრდატი კარგად, იყო მორწმუნე, ბრძენი და გონიერი კაცი, ამან თავისი სიბრძნით დაამშვიდა სპარსელები, გამოაჩინა ჯვრები და შეამკო ეკლესიები. და ამის ზეობაში მოკვდა ეპისკოპოსი იობი და დასვეს მის ნაცვლად ელია. და ხარკს აძლევდა იგი სპარსელთა მეფეს.

ხოლო მან გამოიყვანა რუს სათავე და ააშენა ეკლესია და მანვე ააშენა ნეკრესი[640]. და მეფობდა უშფოთველად, და მოკვდა დიდ სარწმუნოებაში.

ოცდამეცხრე მეფე ფარსმანი,
ვარაზ-ბაქარის ძე, ხოსროიანი

და დაჯდა მეფედ ვარაზ-ბაქარის ძე, ფეროზის ძისწულის წული, სახელად ფარსმანი[641], რადგან იგი მის ძმებზე უხუცესი იყო. და მოკვდა ელია ეპისკოპოსი და დასვეს სვიმონი.

ეს ფარსმანი იყო მორწმუნე კაცი, მხედარი და მამაცი. შეეთქვა ბერძნების მეფეს და ითხოვა მისგან შემწეობა და შეასრულა მისი თხოვნა კეისარმა. მაშინ განუდგა და აღარ მისცა სპარსელებს ხარკი [ფარსმანმა] და გაამრავლა ჯვრები და განაახლა ეკლესიები მთელ ქართლში და ააშენა ბოლნისის ეკლესია.

და მცირე ხანს მეფობდა და მოკვდა.

ოცდამეათე მეფე მირდატი,
ფარსმან მეფის ძმა, ხოსროიანი

და დაჯდა მეფედ მისი ძმა მირდატი[642], თრდატის ასულისწული, ვარაზ-ბაქარის ძე, მამით ბაქარიანი, დედით რევიანი, ორივე მოდგმით მირიანის ძეების ჩამომავალი. და იყო ეს მირდატი მამაცი კაცი, მხნე მხედარი, ურწმუნო და ღვთის უშიში, ლაღი და ამპარტავანი და

თავის მხედრობას მინდობილი. არ ემსახურებოდა ღმერთს, არც ეკლესია ააშენა, არც რამ შეჰმატა აშენებულთ და თავისი სილაღით მტრად გაუხდა ბერძნებსა და სპარსელებს. ბერძნებისგან მოითხოვდა კლარჯეთს, ქართლის საზღვარს, ხოლო სპარსელებს არ აძლევდა ხარკს. მაშინ სპარსელების მეფემ გამოგზავნა ერისთავი, რომელსაც ერქვა უბარაბი[643], ძლიერი სპით მირდატზე. მაშინ მირდატი, თავისი სილაღით, არ მოერიდა სპარსელების სიმრავლეს, მცირერიცხოვანი სპით მიეგება გარდაბანში და შეებრძოლა: გააქციეს და შეიპყრეს სპარსელებმა იგი, მოვიდნენ ქართლში, დაიპყრეს ქართლი და წარყვნეს ეკლესიები.

ხოლო მეფის ოჯახი დარჩა კახეთის ხევში და სვიმონ ეპისკოპოსიც მათთანვე. ხოლო მირდატი წაიყვანეს ბაღდადში და იქ მოკვდა.

ჯუანშეხი

[138] ვახტანგ გორგასლის ცხოვრება

მშობლების და შემდეგ თვითონ დიდი და ღმრთისმოყვარე მეფის, რომელიც ქართლის ყველა მეფეზე უფრო სახელგანთქმული იყო[1]

სპარსელებმა ბრძოლაში შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატი, ბაღდადში წაიყვანეს და იქ გარდაიცვალა. ქართლი სპარსელებმა დაიპყრეს, წაბილწეს ეკლესიები. ქართველებმა ჯვრები დამალეს. ცეცხლთაყვანისმცემელმა სპარსელებმა ქართლის ყველა ეკლესიაში ცეცხლი აღაგზნეს. ქართველი მეფეების ერი(ხალხი) დარჩა კახეთის მხარეში.

სამი წლის შემდეგ სპარსთა მეფე მოუცლელი აღმოჩნდა, რადგან აღმოსავლეთიდან მტრები შემოესივნენ. მაშინ ქართლის დიდებულებმა (აზნაურებმა) მოილაპარაკეს, მოიყვანეს და მცხეთაში მეფედ დასვეს თრდატის ძე, ტყვედ წაყვანილი მეფის, მირდატის ძმისწული, სახელად არჩილი.

[141] ოცდამეთერთმეტე მეფე, არჩილი, ძე მირდატ მეფისა, ხოსროიანი

არჩილმა საბერძნეთიდან მოიყვანა ცოლი, ივბიმიანოს მეფის ნათესავი, სახელად მარიამი და სპარსელთა მიმართ თავისი მტრობა გამოაცხადა, გამოაჩინა ჯვრები და მორთო ეკლესიები. გაწყვიტა და ქართლის საზღვრებიდან განდევნა ყველა ცეცხლთაყვანისმცემელი, საბერძნეთიდან ძალა დაიხმარა და ჯვარის წინამძღოლობით დაიწყო ბრძოლა სპარსთა წინააღმდეგ. მაშინ სპარსთა მეფის ერისთავმა, რომელიც არჩილის გამეფებამდე ერისმთავრობდა რანში და მოვაკანში და ქართლსაც განაგებდა, შეკრიბა რანის, მოვაკანის და ადარბადაგანის ლაშქარი, გამოემართა არჩილისკენ. ხოლო არჩილი ღმერთის მინდობითა და იმედით მიეგება ქართლისა და რანის საზღვარზე, დაიბანაკა ბერდუჯის მდინარესთან და პატიოსანი ჯვრის ძალით გაწყვიტა და დაატყვევა. შევიდა რანში, დაიპყრო და შინ დაბრუნდა გამარჯვებული. მთელ ქართლში შიკრიკები დააგზავნა და ყველას აუწყა: „არა ჩვენი ძალით, არც სიმხნით, არც სიბრძნით, არც ლაშქრის სიმრავლით ვსძლიეთ მტერს, არამედ ღმრთის ძის, უფალი ჩვენი იესო ქრისტეს ჯვრით, რომელმაც წინამძღვრად და იარაღად მოგვცა თავისი პატიოსანი ჯვარი. აწ ყველა ქართველმა ადიდეთ ერთარსება სამება, დაუსაბამო ღმერთი, ყოველივეს დამბადებელი. მადლობა შეწირეთ. განამტკიცეთ თქვენი გულები წმიდა სამების სარწმუნოებაზე.“ ყველა ქართველმა მადლობა შესწირა ღმერთს და განაახლეს ეკლესიები.

არჩილ მეფემ მცხეთაში, არაგვის კარზე, სადაც მის მიერვე აშენებული მტკიცე საბრძოლო კოშკები იდგნენ, ააშენა სტეფანწმიდის ეკლესია.

არჩილს ჰყავდა ძე, სახელი დაარქვა მირდატი. გაიზარდა მირდატი, შევიდა მამაკაცობის ასაკში. მირდატი მამასავით მორწმუნე და ღმრთისმსახური იყო. [141] იყო ქველი და გაბედული. მან უფრო გამეტებით დაუწყო ბრძოლა სპარსელებს, შეესეოდა და ტყვე აჰყავდა რანსა და მოვაკანში. ამ დროს სპარსთა მეფეს არ ეცალა, რადგან ებრძოდა ინდოელებს, სინდელებსა და აბაშელებს და არ შეეძლო დიდი ლაშქრის გამოგზავნა. ქართველები იმარჯვებდნენ რანის, მოვაკანისა და ადარ-

ბადაგანის ლაშქარზე. მირდატი წინამძღოლად დაუდგა მამის ლაშქარს და ყოველთვის იმორჩილებდა რანსა და მოვაკანს.

იმ დროს რანში ერისთავი იყო ბარზაბოდ. ვერასოდეს ვერ უმ-კლავდებოდა იგი [ქართველებს], ამიტომ ამაგრებდა ციხეებსა და ქალაქებს. ქართველების შესვლის დროს რანში, სადაც სპარსელები ნარჩენი (ნაწყუედთა)(!) ლაშქრით ებრძოდნენ დამპყრობელ ქართვე-ლებს, სპარსელები ყოველთვის მარცხდებოდნენ. ბარზაბოდს, რანის ერისთავს, ჰყავდა მშვენიერი გარეგნობის ასული, სახელად საგდუხტი. მირდატს, არჩილის ძეს, მოახსენეს მისი სიმშვენიერის შესახებ. მისი სიმშვენიერის გაგონებაზე მირდატს იგი შეუყვარდა. მან თავის მამას მოახსენა: „ვევედრები შენს მეფობას, ცოლად მომგვარე საგდუხტი, ბარზაბოდის ასული; მშვიდობა დავამყაროთ ჩვენს შორის. თუმცა ქრისტეს ძალით ჩვენ გამარჯვებულები ვართ, მაგრამ რანის ციხეებსა და ქალაქებს ვერ ავიღებთ. ვაი, თუ სპარსთა მეფემ მოიცალოს, შური იძიოს ჩვენზე და მოაოხროს ჩვენი ეკლესიები და მიწა-წყალი. და ამ-იერიდან ამით მოისპოს ჩვენს შორის მტრობა, რადგან რასაც ჩვენს შესახებ მოვახსენებ სპარსთა მეფეს, იგი მომისმენს. ამით მტკიცედ და შეურყეველად დავიცვათ ქართლის მიწა-წყალი, განმტკიცდეს ქართლში ქრისტეს რჯული და ქართველთა გულში არ იქნეს ქრისტეს რჯულისადმი ეჭვი და გმობა სპარსელთა მძლავრების (ბატონობის) გამო.“ ეს ყველაფერი მირდატმა ქალის სიყვარულის გამო თქვა.

[142] არჩილ მეფემ აღასრულა მისი სურვილი, ბარზაბოდთან მო-ციქული გააგზავნა და თავისი ძისთვის ცოლად სთხოვა ასული. ბარზა-ბოდი დიდი სიხარულით აღივსო, რადგან მისი ქვეყანა მოოხრებული იყო და დიდი გასაჭირი ადგა. მან მშვიდობის ფიცი და აღთქმა ითხოვა. მისცეს ფიცი. მან დიდი მზითვით გამოგზავნა თავისი ასული. მოიყ-ვანეს მცხეთაში და ქორწილი გადაიხადეს, მრავალი დღე იყო შვება და განცხრომა. მეფემ თავის ძეს მისცა სამშვილდე მისი საერისთავოთი. მირდატ და საგდუხტ იქ დაემკვიდრნენ.

საგდუხტ დედოფალმა ქრისტეს რჯულის გაცნობა ისურვა. მისმა ქმარმა რჯულის მეცნიერები მოჰგვარა. მათ განუმარტეს ჩვენი უფ-ლის იესო ქრისტეს სახარება. გააგებინეს, რომ ქრისტე არის ჭეშმარი-ტი ღმერთი, რომელიც განკაცდა ჩვენი ხსნისათვის. საგდუხტმა გაიგო

და სცნო ჭეშმარიტი რჯული. უარყო ცეცხლმსახურება, მოინათლა, მორწმუნე გახდა. მან სამშვილდის სიონი ააშენა.

არჩილის ზეობისას გარდაიცვალა სამი ეპისკოპოსი: იონა, გრიგოლი და ბასილი. ბასილის შემდეგ არჩილმა დასვა ეპისკოპოსი, სახელით მობიდან. იგი წარმოშობით სპარსელი იყო და მართლმადიდებლად აჩვენებდა თავს, მაგრამ იყო ურჯულო მოგვი და წესების დამრღვევი. ვერ მიუხვდნენ არჩილ მეფე და მისი ძე მობიდანის ურჯულოებას, მორწმუნე ეგონათ იგი. მობიდანი მეფისა და ერის შიშით ვერ ამჟღავნებდა თავისი რჯულის ქადაგებას, ფარულად წერდა ყოველგვარი საცთურების წიგნებს, რომლებიც მის შემდეგ ყველა დაწვა ჭეშმარიტმა ეპისკოპოსმა მიქაელმა, რომელიც ვახტანგ მეფის მიმართ კადნიერებისთვის განდევნილ იქმნა.

არჩილ მეფემ თავისი ცხოვრების დღეები წმინდა სამების სარწმუნოებაში, ეკლესიათა შენებაში გალია, მთელ ქართლში მოამრავლა მღვდლები, დიაკვნები, ეკლესიის მსახურნი და გარდაიცვალა.

[143] ოცდამეთორმეტე მეფე, მირდატ, არჩილ მეფის ძე, ხოსროიანი

მის ნაცვლად დაჯდა მეფედ მისი ძე მირდატი და მამამისივით დიდი სარწმუნოებით აღსავსე მეფობდა. დაორსულდა დედოფალი საგდუხტ და შვა ასული, სახელად უწოდეს ხვარანძე. მეფე მირდატი და დედოფალი საგდუხტ ღმერთს ევედრებოდნენ, რომ მათთვის ძე მიეცა. ოთხი წლის შემდეგ დაორსულდა დედოფალი და შვა ძე. სახელი უწოდეს სპარსულად ვარან-ხოსრო-თანგი, ხოლო ქართულად — ვახტანგი. ყრმის შობის გამო მშობლები სიხარულით აღივსნენ და მახარობლები დააგზავნეს ყველა ერისთავთან. გამოიტანეს დიდძალი ქონება, ოქრო-ვერცხლი და გლახაკებს დაურიგეს. მრავალი დღე ლოცვითა და ღამისთევით მადლობა შესწირეს ღმერთს.

ამის შემდეგ მეფემ ყველა წარჩინებული ქალაქში მოიწვია და მრავალი დღის განმავლობაში პურობა და განცხრომა გამართა. ყველანი ღმერთს ევედრებოდნენ ყრმა ვახტანგის ჯანმრთელობას. სპას-

პეტმა საურმაგმა დიდი ვედრებით ითხოვა მეფისაგან, ვახტანგი მისთვის მიეცა აღსაზრდელად. მეფემ ნება დართო და თავისი ძე ვახტანგი საურმაგ სპასპეტს მისცა აღსაზრდელად, რადგან წესი იყო, რომ მეფეთა შვილები წარჩინებულთა სახლებში აღზრდილიყვნენ. ამის შემდეგ მეექვსე წელს საგდუხტმა შვა მეორე ასული, სახელად უწოდეს მირანდუხტი. იგი აღსაზრდელად კასპის სპასალარმა ითხოვა, მეფემ მისცა. სპასალარმა წაიყვანა იგი ქალაქ კასპში და იქ იზრდებოდა. ამის შემდეგ, მეორე წელს გარდაიცვალა მეფე მირდატი. დარჩა ვახტანგი, შვიდი წლის ყრმა.

[144] ოცდამეცამეტე მეფე, ვახტანგი, ძე მირდატისი, ხოსროიანი.

საგდუხტ დედოფალმა, მამამისის, ბარზაბოდის გამო შეშფოთებულმა, „ვაი, თუ მამაჩემმა შური იძიოს ჩემი მამამთილისა და ქმრის მიერ ჩადენილი საქმეებისთვის, ესოდენი სიავე რომ დაატეხეს მას თავს. ვაი, თუ შური იძიოს ჩემზე რჯულის შეცვლისთვის, დაღუპოს ჩემი შვილი, გააპარტახოს ქართლი და წაწყმიდოს ქრისტეს რჯული“. ეს ყოველივე წარმოიდგინა და დიდ მწუხარებაში ჩავარდა. ღმერთს ევედრებოდა და განიზრახა მამასთან წასვლა და შევედრება. მოიწვია ერისთავები სპასპეტთან ერთად, სიმწრის ცრემლებით შეავედრა თავისი ძე სპასპეტსა და დიდებულებს.

გაემგზავრა მამასთან ბარდავში. თავი დახარა, მუხლნი მოიდრიკა, ამოიყარა ძუძუები, პირქვე დაეცა, ბაგეებით მის ფეხებს შეეხო, ცრემლებით ალტობდა მამის ფეხებს და ითხოვდა მისგან შეწყალებას, მამამთილისა და ქმრის მიერ ჩადენილ საქმეთა დავიწყებას და შენდობას რჯულის მიტოვებისთვის. ევედრებოდა, რომ იძულებული არ გაეხადა, უარ-ეყო ქრისტეს რჯული, რადგან იგი ჭეშმარიტი ღმერთია. ევედრებოდა, რომ მისი შვილი დაეტოვებინა თავის ქვეყანაში და მზრუნველად დადგომოდა მას სპარსთა მეფის წინაშე.

მაშინ ბარზაბოდმა, რომელიც მზად იყო უბედურება დაეტეხა ქართველების თავზე, შეიწყალა თავისი ასული, არ აიძულა, დაეტოვე-

ბინა რჯული და ყოველი მისი თხოვნა აღასრულა. ხოლო რჯულის შესახებ ასე თქვა: „იძულებით არც ერთ სხვა ქართველს არ დავატოვებინებ რჯულს, მხოლოდ გავგზავნი თქვენს ქალაქში ცეცხლის-მსახურებს, იყვნენ იქ ჩვენი რჯულის ეპისკოპოსები. რომელი ქართველიც [145] თავისი ნებით აირჩევს ჩვენს რჯულს, ნუ დაუშლით". საგდუხტი დიდი შიშის გამო დაემორჩილა თავის მამას, ღმრთის მინდობით აღთქმა მისცა და წამოვიდა ქართლში.

ბარზაბოდმა ცეცხლის-მსახურები გამოგზავნა მცხეთაში და მათ ეპისკოპოსად — ბინქარანი. ისინი მოგვთაში მოთავსდნენ. საგდუხტ დედოფალი თავისი მამის ძალითა და დახმარებით ეწეოდა მეფობას. გარდაიცვალა საგდუხტის მამა, ბარზაბოდი. სპარსელთა მეფემ მის ნაცვლად დააყენა მისი ძე ვარაზ-ბაკური, საგდუხტ დედოფლის ძმა. გარდაიცვალა ვახტანგის მამამ-ძუძე საურმაგ სპასპეტი.

მეფემ სხვა სპასპეტი დააყენა, რომელსაც ჯუანშერი ერქვა. ბინქარანი, ცეცხლის-მსახურთა ეპისკოპოსი, ქართველებს თავის რჯულს ასწავლიდა. წარჩინებულთაგანი არავინ ემორჩილებოდა, მაგრამ მდაბიო ხალხი მრავლად შეუდგა ცეცხლმსახურებას.

ქართლში მდაბიო ერში ცეცხლის-მსახურება გავრცელდა. ამის გამო შეწუხებული იყო საგდუხტ დედოფალი, მაგრამ სპარსელთა ბატონობის (მძლავრობის) გამო ვერაფერს ბედავდა. მაშინ საბერძნეთიდან მოიყვანა ჭეშმარიტი მღვდელი, სახელით მიქაელი და ეპისკოპოსად დააყენა ზემო ეკლესიაში, რადგან ამ დროისთვის მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვლილი იყო. მიქაელ ეპისკოპოსი წინ აღუდგა მაცთურ ბინქარანს, ქართველებს ჭეშმარიტ რჯულს ასწავლიდა. მან შეუნარჩუნა სარწმუნოება ქართლის წარჩინებულებს და ერის უმრავლესობას, მაგრამ მდაბიო ერის მცირე ნაწილი ცეცხლმსახურებას შეუდგა.

როცა ვახტანგი ათი წლის გახდა, გადმოვიდა ოსების ურიცხვი ლაშქარი. დაიპყრეს ქართლი მტკვრის სათავიდან ვიდრე ხუნანამდე, მოაოხრეს ბარი, თუმცა ციხე-ქალაქები, გარდა კასპისა, გადაურჩნენ. ქალაქი კასპი შემუსრეს, დაატყვევეს და წაიყვანეს ვახტანგის და, სამი წლის მირანდუხტი. [146] დაუპყრობელად გადაურჩათ ქართლის მხარეები, კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი, ჩაიარეს რანსა და მოვაკანში, იგიც დაიპყრეს და გაიარეს დარუბანდის კარები, რადგან დარუბანდე-

ლებმა თვითონ მისცეს გზა და გამარჯვებულები შევიდნენ ოსეთში.

იმ დროს აფხაზეთიდან გამოვიდნენ ბერძნები, რადგან ბერძნებს ჰქონდათ მთელი ეგრის-წყალს ქვემოთა მხარე და დაიპყრეს ეგრის-წყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე. მაშინ ქართველებში გლოვა-წუხილი შეიქნა, ამბობდნენ: „ღმრთის მიმართ ცოდვა გაგვიმრავლდა, კეთილად არ ვატარეთ ქრისტეს რჯული და იოვანეს მცნების წესი. ღმერთმა სამართლიანად მოაწია ჩვენზე ასეთი რისხვა, რადგან უცხოტომელებს დააპყრობინა ჩვენი თავი, ბერძნებს ჩაუგდო ხელში ჩვენი მიწა-წყალი, როგორც მეფე ვარაზ-ბაქარს წაართვა კლარჯეთი. ვარაზ-ბაქარის ცოდვის გამო მოხდა ის, რადგან წესიერად არ მისდევდა ქრისტეს რჯულს. ხოლო ეს ჩვენი მეფეების ცოდვების გამო კი არ მოხდა, არამედ ერის ცოდვათა გამო. ჩვენი მეფე ამჟამად ყრმაა და არ გვყავს წინამძოლი, რომელიც ქრისტეს სასოებით და ჯვრის წინამძღოლობით წაგვიძღვება. პირველად ოსებზე ვიძიოთ შური და შემდეგ მოვიკითხოთ ბერძნებისგან ქართლის საზღვრები“. ამას ამბობდნენ ქართველები და დიდ მწუხარებაში იყვნენ.

ვახტანგი იზრდებოდა და მიქაელ ეპისკოპოსისაგან უფლის მცნებებს სწავლობდა. ქართლის ყველა მეფეზე მეტად.სიყრმეშივე შეიყვარა ქრისტეს რჯული, შეწუხებული იყო იმით, რომ ქართლში ცეცხლმსახურება გავრცელებულიყო დაპყრობისა და მიწა-წყლის წართმევის გამო. გონებაში უფრო მეტად წუხდა რჯულის შესახებ, მაგრამ სპარსელთა მძლავრობის გამო ვერ ბედავდა გამჟღავნებას.

[147] როცა ვახტანგი თხუთმეტი წლის შეიქნა, მოუწოდა ქართლის ყველა დიდებულს და ყველანი ქალაქში შეკრიბა. მეფემ ერთი სასახლე მოამზადა, დაჯდა მაღალ ტახტზე. ჯუანშერ სპასპეტი და ორივე ეპისკოპოსი ტახტზევე დასხდნენ, სხვა ერისთავები სავარძლებში მოთავსდნენ, ათასისთავები, ასისთავები და დანარჩენი ერი ფეხზე იდგნენ.

მეფემ, როგორც მოხუცებულს, ბრძენსა და ფილოსოფოსებს შორის აღზრდილს შეჰფერის, ხმამაღლა დაიწყო საუბარი: „განსაცდელი და უბედურება მეფეებზე და ერზე მათი ცოდვების გამო მოიწევა ღმრთისგან. როდესაც მორწმუნეები არა სათანადოდ ეწევიან ღმრთის მსახურებას და არღვევენ მცნებებს, ღმერთი ისეთ უბედურებას მოავლენს, როგორიც ახლა მოიწია ჩვენზე. როდესაც კეთილი მამა სიკეთისთვის კე-

თილად წვრთნის შვილს და იგი მამის სწავლებას არ მისდევს, ის მამა ცემითა და სწავლით აიძულებს შვილს, რათა სიკეთე ისწავლოს და სიკეთის მატარებელი (საჴმარ) იყოს. ამგვარად გაგვწვრთნა ჩვენ ღმერთმა, ცისა და ქვეყნის დამბადებელმა. ამიტომ ჩვენ გვმართებს, მადლობა შევწიროთ მას მოწყალებისთვის". ყველამ მადლი შესწირა ღმერთს.

მეფე ვახტანგმა ისევ განაგრძო ლაპარაკი და ყველა წარჩინებულს მიმართა: „ისმინეთ ჩემი სიტყვები! თუმცა ყრმა ვარ და ჩემგან სიკეთე არ გინახავთ, მაგრამ ჩემი მამებისგან გაქვთ ნანახი დიდი სიკეთენი და დიდებანი თქვენ, რომელთაც მთავრობა გიკავიათ. აწ თუ ღმერთი გვაცოცხლებს, სიკეთე და დიდება გეწევათ, რომელნიც ჩემი მამებისგან არ გინახავთ. ახლა რასაც გეუბნებით, თუმცა ჩემზე და თქვენზე თანაბრად არის მოწევნული ეს განსაცდელი, [148] მაგრამ ისე მიიღეთ, თითქოს თქვენზე არ მოწევნულიყოს იგი, არამედ მხოლოდ ჩემზე. და ჩემ გულში არ იქნება სიტყვა, რომ რაც მათზე განსაცდელი მოიწია, თავისი შურისძიების გამო შვრებიან ამას, არამედ ყველაფერს ჩემთვის სამსახურად ჩავთვლი, ყველაფრისთვის სიკეთით მოგიზღავ. არ მოვითმენ ოსებისგან ლანძღვას, არამედ ღმერთის, დაუსაბამო ერთარსება სამების სასოებითა და მინდობით, პატიოსანი ჯვრის წინამძღოლობით, რომელიც მისდამი გულით მლოცველებს წინამძღვრად და იარაღად აქვთ მოცემული, შური ვიძიოთ ოსებზე. ეს რომ სპარსელი მეფეებისგან, ან ბერძნების მეფისაგან მოგვსვლოდა, მოვითმენდით. მაგრამ რაც ჩვენზე მოიწია ოსების მიერ ლანძღვის გამო, ამის მოთმენა არ შეიძლება, ჩვენთვის სიკვდილი სჯობია".

მაშინ ადგა ჯუანშერ სპასპეტი და თქვა: ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე დიდებით და შენს მტრებზე გამარჯვებით. ჭეშმარიტს ბრძანებ: ჩვენი ცოდვების გამო მოიწია ეს განსაცდელი ჩვენზე, სამართლიანად დაგვსაჯა ღმერთმა, რადგან ვამრავლეთ ჩვენი ცოდვები მის წინაშე. ღმრთის მიმართ მადლობა გვმართებს, რადგან დიდი სასჯელის ღირსი ვიყავით და არა ისეთის, რაც ჩვენზე მოიწია. მრავალმოწყალემ ჩვენი შეცოდებების ოდენი სასჯელი არ მოგვაგო და ამ მცირე სასჯელით დაგვსაჯა. და ჩვენ, ქართლის მკვიდრთ, ამის გამო დიდი მადლობა გვმართებს ღმრთისა. რადგან შენ, ქართლის ყველა მეფეზე უმჯობესი და შენს მამებზე აღმატებული, ყველაფრით შემკობილი, ნებროთ გმირის

მსგავსი, ჩვენს წინამძღვრად გამოგაცხადა. ღმრთის მიერ მოვლინებული ხარ ჩვენი [149] ძველი თუ ახალი გაჭირვებების(უბედურებების) გამქარვებელად. თუ ჩვენი ცოდვები არ გადაწონიან, შენგან მოველით ჩვენი ყველა გასაჭირის დაძლევას, ყველა დროსთან შედარებით ჩვენი მიწა-წყლის გაფართოებას, რადგან ჩვენს მამათაგან არავინ ყოფილა შენნაირი. ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე. რაც ოსების მიერ ამ ხუთ წელიწადში მოწევნულა, დიდ მწუხარებაში ვიყავით, რადგან ყრმა(ბავშვი) იყავი და არ შეგეძლო მხედრობა და ბრძოლათა წინამძღოლობა და არც სამეფო საქმიანობა. ახლა, მეფეო, თუმცა სიბრძნით და ძალით, სიმხნით და ასაკით სრულყოფილი ხარ, მაგრამ საბრძოლო გამოცდილება გაკლია. ვხედავ შენს სიბრძნეს: თუმცა ყრმა ხარ, მაგრამ მეფობა შეგიძლია, ხოლო ლაშქრობის და ბრძოლათა წარმართვის დრო ჯერ არ დაგდგომია. ჩვენი განზრახვა ასეთია: შენი სიბრძნით და დედაშენის რჩევით გამოარჩიე ერთი ვინმე ჩვენთაგანი ჩვენი ლაშქრის წინამძღოლად, ყველა მას ჩააბარე და დავემორჩილებით, როგორც მამაშენს, და სამების, ერთარსება ღმერთის, ძალით გავემართოთ და ვიძიოთ შური. შენ კი შინ დარჩი და განაგე მეფობა. ჩვენი ცოდვების გამო თუ ოსებთან დავმარცხდებით, შენი მეფობა უვნებლად დარჩება. ხოლო უკეთუ შენ დამარცხდები ჩვენი ცოდვების გამო, ჩვენი ქვეყანა სრულიად განადგურდება, რადგან ქვეყანაზე შენი ნაცვალი არავინ არის.“ ეს თქვა ჯუანშერ სპასპეტმა და წარჩინებულები და ერისთავები დაეთანხმნენ მის სიტყვებს.

მაშინ მეფემ ბრძანა: „ჯუანშერ, როგორც შენს სიბრძნეს და ერთგულებას შეეფერება, ისე თქვი ყოველივე, მაგრამ მე არ ვეთანხმები შენს [150] სიტყვებს, რადგან რაც განსაცდელი დაგვიდგა, ჩემი ცხოვრების თითოეული დღე მწუხარებაში გამიტარებია, როგორც სიბნელეში მყოფს. ჩემი დის სიბრალული, როგორც მახვილი ცეცხლს, ისე მისერავს გულს.

ჩემთვის სიკვდილი სჯობია სიცოცხლეს. მაგრამ ღმრთის იმედით და პატიოსანი ჯვრის წინამძღოლობით თვითონ წავალ და ვევედრები მის მრავალმოწყალებას, არ გამწიროს და გამარჯვება მომაპოვებინოს.“

მაშინ რადგან ვერ დაუშლიდნენ, წარჩინებულები დაეთანხმნენ და თქვეს: „ცხონდი, მეფეო, უკუნისამდე! აღსრულდეს შენი განზრახ-

ვა, დამბადებელმა ღმერთმა ანგელოზი მოავლინოს შენს შემწედ და დასცეს ყოველი შენი მტერი და განამტკიცოს შენი მეფობა!“

ოსეთზე ლაშქრობის გადაწყვეტილება

გადაწყვიტეს ოსეთზე ლაშქრობა. ყველანი მოსამზადებლად სახლებში წავიდნენ. ვახტანგ მეფემ თავის ბიძასთან, რანის ერისთავ, ვარაზ-ბაკურთან მოციქული გააგზავნა, ოსეთზე ლაშქრობის ამბავი შეატყობინა და დახმარება ითხოვა. იგი სიხარულით დათანხმდა, რადგან მისი ქვეყანაც დაპყრობილი იყო ოსების მიერ. ვახტანგმა ქართლის მთელი მხედრობა იხმო. ყველანი შეიკრიბნენ და დაიბანაკეს მუხნარსა და ხერკში, არაგვის იქითა და აქეთა მხარეს. ასი ათასი ცხენოსანი და სამოცი ათასი ქვეითი იყო. ვარაზ-ბაკურმა თავისი თორმეტი ათასი მხედარი გამოგზავნა. ვახტანგ მეფე ქალაქ მცხეთიდან გავიდა, შეავსო [151] და განალაგა თავისი ლაშქარი. მოეწონა მათი სიმრავლე, კარგი ცხენები და მოკაზმულობა, ყველანი მხიარულნი და აღტყინებულნი იხილა, რადგან ოსების მიმართ შურისძიებით იყვნენ სავსე. იგი სიხარულით აღივსო და ღმერთს მადლობდა. შემოვიდა ქალაქში და ერთი კვირა ლოცვასა, მარხვასა და ღამისთევაში გაატარა. დიდძალი ქონება დაურიგა გლახაკებს. თავისი სამეფოს განმგებლად დედა საგდუხტი და და ხვარანძე დატოვა და ასეთი ანდერძი დაწერა: „თუ ცოცხალი არ დავბრუნდები, ჩემი და, ხვარანძე, ცოლად შეირთოს მირიანმა, ვახტანგის მამის ძმისწულმა, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა, რომელიც სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა. მან შეირთოს ჩემი და და ხელში აიღოს მეფობა.“ ეს დაწერილი თავის დედას მისცა და სხვას არავის არ გააგებინა. მირიანი, თავისი მამის ძმისწული, მცხეთაში დატოვა.

ვახტანგი გაემგზავრა და თიანეთში დადგა. იქ შეუერთდნენ კავკასიელი მეფეები ორმოცდაათიათასი მხედრით. ღმრთის სახელით გაემართა, დარიალანის კარი განვლო. ოსეთში რომ შევიდა, ვახტანგი თაექვსმეტი წლის იყო.

მაშინ ოსეთის მეფეებმა შეკრიბეს თავიანთი ლაშქარი, ხაზარეთიდან მოიმატეს ძალა და მოეგებნენ მდინარესთან, რომელიც დარიალანს

გაივლის და ოსეთის დაბლობზე ჩადის. იმ მდინარესაც არაგვი ჰქვია, რადგან ორივეს სათავე ერთი მთიდან გამოდის: ქართლის არაგვისა და ოსეთის არაგვისა.

ა ორთავე ლაშქარმა ამიერ და იმიერ. დაიბანაკა მდინარის პირას ორივე მხრივ კლდის ქარაფები იყო, ტყეები და ველები მდინარის სანაპიროებზე. ერთმანეთს მოერიდნენ, ქარაფების მისადგომები დაიკავეს და იდგნენ ასე შვიდი დღე. ამ შვიდი დღის განმავლობაში მდინარეზე ბუმბერაზების ბრძოლა იყო. ოსებს რომ ხაზართა მაშველი ლაშქარი ჰყავდათ, იქ ერია ერთი კაცი გოლიათი, [152] სახელით თარხანი. გამოვიდა თარხან ხაზარი და ხმამაღლა დაიძახა:“ „თქვენ გეუბნებით, ვახტანგის მებრძოლებო, ვინც თქვენს შორის უძლიერესია, გამოვიდეს ჩემთან საბრძოლველად“.

ვახტანგ მეფეს რომ სპარსელთა მაშველი ლაშქარი ჰყავდა, იქ ერია ერთი კაცი, რომელსაც ფარსმან-ფარუხ ერქვა სახელად. მას ვერვინ ვერ გამკლავებოდა ბრძოლაში, მრავალი ლომი ჰყავდა ხელით შეპყრობილი. იგი თარხანთან საბრძოლველად გავიდა. ორთავემ საბრძოლო ყიჟინა დასცხო და დაეტაკნენ ერთმანეთს. პირველსავე შერკინებაზე დაჰკრა ხმალი ფარსმან-ფარუხს ჩაბალახზე და ბეჭებამდე გაუპო თავი. შეწუხდნენ ვახტანგ და მისი მებრძოლები, რადგან არავინ დარჩა მათ შორის ფარსმან-ფარუხის მსგავსი. ყველანი შეძრწუნდნენ და მწუხარებით აღივსნენ.

ის დღე დაღამდა. ვახტანგი თავის კარავში შევიდა, ლოცვა დაიწყო, ცრემლებით ევედრებოდა ღმერთს, გათენებამდე არ დამჯდარა, ლოცულობდა, ღმრთისაგან შეწევნას ითხოვდა. ღმრთის მინდობით გადაწყვეტილი ჰქონდა თვით შებრძოლებოდა თარხანს, რადგან უშიშარი იყო, როგორც უხორცო. და ღმრთისა და თავისი ძალის იმედი ჰქონდა.

როგორც კი გათენდა, ისევ ჩამოვიდა თარხან მდინარის ნაპირთან, კვლავ შეურაცხ-ჰყოფდა და .აქეზებდა. ვახტანგის ლაშქარში არავინ ჩანდა მასთან შემბრძოლებელი.

მაშინ ვახტანგმა თავის სპას მიმართა: „მე ჩემს ძალასა და სიმხნეზე კი არ ვარ მინდობილი, არამედ დაუსაბამო, ყოვლის დამბადებელი სამება ერთარსება ღმრთის მინდობით მარტოდ გავალ თარხანთან სა-

ბრძოლველად. გაუკვირდათ წარჩინებულებს, აჩერებდნენ ვახტანგს და ათასგვარად ფიქრობდნენ, რომ დაეშლევინებინათ ბრძოლა, რადგან ვახტანგი ყრმა იყო და ამის გამოცდილება არ ჰქონდა.

[153] ვახტანგი არ დაეთანხმა, მტკიცედ გადაწყვიტა ბრძოლა. ცხენიდან ჩამოხტა, მიწაზე დაეცა, ღმერთს თაყვანი სცა და თქვა: „ჰე, უფალო, ყოვლის დამბადებელო და კეთილთა შემმატებელო, შენი მოიმედეების აღმამაღლებელო! შენ იყავი ჩემი შემწე, შენი ანგელოზი მოავლინე ჩემ ძალად, დაამხე ის ურჯულო და შეარცხვინე შენი მაგინებლები, რადგან ჩემს ძალაზე კი არა ვარ მინდობილი, არამედ შენს მოწყალებაზე“. ვახტანგი მობრუნდა, ტაიჭზე ამხედრდა და თავის ლაშქარს მიმართა: „ღმერთს ევედრეთ და ნუ შეძრწუნდებით!“. ვახტანგი წავიდა და ლაშქარი მის ზურგს უკან დადგა. შეძრწუნებული და მწუხარებით სავსე მოლაშქრეები თავ-თავიანთ რჯულზე ევედრებოდნენ ღმერთს.

ა. ვახტანგის და თარხანის ომი, და ვახტანგის მიერ თარხანის მოკვლა.

ვახტანგმა ქარაფი ჩაიარა და მდინარის პირას მიადგა, ხელში შუბი ეჭირა. თარხანმა მოხედა და უთხრა : « მე გოლიათებს და გამოცდილ გმირებს ვებრძვი და არა პატარა ბავშვებს, მაგრამ შენზეც დავიმდაბლებ თავს“. შესძახეს და დაეძგერნენ ერთმანეთს. პირველსავე შეტაკებაზე ვახტანგმა შუბი აძგერა წელში. აბჯრის სიმაგრემ ვერ დაიფარა, ზურგში გაუარა და მოკლა.

ნუგეშმიცემულმა და სიხარულით აღსავსე ქართველებმა მაღალი ყიჟინა დასცეს და ღმერთს მადლობა შესწირეს. ვახტანგი იმავე ადგილას ცხენიდან ჩამოხტა, მიწაზე დაეცა, თაყვანი სცა ღმერთს და თქვა : «კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმაც მოავლინე შენი ანგელოზი და დაამხე ჩემი მტერი. შენ ხარ შენდამი მსასოებელთა აღმამაღლებელი; შენ ხარ, რომელმაც [154] მიწისაგან აღადგინე გლახაკი და სკორისაგან აამაღლე დავრდომილი“. თარხანს თავი მოჰკვეთა, ცხენზე შეჯდა და თავის ლაშქართან წავიდა. მთელმა ლაშქრობამ ხმამაღლა ქება შეასხა ვარტანგს და ღმერთს მადლობდნენ.

გ. ვახტანგის და ბაყათარ ოსის ომი და ვახტანგის მიერ ბაყათარის მოკვლა

მეორე დღეს ოსების მხრიდან სხვა ბუმბერაზი გამოვიდა, რომელსაც ბაყათარი ერქვა. იგი გოლიათი იყო და რაც ლაშქრობისთვის მოიწიფა, ვერვინ ვერ შეძლო ბრძოლაში მისი გამკლავება. მასთან მებრძოლი ყველა გაწყვიტა. მისი მშვილდის სიგრძე თორმეტი მტკაველი იყო, ისრისა —ექვსი მტკაველი. მოადგა ბაყათარ მდინარის ნაპირს და ხმამაღლა შესძახა : ვახტანგ მეფეო, ნუ გაყოყოჩდები თარხანის მოკვლის გამო, იგი გოლიათებს არ ეკუთვნოდა და ამიტომაც მოკლულ იქნა პატარა ბავშვის მიერ. ახლა თუ შენ ჩემთან საბრძოლველად გამოხვალ, ჩემგან ფიცხელი ბრძოლა შეგხვდება, რომელსაც ვერ გადაურჩები. თუ არა, შენი მებრძოლთაგანი თუ ვინმე გამოვა, მისთვისაც მზად ვარ“.

მაშინ ვახტანგმა ბაყათარს მიუგო: «ჩემი ძალით კი არ ვძლიე თარხანს, არამედ დამბადებლის ძალით. არ მეშინია შენი, როგორც ერთი ძაღლისა, რადგან ქრისტეს ძალა არის ჩემთან და მისი პატიოსანი ჯვარი საჭურველია ჩემი“. ვახტანგმა დააწყო და მზად ყოფნაში მოიყვანა ლაშქარი. შეჯდა ჯავშნით შეჭურვილ ტაიჭზე, აიღო ვიგრის ტყავის ფარი, რომელსაც მახვილი ვერ ჰკვეთდა, ფერდობი ჩაიარა და მდინარის ახლოს დადგა. ბაყათარს შესძახა: «მე მდინარეს არ გადმოვალ, რადგან მეფე ვარ. მე არ ვეახლები ოსეთის მებრძოლს, რადგან ჩემი დაღუპვით მთელი ჩემი ლაშქარი დაიღუპება. შენ კი მონა ხარ და შენი დაღუპვით [155], როგორც ერთი ძაღლის დაღუპვით, ოსეთის ლაშქარს არა ევნება რა. გამოდი მდინარეზე ჩემ მხარეს“. ბაყათარ ოსმა შეასრულა მისი სიტყვები და თქვა: «მე, შენი მკვლელი, მდინარეს გამოვალ, მაგრამ მდინარისგან სამი უტევანი უკან დაიხიე“.

უკუდგა ვახტანგი. ბაყათარმა გადმოიარა მდინარე და ისრები დაუშინა. ვახტანგი თვალის სიმახვილით, გონების გამჭრიახობით და თავისი ტაიჭის სიმკვირცხლით ირიდებდა ისრებს, შორიდანვე ხედავდა მომავალ ისარს, უსხლტებოდა და მარჯვედ უახლოვდებოდა. ამიერ და იმიერ მოლაშქრეები ბუკსა და დაფდაფებს სცემდნენ. ორივე ლაშქარი, ქართველები და ოსები, მაღალი ხმით ზრიალებდნენ ისე, რომ მთები და ბორცვები იძროდნენ. ბაყათარმა ორი ისრის მეტი ვერ

მოარტყა ვახტანგის ფარს, მთლიანად ვერ გაკვეთა იგი. კვლავ ჰკრა ისარი ვახტანგის ცხენს და შიგ მოარტყა. ვიდრე ვახტანგის ცხენი დაეცემოდა, [ვახტანგი] ზედ მიუხტა, ჰკრა ხმალი ბაყათარს მხარზე და გულამდე გაკვეთა.

მაშინ დაეცა ვახტანგის ცხენი, მან სწრაფად შეიპყრო ბაყათარის ცხენი. დაემხო მიწაზე, ღმერთს თაყვანი სცა და წინაზე უფრო მეტად შესწირა მადლობა. ამხედრდა ბაყათარის ცხენზე, მოვიდა თავისი ლაშქრის სიახლოვეს და ხმამაღლა შესძახა: «მხნედ იყავით და გაძლიერდით, რადგან ღმერთი ჩვენკენ არის!“.

გამზადებული ლაშქარი დაიძრა: წინ ცხენ-აბჯრიანები და ჯაჭვ ჩაბალახოსნები, მათ უკან — ქვეითნი, ხოლო ქვეითების უკან — [156] მხედართა სიმრავლე და ამგვარად მიადგნენ ოსებს. ოსები გადმოდგნენ ქარაფზე და კოკისპირულ წვიმასავით დააყარეს ისრები.

ვახტანგ მეფე რჩეული მხედრით თავისი ლაშქრის ზურგში იყო მოქცეული, მებრძოლებს ამხნევებდა, ძალას მატებდა და ანუგეშებდა. წინ მიმავალმა ცხენ -აბჯრიანებმა ქარაფის გზა აიარეს, ვაკეზე გავიდნენ, უკან დაუდგნენ ქვეითნი და მომდევნოდ — მხედართა სიმრავლე. შეიქნა მათ შორის ძლიერი ბრძოლა. ვახტანგი თუ მარჯვენა მხარეზე იბრძოდა, ძრწოდნენ მარცხენა მხარეს. ხოლო თუ მარცხენა მხარეზე იბრძოდა, ძრწოდნენ მარჯვენა მხარეს. ლაშქრის ამ სიმრავლეში ყველგან ლომის ხმასავით ისმოდა ვახტანგის ხმა. მას თან დაჰყვებოდა ორი მხედარი: ძუძუმტე არტავაზი, საურმაგ სპასპეტის ძე და ბივრიტიანი სეფეწული. ისინიც მამაცურად იბრძოდნენ.

ოსები დამარცხდნენ, მათი ბანაკი გაიქცა, დაიხოცნენ და ტყვედ ჩაცვივდნენ. უმრავლესი გაქცეული ოსებისა ტყვედ შეიპყრეს, რათა დაეხსნათ ოსების მიერ ადრე დატყვევებული ქართველები. როცა დევნა შეწყვიტეს, უკან მობრუნდნენ და თავის ბანაკში დაიბანაკეს. სამი დღე დაისვენეს და ღმერთს მადლობა შესწირეს. მერე გაიფანტნენ ოსეთის დასაპყრობად, შემუსრეს მათი ქალაქები, ხელთ იგდეს ურიცხვი ტყვე და ალაფი.

ჩანართი

დაიმორჩილა ოსები და ყივჩაღები და შექმნა ოსეთის კარები, რომელსაც ჩვენ დარიანისს ვეძახით. მასზე მაღალი გოდლები ააშენა და მცველად მახლობელი მთიულები დააყენა. ოსებისა და ყივჩაღების დიდ ჯგუფებს (ნათესავთა) გადმოსვლა არ შეეძლოთ ქართველი მეფეების ბრძანების გარეშე.

წავიდნენ პაჭანიკეთში, რადგან პაჭანიკეთი ოსეთის მოსაზღვრე იყო, გადალახეს ოსეთის მდინარე. იქვე იყო ჯიქეთი. მრავალი წლის შემდეგ[157] პაჭანიკები და ჯიქები თურქებმა განდევნეს. პაჭანიკები დასავლეთისკენ წავიდნენ, ხოლო ჯიქები აფხაზეთის ბოლოს დასახლდნენ. ვახტანგმა პაჭანიკეთი და ჯიქეთი დაიპყრო, მობრუნდა და ისევ ოსეთს მოადგა. ოსთა მეფეები კავკასიის სიმაგრეებში იყვნენ გახიზნული. მათგან მოციქულები მოვიდნენ და დაზავდნენ. ოსებმა მისი დის ნაცვლად ვახტანგისგან ოცდაათი ათასი ტყვე ოსი ითხოვეს, ყველა საუკეთესო, რომლებიც სახელებით ჩამოთვალეს. ვახტანგმა დის სანაცვლოდ მისცა ოცდაათი ათასი ტყვე და [და] თავისთან მოიყვანა.

ხოლო ტყვე ქართველები, რომლებიც ექვსი წელი ჰყავდათ ოსებს, ყველანი თითოს თითოში გაცვლით გამოიხსნა; ოსებისგან მძევალი აიყვანა, მძევალში სხვა ოცდაათი ათასი ტყვე მისცა. ქართველი ტყვეები, რომლებიც გამოიხსნა, რიცხვით სამას ორმოცდაათი ათასი იყო. და რაც გაშვებულების გარდა დარჩა კიდევ ტყვე ოსი, თვლით იყო ექვსას ორმოცდაათი ათასი, გარდა პაჭანიკელებისა და ჯიქებისა. ყოველივე ეს ოთხ თვეში მოხდა.

შემდეგ მეფემ დიდი საჩუქრებით გაუშვა სპარსელთა დაქირავებული ჯარი და კავკასიელი მეფეები, დარიალის გზაზე გამოუშვა თავისი და მირანდუხტი და ყველა ტყვე. თვითონ ქართლის დიდი ლაშქრით აფხაზეთის გზაზე წამოვიდა, ვაჟკაცურად და მხნედ ეკვეთა აფხაზეთის ციხეებს, რადგან ბერძენთა მეფეს, ლეონ დიდს, არ ეცალა სპარსელებთან ომის გამო და არ შეეძლო ლაშქრის აფხაზეთში გამოგზავნა. სამ წელიწადში დაიპყრო აფხაზეთის ყველა ციხე, ვიდრე ციხეგოჯამდე. დაბრუნდა სახლში, სამეფო ქალაქ მცხეთაში. შეეგებნენ მისი დედა და დანი, ქალაქის მრავალი მამაკაცი და ქალი [158] , ფეხ-

ქვეშ უფენდნენ თავიანთ სამაჯურებსა და სამოსელს, თავზე აყრიდნენ დრამასა და დრაჰკანს და ხმამაღლა ასხამდნენ ხოტბას, რადგან არცერთ მეფეს არ გადაეხადა ამგვარი ძლიერი ბრძოლა.

ვახტანგ მეფემ მრავალი ლოცვითა და ღამისთევით, გლახაკებზე წყალობის გაცემით მადლობა შესწირა ღმერთს. ხალხს საჩუქრები უბოძა, დააწინაურა ოსთა ბრძოლაში ერთგულად მებრძოლი და გამოცდილი მხედრები. ნაალაფევიდან ძღვენი მისცა თავის ბიძას, ვარაზ-ბაკურს: ათასი მონა, ათასი ცხენი, ათასი სახედარი. სპარსელთა მეფეს ათი ათასი მონა, ათი ათასი ცხენი და ათი ათასი სახედარი გაუგზავნა. ყოველივე ეს სპარსთა მეფეს მიუძღვნა ბინქარან ეპისკოპოსის ხელით და სპარსთა მეფეს ასული თხოვა ცოლად. სპარსელთა მეფემ მისცა ცოლად თავისი ასული, რომელსაც სახელი ერქვა ბალენდუხტი. მზითვად სომხითი და კავკასიის ყველა სამეფო მისცა, თან წერილი მისწერა, რომელშიც ეწერა: « ყოველთა მეფეთა-მეფის, ურმისდისგან ვახტანგს, ათ მეფეთა-მეფეზე ახოვან ვარან-ხოსროთანგს “. მოსწერა კეისრის ომის შესახებ, რომ კეისარი სპარსელებთან საომრად იყო გასული.

მაშინ ვახტანგმა მთელ თავის ლაშქარს, კავკასიის ყველა მეფეს აცნობა, შეიკრიბნენ და ორასი ათასი მხედარი მტკვრის იქითა და აქეთა მხარეს დადგა. სპარსთა მეფის ბრძანებით მათ შეუერთდა [159] ვარაზ-ბაკური, ბიძამისი, რანის ერისთავი, ადარბადაგანის, რანისა და მოვაკანის ლაშქრით, დაახლოებით ორასი ათასი მხედარი.

ვახტანგი იმ დროს ოცდაორი წლის იყო. იგი თანამოასაკეებზე ყველაზე მაღალი იყო, სახით მშვენიერი, ძალით ძლიერი ისე, რომ შეიარაღებული ქვეითად ირემს ეწეოდა, რქებით იჭერდა, შეჭურვილ ცხენს მხარზე მოიკიდებდა და მცხეთიდან არმაზის ციხეში ადიოდა. იგი მამის მხოლოდშობილი ძე იყო. მისი და ხვარანძეც ძლიერი და მშვენიერი იყო. მორწმუნე მირიან მეფის გვარიდან დარჩენილი იყვნენ ვახტანგ და მისი დები, ისინი ბაქარ მირიანის ძის შთამომავლები იყვნენ.

მირიანი და გრიგოლი რევის, მირიანისავე ძის, შთამომავლები იყვნენ. მათ კუხეთი ჰქონდათ და ციხე-ქალაქ რუსთავში ცხოვრობდნენ, რადგან ერთმანეთის ხოცვით ძალიან შეთხელებული იყვნენ.

მირიან მეფიდან ვიდრე ვახტანგ მეფემდე გარდაცვლილი იყო რვა

ნათესავი(თაობა), ათი მეფე, ასორმოცდაჩვიდმეტი წელი იყო გასული. გარდაცვლილი იყო რვა ჭეშმარიტი რჯულის დამცველი ეპისკოპოსი, ხოლო დანარჩენები — რჯულის დამრღვევნი იყვნენ.

ვახტანგ გორგასლის მიერ საბერძნეთში წასვლა საომრად

ვახტანგი საბერძნეთში შესასვლად გაემართა, მივიდნენ სომხითში და პეროჟა-კაფაში, სადაც ადრემოხსენებულ პეროზს ციხე ჰქონდა აშენებული, მას შეუერთდნენ სომხითის ერისთავები: არევ სივნიელი, ჯუანშერ ასპურაგნელი, ამაზასპ ტაროვნელი, გრიგოლის მიერ აშენებული ქალაქიდან, თრდატ, დიდი თრდატის მოდგმისაგან. მოადგნენ ციხე-ქალაქს, რომელსაც კარასპოლა ერქვა, ხოლო ამჟამად ჰქვია კარნუ-ქალაქი. [160] გაიმართა ბრძოლა, მაგრამ ვერ შესძლეს მისი აღება, რადგან სამი მაღალი ზღუდით იყო გარშემორტყმული. ქალაქის ასაღებად დატოვეს ორი ერისთავი თორმეტი ათასი მხედრით.

ვახტანგი წავიდა პონტოში და გზაზე სამი ქალაქი მოაოხრა: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი. ლაშქარი ზღვის ნაპირას პონტოს დიდ ქალაქს მიადგა. სამი თვე იბრძოდნენ და ლაშქარმა კონსტანტინეს ქალაქს მიაღწია. სპარსელები ეკლესიის მსახურებს რომ წააწყდებოდნენ, ხოცავდნენ. ვახტანგ მეფემ სომხითისა და სპარსელების მოლაშქრეებს მოუწოდა, რომ არავინ მოწესეთაგანი არ მოეკლათ, არამედ ტყვედ აეყვანათ. მან მათ მიმართა:

„როცა პაპაჩემი მირიანი თავის ძმისწულს, სპარსელთა მეფეს, ბერძნებთან საბრძოლველად შემოჰყვა, [ისინი] ასევე ექცეოდნენ მოწესეებსა და ეკლესიის მსახურებს, ამიტომ მათი ურიცხვი ლაშქარი საშინელი მარცხით იქნა ძლეული მცირე ლაშქრის მიერ. იმ დროიდან წაგვართვეს ზღვის აღმოსავლეთით ეს ტერიტორია ბერძნებმა ჩვენ, ქართველებს. პირველი მეფეების ბრძოლა ანძიანძორში იყო, სადაც ამჟამად დიდი მოძღვრის, გრიგოლის საფლავია. იქიდან გამოდევნეს ჩვენი მეფეები. ხოლო ჩვენ ათი დღის სავალი გამოვიარეთ, ჩრდილოეთით მოვექეცით. ჩვენც ბერძნების რჯულზე ვართ ქრისტეს აღმსარებელნი, რომელიც ყველას ჭეშმარიტი ღმერთია.

„ან არ გსმენიათ სასწაულების შესახებ, რომლებიც ჯვრის წაძღოლით ჩაიდინეს მეფე კონსტანტინეს დროს, ან იმ სასწაულების შესახებ, რომლებიც ბერძენთა ქვეყანაში მოხდა კერპთმსახური მეფის ივლიანეს დროს? როგორ მოკლა იგი ზეცის ისარმა? შეიკრიბნენ ბერძენი მხედრები და მეფედ ივბიმიანოსი გამოაცხადეს. ხოლო მან არ იტვირთა [მეფობა], სანამ არ შემუსრეს კერპები და არ აღმართეს ჯვრები. მხოლოდ ამის შემდეგ დაადგეს [161] მეფის გვირგვინი. უფლის ანგელოზმა აიღო გვირგვინი და დაადგა თავზე ივბიმიანოსს, ჭეშმარიტ მეფეს. ზეციდან მოისმა ხმა, რომელმაც სპარსელთა მეფეს ხოსროთანგს აუწყა: „მოერიდეთ ბრძოლას ივბიმიანოსთან, რადგან ჯვრის ძალით უძლეველია იგი“. ამის შემდეგ მეფე და ხოსრო მოყვარე შეიქმნენ, ვიდრე ორივე არ გარდაიცვალა.

„ან თქვენ, სომხითის მკვიდრებს არშაკუნიანებს, ბივრიტიან პიტიახშებს, არ გახსოვთ გრიგოლ პართეველისა და მისი მოწინააღმდეგეების, თრდატ არშაკუნიანი მეფის საქმეები — როგორ დასცა ამპარტავნობის გამო და ტახად იქცა იგი? მაგრამ გრიგოლმა მოაქცია და იმ დროიდან იგი ეკლესიათა მშენელი გახდა. თრდატმა, რადგანაც იგი გმირი(ღონიერი) იყო, თავისი ზურგით ააშენა დიდი ეკლესია. ხოლო თქვენ, ქართლის მკვიდრნო, ქართველი მეფეების მოდგმავ, რომელნიც დღეს საგანმგებლოდ ხართ დაყენებული ჩვენგან, მეფეებისგან, რომლებიც ნებროთ გმირის შთამომავლები ვართ, რომელიც ყველა მეფეზე უწინარეს გამოჩნდა ქვეყანაზე, რომელიც ლომს თიკანივით აბამდა, კანჯარსა და ქურციკს ქვეითად იჭერდა. მისი ძლიერება ისე გაიზარდა, რომ ნოეს ყველა მოდგმა მას დაემორჩილა. შესძლო აეგო ქალაქი, რომლის ქვებისთვის ქვა ოქროდ შექმნა, სართულებად —ვერცხლი, გარემო შემოზღუდა აგურითა და კირით, კარებისა და სარკმელების თავები იაკინთისა და ზურმუხტისაგან გააკეთა ისე, რომ მათი სინათლისგან ღამით არ ბნელდებოდა. შიგნით ისეთი ტაძრები და კოშკები ააგო, რომ თქვენთვის წარმოსადგენად შეუძლებელია. თითოეულისთვის წარმოუდგენელია მისი სიბრძნე, რომელიც მას მიეცა, სანამ სამი დღის სავალზე აღმართავდა ზღუდეზე ასასვლელ კიბეებს. (!). სურდა, რომ ცაზე ასულიყო[162] და ცის არსებანი ეხილა. როგორც კი გაიარა ჰაერის საზღვარი და ვარსკვლავების საზღვრებში შევიდა,

მშენებლებს გაუჭირდათ საქმიანობა, რადგან ოქრომ და ვერცხლმა დნობა დაიწყო იმის გამო, რომ იქიდან მოდის ცეცხლოვანი ეთერის ხელმწიფება(ძლევამოსილება, მგზნებარება), რომელიც სამყაროს მოძრაობის გამო ძლიერად გიზგიზებს. იქიდან შემოესმა ზეცის შვიდი გუნდის სიტყვები, რომლის გამო აირივნენ ადამიანები. და ყოველი ადამიანი თავისი მოდგმით თავის ენაზე მეტყველი გახდა. არ ემორჩილებოდნენ ერთმანეთს თავისი მოყვარეების წინაშე(ურთიერთს არ ერჩოდნენ თავიანთი მოყვასის წინაშე) (!) და წავიდნენ (გაიფანტნენ)..

ნებროთს სპარსულ ენაზე უთხრა: „მე ვარ მიქაელ ანგელოზი, რომელიც ღმრთის მიერ დაყენებული ვარ აღმოსავლეთის გამგებლად. წადი მაგ ქალაქიდან, რადგან ღმერთი ფარავს მაგ ქალაქს სამოთხის გამოჩენამდე, რომელიც შენი აშენებულის მახლობლად დგას, რომელთა შორის არის ეს მთა, რომლისაგან ამოდის მზე და გამოდის ორი მდინარე: ნილოსი და გეონი. გეონს სამოთხიდან გამოაქვს სურნელოვანი ხე და ბალახი, რომელიც შეეზავება მუშკს. ახლა წადი, დაჯექი ორი მდინარის, ევფრატისა და ჯილას, შუა და გაუშვი ეს ხალხები, ვინ სადაც ინებოს, რამეთუ უფლის მიერ არიან წარვლენილი. ხოლო შენი მეფობა ყველა მეფეზე მეფობდეს (ვრცელდებოდეს), . უკანასკნელ ჟამს მდაბიო ერთან მოვიდეს ცის მეუფე, რომლის ხილვაც შენ გსურს,. მისმა შიშმა გაფანტოს ამქვეყნიური სიამოვნებანი, მეფეებმა ხელი აიღონ მეფობაზე და ეძიონ სიგლახაკე. მაშინ ღმერთმა გიხილოს შენ გაჭირვებაში და გიხსნას.“

ყველამ მიატოვა ქალაქი და წავიდნენ. ინდურად მოლაპარაკენი დასტოვა ინდოეთში, სინდნი — სინდეთში, რომაელები — რომში, ბერძნები — საბერძნეთში, [163] აგი და მაგუგი — მაგუგეთში, სპარსელები — სპარსეთში. ხოლო პირველი ენა ასურული იყო. ეს არის შვიდი ენა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ნებროთამდე. იმიტომ მოგიყევი, რომ ჩვენს მამებს ეს წიგნი ფარულად ჰქონდათ. მე საღმრთო მისწრაფებამ მათქმევინა ეს, ამის გამო ჩვენმა მამამ, მირიანმა, ნინოს მეოხებით შეიწყნარა ქრისტეს სახარება.

ჩვენი მამები ქრისტეს მოსვლამდე არ იღებდნენ ხარკს და მას შემდეგ დავუძლურდით, რაც ბერძნები მიღმართ (იქით)(?) იბრძვიან? მან ნებროთი ჯოჯოხეთში იხილა და გამოიხსნა: იგი ყველა მეფეზე პირვე-

ლია. დანიელიც ემოწმება, რომ მიქაელი სპარსელების ძალად არის დაყენებული. თქვენ, ყოველმა ქართველმა, იხილეთ ეს სასწაული, რომელიც მოიმოქმედა ნინომ. ან გგონიათ, რომ ღმერთმა ბერძნები გასწირა? სპარსელთა ქვეყნის უმეტესი მათ არ შემუსრეს? დღეს მეექვსე თვეა, რაც ჩვენი ლაშქრობის ამბავი გაიგეს. კეისარი მობრუნდა, რადგან გააგებინეს ჩვენი შემოსვლა და ახლა მოახლოებულია ჩვენთან საბრძოლველად. ამიერიდან ყველა ჯურის მოდგმა უფალ ღმერთს ემსახურეთ და ეკლესიას ზიანს ნუ აყენებთ."

როგორც კი წარმოთქვა ეს ყველაფერი, მაცნე გააგზავნა, რომ ყველანი გამოსულიყვნენ თავიანთი სამალავებიდან, ტყვები გაენთავისუფლებინათ და სადაც უნდოდათ, იქ წასულიყვნენ. მღვდლების, დიაკონების, მოწესე მონაზვნების და მონაზონი ქალების დიდი სიმრავლე გამოვიდა გამოქვაბულებიდან, მთებიდან, უმრავლესობა პონტო ქალაქიდან, რადგან ქალაქი ოთხი თვე იყო შევიწროებული.

მათ შორის იყო ორი კაცი: პეტრე მღვდელი, გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთი მოწაფეთაგანი (რადგან მის საფლავზე ეწეოდა მღვდლის მსახურებას) და სამუელ მონაზონი. [164] წარდგნენ ვახტანგის წინაშე, რომ მადლობა ეთქვათ ტყვეების გაშვებისათვის, ეკლესიებისა და მღვდლების განთავისუფლებისათვის და როცა ლოცვა წარმოთქვეს, მოეწონა მეფეს და მოიკითხა ისინი. უბრძანა ყველა ტყვეს და მოწესეს, მის მიერ გაშვებულ დავრდომილებს შემოსულიყვნენ, რადგან ყველა დავრდომილი ქალაქიდან გასული იყო. უძლურებს სახედრები მისცა, ახალგაზრდებს — სამ-სამი დრაჰკანი და გაუშვა, პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი კი თავისთან დაიტოვა.

როცა მოლაშქრეები თავიანთ კარვებში წავიდნენ, მეფე სავახშმოდ შევიდა. მეფემ მიმართა პეტრეს: „ღმერთს მოეწონება ეს ჩემი საქმე, რომ ეკლესიები დავიცავი და ტყვეები გავუშვი?".

პეტრემ ჰკითხა: „მე, შენმა მონამ, შენთან თამამად ვილაპარაკო, თუ სიცრუის ქება მოგიძღვნა?"

მეფემ უთხრა:" თქვი, რადგან არაფერს ვეძებ, მხოლოდ მხილებას, რათა სიცრუეს განვერიდოთ".

პეტრემ უთხრა: „ხორციელი ეკლესია უფრო აღმატებულია ღვთის წინაშე, ვიდრე ქვის ეკლესია. ქვის ეკლესია ოდესმე დაიშლება და იმავე

ქვით ააშენებენ. ხოლო ხორციელი ეკლესია როცა დაიშლება, ვერავინ ვერ შეძლებს მის განკურნებას, ვერც მკურნალი, ვერც მეფე. რამდენი მართალი კაცის სხეული დაგიცია, რასაც ამბობს აბელის სისხლის შესახებ: ყოველი სისხლი ნოეს წარღვნით განიწმიდა. ზაქარიას, ბარუქის ძის, სისხლისთვის ყოველგვარი შეურაცხება მიაგო ებრაელებს, როგორც ამბობს ესაია: „აიღე და ტიტოს და სპასიანოსის ხელით წარწყმიდე ყველა მათი ვაჟი (წული).“ ან არ ამოგიკითხავს მოსეს წიგნებიდან, როცა ისრაიტელმა ისიძვა უცხო ტომელთან, რამდენი სული მოკვდა იმ ერთი სიძვის გამო? ახლა შენი მხედრობის მიერ რამდენი ქალწული, ტაძარი ღმრთისა, არის გახრწნილი.?

[185] მეფემ უთხრა: „ვერ ხედავ, როგორ იყო ივბიმიანოსი ეკლესიების დასაცავად უკეთურ ივლიანესთან? თუ კაცი დაბრკოლდება (წაიფორხილებს), უმჯობესია, სრულიად (სულ?) დაეცეს“.

პეტრემ უთხრა: „დაბრკოლებულს კი არ დაგცემ, არამედ დაცემულს აღგადგინებ, როგორც დავითი [აღდგა] ურიის საცთურებისგან. არ მინდა, რომ იყო კაცი, რომელიც მარჯვენათი აკეთებს, ხოლო მარცხენათი —ანგრევს, არც ისეთი, რომლებიც ენით აკურთხებენ, გულით კი წყევლიან და აგინებენ, არამედ იყო, როგორც კეთილად მოხსენებული მეფეები, რომელთაც ეს ქვეყანა (წუთისოფელი)(!) დაიპყრეს და სასუფეველს არ განშორებიან: დავითი, სოლომონი, კონსტანტინე, ივბიმიანოსი და ყველა მათი მსგავსი. რა მსგავსებაა შენსა და ივბიმიანოსს შორის? ვინ არის შენი უფალი, რომ მისი ხმალი შენს კისერზე იყოს, როგორც ივლიანესი — ივბიმიანოსის [კისერზე]? ან შენ სად შეგხვდა ესოდენი ზიანი, რაც ივბიმიანოსს — ივლიანესგან? ვის ხედავს ღმერთი, რომელიც შენს უფლად გახადა და შენს სიმართლეზე ღმერთთან ჰქონდეს პასუხი? შენ არ გაგხადა ყველა ამათი უფალი და ყველანი შენ არ დაგამორჩილა? ამიერიდან გამოითხოვოს ღმერთმა ყოველი ბოროტი საქმე, შენი ხელებით ჩადენილი და მიგაგოს, თუ არ მოინანიებ.“

მეფემ უთხრა: „თავის მართლება მინდა, მაგრამ შენ სიმართლით დამსაჯე ჩემი უმსჯავროების გამო“.

პეტრემ მიუგო: „ვინაიდან შეწყნარების გზაზე დადექი, შენი ცოდვა განგეშორა შენ. ხოლო ახლა გეტყვი შენს გულისთქმას: უმეცრებამ კი არ გიბიძგა ღმრთის შვილების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ

შენი ნათესავი სპარსელების მიშველების მიზანმა. არ იცი, რომ ბერ-ძნები ღმრთის ხალხია იმ აღთქმის მიხედვით, როცა მათ ღმრთის შვილები უწოდა და მისცა მათ ბეჭედი, რომლითაც შემუსრა ჯოჯოხ-ეთი. და არის იგი ჯვარი.

[166] მეფემ ჰკითხა: „ახლა რა გნებავს?“

პეტრემ მიუგო: „მინდა, რომ შენს მიერ აღგზნებული ეს ცეცხლი შენვეჩააქროდა კეისრის მეგობარი გახდე, როგორც აქამდე სპარსელთა {მეგობარი] იყავი“.

მეფემ მიუგო: „მინდა, რომ ამ ღამეს თქვენი ლოცვით მიჩვენოთ კეისარი და მე, ერთად შეკრებილი და რომ განზრახულია ჩვენს შორის სიყვარულის არსებობა და გავიგო, რომ ქრისტეს ნებაა ჩემს მიმართ შენს სიტყვებში”.

პეტრემ თქვა: „მძიმეა ჩემს მიმართ შენი თხოვნა, რადგან ეს არის რჩეული ადამიანების საქმე, რომლებიც ანგელოზის მსგავსნი არიან თავიანთი სრულყოფილი საქმეებით. ისინი ამ კლდეებში არიან და მათ შეუძლიათ იმგვარი საქმე, რასაც შენ ითხოვ. მომეცი დრო, რომ წავ-იდე და შევევედრო მათ, გადავცე შენი ბრძანება და მათი ლოცვით აღ-სრულდეს შენი განზრახვა. შეურაცხად მიგვაჩნია ჩვენი თავი, რადგან ცოდვილები ვართ. ვაითუ თავხედობად მოეჩვენოს ღმერთს.“

სამოელ მონაზონმა შერისხა იგი და თქვა: „მღვდელო, ღმრთის საქმეზე, როგორც ადამიანთა საქმეზე, ისე ლაპარაკობ. არ წაგიკითხ-ავს, ღმერთი რას ეუბნება პალეკარპოსს: ანგელოზები ადამიანების სათნოებისათვის რომ არ ბრკოლდებოდნენ,(!), ყოველ ქალაქში ჯვარს უნდა ვეცვა, რომ ყველა ვაცხოვნო? ან ისრაელის მეფე აქაბი ქრისტიანეთა მეფეზე უფროსია, რომელსაც ამბობს ესაია: ნიშანი ითხოვე ან სიმაღლეში ან სიღრმეში. და ამიტომ თქვა: ქალწული მი-უდგეს (დაორსულდეს)?. ან ვინ უთხრა ისრაიტელს: რაც ითხოვო ჩემი სახელით, მოგეცეს? ისომ უთხრა ცის სამყაროს: „მობრუნდი“ და იგი სამ ნაჭდევზე მობრუნდა. შენი სიმდაბლის სიტყვა კარგია, პე-ტრე, მაგრამ შემაფერხებელია მცირედ მორწმუნე კაცთათვის. შენ კი, მეფეო, ცოტა შეგვეწიე სარწმუნოებით, რომ ამ გაჭირვებული ქალაქის ლოცვამ ყოს ნება შენი.“ და წმინდანები თავიანთ სამყოფელ-ში წავიდნენ [167]. მეფემ დიდხანს ილოცა და დაწვა. როცა მიერულა,

მოვიდა დედაკაცი, რომელიც წმინდა ნინო იყო და თქვა: „ადექი, მეფევ, და კრძალვით შეეგებე, რადგან ორი მეფე — ზეცისა და ქვეყნისა — მოდის შენთან“. მიიხედა და პირველად ნახა ქალაქი (ქალი!), როგორიც არის კონსტანტინესი. სწრაფად მიუახლოვდა და იხილა ორი ტახტი, ერთზე იჯდა საჭურვლიანი, გვირგვინოსანი ჭაბუკი. მეორე ტახტზე იხილა სპეტაკი ზეწრით მოსილი მოხუცებული, თავზე ოქროსი კი არა, ნათლის გვირგვინი ედგა, ფეხებთან იჯდა ნინო. ვახტანგის მარჯვენა ხელი ეპყრა პეტრე მღვდელს, მარცხენა — სამოელ მონაზონს. სამოელმა უთხრა: „პირველად თაყვანი ეცი გრიგოლს, ზეცის დიდ გამგებელს (!) მთავარს“. მივიდა და თაყვანი სცა. გრიგოლმა თქვა: „ეს რა ბოროტება ჩაიდინე, კაცო, რომ მოაოხრე ჩემი ბანაკი (ქვეყანა) და მხეცებს შეაჭამე ჩემი ცხვრები. ეგ ორნი რომ არა, გვერდით რომ გიდგანან და რომ არა ეს სათნო დედაკაცი, მარიამთან ერთად მარადის რომ იღვწის თქვენთვის, შურს ვიძიებდი შენზე, როგორც შენს მამაპაპებზე, რომელნიც შემწველ ცეცხლს ეთაყვანებოდნენ და არა ყოველივეს განმანათლებელ ბრწყინვალებას“. ხელი გაუწოდა და ეამბორა, თითქოს ხელი მიჰყო ნათლის გვირგვინს, თითქოს ეგევითარივე გვირგვინი მისცა ვახტანგს და უთხრა: „დაადგი ეს პეტრეს“. პეტრემ აიღო იმ გვირგვინზე თითქოს შედარებით უდარესი და დაადგა სამოელ მონაზონს. ნინომ უთხრა ვახტანგს: „მიდი მეფესთან და მიიღე შენი საჩუქარი.“ მივიდა მეფესთან, ერთმანეთი გადაკოცნეს, [მან] თავის ტახტზე ადგილი მისცა და გვერდით მოისვა. თავისი ხელიდან მისცა ბეჭედი ძალზე კაშკაშა თვალით. კეისარმა უთხრა: „თუ გნებავს, რომ გვირგვინი მოგცე, აღუთქვი იმას, ვინც ჩვენს ზემოთ იმყოფება, რომ იბრძოლებ მისი მტრების წინააღმდეგ [168] და მიიღე მისგან გვირგვინი“. ვახტანგმა მოიხედა და იხილა ჯვარი, რომელსაც ფრთებზე ედგა გვირგვინი. ჯვარის ხილვამ დიდად შეაძრწუნა, რადგან საშინელი შიში შეუდგა. იგი დადუმდა. ნინო წამოდგა, მიიხედა პეტრეს და სამოელის მხარეს და ერთხმად თქვეს: „ოი, უძლეველო ჯვარო, ჩვენ ვართ თავმდები, რომ ყველაზე უმეტესად წარემართება“. კეისარმა ხელი გაიშვირა, ჯვრიდან გვირგვინი აიღო და თავზე დაადგა ვახტანგს.

გამოვიდნენ. ეპისკოპოსმა თითქოს სამგზის გაიღო ხმა და თქვა: „ვახტანგ, ვახტანგ, ვახტანგ! სპარსელთა ყველა ტომში ყველაზე

მეტად მორწმუნე იქნები“. მეორედ: „შენ მიერ აშენდება ეკლესიები, განწესდებიან ეპისკოპოსები და მთავარეპისკოპოსი“. და მესამედ: „წამების გვირგვინს მიიღებ“. გამოვიდა, ძილშივე თითქოს იხმო პეტრე და სამოელი და უყვებოდა ძილში ნანახ ჩვენებას. იგინი უხსნიდნენ: „რომელიც ტახტზე იხილე გვირგვინოსანი ნათლით, იგი დიდი მოძღვარი გრიგოლია. მან რაც მომცა მე თავისი გვირგვინისაგან, მთავარეპისკოპოსობა მომცა, ხოლო რაც ჩემი გვირგვინისაგან მივეცი ჩემს ახლობელს, ჩემ მიერ ეპისკოპოსი იქნება. ოქროს გვირგვინით შემკული ვინც ნახე, კეისარია. ბეჭედი რომ მოგცა, თავის ასულს მოგცემს შენ, ქართლის მთელ მიწა-წყალს, მის მიერ წაღებულს, უკან დაგიბრუნებს. ხოლო ჯვარზე გვირგვინი რომ მოგცა, ჯვრის წყალობით დიდი ღვაწლი უნდა გადაიხადო. ხოლო ჩვენმა მოძღვარმა სამგზის რომ გიხმო, სამი წყალობა ითხოვა ღმრთისაგან: შენი დახმარებით ქართლის კათალიკოსებმა და ეპისკოპოსებმა ჭეშმარიტება გაამყარონ. სძლევდე მტრებს შენი აღსასრულის დღეებამდე. ხოლო აღსასრულისას ბრძოლაში წამების გვირგვინი მიიღო, მტრის ხელში არ ჩავარდე. ყოველივე ეს აღსრულდეს შენს მოუძლურებამდე და სიბერემდე“.

[169] როცა ვახტანგ მეფემ გაიღვიძა, მადლობა შესწირა ღმერთს, რომელმაც ყოველივე გამოუცხადა. სასწრაფოდ იხმო პეტრე და სამოელი და ჰკითხა მათ: „რა იხილეთ“? მათ უპასუხეს: „ამბობდი, (იტყოდე) (!) მეფეო: ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ ვიდექით, როცა შენ ტახტზე მსხდომარე კეისრისა და ღმრთისმეტყველის წინაშე იდექი. და კიდევ, ჩვენი დედოფალი ამშვიდებდა შენზე გამწყრალ მოძღვარს და შენს თავს ავედრებდა.“

მეფემ უთხრა მათ: „დადუმდით, წმინდანნო, რადგან ყოველივე ჩემთან ერთად გიხილავთ. ახლა როგორ გინდათ [გადაწყდეს] ამ ქალაქის საქმე, რომლის შემუსრვა არის გადაწყვეტილი? ან რა ვუყოთ ტყვეებს, რომლებიც ჩვენს ხელთ არიან და მრავალ ათასზე მეტნი არიან? ახლა სწრაფად წავიდეს მაცნე: სპარსელთა მეფე წამოსულია ჯაზირეთის ქვეყანაში, გამოიარეს ფილისტიმი კეისრის მეფის კვალზე, რომელმაც მოაოხრა სპარსელთა ქვეყანა. სპარსელთა მეფემ ვერ გაუძლო ბრძოლას. კეისარი, როცა მან შეიტყო, რომ ჩვენ მოვედით მათ ქვეყანაში, გამოეშურა ჩვენთან საბრძოლველად. ვხედავთ, თითქოს

სპარსელთა მეფე მოდის ჩვენ შემწედ. ვიცით, რომ სპარსელთა ლაშქარი სომხითისა და ქართლის ლაშქარზე უფრო მრავალია. ჩვენს შორის არავინ არ არის ჭეშმარიტი მორწმუნე. რაც ჩვენმა მამამ მირიანმა და ჩემმა დედით ნათესავმა თრდატმა დანერგეს, ამათი ყველასი სარწმუნოება ვიცით, საცთურებით სავსე არიან. ვაითუ, ჩემი საქმის გამჟღავნებისას ჩემი დედის ძმა გაწყრეს, ერთმანეთს დავეტაკოთ და ჩვენი მტრების დასაცინი გავხდეთ. ამიტომ ასე ვიზამ: თითქოს ჩემი ლაშქარი მოვიდა, მაგრამ მაუწყეს კეისრის მოსვლა და ამის გამო უკუ ვიქეცით [170]. როცა კეისარი მოვა და მოგვეახლება, პირველადვე ეს საქმე შევატყობინოთ. მაშინ, როგორც შენმა სიწმიდემ მოიფიქროს, ეგრე ვქნათ და არ დააკლდება არც ერთი მის ტყვეთაგანი“.

პეტრე კეისართან წავიდა, ხოლო სამოელი მეფესთან დარჩა. მეორე დღეს დესპანი მოვიდა და მეფეს შეატყობინა, რომ ბერძენთა ლაშქარი შემოვიდა კონსტანტინეპოლში. მეფე ვახტანგმა იხმო თავისი დედის ძმა და ყველა მეფე და ჰკითხა: „რას იტყვით, რადგან იცით ბერძენთა ლაშქრის სიმრავლე, მათი ბრძოლის ხრიკები, ზღვაზე ნავებით სიმარჯვე. აგერ შევიდნენ ისინი სპარსეთში, გმირთა და გოლიათთა ქვეყანაში და მათ წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ახლა შიში მაქვს, ვაითუ, ლაშქარი ნავებით მოვიდეს, გზა დაიკავონ და როგორც ბაკში, ისე მოგვამწყვდიონ. ამიტომ აქედან ავიყაროთ და ზღვასთან დავიბანაკოთ სომხითისკენ, რომ ჭირისა თუ ლხინის გზა გვქონდეს“.

ლაშქარი ქალაქის გარშემო აიყარა, გაიარა სომხითისკენ ხუთი დღის სავალი და სპერის მხარეს დადგა. გამოვიდნენ სიკვდილს მიტანებული ქალაქში მყოფნი, მადლი მიაგეს ვახტანგს და ძღვნად ათასი ლიტრა ოქრო და ხუთასი თავი სტავრა მისცეს. ხალხი მშვიდობიანად გამოვიდა სავაჭროდ და საზრდოს საშოვნელად.

როცა პეტრე მეფე კეისართან მივიდა, ყოველივე შეატყობინა. კეისარმა ფრიად გაიხარა და რაც კი სიზმარში ეხილა, ყველაფრის ნება მისცა ვახტანგს. გამოაგზავნა მღვდელი პეტრე და აღთქმით და ძლიერი ფიცით ამცნო, რომ მისი მეფობის თანასწორი იქნება. ამიტომ ორივე ლაშქარმა დაამარცხონ სპარსელები, რომელნიც ახლდნენ ვახტანგს, არ გავიდნენ თავიანთი საბრძანებელიდან, როცა შეიკრიბებიან ვახტანგი და იგი. ვიდრე პეტრე [171] და მოციქულები ვახტანგთან მოვ-

იდოდნენ, კეისარი შემოვიდა კონსტანტინეპოლში და ხუთასი დრომონი გამოაგზავნა, რომელშიც ხუთას –ხუთასი კაცი იჯდა. უბრძანა, რომ ხლებოდნენ ვახტანგს და ბრძოლის გარეშე დამდგარიყვნენ. კეისარი რვაასი ათასი კაცით გამოემართა პონტოს გზაზე. როცა ზღვის ლაშქარი მოუახლოვდათ, სპარსელებს უნდოდათ მათთან შებრძოლება, მაგრამ მეფე აკავებდა და საბრძოლველად არ უშვებდა.

როცა კეისრის მოციქულმა და პეტრემ ძღვენი მოართვეს, [პეტრეს] ჰქონდა საიდუმლოდ [სათქმელი] და ასევე ჰქონდა საჯაროდ [სათქმელი] სიტყვა. მან სხვების გასაგონად თქვა: „ნუ გარბიხარ, იდექი ჩემს მოსვლამდე, რათა გავწყვიტოთ შენთან მყოფი სპარსელები, რომლებიც სპარსეთში ჩვენი შესვლის დროს ცოცხლად გადაგვირჩნენ“.

გარიგების ნიშნად მას საიდუმლოდ მოართვეს ჯვარი და გვირგვინი, ტანისამოსი, და თქვა: „როცა გავერთიანდებით, მოგცემ თუხარისის ციხეს და ქართლის მიწა-წყალს“. ვახტანგ მეფემ ყველას გასაგონად უპასუხა: „სხვა მიზეზით არ მოვსულვართ აქ, არამედ შენთან საბრძოლველად. ახლა მოდი აქ, თუ არა, ჩვენ მოვალთ კონსტანტინეპოლში“. ფარულად კი გააგებინა: „რომელიც შენს ღმრთისმოყვარეობას არ შეშვენის, რასაც შენ არ იზამ, სხვას ნუ აქეზებ, რადგან დაუნდობლობა არ შეჰფერის პატიოსან კაცს. სპარსელები შენ რომ ჩაგიგდო ხელში, სახელი არ გამიტყდება? მრავალ მათგანს ჩვენზე უფრო დიდი სიყვარული აქვთ ქრისტეს მიმართ, მაგრამ შიშის გამო ვერ ამჟღავნებენ. ახლა ბრძანე, რომ ეს საქმე მშვიდობიანად დავამთავროთ, როგორც ივბიმიანოსმა და სპარსელებმა. ამის შემდეგ, როცა ჩვენი საქმე გადაწყდება, იმათ უფრო მარჯვედ ჩაგიგდებ ხელში. თქვენი მხრივ ნუ იქნება უღირსი საქმე, ნუმც არეულობა, რომ მახვილის პირით არ დაეცეს თქვენი ხალხი, რადგან თქვენები გათამამებულები არიან სპარსელებზე [172] გამარჯვებით, ხოლო სპარსელები შეშინებულები არ არიან, თქვენზე დაბოღმილები ბრძოლას ესწრაფიან: ან მოკვდნენ, ან შური იძიონ თავიანთი [დაღვრილი] სისხლისთვის. თუ შენი მოლაშქრეები იქით შეებრძოლებიან, მე უბრალო ვიქნები.“

მასთან მოციქულად წავიდნენ ვარაზ-მიჰრი, მისი მამამძუძის ძმა და სამოელ მონაზონი. კეისარი მოახლოვებოდა ქალაქ პონტოს, პონტოელები გამოსულიყვნენ მის შესახვედრად, ქებას ასხამდნენ და ვახ-

ტანგ მეფეზე მადლობას ეუბნებოდნენ, რომ მოერიდა მათ და სასიკვდილოდ არ გაწირა. როცა ვახტანგ მეფის მოციქულებმა ქალაქს მიაღწიეს, ძღვენი მიართვეს ათასი მუთაკალი მუშკი, ხუთასი ამბრი და ათასი ლიტრა ალვა. მეფე ვახტანგის ერთი გუნდი საალაფოდ იყო გასული. მათ ბერძენმა ქვეითოსნებმა და სოფლებსა და ქალაქებში შეკრებილმა ცხენოსანმა მხედრებმა, რიცხვით სამასმა ათასმა, შეუტია.

ვახტანგ მეფე მეალაფე ლაშქარს ძალადობისგან აკავებდა, სანამ მასთან არ მივიდა მისი ბიძა, სპარსელთა ერისთავი და რისხვით მიმართა ვახტანგს: „ო, შე გველო და ასპიტის ჯიშო! არ იცი, რომ მამაშენის დედა ბერძენი იყო, ივბიმიანოსის ნათესავი? შენში მამაშენის დედის ბუნებამ იმძლავრა. ჯვარცმული გარდაცვლილი კაცის სიყვარულს ატარებ და ჩვენი ბერძნების ხელში ჩაყრა გინდა“. ვახტანგმა მიუგო: „აჰა, შენ და ბერძნები, ნახავ მაგ გარდაცვლილი კაცისა და შენი ცოცხალი იმედის ძალას!“. ჩაჰბერეს საყვირს და გავიდნენ [საომრად] მთელი სომხითი, სპარსელები და დარუბანდის მეფე. ხოლო [173] ვახტანგ მეფე და ქართველები სამზერად გავიდნენ და დადგნენ. მეფე თეთრ სპილოზე შეჯდა და შემოეწყვნენ ზღვის ნაპირს, რომელიც ჭალაა, ხერთვისის რიყე. სპარსელთა ლაშქრის მისლვამდე ბერძნებმა ოცდაშვიდი ათასი სპარსელი დახოცეს. ბრძოლა გაძლიერდა. მოკლეს ვახტანგის ბიძა, სპარსელთა ერისთავი. მოკლეს იპაჯაჯი, ლეკთა მეფე და მრავალი ერისმთავარი. დამარცხდა აღმოსავლეთის ბანაკი. ბერძენთა სპასალარი იყო პალეკარპოს ლოღოთელი, მეფის დისწული. იგი ძლიერი იყო, მას მოეკლა სპარსელთა ძლიერი მებრძოლები, ეს ერისთავიც მან მოკლა.

ვახტანგი ეტლიდან გადმოვიდა და წარმოსთქვა: „არა რომელიც ჩვენ გვინდა, არამედ რომელიც ღმერთს ენება. ჩვენ მშვიდობაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ სპარსელთა კადნიერებამ განარისხა ღმერთი და ღმერთმა შური იძია. მოკლეს რანის ერისთავი, რომელსაც მთელი სპარსეთი სპარსეთის მოოხრებასავით იგლოვს. ახლა სპარსელთა თავხედობა დაცხრა, მოიღეთ ჯვარი და წავიმძღვაროთ, რათა რითაც გვძლევდნენ, მითვე იძლივნენ. იყავით ძლიერების ძენი და ერთმანეთს ნუ ებრძვით სხვისი წაქეზებით. ნუ ეძებთ მტრების დამარცხებას, არამედ თქვენი ხელები იყვნენ, ვითარცა ჩემი ხელები, რათა სრულიად არ დავ-

მარცხდეთ. მხოლოდ აქ კი არ ვდევნოთ, არამედ ვიდრე ადარბადაგანამდე, როგორც ყორნები იდევნებიან თავიანთი მართვეების მიერ.“

პეტრე მღვდელმა მოაბრძანა ჯვარი, მეფემ თქვა: „დადექ მტრისა და ჩვენი ხალხის წინაშე და უთხარი ყველას : თაყვანი ეცით ჯვარს და [174] ვსძლიოთ მტერს, ვინც თაყვანს არ სცემს, მოკალით“. დემეტრეს, თავის ერისთავს და ჯუანშერ სპასპეტს უბრძანა, რომ ჯვარს გაჰყოლოდნენ. მაცნე ხმამაღლა იუწყებოდა: „ვინც ჯვარს თაყვანს არ სცემს, მოკვდება.“ მიდიოდა ხალხი, თაყვანს სცემდნენ და ჯვრის წინაშე დგებოდნენ. ბორზო მოვაკნელმა მეფემ თქვა: „არ მივატოვებ შემწველ(ბრწყინვალე)(!) ნათელს, თაყვანს არ ვცემ ფუტურო ძელს, რომელიც ოქროთი და ანთრაკით არის შემკული“. ჯუანშერ სპასპეტმა ჰკრა მახვილი, მისი მძორი ძირს დაეცა. მას შემდეგ ვერავინ გაბედა ჯვრის გმობა. ერი აღთქმას აძლევდა ვახტანგ მეფეს: „თუ ჯვარი შეგვეწევა, ჩვენ არ გვეყოლება სხვა ღმერთი, გარდა ჯვარცმულისა“.

მეფე ცხენიდან გადმოვიდა, თაყვანი სცა მას და მასთან ერთად მთელმა ხალხმა. მეფემ თქვა: „უფალო ღმერთო, აჩვენე ამ ურწმუნო ერს შენი ძალა, რომ სარწმუნოებაზე მოიყვანო შენი მორწმუნენი.. რომც მოკვდნენ, მაინც ცოცხალი არიან და შენგან ცხოვნებულნი ძლიერნი არიან. ბერძენთა ლაშქარი როგორც ელვა გამოენთო. პალეკარპოსი, როგორც სისხლით ამოთხვრილი მგელი და გამძვინვარებული ლომი, მოჰყიოდა და შეურაცხ-ყოფდა მოლაშქრეებს. მეფემ თქვა : « ვინ არის თქვენ შორის კაცი, რომელიც იმას შეებრძოლება და ჩემი მეფობის სწორი იქნება“? მაცნე ორგზის გავიდა. ვერვინ გაბედა სიტყვის თქმა.

ვახტანგ მეფისა და პალეკარპოს ბერძენთა სპასპეტის ბრძოლა და ვახტანგის მიერ პალეკარპოსის მოკვლა

მაშინ ვახტანგმა თქვა: «ადამიანი თავისი ძალით კი არ არის ძლიერი, არამედ ღმერთი აძლევს მას ძალას. მე ვევედრები შენს ძალას და როგორც დავითი, გავალ ჯვრის სასწაულით. [175] მომეცი ძალა, როგორც დავითს გოლიათზე, რადგან ეს უკანასკნელიც ყვედრებით

და შეურაცხებით მოეკიდა შენს ჯვარს. როცა იხილა აღმართული ჯვარი ჩვენს შემწედ, არ გაექცა მას, არამედ მისი ძალის იმედით გავიდა საბრძოლველად “. თქვა : « ღმერთო, იხილავ ამპარტავანს და დაამდაბლებ, ასევე იხილავ გაჭირვებულს და იხსნი მას. მას [პალეკარპოსს] არაფრად ვაგდებ და არც მეშინია, რადგან დიდია შენს მიერ მოცემული ძალა, რომლითაც ვსძლევ მას. მე შენი შიში მაქვს. რადგან მდაბალთა ხმებს ისმენ, შენ მოგიწოდებ ჩემს შემწედ“.

იძრო ხმალი, ამთხვია ჯვარს, გავიდა მებრძოლთა შორის და თქვა: «ლომი არ ებრძვის ხარს, რადგან მე მეფე ვარ და შენ მონა, მაგრამ სიმდაბლით დავდებ თავს ამ ხალხისთვის, რათა ირწმუნოს ჯვრის ძალა“. შეუტია პალეკარპოსს. ვახტანგი დინჯად და დაჯერებით უახლოვდებოდა. ორივე მებრძოლმა შიშის დამცემი ხმით შესძახა, ის ხმა ქუხილის ხმას ჰგავდა, რომელმაც ქვეყანა შეძრა. პალეკარპოსმა ჰკრა მახვილი ვახტანგის ფარს, რომელიც ვიგრის ტყავისაგან იყო და გაჰკვეთა ფარი ერთ წყრთაზე, რადგან მახვილი ადამიანის მკლავის სიმსხო იყო. მეფემ ფარი შეაგება მის მახვილს და პირისპირ შეუტია. ჰკრა ხმალი ჩაბალახზე და ბეჭებამდე გაუპო თავი. ხელი გაიწოდა, თავის ნახევარი აიღო, მოიტანა ჯვართან და თქვა: «ყველა შენგან განდგომილის ხვედრი ეს იყოს“.

ვახტანგის ლაშქარმა შეუტია ბერძენთა ლაშქარს, იფრინეს ისინი, [176] გუნდ- გუნდად დაანაწილეს და მიამწყვდიეს ზღვის ნაპირას. იმათგან ვერც ერთი ვერ გადაურჩა, მხოლოდ ისინი, ვინც ზღვაში შეასწრო და ნავით გაიქცა. იმ დღეს ვახტანგის ლაშქრიდან გაწყდა ორმოცდასამი ათასი, ბერძენთა ლაშქრისაგან გაწყდა სამოცდათორმეტი ათასი. ტყვედ შეიპყრეს ას ოცდახუთი ათასი.

როცა ვახტანგის მოლაშქრეები მობრუნდნენ, მივიდნენ ვახტანგის ბიძის, ვარაზ-ბაკურის გვამთან, იგლოვეს, შემურეს იგი საბრით და მურით და ბარდავში წაასვენეს.

მეფე ვახტანგმა მთელ ლაშქარს უხმო და უბრძანა ტყვეთა მოსხმა. უკლებლივ მოიყვანეს, ყველა მამაკაცი და დედაკაცი ერთად იყო შვიდასოთხმოცი ათასი და თავისი ერისთავების, ნასრეს და ადარნასეს, თავდგომით ყველანი გააგზავნა კეისართან და წერილი მისწერა : « ღმრთის სიბრძნე მიუწვდომელია, ადამიანთა სიბრძნესა და ნებას ღმრთის ნება სძლევს. მე ვიცი, რომ შენი სურვილი არ იყო ეს

საქმე, რაც პალეკარპოსმა ქნა. არც ჩემი სურვილი იყო, რაც ბიძაჩემმა ჩაიდინა. ორივე ეს ავისმოქმედი ავმანვე გადაიყოლია. იმისთვის ქნა ეს ღმერთმა, რომ ეს ახალმოქცეულები მოიყვანოს მისი შიშის რწმენაზე, როგორც უძღები შვილისთვის ქნა საცხოვნებელი საქმე. თქვენ უფლის პირმშო შვილები ხართ და მარადის მისნი ხართ. ბიძაჩემით [მოგვრილ] მწუხარებას თქვენი დისწულის გზით ნუგეში ვეცი, როცა შური ვიძიე მის მკვლელებზე. ხოლო თქვენ ნუგეში გეცით იმ ხალხის გამო, ღმერთმა რომ იხსნა შვიდას ოთხმოცი ათასი. თუ ბრძანებ ჩემთან შეხვედრას, ისწრაფე, თუ არა, მოციქულის გზით [177] მოაგვარე ჩვენი საქმე, რადგან მძიმეა ამ მოოხრებული ქვეყნისთვის ჩვენი აქ ყოფნა.

მოციქულების მისვლამდე კეისარი ძალიან დამწუხრებული იყო. მაგრამ როცა გაიგო, რომ პირველად შეპყრობილი ტყვეები და მდევრისაგან დატყვევებულები ყველა უკლებლივ გაუშვია, ფრიად გაიხარა. ყველას გაუქარვდა მწუხარება. მეფე ნავში ჩაჯდა და სამასი დრომონით გავიდა, მსუბუქად გამოვიდა ზღვის ნაპირას და ვახტანგს მოუწოდა. ერთმანეთში აღთქმა და ფიცი დადეს, დაწინდვის საქმე მოაგვარეს. კეისარმა დაუბრუნა ქართლის მიწა-წყალი, თუხარისის ციხე და მთელი კლარჯეთი ზღვიდან არსიანამდე და მხარეები, რომლებიც ღადოთა (ზღვის ნაპირებს) მოსდევენ.

კეისარმა გამოიკითხა საბერძნეთის ტერიტორია, ზღვის პირის ქვეყანა, რომელიც არის აფხაზეთი და ასე თქვა: «ეგრისის წყლიდან ვიდრე ხაზარეთის მცირე მდინარემდე — ეს ალექსანდრეს დროიდან საბერძნეთის ტერიტორიაა, რომელიც შენ შენი ძალ-ღონით ჩვენგან წაგიღია. ახლა ის უკან დაგვიბრუნე და როდესაც შენს ცოლს წაიყვან, მაშინ მოგცემ ქვეყანას“. მზითვად მისცა ქვეყანა ეგრის წყალსა და კლისურას შუა და დანარჩენი აფხაზეთი ვახტანგმა უკან დაუბრუნა ბერძნებს.

წამოვიდა ვახტანგ კლარჯეთის გზაზე, თავისი ლაშქარი სომხითის გზაზე გაუშვა. და როცა მოიწია თუხარისში, ნახა და შეუყვარდა ციხე და თქვა: «ჭეშმარიტად თუ ხარ შენ ციხე“. როცა გამოემგზავრა, შუა კლარჯეთში ნახა კლდე, სოფელს სახელად ერქვა არტანუჯი. იხმო არტავაზი, თავისი ძუძუმტე და ერისთავად დაადგინა. უბრძანა, რომ აეგო არტანუჯის ციხე. უბრძანა, რომ იმ მხარეში გამოენახა სამონასტრო ადგილი და აეშენებინა ეკლესია. [178] და [ისეთ] მონასტრად აქციეს, როგორიც

საბერძნეთის მონასტრები ჰქონდა ნანახი. უთხრა არტავაზს: «სპარსელები ჩვენზე თუ გაძლიერდებიან, ჩვენი საყუდელი აქ იქნება“.

არტავაზმა ააშენა არტანუჯის ციხე და მონასტერი ოპიზა და სამი ეკლესია დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა. განაახლა ახიზის ციხე და მღვიმედ აქცია იგი.

როცა ვახტანგი წამოვიდა და თავის ქალაქში, მცხეთაში მოვიდა, შეიქმნა დიდი სიხარული და ღმრთისთვის მადლის შეწირვა, რომ იგი მშვიდობით დაბრუნდა. მან თავის ხალხს დიდი საჩუქარი უბოძა.

სპარსელთა მეფემ როცა გაიგო, რომ ვახტანგი ბერძენთა მხარეზე გადავიდა, შებრუნდა სპარსეთში და მოკვდა. მეფედ მისი ძე დაჯდა. სანამ იგი მომწიფდებოდა, სამი წელიწადი გავიდა.

ვახტანგ მეფეს მისმა ცოლმა ტყუპები — ძე და ასული- გაუჩინა. ბალენდუხტ დედოფალი, სპარსელთა მეფის ასული, მშობიარობას გადაჰყვა. ვახტანგმა თავის ძეს სახელად სპარსულად დარჩილ უწოდა, ხოლო ქართულად — დაჩი. ვახტანგ მეფემ ვერ მოიცალა, რომ ბერძენთა მეფის ასული ცოლად მოეყვანა, ვერც კათალიკოსი და ეპისკოპოსები ვერ მოიყვანა, რადგან იგი სპარსელთა მეფის შემოსევას ელოდა: ციხე-ქალაქებს ამაგრებდა, მხედრებს აიარაღებდა და სპარსელებთან საბრძოლველად ამზადებდა. იმ დროს ჩააგდო საპყრობილეში ბინქარან მაცდური, ცეცხლისმსახურთა ეპისკოპოსი, გაწყვიტა და ქართლის საზღვრებიდან გააძევა ყველა ცეცხლისმსახური.

სპარსელთა მეფე სამი წლის შემდეგ გამოემართა ვახტანგთან საბრძოლველად, მოაღწია ინდაბრიანს და იქ დაიბანაკა. ვახტანგმა [შიკრიკი] გააგზავნა ბერძენთა მეფესთან და ამცნო : « აჰა, ის დღე, რომელიც აღგითქვი. რომ შენს ხელებში შემოვამწყვდევდი სპარსელებს. აჰა, მომიყვანია ისინი ქართლის შუა საზღვრებში, ყველა მათი მოლაშქრე დაახლოებით სამასი ათასია. მას ეგონა, რომ თავის სპას გაამრავლებდა სომხითიდან და კავკასიელი მეფეებისგან, მაგრამ მათ ვერ გაბედეს მასთან შეერთება. ზოგ მათგანს ჯვარცმულის სასოება ჰქონდა, ხოლო ზოგს ეშმაკმა სძლია, დარუბანდის მეფეები შეუერთდნენ. ჩემი აღთქმა, რომელიც აღმითქვამს, შემისრულებია, რადგან სადაც მიპოვნია ცეცხლის სახლი, ფსელით დამიშრეტია, მათი მოგვები და მზვერავები ბოროტ სატანჯველში ჩამიგდია, მაცდური ბინქარან საპყრობილეში ჩავაგდე და

სიკვდილს გაექცა (!), მან სპარსელები მოიყვანა ქართლში. ეპისკოპოსად დავსვი სარწმუნო კაცი მიქაელი. ხოლო როცა ბინქარანი ქართლის საზღვრებს მოუახლოვდა, მოკვდა. ახლა შენი ლაშქარი სწრაფად წამოვიდეს, რომ აქაც, შინაც დაეცეს ჯვრის ყოველი მტერი და მოისვენო ყოველი შენი მტრისაგან. ხოლო თუ ჩვენ გვძლევს, იგი გაძლიერდება და შენს საზღვრებში შემოვა შიმშატის გზაზე.

სანამ ვახტანგ მეფის მოციქულები მიაღწევდნენ, კეისარი წასულიყო ქვეყნიდან ხაზარეთის მხარეს, რის გამო ვერ მოასწრებდა ქართლში მოსვლას. მაშინ ვახტანგმა ქალაქის ციხეები გააძლიერა, თავისთან დაიკავა ხალხის ურჩეულესი მებრძოლები — ასი ათასი მხედარი და ასი ათასი ქვეითი და ისინი დიღმიდან ქართლის კარებამდე დააბანაკა. სპარსელებმა ცხენის ტერფიდან დაღმართში დაიბანაკეს.

[180] სპარსელების მოსვლა ქართლში ვახტანგ გორგასალთან საომრად

ვახტანგმა გააფართოვა მოგვეთის ხიდი სამოცი მხრის სიგანით, რომ მასზე ლაშქარს ემოძრავა. მეფე და ჯუანშერ სპასპეტი მცხეთაში დადგნენ, ნასრა და მირდატი სარდლად დაუტოვა სომხითის და ქართლის ლაშქარს, რომელიც არმაზის მხარეს იდგა. როცა სპარსელები არმაზის მხრიდან იბრძოდნენ, მცხეთიდან გადიოდნენ. და როცა ლაშქარი მცხეთიდან გავიდა, დაეწყვნენ არაგვზე. და ოდესღაც გაიარეს მტკვრის ფონი და შეიბნენ თბილისის ფონთან. და ერთ დღეს ისინი ჯობნიდნენ, მეორე დღეს — ესენი.

ვახტანგ მეფეს ოქროს ჩაბალახი გაეკეთებინა, წინიდან მგელი იყო გამოსახული, უკნიდან — ლომი. რა მხარესაც ქართველები მარცხდებოდნენ, იქით მიემართებოდა, ანადგურებდა სპარსთა ლაშქარს, როგორც ლომი – კანჯართა გროვას. ამის შემდეგ სპარსელები ვერ უძლებდნენ მასთან ბრძოლას. [მათ] გამოარჩიეს იგი, რომელსაც მგელი და ლომი ეხატა და როცა ვახტანგს ნახავდნენ, იძახდნენ: « დურ აზ გორგასალ“ , რაც ნიშნავს: « მოერიდეთ მგლის თავს“. ამის გამო მეფე ვახტანგს გორგასალი დაერქვა.

მათ შორის ბრძოლა მხოლოდ ოთხი თვე გაგრძელდა. კეისრისაგან მოციქული მოვიდა, ვახტანგს ძღვენი მოართვა და მოჰგვარა ბერძენი მოლაშქრე ოთხმოცი ათასი მხედარი. [მან] ვახტანგს მოსწერა: « დავიწყე ომი ხაკანის წინააღმდეგ. შენ ოთხმოცი ათასი მხედარი გამოგიგზავნე და ლეონს წერილი მოვწერე: თუ ლაშქარი გჭირდება, შენს წინაშე არის მელიტენიდან ვიდრე ლამემდე და აქეთ კარნუ-ქალაქამდე. ლეონს ვუბრძანე, რომ შენთან იყოს.

[181] ბერძენთა ლაშქარი ჯავახეთში იყო მოსული. როცა სპარსელთა მეფემ [ქართველების] დასახმარებლად ბერძნების მოსვლა გაიგო, ვახტანგთან საუბარი დაიწყო, მის მოციქულს შეატყობინა და უთხრა : « რატომ უნდა შევაწყდეთ ერთმანეთს? ძმები ვართ, ნებროთის შვილები. თუ ცეცხლი ღმერთია, მაშ, შეეწიოს იგი.(!) ხოლო ჩვენ დავრჩეთ ჩვენს მამა-პაპათა სიყვარულზე, თითოეული ჩვენგანი იმას ემსახუროს, რაც მოსაწონია მისი სულისთვის“.

როცა მოციქული მოვიდა და და მეფე ვახტანგს სპარსელთა მეფის შემონათვალი გადასცა, მოეწონა ვახტანგს და მთელ ერს. მეფე ვახტანგმა ძღვენი მისცა. მიუვლინა მოციქული და უთხრა: «ჯვრის ძალა გიხილავს, რადგან ყველა მეფეს ხარკი მოგვქონდა ჯვარცმულის გამოჩენამდე (შობამდე). რაც ის გამოჩნდა, ყველა მისმა თაყვანისმცელმა გძლია შენ, შენი მოხარკე ბერძნები აქეთ გებრძვიან და მოაოხრეს ცეცხლის თაყვანისცემის ადგილები. ახლა თუ ჩვენ გვებრძვი რჯულის დატოვებისთვის, მოვკვდებით მისი გულისთვის, როგორც ის მოკვდა ჩვენთვის და მან აღგვადგინოს ჩვენ. ხოლო თუ შენს სიტყვას შეასრულებ და ცეცხლი არ იქნება შენი ღმერთი და ჩვენი ღმერთი იქნება ქრისტე, მამად და ბატონად შეგრაცხო შენ. თუმცა ჩვენ პირმშონი ვართ, თქვენ დაჯდეთ ჩვენი მამის ტახტზე“.

როცა ვახტანგის სიტყვა გადასცეს, შეიწყნარა და გორგასალს დიდი ძღვენი გაუგზავნა, მასთან ანთრაკის გვირგვინი. შეხვედრის დრო დადვეს. აიყარა სპარსთა მეფე და რუსთავში მიბრუნდა. განთიადისას ისინი გამოვიდნენ და კალას მინდორზე დადგნენ, რადგან მაშინ სოფელი ტფილისი და კალაც მოოხრებული იყო. მეფე ვახტანგი ჯაჭვზე დადგა. იმავე ველზე შეიკრიბა ორივე მეფე, [182] ერთმანეთი მოიკითხეს და თავ-თავიანთ რჯულზე გაუტეხელი აღთქმა დადვეს.

იმ დღეს გორგასალმა სპარსთა მეფეს თავისი ლაშქრითურთ ტფილ-ისში მოუწოდა და უძღვნა გორგასალმა ათასი მხევალი, ხუთასი მონა, ხუთასი სტავრა მოსასხამი, ხუთასი აბრეშუმის ზუზმა(!), ათი ათა-სი ჭაკი ცხენი, ხუთასი საზიდარი ცხენი, სამასი ჯორი, ოთხი ათასი ძროხა, ათი ათასი ცხვარი. მესამე დღეს მასთან მივიდა გორგასალი, თან წაიყვანა კეისრის ანთიპატროსი ლეონი და მოილაპარაკეს. ანთი-პატროსმა გორგასალს შთააგონა, მშვიდობა დაემყარებინა კეისარსა და ხოსროს შორის, რადგან ბერძნებს ეშინოდათ, ვაითუ, სპარსელები საბერძნეთში შესულიყვნენ და მოეოხრებინათ იგი, რადგან საბერძნე-თის ლაშქარი მთლიანად ხაზარეთში იყო.

ხოსრომ გორგასალს უთხრა: ითხოვე ჩემგან, რაც გნებავს შენთ-ვის, ან ვინმე სხვისთვის“. გორგასალმა მიუგო: „მინდა, რომ შენსა და კეისარს შორის მშვიდობა იყოს“. ხოსრომ თქვა : სამძიმოდ მიჩანს შენი თხოვნა, რადგან ბერძნები, რაჟამსაც ჩვენზე დროს იპოვნიან, სიკეთეს არ ჩაიდენენ. მე ამით ვამტკიცებ შენდამი ჩემს სიყვარულს, რომ სა-ბერძნეთში შევალ და შურს ვიძიებ მათზე. აჰა, მეათე დღეა, რაც მო-სულია ხაზართა მეფის მოციქული. შენ არ იცი ჩვენი მტრობის მიზეზი. ახლა გიამბობ ჩვენს მიმართ მათი თავხედობის შესახებ და მერე აღ-ვასრულებ შენს ნებას, ვინაიდან მტკიცე ფიცით აღგითქვი, რომ არა ვქნა ის, რაც შენ არ გნებავს“. და თქვა: «შენ იცი, რომ ზღვის აქეთ ჩვენი ტერიტორიაა, გამოყოფილი ნოეს დროიდან. ახლა ის გვედავება ჩვენ ჯაზირსა და შამს., მოოხრებულია ქალაქები. შამი ჩვენი სამეფოა, ხოლო ჯაზირის ნახევარი, ჩვენი მამა-პაპებიდან დაწესებული, შენი ხვედრია. იგი მიტაცებული აქვთ ბერძნებს, [183] მე ახლა შევალ, რომ დავიბრუნო იგი. რა ნაწილიც შენი მამა-პაპებისა არის, შენ გაუყავი, შენ იცი და ბერძნებმა. ხოლო ჯაზირის სხვა ნაწილი ბერძნებმა მომცენ მე და ისიც, რაც მე შენგან მივითხოვე“.

როცა ეს ლეონ ანთიპატროსს ესმა, ფრიად გაიხარა, ორთავე მეფეს თაყვანი სცა და თქვა: «ჯაზირის ხუთი ქალაქი შენი იყოს, შენი ნახევარი, სიკილიის ნახევარს, რომელიც შენგან წავიღეთ, უკან დაგიბრუნებთ და ჩვენი სიცოცხლის მანძილზე მშვიდობა იყოს შენსა და მას შორის“.

მეფემ თქვა: «ვინ იცის, ბერძენთა მეფე დასჯერდება თუ არა ჩვენს ნამოქმედარს? ლეონმა თქვა: «როცა მე გამომაგზავნა ამ მეფის დასახ-

მარებლად, ჩვენს მეფეს ვინმე ღმრთისმეცნიერმა მონაზონმა უთხრა, რომ ღმერთს მშვიდობა სურს სამივე ამ მეფეს შორის. და ასეც მოხდა. კეისარმა უბრძანა მწიგნობარს და დაწერა ზავის წერილი. აი, აქ არის მის მიერ დაწერილი წერილი“.

როცა ეს თქვა, წაიკითხეს ის წერილი. ფიცით იყო დაწერილი: „იმის გარდა, რომელიც სპარსთა მეფემ ივბიმიანოსს მისცა, არაფერს არ მოვითხოვო თქვენგან“. სპარსთა მეფემ ხაზართა მეფის მოციქულს მოუწოდა და გააგებინა სპარსელების გაღიზიანება ბერძნების მიმართ. სპარსთა მეფემ აიღო ქაღალდი და თავისი ხელით დაწერა წერილი ბერძენთა მეფის მიერ გამოთქმული სიყვარულის, საზღვრების დაწესების და სიკილიის უკან დაბრუნების შესახებ. მისცა ფილისტიმი იერუსალიმითურთ(!). და თქვა: “იერუსალიმი თქვენი რჯულის ქალაქია “. გორგასალს მისცა ძღვენი: სამი ათასი ლიტრა ალვა, ხუთასი ლიტრა ამბრი, ხუთასი ლიტრა მუშკი, სამი ათასი ტაიჭი ცხენი, ათასი ხოსროვანი სამოსელი და სამი ათასი სიასამურის ბეწვი.

ვახტანგი შინ წავიდა. მეორე დღეს მეფემ საკუთარი მობიდანი, ბარზაბანი, [184] მიუგზავნა და ასე უთხრა გორგასალს: «რაც ჩემგან გინდა, იმას ვიზამ. როგორც გნებავს, ისე განაგე შენი საბრძანებელი. მიავლინე შენი წარმომადგენლები და მიითვალე შენი ქალაქები, რომლებიც მოგეცით შენ და კეისარს. ბარზაბანისთვის ნაბრძანები მაქვს, კეისართან მისვლა და თქვენი ქვეყნების და ქალაქების ჩაბარება. შენ იცი, რომ ამ საქმის გამო ჩვენზე განრისხდნენ სპარსი ხუცესები. მათ ეგონათ, რომ მე საბერძნეთს შევმუსრავდი, მე კი ჩემი საზღვრებიდან ორი სამეფო ვაჩუქე მათ. ახლა ჩემი თხოვნაა, რომ შენი და მომცე ცოლად და შენ ჩემ ქვეყანაში წამოხვიდე, რათა შენი ნათესავები ნახო და დამეხმარო ჩემი მტრების — აბაშელების და ელამელების, ინდოელების და სინდელების — წინააღმდეგ, რადგან მათ ყველაზე დიდი ბოროტება და ჩემი მეფობის დამდაბლება მოიმოქმედეს. როდესაც ჩემთან მოხვალ, ასე უთხარი უხუცესებს და ჩემს მარზპანებს, რომ ჩემი და ჩემი მოყვარეების სიყვარული გამოვიჩინე, რადგან ჩემმა ძმამ ვახტანგმა ასე ინება. რა ქვეყნებიც მივეცით, მათივე შემწეობით ჩვენი მტრები მოხარკედ ვაქციეთ. ამით დავაცხროთ ბერძნებზე მათი გულისწყრომა. შენ შენდა თავად მინდიხარ ჩემს შემწედ, ხოლო შენი ლაშქარი ადგილზე დარჩეს“.

ვახტანგმა თავის თანამზრახველებს მოუწოდა. ლეონ ანთიპატროს-მა ეს უთხრა: „დიდია შენი სიკეთე ბერძნების მიმართ, განსაკუთრებით მეფეთა მიმართ, რომელნიც ტახტზე სხედან, რადგან შენ დაიცავი ქალაქი პონტო შემუსრვისაგან, შენ გადაარჩინე შვიდას ოთხმოცი ათასი ადამიანი. დღეს შენი წყალობით ეძლევა [მათ] ჯაზირა და ფილისტიმი, რომელიც მშვიდობიანად არც ერთ ბერძენ მეფეს არ დაუკავებია. ხოს-რო მართალია, თუ მის მიმართ სიკეთეს არ გამოიჩენ, გამოუსადეგარად [185] შერაცხავს მას ერი მისი.

თუმცაღა მან არ გითხრა, იქით ვძლიოთ, რადგან ეს არის ნამდვილი სიყვარული. მე მოგცემ ჩემი ლაშქრიდან ათი ათას აღჭურვილ მეომარს და მე გავყვები შენს მოციქულებს კეისართან და იქიდან შეგიერთდები ჯაზირაში ძლიერი ლაშქრით “.

ასე ელაპარაკა ლეონ ანთიპატროსი. ვახტანგ მეფეს და ყველა წარჩინებულს მოეწონა მისი ნალაპარაკევი. ვახტანგ მეფემ სპარსთა მეფეს ცოლად მისცა თავისი და, რომელსაც მირანდუხტი ერქვა, რომელიც გატაცებული იყო ოსების მიერ და ვახტანგმა გამოიხსნა. ხვარანძე იმიტომ არ მისცა ცოლად, რომ იგი სომეხთა პიტიახშზე იყო დანიშნული. ვახტანგმა მოიყვანა თავისი ძე, რომელსაც სპარსულად დარჩილ ერქვა, ხოლო ქართულად — დაჩი. იგი ხუთი წლისა იყო. თავ-ზე გვირგვინი დაადგა და მეფედ გამოაცხადა. მასთან თავისი შვიდი წარჩინებული დატოვა:

პირველად, ჯუანშერ სპასპეტი, შიდა ქართლის მპყრობელი და ყოველთა ერისთავთა მფლობელი.

დემეტრე, კახეთისა და კუხეთის ერისთავი.

გრიგოლი, ჰერეთის ერისთავი.

ნერსარანი, ხუნანის ერისთავი.

ადარნასე, სამშვილდის ერისთავი.

სამნაღირი, შიდა ეგრისისა და სვანეთის ერისთავი.

ბაკური, მარგვეთისა და თაკვერის ერისთავი.

ამათ შეავედრა თავისი ძე დაჩი, უბრძანა უჯარმის აშენება და იქ აღზრდა დაჩი მეფისა, რადგან მოხერხებულად მოეჩვენა(!) იგი ნადი-რისა და პირუტყვისათვის. თან წაიყოლია თავისი ოთხი წარჩინებუ-ლი :

არტავაზი, კლარჯეთის ერისთავი.

ნასარი, წუნდის ერისთავი.

ბივრიტიანი, ოძრხის ერისთავი.

საურმაგი, თავისი დიდი ეჯიბი და მათთან ერთად თავისი ლაშქრის ათი ათასი დარჩეული მხედარი.

ლეონ ანთიპატროსმა მას თავისი ლაშქრისგან ათი ათასი ბერძენი დაუტოვა და თვითონ კეისართან წავიდა. ვახტანგ მეფემ მოციქულად გააყოლა

არტავაზი, კლარჯეთის ერისთავი და კეისართან გაატანა მთელი სიმდიდრე, რომელიც მისთვის მიეძღვნა მეფე ხოსროს. მაგრამ სტავრა და ტაიჭები თავისთვის დაიტოვა, სხვა ყველაფერი გააგზავნა და არტავაზს უბრძანა, რომ ჯაზირაში შეერთებოდა მას ლეონ ანთიპატროსთან ერთად.

ვახტანგს დედა და და მისი ხვარანძე შეევედრნენ, რომ ისინიც თან წაეყვანა, რათა ელოცათ იერუსალემში. წაიყოლა. ვახტანგ მეფე და ხოსრო ადარბადაგანის გზით წავიდნენ და იქიდან ვახტანგი, დედა და მისი და წავიდნენ იერუსალემში. ხოსრო ანტიოქიაში ელოდა. შევიდნენ და ილოცეს წმიდა აღდგომის ეკლესიაში, მოილოცეს ყველა წმინდა ადგილი და შეევედრნენ წმინდა აღდგომის ეკლესიას, დიდი შესაწირავი შესწირეს და ანტიოქიაში. წამოვიდნენ

ლეონ, კეისრის ანთიპატროსი და არტავაზი, ვახტანგის ერისთავი, ოცი ათასი რჩეული მხედრით მოვიდნენ და კეისრისაგან უზომო ძღვენი მოართვეს ხოსროს, ვახტანგს კი — უზომო სიმდიდრე. კეისარს მოციქულებისთვის უცნობებია სიხარული, ღმრთისთვის მადლის მიცემა, ვახტანგის ქება და უზომო მადლიერება. ვახტანგისთვის უცნობებია : « ლეონისთვის მიბრძანებია, შენს შიშსა და ბრძანებას ისევე დაემორჩილოს, როგორც ჩემსას “. ვახტანგის ბრძანების ქვეშ შეიკრიბა ბერძენი, ქართველი და სომეხი ორმოცდაათი ათასი რჩეული მხედარი.

[187] მაშინ სპარსელთა მეფემ ვახტანგს მიმართა: «ვინაიდან შენი დედა და და დაღლილები არიან, ისინიც მოვიდნენ ჩემს სამეფოში, რათა ერთად ვიზეიმოთ ჩვენი სიხარული. შემდეგ, თუ ინებებენ ქართლში წასვლას, წავიდნენ რანის გზით. ხოლო თუ შენს დალოდებას ინებებენ, დაგელოდებიან ქალაქ ურჰაში “.

ვახტანგს ჭკუაში დაუჯდა ხოსროს ნათქვამი, თან წაიყვანეს [დედა და და] და გაემართნენ. სპარსელთა მეფემ მოციქული გააგზავნა სპარსეთის ყველა წარჩინებულთან და შეატყობინა ყველაფერი ეს. მათ დიდი სიხარულით გაიხარეს, რადგან ცეცხლივით იყვნენ აღგზნებულები ინდოელებთან, სინდელებთან, აბაშელებთან და ჯორჯანელებთან საბრძოლველად. მივიდნენ ბაღდადში. სპარსელი წარჩინებულები დიდი სიხარულით შემოეგებნენ. სამეფო ქორწილი გადაიხადეს, ექვსი თვე გრძელდებოდა განცხრომასა და უზომო განსვენებაში. ქორწილის შემდეგ ვახტანგის დედას და დას დიდძალი სიმდიდრე მისცა და წამოვიდნენ ურჰაში. სპარსეთის მთელი მოსახლეობა ვახტანგს ისე სცემდა პატივს, როგორც საკუთარ მეფეს, ხოსროს. შემდეგ გაემართნენ მტრებთან საბრძოლველად.

ვახტანგ გორგასლის მიერ სპარსთა მეფის დახმარება ინდოელთა, სინდელთა, აბაშელთა და ჯორჯანელთა წინააღმდეგ ომში და ვახტანგის მიერ ყველას დამარცხება

პირველად მივიდნენ ჯორჯანეთში, დაიპყრეს ჯორჯანეთი და მოსახლეობისაგან დაცალეს. მათ ადგილას სპარსელები ჩაასახლეს. მას შემდეგ ჯორჯანელნი გლეხებად იქცნენ, რომელნიც ახლაც სპარსელთა მეხარკენი არიან.

[188] ვახტანგ გორგასლის ინდოეთში შესვლა და ვახტანგის მიერ მათი დამარცხება

იქიდან ინდოეთში შევიდნენ. იქ ძლიერი ბრძოლები და ორთაბრძოლები ატყდა. იქ წესი იყო: რომელი მათგანიც სძლევდა, მის წინაშე მოწინააღმდეგის ბანაკი გაიქცეოდა. ვახტანგ მეფემ თხუთმეტი ბუმბერაზი მოკლა, რომელთაც სპარსთა მრავალი გოლიათი დაეხოცათ. ინდოეთის ბრძოლაში სამი წელი დაყვეს. დაიპყრეს ინდოეთის მრავალი ქვეყანა, მაგრამ გამაგრებული ციხე-ქალაქები ვერ გატეხეს, რად-

გან გარს ზღუდე ერტყათ. ინდოელთა მეფისაგან ხარკი წამოიღეს : ათასი ლიტრა მუშკი, ამდენივე ამბარი, ათი ნავი ალვა, ერთი ნავი თვლები იაკინთი და ზურმუხტი, მასთან სხვადასხვა სახის საფირონი, ასი აქლემი ოქრო, ხუთასი აქლემი ვერცხლი.

ვახტანგ გორგასლის შესვლა სინდეთში
და ვახტანგის გამარჯვება

იქიდან შევიდნენ სინდეთში. სინდელთა მეფემ თავისი ხალხი ციხეებსა და ქალაქებში განათავსა. სპარსელი თავდამსხმელები რომელ მხარესაც შეუტევდნენ, გამოუხტებოდნენ სინდელნი ციხეებიდან და ქალაქებიდან და დიდ ზიანს აყენებდნენ სპარსელებს. სპარსელთაგან დიდძალი მეომარი გაწყდა. ხოლო ვახტანგის ლაშქართგანნი ქრისტეს ძალით არსად არ დამარცხებულან, მტრის მიმართ ძლევამოსილად გამოჩნდნენ. მამაც მებრძოლებად გამოჩნდნენ ვახტანგის ოთხი წარჩინებული და ლეონ ბერძენი., რადგან მათ დაამარცხეს სინდელთა მამაცურად მებრძოლი მრავალი ბუმბერაზი. სინდთა მეფე ქალაქ სინდიაში იყო. მაშინ მთელი თავისი ძალებით მივიდნენ სინდიაში, გაიმართა ძლიერი ბრძოლები. ყოველ დღე გამოდიოდა თვითონ სინდთა მეფე [189] , რადგან იგი მამაცი და შემმართებელი გოლიათი იყო, გამოჰყავდა სინდეთის მხედრები და იყო ბუმბერაზთა ბრძოლა. ზოგჯერ ისინი სძლევდნენ, ზოგჯერ — ესენი. სინდთა მეფემ აჯობა მასთან მებრძოლ ყველა ბუმბერაზს, ის და ვახტანგი მრავალი დღის განმავლობაში ერთმენეთს ბრძოლაში ვერ შეხვდნენ.

სინდთა მეფემ ღამით ქალაქის კარებთან, ველზე მეომრების დასამალავად დიდი გვირაბი გათხარა, მოხერხებულად დაუტოვა გამოსავალი გზები და შიგ ათი რჩეული მხედარი ჩააყენა. დილით ადრე ერთი ბუმბერაზი გამოგზავნა. იმ დღეს ვახტანგის ჯერი იყო კარების დაცვა. მიადგა ეს ბუმბერაზი და პირის-პირ ბრძოლა შესთავაზა, რომ გაეტყუებინა და მხედრებთან გადაეყარა. ვახტანგის ეჯიბი საურმაგი გავიდა და უთხრა: « შენ გაბედულება არ გეყოფა მეფესთან საბრძოლველად, ამიტომ მე შეგებრძოლები, მონა – მონას “. მიუხტა, მა-

გრამ სინდელი გაექცა. საურმაგი ჩვეულებისამებრ მისდევდა, რადგან მრავალგზის ნაბრძოლები იყო იმ ველზე. როგორც კი მიუახლოვდა დამალულ მხედრებს, ზურგიდან გამოუხტნენ, იგი სირბილით უკუიქცა. საურმაგმა სცა ჰოროლი წინას და მოკლა, ხოლო დანარჩენმა ათმა მოკლეს საურმაგი.

მაშინ შეუტია თვით ვახტანგ მეფემ და მასთან ერთად მისმა სამმა წარჩინებულმა: არტავაზმა, ბივრიტიანმა, ნასარმა და მათთან ლეონ ბერძენმა. სინდელნი უკუ იქცნენ, ვახტანგი მეგობრებითურთ ქალაქის კარებამდე მისდევდა. სინდელები ქალაქში შეცვივდნენ. მწუხარებით აღსავსე ვახტანგი მობრუნდა, იგლოვდა საურმაგის, როგორც საყვარელი ძმის, გვამზე, რადგან მასთან თანშეზრდილი იყო, არტავაზის მამის, მისი მამამძუძეს ძმისწული, ერთგული, მისანდობელი და ქველი.

სინდელთა მეფის არაკი

სინდელთა მეფე ქალაქის კარებზე გადმოდგა და ხმამაღლა დაიძახა : « ვახტანგ მეფევ, შენ იმ უგუნურ ყვავს გავხარ, რომელმაც არწივის მიერ დაჭრილი და დაგლეჯილი ქორი იპოვა, რომელსაც აფრენა არ შეეძლო და სიკვდილს იყო მიახლებული. არ შეასრულა იმ ყვავმა ის, რაც ყვავების წესია. როდესაც სხვა ყვავი ქორს ნახავს, ხმამაღლა ყივილს იწყებს, რომ სხვებს გააგონოს. ყვავების სიმრავლე თავს დაესხმის ქორს, რომ თავიანთი ბუდიდან გააქციონ და უშიშრად გაატარონ თავიანთი სიცოცხლე.

ყვავი ამგვარად არ მოიქცა, არამედ შეიწყალა ქორი, როგორც თავისი კეთილისმყოფელი. თავი ანება თავისი მართვეების გამოზრდას, [ქორს] ყოველდღე უზიდავდა კალიასა და გველს, რადგან ყვავს სხვა რამის დაჭერა არ შეუძლია და ასე კვებავდა ქორს. როცა ქორს ფრთები გაეზარდა, თავის გონებაში თქვა: «მრავალი დღე კალიათი და გველით ვიკვებებოდი, ჩემი წინაპრების ძალა არ მომცემია, რადგან კალიებით ვერ გავძლიერდები. ფრინველების დაწევნა და მით ჩემი თავის გამოზრდა რომ შევძლო, ჩემი გამომზრდელი ყვავი უნდა შევიპყრა, შევჭამო და ორი დღე დავისვენო, ძალა მომეცემა და ჩვენი წინაპრების

მსგავსად წესისამებრ დავიწყებ ნადირობას“. აასრულა ეს, შეიპყრა ყვავი და შეჭამა. იქიდან მოყოლებული დიდ და სწრაფ ფრინველებზე დაიწყო ნადირობა. ყვავმა ქება ვერ დაიმსახურა მოწყალების გამო, არამედ უგნურად და თავისმკვლელად ითქმის იგი. არც ქორს მიუღია ყვედრება უწყალოებისა და სიკეთის დავიწყების გამო, რადგან ასეთია [191] ქორის ჯიში და წესი : კალიით დასუსტდებოდა და მოკვდებოდა, წესისამებრ ქნა და სიკვდილს გადაურჩა., ხოლო ყვავი წესისამებრ არ მოიქცა და ამიტომაც მოკვდა.

სპარსელები, რომლებიც დასაბამიდან აქამომდე და შემდგომ მიუკუნისამდე ჯვარისმსახურთა მტრები არიან, დრო და ჟამის შესაფერისად, უღონოების გამო მლიქვნელურად გიჩვენებენ სიყვარულს და როცა დრო დაუდგებათ, არ გაიხსენებენ წყალობასა და სიკეთეს. წიგნებიდან ვიცით ეს ათასჯერ მომხდარი. როცა ჩემ მიერ დასუსტებული სპარსელები იხილე, არ გააკეთე ის, რაც უნდა გაგეკეთებინა : სიხარული და შენი ღმრთისთვის მადლის შეწირვა, სხვა ტომებისთვის რჩევის მიცემა, სპარსელებზე მტრების წაქეზება, სპარსეთის მტრების დახმარება. არ ქენი ეს ყოველივე, არამედ შენი წინაპრების საყოფელი დაგიტოვებია, საბერძნეთის საქრისტიანო დიდი ლაშქრის წინამძღოლი გამხდარხარ, ორი წლის გზა გამოგივლია, სპარსელთა დამხმარედ მოსულხარ, რომ გაძლიერდნენ, დაირაზმონ და გაგანადგურონ შენ და შენი ქვეყანა და მოსპონ ყოველნი ჯვრისმსახურნი. ჭეშმარიტად ამას ამზადებ შენი თავისთვის და ყველა ჯვრისმსახურისათვის. რად გითხარი მე შენ ყვავის იგავი? მეფე ხარ თვითმპყრობელი და ახოვანი და შენი ნებით შენი თავი მტრებისთვის მონად მიგიცია. როგორ არ გამოვაცხადო უგუნურად შენი თავი?“.

ვახტანგ გორგასლის არაკი

მაშინ ვახტანგმა უპასუხა: « შენ გეგონა, რომ სიბრძნით განჭვრეტილად ილაპარაკე, მაგრამ შენი სიტყვები ცრუ არიან. მე გეტყვი და გაუწყებ ჭეშმარიტს: უგუნურო, შენ იმ მღრღნელ თაგვს ჰგავხარ, რომელსაც თვალები არა აქვს. [192] მისი სორო მიწის ქვეშაა, არ იცის

მზის ბრწყინვალება და მინდვრების მშვენიერება და კმაყოფილია თავისი ცხოვრებით, რადგან ისეთი ჰგონია ყველა მოძრავის ცხოვრება, როგორც თვითონ ცხოვრობს. არც აქვს სურვილი იხილოს ნათელი და ცისა და მიწის მშვენიერება.

შენც ასევე ბრმა ხარ გონების თვალით და ყრუ — გონების ყურით. ვერ ხედავ, არც გესმის, არც იცი სულიერი ცხოვრება. არც სურვილი არ გაქვს მიაღწიო საუკუნო ცხოვრებას, დაუსრულებელ ნათელს, წარმოუდგენელ და მიუწდომელ დიდებას, არც იცნობ ყოველივეს შემოქმედ ღმერთს, რომლის მიერ შეიქმნა ყოველი.

ამ ქვეყნად არ მოვსულვარ წუთისოფლის დიდებისათვის, არც სპარსთა მეფის მსახურებისათვის, არამედ დაუსაბამო ღმერთის, სამება ერთარსების, ყოველივეს დამბადებლის მსახურებისათვის, მომავალი დაუსრულებელი საუკუნო დიდებისათვის. თავდაპირველად, ჩემი აქ მოსვლით გამომიხსნია იერუსალიმი, წმიდა ქალაქი, სადაც ფეხი დააბიჯა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ და ყოველივე იქ აღასრულა ჩვენი სულების ხსნისათვის. შემდგომ, მთელი საქრისტიანო დამიხსნია მოოხრებისაგან, რადგან სპარსთა მეფეს დრო დასდგომოდა სრულიად საქრისტიანოს დასაპყრობად.

თუმცა ჩემი ქვეყანა ქრისტეს ძალით და ლაშქრის მამაცობით დაცული იყო, მაგრამ ბერძნებს არ ეცალათ და წინ ვერ აღუდგებოდნენ. ყველა ქრისტეს მოსავის ვალია, რომ ჩვენი ერთი მოყვასისთვის სული დავდოთ. ჩემი აქ მოსვლით კი ათასობით სულია გადარჩენილი {193] და ეს იმიტომ გამიკეთებია, რომ დამბადებელმა ღმერთმა ჩემი მსახურება შეიწიროს და ჩემი ცოდვები შემიმსუბუქოს. შენ რომ თქვი: « სპარსელები თუ მომაგრდნენ, მტრებად გაუხდებიან ქრისტიანებსო“, მე დღეს ქრისტეს ძალითა და შეწევნით ქრისტიანები დიდი ჭირისაგან ვიხსენი და ამის შემდეგ დამბადებელმა ღმერთმა კვლავაც ჰყოს წყალობა მის მოსავთა მიმართ.

ქრისტიანეთა ხსნის მიზეზიც რომ არ ყოფილიყო და სპარსელთა დასახმარებლად მოვსულიყავი აქ, ესეც საჭირო იყო პირველად ნათესაობის გამო, შემდეგ იმისთვის, რომ თუმცა სპარსელები ჭეშმარიტი რჯულისა არ არიან, მაგრამ დამბადებელი ღმერთი იციან და სწამთ სულიერი ცხოვრება. თქვენ კი სრულიად უმეცარნი და უგულისხმო

ხართ ღმრთის მიმართ, როგორც ცხენი და ჯორი. როგორ არ შეიწიროს ყოვლის დამბადებელმა ღმერთმა თავის მსახურებად?

შენი გონება ამქვეყნიური საქმეებისაგან შერყვნილია. აქებ დაუნდობელი ქორის საქციელს, რომელმაც თავისი გამზრდელი ყვავი შეჭამა. ხოლო ჩვენი ბუნება ისეთია, რომ ჩვენი კეთილისმყოფელისთვის სული გავწიროთ და ღმრთისგან მადლი მოვიგოთ, საუკუნო ცხოვრება ვპოვოთ და ამქვეყნად ადამიანთა ქება მოვიპოვოთ. ღმრთის სახელისა და მცნებებისთვის თუ მოვკვდებით , უკვდავნი ვიქნებით და სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავალთ “.

მაშინ სინდთა მეფემ თქვა: «ცუდია ჩვენ შორის ლაპარაკის გაგრძელება, მაგრამ შენ რომ თქვი : « თუ ჩემი ღმრთის სახელისათვის მოვკვდები, სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავალო “, მაშ, თუ ადამიანმა მასზე გადმომავალი დიდება და სიკეთე იცის, საჭიროა, ისწრაფოს შეხვედრა თავის სუფევასთან. ახლა უკვე ჭეშმარიტად იცი, რომ სასუფეველში მიხვალ. გამოდი ჩემთან საბრძოლველად, რათა დღეს სიკვდილიდან სიცოცხლეში გადახვიდე. შენი წარჩინებული გამიგზავნია შენს წინამორბედად, რომ სამყოფელი გაგიმზადოს “. [194] ვახტანგმა უთხრა: « დღევანდელი სიკვდილი სიხარულად არ მიმაჩნია, რადგან ცოდვილი ვარ და სრულად არ შემისრულებია ღვთის მცნება, სინანულით სრულად არ აღმიხოცია ჩემი ცოდვები, მაგრამ ქრისტეს ძალით შენგან სიკვდილის არ მეშინია, რადგან იგია ჩემი მფარველი, რომლის მიერ სრულიად დაცული ვარ. მრავალმოწყალე ღმერთმა მისმიერი მრავალი ძალით, ჩემი, მისი მონის, ხელით მოგკლას შენ, მისი მგმობარი და შენი სული ბნელეთის გარესკნელში, უშრეტ ცეცხლში წავიდეს “.

მაშინ სინდთა მეფე გამოვიდა. ვახტანგმა თავისიანებს უთხრა: « ღმერთს ევედრეთ და ზურგის მხარე გამიმაგრეთ “. გავიდა ვახტანგი. ორივეს ხელში შუბები ეკავა. დაიწყეს წრეში ნავარდი, ორივე მარჯვე მომენტს ეძებდა, რომ შუბის წვერს მიჰყოლოდნენ. სინდთა მეფემ დაახანა ვახტანგის შუბის წვერზე მიყოლა და შეუტია, რომ შუბი ეკრა. ვახტანგი მხნედ და ტანის სიმკვირცხლით განერიდა შუბს და გასხლტა. შემოურბინა, როგორც გრიგალმა და სინდთა მეფეს მარცხენა ბეჭზე ჰკრა შუბი. საჭურველის სიმაგრემ ვერ დაიფარა და ღრმა ჭრილობა

მიიღო, წინისკენ ერთი წყრთა გაუტარა. ჩამოვარდა სინდთა მეფე, ვახტანგი ზედ მივიდა, ხელი მიჰყო, ფეხში ჩაავლო და თრევით მიიყვანა სპარსთა მეფესთან.

მთელმა ლაშქარმა ხმამაღლა ქება შეასხა ვახტანგს. სპარსთა მეფე და მისი ბანაკი სიხარულმა აიტაცა. წარჩინებულები ვახტანგ მეფესთან მოდიოდნენ და ძღვენს მიართმევდნენ. სპარსელთა მეფემ მკურნალი ოსტატი მოაყვანინა და თავზე დააყენა სინდთა მეფეს, რომ ჭრილობებისგან განეკურნა და მისი მეოხებით მთელი სინდეთი დაესაკუთრებინა.. სინდელებმა თავიანთი მეფის ნაცვლად მისი ძე დააყენეს.

[195] ვახტანგ მეფემ ურჩია სპარსთა მეფეს გაეშვა სინდთა მეფე, აეღო ხარკი და მძევალი, რადგან სინდეთს ვერ აიღებდნენ. სპარსთა მეფეს მოეწონა ვახტანგის განზრახვა, გაუშვა სინდთა მეფე, მისგან ორჯერ მეტი ხარკი აიღო, ვიდრე ინდოელებისგან ჰქონდა აღებული, მძევლად ორი შვილი აიყვანა. სპარსთა მეფემ სინდელების ხარკი მთლიანად ვახტანგს უბოძა.

მაშინ სინდელთა მეფე დიდი სიყვარულით დაუახლოვდა ვახტანგს. პირველად, იმის გამო, რომ როცა ვახტანგის ხელში ჩავარდა, არ მოკლა და ცოცხლად მიიყვანა სპარსთა მეფესთან. მეორედ, იმის გამო, რომ ვახტანგის მიერვე განთავისუფლდა ტყვეობისაგან. ვახტანგს განუზომლად დიდძალი ძღვენი უბოძა და სინდეთში შესვლის მეოთხე წელს წამოვიდნენ სინდეთიდან. მოოხრებას გადაურჩნენ სინდეთის ქალაქები : სინდილა, თოფორი, კიმრაი.

სპარსთა მეფისა და ვახტანგის შესვლა აბაშეთში
და მათ მიერ აბაშეთის დაპყრობა

იქიდან მოვიდნენ აბაშეთში. აბაშელები ცხოვრობდნენ ქვეყანაში, რომელსაც წყალი და ლერწმოანი უვლიდა გარს, ვერც ნავი და ვერც ოთხფეხი ვერ გაივლიდა. სპარსეთის საზღვრებს ემიჯნებოდნენ და ხანგამოშვებით ებრძოდნენ. წყალი, რომელიც შესდიოდა, გადაუკეტეს და ლერწმოანი ცეცხლით გადაწვეს. მთელი აბაშეთი დაიპყრეს. სპარსთა მეფემ აბეშელები ორად გაჰყო : ნახევარი ადგილზე დატოვა,

ნახევარი წამოიყვანა, დაახლოებით ათასი სახლი და სხვადასხვა ადგ-ილზე გაანაწილა. ქურდები არიან ის ტომები, რომლებიც აბაშეთიდან წამოიყვანა ტყვედ.

[196] ვახტანგი მისი სპარსეთში შესვლის მერვე წელს წამოვიდა ანტიოქიაში და ურჰაში შევიდა. სპარსელთა მეფე ვახტანგს ცოლად აძლევდა თავის მეფეთაგან [ერთ-ერთის ასულს]. მაგრამ ვახტანგმა უთხრა : « არ შეიძლება ჩემთვის ორი ცოლის ყოლა, რადგან მე მყავს ცოლი, კეისრის ასული “. ეწყინა ეს ხოსრო მეფეს, მაგრამ ვერაფერი უთხრა. ვახტანგმა მშვიდობიანად იპოვა თავისი დედა და და, და წამ-ოვიდნენ ბერძენთა და სომეხთა საზღვრებამდე.

ლეონ ბერძენი და მისი ლაშქარი შიმშატში წავიდა. ვახტანგმა თავისი ცოლის, პეტრე კათალიკოსის და სამოელ ეპისკოპოსის წა-მოსაყვანად მოციქული გააგზავნა. ვახტანგი ქართლში წამოვიდა, წინ მისი ძე დაჩი, მასთან სპასალარები და მათთან ერთად ეპისკოპოსები მიეგებნენ. როცა ეპისკოპოსმა გაიგო, რომ მეფემ მოციქული გააგზა-ვნა კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მოსაყვანად, ეწყინა ეს, აღშფო-თდა და გაბრაზდა, მეფესთან [მოციქული] გააგზავნა და უთხრა : « შენ ქრისტე დაგიტოვებია და ცეცხლს თაყვანსა სცემ “. ხოლო ვახტანგმა დაუბრუნა : « ქრისტეს ძალით შევედი და ქრისტეს ძალითვე სიმარ-თლით გამოვედი, ღმერთმა იცის, რომ უბრალო ვარ. მოციქული გავ-აგზავნე კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მოსაყვანად “.

ეპისკოპოსმა ეს რომ გაიგო, სინამდვილეში დარწმუნდა. ეგონა, არეულობით დავაყოვნებო იმ საქმეს და მათ მოსვლას. დაწყევლა მეფე და მთელი მისი ლაშქარი. მაშინ მეფემ თქვა : « თუმცა უბრალო ვართ, მაგრამ თავმდაბლობა შეგვეფერება “. მეფე მივიდა, ცხენიდან ჩამოხტა, რათა ფეხებზე მთხვეოდა ეპისკოპოსს. მან ფეხი აღმართა, ქუსლი ჰკრა მეფეს სახეზე და კბილი ჩაუმტვრია. მეფემ თქვა : « ამპარტავნობის ეს თავხედობა ეშმაკის საცთურებაა. [197] თუ ჩემი ცოდვების სიმრავლემ შეგძრა, ბოროტების [ჩადენის] უფლება კი არ გაქვს, არამედ შენდობი-სა, როგორც ამბობს სახარება : არ დაშრიტო ანთებული პატრუქი, არც დაჩეჩქვილი ლერწამი არ გატეხო “. შენ გგონია, რომ შენი სივერაგით ქრისტეს სიყვარულს დაგვაშორებ. მაშინ გამოჩნდა ცხადად, როცა შენზე მაღალი [იერარქის] ქართლში მოყვანა გაიგე, შურისაგან ბოროტად აღეგ-

ზნე, როგორც იუდა პეტრეს მიმართ., რადგან შენ ხარ, როგორც იუდა, ხოლო ეკლესია, როგორც პეტრე. ვერცხლისმოყვარე ხარ, რადგან შენც ქრისტეს ფულის შემკრები ხარ. ახლა მიგავლინებ შენ პატრიარქთან კონსტანტინეპოლში და როგორც საჭირო იყოს, განგიკითხოს “.

გადასცა იგი დესპანებს, მასთან ერთად თავისი კბილიც და შეუთვალა, რომ სასწრაფოდ წარმოავლინონ კათალიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსი, მათ შორის პეტრე — კათალიკოსად და სამოელ — ეპისკოპოსად და სხვები, ვინც უნდათ. როცა მიქელ ეპისკოპოსი მიიყვანეს, მას პატრიარქმა ჰკითხა: « ვინაიდან შენს მიერ სისხლი დაიღვარა ამ ქვეყნად, არ ხარ ღირსი, იყო ეპისკოპოსი. მეფის ხელ- ყოფისათვის სიკვდილის ღირსი ხარ, როგორც ამბობს : « დაემორჩილეთ თქვენს მეფეებს, რადგან ტყუილად არ აბიათ ხმალი, რადგან ღმრთის მეოხებით ბატონობს, როგორც ლომი — ცხვრის ფარაში “. მიქელ ეპისკოპოსს ექსორია უყვეს მღვიძარეთა მონასტერში.

პეტრე მღვდელი და სამოელ ეპისკოპოსი ანტიოქიაში გააგზავნეს. მეფემ და კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ანტიოქიის პატრიარქს მისწერეს : « პირველად, რომაელი დედაკაცის, ნინოს მიერ ქართლის მოქცევის დასაწყისში, გაგზავნილ იქნა აქედან ეპისკოპოსი, რადგან სპარსელთა და ბერძენთა შორის უთანხმოება იყო და ამიტომ რჯულის შესაფერისად ვერ მოაგვარეს ეს საქმე. ჩვენ ვიცით, რომ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი იმავე წმიდა საყდარს ეკუთვნიან, რაც მოციქულებმა განაწესეს სახარებაში და რაც არის უწინარესობა. მისწერეს [198] დიდი ვახტანგ მეფის ყოველი საქმე, რომ : « ეპისკოპოსი, რომელიც მათ მიერ იყო დაყენებული, გადავაყენეთ და დღეს ქართლი ჭეშმარიტად ახალმონათლულად შეიცანით. ახლა მათ მიერ მოთხოვნილი ეს ორი აკურთხე და ამ თორმეტიდან ვინც შენ გენებოს, ის აკურთხე, ჩვენთან წამოვიდნენ, რათა ჩვენ ყოველგვარი ძღვენით და ქონებით გავუშვათ. ანტიოქელმა პატრიარქმა აკურთხა თორმეტი ეპისკოპოსი და პეტრე კათალიკოსად.

მოვიდნენ კონსტანტინეპოლში, მეფემ დიდძალი საბოძვარი გასცა და მისცა ვახტანგ მეფეს ასული, სახელით ელენე და გამოუშვა იგი დიდძალი ლაშქრით სომხითის საზღვრამდე. იქ ვახტანგ მეფე შეეგება, ბერძენთა ლაშქარი უკან მიბრუნდა. წამოვიდნენ მცხეთაში.

ვახტანგ მეფემ მცხეთაში ააშენა მოციქულთა ეკლესია სვეტიცხოველი და დააყრდნო(!) სვეტზე სამხრეთით იმ ადგილას, სადაც დაქცეული იყო ეკლესია, დიდი სიონი. იქ დასვეს პეტრე კათალიკოსად, სამოელი — ეპისკოპოსად მცხეთის საეპისკოპოსოში.

ერთი დასვა ეპისკოპოსად კლარჯეთში, ახიზის ეკლესიაში; ერთი — ერუშეთს, არტანში; ერთი — ჯავახეთში, წუნდაში; ერთი — მანგლისში; ერთი — ბოლნისში; [199] ერთი — რუსთავში ; ერთი — ნინოწმიდაში, უჯარმის კარზე, რომელიც გორგასლის მიერ იყო აშენებული ; ერთი — მის მიერვე აშენებულ ჭერემში. იქ ორივე ეკლესიას შორის ააშენა ქალაქი; ერთი — ჩელეთში, რომელიც სოფლის შუა ააშენა; ერთი — ხორნაბუჯში და ერთი — აგარაკში, რომელიც ხუნანის გასწვრივ არის.

ამის შემდეგ ცეცხლისმსახურების [ადგილთან] ააშენა ნიქოზის ეკლესია და დასვა ეპისკოპოსი, სადაც დაფლული იყო წმინდა რაჟდენის გვამი, რომელიც სპარსელთაგან იწამა ვახტანგის ბრძოლის დროს.

რაჟდენი იყო მამამძუძე ვახტანგის ცოლისა, სპარსთა მეფის ასულისა, რომელიც პირველად ჰყავდა ცოლად. იგი ქრისტიანობაზე მოიქცა და დიდად მორწმუნე გახდა. იგი ბრძოლაში შეუპოვარი იყო. სპარსელებმა შეიპყრეს და აიძულებდნენ, რომ უარეყო ქრისტე. მან, წმინდამ, წარუვალი დიდება აირჩია და ქრისტესთვის ეწამა.

ვახტანგს ბერძენი ცოლისაგან ჰყავდა სამი ძე და ორი ასული. თავის პირმშო ძეს პირველი ცოლისგან, დაჩის, მისცა ქალაქები ჭერემი და ნეკრესი, ქალაქი კამბეჩოვანი, ანუ ხორნაბუჯი და მტკვრის აღმოსავლეთით მთელი ქვეყანა. თვითონ ვახტანგი უჯარმაში დაჯდა და მრავალი ნაგებობით ააშენა იგი. თავისი და ხვარანძე ცოლად მისცა სომხითის პიტიახშს, ბაკურს.

რამდენიმე დროის შემდეგ გარდაიცვალა სპარსთა მეფე ხოსრო და მის ნაცვლად მისი ძე ხოსრო დაჯდა. სპარსელები ძალიან გაძლიერდნენ, რადგან ვახტანგის წყალობით ყველა მტერი დაემორჩილეს. ხოსრო წამოვიდა ბერძნებთან საომრად, ვახტანგს მოციქული გამოუგზავნა და შემოუთვალა : [200] « მამაჩემი გარდაიცვალა და ჩემმა ერმა მის ტახტზე მე დამსვა მეფედ. ჩემმა უხუცესებმა მიბრძანეს, რათა შენთან

მოვიდე, შენს ბრძანებას დავემორჩილო და შენ გაგვიძღვე, მეფეო, წინამძღოლად საბერძნეთში ჩვენი შესვლისას. შენი ასული მომეცი ცოლად, რომ ვიყო ერთი შენი შვილთაგანი “. როცა მოციქული მოვიდა ვახტანგ მეფესთან, ვახტანგი ტფილის ქალაქს აშენებდა, მხოლოდ საფუძველი იყო ჩაყრილი.

როცა მოციქულმა მეფის დანაბარები გადასცა, მეფემ თქვა: « ამაზეა ნათქვამი: « მჭედელო, ალესე შენი მახვილი, რომ სწრაფად განეწონოს შენს სხეულს “. ვახტანგი მაშინ სამოც წელს იყო მიღწეული. ასე თქვა : « უთხარი ხოსრო მეფეს, თავდაპირველად ჩვენთან საბრძოლველად მოემზადე და ასე შედი საბერძნეთში, რამეთუ ძალები, რომელიც იქნება, ყველა ჯვრის ძალით იქნება. აწ იყოს ჩვენი ცხოვრება(გადარჩენა) ჯვარცმულის სასოებით “.

გააგზავნა მაცნეები, რათა დასტოვონ სოფლები და ქალაქები, რომლებიც გამაგრებული არ იყო და თავი შეაფარონ კავკასიონს და კახეთს, რადგან კახეთი ტყიანი იყო და მტრის მიერ შეუვალი. დაჩი და მისი დისწული კახეთში გადავიდნენ და დადგნენ ლოპოტის მხარეში, კლდით შემოზღუდულ ქვეყანაში(იმ სოფლის მცხოვრებნი ცეცხლისა და წყლის მსახურები იყვნენ, ის კუთხე სავსე იყო მცხოვრებლებით ვიდრე ნოსრამდე). ხოლო გორგასლის ცოლი და შვილები — უჯარმის მხარეში. მეწინავე ციხეში თვითონ დადგა და მასთან ერთად ჯუანშერი და ადარნასე. ხოლო მცხეთაში დემეტრე, ნერსე და ბივრიტიანი დატოვა. მოციქული გააგზავნა და კეისარს შეატყობინა.

[201] სპარსელთა მოსვლა ქართლში ვახტანგ გორგასალთან საომრად და ვახტანგის მიერ სპარსთა მეფის შვილის ბარტამის მოკვლა

შემოვიდა ხოსრო მეფე და შემუსრა ქალაქი კამბეჩოანი, ჭერმის ციხე, ველისციხე. როცა კახეთს მოაღწიეს, დაიბანაკეს იორზე. ვახტანგის ლაშქარი ციხე-ქალაქის გარშემო ველზე დადგა, რომელსაც დარფაკი ჰქვია. ივრის თავზე ერთმანეთს შეებნენ, სამი დღის განმავლობაში იბრძოდნენ. ორივე ლაშქრისაგან ურიცხვი დაეცა. ვახტანგმა

პეტრე კათალიკოსს მოუწოდა და უთხრა : “იცოდე, რომ ხარკის მიცემის მიზნით კი არ გვებრძვიან, არამედ ქრისტეს დატოვების მიზნით. მე ასე მაქვს გადაწყვეტილი, რომ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია ქრისტეს სახელისთვის, რათა გვქონდეს სასუფეველი, მათთვის აღთქმული, რომელთაც ეუბნება: « რომელმაც ჩემთვის დადოს თავი, მან პოვოს იგი “.

პეტრე კათალიკოსმა მას უთხრა : “გიხილავს საქმეები, რომელნიც არცერთ შენს ნათესავთაგანს არ უხილავს, ქრისტესმიერი შეწევნა. რამეთუ იცის შენმა სიბრძნემ, რომ ჩვენი გამომცდელი მტერი ედავება უფალს ჩვენს გამო, როგორც იობის გამო. რადგან ღმერთი წარსაწყმენდად მიუშვებს თავის მოძულებულებს, ხოლო თავის რჩეულებს — განღმრთობისათვის. იყავი, როგორც ღმერთმა გირჩიოს, თუ არ მოკვდებით, მოვკვდეთ “. ამ სიტყვით გააგებინა, რომ ბრძოლა არ გააგრძელოს და უთხრა : მხოლოდ ქართლი კი არ დაწიოკდება, არამედ იერუსალიმიც, რომელიც ყველა ნათლისშვილების მშობელია “.

მეფემ უთხრა : „დადექი წმიდა რაჟდენის ეკლესიაში, რომელიც უჯარმის რაბათზე ავაშენე და ვეჭვობ, რომ უჯარმის გარშემო ქალაქები დაეცნენ, [202] რადგან მტკიცე და ძლიერი ზღუდეები შემოვავლეთ “. კათალიკოსი ასეც მოიქცა. ყველა წმიდა ეპისკოპოსი იქ შეიკრიბა.

ვახტანგის ლაშქარი ორას ორმოცი ათასი კაცი იყო, ხოლო სპარსელებისა — შვიდას ორმოცი ათასი. ვახტანგმა ლაშქარი სამად გაჰყო : კლდის მხარეს ქვეითები დააყენა, ერთ მხარეს პიტიახშები და სპასპეტი მოავლინა, და სადაც სპარსელთა მეფე იყო, იქ თვითონ ვახტანგი მივიდა ასი ათასი მხედრით.

ნათელ, უნისლო ღამეს ვახტანგი თავს დაესხა სპარსელებს და თავისიანებს მიმართა: «ყოველი კაცი, რომელიც სიკვდილს გადაურჩება და ჩვენი მტრის თავს ან ხელს არ გამოიტანს, იგი ჩვენ მიერ მოკვდება“. ცისკარი რომ დგებოდა, თავს დაესხა [მტერს] და მეფის პალატამდე შეაღწია. მეფის კარავში შევიდა, მეფემ ცხენზე აასწრო. მისი ძე **ბარტამი** მოკლა და თავი მოჰკვეთა. იქ ვიღაც სპარსმა ისარი ჰკრა ვახტანგს მკერდზე. ბრძოლა შუადღემდე გაგრძელდა. ვახტანგმა სძლია სპარსელებს, დახოცა ას ოცდაათი ათასი კაცი, ხოლო ვახტანგის ლაშქრისა-

გან მოკვდა ოცდარვა ათასი. წამოიყვანეს ასი ათასი ნაალაფევი ცხენი, მთლიანად ვერ წამოიყვანეს სიმრავლის გამო. სპარსთა მეფე აიყარა იქიდან და რუსთავში ჩადგა. ვახტანგს ჭრილობა გაურთულდა, რადგან ისარი ფილტვში იყო შეღწეული. უჯარმაში წავიდა. ქართლის სპასალარებს უბრძანა, რომ ადგილზე დარჩენილიყვნენ.

სპარსელებმა შეიტყვეს, რომ ვახტანგი ჭრილობებისგან ცუდად იყო. მოაოხრეს ტფილისი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს. მაგრამ რაც ზღუდის გარეთ იყო, მოაოხრეს, ისიც, რომელიც მუხნარიდან და არაგვის ხერთვისზე იყო.

[202] მოკვდა ბერძენთა მეფე, ვახტანგის სიმამრი. მეფედ დაჯდა მისი ძე **ზენონი**. იგი სპერში გამოვიდა ქართლში წამოსასვლელად. როცა ვახტანგის ცუდად ყოფნა გაიგო, **კარნუ** ქალაქში დადგა. ხოსრო იქ მივიდა. შეიბნენ ხოსრო და კეისარი კარნიფორაში. ორივე ლაშქრისგან იმდენი დაიხოცა, რომ სისხლის მდინარეები დადგა. ამის გამო ეწოდა ამ ადგილს **კარნიფორა**, ანუ სისხლის მუცელი. ერთმანერთი ვერ დაამარცხეს, რადგან ორივეს ლაშქარი დაიხოცა. ხოსრო ქართლის გზაზე მიბრუნდა.

ვახტანგმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, იხმო კათალიკოსი, თავისი ცოლი, შვილები, ყველა წარჩინებული და უთხრა: «მე მივალ ჩემი ღმრთის წინაშე და ვმადლობ მის სახელს, რომ თავის სიწმიდეებს არ მომაკლო. თქვენ გაუწყებთ, რომ მტკიცედ იდგეთ სარწმუნოებაზე და ქრისტესთვის სიკვდილს ეძიებდეთ, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ “.

ყველა წარჩინებულს უთხრა: «ქართლის მკვიდრნო, მოიგონეთ ჩემნი სიკეთენი, პირველად ჩემი სახლის მიერ რომ მიიღეთ საუკუნო ნათელი, მე ამქვეყნიური დიდებით გადიდეთ თქვენ, ჩემნი ნათესავნი. ჩვენს სახლს ნუ შეურაცხყოფთ და ბერძენთა სიყვარულს ნუ დათმობთ“.

თავის ძეს, დაჩის უთხრა: «შენ ხარ ჩემი პირმშო, შენთვის მომიცია ჩემი მეფობის გვირგვინი. შენი ძმებისთვის ნაწილად მიმიცია **ტაშისკარიდან** და **წუნდიდან** ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე. აფხაზეთის ტერიტორია, რომელიც ეგრისწყალსა და კლისურას შუა მდებარეობს, იგი შენი ძმების [204] დედისა არის, ის მათ ჰქონდეს და იყვნენ ერისთავები შენი მორჩილების ქვეშ“.

იხმო წუნდის ერისთავი, **ნასარი** და კლარჯეთის ერისთავი, **არ-ტავაზი**, ოძრხისის ერისთავი, ბივრიტიანი და მათ მიანდო თავისი ცოლი ელენე და თავისი შვილები, რომელთაც ერქვათ **ლეონი** და **მირდატი** და ცრემლითა და ღმრთის მზერით შეავედრა სამთავე ერისთავს.

წარჩინებულებს და მთელ ერს სასჯელის დღე დაუდგათ, თავში ხელს ირტყამდნენ, ნაცარს იყრიდნენ, თავისთვის სიკვდილს ნატრობდნენ. ტირილისა და გოდების ხმისაგან მიწა იძვროდა. მორწმუნე ერი შენატროდა მეფეს, რადგან ქრისტესთვის მოკვდა. ვახტანგი გარდაიცვალა. დაკრძალეს მცხეთაში,

საკათალიკოსო ეკლესიაში სვეტთან, სადაც განისვენებს ღმრთივაღმართული სვეტის მფარველობის ქვეშ(!).

ჩანართი 1

საფლავზე გამოსახულია მისი სახე, მისი ასაკის შესაფერისი. ახლა რაც აბჯარი და სამოსელია, აქედან უფრო ნაცნობია.

ოცდამეთოთხმეტე მეფე, დაჩი,
ვახტანგ გორგასლის ძე, ხოსროიანი

ტახტზე დაჯდა მისი ძე, **დაჩი**. ვახტანგის ცოლი და ორი ძე სამმა ერისთავმა წაიყვანა და დაიკავეს ქართლის დასავლეთი, [205] რომელიც მათ ვახტანგმა მისცა. ზაფხულობით ქალაქ **წუნდაში** იყვნენ, ზამთრობით — **ოძრხეში**. ისინი მეფეებად არ წოდებულან, არამედ ერისთავთა მთავრად და ემორჩილებოდნენ თავიანთ ძმას, მეფე დაჩის.

დაჩი მეფემ დაიწყო ქართლის აღდგენა, რადგან მოოხრებული იყო ქართლის ყოველი კუთხე, გარდა კახეთის, კლარჯეთის და ეგრისისა, დაასრულა ტფილისის ზღუდეები და როგორც ვახტანგს ჰქონდა ნაბრძანები, ის სამეფო სახლად შექმნა.

გარდაიცვალა **პეტრე** კათალიკოსი და დაჯდა **სამოელი**. მეფემ მას მცხეთა განუკუთნა, რადგან ასე ჰქონდა ნაბრძანები მეფე ვახტანგს. მეფე დაჩიმ მოიწვია კახეთის მთიულები, რათა ელიარებინათ ქრისტე.

მაგრამ მათ არ ინებეს და განდგნენ ნოპატელები. ვახტანგის ორი ძისაგან, რომლებიც ბერძენი ცოლისგან იყვნენ ნაშობნი, ერთი, სახელად **ლეონი**, გარდაიცვალა და დარჩა მხოლოდ **მირდატი**. მირდატს მისმა ძმამ დაჩიმ გარიგება შესთავაზა. მეფემ ქვეყანა გაუცვალა, მირდატს მისი დედული, საბერძნეთის ტერიტორია ეგრისწყალსა და კლისურას შუა, გამოართვა, და სანაცვლოდ მისცა ჯავახეთი ფარავნიდან მტკვრამდე. მირდატმა, ვახტანგის ძემ, დაიკავა [მიწა-წყალი] ფარავნიდან და ტაშისკარიდან ვიდრე სპერის ზღვამდე და იქ ერისთავობდა. ემორჩილებოდა თავის ძმას, დაჩის. მან ჯავახეთში წყაროსთავის ეკლესია ააშენა. გარდაიცვალა დაჩი მეფე.

[206] ოცდამეთხუთმეტე მეფე ბაკური,
ძე დაჩი მეფისა, ხოსროიანი

მეფედ დაჯდა მისი ძე **ბაკური**. გარდაიცვალა ბაკური.

ოცდამეთექვსმეტე მეფე, ფარსმანი,
ძე ბაკურ მეფისა, ხოსროიანი

მეფედ დაჯდა მისი ძე **ფარსმანი**. გარდაიცვალა კათალიკოსი **სამოელი**. კათალიკოსად დაჯდა თავფეჩაგი. გარდაიცვალა თავფეჩაგი. კათალიკოსად დაჯდა **ჩერმაგი**.

ვახტანგის დროიდან მოყოლებული ამ მეფეებს მშვიდობიანი დროება ჰქონდათ. მირდატის შვილები დაჩის შვილებს ემორჩილებოდნენ.

ფარსმანის მეფობის დროს სპარსელები მოვიდნენ, მოაოხრეს ქართლი და რანი. ქართველთა მეფემ ფარსმანმა სპარსთა მეფეს სთხოვა, რომ არ მოეოხრებინა ეკლესიები და ქართლი დაეტოვებინა ქრისტეს რჯულზე. რადგან იმ დროს ბერძნები დაკავებული იყვნენ: დასავლეთიდან მტრები მოსდგომოდნენ, [მათ] არ შეეძლოთ ქართველებისთვის დახმარების აღმოჩენა და სპარსელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. სპარსთა მეფემ ისმინა მისი ვედრება და ეკლესიები არ შემუს-

რა. ფარსმანმა წერილობით აღუთქვა მას მორჩილება და მსახურება. სპარსთა მეფე წავიდა.

[207] იმ დროიდან ვახტანგ მეფის მოდგმა გაიყო, რადგან დაჩის შვილები სპარსელებს ემორჩილებოდნენ, ხოლო მირდატის შვილები — ბერძნების მორჩილების გზას დაადგნენ.

გარდაიცვალა ფარსმანი და მეფედ დაჯდა მისი ძმისწული, ისიც სახელად ფარსმანი.

ოცდამეჩვიდმეტე მეფე, ფარსმანი, ძმისწული ფარსმან მეფისა, ხოსროიანი

იგი მორწმუნე იყო, როგორც მისი მამის ძმა და უმატა ეკლესიების შემკობას.

ჩანართი

ქართველებმა **იუსტინიანეს** სთხოვეს, რომ კათალიკოსად ქართველი ეროვნების წარმომადგენლები დამსხდარიყვნენ, რადგან კათალიკოსები საბერძნეთიდან მოდიოდნენ. იუსტინიანემ წერილი დაწერა და თავისი ბეჭდით დაბეჭდა, რომ კათალიკოსად ქართველი ეროვნების [პირები] დამსხდარიყვნენ და ყველა ეკლესიასა და მღვდელთმთავარზე უფროსობა ჰქონოდათ.

გარდაიცვალა კათალიკოსი ჩერმაგი. ფარსმან მეფემ დასვა **საბა**. ამიერიდან საბერძნეთიდან არ მოჰყავდათ კათალიკოსი, არამედ წარჩინებული შთამომავლობის ქართველები სხდებოდნენ. გარდაიცვალა კათალიკოსი საბა მეფემ კათალიკოსად დასვა ევლალე.

იმავე ფარსმანის დროს შუამდინარეთიდან მოვიდა **იოვანე**, რომელსაც ეწოდა ზედაზნელი, ქართლის განმანათლებელი და რჯულის განმწმედელი, ეკლესიათა მაშენებელი, რომელმაც მრავალი სასწაული და საკვირველება მოიმოქმედა, მან და მისმა მოწაფეებმა, რომლებმაც გააკვირვეს ყველა ქართველი. დაიწერა მათი ცხოვრება და სასწაულები და დაიდო ქართლის ეკლესიებში.

I ჩანართი

წმიდა მოწაფეების სახელები: **იოვანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტომყოფელი, ისე წილკნელი, თათე სტეფანწმიდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი** და **ელია დიაკონი**. სხვაც მრავალი დაემოწაფა წმიდა მამას, წმიდა კაცები და სულიერი მამები დაჰყუნეთ (!) დროისა. ოთხას ოცი წლის შემდეგ გამოიკითხა და გამოიძია ჩვენმა წმიდა მამამ **არსენი** ქართლის კათალიკოსმა. ზოგი რამ წიგნებიდან ამოვიკითხეთ, ზოგი კი მათი საქმეებით გაგვეგონა. აღვწერეთ ამ წმინდა მამების ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენთვის, მორწმუნეებისთვის, გასაცნობად და წმიდა სამების სადიდებლად, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

II ჩანართი

დავიწყოთ მოკლედ მათი ცხოვრება.

იოვანე იყო შუამდინარეთის ქვეყნიდან. არ ვიცით, ვინ იყვნენ მისი მშობლები, მაგრამ მხოლოდ ზეციური მამა იყო მისი მშობელი. გაიზარდა და ყოველივე სწავლულება შეითვისა. შეიმკო სრული სათნოებით. ამიტომ მას ღმრთის მიერ მიენიჭა ავადმყოფობათა მკურნალობა, ეშმაკთა განდევნა, მის მიერ მრავალი სასწაული სრულდებოდა.

ვინაიდან მრავალი წყენა მიადგა, ამიტომ უდაბნოში გაიქცა და იქ დაისადგურა. იქ ანგელოზისგან ბრძანება მიიღო, რომ თორმეტი მოწაფითურთ ქართლში წასულიყო. მოვიდა მცხეთაში. მეფის ბრძანებით და კათალიკოსის კურთხევით ზადენის მთაზე ავიდა და იქ ბერად შედგა. იმ მთაზე თავიდანვე კერპები იყო აღმართული და ამიტომ ეშმაკების სიმრავლე დამკვიდრებულიყო. წმიდა მამის იოვანეს ლოცვით ყველა განდევნილ იქნა იმ მთიდან. თავისი მოწაფეები სულიწმიდის წინამძღვრობით ზოგი ქართლში, ზოგი — კახეთში და ზოგი — გარეჯის უდაბნოში.

[209] ჩვენი ღირსი მამა იოვანე მხოლოდ ერთი მოწაფითურთ იქ დარჩა. ეშმაკისგან მრავალი წინააღმდეგობა და განსაცდელი გადაიტანა და ყველაფერზე გამარჯვებული აღმოჩნდა.

ამის შემდეგ იმ ხრიოკ მთაზე ღმერთმა მისი ლოცვით წყარო გამოადინა, რომლის სმით და ცხებით მდაბიო ხალხიდან მრავალი სნეული განიკურნა.

შემდეგ მშვიდი ლაპარაკით წყაროზე მდგომი დათვი გააქცია და მას შემდეგ დღევანდლამდე იმ მთის დათვები არავის კაცთაგანს არ ერჩიან. ასე მორჯულდნენ მოუთვინიერებელი დათვები.

მას დიდი ხნის საპყარი მოჰგვარეს და მისი ლოცვით მყის განიკურნა. სხვა კაცი მოიყვანეს, რომელსაც სიმუნჯის ეშმაკი ჰყავდა შემჯდარი. ილოცა მისთვის, მყის დასტოვა იგი ეშმაკმა და მოშორდა. ის კაცი განიკურნა და ადიდებდა ღმერთს. მისი მრავალი სასწაულიდან ეს მცირედი ვთქვი.

როცა მოვიდა ჟამი მისი ხორცთაგან განსვლისა, მოუწოდა **ელია** დიაკონს და სხვა თავის მოწაფეებს, დაარიგა და გაამხნევა. იხილა ზეცის მხედრობა, მასზე გადმოსული, მათ შეავედრა თავისი სული და მშვიდად მიიძინა.მისი წმინდა გვამი შემურეს და მიაბარეს თავის საყოფელს, სადაც იღვაწა, იმ მთაზე. მისი გარდაცვალების შემდეგ მრავალი სასწაული მოხდა, რომელთა შესახებ წმინდა იოვანეს სრული ცხოვრება მოგვითხრობს.

*

წმინდა მამა დავითი შუამდინარეთის ქვეყნიდან იყო. არაფერი ვიცით მისი მშობლების შესახებ. იგი დამოწაფებული იოვანესთან ერთად მოვიდა და ერთ მოწაფესთან ერთად, რომლის სახელია ლუკიანე, გარეჯის უდაბნოში წავიდა, რომლის მზის სიცხე და ზამთრის ყინვები ფრიად მრავალი მოითმინეს. ამის შემდეგ, როგორც დიდი ბასილის მამა, ირმების მიერ გამოიზარდნენ. სამი დედა ირემი თავიანთ ნუკრებთან ერთად მოდიოდა, წველიდნენ და მის ხაჭოს ჭამდნენ. მაგრამ ოთხშაბათობით და პარასკეობით არ მოდიოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ერთი ნუკრთაგანი შთანთქა მძვინვარე ვეშაპმა, რომელიც კლდის ნაპრალთა შორის ღელეში იყო დაბუდებული, რომელიც დავითის სიტყვით განდევნილ იქმნა და ყარაიის ველზე მეხისტეხით დაიწვა. დიდებული ბუბაქარი, კაკბებზე ნადირობისას, წმინდანს გადაეყარა და მისი მახვილით მოკვლა უნდოდა. გამართული ხელი გაუხმო

და იმავე წმინდანის ვედრებით როგორც უვნებელი კვლავ აღუდგა. ამის გამო გავარდა ხმა მის შესახებ და მრავალი ადამიანი დაემოწაფა. მრავალი ჭა ამოთხარეს.

[210] ღირსი **დოდოც** მოვიდა და მასთან დაივანა. ამის შემდეგ წმინდამ მწარე წყლები დაატკბო, რომელნიც დღემდე დიან ბერთუბნის მონასტრის გარშემო. მრავალი სასწაული აღასრულა. შემდეგ ფეხით წავიდა წმინდა ქალაქ იერუსალიმში. ბორცვებიდან რაც ჩანდა, იქ არ ინება ჩასვლა, არამედ იქიდან მოტრიალდა, თაყვანი სცა, სამი ქვა აიღო, აბგაში ჩაიდო და გამოემართა. ამის შესახებ პატრიარქმა ჩვენება იხილა. წმინდანს მალემსრბოლი კაცები დააწიეს, ორი ქვა ჩამოართვეს და ერთი დაუტოვეს, იგი მოვიდა და მოიტანა ის ქვა. მისი სასწაული ანგელოზის მიერ ეცნობა პატრიარქს: არ მიეცა სამი ქვა, არამედ წმინდა ქალაქის მესამედი მადლი აქ, უდაბნოში მოეტანა, ვინაიდან აქ სამგზის ლოცვა თანასწორია ერთგზის იერუსალიმში ჩასვლისა. ამის შემდეგ ღმერთს შეავედრა თავისი სული და მისი წმინდა გვამი მის სამყოფში, გარეჯის მონასტერში დაიმარხა. მისი ღვაწლი და სასწაულები სრულად მის სრულ ცხოვრებაში წერია. წმინდა მამის დავითის სიცოცხლეშივე კახეთიდან მოვიდა წმინდა მამა დოდო და მისვე წმინდა მამის უდაბნოში წავიდა, იქ დამკვიდრდა. ააშენა ფრიად დიდი მონასტერი, რომელზეც მრავალი შრომა და ღვაწლი დახარჯა. მის სასწაულზე, ცხოვრებასა და ღვაწლზე მისი ცხოვრება მოგვითხრობს. ამის შემდეგ თავისი სული ღმერთს შეავედრა და მისი წმინდა გვამი მისსავე სამყოფელში დაიმარხა.

*

წმინდა **შიო** ქალაქ ანტიოქიიდან იყო. ყრმობიდანვე მიატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და დაემოწაფა მამა იოვანეს. ვინაიდან წმინდა იოვანე საღმრთო სულის წინამძღოლობით ქართლში წამოვიდა, ღირსმა შიომ არ მიატოვა თავისი სულიერი მამა და მასთან ერთად წამოვიდა. მოვიდა ქართლში, ქალაქ მცხეთაში, მყუდროებისა და მარტომყოფობის მოსურნე იყო. წმინდა შიომ კათალიკოსისა და მამა იოვანესგან შენდობა ითხოვა და მცხეთის დასავლეთით წავიდა, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, ძალიან ღრმა ხევში, რომელსაც მღვიმე ეწოდე-

ბა. მზის სიცხისა და ზამთრის ყინვისაგან კანი უსკდებოდა. კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული იპოვა და მას შეაფარა თავი სიცხისა და ყინვისაგან. ვინაიდან სახიერმა ღმერთმა არ უგულებელ-ყო მისი ღვაწლი, როგორც ელია გამოზარდა ყორნის დახმარებით, ისევე აქაც მტრედის მიერ ყოველდღე საზრდელი მიეცემოდა. ამის შემდეგ, ერთ დღეს მდიდარი და საჩინო კაცი, სახელად **ევაგრე**, ფრინველზე სანადიროდ გამოვიდა. კლდის თავზე მარტოდ მდგომმა საკვების მიმტანი მტრედი ნახა, თვალები მიაპყრო და თავის გონებაში გაუკვირდა. მეორე დღეს ისევე ნახა, როგორც პირველად და მტრედის კვალს გაჰყვა. ნახა მომუშავე ბერი, მოეწონა ბერის მოთმინება და მასთან განშორება არ ისურვა. უთხრა: «მამაო, ღირს მყავ, რომ შენთან დავემკვიდრო, რათა მყუდროებაში დავასრულო ჩემი დღეები“. წმინდა შიომ მას უთხრა: «აიღე ჩემი კვერთხი, თუ მდინარე ამიერ და იმიერ გზას მოგცემს, წყალი გაიპობა, უფლის ნება არის, მოდი აქ და თუ გზა არ გექნება, იყავი სახლში და რწმენის მოსურნედ (სარწმუნოდ მნებებელად (!). მოსეს მსგავსად წავიდა განმგები (დამკვალიანებელი!) სახლიდან, კვერთხმა მტკვარი ორგზის განაპო. ევაგრე უკან მოუხედავად ავიდა მამა შიოსთან, როგორც ლოთი სოდომში, შიშით, რომ მარილის ძეგლად არ ქცეულიყო. მოთმინება, ლოცვა, უძილობა და მონაზონებრივი ღვაწლი ასწავლა. ამის შემდეგ წმინდა შიომ უთხრა: «შვილო ევაგრე, გვჭირდება ეკლესია, სადაც უფალს ენდომება, რომ ღმრთის მვედრებელნი ავიდნენ“. კლდის წვერის თავზე მარცხენა ხელზე საკმეველი და ცეცხლი დაიყარა, მარჯვენით ჯვარი გამოსახა, კლდის წვერიდან დაშვებისას საკმევლის კვამლით იპოვა ადგილი, სადაც უფალს ეკლესია სურდა და ყოვლად წმიდა ღმრთის დედის საყდარი ააშენა. ევაგრე მონაზონი გახდა. ყველგან გაითქვა მათი ამბავი. გარშემო სოფლებიდან სხვა ურიცხვი ადამიანები მოვიდნენ სამონაზვნოდ. ყოველგვარი საზრდო, წყალიც საზიდი იყო. ტვირთის გადასატანად ვირები ჰყავდათ. მგლებს უბრძანა და მგლები მწყემსავდნენ ვირებს. ერთ დღეს კონონ ბერის ვირი სადგომში არ მივიდა: კლდეზე გადაჩეხილიყო. ბერმა წმინდა შიოს უთხრა: „რა ჰქენი ეს, მგელი ვირების მწყემსად როგორ დააყენე? იმას შეუჭამია“. მგელი დაჩვეული იყო, ვირებს რომ მიიყვანდა, ბერები პურს დაუფშვნიდნენ და ჭამდა. ახლა

დატუქსვილი თრთის, ბერის კალთას წასაყვანად ეჭიდება. წაჰყვა, ნახა კლდის თავზე ნაპრალებში დაგორებული ვირი უსულოდ იდო. მგელი გაანთავისუფლა, უბრძანა: „ნუ იქნები ამ ადგილას ზიანის მომტანად“. ეს სასწაულები დღევანდლამდეა შემორჩენილი, რამეთუ გარეული მხეცები ვერას ავნებენ საქონელს. სხვაც მრავალი სასწაული აღასრულა.

ამის შემდეგ ბერების მამად ევაგრე განაწესა. თვითონ კაცთაგან მიუვალ ჯურღმულში, ბნელ მღვიმეში ჩავიდა. როგორც გამოთქვეს მისი სიმხნე და მოთმინება, ლოცვა, ეშმაკებისგან განსაცდელის მიღება, ცრემლი და უფლის მიმართ ვედრება — ამაში კეთილად აღასრულა თავისი ცხოვრება. მღვდლისაგან განწმედა ითხოვა და უფალთან წავიდა და იქვე იქნა მიმღებელი (!), [212] სადაც ღვაწლი აღასრულა და დღესაც ჩანს მისი საფლავი, ქართველთა სასო. ყოველ წელს აღმოცენდება მისი ნაწილები მორწმუნეთა გასამხნევებლად და ურწმუნოთა გასაკვირვებლად. სანამ ცოცხალი იყო, მრავალი სასწაული აღასრულა. დიდი არაგვის მდინარე განაპო, კოჭლი გაატარა, განრისხებული მეფე დაამშვიდა, არაწმიდათაგან ვნებული განკურნა, უშვილოებს შვილი მიანიჭა, ძე იგი კათალიკოსი გახადა. მისი წმინდა გვამი დაიფლა მღვიმეში, რომელიც მისი სამყოფელი და სამოღვაწეო იყო.

*

წმინდა მამა **ისე წილკნელი** წმინდა მამა იოვანეს მოწაფე იყო. არ ვიცით მისი მშობლები, არც სადაურობის ადგილი, მხოლოდ ეს ვიცით, რომ იოვანეს მოჰყვა თან და დიდი იძულების შემდეგ ქართლის კათალიკოსმა მღვდელთმთავრად აკურთხა მუხრანის მხარეში, სოფელ **წილკანში**, წმინდა ღვთისმშობლის საყდარში. სწავლით მრავალი ურწმუნო მოაქცია, თავის სამწყსოში მოძღვრება და ქადაგება გაშალა. იმ დაბაში უწყლობისაგან სასოწარკვეთილები იყვნენ, რადგან ქსანი შორს იყო. მათ შუა ტყე და მაღალი გორა იყო. ერთ დღეს [საყდარში] შესულმა დედაღმრთისას ხატის წინაშე ვედრება წარმოთქვა, აიღო თავისი კვერთხი, ქსნის ნაპირას მივიდა, წყალს უბრძანა: «ჩვენი უფლის იესო ქრისტეს და მარიამ ღვთისმშობლის ძალით გიბრძანებ, მდინარეო, გადმოდი, ჩემს კვალს შეუდექი და მოჰყევი კვერთხის წვერს“. გაუვალ

და უგზო ადგილს შემოუდგა, მონასავით მოჰყვებოდა, წილკნის ბოლომდე წამოიღო წყალი, რომელიც დღევანდლამდე დის.

ამის შემდეგ უფლის მეოხებით მრავალი ღვაწლი განფინა, სიხარულით წავიდა, მღვდელთმოძღვრობის პატივი აღასრულა, ღირსი წმიდა სული უფალს შეავედრა. ყოვლად პატიოსანი მისი გვამი მიიღო წილკნის მონასტერმა, რომელიც აქამდე ჩანს ქართველთა სასოდ და შესავედრებლად.

*

მამა **ანტონი** შუამდინარელი, მამა იოვანეს მოწაფე, ბერებს შორის ფრიად სათნო და გამოჩენილი იყო. ამან, ყოვლად სანატრელმა, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმიდა ხატი (!), რომელიც თავისი სახის [ნიმუშად, ფორმად (!)] ტილოზე გამოსახა და ავგაროზს საწადელი შეუსრულა (!). ამაღლების შემდეგ **თადეოსის** ხელით გაუგზავნა და შეყრილი კეთრისაგან განკურნა. მთელი თავისი სახლეულით თადეოსის მიერ ნათელ-იღო. მის შემდეგ ავგაროზს ძე და მის ძეს შვილიშვილი შეენაცვლნენ მხოლოდ მეფობით და არა ღმრთისმსახურებით, რადგან ღმრთისმსახურებისაგან განდგომილი იყვნენ და ეშმაკების ჩვენებებს იყვნენ დამონებული. რაც ავგაროზს ეშმაკებისთვის უქნია: როგორ შემუსრა და განუდგა — ამისთვის უნდოდა შურის გება, რომ მიუზღოს ეშმაკებს ძველი მსხვერპლშეწირვის დამხობის სახე ნაცვლად საუფლო ხატის დამხობისა (!), რომელიც ავგაროზმა ქალაქის ბჭეებზე აღმართა, სადაც აღმართული იყო ბილწი კერპი. იქ დაასვენა ფიცარზე გადაკრული ტილოს ხატი, რათა ყველა შიგნით შემსვლელს თაყვანი-ეცა. მაშინ ავგაროზის ბილწმა შვილიშვილმა დღეკეთილობის ნაცვლად უსახურობა აირჩია, უარყო ხატი იგი და ეშმაკებს შეუდგა. ჩაიფიქრა ქრისტეს ხატისთვის, რომ წარეწყმიდა იგი.

ქალაქის ეპისკოპოსმა გაიგო იმ ბოროტის განზრახვა და ღირსეული და იმ დროის შესაფერისი განგება გამოიტანა. სადაც ხატი ესვენა, კამარედი იყო, წმინდა ეპისკოპოსმა ანთებული კანდელი დადგა ტაძრის საფარველად, ხატის წინ კეცი აღმართა, კამარის კარი ამოქოლა, გამურა, ისე, რომ ახლო მანძილზეც სრულიად არ ეტყობოდა. უკანასკნელი დღეების შემდეგ სპარსთა მეფე ხოსრო მოადგა **ედესია** ქალაქს, ზღუდის

გამოთხრა დაიწყო. უნდოდა, ისე შესულიყვნენ, რომ ვერ გაეგოთ, რომ ებრძვიან. მაშინ ღმერთმა არ დაივიწყა უტყუველი აღთქმა, რომელიც აღუთქვა: «მე ედესიის ზღუდე ვარ“. თავისი დამბადებლის მეოხებით ქალაქის ეპისკოპოსს, **ევლავიოზს**, დედა ღმრთისა გამოეცხადა და უთხრა: «რომელიღაც ბჭეზე არის ხელთუქმნელი და დაფარული ხატი“. ეპისკოპოსმა რომ გაიღვიძა, ჭეშმარიტად გაიგო ძილში ნანახი ჩვენება. დილაზე ლიტანიით წავიდა იმ ადგილას და იპოვა სრულიად დაუზიანებელი წმინდა ხატი. ამდენი დროის განმავლობაში კანდელი მის წინაშე ანთებული იყო. კანდელის ზეთი ქალაქის მებრძოლებზე გადააწვეთეს და მეყსეულად, როგორც კი [მტერი] მიუახლოვდა მათ, მოედო და დაიწვნენ, გაიბნენ, როგორც მტვერი და გაუჩინარდნენ.

ხოლო კეცზე, რომელიც ხატის საფარველად იყო აღმართული, გამოსახული იყო სხვა ხატი, წმინდა საუფლო ხატის მსგავსება, რომელიც თანაბრად პატივ-იცემებოდა, იგი ნესტორიანთა ეკლესიაში იქნა დასვენებული.

წმინდა ანტონმა გამოიკითხა თავისი მოძღვრის გზა, სინამდვილე შეიტყო და გაიგო, რომ სხვა მოწაფეებთან ერთად, რომელთაც ახლა მოვიხსენებთ: **დავითი**, **დოდო**, **შიო** ანტიოქელები და იოვანეს რვა სხვა მოწაფე, რომლებიც ერთი ადგილიდან იყვნენ წამოსული, სომხითში, ჩრდილოეთის მხარეს წავიდა. ეს გაიგო წმინდა ანტონმა, თავისი მოძღვრის სიყვარულმა აიტაცა. ისიც უმძიმდა თავის გულში, რომ საუფლო ხატი ნესტორიანელების ეკლესიაში ესვენა. აიღო კეცი, რომელიც ხატის საფარველად იყო და ხატად ქმნილიყო. ანგელოზის წინამძღოლობით და ზეციერი შეტყობინებით უჩინრად წამოიყვანა ჩრდილოეთში, მიაღწია მტკვარს, გადაიარა იგი და დაემკვიდრა აღმოსავლეთის მხარეს, კლდის დაახლოებით ოთხი ათასი ნაბიჯის ოდენა ნაპრალში, **აკრიანის** მთებში. იოანეს გარშემო იყო დაახლოებით ხუთი ათასი ნაბიჯის ოდენა (ნაპრალი?), შიოს გარშემო — დაახლოებით ცხრა ათასი ნაბიჯის ოდენა, დავით-დოდოს გარშემო — დაახლოებით ცამეტი ათასი ნაბიჯის ოდენა. წმინდა ანტონს იქვე თავის გამოსაკვებად ირმები ჰყავდა. მთა იყო უწყლო და ტყიანი, ქალაქი — დაახლოებით ერთი ათასი ნაბიჯის ოდენა, მცირე. ეს ირმები მინდორში მიდიოდნენ, დრო რომ მოვიდოდა, შინ მოდიოდნენ, წველავდა. მწყემსებივით [214] დროზე მოდიოდნენ. მხოლოდ

ერთხელ დამფრთხალები უდროოდ მოვიდნენ, უკან დაჭრილი ნუკრი მოსდევდათ. წმინდანს ეს გაუკვირდა და თავის გულში თქვა: «ვის სად გადაეყარა?“. არ იცოდა, რომ ქალაქი იყო ახლოს და როგორც ადამიანებს, ბუნდოვნად ნახვისას უთხრა (!): «რა არის ეს?“ მათ, როგორც მეტყველებმა, თავის გადაწევით უთხრეს: «გამოგვყევი და გიჩვენებთ“. გაჰყვა მათ კვალს, იმ ადგილას მივიდა, სადაც მათ შეხვდა. და აჰა, იმ დაბის მთავარი სანადიროდ მოდიოდა, წინ შემოეყარა და ჰკითხა: «ვინ ხარ?“ წმინდანი ხელით უჩვენებდა, სადაც იმყოფებოდა და რასაც აკეთებდა, რადგან ენა არ იცოდა.

მაშინ მთავარმა უთხრა: «მე შენი ენა არ მესმის და რომელი ხელითაც მელაპარაკები, მაგასაც მოგკვეთავ“. და უბრძანა: «წაიყვანეთ მჭედელთან“ .როცა მიიყვანეს, მჭედელმა შანთი გაახურა და მომართა, რომ ხელი მოეკვეთა. [იგი] ქვემოთ დაეცა და ხელები შეშასავით გაუშეშდა. მაშინ წმინდანმა ხელი გამოსწია, ნაკვერცხალი ხელით აიღო, მიუშვირა და უთხრა: «გააკეთე, რაც ადრე გიბრძანეს“. იგი შეკრთა ამ საშინელ სანახაობაზე. სასწრაფოდ შეატყობინეს მთავარს, ყოველი ნანახი უამბეს. მან ბრძანა, რომ მასთან მიეყვანათ. როცა მიიყვანეს, უთხრა მას: «თქვი, რა გინდა და ყველაფერს მოგცემ“. მან პატარა ქვა აჩვენა, დაახლოებით სამეული (!) და ლოკვა დაუწყო. მიხვდნენ, რომ მარილი უნდოდა და მოუტანეს მხოლოდ ორი გაუტეხელი ქვა. მან ერთი გირვანქა მოატეხა, წავიდა და თავის ფურებს აალოკინა. იყო ხატთან თავისი ცხოვრების აღსასრულამდე. წმინდანთა შორის გარდაიცვალა, საუფლო ხატი ჩევნ დაგვიტოვა. დღევანდლამდე უჩინრად არის და ცხადად სასწაულთმოქმედებს ისე, რომ უფრო ადვილია ზღვის ქვიშის აღრიცხვა, ვიდრე საუფლო ხატის საკვირველებებისა. მაგრამ ვინაიდან მხოლოდ ღმერთია სასწაულთა მოქმედი, მხოლოდ მან უწყის მისი სასწაულების სიმრავლე. **სოლომონიც** რომ იყოს, ვერც იგი შესძლებს აღრიცხვას, მხოლოდ ღმერთი ოდენ.

ჩანართი

1. ხასკუნების განდგომა

იმ დროს, როცა თვითმპყრობელი **იუსტინიანოსი**, ბერძენთა მეფე, ოსეთის მხარეში, აბაზგიის საზღვრებთან განდგომილ ხას-

კუნთა ტომებს ებრძოდა, იუსტინიანოსმა დიდძალი ქონება მიუძღვნა ქართველთა მეფეს, ფარსმანს და სთხოვა, მთელი თავისი ძალებით დახმარებოდა მის მხედრობას და შებრძოლებოდა ხასკუნებს. ფარსმანმა ისმინა ბერძენთა მეფის ვედრება, თავისი სამეფოს მცველად ევაგრე დატოვა, თვითონ წავიდა და ღვთის შეწევნით ხასკუნთა ტომი დაიმორჩილა. შეპყრობილი მათი მთავრები იუსტინიანესთან გააგზავნა, შემდეგ თავის სამეფოში დაბრუნდა.

2. მეხუთე მსოფლიო კრება

იუსტინიანეს მეფობის ოცდამეექვსე წელს, ქრისტეს აქეთ 527 წელს, რომის წმინდა პაპის **ვიგილიოსის** ზეობაში, კონსტანტინეპოლში შედგა მეხუთე კრება, რომელსაც ას სამოცდახუთი წმინდა მამა ესწრებოდა. [კრებას] წინამძღვრობდნენ **ევტიქიოს** კონსტანტინეპოლელი, **აპოლინარი** ალექსანდრიელი, **დომნოს** ანტიოქელი და ადგილის შემავსებლად იერუსალიმელები: **სტეფანოს, გიორგი** და **დამიანოს** ეპისკოპოსები. შეიკრიბნენ ორიგენისტების და მათი მომხრეების, **დიდიმოსის** და **ევაგრესთვის**, რომელნიც შეაჩვენეს და დაამხეს.

3. აფხაზთა მოქცევა

იმავე იუსტინიანეს მეფობის დროს აფხაზებიც უკეთესობისკენ შეიცვალნენ და ქრისტიანობის ქადაგება შეიწყნარეს, რადგან მეფის პალატებში იყო ერთი აფხაზი წარმოშობის საჭურისი, სახელით **ევფრატა**, რომელიც მეფემ მათთან გააგზავნა საქადაგებლად და აღთქმის გადასაცემად, რომ ამიერიდან მათი მოდგმის არც ერთ მამაკაცს რკინით არ წაერთმებოდა მამაკაცობა., რადგან მრავალი მათგანი სამეფო საწოლის მსახური იყო, რომელთაც ჩვეულება საჭურისს უწოდებს. იუსტინიანემ აფხაზეთში, ბიჭვინთაში წმიდა ღმრთისმშობლის ტაძარი ააშენა, იქ მღვდლები დაადგინა, რათა საყოველთაოდ ასწავლიდნენ ქრისტეს რჯულს.

ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვას დავუბრუნდეთ.

მირიან მეფის მეფობიდან ვიდრე მეორე **ფარსმანამდე** ორას ორმოცდაათმა წელმა გაიარა. გარდაიცვალა 14 მეფე. ვახტანგიდან მოყოლებული გარდაიცვალა რვა კათალიკოსი. გარდაიცვალა ფარსმანი და მეფედ დაჯდა მისი ძე **ბაკური**.

ოცდამეთვრამეტე მეფე, ბაკური,
ძე ფარსმან მეფისა, ხოსროიანი

ბაკური იყო მორწმუნე და ეკლესიების მაშენებელი. მან თავის სამეფოში ეკლესიები და მღვდლები გაამრავლა და ქართლი ყოველგვარი ურწმუნოებისაგან გაწმინდა.

გარდაიცვალა კათალიკოსი **ევლევიოზი**, მეფემ კათალიკოსად დასვა მაკარი.

იმ დროს სპარსეთში მეფობდა **ურმიზდი**.

[217] იმ დროს სომხითში იყო ერთი კაცი, მთავართა შვილი, სახელად ვასქენი. მას ცოლად ჰყავდა მთავართა შვილი, სახელად **შუშანიკი**, ვარდანის ასული. **ვასქენს** ეშმაკი შეუჯდა და ცეცხლისმსახურებაზე გადასვლა განიზრახა. სპარსთა მეფესთან წავიდა, ქრისტეს რჯული დატოვა და ცეცხლისმსახური გახდა. სპარსთა მეფემ იგი დიდი ძღვენით გამოაგზავნა **რანის** ერისთავად. როცა მოვიდა და მისმა ცოლმა შუშანიკმა გაიგო ქმრის მიერ ქრისტეს რჯულის უარყოფა, აღარ ისურვა მისი ცოლობა, ქმრის სიყვარული დაივიწყა და მთელი გულით შეუდგა ქრისტეს მცნებათა აღსრულებას.

მაშინ ვასქენი სხვადასხვა ხერხით მიუდგა, პირველად მლიქვნელობით, ვედრებით და საჩუქრების მიცემით; შემდეგ დიდ სატანჯველში ჩააგდო იმდენი ხნით, რომ ვერ აღვწერე წმინდა შუშანიკის ღვაწლი. მოკლა იგი მისმა ქმარმა, ვასქენმა, რანის ერისთავმა.

მაშინ ქართველთა მეფემ, ბაკურმა, მოუწოდა თავის ყველა ერისთავს, ფარულად შეკრიბა ლაშქარი და მალულად გაემართა ვასქენთან საბრძოლველად. ვასქენი მტკვრის კიდეზე მინდორს გარეთ იდგა, სადაც მდინარე **ანაკერტი** ერთვის მტკვარს. თავს დაესხა და ვასქენი შეიპყრო. იგი აკუწეს და მისი სხეულის ნაწილები ხეზე ჩამოკიდეს. დიდი პატივით წამოიღეს წმინდა შუშანიკის გვამი და **ცურტავში** დაფლეს.

ბაკურ მეფემ სპარსთა მეფესთან მოციქული გააგზავნა, ყოველივე ეს აუწყა და მისგან შენდობა ითხოვა. სპარსთა მეფემ თავის გონებაში გაიფიქრა: «ქართველები რომ შევრისხო, ისინი ბერძნებს გაუერთიანდებიან“. შენდობა ირჩია: ბაკურის მოციქული კეთილი პასუხით გამო-

აგზავნა, მოკლული ვასქენის ყოველგვარი გმობა და ბრალდება უთხრა და ბაკური მის სიკვდილში გაამართლა [217]. რანში და მოვაკანში სხვა ერისთავი გამოგზავნა, რომელსაც **დარელი** ერქვა და უბრძანა, რომ ქართველებთან კეთილად ემეგობრა.

გარდაიცვალა მაკარ კათალიკოსი. მეფემ კათალიკოსად **სვიმონი** დასვა. გარდაიცვალა ბაკური და დარჩა პატარა შვილები, რომელნიც მეფობას ვერ გასწევდნენ.

მაშინ სპარსთა მეფემ ურმიზდმა, თავის ძეს, რომელსაც **ქასრე ამ-ბარვეზი** ერქვა, რანი და მოვაკანი მისცა. მოვიდა და დაჯდა **ბარდავში** და ქართლის ერისთავებს აუწყა განზრახვა: დიდი სიკეთე აღუთქვა, წერილით დაუმტკიცა მათი საერისთაოების ფლობა შვილით-შვილ-ამდე. და ასე მლიქვნელობით გადაიბირა ისინი. ერისთავები განდგნენ და ცალ-ცალკე ხარკს აძლევდნენ ქასრე ამბარვეზს.

ბაკურის შვილები კახეთის მთიულეთში დარჩნენ. მირდატის, ვახ-ტანგის ძის შთამომავლობა, რომლებიც კლარჯეთსა და ჯავახეთში ბატონობდნენ, კლარჯეთის კლდეებში დარჩნენ. დანარჩენი ქართლი, სომხითი და **ასპურაკანი** სპარსელებმა დაიპყრეს. ებრძოდნენ ბერ-ძნებს.

რამოდენიმე წლის შემდეგ სპარსეთში დიდი არეულობა მოხდა, რადგან თურქთა მეფე შევიდა სპარსეთში. მოვიდნენ ბერძნები, შეებრ-ძოლნენ სპარსელებს შუამდინარეში, გააქციეს, სპარსეთში შევიდნენ და დაიწყეს სპარსეთის დაპყრობა. მაშინ ქასრე ამბარვეზმა დასტოვა რანი და ქართლი და მამამისის საშველად წავიდა.

როგორც კი სპარსელები დაკავებულები აღმოჩნდნენ, ქართლის ერისთავები, ზემონი და ქვემონი, შეითქვნენ, მოციქული გააგზავნეს ბერძენთა მეფესთან და სთხოვეს, რომ ქართლის მეფეების შთამომა-ვლობიდან დაესვა მეფე და ერისთავნი შეუცვლელად ყოფილიყვნენ თავ-თავიანთ საერისთავოებში.

[218] კეისარმა შეასრულა მათი თხოვნა და მეფედ მისცა ვახტანგის ძის (ბერძენი ცოლისაგან) მირდატის დისწული, რომელსაც **გვარამი** ერქვა, რომელიც კლარჯეთსა და ჯავახეთში მთავრობდა.

ქართლის ოცდამეცხრამეტე მეფე,
კურაპალატი
გვარამ ბაგრატოვანი

გვარამი დედით ხოსროიანი იყო, მამით — ბაგრატოვანი. ეს ბაგრატოვანები გვარამის შვილიშვილები და ნათესავნი არიან.

კეისარმა გვარამს კურაპალატობა უბოძა და მცხეთაში გამოაგზავნა.

[219] **ბაკურ** მეფის შვილები, ვახტანგის ძის, დაჩის (რომელსაც ვახტანგ მეფემ მისცა მეფობა), ნათესავები, კახეთში დარჩნენ, დაიპყრეს კუხეთი და ჰერეთი იორიდან მოყოლებული, უჯარმაში გამაგრდნენ და გვარამ კურაპალატის მორჩილების ქვეშ იყვნენ.

კეისარმა დიდი განძი გამოაგზავნა გვარამ კურაპალატთან და უბრძანა, რომ იმ განძით ჩრდილოეთიდან ლაშქარი გამოეყვანა, შეერთებოდა მას ქართველთა ლაშქარი და შეეგზავნა სპარსეთში. გვარამი ასე მოიქცა: გამოიყვანა ოსები, დურძუკები, დიდოელები და მათ ქართლის ერისთავები წაუმძღვანა. შევიდნენ ადარბადაგანში, დაიწყეს დაპყრობა. ამგვარი გასაჭირი და მოუცლელობა დაატყდათ თავს სპარსელებს.

მაშინ სპარსეთში გამოჩნდა ერთი კაცი, რომელსაც **ბარამ ჩუბინი** ერქვა. იგი სპარსეთში შემოსულ თურქებს შეებრძოლა, როგორც ეს გაცხადებულად წერია სპარსელთა ისტორიაში. მოკლა **საბა**, თურქთა მეფე და გააქცია მათი ბანაკი. მაშინ ბერძნების ლაშქარი, რომელიც სპარსეთში იყო შესული, მიბრუნდა და შინ წავიდა. გვარამ კურაპალატის მიერ შეგზავნილი ჩრდილოელებიც წამოვიდნენ შინ. რადგან სპარსელებმა თურქებისაგან მოიცალეს, ქართველები შეშინდნენ, სპარსელებისადმი შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო [ისინი].

გვარამ კურაპალატმა ციხეებისა და ქალაქების გამაგრება დაიწყო.

ღმერთმა კვლავ წყალობა მოიღო ქრისტიანეთა მიმართ: სპარსეთში სხვა შუღლი დაიწყო. იგივე ბარამ ჩუბინი განუდგა სპარსთა მეფეს, [221] ურმიზდ მეფეს მისმა ცოლის ძმებმა თვალები დასწვეს. დაიწყო ბრძოლა ჩუბინსა და ქასრეს შორის. ჩუბინმა სძლია ქასრეს. {იგი] საბერძნეთში წავიდა, **მავრიკ** კეისარმა თავისი ასული მისცა ცოლად

ქასრეს, მისცა ლაშქარი და ჩუბინთან საომრად გამოაგზავნა. ჩუბინი სპარსეთიდან გააძევეს და ქასრემ დაიკავა სპარსეთი.

მაშინ მავრიკ კეისარმა ქართველების გამო წუხილი გამოთქვა ქასრესთან და უთხრა: „ვინაიდან ქართველებმა კერპთმსახურება მიატოვეს, იმ დროიდან ბერძენთა მორჩილი არიან. რადგან გარკვეულ დროს თქვენი ბატონობისგან ქართლი დაეცა, თუ არა, თქვენი სამართალი არ არის ქართლზე (!). ახლა ღვთის ბრძანებით, ვინაიდან მე და შენ სრული სიყვარული გვაკავშირებს, იყოს ქართლი ჩვენ შორის თავისუფალად და მშვიდობით. მე ვარ ყველა ქართველისა და ყველა ქრისტიანის შემწე და მეურვე“.

მაშინ სპარსთა მეფე დაემორჩილა კეისარს და ქართველები განთავისუფლდნენ. გვარამ კურაპალატი ბერძენთა მორჩილებაზე დადგა.

იგი მორწმუნე და ეკლესიების მაშენებელი იყო. მან დაიწყო პატიოსანი ჯვრის ეკლესიის შენება. აქამდე ჯვარი მინდორში იყო და ერთი წლის განმავლობაში ააშენა ეკლესია.

კეთილად და უშფოთველად მეფობდა. მაგრამ ქართლის ერისთავები მათ საერისთავოებში ვერ შეცვალა, რადგან სპარსთა და ბერძენთა მეფეებისაგან თავიანთ საერისთავოებზე მკვიდრობის სიგელები ჰქონდათ, თუმცა გვარამ კურაპალატის მორჩილების ქვეშ იყვნენ.

გვარამ კურაპალატს ჰყავდა შვილები, რომელთაც სახელად ერქვათ ერთს **სტეფანოზი**, მეორეს — **დემეტრე**.

[222] გარდაიცვალა კათალიკოსი სვიმონი და დაჯდა **სამოელი**. გარდაიცვალა კათალიკოსი სამოელი და დასვეს ისევ სამოელი.

გვარამ კურაპალატმა ტფილისის სიონის საფუძველი განაახლა.

რომელთაც გვარამის შემდგომ ტფილისის სიონის შენება დაასრულეს: ნახევარი ერთმა ვინმე ქვრივმა დედაკაცმა და ნახევარი — მთელმა ერმა, **ადარნასე I** მთავრის დროს, ადარნასეც შეეწია მის აღშენებას. მორწმუნე მირიან მეფის ყველა ნათესავი ეკლესიების მაშენებელი იყო.

გარდაიცვალა გვარამ კურაპალატი.

მეორმოცე ქართლის ერისთავთა მთავარი სტეფანოზი, ძე გვარამ კურაპალატისა, ბაგრატოვანი

დაჯდა მისი ძე სტაფანოზი. მეფის სახელის დარქმევა ვერ გაბედა ბერძნებისა და სპარსელების შიშით, არამედ ერისთავთა მთავარს უწოდებდნენ. გარდაიცვალა სამოელ კათალიკოსი. სტეფანოზმა კათალიკოსად **ბართლომე** დასვა. სტეფანოზი ურწმუნო იყო და ღმრთის არმოშიში, ღმერთს არ ემსახურებოდა, არც რჯულს შეჰმატა და არც — ეკლესიებს.

[223] მის დროს საბერძნეთში დიდი არეულობა მოხდა: მავრიკ კეისარს განუდგა სარდალი **ფოკა**, მოკლა კეისარი მავრიკი და მისი შვილები. სარდალმა ფოკამ საბერძნეთი დაიპყრო. მაშინ კეისრის სიძემ, სპარსთა მეფემ ქასრემ, გადაწყვიტა სიმამრისა და ცოლის ძმების სისხლის აღება, საბერძნეთში შესვლა და დაპყრობა. შეუტია ბერძნებს, ფოკა კეისარმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ხოლო ქართლის მთავარი სტეფანოზი შეუშინდა სპარსელებს, განუდგა ბერძნებს და შეუერთდა სპარსელებს.

იმ დროს იმავე **ქასრე** მეფემ იერუსალიმი დაიპყრო და ძელი ცხოველი წაიღო. ამის შემდეგ ღმერთმა წყალობის ხელი აიღო ქასრეზე. იგი საკუთარმა ძემ შეიპყრო, საპყრობილეში ჩასვა და ავი სენისგან მოკვდა.

სტეფანოზის დროს მცხეთას [მოსახლეობა] აკლდებოდა და ტფილისი ძლიერდებოდა, არმაზი ოხრდებოდა და კალა შენდებოდა. სტაფანოზის ძმა, სახელით **დემეტრე**, ჯვარი პატიოსნის ეკლესიას აშენებდა. იგი ავი სენითაც იყო დაავადებული და ეკლესიის კარებს ვერ შორდებოდა. **სტეფანოზი** მთელ ქართლზე მთავრობდა, იგი ტფილისში დაჯდა და სპარსელებს ემორჩილებოდა. ამის მერე რამდენიმე წლის შემდეგ საბერძნეთში გამოჩნდა ერთი კაცი, მავრიკ კეისრის ნათესავი, სახელით **ერეკლე**. მან ფოკა კეისარი მოკლა და საბერძნეთი დაიპყრო. გაძლიერდა, დასავლეთიდან (!) თურქები მიიყვანა [224], ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა და სპარსეთში ძელი ცხოველის საძებნელად გამოემართა. პირველად ქართლში, სამცხეში მოვიდა. ესმა იმ ხატის სასწაულთმოქმედება, რომელიც წმიდა ღვთისმშობელს გამოესახა და პირველწოდებული ანდრიასთვის მიეცა. მას მოუსვენებია და **აწყურში** მცირე ეკვდერში დაუსვენებია. კეისარი ერეკლე ხატის სანახავად და თაყვანისსაცემად

მოვიდა. მაშინ ერეკლემ აწყურში დიდი საყდრის საძირკვლის ჩაგდება და მშენებლობა დაიწყო. შემდეგში იგი მორწმუნე ადამიანების მიერ დასრულდა. შემდეგში იგი საეპისკოპოსო გახდა.

სტეფანოზმა სპარსელთაგან განდგომა არ ისურვა, ციხე-ქალაქები გაამაგრა და ქალაქ ტფილისში დადგა. მოვიდა ერეკლე კეისარი და მოადგა ტფილისს. სტეფანოზი ქველი და მამაცი მხედარი იყო. ყოველ დღე ქალაქის კარებთან გამოდიოდა და ბერძნებს ებრძოდა. იმ ბრძოლაში ცხენიდან ჩამოაგდეს სტეფანოზი და მოკლეს. კეისარმა ტფილისი დაიპყრო.

კალის ციხეში რამდენიმე კაცი დარჩა, არ შეუერთდნენ მეფეს. ციხიდან ციხისთავმა მეფეს აგინა: «ვაცის წვერი გაბია, ვაც-ბოტის კისერი გაქვს". მეფემ ბრძანა: «თუმცა ამ კაცმა ლანძღვით მიწოდა მე ვაცბოტი, მისი სიტყვა [მაინც] ცუდი არ არის". დანიელის წიგნი აიღო და ასეთი სიტყვები იპოვა: «გამოვიდნენ დასავლეთის ვაცები და შემუსრეს აღმოსავლეთის ვერძების რქები". მეფეს გაუხარდა და სარწმუნოდ ეჩვენა, რომ სპარსელებზე გაიმარჯვებდა.

[225] მაშინ კეისარმა მოუწოდა ქართველთა მეფის, ბაკურის ძეს, ვახტანგის ძის, დაჩის, ნათესავს, რომელიც კახეთის ერისთავი იყო და **ადარნასე** ერქვა, მისცა ტფილისი და ქართლის მთავრობა. მასთან დატოვა ერისთავი, რომელსაც **ჯიბღა** ერქვა და უბრძანა **კალასთან** ბრძოლა. თვითონ მეფე სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა.

ქართლის ორმოცდამეერთე მთავარი, ადარნასე, ძე ბაკურისი, ხოსროიანი

ქართლის მთავარმა ადარნასემ და ჯიბღუ ერისთავმა **კალას** ციხეს შეუტიეს. კეისარი ბაღდადში წავიდა.

მოკლე ხანში აიღეს კალა და ციხისთავი შეიპყრეს. ერისთავმა თავდაპირველად პირი დრაჰკანებით გაუვსო, რადგან კეისარმა შენს სიტყვებზე გაიხარაო. ამის შემდეგ ტყავი გააძრო და კეისარს უკან მიაწია გარდაბანში. მეფის შეურაცხყოფისათვის უყო ასე.

[226] ასეთი სიკვდილით აღესრულნენ სტეფანოზი და მისი მომხრეები. ღმერთმა ეს იმიტომ დამართა სტეფანოზს, რომ ღმერთზე მინდობით არ ცხოვრობდა: მორწმუნეებს ემტერებოდა და ურწმუნოებს ემოყვრებოდა.

მაშინ ბერძნებმა კვლავ მიითვისეს ქართლის ტერიტორია: **სპერი** და კლარჯეთის ბოლო, ზღვის პირი. სტეფანოზის შვილები კლარჯეთის კლდეებში დარჩნენ. დანარჩენი ქართლის მთავრობა ხელთ იგდო ადარნასე ბაკურის ძემ. ვერც მან გაბედა მეფობის სახელის ტარება. ერისთავები შეუცვლელად ცხოვრობდნენ თავ-თავიანთ საერისთავოებში და ადარნასე მთავარს მორჩილებდნენ.

ჩანართი 1

გარდაიცვალა კათალიკოსი **ბართლომე**, ადარნასემ კათალიკოსად **იოანე** დასვა.

ჩანართი

გააგზავნეს ანტიოქიაში და მასთან ერთად ერთი მონაზონი მოციქულადაც და საკურთხეველადაც, რადგან დაწესებული იყო კათალიკოსის ანტიოქიიდან კურთხევა, არავის შეეძლო ანტიოქიაში მგზავრობა. ამის გამო ქართველებს დიდი საზრუნავი ჰქონდათ. **თეოფილაკტე** ანტიოქიელ პატრიარქის დროს მოციქულები გააგზავნეს, თეოფილაკტე ანტიოქიელ პატრიარქთან მივიდნენ და უამბეს ნეტარ თეოფილაკტეს, რომ ქართველთა მხარეების მკვიდრი ქრისტიანები დიდ გასაჭირში არიან, რადგან ნეტარი ანასტასი მღვდელმოწამის დღიდან კურთხევა არ ხერხდება გზების სიძნელის გამო. მან საყოველთაო კრება შეკრიბა და კრების რჩევით, თავის მთავარეპისკოპოსებთან, მიტროპოლიტებთან და ეპისკოპოსებთან ერთად განაჩინა, რომ შეიკრიბნენ მისი სამრევლოს ეპისკოპოსები და დროდადრო აკურთხონ [ის], რომელსაც საღმრთო მადლი მათ უჩვენებს, რომელსაც გამოარჩევენ და მეფეს, ეპისკოპოსებს და იმ ეკლესიის ერსა და მოყვასს მოეწონება. შეუდგინა მათ დაწერილი მოსახსენებელი თავისი თავისთვის და იქ შეკრებილი კრებისთვის. მასთან გაგზავნილი ორი მონაზონიდან ერთი, სახელით იოანე, ხელდასხმულ იყო იმ დროის კათალიკოსად. ანტიოქიის ამ კრებაზე გაპატიოსნდა და მათგან დამოუკიდებელი გახდა კათალიკოსი, რად-

გან პატრიარქების ხელქვეითი არ არის. აღარც [ისინი] აკურთხებენ, არამედ საკუთარი ეპისკოპოსები აკურთხებენ. ამიერიდან მთელ ქვეყანაზე გავრცელდა, რომ [იგი] ანტიოქიის კრებაზე განთავისუფლდა.

ჩანართი

იმ დროს იოანე გუთელ ეპისკოპოსი თავისი სამწყსოსა და ერის მიერ გამოგზავნილ იქნა ქართლში და ქართლის კათალიკოსის იოანეს მიერ მცხეთაში მიიღო ხელდასხმა, რადგან იმ დროს საბერძნეთის მხარეები ხატთმებრძოლების წვალებას ჰქონდა მოცული.

რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა კათალიკოსი იოანე და ადარნასემ დასვა **ბასილი**.

ერეკლე მეფე სპარსეთში შევიდა, მოკლა **ხოსრო** მეფე, აიღო ბაღდადი და წამოიღო ძელი ცხოვრებისა. რაც გაიარა, ქართლის ის გზა მეშვიდე წელს უკან გამოიარა. ქართლის მთავარმა, ადარნასემ, დაასრულა პატიოსანი ჯვრის ეკლესია და ტფილისის სიონი.

ერეკლე მეფემ მანგლისიდან და ერუშეთიდან წაიღო ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ფეხთა ფიცარი და სამსჭუალნი, რომლებიც კონსტანტინეს ჰქონდა მიცემული **მირიანისთვის**.

შეწუხდა ადარნასე, ქართლის მთავარი. ევედრებოდა კეისარს, რათა არ წაეღო ღმრთისმიერი განძი. კეისარმა არ ისმინა მისი ვედრება და წაიღო.

ადარნასეს ზეობაში გარდაიცვალა სამი კათალიკოსი: იოვანე, **ბაბილა** და **თაბორი**.

გარდაიცვალა ადარნასე და [მეფედ] დადგა მისი ძე **სტეფანოზი**.

ქართლის ორმოცდამეორე მთავარი, სტეფანოზი, ძე ადარნასე მთავრისა, ხოსროიანი

სტეფანოზი ქართლის ყველა მეფესა და მთავარზე უფრო მორწმუნე და რჯულის განმწმენდელი, ეკლესიათა მაშენებელი იყო. მან ჯვარი პატიოსნის ეკლესიას ზღუდეები შემოავლო, დარბაზები ააშენა, ყოველ პარასკევს შეკრება დაუწესა. იმ ადგილის და მხარის

ყველა ეპისკოპოსი და მღვდელი კათალიკოსთან ერთად იქ იკრიბებოდა პატიოსანი ჯვრის წინაშე. ადიდებდნენ პარასკევს, როგორც დიდ პარასკევს.. ყოველ ხუთშაბათს საკათალიკოსოში იკრიბებიან და ადიდებენ წმინდა სიონს, როგორც დიდ ხუთშაბათს, ქრისტეს სისხლითა და ხორცით საიდუმლოსთან ერთად. ხოლო მცხეთაში საეპისკოპოსოში ყოველ სამშაბათს არის კრება და ხსენება სტეფანე პირველწამებულისა და ყოველთა მოწამეთა, რომელნიც სპარსელთა დიდი შემოსევების დროს იყვნენ წამებულნი. და **აბიბოს** ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელმაც [ქრისტიანობაზე] მოაქცია მთიულთა უმრავლესობა არაგვის აღმოსავლეთით. მისი პატიოსანი გვამი მცხეთაში საეპისკოპოსოში, ეპისკოპოსთა სამარხავში დაასვენეს. ყველა დღესასწაულზე მეტად მის დღესასწაულზე იკრიბებიან და ადიდებენ ღმერთს.

იმ დროებში გამოჩნდა **მოჰამედი**, **ისმაილის** ნათესავი, სარკინოზთა რჯულის მოძღვარი და მთელი არაბეთი და **იამანეთი** დაიპყრო. გარდაიცვალა იგი. მის ნაცვლად დადგა **აბუბაქარი** და სპარსეთში შევიდა. რადგან სპარსეთში ერეკლე მეფე იყო შესული და სპარსეთი გავერანებული იყო, სპარსეთში არავინ იყო წინააღმდეგობის გამწევი. აბუბაქარ აგარიანმა სპარსეთი დაიპყრო, შევიდა ბაღდადში, ძალისდატანებით უმრავლესობას ცეცხლმსახურება დაატოვებინა და სარკინოზებად აქცია. იგი გარდაიცვალა და მის ნაცვლად დადგა **ომარი**. იგი უფრო მეტად გაძლიერდა.

[230] მოახსენეს მეფე ერეკლეს, რომ აგარიანელები შემოვლენ **შამში** და **ჯაზირეთში**, რომელიც არის შუამდინარე. ერეკლე **ფილისტიმში** გამოვიდა, რომ იქ შებრძოლებოდა. იქ იყო ერთი მონაზონი, ღმრთის კაცი. მან მეფეს უთხრა: «თავს უშველეთ, რადგან ღმერთმა აღმოსავლეთი და სამხრეთი მისცა სარკინოზებს, რომელიც განიმარტება როგორც «სარას ძაღლები“.იმ მონაზვნის სიტყვებით ვარსკვლავთმრიცხველებმა და მისნებმა ეს აცნობეს ერეკლე მეფეს. ერეკლე მეფემ სვეტი ააშენა და მასზე დააწერა: «მშვიდობა, შუამდინარეო და ფილისტიმო, სანამ ჩაივლის შვიდი შვიდეული“. ფილოსოფოსებმა შვიდეულის შესახებ ეს განსაზღვრული დრო, რომელიც უდრის ორას ორმოცდაათ წელს, სარკინოზებთან დაკავშირებით იპოვეს ჰერმეს ტრისმეჯისტონის წიგნში.

ალექსანდრეს წლებიდან მაჰმადის გამოჩენამდე იყო ალექსანდრეს ცხრაას ოცდაშვიდი წელი.

იმ დროს ბერძენთა ყველა მოდგმის წარჩინებული მიწაში ფლობდა განძს, რადგან როცა გამოვიდოდნენ, განძი ეპოვნათ და მათი წაღებისა და უკან დაბრუნებისას გასაჭირი არ ენახათ.

[231] ერეკლე კეისარმა ამოიარა რანის გზა და მეორედ შემოვიდა ქართლში. სპარსელებს, რომლებიც სარკინოზებს გამოქცეოდნენ, უთხრა: « თუ იცით, რომ თქვენი მეფობა დასრულდა, დატოვეთ ჩრდილოეთი და ჩვენთან შემოდით". მათ დატოვეს ეს ქვეყანა და თავიანთი სიმდიდრე შეინახეს. ზოგიერთნი გაჰყვნენ, ზოგიერთნი დარჩნენ, დაწერეს მთელი საგანძურის გუჯარი. როცა გუჯარი დაწერეს, აღწერეს თავისი ხალხი და მიწა და დადეს, რათა როცა ბერძნები მოვიდოდნენ, იმ გუჯრებით მოიძიონ მათი ხალხი და თითოეულს გაუყონ მიწა და განძი.

ჩანართი

გარდაიცვალა კათალიკოსი თაბორი და კათალიკოსად დასვეს სამოელი.

ამის შემდეგ გაიარა რამდენიმე წელმა. ქრისტეს აქეთ 656 წელს კონსტანტინეპოლში შედგა მეექვსე კრება 170 წმინდა მამებისა. **პოლონატი** (!) კონსტანტინეს მეფობის მეცამეტე წელს [232], რომელიც **იუსტინიანეს** მამა იყო, რომლის წინამძღვრები იყვნენ **თეოდორე** და **გიორგი** ხუცესები და იოანე დიაკონი, **აგათონ** რომის პაპის ადგილისმცველნი და გიორგი კონსტანტინეპოლელი, **თეოფანე** ანტიოქიელი. ამ კრებაზე საქართველოს წმინდა ეკლესიის შესახებ, რომელიც წმინდა მცხეთაა, ბრძანეს, რომ «[იგი] პატივით წმინდა სამოციქულო კათოლიკე ეკლესიების, საპატრიარქოს სწორი იყოს და ქართლის კათალიკოსი პატრიარქების სწორი იყოს, აკურთხებდეს, მწყემსავდეს და სიმართლით განაგებდეს მთავარეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებს, ეპისკოპოსებს, თავის სამწყსოს ქართლის გაღმა-გამოღმა, კახეთში, შაქში, შირვანში, მიდგმით- წამოვლით (!) მთიან ადგილებში სვანეთისა და ჩერქეზეთის საზღვრებამდე, სრულიად ოსეთში და მთელ ზემო-ქართლში, სამცხე-საათაბაგოში. მას ჩავაბარეთ საქართველოს ეკლესიები, მას მონებდნენ, მის ხელ ქვეშ იყვნენ, მის რჯულს

ემორჩილებოდნენ, მის მიერ იმწყემსებოდნენ, მივეცით კრულებისა და კრულების ახსნის უფლება. რომელსაც კრულება შეუთვალოს, კრულ იყოს ცათა შინა და რომელიც ქვეყნად კრულებისგან გაანთავისუფლოს, თავისუფალი იყოს ცათა შინა. პირველად ანტიოქიის კრების მიერ იყო გა-პატიოსნებული, ამ კრების მიერ დავამტკიცეთ პატრიარქად, რადგან ნუ იქნება მიტროპოლიტი, ნურც ეპისკოპოსი კათალიკოსისგან შენდობის გა-რეშე. ხოლო თუ ვინმე მთავარეპისკოპოსი, გინდა მიტროპოლიტი, გინდა ეპისკოპოსი კათალიკოსისთვის წინააღმდეგობის გაწევას იკადრებს ან კათალიკოსის უკითხავად ძალით დაიკავებს ხარისხსა და ეკლესიას, ან ეკურთხება მეფე, გინდა მთავარი, ან მთავარეპისკოპოსები, და მიტროპ-ოლიტ- ეპისკოპოსები, განიკვეთნონ. ხოლო როცა მირონის დამზადებასა და კურთხევას ინებებს, თავის ეკლესიაში აკურთხოს".

მრავალი ვინმე გვეკითხებოდა ამის შესახებ და ჩვენ უცოდინრო-ბის გამო ვბრკოლდებოდით. შენი დაჟინებით, ღმრთის კაცო, როგორც თესლის მკრებელმა, ერთად შევაგროვე ეს მცირე სიტყვები, წმინდა წერილებისგან მიმოგაბნეული.

სტეფანოზს ორი ძე ჰყავდა, **არჩილი** და **მიჰრი**. თავისი სამეფოს ყოველი საქონელი, ოქროს, ვერცხლის და პატიოსანი თვლების სა-განძური გაუყო [მათ].. ნახევარი ეგრისის ქვეყანაში წაიღო და წაიყ-ვანა თავისი პირმშო შვილი მიჰრი. საქონლის ნახევარი თავის უმცროს შვილს, არჩილს, მისცა. არჩილმა [233] უმეტესი საგანძური კახეთში დამალა, ხოლო ოქროს და ვერცხლის ნივთები — უჯარმის მხარეში. ქართლის და ჯავახეთის საგანძურები დამალა მთაში, რომელიც ერ-ეკლემ იმ განძის სამალად განაჩინა, რომელიც თან ვერ წაიღო. იმ მთის სახელი არის **ტონთიო**, რომელიც განიმარტება, როგორც «ოქროს მთა". მასზე ტილისმი (თილისმა) დადო, რომ ვერვინ შესძლოს მისი გამოტანა. ხოლო ქართლის ყველა ეკლესიის საგანძური მცხეთის დიდი სიონის საფარველში დამალა. მცირე ხნის შემდეგ არჩილი ეგრისში შევიდა.

იქ ყოფნის დროს გარდაიცვალა ქართლის მთავარი სტეფანოზი. მის ნაცვლად მეფე გახდა მისი ძე მირი.

ორმოცდამესამე მეფე, მირი,
ძე სტეფანოზ მთავრისა, ხოსროიანი

ქართლში მოვიდა **აგარიანი ამირა**, რომელსაც მურვან ყრუ ერქვა, ძე მომადისი, რომელიც **ეშიმში** გამოეგზავნა მათ ახლობელს, **აბდალ მელიქის ძეს**, **ამირმუმლ ბაღდადელს**. მეორე სახელად იმიტომ ეწოდა ყრუ, რომ მრჩეველთა სიტყვებს არ იღებდა.

ჩანართი

ხოლო როცა ხელთ იგდო სპარსელებსა და არაბებზე ბატონობა და აამხედრა აგარიანთა ყველა თესლ-ტომი, ქრისტიანებზე გაილაშქრა და გაწყვიტა, დაიპყრო საბერძნეთისა და სომხეთის ქვეყნები ვიდრე ზღვამდე. და როგორც ბნელი ღრუბელი სიმრავლით, როგორც კალია და მუმლი, მოეფინა ჩრდილოეთის მხარეებს და ქვეყნის პირი დაფარა. მთავრებმა და პიტიახშებმა, ერისთავთა და წარჩინებულთა ნათესავებმა თავი შეაღწიეს კავკასიაში და ტყეებსა და ღრეებში დაიმალნენ. ყრუმ მთელი კავკასია შემოიარა, დაიპყრო დარიალისა და დარუბანდის კარი და ქართლის მიწაზე ყოველი ქალაქი და ციხეთა უმრავლესობა შემუსრა.

ჩანართი

მოვიდა სამცხეში და ოძრხის არეებში დაიბანაკა. ის ქალაქი სახელოვანი იყო მისი საქმიანობის გამო. შემდეგ დაიძრა, წამოვიდა სამცხიდან, მოვიდა არგვეთის ქვეყანაში. წინამბრძოლნი და რჩეულნი წამოვიდნენ. იმ დროს არგვეთის ქვეყნის სანახებიდან იყვნენ დიდი და შთამომავლობით დიდებული ქართველი მთავრები **დავით** და **კონსტანტინე**. იყვნენ შეკრებილი, რჩეული და ფრთხილი (!). ხოლო წარმართებმა როცა დავით და კონსტანტინე იხილეს, როგორც მხეცებმა დაიბღავლეს და მიესივნენ. დავითმა თავისი გუნდი გააძლიერა, გაამხნევა ისინი, შეჰყვირა როგორც ლომმა და გააქცია და გაფანტა {მტრები}. ურიცხვი გაწყვიტეს. ქრისტიანებს გამარჯვება მოუპოვა. მაშინ გაქცეულები უკან მობრუნდნენ, მურვან ყრუს აცნობეს, რაც გადახდათ მათ თავს, რომ ქრისტიანებმა (შეშისმსახურებმა) მეწინავე რჩეუ-

ლი ლაშქარი ყველა გაწყვიტეს. მან თავში შემოირტყა ხელი და თქვა: «ვინ გაბედა და წინ აღუდგა დიდ მოციქულს, მოჰამედს, ჩემი დედის ძმას?“ ეს თქვა, შეუძახა წარმართების მთელ სიმრავლეს და როგორც ქვიშა სიმრავლით, გამოემართნენ და მოვიდნენ არგვეთის ქვეყანაში. მოიცვეს ტყე და ველები, მთები და ბორცვები. წარმართების ხელში ჩაცვივდნენ ქრისტიანი ერები, ზოგნი ტყეებში დაიმალნენ, ზოგნი გაწყვიტეს. დავით და კონსტანტინე და მათი მომხრეები შეიპყრეს. მათი შეპყრობა რომ გაიგო, ხელები შემოჰკრა და გამარჯვებისთვის ადიდა თავის დედის ძმა მოჰამედი და მისი რჯული. როცა ბანაკად დადგა, ტახტზე დაჯდა. დავით და კონსტანტინე ყრუსთან მიიყვანეს და ხელშეკრულნი იმ ურჯულოს წარუდგინეს. ეს წმინდანები ქრისტეს აღსარებისათვის იწამნენ და მრავალი სატანჯველი აიღეს თავზე. შემდეგ ტბაში ჩაყარეს. თვითონ მტარვალები გაიქცნენ, შეშინებულები იმ ხმების გამო, რომლებიც ზეციდან ისმოდა წმინდა მოწამეების გამო. უღმრთომ თავის თავზე არ აიღო.

და როცა გაიგო, რომ ქართლის მეფეები და ყველა მათი ახლობელი **ეგრისში** წავიდნენ და იქიდან კვლავ აფხაზეთში მიბრუნდნენ, მათ კვალს შეუდგა [235] და ააოხრა ეგრისის ქვეყნის ქალაქები და სიმაგრეები. ციხე სამ-ზღუდე, რომელიც არის ციხე-გოჯი, შემუსრა და გაიარა ზღუდე კლისურას საზღვარი. მისი მოსვლის დროს კათალიკოსი იყო **თაბორი**.

როცა ყრუმ გადალახა კლისურა, რომელიც იმ დროს საბერძნეთისა და საქართველოს საზღვარი იყო, შემუსრა აფშილეთის ქალაქი **ცხუმი**. მოადგა ანაკოფიის ციხეს, რომელშიც არის ყოვლად წმიდა ღმრთისმშობლის ხატი, რომელიც ადამიანის ხელით კი არ არის დახატული, არამედ ზეგარდამო, რომლის შესახებ არავინ იცის, ვინ იპოვა იგი იმ გორაკის თავზე მოსული, რომელსაც სამხრეთიდან ზღვა არტყია და ჩრდილოეთიდან — წყლიანი მცირე ჭალა. იმ დროს იქ იყვნენ ქართლის მეფეები მირი და **არჩილი**. მათი მამა გარდაცვლილი იყო და დამარხული ეგრისში. კეისრის ერისთავი ლეონი **სობღის** ციხეში იყო შესული, რომელიც ოსეთის გადასასვლელზე მდებარეობს. ვერავინ შესძლო შებრძოლებოდა ყრუს, რადგან მისი ლაშქარი უფრო მეტი და ეგრისის ჭალაკებზე მრავალრიცხოვანი იყო.

ყრუმ შეიპყრო და აწამა წმინდა დავით და კონსტანტინე, რომელთა წამების შესახებ ვრცლად მოგვითხრობს მათი ცხოვრება.

ჩვენ პირველივე სიტყვა დავიწყოთ.

როცა ანაკოფიის ციხეში იყვნენ, იქ მივიდა მურვან ყრუ და მეფეებს ბრძოლა დაუწყო.

არჩილმა თავის ძმას, **მირს**, უთხრა: "ეს ციხე-ქალაქი ასაოხრებლად არის მიმწყვდეული. თუ ჩვენ შეგვიპყრობენ, გამოიკითხავენ ყველა დამალული საგანძურის შესახებ, რომელიც ჩვენ დავმალეთ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც არის მონაგები მირიან ღმრთივგანბრძნობილისა და კიდევ ვახტანგ ღმრთივგანბრძნობილი მეფის, და მათი შვილებისა, რომელთაც ჩვენ დაგვბადეს. იმასაც მოითხოვს, რომელიც ერეკლე კეისარმა დამალა. რომლის მთლიანი აღწერა დავდეთ ზურმუხტისა და ძოწეულის იაგუნდის გვირგვინებთან ერთად, რომლებიც ჩვენმა მამამ, დიდმა ვახტანგ მეფემ, გამოიტანა ინდოეთიდან და სინდეთიდან. ისინი უჯარმაში დავმალეთ, ორ დაუცველ კოშკს შუა ადგილის მახლობლად. ყველაფერი ეს ჩემს გონებაში მაქვს დამარხული. შენ წაიღე ის ორი გვირგვინი: ოქროსი და ანთრაკის, ერთი **მირიან** მეფისა და მეორე —**ვახტანგისი**, რომელიც სპარსთა მეფემ უძღვნა ვახტანგს იმ ოქროსთან და ვერცხლთან ერთად, რომელიც ხუთას სატვირთავ და ორი ათას მკვირცხლ ცხენებს აჰკიდა. შენ და ჩვენმა მამამ იგი ქუთაისში და ციხე-გოჯში დადეთ. ხოლო მე ჩემი გვირგვინები და ტყვიის გუჯრები განცალკევებით დავდე. ახლა, თუ დავიხოცებით, ის განძი ყველასთვის მიუგნებელი დარჩება. ბერძნების მოსვლისას კეისარი მოიკითხავს ჩვენს ნათესაობას და მისცემს მეფობას და განძსაც. ჩვენ ქართლისა და საბერძნეთის მოოხრების მიზეზი არ გავხდეთ, არამედ გავიდეთ და ზღვის მხარეს ამ გვერდზე ვიბრძოლოთ. და თუ ღმერთი ინებებს, ერთით ათასს გააქცევს და ორით – მრავალს.

[237] მივიდნენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატთან, შევრდომით თაყვანი-სცეს და თქვეს: „გავალთ შენი ძისა და ჩვენი ღმრთის, შენგან შობილის, სასოებით, ვედრება შეწირე მას ჩვენთვის და თანამავალ გვეყოს ჩვენ შენი წყალობა". მათთან იყო მათი ტაძრეულის, ერისთავებისა და პიტიახშების ნათესავების მცირე რაოდენობა, დაახლოებით ათასი კაცი, ხოლო აფხაზთა ლაშქრიდან მებრძოლი ორი

ათასი. გათენებამდე უფალმა რისხვა მოავლინა სარკინოზებზე, მათ ბანაკსა და ეტლებზე, რადგან აბაშელთა ტომი დაბანაკებული იყო მდინარეზე, რომელსაც **აბაშა** ჰქვია, ხოლო ჰუნები და ეტლები — მდინარის კიდეზე, რომელსაც **ცხენისწყალი** ჰქვია. იქმნა ზეციდან სასწაული, ქუხილი და ელვა, სამხრეთის ხორშაკი და სისხლ-დენით ტანჯა ისინი. იმ ღამეს უფლის ანგელოზი ეჩვენა არჩილს, რომელმაც უთხრა: „წადით და ებრძოლეთ აგარიანებს, რადგან მათზე მივავლინე სასტიკი გვემა, მომსპობელი [ყველაფრისა] ადამიანებიდან პირუტყვებამდე. როცა მათი ბანაკიდან გახვალთ, გაიგებთ ვაებისა და ტირილის ხმას. ხოლო თქვენ მხნედ იყავით და გაძლიერდით ღმრთის სასოებით“. როცა თენდებოდა, მათი ბანაკიდან ტირილისა და გოდების ხმა გაისმა.

მაშინ ღმრთის იმედით გავიდნენ მათთან საბრძოლველად. შეებრძოლნენ და უფალმა ძლევა მისცა ქრისტიანთა მცირე ერს. სისხლ-დენით ამოწყდა ოცდათხუთმეტი ათასი სარკინოზი, ხოლო მახვილით — სამი ათასი. მირი შუბით ფერდში დაიჭრა. ქრისტიანებისგან იმ დღეს სამოცი კაცი მოკლეს. ტყესავით დაეცა სარკინოზთა ცხენები და ყველა ზღვაში ჩაყარეს.

[238] მაშინ ვინმე აგარიანმა ჩვენება ნახა, რომელსაც თითქოს მათი მოციქული ეუბნებოდა: „ ღმერთმა ჩვენ გამარჯვება მოგვცა ვიდრე ათი მეფის აღსრულებამდე, როგორც უთხრა ღმერთმა **აბრაამს** და **აგარს**. მაგრამ წმიდა ეკლესიებს და ღმრთისმსახურ ადამიანებს მოერიდეთ, როგორც ეს გაუწყეთ ჩემს ყურანში“. სასწრაფოდ აიყარნენ და თავიანთ კვალს უკან მიუბრუნდნენ. როცა ციხე-გოჯი აიარეს, დაიბანაკეს ორი წყლის მახლობლად, რომელიც ერთის მსგავსი იყო. საშინელი წვიმა წამოვიდა, მდინარეები სასტიკად ადიდნენ. შედარებით პატარა წყალი აბაშელების ლაშქარს მიაწყდა და მათგან ოცდასამი ათასი ქვეითი წაიღო. უფრო დიდი წყალი დაეტაკა მხედრებს, რომელთა ბანაკი ტყიან ადგილას იყო. ზოგნი ადგილებიდან გარბოდნენ, ზოგნი ხეებზე ძვრებოდნენ. წაიღო ოცდათხუთმეტი ათასი ცხენი. იმ დროიდან იმ ორ მდინარეს დაერქვა სახელები: ერთს ცხენისწყალი, მეორეს — აბაშა.

როცა ეს ყველაფერი, მის თავზე მოწეული, **მურვან ყრუმ** გაიგო, თავის თავსა და თავის მრჩევლებს დააბრალა ამ ვიწრო და მთიან ქვეყ-

ანაში მოსვლა. დაიძრა და დაიბანაკა პიტიოტას, ზღვის პირას ქალაქში, რომელსაც **ცხუმი** ჰქვია.

იქიდან აიყარა, გურიის გზა შემოიარა, გავიდა სპერში. სიმრავლეს მოკლება არ ეტყობოდა. თავიანთ ცხენებს წინასწარ კუდები დააჭრეს, რადგან თიხაში ვერ ითრევდნენ.

[239] უღმრთო მურვან ყრუმ ზღვის სანაპირო ჩაიარა, ზღვის პირის ციხე-ქალაქები აიღო და გააოხრა და გაავერანა ზღვის პირის ყველა ქვეყანა, სანამ არ მივიდა ქალაქ კონსტანტინეპოლამდე. დაიბანაკეს, რომელსაც ჰქვია **ქალკიდონი**, რადგან ზღვის ვიწრო სრუტე ჩაუდის და ფართო სანაპირო არ აქვს. უგნურმა და უვიცმა ყრუმ განიზრახა, რომ ქვიშით აევსო ზღვა და გასავლელი გაეკეთებინა, რათა ფეხით გაეყვანა თავისი ხალხი ზღვაზე და ამნაირად აეღო კონსტანტინეპოლი. მაგრამ ღმერთმა გააცუდა მისი განზრახვა, ღვთის რისხვა ეწია, რადგან საღამოს საღ-სალამათი დაწვა და განთიადზე მკვდარი იპოვეს, ყველასგან მოძაგებული და დავიწყებული. ეს რომ მისმა ლაშქარმა გაიგო, გაიფანტნენ და თავიანთ ქვეყანაში გაიქცნენ.

იმ დროს ქართლის, სომხითის და რანის ქვეყნები გაპარტახებული იყო, არ იპოვებოდა ნაშენები, არც ადამიანთა და პირუტყვთა საკვები. **მირმა**, **არჩილმა** და აფხაზეთის ერისთავმა ლეონმა მოციქული გააგზავნეს ბერძენთა მეფესთან და აუწყეს ყოველივე, რაც ღმრთის წყალობით მათგან ეწია [ყრუს]. ხოლო მან ორი გვირგვინი და გუჯარი გამოაგზავნა მირთან და არჩილთან და თან მოსწერა:“ ქართლში თქვენი მეფობა, სიმხნე და სიბრძნე იყო. ახლა თუმცა ჩვენთან ერთად იდევნებით ჯვრის მსახურებისათვის, ჩვენი მოქცევის დროს, როგორც ღმერთმა აღგვითქვა, ჩვენთან ერთად იდიდებით. დადექით თქვენს სიმაგრეებში, სანამ მათი სამასი წელიწადი არ ჩაივლის, რადგან ორას ორმოცდამეათე წელს მათი მეფობა გაიყოფა და მესამასე წლის დამლევისთვის ჩვენი მეფობა გაძლიერდება და შევმუსრავთ აგარიანებს. ყველა მათი ამაღლებული დამდაბლდება და ჩვენთან ერთად მადიდებელნი ამაღლდებიან“.

ლეონს ამნაირად მოსწერა: სრულიად ქართლის მიწა-წყალს ჩვენგან ზიანი მიადგა და მათი მეფეებისგან ჩვენ — თანადგომა და დახმარება. ახლა ეს მესამე მსახურება და დახმარება გამოიჩინეს ჩვენი

სამეფო ტახტის მიმართ: პირველად, ჩვენი ხელქვეითობის ქვეშ [240] ნათელი მიიღეს. შემდეგ შემუსრვას გადაარჩინეს პონტოს დიდი ქალაქი და ჩვენსა და სპარსელებს შორის მშვიდობა დაამყარეს, რადგან იგივე ვახტანგ მეფე შუამავალი იქნა და თავისი ხმლით სამეფოს **პალესტინა** და **ჯაზირეთის** ორი ნაწილი დაუბრუნა. ახლა ღმერთს რომ მათი საშუალებით არ დაებრკოლებინა ბოროტი მტერი, შემოსული იყო ვიდრე კონსტანტინეპოლამდე. ღმერთმა ნებროთის შვილებში ეგენი გამოაჩინა, რომ მათ მოდგმას არ მოაკლდეს გულისხმიერი და მებრძოლი ბრძენი, როგორც მოგვითხრობს ჩვენ დაწერილი გუჯარი, რომელშიც აღწერილი არიან მეფეები, წარჩინებულები მათი ტომებითა და სოფლებით. ხოლო შენთვის მიბრძანებია აფხაზეთის ერისთავობა, შენთვის, შენი შვილებისთვის და შენი მომავლისათვის, უკუნისამდე. კეთილად პატივსცემდე ქართლის მეფეებსა და ერს. ამიერიდან უფლება არ გექნება ვნება მიაყენო მათ და მათ ეგრისის საზღვრებს, სანამ მანდ იქნებიან და სანამ იქიდან წავლენ.

მირი ჭრილობისაგან სიკვდილის პირას მივიდა და თავის ძმას, არჩილს, უთხრა: «ძმაო, მე მივდივარ ჩვენს მამა-პაპებთან. წამიღე და დამფალი ჩვენი მამების გვერდით. შენ გაუწყებ, სად არის ჩვენი დამალული საგანძურის ადგილი. არ მყავს მემკვიდრე ძე-შვილი, არამედ შვიდი ქალი მყავს. ახლა შენა ხარ ჩვენი სამეფო სახლის, მირიან მეფის მემკვიდრე. შენ იცი, რომ ჩვენს შვილს, ქალს, ცოლად არ ვაძლევდით ჩვენს ერისთავებს, არამედ ვაძლევდით მეფეებს, ან ვინმე თუ მოვიდოდა სპარსელებიდან, მეფეთა ნათესავი, როგორც **ფეროზი**, რომელსაც მირიან მეფემ თავისი ასული მისცა ცოლად. ჩვენ შემცირებული ვართ, რადგან შენ უცოლო ხარ, მე კი — უძეო. ახლა რადგან ჩვენმა მამებმა ცოლად ჩვენი ერისთავების ასულები მოიყვანეს, მისცენ მათ ჩემი ასულები და გაუყავი მათ ქართლის ქვეყნები: ნახევარი — შენ და ნახევარი — მათ. ხოლო რომელიც უფროსობის გამო მქონდა, შენთვის მომიცია და გქონდეს საუფროსოდ: ეგრისი, სვანეთი, თაკვერი, არგვეთი და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუა მთიულეთი ჩემს ასულებს მიეცი, რომ ამ ძნელ დროებაში იქ იყვნენ. ჩვენი მამაც ამ არეულობაში გარდაიცვალა და იგი მცხეთაში ვერ წავასვენეთ. აიღე მისი ძვლები და ქუთაისის საყდარში დამარხე, რათა იყოს იგი ჩვენი სამკვიდროს

მოსახსენებლად. შენ კი აქ დარჩი და მოყვრობა გაუწიე ბერძნებს, სანამ ეს სიბნელე არ განქარდება.“

გარდაიცვალა მირი, წამოასვენეს მცხეთაში და დაფლეს ზემო ეკლესიაში, კარის შესავალთან.

მის ნაცვლად მეფედ დაჯდა მისი ძმა არჩილი.

ორმოცდამეოთხე მეფე, არჩილი,
ძე სტეფანოზ მეფისა და მეფე მირის ძმა, ხოსროიანი

არჩილმა იხმო ქართლის ერისთავები და თავისი ძმისწულები ცოლად მისცა.

ერთი მისცა თავის მამის ძმისწულს, გვარამ კურაპალატის შვილს, რომელსაც კლარჯეთი და ჯავახეთი ჰქონდა.

მეორე მისცა პიტიახშს, ფეროზის ნათესავს, რომელიც თრიალეთში, **ტაშირსა** და **აბოცში** მთავრობდა.

მესამე მისცა **ნერსეს** ნერსესიანს, რომელიც ვახტანგ მეფის წარჩინებული იყო.

მეოთხე მისცა **ადარნასეს** ადარნასიანს და ორივეს გაუყო ზედა სოფელი, ქართლი.

მეხუთე მისცა **ვარზმანს** და მისცა **კოტმანიდან ქურდის-ხევამდე**. ეს ვარზმანი სპარსთა ერისთავის, **ბარდაველის**, ნათესავი იყო, რომელიც ვახტანგ მეფის დედის მამა იყო.

მეექვსე მისცა **ჯუანშერ ჯუანშერიანს**, რომელიც ნათესავი იყო **მირიან** მეფისა **რევის** შვილებიდან. და მისცა **ჯვარი** და **ხერკი**, ყოველი მთიულეთი, **მანგლისის** მხარე და ტფილისი.

არჩილის ნაწილი ყველა ამ კუთხიდან ნახევარი გამონაყოფი იყო. როცა ნახეს, რომ ჯუანშერს უფრო მეტი ნაწილი მისცა, სხვები ცოტა განაწყენდნენ. მთავრები თავიანთი ცოლებით თავ-თავის ადგილებში გაუშვა.

არჩილმა ლეონი იხმო და უთხრა: „ კურთხეულ იყავ უფლის მიერ, რამეთუ კეთილად გაისარჯე ჩვენი სტუმრობისას და მშვიდობიანად დაგვიცავი შენს ადგილებში. მაგრამ ახლა დაწყებულია ჩვენი ადგ-

ილების შენება კლისურიდან ზემოთ. წავალ და დავსახლდები ციხე-გოჯში და ქუთაისში. ითხოვე, რაც გნებავს ჩემგან შენი კეთილი სამსახურისთვის“. **ლეონმა** მიუგო: „კეისარმა თქვენი სიმხნით მე მომცა ეს ქვეყანა სამკვიდროდ. ამიერიდან ეს არის მამა-პაპით ჩემი სამკვიდრებელი კლისურიდან ვიდრე დიდი ხაზარეთის მდინარემდე, სადაც ჩამოდის კავკასიის წვერი. მეც მიმიღე შენს მონებში, რომელნიც დღეს შენს შვილად და ძმად ღირს ჰყავ. არ მინდა შენგან რამე ნაწილი, ჩემიც შენი იყოს“.

მაშინ ლეონს ცოლად მისცა თავისი ძმისწული **გურანდუხტი** და გვირგვინი, რომელიც [243] ბერძენთა მეფეს ჰქონდა მიცემული მირისთვის. სასტიკი ფიცი და აღთქმა დადეს, რომ მათ შორის მტრობა არ იქნებოდა და ლეონი არჩილის მორჩილების ქვეშ იქნებოდა.

არჩილი წამოვიდა და დაემკვიდრა **ეგრისში** ვიდრე **შორაპნამდე**. განაგო ციხეები და ქალაქები, გურიისა და საბერძნეთის საზღვარზე ააშენა ციხე-სიმაგრე. ამ საქმეებში გაიარა თორმეტმა წელიწადმა. ქართლში აღმშენებლობა დაიწყო. მცხეთა გაპარტახებული იყო. არჩილი ეგრისიდან წამოვიდა და ხიდრისის ნაციხარში დაჯდა.

მაშინ მასთან მოვიდა ერთი მთავარი, რომელიც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი იყო, სახელად **ადარნასე**, ადარნასე ბრმის ძმისწული, რომლის მამა ბაგრატონიანადაც იწოდებოდა და ბერძენთა მიერ იყო დაყენებული სომხითის მხარეების ერისთავად. ყრუს დაპყრობების დროს იგი შვილებთან ერთად მისული იყო გვარამ კურაპალატთან კლარჯეთში და იქ იყო დარჩენილი. მან არჩილისგან ითხოვა:“ თუ ინებებ და მე, როგორც მემკვიდრეს, მცნობ, მომეცი [რომელიმე] მხარე“. მისცა **შულავერი** და **არტაანი**.

ამის შემდეგ არჩილი კახეთში მოვიდა, ყველა მის სამეფო მსახურს (!)(ტაძრეულს) უბოძა კახეთი, გაათავისუფლა იგინი, **საძმორში** ეკლესია ააშენა. შეირთო ცოლი, გვარამ კურაპალატის ასული, რომელიც ვახტანგ მეფის შვილი იყო, ბერძენი ცოლისგან შობილი. დაჯდა **წუქეთში**. ააშენა კოშკი და ლაკუასტის მხარეში ააშენა ციხე-სიმაგრე. წუქეთში მან ნახა მთავრები, რომლებისთვისაც ვახტანგ მეფეს მიცემული ჰქონდა წუქეთი. იმ დროს თუშებზე, ხუნძებზე და მთის ყველა წარმართზე ერისთავობდა აბუხოსრო. მან არ დაანება, რომ მისთვის

წუქეთი წაერთმიათ. [244] ნუხპატში ორ წყალს შუა ერთი ციხე-ქალაქი ააშენა. ნუხპატელები წინათ წარმართები და ველურები იყვნენ. ყრუმ მათი უმრავლესობა გაწყვიტა. არჩილმა ისინი იძულებით მონათლა.

სარკინოზები რანის ქვეყანაში გაძლიერდნენ. დაპყრობილი ჰქონდათ **გაზირი** და სომხითი. **მასლამა** ებრძოდა ბერძნებს. ხოლო ადარნასე ბრმის ძმისწულები, სამი ძმა, რომელთაც თავის მამის ძმას თვალები დასწვეს, **ტარონიდან** წამოვიდნენ **შაკიხში** და არჩილის ბრძანებით იქ დამკვიდრდნენ, რადგან კავკასიის მთელი ნაპირი, რანის მხრიდან გაუკაცურებული იყო. ხოლო ჰერეთსა და კახეთში ტყეებისა და ჭალების გარდა თუ იყო ადგილი დარჩენილი, სამივე ძმა იქ მჭიდროდ დაემკვიდრა.

იმ დროს ვინმე პიტიახშები ვერ შეეგუვნენ!) კლარჯეთს, ნახევარი იმათგან სხვაგან წავიდა, ტაოში ერთი კლდე დაისაკუთრეს, რომელსაც კალმახი ეწოდებოდა, და [იქ] ციხე-სიმაგრე აშენეს. ხოლო მეორე ნახევარი არჩილთან მოვიდა კახეთში. ერთ მათგანს ცოლად მისცა **აბუხოსროს** ნათესავი, რომელიც დაქვრივებულიყო და ქმარი არ ჰყავდა. და უბოძა წუქეთი ციხით და კოშკითურთ. იმ დროს, ყრუს წასვლიდან ორმოცდამეათე წელს, სარკინოზები ეცადნენ ქართლში შემოსულიყვნენ. ამ დრომდე არ შემოდიოდნენ, არამედ ერისთავებისაგან ხარკს იღებდნენ.

არჩილს ჰყავდა ორი ძე: **ჯუანშერი** და **იოვანე** და ოთხი ასული: **გურანდუხტი, მარიამი, მირანდუხტი** და **შუშანი**.

არჩილის წამება, მეფეთა ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა **ლეონტი მროველმა** აღწერა.

ღონცი მრავალი

წამება წმიდა და დიდებული მოწამე არჩილ ქართლის მეფისა

და რომ გავიდა ორმოცდაათი[643] წელი, ისევ მოვიდა **ჭიჭნაუმი**[644], მოჰამედის ძე[645], მოაოხრა და შემუსრა ქართლში ყოველი ნაგებობა და გაემართა კახეთში შესასვლელად, რომ აეოხრებინა და საერთოდ გაეუკაცრიელებინა [იგი]. დიდი შიში ჰქონდათ მეფეებს[646], მთავრებსა და მთელ ხალხს და არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დრო იყო გასული მშვიდობიანად მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა [მურვან] ყრუს გაენადგურებინა, [იგი მაინც] ვეღარ დაბრუნებოდა უწინდელ მდგომარეობას.

ხოლო წმიდა არჩილმა, თავისი გულის მხნეობით გადაწყვიტა თავის გონებაში, რომ მივიდეს, ნახოს [ჭიჭნაუმი] და სთხოვოს მშვიდობა ქვეყნისათვის და ეკლესიების შეურყევლად დაცვა, რომ არ აიძულებდეს[647] [იგი ქრისტიანებს] სარწმუნოებისაგან განდგომას. [არჩილმა] ღმერთზე მინდობით გადაწყვიტა საკუთარი თავისა და სულის გაწირვა ქრისტიანების გამოსახსნელად, ადგა და მივიდა ჭიჭნაუმთან, რომელსაც ერქვა **ასიმი**.

ხოლო მან, როგორც კი გაიგო მისი მისვლა, მიეგება სიხარულით და დიდი პატივით მოიკითხა. ის დღე ერთად გაატარეს. [ჭიჭნაუმი] აქებდა მის სიკარგეს[648], მოსწონდა მისი ტანადობა, უფრო მეტად კი მისი სახის მშვენიერება. რამოდენიმე დღის შემდეგ [ჭიჭნაუმმა] პირფერობით დაუ-

წყო ლაპარაკი, ჰპირდებოდა საჩუქრებს, სთავაზობდა და ურჩევდა[649] ქრისტეს რწმენის უარყოფას და სარკინოზად[650] გადაქცევას. ხოლო წმიდა არჩილმა სულაც არ ირწმუნა მისი სიცრუე და მტკიცე გონებით მიუგო: „ნუ იქნება ისე, რომ შენი სიტყვები დავიჯერო, ან მივატოვო ქრისტე – ცოცხალი ღმერთი, რომელიც არის ჭეშმარიტი ღმერთი, რომელმაც ჩვენი გადარჩენისათვის სიკვდილი დაითმინა ხორცით, ხოლო თუკი დავიჯერებ შენსას, იცოდე, რომ მოვკვდები სიკვდილით, რომლითაც საუკუნოდ დავიტანჯები. ხოლო, თუკი შენ მომკლავ, აღვდგები [მკვდრეთით], როგორც ჩვენი ღმერთი და მასთან ერთად მექნება დიდება“.

ეს ყოველივე რომ მოისმინა იმ ურჯულომ და დაინახა მისი შეურყეველი სიმტკიცე, ძალიან გაუკვირდა და ბრძანა მისი შეპყრობა და ციხეში ჩასმა, რომ ძალით გადაეყვანა [ისლამზე]; რადგან არ უნდოდა მისი სიკვდილი მისი სახის მშვენიერებისა და მისი ტანადობის გამო. და როცა ჩასვეს ციხეში [არჩილი], აკურთხებდა ღმერთს და ითხოვდა მისგან შეწევნას, რომ მისი მოწყალებით დაუსრულებელ ნათელთან მიახლებისა და [მასში] დამკვიდრების ღირსი გამხდარიყო ყველა წმიდანთან ერთად, ვინც ღმრთისათვის სიკვდილით უკვდავება მოიპოვა.

მაშინ წარდგა ასიმის წინაშე სარკინოზად გადაქცეული ერთი გარდაბნელი მთავარი, რომლის მამის ძმა მოეკლათ წანარებს[651] და მისი მკვლელები დაუსჯელად გაეშვა არჩილის პაპას, ადარნასე მეფეს[652]. ამისთვის შური იძია იმ გარდაბნელმა და უთხრა ასიმს: „არ იცი, თუ ვინ არის ეს არჩილი? ეს არის სტეფანოზის[653] ძე, დიდი მეფე ვახტანგის[654] შთამომავალი, რომელიც იყო ქასრეს ძის მირიანის[655] მონათესავეთაგანი. და იგი მამამისთან ერთად იყო, როცა დამალეს ქართლის სამეფო საგანძური და ისიც იცის, ჰერაკლე მეფემ[656] რომ გადამალა თავისი საგანძური, რადგან ჰერაკლემაც აჩვენა სადაც შეინახა“.

ეს ყოველივე რომ მოისმინა, ასიმმა კვლავ იხმო თავისთან არჩილი და უთხრა: „უწინ თვალი აგვიხვიე შენი სახიერებით, რამეთუ ძალიან კარგი შესახედავი ხარ, ხოლო ახლა მითხრეს შენ შესახებ, რომ ხოსროიანი[657] დიდი მეფეების შთამომავალი ხარ. მაშ, უფრო დაფასდები ჩემს თვალში, თუკი დამიჯერებ მე, შენი სამეფო შენვე დაგრჩება და შენი მამა-პაპის საგანძურსაც შენვე მოგცემ. ოღონდ ჯერ მიჩვენე

ბერძენი[658] მეფეების საგანძური, გადმოდი ჩემს რჯულზე და გახდი სარკინოზი და მე გაქცევ შენ ქართლის ჯარების უფროსად და ქართლის მოსახლეობის მეფედ და პატრონად“.

მაშინ მიუგო და უთხრა წმიდა არჩილმა: „დანამდვილებით იცოდე, რომ მე მაშინ პატარა ბავშვი ვიყავი, როცა ამ ქვეყანაზე გაიარა ჰერაკლე მეფემ. ხოლო მამაჩემმა და ჩემმა ძმამ მთელი საგანძური იმ ციხეში დააწყვეს, სადაც შევიდა ყრუ ამირა[659] და ახლა ის [ციხე-სიმაგრე] ბერძნებს უჭირავთ. ხოლო მე არ მივატოვებ ჩემს უფალ ღმერთს, არც დაუსრულებელ დიდებას გავყიდი ამ სწრაფწარმავალ [დიდებაზე]“.

მიუგო ასიმმა და უთხრა: „აფხაზეთში სარკინოზების შეჭრის დროს შენ იქ იყავი?“

უთხრა წმიდა არჩილმა: „მე ვიყავი მაშინ, როცა დაამხო ისინი ღმერთმა“.

უთხრა ასიმმა: „რომელმა ღმერთმა დაამცირა სარკინოზები?“

მიუგო წმიდა არჩილმა და უთხრა: „ცოცხალმა ღმერთმა, რომელიც არის შემოქმედი ცისა და ქვეყნისა, რომელიც ციდან ქვეყნად მოვიდა კაცთა მოდგმის გადასარჩენად. და თავისი სიკვდილით ჩვენ აღგვადგინა და უკვდავება მოგვანიჭა. სწორედ მან დასცა და დაამარცხა ისინი“.

მაშინ უთხრა ასიმმა წმიდა არჩილს: „ვისი ღმერთიც მოკვდავია და მოკვდავის მიმართ აქვს სიცოცხლის იმედი, იმასაც სიკვდილი უნდა“.

და ბრძანა წმიდა არჩილის თავის მოკვეთა და მოკვლა, არ მოერიდა მის სიკარგეს, არც მისი დიდებულობისა და წარჩინებულობისა შერცხვა. გაიყვანეს გარეთ და მოჰკვეთეს თავი[660] მირკანის თვეში, რომელიც არის მარტი, ამ თვის ოცში. და შეავედრა მან სული თავის დამბადებელს, აირჩია უკვდავების მომტანი სიკვდილი, ეს წუთიერი, მცირე დროის მეფობა დაუსრულებელ სიხარულში გაცვალა. ღირსი გახდა იმისა, რომ წმიდანთა და მხნე მოწამეთა მწყობრში წარმდგარიყო ღმერთის წინაშე და მათთან ერთად გვირგვინოსანი იხარებს წმიდა სამების წინაშე.

ხოლო როცა გარდაიცვალა წმიდა მოწამე [არჩილი], მოვიდნენ ტბელი გოდერძიანნი[661] და მათთან ერთად სხვა მამეანი აზნაურები[662], მოიპარეს წმიდა მოწამე არჩილის გვამი, წამოიღეს და შემურეს[663] დიდი პატივით. და დამარხეს **ნოტკორაში**, მის მიერ აშენებულ ეკლესიაში.

ხოლო მისმა ცოლმა მიწებით დააჯილდოვა ისინი, რომელთაც მოასვენეს წმიდა არჩილის გვამი კახეთში დასამკვიდრებლად.

ეს წიგნი, მისი წამებისა, აღმოჩნდა ასე ძალზე მოკლედ დაწერილი, რომელიც დროთა უკუღმართობის გამო რიგიანად ვერავის დაეწერა.

ხოლო ქართველთა ცხოვრების ეს წიგნი ვახტანგამდე იწერებოდა დროდადრო, ხოლო ვახტანგ მეფიდან აქამდე დაწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმა, წმიდა არჩილის ძმისწულის ქმარმა, მირიანის ძის რევის[664] ნათესავმა. ამის შემდეგ კი შემდგომში მომავალმა თაობებმა დაწერონ, როგორც დაინახონ და არსებულმა დრომ შესაცნობად მისცეს მათ ღმრთივგანბრძნობილი გონება.

შენიშვნები

[1] ძველი ქართული ტექსტის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამ თავმა გვიანდელი რედაქტორის ძლიერი ჩარევა განიცადა. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობს იმ ფაქტს, რომ ძველი ქართული ტექსტის სათაურშივე გვაქვს უჩვეულო ფორმა – „**ქართუელთა**“, მაშინ, როდესაც ყველგან „**მეფეთა ცხოვრებაში**“ გვაქვს ფორმა – „**ქართველთა**“.

[2] „***რანები***“ – კავკასიელ ალბანთა ერთ-ერთი სახელწოდება. მომდინარეობს ირანული სახელწოდებიდან – „**არან**“. რანთა მიწა იგივეა რაც მითიური ბარდოსის წილხვედრი მიწა, რომელის საზღვრებიც ქვემოთ არის შემოხაზული. ქართული „**რანნი**“ უნდა იყვნენ სომხური წყაროების „**უტიები**“, დღევანდელი მცირერიცხოვანი ეთნოსის უდების წინაპრები, რომლებიც ცხოვრობდნენ თანამედროვე აზერბაიჯანის და საქართველოს ტერიტორიაზე. VII ს-ის სომხური ანონიმი გეოგრაფის ცნობით, ბარდავი იყო უტის პროვინციის მთავარი ქალაქი.

[3] „***მოვაკნელები***“ – ითვლებიან კავკასიის ალბანთა ერთ-ერთ განშტოებად და მეცნიერები მას აკავშირებენ ანტიკური ავტორების მიკ/მოკ/მუკებთან (**Алиев С. К. К вопросу о племенах Кавказской Албании, Исследования по истории культуры народов Востока. М.-Л., 1960, с. 15**), რომლებიც ცხოვრობდნენ მდ. არაქსის აუზში. მოვაკანი იყო მხარე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, გვიანდელი პერიოდის შირვანი, რომლის ჩრდილო ნაწილი, გარკვეულ დროს, საქართველოში შემოდიოდა. ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. შესაძლოა, „**მოვაკან**“ იყოს სპარსული სახელწოდების – „**ბალაკან**“, „**ბალასაკან**“ სახეცვლილი ვარიანტი, მიღებული ბ//მ და ლ//ვ ბგერათმონაცვლეობით.

[4] „***ჰერები***“ – კავკასიური ტომი, რომელიც სახლობდა ისტორიული ალბანეთის დასავლეთ ნაწილში, ჰერეთში. მეცნიერთა აზრით, ჰერები გენეტიკურად ეკუთვნოდნენ იბერიულ-კავკასიური ოჯახის ნახურ-დაღესტნურ ჯგუფს, რომელთა ნაწილიც, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, ასიმილირებულ იქნენ აღმოსავლურ ქართველურ ტომთა მიერ. X ს-დან ჰერეთი გახდა საქართველოს სამეფოს ნაწილი. XI ს-ის ბოლოს ქართულ ისტორიულ წყაროებში ჰერეთი ეწოდება მთელ კახეთს. საეჭვოა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, თითქოს ეთნონიმ ჰერს კავშირი ჰქონდეს ძველ ქართულ სიტყვასთან – „**ერი**“ = მხედრობა, ჯარი – საიდანაც მომდინარეობს სიტყვა – „**ერისთავი**“ (ჰერებთან და ჰერეთთან დაკავშირებით იხ.: **Такайшвили Е. С. Источники грузинских летописей. - Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, 1900, вып. 28, Тифлис, с. 8; см. также: Ингороква П. Леонти Мровели, с. 123; Ингороква П. Леон ти Мровели, с. 123; Кекелидзе К. С. К истории грузинской культуры в эпоху монгольского господства,** ეტიუდები ძველი ქართული

ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1945, გვ. 315-316). ჩემი აზრით, ეთნონიმი „**ჰერ**“ სპარსაული „**არან**“-ის (Arrân) ქართული ვარიანტია, რომელიც, მოგვიანებით, დაუკავშირდა ქართველთა სამეფოში მცხოვრებ ასილიმილირებულ ალბანელებს.

[5] „***ლეკები***“ – დაღესტნელ ხალხთა კრებითი სახელი ქართულში. სტრაბონთან „**ლეგები**“ იხსენიებიან, როგორც ისტორიულ ალბანეთში მცხოვრები ერთ-ერთი სკვითური ტომი. არსებობს მოსაზრება, რომ ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში, ეთნონიმი „**ლეკი**“ იხმარებოდა კრებითი მნიშვნელობით (**Абдуллаев И. Х., Микаилов К. Ш., К истории дагестанских этнонимов лезг и лак.- В кн.: Этнография имен. М., 1971, с. 15; ср.: История Дагестана, т. I, с. 124**)

[6] „***მეგრელები***“ – ეთნონიმი მომდინარეობს ძველი ქართული „**ეგრისიდან**“, რომელსაც შეესატყვისება ანტიკური „**კოლხიდა**“ და ბიზანტიური ხანის „**ლაზიკა**“. შესაძლოა, ტოპონიმი „**ეგრის**“-ი ეტიმოლოგიურად უკავშირდებედოს ბერძნულ ზმნას ἐγείρω = „**გაღვიძება**“, „**ადგომა**“, „**აღგზნება**“, რადგან, ბერძნული სამყაროსთვის ეგრისიდან, როგორც შავი ზღვის უკიდურეს აღმოსავლეთიდან ამოდიოდა მზე და იღვიძებდა დღე.

[7] „***კავკასიანები***“ – „**მეფეთა ცხოვრების**“ ხალხთა გენეალოგიაში ყველაზე უფრო ზოგადი და კრებითი ეთნონიმი, რომელიც გულისხმობს ჩრდილო კავკასიელ ხალხებს, რომლებიც განსახლებული იყვნენ მდ. თერგიდან, დასავლეთით, კავკასიის ქედის დასასრულამდე. „**მეფეთა ცხოვრებაში**“ ერთმანეთისგან მკვეთრად არიან გამიჯნული აბორიგენი კავკასიანები და კავკასიაში მოგვიანებით დასახლებული „**ოვსები**“, დღევანდელი ოსების წინაპრები.

[8] „***ამ მოდგმების მამა ერთი იყო***“ – თარგამოსიანთა, ანუ კავკასიელ ხალხთა ერთიანი წარმოშობის „**ქართლის ცხოვრების**“-ეული ვერსიის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ ეს თეორია არმენოფილ ავტორს ეკუთვნის. თარგამოსში იგულისხმება ბიბლიური თოგარმა (დაბ. 10:3).

[9] „***თარგამოსი იყო თარშის ძე ... ნოეს ძის ძისწული***“ – ტექსტისეული თარში შეიძლება გაიგივდეს ან ბიბლიურ თირასთან, იაფეთის ძესთან (დაბ. 10:2), ან თარშიშთან, იაფეთის ძის, იავანის ძესთან (დაბ. 10:4). მაგრამ ორივე შემთხვევაში თარგამოს/თოგარმას ტექსტისეული გენეალოგია ეწინააღმდეგება ბიბლიურ ხალხთა გენეალოგიას, რომლის მიხედვითაც თოგარმა არის ძე გომერისა, ძისა იაფეთისა, ძისა ნოესი (დაბ. 10:1-3). შდრ. მ. ხორენაცის გენეალოგიასთან: ნოე-იაფეტი-გამერი-თირასი-თორგომი-ჰაიკი (I, 5).

[10] „***ბაბილონი***“ – (Bab-il = ღმერთის კარიბჭე) ქალაქი ძველ შუამდინარეთში, ევფრატის სანაპიროზე. დააარსეს შუმერებმა ძვ. წ. III ათასწლეულში. იყო ძველი აღმოსავლეთის პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული ცენტრი

და ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დედაქალაქი. ძვ. წ. 312 წელს სელევკოს I ნიკატორმა ბაბილონის მოსახლეობის დიდი ნაწილი სელევკიაში გადაასახლა. ამ დროიდან ბაბილონმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. ქალაქის ნანგრევები აღმოჩენილია ბაღდადიდან სამხრეთით, 88 კმ-ში, ქ. ჰილის მახლობლად.

[11] ბაბილონის გოდოლის მშენებლობის, ენათა აღრევისა და ერთა გაყოფის შესახებ იხ. დაბ. 11:3-9.

[12] **„*არარატი და მასისი*“** – **„მეფეთა ცხოვრებაში“** წარმოდგენილია როგორც ორი სხვადასხვა მთა, მაგრამ სინამდვილეში, მასისი დღევანდელი არარატის მთის (5165 მ.) სომხური სახელწოდებაა (თურქ. **„აგრიდაღ“**). მოვსეს ხორენაცი ახსენებს მხოლოდ არარატის **„ქვეყანას“**, **„მიწას“**, მაგრამ არა მთას. მასისის მთის ბიბლიური არარატის მთასთან გაიგივება გვიანდელი, XI-XII სს-ების მოვლენაა (**Православная Энциклопедия, т. III, Арарат, ст. 175**). ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, იშვიათად, იხსენიება **„არარატის ქუეყანა“**, მაგრამ ისიც ძველი სომხურიდან ნათარგმნ ძეგლებში – **„გრიგოლ პართელის ცხოვრება“**, **„რიფსიმეს და გაიანეს მარტვილობა“** და **„იზიდბოზიდის მარტვილობა“**. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ **„დავით აღმაშენებლის ცხოვრება“**, სადაც ზოგადად ნახსენებია **„სომხითისა და არარატის მთები“**. ეს გარემოებებიც მიუთითებენ, რომ **„ქართლის ცხოვრების“** პირველი თავის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის **„მეფეთა ცხოვრების“** ავთენტური ნაწილი და იგი გვიანდელი რედაქტორის ჩანამატია.

[13] შდრ. მ. ხორენაცი: **„ჰაიკს არ სურდა ყოფლიყო მისი ქვეშევრდომი, [ამიტომ] ბაბილონში ვაჟის, არამანეაკის შეძენის შემდეგ გაეშურა იგი ჩრდილოეთის მხარეებში მდებარე არარადის ქვეყნისაკენ თავისი ვაჟებითა და ქალიშვილებით, შვილიშვილებით, დაახლოებით სამას მძლეთა მძლე კაცთან, აგრეთვე მსახურებსა და შემოკედლებულებთან ერთად, მთელი ავლა-დიდებით. იგი მივიდა და დამკვიდრდა ერთი მთის ძირას, ვაკეზე, სადაც უკვე დასახლებულიყო მცირეოდენი ხალხი ადრინდელი გაფანტვის დროს“** (I, 10).

[14] ჩემი აზრით, ძველი ქართული ტექსტის გამოცემისას ეს ადგილი გასწორებას მოითხოვს. **„ცოლ მრავალ“** (ორი სიტყვად) ეკუთვნის თვით თარგამოსს და არა მისი ძეებს.

[15] **„*იცოცხლა ექვსასი წელი*“** – არც ბიბლიაში და არც მ. ხორენაცისთან თარგამოსის სიცოცხლის წლები ნაჩვენები არ არის. გაურკვეველია, საიდან აიღო ქართული მატიანის რედაქტორმა ცნობა, რომ თარგამოსმა იცოცხლა ექვსასი წელი. ბიბლიის მიხედვით, ნოეს შვილები (სემი, ქამი და იაფეტი) რომ შეეძინა, იყო 500 წლის, 600 წლის იყო წარღვნა რომ მოხდა, ხოლო 950 წლის იყო რომ მოკვდა (დაბ. 5:32; 7:6; 9:28-29).

[16] შდრ. მ. ხორენაცის თხზულებაში შესაბამისი ადგილი: **„ისინი გამრავლდნენ და აავსეს არემარე“** (I, 12).

[17] „*გურგანის ზღვა*“ – კასპიის ზღვის ახალსპარსული სახელწოდება. ზოგი მეცნიერი (გ. წულაია) ფიქრობს, რომ ეს შესაძლოა ამტკიცებდეს „**მეფეთა ცხოვრების**“ ავტორის მიერ მისი თანადროული სპარსული წყაროების გამოყენებას. მაგრამ საინტერესოა, რომ ეს სახელწოდება იხმარება „**მეფეთა ცხოვრებაში**“ კიდევ მხოლოდ ორჯელ და ისიც, ყველა ნიშნით, გვიანდელი რედაქტორის ჩანართში. სხვა ადგილას კასპიის ზღვას ეწოდება დარუბანდის ზღვა (იხ. შენ 45).

[18] „*პონტოს ზღვა*“ – „**პონტო**“ ბერძნულად ზოგადად ზღვას ნიშნავს, ხშირ შემთხვევაში, ბერძნულ და სხვა ენოვან წყაროებში, ეს სახელწოდება მხოლოდ შავი ზღვის მიმართ გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ სახელით შავი ზღვა აღნიშნულია მხოლოდ პირველ თავში – „**ჰამბავი რვათა ძმათაჲ**“ – სამჯერ, ხოლო შემდგომ თავში – „**ჰამბავი ქართლისაჲ**“ – შავ ზღვას ეწოდება სპერის ზღვა (ოთხჯერ), რაც ჩემი აზრით ორი ავტორის, უკეთ, ორი რედაქტორის ხელზე მიუთითებს.

[19] „*ორეთის მთა*“ – ი. ჯავახიშვილმა ეს ადგილი წაიკითხა როგორც – „**ზღუაჲ ორეთისი**“. ს. ყაუხჩიშვილის კონიექტურით უნდა იყოს: „**მთა ორეთისი**“. დღემდე გაურკვეველია თუ რა უნდა იგულისხმებოდეს ორივე წაკითხვის შემთხვევაში. გამოთქმულია მოსაზრება (ს. გამსახურდია), რომ ორეთის მთა საძიებელია სადღაც მიდიის ტერიტორიაზე. ჩემი აზრით სახელწოდება „**ორეთი**“ შეიძლება მომდინარეობდეს ბერძნული სიტყვიდან ὄρος ან ὄρος, ქართული -ეთ სუფიქსის დართვით. ძვ. ბერძნულში ὄρος აღნიშნავდა „**მთას**“, „**შემაღლებას**“, ხოლო ὄρος – „**ზღვარს**“, „**მიჯნას**“, „**სამანს**“, „**სასაზღვრო ნიშანს**“, „**საზღვარს**“. ამ შემთხვევაში, დასადგენია, სად მდებარეობდა არმენიის სამხრეთი საზღვრები ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ძეგლების მიხედვით და გადიოდა თუ არა ის რომელიმე მთაზე, ან მთის ქედზე.

[20] „*მთა კავკასია*“ – კონტექსტიდან გამომდინარე, იგულისხმება კავკასიის მთავარი ქედი, დიდი კავკასიონი და არა რომელიმე კონკრეტული მთა, მაგ. იალბუზი, როგორც ეს ტექსტის გვიანდელ სქოლიოებშია.

[21] აღსანიშნავია, რომ ძვ. სომხურ საისტორიო მწერლობაში სომხების მითიურ ეთნარქს ჰქვია „**ჰაიკი**“, რომელიც მომდინარეობს სომხების თვითსახელწოდებიდან „**ჰაი**“ და, ამ შემთხვევაში, კავშირი სომხურ ტრადიციასა და „**მეფეთა ცხოვრებას**“ შორის ნათელია (იგულისხმება გვიანდელი რედაქტორის ხელი). აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ მწერლობაში სომხების და სხვა კავკასიელ ხალხთა ეთნარქების სახელი მოტანილია ბერძნული ფორმით, - ος სუფიქსის დართვით.

[22] „*ქართლოსი*“ – ქართველთა მითიური ეთნარქი.

[23] „*ბარდოსი*“ – კავკასიის ალბანეთის ქალაქ ბარდავის მითიური დამაარსებელი. „**მეფეთა ცხოვრების მიხედვით, ბარდავის ჩამომავლები არიან რანები, რომელებიც დასაწყისში არიან მოხსენიებულნი სახელით „რანნი**“. სასანურ ეპოქაში ცნობილი იყო შირვანის სახელწოდებით. არაბები „**არანის**“ სახელწოდებით აღნიშნავდნენ კავკასიის ალბანეთს. წერილობით წყაროებში

არანი გვხვდება VI ს-დან. IX-X სს-ების და შემდგომი პერიოდის წყაროები „**არანს**“ უწოდებენ ძირითადად არაქსისა და მტკვარს შორის მდებარე სტეპურ ზონას (თანამედროვე მილის სტეპი) ქალქების ბარდას, განჯის და ბაილაკანის ჩათვლით.

[24] „***მოვაკანოსი***“ – მოვაკნელთა, ერთ-ერთი ალბანური ტომის, მითიური ეთნარქი (იხ. შენ. 3).

[25] „***ლეკოსი***“ – დაღესტნელ ხალხთა მითიური ეთნარქი.

[26] „***ჰეროსი***“ – ერთ-ერთი ალბანური ტომის, ჰერების მითიური ეთნარქი.

[27] „***კავკასოსი***“ – ჩრდილოკავკასიელ ხალხთა მითიური ეთნარქი.

[28] „***ეგროსი***“ – ეგრისის მცხოვრებთა მითიური ეთნარქი.

[29] „***არზანიგებისაებრ***“ – არმენიზმია, მომდინარეობს სომხური სიტყვიდან – „**არჟანიქ**“ = „**ფასი**“, „**ღირებულება**“, „**ღირსება**“. ეს მიუთითებს გვიანდელი რედაქტორის ჩანართზე, რადგან მომდევნო წინადადება ფაქტიურად თარგმანი-პერიფრაზია წინა წინადადებისა. ძველ სომხურ თარგმანში გვაქვს სიტყვა „**არჟელოჲ**“ = „**ღირსება**“. იმის წარმოსაჩენად, რომ, მართლაც, ტექსტი დამუშავებულია გვიანდელი რედაქტორის მიერ, სიტყვა დავტოვე უთარგმნელად.

[30] „***ბერდუჯის მდინარე***“ – ვახუშტი მას აიგივებს მდ. დებედასთან (მდ. ხრამის შენაკადი). ამ აზრს იზიარებს გ. წულაია. სხვა მეცნიერთა (ლ. მელიქსეთ-ბეგი, პ. მურადიანი და სხვ.) აზრით, ბერდუჯის მდინარეში იგულისხმება მდ. ძეგამი, ანუ ძეგამ-ჩაი დღევანდელ სომხეთის რესპუბლიკაში (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 241).

[31] საუბარია სამ სხვადასხვა ქედზე.

[32] „***ღადო***“ – ვახუშტი ღადოს მთას ფერსათის მთასთან აიგივებს და მასში მესხეთის ქედის აღმოსავლეთ ნაწილს გულისხმობს (ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 264).

[33] „***ლიხი***“ – ლიხის მთა, იგივე სურამის ქედი, იგივე ქართლ-იმერეთის ქედი. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ბერძნული სიტყვიდან ὁ λύχνο (*pl.* - τὰ λύχνα) „**ნათურა**“, „**სანათური**“. ქართულში „**ლიხნი**“ უნდა აღქმულიყო მრავლობითი ფორმის სახელად, საიდანაც იწარმოა მხოლობითი ფორმა – „**ლიხი**“. მსგავსი ეტიმოლოგიისა სოფ. ლიხნი აფხაზეთში.

[34] „***არახსი***“ – მდ. არაქსის ძველი სახელწოდება.

[35] „***ბარდავი***“ – ძველი ქალაქის, ბარდავის ნანგრევები მდებარეობს დღევანდელ ქალაქ ბარდას ახლოს, ყარაბაღის ველზე, მტკვრის მარჯვენა შენაკადის, მდ. ტერტერის (ტრტუ) ნაპირზე. IV ს-დან ცნობილია პართავის სახელით. V-VII სს-ებში იყო სასანური ალბანეთის ცენტრი. VIII ს-დან არაბეთის ხალიფატის შემადგენლობაშია. XIII ს-ში გაანადგურეს მონგოლებმა. იყო არანის, ქართული წყაროების რანთა და სომხური წყაროების უტიების (თანამედროვე უდები) მთავარი ქალაქი.

[36] „***მცირე ალაზანი***“ – იგივე იორი, მდ. იორის ძველი სახელწოდება.

[37] იგულისხმება კასპიის ზღვა.

[38] ***„ქალაქი მოვაკნეთი“*** – ვახუშტის მიხედვით მდებარეობდა მტკვრისა და ალაზნის შესართავთან, რაც არ უნდა იყოს სწორი. ვფიქრობ, რომ ეს უნდა ყოფილიყო ქალაქი ბაილაკანი, მტკვრისა და არაქსის შესართავთან.

[39] ***„ქალაქი ჰერეთი ... ახლა იმ ადგილს ჰქვია ხორანთა“*** – მდებარეობა გაურკვეველია. მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებით, ხორანთა მდებარეობდა მდინარეების ივრისა და ალაზნის შესართავში და უნდა ყოფილიყო ჰერეთის ცენტრი (ნ. პაპუაშვილი). ვახუშტის მიხედვით, ქალაქი საბოლოოდ დაეცა მონგოლთა ბატონობის ხანაში.

[40] იგულისხმება შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორია.

[41] ლიხის შესახებ იხ. შენ 33.

[42] ძველი ქართული ტექსტიდან გამოდის, თითქოს არსებობდა დიდი და მცირე ხაზარეთი, მაგრამ ამგვარ გეოგრაფიულ ტერმინებს ძველი წყაროები არ იცნობენ, ამიტომ, **„მდინარე მცირისა ხაზარეთისაჲ“**ახალ ქართულად გადმოვიტანეთ არა როგორც **„მცირე ხაზარეთის მდინარე“**, არამედ როგორც **„ხაზარეთის მცირე მდინარე“**. ასეთი თარგმანის სისწორეს ამტკიცებს ქვემო პასაჟიც, სადაც საუბარია ხაზარეთის დიდ მდინარეზე. მიღებული მოსაზრებით, **„ხაზარეთის მცირე მდინარე“** უნდა გულისხმობდეს მდ. ყუბანს, ხოლო **„ხაზარეთის დიდი მდინარე“** – მდ. ვოლგას.

[43] ***„ქალაქი ეგრისი“*** – მემატიანის განმარტებით, დღევანდელი ბედია, სოფელი ოჩამჩირის რაიონში. XI-XIII საუკუნეებში დაწინაურებული საქალაქო და სამონასტრო კომპლექსი *(***См.: Анчабадзе З.В. Из истории средневековой Абхазии, с. 177**).

[44] კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე მიწების უკაცრიელების, ან იმ ადგილებში ველური ტომების მოსახლობის თემა, ძველი მწერლობის პოპულარული თემა იყო.

[45] ***„დარუბანდის ზღვა“*** – კასპიის ზღვა. სახელწოდება მომდინარეობს ადრეშუასაუკუნეებში კასპიის ზღვისპირას მდებარე ქალაქ დარუბანდის სახელწოდებიდან, რომელიც ქართულ წყაროებში **„ჩორის“** სახელითაა ცნობილი (ახლანდელი ქ. დერბენტი დაღესტანში კასპიის ზღვის პირას).

[46] ***„ლომეკის მდინარე“*** – მდ. თერგი. არსებობს მოსაზრება, რომ სახელწოდება მომდინარეობს ვაინახური სიტყვათწყობიდან – **„ლომე-ხი“**, რაც მთის მდინარეს ნიშნავს.

[47] ***„ხაზარეთის დიდი მდინარე“*** – მდ. ვოლგა. იხ. შენ. 42.

[48] კავკასის შთამომავლებში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგულისხმებიან ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მოსახლე ვაინახური ტომები. შესაძლოა მასში იგულისხმებოდნენ ასევე ჩერქეზულ-ადიღეური ტომებიც, მაგრამ ტექსტში მათზე არაფერია ნათქვამი.

[49] ავტორი ჰაოსის სამყოფელის ჩრდილოეთ საზღვრებში გულისხმობს ქართლოსის და ბარდოსის (როგორც ზემოთ წერია) სამხრეთ საზღვრები: ქართლოსის:

„სამხრეთით – მთა, რომელიც მიჰყვება ბერდუჯის მდინარის სათავეს და მთა, რომელიც მიუყვება დასავლეთისკენ და რომლის წყალიც გარდამოედინება ჩრდილოეთისკენ და ერთვის მტკვარს, მთა, რომელიც მიუყვება კლარჯეთსა და ტაოს შორის ვიდრე ზღვამდე"; და ბარდოსის: „**მტკვრის სამხრეთით, ბერდუჯის მდინარიდან იქამდე, სადაც მტკვარი და არახსი შეიყრებიან**".

[50] იხ. შენ. 19.

[51] „***ნებროთი***" – ძველი აღთქმის ნებროთი, ქამის შვილიშვილი, ქუშის ძე, პირველი მონადირე და მეომარი (დაბ. 10: 8-10)

[52] შდრ. ნებროთისა და ჰაიკის ბრძოლის ეპიზოდი მოვსეს ხორენაცისთან (I, 11). იქ ჰაიკი იბრძვის ნებროთის წინააღმდეგ მარტო, ხოლო „**მეფეთა ცხოვრების**" მიხედვით ნებროთს ებრძვიან კავკასიელი ხალხები. გვიანდელი რედაქტორის მიერ ქართული ვერსია, აშკარად, შეჯერებულია სომხურ ხორენაცისეული ვერსიასთან, კავკასიელი ხალხებისა და სომხების საერთო წარმოშობის დამტკიცების მიზნით.

[53] „***ადარბადაგანი***" – თანამედროვე ირანის ჩრდილოეთ ტერიტორია. სახელწოდება მომდინარეობს ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი სატრაპის – ატროპატეს სახელიდან. ადარბადაგანი მდებარეობდა ისტორიული ალბანეთის (არანის) სამხრეთით. არ უნდა აგვერიოს დღევანდელ აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან.

[54] მიაქციეთ ყურადღება, რომ ნებროთთან ძირითად ბრძოლას აწარმოებს შვიდი ძმა ჰაოსის გამოკლებით.

[55] ძვ. ქართულ ტექსტებში „**ჰაერის სისასტიკე**" ნიშნავს ჰაერის ძვრისგან წარმოშობილ ბუნებრივ მოვლენებს – ჭექა-ქუხილს და სეტყვას; შდრ. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**"-ში: „**და მივჰხედენ მთათა ჩრდილოჲსათა, რამეთუ დღეთა ზაფხულისათა სავსენი ჩნდეს ჰაერითა სასტიკითა და თოვლითა**" (იხ. სინური ვერსია; ჭელიშურში ტექსტი დამახინჯებულია); იქვე: „**გყო მკჳდრ მცხეთას შინა მსახურად არმაზისა, დაღაცათუ ჰაერისა მის სიფიცხლითა შეიმუსრა**" (ჭელიშური რედაქცია).

[56] ეს მხატვრული შედარებები გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს; „**ქართლის ცხოვრების**" ძვ. სომხურ თარგმანში სურათი უფრო ძუნწადაა აღწერილი: „**შეეჯახნენ ერთიმეორეს საშინელი და სასტიკი კვეთებით, თითქოს ღრუბელთა კვეთების ხმაო**" (ქართ. ცხ. ძვ. სომხ. თარგმ., გვ. 9).

[57] „***არმაზი***" – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკულტო ადგილი და მთა ძველ ქართლში. სტრაბონი (I ს. ჩვ. წ.) მას იხსენიებს, როგორც გამაგრებულ ქალაქს, არმოზიკეს სახელით. არმაზის შესახებ ინფორმაცია მოიპოვება პლინიუსთან (ჩვ. წ. I ს.) და პტოლემეოსის „**გეოგრაფიაში**" (II ს. ჩვ. წ.). სიტყვები „**მოვიდა ... ადგილსა მას, სადა შეერთჳს არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი**" გულისხმობს, რომ ამ სიტყვების ავტორი იჯდა მცხეთაში, რომლისთვისაც არმაზის მთა მტკვრის გაღმა მდებარეობდა, ამიტომაც სიტყვა – „**განვიდა**" გულისხმობს

არა არმაზის მთაზე ასვლას, არამედ მცხეთიდან მტკვრის გაღმა, არმაზის მთის მიდამოებში გადასვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორი დაწერდა: „**აღვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი**“.

[58] ეს არის „**მეფეთა ცხოვრების**“ ავტორის მიერ მისი ერთ-ერთი წყაროს „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შესაბამისი პასაჟის არასწორი გაგების და პერიფრაზირების შედეგი (იხ. გ. არახამია, „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“ და „**ცხოვრება ქართ–ველთა მეფეთა**“, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, 1991; ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან „**მოქცევაჲ ქართლისაჲსა**“ და „**ქართველ მეფეთა ცხოვრების“** მიხედვით, საკანდიდატო დისერტაცია ხელნაწერის უფლებით, 2006).

[59] მთლიანად ეს პასაჟი ლიტერატურული ხასიათისაა და არ შეიძლება მასში რაიმე ისტორიული რეალობა ვეძიოთ, როგორც ამას აკეთებს რიგი ისტორიკოსებისა, რომლებიც დღემდე არმაზის მთას მთა-ქართლის სახელით მოიხსენიებენ.

[60] „***ხუნანი***“ – გარდაბნის მხარის ცენტრი, ქართლის აღმოსავლეთ საზღვარზე ადრეშუასაუკუნეების ციხე-ქალაქი. იგივდება დღევანდელ თოფრაყალასთან, ქციასა და მტკვრის შესართავში. სახელწოდება შეიძლება უკავშირდებოდეს სტრაბონის მიერ მოხსენიებულ ჰიდრონიმს ალბანეთში – ხანი. VII ს-ის სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში და მოვსეს ხორენაცის „**ისტორიაში**“ მოხსენიებულია სახელწოდებით – „**ხნარაკერტი**“, მოვსეს კალანკატუელთან – „**ხუნარაკერტი**“. ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია. დ. მუსხელიშვილმა ყურადღება მიაქცია, რომ ანანია შირაკაცის შრომის ერთ-ერთ ხელნაწერში ხნარაკერტს ეწოდება – „**ხანციხ**“, რაც უნდა ნიშნავდეს „**ხ/უნ/ანციხეს**“, რომლის მიხედვითაც იგი მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მისი ჩანაკადის, ტაუზ-ჩაის ჩრდილოეთით. ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ VII საუკუნის ანონიმი სომეხი გეოგრაფის თხზულებაში ვერიის, ანუ ივერიის ქვეყანაში არსებულ პროვინციებს შორის 21-ედ დასახელებულია „**ხანიცხ**“.

[61] „***სპერის ზღვა***“ – როგორც ჩანს, სწორედ ამ სახელით მოიხსენიებოდა შავი ზღვა „**მეფეთა ცხოვრების**“ თავდაპირველ რედაქციაში და არა „**პონტოს ზღვად**“, როგორც ეს გვაქვს აშკარად გვიანდელი რედაქტორის ჩანართებში, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. შენ. 18).

[62] „***ორბის ციხე***“ – სამშვილდის საერისთავოს, ანუ გაჩიანის მხარის ცენტრი, რომელიც დააარსა ქართლოსის მეხუთე შვილმა გაჩიოსმა. ვახუშტისთან იხსენიება ორბეთის ციხის სახელწოდებით და გაიგივებულია სამშვილდის ციხესთან.

[63] „***სამშვილდე***“ – ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი სამხრეთ პროვინციის ცენტრი. შ. მესხია სამშვილდის აღმოცენების თარიღად მიიჩნევს ძვ. წ. IV ს-ს. ამჟამად ნაქალაქარი თეთრიწყაროს რაიონში.

[64] „***მტკვრის ციხე***“ – სავარაუდოდ ციხე ხუნანის ახლოს. მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ იგი უნდა იყოს თანამედროვე ტოპრახ-კალა.

[65] „***გარდაბოსი***“ – გარდაბანელთა ეპონიმი.

[66] მითიური მამათმთავრების სახელებში ასახულია ავტორისდროინდელი ქართლის ადმინისტრაციული დაყოფა.

[67] ქართლოსის ცხოვრებისა და მის ხუთ ძეს შორის ქვევით მოთხრობილ ქვეყნის გაყოფის ამბავსა და თარგამოსის ცხოვრებისა და მისი ჩამომავლობის ამბავს შორის აშკარად იგრძნობა დამოკიდებულება.

[68] „***დედა-ციხე***“ – აქ იგივეა, რაც სამშვილდე. ძველად ამ სახელით რამდენიმე ციხე იწოდებოდა. გარდა სამშვილდისა, დედაციხედ იწოდებოდა ციხე თეძმის ხეობაში, ერიქალის მთის ძირში და ციხე ივრის ხეობის ბოჭორმაში (ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 255-256).

[69] „***ბოსტან-ქალაქი, რომელსაც ახლა ქვია რუსთავი***“ – „**ბოსტან**“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ბაღს, პარკს, სურნელოვან ადგილს.

[70] „***გარდაბოსის სამფლობელო***“ – ამ ტერიტორიას გარდაბანი ჰქვია. მითიური გარდაბოსის კუთვნილი ტერიტორია. სპარსულ და სომხურ წყაროებში მას შეესატყვისება „**გარდმანი**“. ქართულ წყაროებში ცნობილია ასევე „**გარბანი**“. ა. შანიძე თვლიდა, რომ სახელი „**გარდაბანი**“ მიღებულია „**გარდა–უბან**“-იდან და ნიშნავს გაღმა უბანს (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 261). ნ. მარი ამ სახელში ხედავდა სატომო სახელს – „**ქართ**“. ამის საფუძველზე პ. ინგოროყვამ „**გარდაბანი**“ გაიაზრა როგორც „**ქართ–აბანი**“, ანუ „**ქართველთა მხარე**“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თჯ., 1954, გვ. 470). გ. ბედოშვილს მიაჩნია, რომ ამ სახელწოდების ამოსავალია „**გარე დაბანი**“ (გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 93-94). ჩემი აზრით არცერთი ამ მოსაზრებათაგანი სწორი არ არის. „**გარდაბანი**“ იგივეა, რაც სპარსულ-არაბული და სომხური წყაროების „**გარდმანი**“. ავესტური garôdmâma/garônmâna (მან. საშ. სპ. gr’**sm’n, პართ. grdm’n, სოგდ. °r’rïmn) ნიშნავს „სიმღერის სახლს**“, მისი სინონიმებია „**უმაღლესი ცა**“, „**სამოთხე**“.

[71] „***ორბის ციხე***“ – იხ. შენ. 52.

[72] „***სკვირეთის მდინარე***“ – ახლ. მდ. ვერე თბილისის მიდამოებში, მტკვარს მარჯვნიდან მიერთვის.

[73] „***აბოცის თავი***“ – აბოცი იყო ისტორიული საქართველოს სამხრეთ პროვინცია მდ. ახურიანის აუზში, არფას ტაფობზე. ამჟამად სომხეთშია. აბოცის მთა არის დღევანდელი ბეზობდალის ქედი.

[74] „***გაჩიანი***“ – ქალაქი გაჩიანი მდებარეობდა მაშავრის შესართავს ქვემოთ, მდ. ქციას მარჯვენა ნაპირზე.

[75] „***სანადირო ქალაქი***“ – იგივე გაჩიანი.

[76] „***კახეთის მთა***“ – კავკასიონის სამხრეთ განშტოება, მდ. ივრისა და ილტოს წყალგამყოფი ქედი.

[77] „***კუხოსის სამფლობელო***“ – კუხეთი, მხარე ძველ საქართველოში, მოიცავდა თიანეთის, გარე კახეთისა და ჰერეთის ზეგანს.

[78] „***კახოსის სამფლობელო***“ – კახეთი, უძველეს დროს კახეთის მხარე მოიცავდა ტერიტორიას ივრის ზემო წელს, თიანეთსა და უჯარმას შორის.

[79] „***ჩელეთი***“ – აიგივებენ ჟალეთთან, ისტ. ქალაქთან ივრის ხეობაში, ახლ. ნასოფლარი მაჟალოიანი, თიანეთის რაიონში.

[80] ხაზგასმულია კახებისა და კუხების ტომთა განსაკუთრებული სიახლოვე.

[81] „***ბერი, კახეთის პირველშენი***“ – აზრი ბუნდოვანია.

[82] „***მცხეთა***“ – საქართველოს (ქართლის სამეფოს) ძველი დედაქალაქი, უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და სამხედრო პუნქტი. სახელწოდების ეტიმოლოგია მთლად ნათელი არ არის. უმეტესობა მეცნიერებისა (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, გ. მელიქიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ზ. ჭუმბურუძე) იზიარებს პ. იოსელიანის მიერ XIX ს-ში გამოთქმულ აზრს, რომ „**მცხეთა**“ უკავშირდება ერთ-ერთი ქართველური ტომის – მესხების სახელწოდებას. გ. ბედოშვილი ფიქრობს, რომ ეს სახელწოდება მოდის სიტყვიდან „**მსცეთა**“ და ნიშნავს „**მსცოვანთა ადგილს**“ (გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 269-276). ჩემი აზრით, არცერთი ამ მოსაზრებათაგანი დამაჯერებელი არ არის და საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

[83] „***მცხეთოსის სამფლობელო***“ – მცხეთოსის კუთვნილი ტერიტორიის სიდიდე მიუთითებს მის უპირატესობაზე ძმებთან შედარებით.

[84] შეადარე ზემოთ ჰაოსისადმი მისი ძმების დამოკიდებულება: „**და ამ შვიდივე გმირზე იყო მმართველი და ბატონი ჰაოსი. და ეს ყველა იყო ჰაოსის მორჩილი**“.

[85] საინტერესოა, რომ ქართლოსიანები გაჰყო დედამ, ხოლო თარგამოსიანები – მამამ.

[86] ხაზგასმულია უფლისციხის, ოძრხისა და ჯავახეთის დამოკიდებულება მცხეთისადმი.

[87] „***ტასისკარი***“ – გეოგრაფიული პუნქტი ისტორიულ შიდა ქართლში, დღ. ხაშურის რაიონში.

[88] „***ოძრახოსის სამფლობელო***“ – ისტორიული სამცხე.

[89] „***ოძრხე***“ – მეცნიერები, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაზე დაყრდნობით, თვლიან, რომ ოძრხე მდებარეობდა დღევანდელი აბასთუმნის მახლობლად. ამის მიუხედავად, „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში აშკარადაა მითითებული, რომ ოძრხე სხვა სამ ქალაქთან ერთად – სარკინე, კასპი და ურბნისი – მდებარეობს „**მტკვარსა ზედა მოხუევით**“. მართლაც, სარკინეც, კასპიცა და ურბნისიც მდებარეობენ უშუალოდ მტკვრის პირას, ხოლო დღევანდელი აბასთუმნიდან მდ. მტკვრის ნაპირამდე 28 კმ-ია.

[90] „***თუხარისი***“ – ანტიკური ციხე-ქალაქი მდ. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, ოლთისისწყლის შესართავს ქვემოთ, დღ. თურქეთში.

[91] „***ფანავარი***“ – ფარავნის ტბა ისტორიულ ჯავახეთში, დღევანდელ ნინოწმინდის რაიონში. ყველაზე დიდი ტბა საქართველოში.

[92] ***„მტკვრის თავი“*** – მტკვრის სათავე მდებარეობს დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

[93] ***„წუნდა“*** – ანტიკური ქალაქი ჯავახეთში, დღევანდელ ასპინძის რაიონში. ახლა ნასოფლარია. არქეოლოგიური მონაცემებით, წუნდის აღმოცენება სავარაუდოა ძვ. წ. IV ს-ში (შ. მესხია; ივ. ჯავახიშვილი).

[94] ***„არტანი“*** – იგივე ქაჯთა ქალაქი, იგივე ჰური. დღევანდელი ქალაქი არდაჰანი თურქეთში.

[95] ***„უფლისციხე“*** – ანტიკური ქართლის ერთ-ერთი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი გორის რაიონში.

[96] ***„ურბნისი“*** – ანტიკური ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. დღევანდელ სოფ. ურბნისის მიდამოებში, ქარელის რაიონში.

[97] ***„კასპი“*** – ანტიკური ქართლის ერთ-ერთი ქალაქი მტკვრის მარცხენა სანა-პიროზე. ახლ. დაბა, რაიონული ცენტრი. აღმოჩენილ იქნა არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. V ს-დან. არსებობს აზრი, რომ ეს სახელწოდება დაკავშირებულია კასპიების, ერთ-ერთო ძველი ალბანური ტომის სახელწოდებასთან (ზ. იამპოლსკი).

[98] ***ენასოფელი***, ანუ ***შიდა ქართლი***, საპირისპიროდ ***„ქვენასოფლისა“***, ანუ ***ქვემო ქართლისა.***

[99] ეს ფრაზა გვიანდელი რედაქტორის ჩანამატი უნდა იყოს.

[100] ჩემი აზრით, ეს ფრაზა დამოკიდებულია ესაიას წინასწარმეტყველებაზე: **„და დავადგინნე მსაჯულნი შენნი ვითარცა პირველ, და მზრახვალნი შენნი ვითარცა დასაბამსა. და ამისა შემდგომად გეწოდოს შენ ქალაქი სიმართლისაჲ, დედაქალაქი სარწმუნოჲ“** (ეს. 1: 26). გავიხსენოთ ისიც, რომ მცხეთის მეორე სახელწოდება სწორედ სიონია, იერუსალიმის მსგავასად.

[101] ქართლოსის საფლავისა და სიტყვა ***„საფიცარის“*** მნიშვნელობის შესახებ იხილე ჩემი სტატია (ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლოსის საფლავი – ქართლოსიანთა საფიცარი (ფიც // ფუცის სემანტიკისათვის, გელათის აკადემიის ჟურნალი, №1, 2004). **„ქართლის ცხოვრების“** ტექსტში წინაპრის საფლავზე საუბარი კიდევ ერთხელ არის ფარნავაზთან დაკავშირებით: მირიანის ცხოვრებაში წერია, რომ მირიანმა შეამკო ფარნავაზის საფლავი.

[102] ***„ხაზარები“*** – მომთაბარე თურქულენოვანი ხალხი, რომლებიც პირველად გამოჩნდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე, შავ და კასპიის ზღვებს შორის, ჰუნთა შემოსევის შემდეგ (IV ს.). VII ს-ის შუა წლებში შექმნეს ხაზართა ძლიერი კაგანატი. დაიპყრეს ვოლგის ბულგარები, ყირიმი და კიევი. პოლიანების, სევერიანების, რადიმიჩებისა და ვიატიჩების სლავური ტომები ხარკს უხდიდნენ ხაზარებს. X ს-ში ხაზართა სათავეში იდგა მეფე-ხაკანი და მისი მოადგილე ბეგი. ხაკანატის დედაქალაქი იყო ჯერ ვალანგიარი (დღ. ასტრახანი), შემდეგ – სარკელი (დაინგრა 1300 წ.). VIII ს-ში ხაზარებმა მიიღეს იუდაიზმი. სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ ინდოეთთან. 965

წელს კაგანატმა მარცხი განიცადა სვიატოსლავთან ბრძოლაში. 1016 წელს საბოლოოდ დაამხეს ხაზართა კაგანატი რუსთა და ბერძენთა გაერთიანებულმა ლაშქარმა მსტისლავ ტმუტარაკანელის მეთაურობით, რის შემდეგაც ხაზარები გაითქვიფნენ კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე თურქულენოვან და სხვა ხალხებში.

[103] „***დურძუკი***“ – ვაინახების (ჩეჩენები, ინგუშები, ბაცბები) წინაპრების, დურძუკების ქართული ეპონიმი. ეთნონიმი „**დურძუკი**“ გვხვდება ასევე ძველსომხურ და არაბულ წყაროებში, რომლებშიც ქართულიდან ზეპირი გზით უნდა იყოს შესული. ა. გენკო თვლიდა, რომ ეთნონიმი მომდინარეობდა ოსური სიტყვიდან – „**დურძიკ**“ – „**ქვიანი ორმო**“, „**ხევი**“ და ნიშნავდა ხევის მაცხოვრებლებს. გ. მელიქიშვილის აზრით, ეს ეთნონიმი უკავშირდება ძველაღმოსავლური წაყაროებიდან ცნობილ გეოგრაფიულ სახელს – „**დურდუკა**“. ამ აზრს იზიარებს გ. წულაიაც.

[104] „***ტირეთი***“ – გაურკვეველია ამ ეპონიმის წარმოშობა. ამ მხრივ რაიმე საინტერესოს არც „**მეფეთა ცხოვრების**“ ძვ. სომხური თარგმანი გვაძლევს, სადაც ეს სახელი მოცემულია ფორმით – „**ტირეთის**“. ვახუშტისთან ეწოდება „**ტინენი**“.

[105] იხ. შენ. 17 და 45.

[106] ეს პასაჟი დაწერილი უნდა იყოს გვიანდელი რედაქტორის მიერ (იხსენიება არარატი და მასისი, როგორც ზემოთ. იხ. შენ. 12). აღსანიშნავია, რომ დანარჩენ ქვეყანას ეწოდება „**ჩრდილოდ**“.

[107] „***არაგვის კარი ... დარიალ***“ – ბუნებრივი კარიბჭე კავკასიის მთებში, დღევანდელ ყაზბეგის რაიონში, დარიალის, ანუ მდ. თერგის ხეობა. სახელწოდება მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან – „**დარიალან**“ = „**ალანთა კარი**“.

[108] „***უობოსი***“ – ეს უნდა იყოს „**ქართლის ცხოვრების**“ ოვსთა, ანუ ოსების ეპონიმი: ოვს > უობოს.

[109] როგორც ჩანს, აქ საუბარია სკვითურ-სარმატული ტომების კავკასიაში შემოჭრაზე, ადგილობრივი კავკასიელი ტომების შევიწროებაზე და მათ კუთვნილ ტერიტორიაზე დამკვიდრებაზე.

[110] „***ხოზონის ... ხოზანასეთი***“ – იგულისხმება დასახლებული პუნქტი – ხუნძახი დაღესტანში. შუასაუკუნეებში ავარიის სახანოს (XII-XIX სს.) დედაქალაქი.

[111] „***აფრიდონი***“ – სპარსთა ლეგენდარული მეფე, ირანული ეპოსის გმირი, ავესტ. თრაეტონა, სპარს. აფრიდუნი. ებრძოდა აჰრიმანის ქმნილებას, სამთავიან და ექვსთვალა დრაკონ აჟი-დაჰაკს. სხვა ძველი ირანელი გმირების მსგავსად, ისლამურ წყაროებში აფრიდონი გაიგივებულ იქნა ბიბლიურ და ყურანის პერსონაჟებთან, ნოესთან (ბირუნი), აბრაამთან (მაქდესი) და ნებროთთან (დინავარი).

[112] „***ბევრასფ გველთა უფალი***“ – ირანული ეპოსის ბოროტი გმირი, სამთავიან

და ექვსთვალა დრაკონი აჟი-დაჰაკი, რომელიც აფრიდონმა დაამარცხა.

[113] **„*სპარსთა ცხოვრება*“** – იგულისხმება ფირდოუსის **„შაჰ-ნამე“**.

[114] **„*არდამი*“** – ეტიმოლოგიურად ეს სახელი მომდინარეობს საშ. სპარსული სახელიდან – **„არტაბან“/„არდავან“** = **„ვინც წმინდა მფარველობის ქვეშ იმყოფება“** (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 23-24). **„ქართლის ცხოვრების“** შემდეგენელს სპარსელი ერისთავი არდამი აფრიდონის დანიშნულად ჰყავს წარმოდგენილი, რაც მისივე ფანტაზიის ნაყოფია. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ირანელთა რომელიღაც შემოსევა ქართლში III ს-ში (გ. მამულია, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის წყაროები, მაცნე, საქ. სსრ მეც. აკად. საზ. მეცნ. განყ., №4, 1964), რაც სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს. ჩემი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ძვ. წ. IV საუკუნის მოვლენები.

[115] **„*ნებროთის ჩამომავალთა შვილი*“** – **„ქართლის ცხოვრებაში“** ნებროთიანობა ნიშნავს აქემენიდთა სამეფო გვარისადმი კუთვნილებას, შესაბამისად, ნებროთის ჩამომავალთა შვილობა აქემენიანობას გფულისხმობს.

[116] კონტექსტიდან გამომდინარე ჩანს, რომ არდამმა დაანგრია ყველა ის ქალაქი და ციხე, რომელიც ეკავათ ხაზარებს, რის შემდეგაც, როგორც ქვემოთ ირკვევა, თვით იწყებს მცხეთაში სააღმშენებლო საქმიანობას.

[117] ეს კონტექსტიდან ამოვარდნილი წინადადება რაღაც მიზნით მიბმულია არდამის ამბავს. თვით წინადადების წყარო არის ფირდოუსის **„შაჰ-ნამე“**, რომლის მიხედვითაც აფრიდონმა თავისი სამეფო გაუყო თავის სამ ძეს – ერაჯს, სელიმსა და თურანს. სახელი იარედი ერაჯის ქართული ვარიანტია (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 472-473).

[118] აქ ისევ არეულია ერთმანეთში არდამისა და იარედის ამბები.

[119] **„*კნისობდა*“** – სულხან-საბა: **„სიტყვთ და საქმით მაწყინარობა“**. ი. აბულაძე, ს. ყაუხჩიშვილი და ზ. სარჯველაძეც მიჰყვებიან საბას განმარტებას. ეს სიტყვა სხვა ძეგლებში არ გვხვდება. შესაძლოა, **„კნისობა“** მოდიოდეს ბერძნული სიტყვიდან κνώσσω = ძილი, თვლემა, ან სიტყვიდან κνισαύω // κνισσαύω = მსხვერპლის დაწვა, მსხვერპლშეწირვა. შესაბამისად ტექსტის გაგება შეიძლება ორნაირად: ა) სპარსთა ერისთავი ნახეს ველად მთვლემარე; ან ბ) სპარსთა ერისთავი ნახეს ველად, მსხვერპლშეწირვის დროს. ორივე ვარიანტი შინაარსობრივად მისაღებია, თუმცა, შესაძლოა, წინადადების არაბუნებრივი კონსტრუქციიდან გამომდინარე, **„დაკნისობდა“** ერთი სიტყვა იყოს (ზოგ ხელნაწერში ასეცაა) და მოდიოდეს ბერძნული ძირიდან – δακν-, აქედან: ზმნა δαύκνω, δακναύζω = კბენა, ღრღნა, გაგლეჯა და არს. სახ. δακνιστηύρ = მტაცებელი ცხოველი, ურჩხული. ამ შემთხვევაში აზრი იქნებოდა შემდეგი: იპოვნეს სპარსი ერისთავი მტაცებელივით ველად გასული და მოკლეს, რაც უფრო ლოგიკურად მეჩვენება ავტორის მიერ დამპყრობელი სპარსი ერისთავის

უარყოფითი დახასიათებიდან გამომდინარე. გაუგებარია ძვ. სომხური თარგმანის შესაბამის ადგილას საიდან გაჩნდა სიტყვა „**სეირნობდა**“. რადგან საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, ახ. ქართულ თარგმანში ვტოვებთ ისევე, როგორც ეს მისი დედნის გამოცემებშია.

[120] „***ქეკაპოსი***“ – სპარსული მითოლოგიის გმირი ქაუსი, ან ქეი-ქაუსი (Kâvûs, Key Kâvûs), ქაი-ხოსროვის შვილი.

[121] შაჰ-ნამეს მიხედვით, ქეი-ქაუსმა გაილაშქრა მაზანდარანზე, მაგრამ ადვილად იქნა დატყვევებული თავის ლაშქართან ერთად, რადგან დაბრმავდნენ თეთრი დევის გრძნეულებით. რუსტამი განკურნავს სპარს წარჩინებულებს თეთრი დევის სისხლის თვალზე ცხებით. როგორც ჩანს, „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორმა მაზანდარანი აურია ხოზანიხეთში და ეს ამბები კავკასიასთან დააკავშირა.

[122] შდრ. ქვემოთ: „***გამოვლო ზღვა გურგანისი***“, შენ. 130.

[123] „***ისრაელთა ზღვა***“ – იგულისხმება მეწამული ზღვა (გამოს. 14).

[124] მოსეს მიერ ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანა მოხდა დაახლ. ძვ. წ. 1250-1230 წლებში. დაწვრილებით ამ ამბების შესახებ იხ. გამოს. 16.

[125] ქეი-ქაუსის თურანთან ბრძოლის შესახებ მოთხრობილია შაჰ-ნამეში.

[126] „***ფარბოროტი***“ – ირანული ეპოსის გმირის, ქეი-ქაუსის ძის, ბორზაფარის (Borzâfarah, Borzfarî < Barzapharnes) სახელის ქართული ვარიანტი, რომელიც მომდინარეობს ფირდოუსის შაჰ-ნამეში დამოწმებული ვარიანტიდან – Farîborz.

[127] „***შიოშ ბედნიერი***“ – ირანული ეპოსის გმირის, ფარაბოროტ/ფარიბურზის ძმის, სიაუშის (Sîâvakhъ) სახელის ვარიანტი. ეპითეტი „**ბედნიერი**“ ქართულში გადმოსცემს ალბათ სიაოშის რომელიმე სპარსულ შერქმეულ სახელს მნიშვნელობით „**ღვთის მოსავი**“, „**ნეტარი**“, „**მართალი**“ ან სხვ. (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 508-509).

[128] „***სპარსელთა ცხოვრების წიგნი***“ – იგულისხმება ფირდოუსის შაჰ-ნამე.

[129] „***ქაიხოსრო***“ – ირანული ეპოსის გმირი ქაი-ხოსროვი სიაუშის, ანუ შიოშ ბედნიერის ძე.

[130] შდრ. ზემოთ გამოვლეს ზღუა ისრაელთა, შენ. 122.

[131] ეს არის „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-დან მცხეთაში აზოს 18 სახლით მოსვლის შესახებ ამბის აშკარა გამოძახილი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს არც შაჰ-ნამესთან და არც რეალურ ისტორიასთან.

[132] „***გაყვეს***“ – დედნის გამოცემებშია „**განიყვანეს**“, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო ლოგიკურია, ყოფილიყო „**განყვნეს**“, ანუ გაანაწილეს ყველა ქალაქში.

[133] „***სარკინე***“ – ელინისტური ხანის ნაქალაქარი მცხეთის დასავლეთით, ე. წ. ჯოჯოხეთის ხევიდან შიომღვიმის მონასტრის მისადგომებამდე – სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე.

[134] ეს არის „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორის მიერ ჩამატებული ფრაზა,

რათა ლოგიკურად შეამზადოს მკითხველი იმისთვის, რაც ქვემოთ წერია, რომ ქართლის მაცხოვრებლები საუბრობდნენ 6 ენაზე („**იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა**“).

[135] „***ნაბუქოდონოსორ მეფე***“ – Habu-kudur-usur, ბაბილონის მეფე ძვ. წ. 604-561 წწ., ნაბოპალასარის ძე. ნაბუქოდონოსორის დროს ბაბილონის სამეფომ მიაღწია თავისი ძლიერების მწვერვალს. მის დროს აშენდა ცნობილი დაკიდული ბაღები. ძვ. წ. 587 წელს დაიპყრო იერუსალიმი და მიწასთან გაასწორა ქალაქი, წაასხა ათასობით ტყვე, ხოლო იუდეა ბაბილონიის პროვინციად აქცია.

[136] „***ურიები***“ – ებრაელების აღმნიშვნელი „**ჰურიანის**“ გვიანდელი ფორმაა „**ურიანი**“ (ჰ-ს გარეშე), რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ეს საეჭვო პასაჟები გვიანდელი არმენოფილი მწერლის თუ რედაქტორის ჩანამატია.

[137] ეს პასაჟიც მთლიანად „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შესაბამისი ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციაა. „**მოქცევაჲ**“-ს „**ჰონნი**“ (იხ. შატბერდის კრებული, თბ., 1979 გვ. 320) „**ქართლის ცხოვრების**“ გვიანდელმა რედაქტორმა აღიქვა როგორც „**ჰურიანი**“ და ჩათვალა, რომ ისინი ნაბუქოდონოსორის დროს იერუსალიმის აოხრებისა და ებრაელთა დატყვევების შედეგად ქართლში ლტოლვილი ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ, რაც მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ფანტაზიის ნაყოფია.

[138] პირდაპირაა პერიფრაზირებული „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-დან (შატბერდის კრებული, გვ. 320).

[139] „***ვაშტაშაბი***“ – ირანული ეპოსის გმირი ვიშტასპა (Goлtâsp, ავესტ. Vîлtâspa, საშ. სპ. Wiлtâsp, არაბ. Beлtâsb).

[140] „***სპანდიატ-რვალი***“ – (ავესტ. spntô-dâta, მიდ. *Spandadâta, ძვ. სპ. Sphendada,tes, საშ. სპ. Spandadât/Spandyât = წმინდას მოცემული) ირანული ეპოსის გმირი, სპანდიატ ვიშტასპას ძე. ირანულ ეპოსში მას ეწოდება rûyîn-tan, რაც სპილენძის (რვალის) ტანიანს ნიშნავს, რადგან თქმულების მიხედვით მისი ტანის გაჭრა ბასრ მახვილსაც კი არ შეეძლო.

[141] „***ბარამი, რომელიც ცნობილია არდაშირობით***“ – ირანული მითოლოგიით ბამანი, სპანდიატის ძე. „**ბარამ**“ ერთ-ერთი ვარიანტია ირანული სახელისა – „**ვარაჰრან**“, სხვა ვარიანტებია: „**ბაჰრამ**“, „**ვაჰრამ**“. „**არდაშირი**“ ვარიანტია ირანული სახელისა – „**არტაჰშათრა**“. „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორს ეს ბამანი გაიგივებული ჰყავს სასანიანებთან, რადგან, როგორც ცნობილია, ირანის შაჰის, შაბურ II-ის (309-379 წწ.) ბრძანებით, შედგა სასანიანთა გენეალოგია, რომლის მიხედვითაც სასანიანებს თავიანთი გვარი ნახევრადლეგენდარულ მეფე ვიშტასპადან გამოჰყავდათ. ავესტას ლეგენდარული მეფე ვიშტასპა, ამ გენეალოგიის მიხედვით, გაიგივებული იყო აქემენიდ დარიოს I-ის მამასთან, რომელსაც ასევე ვიშტასპა ერქვა (И. В. Рак, Мифы древнего и раннесредневекового Ирана, СП., 1987, ст. 60-61).

[142] „*ბაბილოვანი*“ – ბაბილონია, სახელმწიფო შუამდინარეთში.

[143] „*ასურეთი*“ – ასურეთის სამეფო.

[144] „*ჰრომეები*“ – „**ჰრომი**“ არის რომის აღმნიშვნელი ფორმა ძველ ქართულ და სომხურ მწერლობაში. გარდა ამისა, ქართული მწერლობის ადრეულ ძეგლებში დადასტურებულია ასევე ფორმა „**ფრომი**“. ორივე ფორმის ამოსავალია საშ. სპარსული, სადაც „**ფრ**“ კომპლექსი ქართულში გადმოდიოდა ამგვარადვე, ხოლო სომხურში – „**ჰრ**“-დ (შდრ. სპარს. „**ფერიდუნ**“ – ქართ. „**ფრიდონ**“ – სომხ. ჰრუდენ, და სხვ. იხ. ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან „**მოქცევაჲ ქართლისაჲსა**“ და „**ქართველ მეფეთა ცხოვრების მიხედვით, საკანდიდატო დისერტაცია ხელნაწერის უფლებით, 2006)**

[145] „*ალექსანდრე*“ – ალექსანდრე დიდი, ფილიპეს მაკედონელის ძე. მაკედონიის მეფე ძვ. წ. 336-323 წლებში. დაიპყრო თითქმის იმდროინდელი მსოფლიო, ეგვიპტიდან ინდოეთამდე.

[146] „*ეგვიპტელი ნიკტანები*“ – იგულისხმება ეგვიპტის უკანასკნელი ფარაონი 30-ე დინასტიიდან, ნეკტანებ II (ძვ. წ. 360-342 წწ.). სპარსეთის მეფე არტაქსერქსე III-ის მიერ დამარცხების შემდეგ, სამეფო განძით გაიქცა ნუბიაში, რის შემდეგაც მისი კვალი იკარგება. ალექსანდრე მაკედონელი ფარაონ ნიკტანების ძედ იხსენიება ელინისტურ და შუასაუკუნეების ეპოქაში ფრიად პოპულარულ ფსევდო-კალისთენეს „**რომანში ალექსანდრეს შესახებ**“. ამ რომანის საწყისები მიდის ქ. ალექსანდრიაში, ელინიზირებული ეგვიპტელი ქურუმების წრეში, რომელთა მიზანიც იყო, ალექსანდრე წარმოეჩინათ არა ეგვიპტის უცხოელ დამპყრობლად, არამედ მის კანონიერ მეფედ.

[147] „*ბერძნების წიგნი*“ – იგულისხმება ფსევდო-კალისთენეს „**რომანი ალექსანდრეს შესახებ**“, რომლის პირველი ვერსია უნდა შექმნილიყო ეგვიპტეში ქ. ალექსანდრიაში. ეს თხზულება უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა შუასაუკუნეებში და ითარგმნა მრავალ ენაზე.

[148] აქედან ჩანს, რომ ავტორისთვის „**კავკასნი**“ არ არის მხოლოდ კავკასიის მთავარი ქედი, არამედ მთლიანად ჩრდილო ქვეყანა, მცირე კავკასიონის ჩათვლით, რადგან მისი სიტყვებით, ალექსანდრე გამოემართა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, გადმოიარა კავკასნი და ისე შემოვიდა ქართლში.

[149] საქმე გვაქვს კვლავ „**მოქცევაჲ ქართლისაჲსა**“-ს პერიფრაზირებასთან (იხ. შენ 138).

[150] „*წუნდა*“ – წუნდის ეკლესია და წუნდის ტბა მდებარეობს დღევანდელ ასპინძის რაიონში. იქვეა ნასოფლარი წუნდა.

[151] „*მტკვრის ხერთვისი*“ – ხერთვისის ციხე მდებარეობს დღევანდელ ასპინძის რაიონში, მდინარეების მტკვრისა და ფარავნის, ანუ ჯავახეთის მტკვრის შესართავთან. გამოთქმა „**ხერთჳსი მტკურისაჲ**“ სხვა ხერთვისების არსებობაზეც მიგვანიშნებს.

[152] „*ღადო*“ – ზოგადად ნიშნავს მიუვალს, ქვაღორღიანს, მაგრამ „**მეფეთა**

ცხოვრებაში“ მას მიცემული აქვს ტოპონიმის მნიშვნელობა. ს. ყაუხჩიშვილი განმარტავს: მთა, კავკასიონის შტო. ამიტომ, თარგმანში გადავწყვიტე დავტოვო ძველი ქართული ფორმა.

[153] „***ოძრხე***“ – იხ, შენ. 39.

[154] „***სპერის მდინარე***“ – იგულისხმება მდ. ჭოროხი.

[155] „***ურბნისი***“ – იხ. შენ. 96.

[156] „***კასპი***“ – იხ. შენ. 97.

[157] „***უფლისციხე***“ – იხ. შენ. 95.

[158] „***მცხეთა და მისი უბნები***“ – ჩანს, ავტორი ასახავს მის თანადროულ სიტუაციას, როცა სარკინე, ციხედიდი და ურიათა უბანი განიხილებოდა როგორც მცხეთის უბნები.

[159] „***ნასტაკისი***“ – მინდორი მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, ქსნის შესართავს ქვემოთ. ნასტაკისზე მიკვლეული უძველესი ნამოსახლარი თარიღდება გვ. ბრიანჯაოს ადრ. რკინის ხანით (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ. – I ათასწლ. დასაწყ.). ძვ. წ. IV ს-ის ბოლოს ნასტაგისზე გაჩნდა ქალაქის ტიპის ელინისტური დასახლება და იარსება ახ. წ. VII ს-მდე. „**მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲ**“-ში გვაქვს ფორმა „**ნასტაგისი**“. ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით აზრები გამოთქმული აქვთ ნ. მარს, ნ. ბერძენიშვილის, ი. კიკვიძეს, რომლებიც სიტყვას „**სტაგი**“ სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევენ და უკავშირებენ „**ვაზს**“, „**ვაზის რქას**“, „**მაღლარ ვაზს**“, რაც არ არის დამაჯერებელი. ჩემი აზრით, იგი უკავშირდება ბერძნულ ძირს **σταγ**, საიდანაც მომდინარეობს სიტყვა – **σταγών** = „**წვეთი**“, „**ნაკადი**“, „**ჭავლი**“, „**ჩქერი**“, „**ღვარი**“, რაც პირდაპირ ეხმიანება რუს გაყვანის შესახებ ცნობას.

[160] „**მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲ**“-ს მიხედვითაც სარკინეს ალყა გაგრძელებულა 11 თვეს (შატბერდის კრებული, გვ. 320).

[161] ეს პასაჟიც „**მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲ**“-ს პერიფრაზია (იხ. შატბერდიდ კრებული, გვ. 320)

[162] „***აზონი***“ – „**მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲ**“-ში მას ეწოდება „**აზო**“: „**და თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჱ არიან-ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი, და ეგრის წყალი, და სომხითი და მთაჲ ცროლისა[ჲ] და წარვიდა. ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას და თანა-ჰყვანდეს კერპნი ღმრთად – გაცი და გა. ა„**. და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ, ძჱ არიან-ქართველთა მეფისაჲ, და მოკუდა“. როგორც ჩემს დისერტაციაში ვამტკიცებ, აზო-აზონი რეალური ისტორიული პიროვნებაა და არის სპარსელი ცნობილი დიდგვაროვნის, აქემენიანთა საგვარეულოს წარმომადგენლის არტაბაზის ძე. არტაბაზი იყო აქემენიანთა ირანის ფრიგიის სატრაპი ძვ. წ. 387 წლიდან. პლუტარქეს ცნობით, არტაბაზის დედა სპარსეთის მეფის ასული იყო (ალექსანდრ. XXI). თვითონ არტაბაზმა იქორწინა როდოსის ერთ-ერთი

წარჩინებული გვარის წარმომადგენელ ბერძენ ქალზე, დაიახლოვა თავისი ახალგაზრდა ცოლისძმები, შემდგომში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები – მემნონი და მენტორი. მალე არტაბაზი სატრაპთა დიდ აჯანყებაში იქნა ჩათრეული და იძულებული გახდა მემნონთან და მთელ ოჯახთან ერთად მაკედონიის მეფის, ფილიპეს კარისთვის შეეფერებიანა თავი (ძვ. წ. 352 წ.). მაკედონიაში გაიზარდნენ არტაბაზის თერთმეტი ვაჟი და ათი ასული, რომელიც მას როდოსელი ცოლისგან ჰყავდა. ალექსანდრემ ჯერ კიდევ ჭაბუკობის ასაკში გაიცნო სამშობლოდან დევნილი არტაბაზი და მისი შვილები და მათგან ეზიარა ძველი ირანის რაინდულ ტრადიციებს. გარკვეული ხნის შემდეგ, არტაქსერქსე III შეიწყალა არტაბაზი და მისი ოჯახი და ისინი დაბრუნდნენ სპარსეთში. ალექსანდრეს მიერ სპარსეთის დაპყრობისა და დარიოს III-ის სიკვდილის შემდეგ არტაბაზი, თავის ცხრა ვაჟთან ერთად, გამოცხადდა კასპიის ჰირკანიაში მყოფ ალექსანდრესთან და თანადგომა აღუთქვა ძვ. წ. 329 წელს, ალექსანდრემ ოთხმოცდათხუთმეტი წლის არტაბაზი მშფოთვარე ბაქტრიისა და სოგდიანას სატრაპად დანიშნა. ინდოეთში ლაშქრობის წინ კი (ძვ. წ. 327 წ-ის ზაფხული) გაითვალისწინა მოხუცის თხოვნა და იგი ამ საპასუხისმგებლო თანამდებობიდან გაათავისუფლა. მე ვფიქრობ, რომ აზო-აზონი უნდა იყოს არტაბაზის ერთ-ერთი ვაჟი.

[163] „***იარედოსის ძე***“ – სახელი – „**იარედოს**“ არის „**იარედ**“-ის გაბერძნულებული ფორმა. როგორც ზემოთ ვწერდით, იარედი/ერაჯი იყო სპარსული მითოლოგიის გმირის, სპარსეთის პირველი მეფის, აფრიდონის ერთ-ერთი ძე. აზონის იარედოსის ძედ წარმოჩენა ხაზს უსვამს მისი სპარსული სამეფო საგვარეულოსადმი კუთვნილებას.

[164] მემატიანეს ეს ცნობა მიანიშნებს იმაზე, რომ აზონი ალექსანდრეს სახლის წევრი იყო. როგორც ზემოთ ვაჩვენე, აზონი იყო სპარსელი დიდგვაროვნის, არტაბაზის ძე, რომელიც მაკედონიის დედაქალაქ პელაში ალექსანდრეს მამის, ფილიპე II-ის კარზე იზრდებოდა (იხ. შენ. 162). აქედან გამომდინარე, აზოს ეწოდება ალექსანდრეს „**თვისი**“.

[165] „***ფროტათოსი, ფროტათოსელები***“ – როგორც ირკვევა, ეს ტოპონიმი და ეთნონიმი მოდის კუნძულ როდოსის და როდოსელთა აღმნიშვნელი დამახინჯებული საშ. სპარსული ფორმიდან – „**ფროდიტეს**“ < „**ჰროდიტეს**“ (ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან).

[166] „***ემონებოდნენ***“ – დედანში „**ეკირთებოდეს**“. აზრი, თითქოს „**კირთება**“ ამ შემთხვევაში ბრძოლას ნიშნავს, მომდინარეობს ძვ. სომხური თარგმანიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ ფროტათოსელნი „**სასტიკად ავიწროებდნენ ბერძნებს**“, რაც თავისთავად ალოგიკურია შინაარსიდან გამომდინარე. „**კირთება**“ ძველ ქართულში ნიშნავს „**მონებას**“.

[167] აზო/აზონის ქართლის მმართველად დანიშვნა უნდა მომხდარიყო ძვ. წ. 329 წ. (ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან).

[168] ელინისტური ხანის ისტორიული წყაროების მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა ბაბილონში, მაგრამ მისი ნეშტი გადასვენებულ იქნა ქ. ალექსანდრიაში, მისი ერთ-ერთი მხედართმთავრის, პტოლემაიოსის მიერ.

[169] „***ანტიოხოზი***“ – იგულისხმება ალექსანდრეს მხედართმთავარი – სელევკოს I ნიკატორი (დაახლ. ძვ. წ. 358-281/280 წწ.), რომელმაც სათავე დაუდო სელევკიდთა დინასტიას, რომელიც ალექსანდრეს იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს მართავდა.

[170] „***პრომოსი***“ – კონტექსტიდან გამომდინარე, იგულისხმება ლისიმაქოსი (ძვ. წ. 361-281), ალექსანდრეს პირადი მცველი და ერთ-ერთი მხედართმთავარი, თრაკიის სატრაპი.

[171] „***ბიზინტიოსი***“ – იგულისხმება ანტიგონოს I მონოფთალმოსი (ცალთვალა), ალექსანდრეს მხედართმთავარი, რომელმაც მეფის სიკვდილის შემდეგ პირველმა გამოაცხადა თავი მეფედ (ძვ. წ. 306-301 წწ.) და დაიკავა მცირე აზია.

[172] „***პლატონი***“ – იგულისხმება ალექსანდრეს ერთ-ერთი მხედართმთავარი, პტოლემაიოს I სოტერი (მხსნელი), ეგვიპტის სატრაპი (ძვ. წ. 323 წ-დან) და შემდეგ მეფე (ძვ. წ. 305-283 წწ.), პტოლემაიდთა დინასტიის დამაარსებელი.

[173] „***ქალაქი ანტიოქია***“ – ამ სახელით რამდენიმე ქალაქი იყო ცნობილი. ამ შემთხვევაში იგულისხმება ანტიოქია მდ. ორონტესზე, დააარსა სელევკოს I ნიკატორმა ძვ. წ. 300 წელს, თანამედროვე ანთაქია. იყო ელინისტური ხანის უმნიშვნელოვანესი ქალაქი, ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი ცენტრი.

[174] ანაქრონიზმია, სინამდვილეში რომი დაარსდა ძვ. წ. VIII ს-ში.

[175] წყაროს მიხედვით, აზონი იყო ბიზინტიოსის, ანუ ანტიგონოსის ქვეშევრდომი, რაც დასტურდება უკანასკნელი გამოკვლევებით (იხ. ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართული ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან).

[176] ანაქროინიზმია, სინამდვილეში ქ. ბიზანტიონი დაარსდა დაახლ. ძვ. წ. 660 წელს.

[177] „***გაცი და გაიმი***“ – „**მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲ**“-ში არის გაცი და გა. როგორც ირკვევა, ეს უნდა იყოს კიბელას და ატისის მსგავსი, მომაკვდავ და აღდგომად ღვთაებათა ელინისტური კულტი. კიბელა = გა იყო ნაყოფიერებისა და მიწის ღვთაება (ბერძ. „**გა**“/„**გე**“ = მიწა), ხოლო ატისი = გაცი – მისი საყვარელი, (ბერძ. „**გატის**“/„**გეტის**“ = მიწის მხვენელი, მიწის დამმუშავებელი). დაწვრ. იხ. ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართული ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან.

[178] „***ფარნაბაზი***“ – ფ. იუსტის მიხედვით, სახელი მომდინარეობს ძვ. სპარსული სახელიდან – farnabazu = „**ხელზედნიერი**“, „**ბრწყინვალე ხელის მქონე**“; ნ. მარის მიხედვით, საშ. სპარს. სახელიდან – farnavazd < farnavast = „**უბრწყინვალესი**“. მარის აზრს იზიარებს მ. ანდრონიკაშვილიც. ვ. აბაევის მიხედვით, ფალაურიდან farnavač // farnavaz = „**ბრწყინვალე მოსაუბრე**“, „**ორატორი**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 498-499). „**მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲ**“-ს ცნობები

ფარნავაზის შესახებ მეტად ძუნწია: „**და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხჳ[რ]სა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო, და ჰრქჳან არმაზ**“.

179 „***ასპანელი***“ – ასპანი, ალბათ უნდა გულისხმობდეს ასპიების ირანულ ტომს.

180 „***სამარა***“ – გაურკვეველი ეტიმოლოგიის სახელია.

181 „***მამასახლისი***“ – ევსტათი მცხეთელის „**მარტვილობაში**“ იხსენიება „**გრიგოლ ქართლისა მამასახლისი**“. როგორც ჩანს, სასანურ ხანაში მამასახლისი იყო ირანის მარზპანის დაქვემდებარებული მოხელე.

182 ფარნავაზის სიზმრის მითოლოგიური ანალიზისთვის იხ. ზ. კიკნაძე, ფარნავაზის სიზმარი, მაცნე – ენისა და ლიტერატურის სერია, 1984, №1 და ზ. ალექსიძე, ცხოვრება ფარნავაზისი, მნათობი, 1984, №12.

183 „***ჩუგლუგი***“ – პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ჩაქუჩს, აქ ერთგვარი, ჩაქუჩის მსგავსი საბრძოლო იარაღია.

184 „***ქუჯი***“ – ეგრისის ერისთავი. მ. ანდრონიკაშვილს ეს სახელი გამოჰყავს სკვითური სახელის „**კუძაიოს**“ ოსური დიალექტური ფორმიდან – „**კუძა**“, „**კუძაგ**“, სუტყვიდან – „**კუძ**“ = „**ძაღლი**“ (შდრ. სახ. „**ძაღლიკა**“. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 138-139). ქვემოთ მოყოლილი ამბიდან ჩანს, რომ ეგრისიც აზონის მმართველობის ქვეშ იყო.

185 „***კარგი გამარჯვება***“ – ასე ვთარგმნე ძვ. ქართული „**ძლევაჲ კეთილი**“. ასეთი თარგმანის სისწორეს მხარს უჭერს ქართული მისალმების ერთ-ერთი დიალექტური ფორმა: „**კაი გამარჯობა!**“

186 „***ჰრომთაგანი***“ – იგულისხმება „**ფროდატოსელნი**“, ანუ როდოსელი ჯარისკაცები, რომლებიც, „**ქართლის ცხოვრების**“ მიხედვით ალექსანდრემ დაუტოვა აზონს.

187 ფარნავაზის აჯანყება აზონის წინააღმდეგ თარიღდება ძვ. .წ. 305 წლით (ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან).

188 აქედან ჩანს ეგრისის ქართლისადმი დამოკიდებულებაში ყოფნა.

189 აქედან ჩანს, რომ აზოს მმართველობა ვრცელდებოდა არა მხოლოდ ქართლზე და ეგრისზე, არამედ ჩრდილო-კავკასიელ ხალხებზეც – ოვსებსა და ლეკებზეც.

190 არადამაჯერებელია ზოგიერთი ისტორიკოსის (ნ. ხაზარაძე) მცდელობა, რომ ამ ცნობაზე დაყრდნობით, კლარჯეთი მიიჩნიონ აზონის სამშობლოდ, ხოლო „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ნახსენები „**არიან-ქართლი**“ კი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდებარე ქართულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად წარმოაჩინონ. სინამდვილეში კლარჯეთში აზონის გამაგრების ფაქტი გამოწვეული უნდა ყოფილიყო ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, რადგან აზონს არ წაესვლებოდა ჩრდილოეთით ოვსების გამო, აღმოსავლეთით – ლეკების გამო, სამხრეთით სომხების გამო

(ქვემოთ ჩანს, რომ ფარნავაზიც და სომხებიც სელევკოსს დაემორჩილნენ), ხოლო დასავლეთით ეგრისელების აჯანყების გამო. ერთადერთი მხარე, სადაც აზონს მომავალ ბრძოლებამდე შეიძლებოდა სული მოეთქვა, იყო მცხეთიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კლარჯეთი. მითუმეტეს, რომ მას მომავალი ბრძოლებისთვის სამხედრო დახმარება შეეძლო მიეღო მხოლოდ მისი მოკავშირის, ანტიგონოსის მხრიდან, რომელიც ამ დროს კლარჯეთის მიმდებარე აზიის ტერიტორიებს ფლობდა.

[191] ***„ასურასტანის მეფე ანტიოქოზი“*** – იგულისხმება დიადოქოსი სელევკოს I ნიკატორი (იხ. შენ. 169).

[192] აქედან ჩანს, რომ ფარნავაზი ცნობს სელევკოს I-ის უზენაესობას და მისი ხელდასხმით მოქმედებს აზონის წინააღმდეგ. სელევკოსის ბრძანებითვე ეხმარებიან მას ამ ბრძოლაში სომხეთის **„ერისთავები“**.

[193] რადგან ფარნავაზმა სამეფო ინსიგნიები მიიღო **„ასურასტანიდან, ანტიოქოზისგან“**, ანუ სელევკოს I-ისგან, შესაბამისად, აზონის მიერ **„საბერძნეთიდან“** სპის შემოერთება გულისხმობს, რომ მას სამოკავშირეო ურთიერთობა ჰქონდა მეორე ცნობილ დიადოქოსთან, ანტიგონოსთან, რომელსაც ეკავა მთელი ანატოლია, მათ შორის კლარჯეთის მიმდებარე ტერიტორიები.

[194] ***„არტანის ნაქალაქევი“*** – საინტერესოა, რომ დღევანდელ თურქეთში, ქალაქ არტაანიდან 20-ოდე კმ-ის მოშორებით არის პატარა დასახლებული პუნქტი **„Nakalakei“** რაც ქართული ნაქალაქევის დამახინჯებული ფორმაა..

[195] ***„ქაჯთა ქალაქი, რომელიც არის ჰური“*** – იხ. შენ. 94.

[196] ***„საბერძნეთის საზღვარი ანძიანძორა“*** – ძველი ქართული წყაროების ანძიანძორა არის კაბადოკიის ქალაქი ნაზიანზი, რომლის სახელიც სამუდამოდ დაუკავშირდა ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მამის, გრიგოლ ნაზიანზელის სახელს. უსაფუძვლოა ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მცდელობა, (ნ. ხაზარაძე, გ. ქავთარაძე, გ. ანჩაბაძე, ვ. გოილაძე) რომ **„ანძიანძორა“** დაუკავშირონ ბერძნული წყაროების ანძიტენეს, ბასიანის ოლქს. აქ საბერძნეთის საზღვარში იგულისხმება არა ქართლთან საზღვარი, არამედ ანტიგონოსის სამეფოს და სელევკოსის სამეფოს საზღვარი, რომელიც კაბადოკიაში, ქ. ნაზიანზის ახლოს გადიოდა.

[197] ***„ეკლეცი“*** – ისტორიული ოლქი კლარჯეთის სამხრეთით და კაბადოკიის აღმოსავლეთით. ძველი ბერძნული წყაროების **„აკილისენე“**.

[198] ***„დაიპყრო კლარჯეთი“*** – გულისხმობს, რომ ფარნავაზმა აღადგინა კლარჯეთზე ქართველთა ბატონობა.

[199] ფარნავაზის ლაშქრობა კაბადოკიასა (ანძიანძორა/ნაზიანზი) და აკილისენეში ისტორიული სინამდვილეს შეეფერება. როგორც ზემოთ ვთქვი, ფარნავაზი აზოს აუჯანყდა ძვ. წ. 305 წელს (იხ. შენ. 181). სწორედ ამ წლებში მიმდინარეობდა ომი სელოევკოსსა და ანტიგონოსს შორის, რომლის ძირითად ბრძოლებს (ძვ. წ. 304 წ.) ადგილი ჰქონდა კაბადოკიაში. აზონის

დამარცხების შემდეგ, ფარნავაზს მონაწილეობა უნდა მიეღო ანტიგონოსის წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი მთავარი მოკავშირის, სელევკოსის მხარეზე.

200 აზონის ქონებაში იგულისხმება, როგორც პირადად მისი სიმდიდრე, ასევე ის ალაფი, რომელსაც ბრძოლის ველზე აკრეფდა ფარნავაზი. უსაფუძვლოა ზოგიერთი მეცნიერის მტკიცება, თითქოს აქ საუბარი უნდა იყოს კლარჯეთში დაუნჯებულ აზონის საგვარეულო ქონებაზე.

201 ზუსტად დადგენილი არ არის თუ რომელი მდინარე იგულისხმება მდინარე ეგრისწყალში. ვახუშტის მიხედვით, ეს უნდა იყოს დღევანდელი ოხოჯე, ოქუმის მარჯვენა შენაკადი, გალის რ-ნი. ეგრისწყლის ქვემოთ ტერიტორიაში იგულისხმება მდინარიდან ჩრდილოეთით მდებარე მიწები და არა მის სამხრეთით, როგორც ეს ზოგ მკვლევარს შეცდომით აქვს გაგებული.

202 ფარნავაზი დინასტიური ქორწინებებით ამყარებს კავკასიის ხალხთა შორის მოკავშირეობას.

203 ეს ნიშნავს, რომ ქუჯის სამფლობელო, ანუ ელინისტური ხანის ეგრისის ტერიტორია, ვრცელდებოდა მდ. რიონის ჩრდილოეთით, ეგრისწყლამდე და ქუჯის მმართველობა რიონის სამხრეთით არ ვრცელდებოდა.

204 „***ციხეგოჯი***“ – ისტორიული ციხე და ქალაქი, ახლ. ნაქალაქევი მდ. ტეხურას პირას, სენაკის რ-ნი. როგორც ჩანს მემატიანე მას ქუჯის ციხედ აღიქვამს სახელის ფონეტიკური მსგავსების გამო.

205 „***სპასპეტი***“ – სიტყვა მომდინარეობს საშ. საპრსული ფორმიდან – spāhpat = „**მხედართმთავარი**“, „**ჯარის უფროსი**“. იყო მეფის შემდეგ მეორე კაცი სამეფოში.

206 „***რიონს ზემოთ***“ – იგულისხმება რიონიდან სამხრეთი ტერიტორია და არა ჩრდილოეთი, როგორც ეს შეცდომით ხშირად ესმით. აქ სიტყვა „**ზემო**“ ხაზს უსვამს რიონის სამხრეთით მდებარე მთების გეოგრაფიას. როგორც აქედან ჩანს, მარგვისის საერისთავო მდებარეობდა ლიხის მთის დასავლეთით, ეკავა სტრატეგიული მდებარეობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის და შემდეგ ვიწრო ზოლად მიუყვებოდა რიონის სამხრეთით, მესხეთის ქედებამდე ტერიტორიას ზღვამდე. აქედან გამომდინარე, ფარნავაზის სახელმწიფო მოწყობაში მარგვისის საერისთავოს სტრატეგიული ადგილი ეკავა და აკავშირებდა აღმოსავლეთ საქართველოს შავი ზღვის პორტებთან.

207 „***შორაპანი***“ – შორაპნის ციხის ნანგრევები მდებარეობს ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე, ზესტაფონის რნ-ში.

208 „***დიმნა***“ – დიმნის ციხის ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია. სავარაუდოდ ეს არის დიმა, ბაღდათის რნ-ში.

209 „***გარდაბანი***“ – მითიური გარდაბოსის კუთვნილი ტერიტორია (იხ. შენ. 65, 70).

210 „***სპასალარი***“ – ახ. სპარს. sepāh-sālār, ფაზ. spāhsālār, საშ. სპარს. spāhsardār = „**ჯარის მეთაური**“, „**ჯარის უფროსი**“.

[211] „*ათასისთავები*“ – მათ ხელში იყო როგორც სამხედრო, ასევე საერო ადმინისტრაციული (გადასახადების აკრეფა) ძალაუფლება. როგორც ჩანს, ემორჩილებოდა ერისთავს.

[212] საინტერესოა ხარკის კლასიფიკაცია „**სამეფოდ**“ და „**საერისთავოდ**“.

[213] ზუსტად არ არის გარკვეული რა იგულისხმება სიტყვებში – „**სპარსელების სამეფოს მსგავსად**“. მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ უნდა იგულისხმებოდეს სელევკიდთა სამეფო. ჩემი აზრით გასაანალიზებელია როგორც სელევკიდთა სამეფოს წყობა, ასევე სპარსული სამეფოების (აქემენიდური, პართული, სასანური) წყობაც და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, თუ რას გულისხმობდა ავტორი.

[214] აქედანაც ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ძველ ქართლში კავკასიელ ხალხებთან დინასტიურ ქორწინებებს მოკავშირეობის განმტკიცების მიზნით.

[215] ამ „**უცალობაში**“ უნდა იგულისხმებოდეს ძვ. წ. 302-301 წლები, როცა ანტიგონოსის წინააღმდეგ კვლავ შეიკრა დიადოქოსთა კოალიცია (ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან „**მოქცევაჲ ქართლისაჲსა**“ და „**ქართველ მეფეთა ცხოვრების**“ მიხედვით), რაც ანტიგონოსის სიკვდილით დამთავრდა.

[216] ეს არის მეფეთა ცხოვრების ავტორის მიერ არასწორად გაგებული ფრაზა „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-დან, სადაც წერია „**ცხჳრსა ზედა**“, რომელიც გაგებულ იქნა, როგორც „**სახელსა ზედა**“. ამ შეცდომიდან გამომდინარე, ბევრი ქართველი მეცნიერი თვლის, რომ ფარნავაზმა თავისი სახელობის კერპი აღმართა, რაც თავისთავად, მცდარი აზრია. სინამდვილეში, არმაზი ზევსი-აჰურამაზდას სინკრეტული ელინისტური ღვთაება უნდა ყოფილიყო და მისი სახელი ეტიმოლოგია უკავშირდება „**აჰურამაზდას**“ (იხ. ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან „**მოქცევაჲ ქართლისაჲსა**“ და „**ქართველ მეფეთა ცხოვრების**“ მიხედვით).

[217] ქართული წყაროების მიხედვით, ფარნავაზის ზეობა ზუსტად თარიღდება ძვ. წ. 304-239 წლებით.

[218] ეს ფრაზა ხაზს უსვამს მეგრელებისა და კლარჯების განსაკუთრებულ მდგომარეობას ფარნავაზის სამეფოში.

[219] „*აზნაურები*“ – ამ სიტყვის ამგვარი ეტიმოლოგია ავტორის ფანტაზიის ნაყოფია.

[220] ეს ფრიად საყურადღებო ფრაზა გულისხმობს, რომ ფარნავაზის სამეფოში ქართული ენა სამწერლობო ენა ყოფილა. შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს ე. წ. ალოგლოტოგრაფიის პრინციპი (იხ. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989, გვ. 198-201)

[221] „*საურმაგი*“ – ეტიმოლოგიურად უკავშირდება სკვითურ სახელს Sawarmag = „**შავხელა**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 492-493). „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“ საურმაგის შესახებ

მოკლედ გვამცნობს: „**და შემდგომად მისა დადგა მეფედ საურმაგ. ამან აღმართა კერპი აჲნინა გზასა ზედა. და იწყო არმაზს შჱნებად**“.

[222] წყაროში მთლად ნათელი არ არის საურმაგსა და ქართველებს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი. მიზეზი საძიებელია იმდროინდელი ქართლსა და მის მეზობელი ქვეყნებში არსებული პოლიტიკურ სიტუაციაში: მისი მეფობის ხანას ემთხვევა სელევკიდთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებებს პართიასა და ბაქტრიაში, რაც საბოლოოდ პართიისა და ბერძნულ-ბაქტრიული სამეფოების ჩამოყალიბებით მთავრდება. როგორც ჩანს, მსგავსი პროცესები ვითარდებოდა ქართლშიც.

[223] „***დიდოეთი***“ – ახლანდელი დაღესტნის ნაწილი, ანდის ყოისუს მხარეში. თუშები ლეკებს დღესაც „**დიდო**“-ს უწოდებენ.

[224] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მიხედვით, საურმაგს მხოლოდ აინინას კერპი აღუმართავს, ხოლო დანინას კერპი აღმართა მისმა შემდგომმა მეფემ, მირვანმა.

[225] საურმაგიც, ისევე როგორც მამამისი, ფარნავაზი, სელევკიდების სახელმწიფოს ვასალი ყოფილა.

[226] ბარდავს, როგორც ჩანს ალექსანდრეს მიერ დანიშნული სპარსი სატრაპის შთამომავლები განაგებდნენ. ისტორიული წყაროების ცნობებიდან გამომდინარე, ეს უნდა ყოფილიყო ატროპატე, აქემენიდი სატრაპი, რომელიც დარიოს III-ის სიკვდილის შემდეგ ალექსანდრეს სამსახურში ჩადგა და ატროპატენეს სატრაპად დაინიშნა.

[227] როგორც ზემოთაც ვთქვით, „**ნებროთის შვილობა**“ აქემენიანთა საგვარეულოსადმი კუთვნილებას აღნიშნავს.

[228] აქემენიდური სპარსეთის სამეფო კარზე ოჯახის წევრბზე ქორწინება (სპარს. ჰვაეტვადატა; ლათ. ინცესტი) კარგ ტონად ითვლებოდა.

[229] აქედან ჩანს, რომ ქართველებისთვის უცხო არ იყო ახლო ნათესავებზე ქორწინების სპარსული წესი, რაც აქემენიდთა დროიდან კარგ ტონად ითვლებოდა.

[230] საურმაგის გამეფების თარიღად უნდა ავიღოთ ფარნავაზის სიკვდილის წელი, ძვ. წ. 239. თუმცა, საურმაგის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით, „**ქართლის ცხოვრება**“ ხელმოსაჭიდს არაფერს იძლევა.

[231] „***მირვანი***“ – ეტიმოლოგიურად უკავშირდება ძვ. ირ. mitrāpāna = „**მითრას მცველი**“, მითრას მფარველი“, ფარს. meherwān, ახ. სპარს. mihr[a]bān, mihī[ir] bān = „**მოსიყვარულე**“. ქართული ფორმისთვის ამოსავალია ფალ. mihrawān (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 482-484). „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და მისა შემდგომად მეფობდა მირვან. და აღმართა დანინა გზასა ზედა წინარე და აღაშენა არმაზი**“.

[232] „***დარუბალი***“ – ზუსტად უცნობია რა იგულისხმება დარუბალში. ვ. ვინოგრადოვი მიიჩნევდა, რომ საუბარი უნდა იყოს დარიალზე. გ. წულაია მიიჩნევდა, რომ საუბარი უნდა იყოს დურძუკეთის მრავალრიცხოვან ციხესიმაგრეთაგან ერთ-ერთზე, ხოლო სახელწოდება დარულა მიაჩნია დარიალის კნინობით ფორმად.

[233] მირვანიც, როგორც მისი წინამორბედი ორი მეფე, სელევკიდთა ვასალი ყოფილა.

[234] მირვანის სიცოცხლეშივე მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები. სელევკიდთა იმპერიის დაკნინება დაიწყო ძვ. წ. 190 წელს რომაელებთან მაგნეზიის ომის წაგებითა და აპამეის ზავით, რომელმაც მათი სამეფო მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ აქცია ამ დროიდან იწყება სელევკიდთა შესუსტება და პართელთა არსაკიდული სამეფოს საბოლოო გაძლიერება.

[235] „***არშაკი***“ – ძვ. სპ. სახელიდან – aršaka = „**დათვი**“ (შდრ. ქართ. სახ. „**დათვია**“). არშაკი პართელი არსაკიდების სოხური შტოს დინასტიური სახელია. ამ პერიოდში სელევკიდებმა დაკარგეს კონტროლი არმენიაზე და იქ პართული სამეფო გვარი გამეფდა. ისტორიკოსები თვლიან, რომ ეს უნდა იყოს სომეხთა მეფე არტაშეს I, სელევკიდთა სატრაპყოფილი, რომელმაც ისარგებლა მაგნეზიის ომის შედეგებით, განუდგა სელევკიდებს და დამოუკიდებლად სცნო თავი. არტაშეს I მეფობა ძვ. წ. 189-160 წწ-ებზე მოდის.

[236] ეს „**არშაკი**“ სომხეთის მეფის, არტავაზდ I-ის (ძვ. წ. 160-115 წწ.) ძმა უნდა ყოფილიყო.

[237] „***ფარნაჯომი***“ – ამ სახელის ეტიმოლოგია ბოლომდე გარკვეული არ არის: შესაძლოა იგი მომდინარეობდეს საშ. სპარს. სიტყვიდან – farnajuv > farnajub = „**დიდების (ფარნის) მაძიებელი, ან შესაძლოა იგი კავშირში იყოს სკვითურ სახელთან – „ფარეჯან**“ = „**მადლის (ფარნის) მქონე**“, „**მადლ-მოსილი**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 138, 500-502). „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და მეფობდა ფარნაჯობ და აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა. და აღაშენა [ციხჱ]**“.

[238] „***ციხე ზადენი***“ – ციხე მცხეთის რაიონში, საგურამოს ქედზე.

[239] „***კერპი ზადენი***“ – სახელწოდება „**ზადენ**“ უეჭველად მომდინარეობს ირანულიდან: ავესტური yazata, ფალაური yajdan ან yaztan, სპარს. yazdan = „**კეთილი გენია**“. აღნიშნავდა ზოროასტრულ ღვთაება მითრას. ელინისტურ ხანაში მითრა გაიგივებულ იქნა ბერძნულ აპოლონთან და ჩამოყალიბდა სინკრეტული ღვთაება მითრა-აპოლონი. სწორედ ასეთი ელინისტური ღვთაება უნდა ყოფილიყო ზადენის – ზადენ-მითრა-აპოლონის კერპი.

[240] ზადენ-მითრა-აპოლონის კერპის აღმართვის შემდეგ, ფარნაჯომი იცვლის რელიგიურ ორიენტაციას და ხდება კლასიკური (არა სინკრეტული) ზოროასტრიზმის მიმდევარი. ქართველმა ერისთავებმა კი მათი მეფე რენეგატად გამოაცხადეს მამაპაპური კერპების მოძულების გამო. როგორც ვიცით, ამ დროს ძლიერდება პართიის არსაკიდული სამეფო, რომელიც თანდათანობით იპყრობს სელევკიდთა ტერიტორიებს. არსაკიდთა რელიგიური პოლიტიკა გამოირჩეოდა რელიგიური შემწყნარებლობით, ისინი კვლავ აგრძელებდნენ ელინისტურ სინკრეტულ ღვთაებათა თაყვანისცემას და პარალელურად პრეტენზიებს აცხადებდნენ აქემენიდთა ჩამომავლობაზე. პართიაში, ქ. ასააკში, სადაც არსაკი პირველად გამოცხადდა მეფედ, აქემენიდური ტრადიციისამებრ აგიზგიზდა

არსაკიდთა დინასტიური ცეცხლი, რაც იმას უსვამდა ხაზს, რომ ახალი დინასტია აქემენიდ მეფეთა კანონიერ შთამომავლად თვლიდა თავს. ამის პარალელურად არსაკიდმა მეფეებმა კვლავ დაიწყეს აქემენიდური ტიტულის – „**მეფეთა-მეფე**“ გამოყენება, რაც სელევკიდთა დროს არ იხმარებოდა. არსაკიდთა ამგვარი პრეტენზიები სერიოზულად აღაშფოთებდა აქემენიდთა ნამდვილ ჩამომავალ სპარს დიდებულებს. დინასტიური ცეცხლის ქონის უფლება მიეცათ სხვა პართელ დიდებულებსაც, რის შედეგადაც იმპერიის ტერიტორიაზე „**წმინდა ცეცხლთა**“ რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. აშკარაა, რომ ფარნაჯომიც, სწორედ იმ აქემენიდ დიდებულთა რიგში უნდა მდგარიყო, რომელიც აღაშფოთა არსაკიდთა პრეტენზიებმა და სხვა თანამოძმე დიდებულთა მსგავსად ქართლის მეფემაც საკუთარი დინასტიური ცეცხლი დაანთო მცხეთაში, თავის სატახტო ქალაქში. ამგვარად, ფარნაჯომის რელიგიურ რეფორმას, რომელიც ფუნდამენტური ზოროასტრიზმისა და სინკრეტული ელინისტური რელიგიის დაპირისპირებაში გადაიზარდა, აშკარად პოლიტიკური ხასიათიც უნდა ჰქონოდა.

[241] ფარნაჯომის მცდელობა, როგორც ნამდვილი სპარსი აქემენიდი გამიჯვნოდა პართელ ელინოფილებს, მარცხით დამთავრდა, რის შემდეგაც არსაკიდთა დინასტია, სომეხ არშაკუნიანთა და ფარნავაზიანთა დინასტიური ქორწინებების მეშვეობით, ფესვებს იმაგრებს ქართლში.

[242] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და მეფობდა არს(ოკ) [და] ქალაქსა ზღუდენი მოაქმნნა**“.

[243] „***არტაგი***“ – მ. ანდრონიკაშვილი ამ სახელის ეტიმოლოგიას უკავშირებს საშ. სპარს. სიტყვას artāk = „**სწრაფი**“, „**მარდი**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 433). „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და მეფობდა არიკ, რომელმან შიდაციხე აღაშენა არმაზსა**“.

[244] სპარსელ აქემენიან დიდებულთა მცდელობას ქართლის ტახტის კვლავ დასაუფლებლად, სერიოზული შედეგების გარეშე ჩაუვლია.

[245] „***ბარტომ***“ – ამ სახელის ეტიმოლოგია გამომდინარეობს ძვ. ირანული სიტ-ყვიდან – badratama, საშ. სპ. bahrtam = „**უნეტარესი**“, „**უბედნიერესი**“, „**უმშვენიერესი**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 447-448). „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და მეფობდა ბრატმან, რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო**“.

[246] მხოლოდ მარიამისეულ ნუსხაშია „**მამის მამისა, მირვანისი**“. ამ შემთხვევაში „**მამა**“ გადატანითი მნიშვნელობით პაპის მიმართ არის ნახმარი, რაც არცთუ იშვიათად გვხვდება (ზოგადად წინაპრის მნიშვნელობით) ძველ ქართულ მწერლობაში.

[247] სპარსელთა წარუმატებელი სამხედრო ოპერაციიდან რამდენიმე წლის შემდეგ, მირვანი დიპლომატიური გზით ცდილობს ქართლის ტახტის დაბრუნებას.

[248] აქედან ჩანს თუ რა მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის დინასტიური უწყვეტობის შენარჩუნება.

[249] **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**: **„და მეფობდა მირეან. და მან აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი“**.

[250] **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**: **„და მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლის-ციხე განაგო“**.

[251] ***„ნელქარი, კახეთის ქალაქი, რომელიც არის ნეკრესი“*** – ქართლის სამეფოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, ალბანეთის საზღვრებთან ახლოს, დურუჯის ხეობაში, ყვარლის რ-ნი. არქეოლოგების მიერ გათხრილ იქნა ნეკრესის ნაქალაქარი. დღეს ნაქალაქარის ახლოს მდებარე მთაზე მდებარეობს წმ. აბიბოს ნეკრესელის მიერ დაარსებული ნეკრესის ცნობილი მონასტერი.

[252] საინტერესოა **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ს ცნობა, რომ არსუკმა **„უფლისციხე განაგო„. „განაგო“** ნიშნავს, რომ ქალაქს **„განგება“** ანუ წესდება მისცა. აქედან გამოდის, რომ უფლისციხე მანამდე განსაკუთრებული ავტონომიური სტატუსით სარგებლობდა და ნაკლებად ემორჩილებოდა მეფის ხელისუფლებას. ამ **„განგებით“**, როგორც ჩანს ჩამოყალიბდა ურთიერთობის წესები უფლისციხესა და სამეფო ხელისუფლებას შორის.

[253] ***„ადერკი“*** – ეტიმოლოგია გაურკვეველია. თუ ეს სახელი უკავშირდება დეროკს, მაშინ მისი ამოსავალი იქნება საშ. სპარს. dārūk = **„ხე“**, **„მცენარე“** (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 463). **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ში ამ მეფეს ეწოდება როკი: **„და მეფობდა როკ, რომელმან რაჲთურთით მცხეთაჲ გაიშორა“**. **„ქართლის ცხოვრების“** რედაქტორი მას აშკარად ურევს მეორე როკში (**„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ს რიგით მეჩვიდმეტე მეფე), რითაც უნდა იყოს გამოწვეული ის ფაქტი, რომ მაცხოვრის დაბადება და ჯვარცმა ამ როკის ზეობაშია გადმოტანილი შეცდომით.

[254] შეადარე ფარნავაზის ზეობის წლებს: **„ოცდაშვიდი წლისა გამეფდა და სამოცდახუთი წელი მეფობდა ნებიერად“**.

[255] ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ანაქრონიზმთან, რადგან გამოდის, რომ ადერკი გარდაცვლილა ახ. წ. 57 წელს, შესაბამისად, იგი მეფე იყო უფლის დაბადებისას და მისი ჯვარცმის დროსაც. უფრო სწორი უნდა იყოს **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ს ცნობა, რომლის მიხედვითაც, უფლის ჯვარცმის დროს ქართლში მეფე იყო ამაზაერი (შატბერდის კრებული, გვ. 339).

[256] ქვემოთ მოტანილი მოთხრობა უფლის დაბადებაზე, მის ჯვარცმასა და კვართის მცხეთაში მოტანის თაობაზე, არის **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ს შესაბამისი თხრობის რედაქტირებული ვარიანტი. (შდრ. მათ. 2:1-12).

[257] ***„ელიოზი, მოხუცებული კაცი“*** – ამ ელიოზის ჩამომავლები არიან აბიათარი და სიდონია, პირველი ქრისტიანი ებრაელები მცხეთაში.

[258] ***„ელი მღვდელი“*** – იუდეველთა მღვდელმთავარი და აარონის სახლის ითა-მარის გვარიდან ისრაელის უკანასკნელი მსაჯული (იხ. I მეფ. 3: 18; 4: 18).

[259] ლურჯი შრიფტით, აქაც და ქვემოთაც მოცემულია „**ქართლის ცხოვრების**“ გვიანდელი ჩანართები, რომელიც ტექსტში შეტანილ იქნა XVIII ს-ში ე. წ. „**სწავლულ კაცთა**“ კომისიის მიერ.

[260] „***კარსანი***“ – სოფ. მცხეთის რაიონში, არმაზის მახლობლად.

[261] „**ახალი აღთქმის**“ ტექსტის მიხედვით, უფლის კვართზე წილი იყარეს რომაელმა ჯარისკაცებმა (მათ. 27: 35).

[262] ავტორი პირდაპირ უთითებს თავის წყაროს.

[263] იხ. შენ. 261.

[264] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს სამივე რეადქციით ეს იყო არა ადერკი, არამედ ამაზაერ მეფე. მაგ. შატბერდულ რედაქციაში ვკითხულობთ: „**მაშინ იყო შფოთი დიდი მცხეთას შინა მეფეთაჲ და მთავართაჲ და ყოვლისა ერისაჲ. და იხილა მეფემან ამაზაერ სამოსელი იგი იესუჲსი და უნდა წარღებაჲ მისი, ხოლო ზარსა მას ზედა დედაკაცისა მკუდრისა ჯელთ-გდებასა, შეშინდა და ვერ იკადრა**“ (შატბერდის კრებული, გვ. 336).

[265] აწყურის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის უნიკალური ხატი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში.

[266] „***ნიკოფსის ქალაქში, ბერძნების საზღვარზე***“ – აქედან შეიძლება გავიგოთ თუ რომელი მდინარე იგულისხმება ეგრისწყალში, სადაც „**მეფეთა ცხოვ-რების**“ ავტორის მიხედვით გადიოდა ეგრისისა და ბერძნების საზღვარი. თუმცა ამ საზღვრის იქითაც ეგრისელები ცხოვრობდნენ, რომლებმა არ ინებეს ბერძნებისგან განდგომა ფარნავაზის დროს. „**ვახუშტი დაეჭვებით ანაკოფიასთან აიგივებს. ნიკოფსისი იყო ციხე-ქალაქი შავი ზღვის პირას ქ. ტუაფსეს ჩრდ.-დასავლეთით, ახლ. ქ. ნოვომიხაილოვსკთან. ნანგრევები შემორჩენილია დაახლ. 30 მ. სიმაღლის კლდეზე (ე. წ. „კისელიოვის კლდე**“). პირველად მოხსენიებულია V ს. ანონიმ ავტორთან. VIII ს-ის ბოლოს ნიკოფსია ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. XVI ს-დან თანდათან გამოეთიშა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას. გვიანფეოდალურ ხანაში ის უკვე ნაქალაქარია“ (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 282, შენ. 607).

[267] „***ტრაპიზონი***“ – უძველესი ელინური ქალაქი დღევანდელ თურქეთში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ტრაპიზონის მიდამოებში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ლაზ-ჭანთა ქართველური ტომები, სწორედ ამიტომ იწოდება აქ ტრაპიზონი მეგრელთა მხარედ.

[268] „***რკინისჯვარი***“ – აჭარიდან სამცხეში გადასასვლელი უღელტეხილი მესხეთის ქედზე.

[269] „***ზადენგორა***“ – ადგილი ადიგენის რნ-ში.

[270] „***აწყური ... სოსანგეთი ... საქრისი***“ – აწყური, სოფ. ახალციხის რაიონში. სახელი სოსანგეთი სხვა წყაროებისთვის უცნობია. საქრისის მდებარეობა ზუსტად უცნობია, სავარაუდოდ უნდა იყოს ადგილი, რომელიც მდებარეობს

დღევანდელი სოფ. აწყურის ტერიტორიაზე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ძველი აწყურის საპირისპირო მხარეს.

271 ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების შესახებ მართლაც საინტერესო ცნობებია დაცული „**ქართლის ცხოვრებაში**“ (ძირითადად ვგულისხმობ ორიგინალურ ნაწილს, ნაკლებად, დანართებს). იმ მეფის იდენტიფიკაცია, რომლის დროსაც მოხდა ანდრია მოციქულის ქადაგება, ქართული ისტორიული მეცნიერების ამოცანაა. ამ ტექსტის მიხედვით, ახ. წ. I საუკუნის შუა წლებში ეგრისიცა და კლარჯეთიც ქართლის მეფის დაქვემდებარებაშია.

272 „***მარტვილიის დღესასწაული***“ – სულიწმინდის მოფენის დღესასწაული, რომელიც დაწესებულია მოციქულთა დროიდან (საქ. მოც. 2: 1-13) და იდღესასწაულება აღდგომიდან 50-ე დღეს.

273 იგულისხმება იერუსალიმი.

274 „***ფოსტაფორი***“ – ს. ერემიანის აზრით ეს უნდა იყოს სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში მოხსენიებული ქალაქი „**ფოსპორონი**“, ქალაქ ნიკოპსის მახლობლად. გ. წულაიას მოსაზრებით, ფოსტაფორ/ფოსპორონი მდებარეობდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ გადასასვლელზე. ჩემი აზრით, საქმე უფრო მარტივადაა და ფოსტაფორი უნდა იყოს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე ბოსფორის სახელმწიფოს დამახინჯებული ფორმა. ბოსფორის სახელმწიფოს დედაქალაქი იყო ქალაქი პანტიკაპეიონი (ახლანდელი ქერჩი) და სწორედ ის უნდა იგულისხმებოდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

275 „***სევასტე ქალაქი***“ – პირდაპირი თარგმანია სოხუმის ბერძ. სახელწოდებისა – „**სებასტოპოლის**“ (ბერძნ. პოლის = ქალაქი), რომელიც ახ. წ. I ს-ში რომაელთა მიერ აქ დაარსებული ციხესიმაგრის სახელიდან მომდინარეობს.

276 „***ჯიქეთის ქვეყანა ... ჯიქები***“ – სიტყვის თამაშია: ეთნონიმი „**ჯიქი**“ და სტყვა „**ჯიქი**“ ჯიუტის მნიშვნელობით. შდრ.: „**გაჯიქება**“. ცენტრალურ ჩრდილოეთ-კავკასიაში მოსახლე ადიღური ტომი. ანტიკური წყაროების ზიგები. ვახუშტის მიხედვით, ჯიქეთი მდებარეობდა კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, აფხაზეთის შემდეგ.

277 „***ნიკოპს ქალაქი***“ – პირდაპირი თარგმანია ბერძ. სახელწოდებისა – „**ნიკოპოლის**“ (იხ. შენ. 266).

278 „***სკვითე***“ – ანუ სკვითია.

279 იგულისხმება პართელი არსაკიდების სამეფოს გაძლიერება და გავლენის გავრცელება. მითრიდატე I-ის დროს (ძვ. წ. 170-138/137). აქედან გამომდინარე, ადერკის („**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს როკის) მეფობა უნდა დათარიღდეს ძვ. წ. II ს-ის 70-იან – 40-იანი წლებით.

280 „***აჟღალან***“ – ეს არის არშაკიდების დინასტიის დამაარსებლის და არშაკუნიანების დინასტირუი სახელი. მომდინარეობს საშ. სპარს ფორმიდან Aлayān // Ašyān და Ašayānān > ქართ. აჟღანან > აჟღალან (იხ. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 426-427).

[281] „*ბარტომი*“ – ეტიმოლოგიისთვის იხ. შენ. 244.

[282] „*ქართამი*“ – მიიჩნევა, რომ „**ქართლის ცხოვრებაში**“ ეს სახელი დამახინჯებული ფორმითაა და სწორია „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში და „**ქართლის ცხოვრების**“ ძვ. სომხ. თარგმანში შემონახული ფორმა „**ქარძამი**“. ამ სახელის ეტიმოლოგიას უკავშირებენ ძვ. ირანულ ფორმას – Kars-āna სკვითურ სიტყვას – karz-ān = „**მკაცრი**“, „**სასტიკი**“, „**შეუბრალებელი**“.

[283] ქართლში ორმეფობის შემოღების მიზეზებს, მის რაობასა და ქრონოლოგიას მრავალი ისტორიკოსი შეხებია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის საერთო აზრი ჯერაც არ არის მიღწეული. ს. გორგაძე ადერკის მეფობას ახ. წ. I ს-ით ათარიღებდა (წერილები საქართველოს ისტორიიდან, II, „**ძველი საქართველო**“, ტ. I, 1909) და ცხადია აქ იგი „**მეფეთა ცხოვრების**“ იმ მცდარ ცნობას ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც ადერკის მეფობის პირველსავე წელს შობილა იესო ქრისტე. პ. ინგოროყვას აზრით, ორმეფობა ქართლში ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება (ძველი ქართული მატიანე „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, IV ს-დან ძვ. წ-ისა – 310-იან წლებამდე ახალი წელთაღრიცხვისა, თხზ. ტ. IV, თბ., 1978), მაგრამ მკვლევარის მოსაზრება, ამ შემთხვევაში, სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის წყაროთა ცნობებთან, რაზედაც აქ სპეციალურად აღარ შევჩერდებით. გ. მელიქიშვილი თავდაპირველად იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ ორმეფობა ქართლში ახ. წ. I ს-ის შუა წლებიდან უნდა დაწყებულიყო და II ს-ის შუა წლებამდე უნდა გაგრძელებულიყო (ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის). მაგრამ, მოგვიანებით მან უარყო თავისი შეხედულება და ახალი არგუმენტების მოხმობით ორმეფობის პირველი წყვილის, ბრატმან-ქარძამის ზეობა ძვ. წ. II ს-ის 60-იანი წლებით დაათარიღა (ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზის შესახებ, „**მაცნე**“ ისტორიის სერია, 1978). დ. აბაშიძემ კიდევ უფრო გაამყარა გ. მელიქიშვილის ეს უკანასკნელი მოსაზრება და მანაც ორმეფობის ხანად, დაახლოებით, ძვ. წ. II–I სს-ების შუა წლები დაასახელა (ორმეფობა ძველ ქართლში, „**ცისკარი**“, 1988, №11). თ. დუნდუამ გარკვეული კორექტივებით გაიზიარა გ. მელიქიშვილის ბოლო მოსაზრება, მაგრამ მემნონის ერთი ცნობის საფუძველზე ორმეფობის ქრონოლოგიურ ფარგლებად ძვ. წ. 136-89 წლები დაასახელა (ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1997). მ. სანაძემ „**მოქცევაჲ**“-ს როკი გააიგივა რა პომპეუსთან დამარცხებულ არტოკთან, და „**მეფეთა ცხოვრების**“ ადერკთან, ორმეფობის დასაწყის ხანად ძვ. წ. I ს-ის 60-იანი წლების მიწურული მიიჩნია („**ქართლის ცხოვრება**“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ., 2003). ბოლო ხანს მ. გოგოლაძემ პომპეუსთან დამარცხებულ არტოკი „**მოქცევაჲ**“-ს როკის წინამორბედ არსუკთან, რიგით მეათე მეფესთან გააიგივა და, შესაბამისად, ორმეფობის ხანის პირველი სამეფო წყვილის,

ბრატმან-ქარძამის ზეობა ძვ. წ. I ს-ის II ნახევრით დაათარიღა (ქართლის სოციალური და პოლიტიკური ისტორია „**მოქცევაჲ ქართლისაჲს**“ მიხედვით, თბ., 2004). ზემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებათაგან სიმართლესთან უფრო ახლოს გ. მელიქიშვილის მეორე მოსაზრება (ძვ. წ. II ს-ის 60-იანი წლები) უნდა იყოს. რაც შეეხება ქართლში ორმეფობის გაჩენის მიზეზს, ვფიქრობ, სწორი უნდა იყოს დ. აბაშიძის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ ქართლის სამეფოს ორად გაყოფა სელევკიდთა დასუსტებისა და „**დიდი არმენიის**“ წარმოქმნის მეზეზით უნდა მომხდარიყო. ამის საბუთად მკვლევარს მოაქვს სტრაბონისა და ქართლის ცხოვრების ცნობები, სადაც ვკითხულობთ, რომ არტაქსიას მეფობის დროს სომხეთმა იბერიას ტერიტორიები ჩამოაჭრა: „**პარიადრის კალთები, ხორზენე და გოგარენე**“, ეს ტერიტორიები კი მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლს, ანუ არმაზის ქართლს გულისხმობს. ლეონტი მროველი კი გვამცნობს, რომ ორმეფობის პირველი წყვილის მეფობისას „***იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისასა და უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწეოდეს სომეხთა ყოველთა მტერთა ზედა***“. აქედან გამომდინარე, დ. აბაშიძე ასკვნის: „***ჩამოჭრილი ტერიტორიიდან შეიქმნა დიდ სომხეთთან სამხედრო კავშირში მყოფი ქართული პოლიტიკური ერთეული, ადგილობრივი დინასტიის მმართველობით***“.

[284] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ორმეფობისდროინდელ ამ ორ წყვილს ეწოდება ქარძამი და ბრატმანი.

[285] „***ვესპასიანოს ჰრომების კეისარი***“ – რომის იმპერატორი ტიტუს ფლავიუს ვესპასიანუსი (69-79 წწ.). ფლავიუსების დინასტიის დამაარსებელი. 70 წელს ჩაახშო აჯანყება იუდეაში.

[286] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მიხედვით, ამ ორი მეფის დროს მოსულა ქართლში ებრაელთა პირველი ტალღა: „***და მეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას — ბრატმან. და ამათთა ჟამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს***“ (შატბერდის კრებული, გვ. 321), „**ქართლის ცხოვრების**“ გვიანდელი რედაქტორი კი მოვლენებს ისე წარმოაჩენს, თითქოს ეს ყოფილიყოს მეორე ტალღა, რათა გაამართლოს მანამდე მის მიერ მოყოლილი ამბავი ნაბუქოდონოსორის ტყვეობის დროს ქართლში ებრაელების მოსვლის შესახებ. გ. მელიქიშვილი თავდაპირველად იზიარებდა მოსაზრებას, რომ ორმეფობა ქართლში ახ. წ. I ს-ის შუა წლებიდან უნდა დაწყებულიყო და II ს-ის შუა წლებამდე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ, მოგვიანებით მან უარყო თავისი შეხედულება და ახალი არგუმენტების მოხმობით, ორმეფობის პირველი წყვილის, ბრატმან-ქარძამის ზეობა ძვ. წ. II ს-ის 60-იანი წლებით დაათარიღა. კერძოდ, „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს ჭელიშურ რედაქციაში იუდეველყოფილი მცხეთელი აბიათარ მღვდელი ამბობს, რომ 503 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მისი წინაპრები მცხეთაში მოვიდნენ და იქვე ამბობს, რომ 334 წელია, რაც ღმერთი აღარ მფარველობს ისრაელსო. აქედან გამომდინარე, გ. მელიქიშვილმა გამოითვალა როგორც ებრაელთა ქართლში

მოსვლის დრო, ასევე ქარძამ-ბრატმანის ზეობის თარიღიც: ახ. წ. 334 – 503 = ძვ. წ. 169 წელს. ძვ. წ. 169 წელი, მართლაც, იყო სელევკიდთა დინასტიის წარმომადგენლის, ანტიოქოს IV ეპიფანეს წინააღმდეგ მაკაბელთა აჯანყების წელი, რომლის დროსაც მრავალი ებრაელი იძულებეული გახდა დაეტოვებინა თავისი სამშობლო და უსაფრთხო ადგილებისთვის შეეფარებინა თავი.

[287] „***კაოსი***“ – სახელის ეტიმოლოგია მომდინარეობს ძვ. ირანული სახელიდან Kava.Usa > საშ. სპარს. Kavus, Kayos. პირველი ნაწილი Kai მომდინარეობს ძველი ირანული სიტყვიდან Kava. Kavi – ტიტული, რომელიც გვხვდება კავატას მიერ დაარსებული დინასტიის მთავართა, მეფეთა საკუთარი სახელების წინ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 507).

[288] „***ფარსმანი***“ – ფ. იუსტის ამ სახელის ეტიმოლოგია გამოჰყავს ირანული სახელიდან Parsamana = „**სპარსული სულის მქონე**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 502-505).

[289] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და მეფობდა იმიერ ფარსმან და ამიერ კაოზ**“.

[290] „***დიდი მეფე იარვანდი***“ – ე. წ. ორონტიდების დინასტიის წარმომადგენელი სომხეთის მეფე, ორონტ II, რომლის ზეობაც ივარაუდება ძვ. წ. III ს-ის ბოლოს – II ს-ის დასაწყისში.

[291] ჩემი აზრით, ეს ცნობა პირდაპირ კავშირშია მოსე ხორენელის II წიგნის 40 და 41 თავების შინაარსთან, რომელთა მიხედვითაც ერვანდმა (იგივე ორონტმა, იგივე იარვანდმა იარვანდმა) ააშენა ბაგარანი, კერპების ქალაქი მდინარე ახურიანის ჩრდილოეთ ნაპირზე. იმავე მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზევე გაუშენებია ერვანდს დიდი ტყე, რომელიც შემოუღობავს და იქ გაუშვია სხვადასხვა გარეული ცხოველი, რათა ნადირობით გართობილიყო. მოსე ხორენელის მიხედვით, ერვანდს ამ ტყისთვის დაურქმევია „**ცნნდოც**“. ჩემი აზრით მდნიარე ახურიანი უნდა გულისხმობდეს მტკვრის ბერძნული სახელწოდების – „**კაურ–ოს**“ დამახინჯებულ ვარიანტს, ხოლო ტყის სახელი – „**ცნნდოც**“ („**სომხ.** „**დაბადებული**“) უნდა იყოს დამახინჯებული „**წუნდა**“, ანტკიური ქართული ქალაქი მტკვრის ნაპირას. სახელწოდება „**ბაგარან**“ (= ირან. „**ღმერთების ადგილი**“) კი, რომელსაც ხორენელი კერპების ქალაქს უწოდებს, პირდაპირ კავშირშია ქართველი მემატიანის სიტყვებთან – „**უწოდა წუნდას სახელად ქაჯატუნი, რომელიც ითარგმნება დევთასახლად**“. ამჯერად ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რა წყაროებს ეყრდნობოდნენ „**ქართლის ცხოვრების**“ ავტორი და მოსე ხორენელი, ან რომელი რომელზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

[292] „***აზორკი***“ – მ. ანდრონიკაშვილი ამ სახელს აკავშირებს საშ. სპარსულ არზუკთან, რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას – ārzōk = „**სიხარული**“, „**სიამოვნება**“, „**სურვილი**“, სასიამოვნო“, „**სასურველი**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 429).

[293] „*არმაზელი*“ – „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და მეფობდა იმიერ არსოკ და ამიერ - ამაზაერ**“. ამაზაერის ეტიმოლოგია გაურკვეველია.

[294] „*სუმბატ ბივრიტიანი*“ – მოსე ხორენელთან იგი წარმოდგენილია, როგორც სმბატ ბიურატის ძე, ბაგრატუნი. დაეხმარა არტაშესს იარვანდის ნაცვლად გამეფებაში (II, 37-38, 43-50).

[295] „*არტაშანი*“ – სომხეთის მეფე, არტაშეს I (დაახლ. ძვ. წ. 189-160 წწ.), ეს ამბავი ეხმიანება მოსე ხორენელის „**ისტორიას**“ (იხ. მ. ხორენაცი, II, 37-47). მოსე ხორენელის მიხედვით, არტაშესის წინააღმდეგ, იარვანდის მხარეს იბრძოდა ფარსმანიც: „**მართალია, ქართველთა ჯარი თავის მეფესთან, ფარსმანთან ერთად გაიჭრა წინ და კადნიერად შეუტია [მოწინააღმდეგეს], მუსრს ავლებდა მას, მაგრამ უცებ პირი იბრუნა და მეორე მხარეს გაიქცა**“ (II, 46).

[296] მოსე ხორენელის ცნობით, სომხეთზე თავდასხმის ინიციატორები იყვნენ ალანები, რომლებმაც მიიმხრეს თითქმის ნახევარი ივერია (II, 50).

[297] „*ბაზუკი და აბაზუკი*“ – ვ. მილერის განმარტებით, ეს სახელები მომდინარეობენ ოსურიდან და ბაზუკის მნიშვნელობაა “плечевая часть руки до локтя“, ხოლო ამბაზუკის – „**равноплечий“ (Миллер В. Ф. Осетинские этюды, т. III, с. 25; მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები, I, გვ. 424, 438).**

[298] „*ბაჭანიკები*“ – ძველი სლავური წყაროების ბეჩენეგები, კავკასიის ჩრდილოეთით მომთაბარე თურქულენოვანი ტომები, რომლებიც შემდგომში ყივჩაღებმა შეავიწროვეს.

[299] „*ჯიქები*“ – იხ. შენ. 276.

[300] „*შირაკუანი*“ – თანამედროვე ბაშ-შარაგიალი (გ. წულაია; აქაც და ქვემოთაც გ. წულაია ეყრდნობა Еремян С. Т. Армения по ”Ашхарацуйц“).

[301] „*ვანანდი*“ – შეესაბამება, დაახლოებით, თანამედროვე ყარსის (ძვ. ქართ. კარი) ოლქს თურქეთში (გ. წულაია).

[302] „*ბაგრევანი*“ – თანამედროვე ალაშკერტის ველი (გ. წულაია).

[303] „*ბასიანი*“ – თანამედროვე ქალაქი ფასინლერი თურქეთში (გ. წულაია). მხარე ძველ საქართველოში, მდინარე არაქსის ხეობის ზემო წელში, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

[304] „*დაშტი*“ – მილის სტეპი, ადრეული სახელი გარგარეთის ველის (გ. წულაია).

[305] „*ნახჭევანი*“ – ამიერკავკასიის უკიდურესი სამხრეთი მხარე.

[306] „*ფარისოსი*“ – ადგილი ისტორიულ ალბანეთში. ერთ ხანს ალბანელ კათალიკოსთა საჯდომი.

[307] „*კამბეჩოანი*“ – ბერძნული წყაროების „**კამბისენე**“. დაახლოებით დღევანდელი ქიზიყის ტერიტორია, ივრის ქვემო დინებაზე, დღ. სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები. მისი ცენტრი იყო ხორნაბუჯში. სტრაბონის მიხედვით, კამბისენე არის მხარე, სადაც „**არმენები ესაზღვრებიან ერთდროულად იბერებს და ალბანებს**“ (გეოგრაფია).

[308] ეს ამბავი მოსე ხორენელთან ასეა აღწერილი: **„იმ ხანებში ალანები შეუთანხმდნენ ყველა მთიელს, მიიმხრეს ქართველთა ნახევარი ქვეყანაც და დიდძალი ლაშქრით მოეფინნენ ჩვენს მიწა-წყალს. არტაშესმაც შეჰყარა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი და ატყდა ომი ორ მამაც, მშვილდოსან ნათესავს შორის. ალანებმა ცოტა უკან დაიწიეს, გადალახეს დიდი მდინარე მტკვარი და დაიბანაკეს მის ჩრდილო ნაპირზე. არტაშესი მიჰყვა მათ და დაისადგურა [მტკვრის] სამხრეთით; [მეტოქეებს] მდინარე ჰყოფდა ერთმანეთისაგან**“ (II, 50). ქართულ და სომხურ წყაროებში მოთხრობილი ამბის მსგავსება-არმსგავსებასთან დაკავშირებით ვ. მილერი წერდა, რომ, ისტორიულობის თვალსაზრისით, ქართული წყარო მეტად იმსახურებს ნდობას: **„При всем несходстве в частностях армянского и грузинского рассказа нельзя сомневаться в том, что оба относятся к одним и тем же событиям. Оба занесли имя Смбата Бивритиана и Арташеса (Арташена), армянского царя... оба сообщают о вторжении северокавказских народов в Армению, о столкновении на берегу Куры, о победе армян. ... Такие совпадения не могут быть случайными. Различие между армянским и грузинским рассказом зависит от того, что первый основан главным образом на народных песнях гохтенских певцов...** Что же касается достоверности того и другого рассказа, то, конечно, грузинский заслуживает большего вероятия” и т. д. (Миллер В. Ф. Осетинские этюды, т. III, с. 27-28)“.

[309] აქედან ჩანს, რომ ამ მოვლენებს ადგილი ჰქონდა მტკვრისა და ივრის შესართავთან.

[310] **„*სამი ჟამიდან ვიდრე მეცხრე ჟამამდე*“** – ლიტურგიკული დროის (რომელიც იწყება დაახლოებით მზის ამოსვლისას) ათვლით, უდრის დაახლოებით დილის 9 სთ-იდან დღის 3 სთ-მდე პერიოდს.

[311] **„*დემოთი*“** – ვახუშტი მიერ გამოთქმული ვარაუდიდან გამომდინარე, მეცნიერები ასკვნიან, რომ ეს უნდა იყოს ციხის ნანგრევები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. დვირის დასავლეთით, ბორჯომის რნ-ში (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 123, 327). ჩემი აზრით, კონტექსტიდან გამომდინარე, ეს უნდა იყოს დღევანდელი თმოგვის ციხე, დღევანდელ ასპინძის რაიონში. საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

[312] **„*ნოსტე*“** – ვახუშტის გეოგრაფიაში მსგავსი მდინარე არ იხსენიება.

[313] **„*პარხლის ქვეყანა*“** – პარხალი უნდა იყოს ბერძნული წყაროების (სტრაბონი, XI, 215) Παρυάδρηνς პარიადრის მთა (მთიანეთი) ისტორიულ საქართველოში, მესხეთის ქედის გაგრძელებაზე. ვახუშტი მას ეძახის ტაოს-კარს. მდებარეობს მდ. ჭოროხის აუზში, პონტოს, ანუ ლაზისტანის ქედის აღმოსავლეთით. მდ. პარხალი სათავეს იღებს დღევანდელ თურქეთში მდებარე ალტი-პარმახის მთიდან. პარხლის ქვეყანა, შუასაუკუნეებში, იყო კავკასიძეების ფეოდალური გვარის საგვარეულოს საკუთრება.

[314] „*ტაო*“ – ძვ. საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია, მდ. ჭოროხის შუა დინების აუზში, ამჟამად თურქეთშია.

[315] „*აბოცის გზა*“ – მთლად ნათელი არ არის რომელ გზაზეა საუბარი (აბოცის განმარტებისათვის იხ. შენ. 73).

[316] იგულისხმება ჯავახეთის მხარე, წუნდა და არტაანი თავიანთი საზღვრებით.

[317] „*შექმნეს საფიცარი და აღთქმა*“ – ავტორი ქართველებსა სომხებს შორის ზავის გაფორმებაზე საუბრობს. ძველად შეთანხმება იწერებოდა ფიცარზე, ან რაიმე ბრტყელ საგანზე, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო ხის, ქვის, ან ლითონის. შდრ. მოსეს მიერ რჯულის ფიცრების მიღება, რომელიც ორ ბრტყელ ქვაზე დაწერილ ათ მცნებას წარმოადგენდა.

[318] როგორც ჩანს, სოხები ერთდროულად ებრძოდა პართელებს, თავისი აღმოსავლეთ საზღვრების გასაფართოებლად და რომაელებს, ანატოლიაში მისი მოკავშირეების სახით, ებრძოდა დასავლეთ საზღვრების შემოსამტკიცებლად. ეს ამბები უნდა უკავშირდებოდეს ძვ. წ. I ს-ის I ნახევრის ამბებს, როცა სომხეთის მეფე ტიგრანი პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის მოკავშირე იყო. ტიგრანმა პონტოსთან კავშირში შესძლო დაებრუნებინა პართიისგან ადრე წართმეული მიწები, შეიერთა პართიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეები, პონტოს მიერ რომთან ბრძოლების პერიოდში დაეუფლა სირიას, ფინიკიას და კილიკიის ნაწილს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები).

[319] სპარსელებთან სუმბატის ეს ბრძოლა მოსე ხორენელს ასე აქვს აღწერილი: **„სპარსთა მეფის, ბოლო არშაკის გარდაცვალების შემდეგ ჩვენმა არტაშესმა სპარსეთს გაამეფა არშაკის ვაჟი, თავისი სეხნია, არტაშესი. მისდამი მორჩილება არ მოისურვა იმ მთიანეთის მოსახლეობამ, რომელსაც მათ ენაზე პატიჟაჰარის გავარი ჰქვია, რაც იგივე გეღმნის მთაა, აგრეთვე არც ზღვის სანაპიროს და არც მათ აქეთ [მცხოვრებლებმა]. იმავე მიზეზით ჩვენს მეფეს აუჯანყდა კასბთა ქვეყანა. არტაშესმა მათ წინააღმდეგ გაგზავნა სუმბატი სომეხთა მთელი ჯარით, რომელსაც შვიდი დღის განმავლობაში თვითონ მეფე მიაცილებდა. სმბატი მივიდა იქ და დაიმორჩილა ყველა [მეამბოხე]. მან დაარბია კასბთა ქვეყანა, საიდანაც კიდევ უფრო მეტი ტყვე წამოასხა სომხეთში, ვიდრე არტაზიდან; იმათი მეფე, სახელად ზარდმანოსიც კი [ტყვედ ჩავარდა]**“ (II, 53).

[320] „*ზარენი*“ – მოსე ხორენელთან ეწოდება – „**ზარეჰ**“ (II, 53).

[321] „*ტბა ცელი*“ – ტბა ამ სახელწოდებით უცნობია. კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლოა, თავდაპირველ ტექსტში ყოფლიყო „**ტბა გელი**“, ანუ დღევანდელი სევანის ტბა სომხეთში.

[322] „*არტავაზი და ტიგრანი*“ – მოსე ხორენელთან მათ ეწოდებათ არტავაზდი და ტირანი (II, 53).

[323] „*მთიულეთელები*“ – უნდა იგულისხმებოდენ არაგვის ხეობის მკვიდრნი.

[324] „*თრიალეთი*“ – ძველად მხარე ქციის სათავეებში, ძირითადად ახლანდელი

წალკის რაიონის ტერიტორია.

[325] მოსე ხორენელი ზარენ/ზარეხის ამბავს ლაკონურად აღწერს: „**ზარეჰი იყო პატივმოყვარე კაცი, მხეცებზე ნადირობაში მარჯვე, ხოლო ომში მხდალი, უვარგისი. იგი გამოცდილი ჰყავდა ქართველთა მეფეს, ვინმე ქარძამს, [რომელმაც] აუჯანყა ქვეყანა, შეიპყრო და კავკასიის მთაზე ციხეში ჩასვა ზარეჰი. [ქარძამს] შეებრძოლნენ არტავაზდი და ტირანი სმბატის თანხლებით და გამოიყვანეს ძმა ტალახიდან**“ (II, 53).

[326] „***დრამა არტაშან მეფის სახით დაგბეჭდოთო***“ – მსგავსი მონეტა არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი არ არის.

[327] „***ამაზასპი***“ – სახელი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ძვ. სპარსულ სახელს – Hamāzāspa = „**ცხენმრავალი**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 422-423).

[328] „***დეროკი***“ – სახელის ეტიმოლოგიისთვის იხ. შენ. 253.

[329] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და მეფობდა იმიერ ამაზასპ და ამიერ – დერუკ**“.

[330] „**ქართლის ცხოვრებაში**“ ეს წყვილი ორმეფობის უკანასკნელი წყვლილია. ამ მოთხრობის მიხედვით, ქართლში ძალაუფლებისთვის იბრძვიან, ერთი მხრივ ფარსმან მეფე და მისი სპასპეტი ფარნავაზი, სომხების მხარდაჭერით, ხოლო მეორე მხრივ, – მირდატი, სპარსელების მხარდაჭერით. „**მოქცევაჲ ქართ–ლისაჲ**“-ში ამაზასპისა და დერუკის შემდგომ წყვილად დასახელებულია ორი ფარსმანი: „**და მეფობდა იმიერ ფარსმან ქველი და ამიერ – ფარსმან ავაზ**“. ჩემი აზრით, „**ფარსმან ავაზ**“ უნდა იყოს დამახინჯებული „**ფარნავაზ**“, ფარსმანის სპასპეტის სახელი. ეს ფაქტიც ადასტურებს აზრს, რომ „**ქართლის ცხოვრება**“ და „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“ ეყრდნობა ჩვენამდე ვერმოღწეულ „**მეფეთა ცხოვრების**“ ძველ ტექსტს. ამ წყვილის შემდეგ „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში კიდევ ერთი წყვილი იხსენიება: „**და მეფობდა იმიერ როკ და ამიერ – მირდატ. და ამისა ზე მოაკლდა არმაზი სამეუფოჲ და მცხეთას ოდენ იყო მეფობაჲ**“. „**ქართლის ცხოვრებაში როკი საერთოდ არ იხსენიება. ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.**

[331] „***უშიში როგორც უხორცო***“ – ლიტერატურული ჰიპერბოლა, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში. გარდა ფარსმან-ქველისა, ასეა შემკული ვახტანგ გორგასალი ჯუანშერთან, გიორგი მეფე (მატ. ქართლ.), ჯალალედინი (ჟამთააღმწერელი). „**უჯორცო**“ ძველ ქართულ ლიტერატურაში ეწოდებოდა ძირითადად ანგელოზებს, მაგრამ ასევე ბოროტ სულებსაც, ანუ ყველა არახორციელ ქმნილებას.

[332] „**მეფეთა ცხოვრებაში**“ ყოველთვის საუბარია „**ქართველთა (ხალხის) მეფეზე**“ და არა „**ქართლის (ქვეყნის) მეფეზე**“. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, სადაც ლაპარაკია ქართლის, როგორც ქვეყნის მეფეზე.

[333] „***რკინისხევი***“ – ადგილმდებარეობა ზუსტად დაუდგენელია. შესაძლოა ეს ხევი კავშირში იყოს ვახუშტისთან მოხსენიებულ რკინისციხესთან – „**ბუნებრივი კლდე–სიმაგრე მდ. ვერეს ხეობაში, ბეთანიის ტაძრის**

აღმოსავლეთით. რამდენიმე წლის წინ აქ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ქვის ზღუდარის ნახვა (გარდაბნის რ.)“ (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 252, შენ. 172).

[334] „***ჯუმბერი***“ – სახელი „**ჯუმბერი**“ იგივეა რაც „**ჯუანშერი**“.

[335] „***ცხვრები დასეტყვილი***“ – ბიბლიური მეტაფორა. სეტყვა ნიშნავს ღვთის რისხვის, გულისწყრომის გამოვლინებას (შდრ. გამ. 9:19, 22-23; ეს. 28:2, 30:30).

[336] „***ჯაჭვი***“ – გაურკვეველია ჯაჭვის ზუსტი ადგილმდებარეობა, მაგრამ კონტექსტიდან გამომდინარე, საუბარი უნდა იყოს მცხეთის ახლოს მდებარე ტერიტორიაზე. ჩემი აზრით სიტყვა „**ჯაჭვი**“ უნდა გულისხმობდეს ჯაჭვის ხიდის არსებობას მცხეთის ახლოს მდ. არაგვზე. ამ ჯაჭვის ხიდს უნდა უკავშირდებოდეს ძველი ხალხური თქმულება იმის შესახებ, რომ ჯვრის მონასტრიდან სვეტიცხოველამდე ჯაჭვი იყო გაბმული და ბერები მასზე გადიოდნენ და გამოდიოდნენ.

[337] შდრ. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს ცნობა: „**ამისა ზე მოაკლდა არმაზი სამეუფოჲ და მცხეთას ოდენ იყო მეფობაჲ**“. სპარსთა მიერ არმაზში დატოვებულ ერისთავში შესაძლოა იგულისხმებოდეს როკი, რომელიც „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მიხედვით მეფობდა მირდატთან ერთად.

[338] ფარსმანის ცოლი, ალბათ, სომხეთის მეფის, ტიგრან II-ის ასული უნდა ყოფილიყო.

[339] „***სპარსელების ერისთავი***“ – „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს როკი? (იხ. შენ. 337).

[340] „***იმ დროს მოყვრობდნენ სომხები და ბერძნები***“ – უნდა გულისხმობდეს ძვ. წ. 66 წელს და მის შემდგომ პერიოდს, როდესაც ტიგრან II-ე იძულებული შეიქნა პომპეუსთან ზავი დაედო (რომლის ძალითაც დაკარგა ადრე შემოერთებული ბევრი ოლქი და მოუწია 6 000 ტალანტის კონტრიბუციის გადახდა) და „**რომის მეგობრისა და მოკავშირის**“ წოდება მიიღო, რაც, ფაქტიურად, სომხეთის რომისადმი დაქვემდებარებას ნიშნავდა.

[341] „***რეხა***“ – ვახუშტისთან იხსენიება დაბა რეხი და რეხის ხეობა (დღევანდელი მდინარე ლეხურა). დაბა რეხი მდებარეობდა თანამედროვე საკორინთლოს ადგილზე, კასპის რნ-ში.

[342] გაურკვეველია რომაელთა რომელი ლაშქრობა იგულისხმება ამ ამბებში. ხომ არ იყო ეს პომპეუსის ლაშქრობა? საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

[343] „***ადამი***“ – ცხადია, რომ ეს რედაქტორ-გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომაა. ქართლის მეფეს, იმ დროს ვერანაირად ერქმეოდა ეს ბიბლიური სახელი.

[344] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და მეფობდა ღადამი და (!) დღე კ**““. არც ამ წყაროს ცნობაა მთლად ნათელი.

[345] რედაქტორ-გადამწერს აშკარად არეული აქვს სახელები ღადანა/ღადამი და ადამი.

[346] ეს ერთ-ერთი ბუნდოვანი ადგილია, როგორც „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში, ასევე „**ქართლის ცხოვრებაში**“. ჩემი აზრით, აქ საქმე უნდა გვქონდეს იმ ამბებთან, რომელსაც აღწერს ტაციტუსი და საქმე უნდა ეხებოდეს ქართლის მეფეს, ფარსმანს, მის ძეს რადამისტუსს და მის დედინაცვალს, რომელთა ამბებიც აღწერილი აქვს ტაციტუსს. შესაძლოა ამ ადგილას ტექსტი შეგნებულად იქნა შერყვნილი რედაქტორის მიერ. საქმე ისაა, რომ დიონ კასიუსის და ტაციტუსის ცნობების მიხედვით, ჩვ. წ. I ს-ის დასაწყისში არმენიაში მეფობენ იბერიელთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები მითრიდატე (35-37 და 47-51 წწ.), იბერიის მეფის, ფარსმანის ძმა და შემდეგ, ფარსმანის ძე რადამისტუსი (51-54 წწ.). ამ რადამისტუსმა ღალატით მოკლა თავისი ბიძა მითრიდატე და 51 წელს თვითონ გამეფდა სომხეთში. სომეხი დიდებულების აჯანყების გამო, რადამისტი იძულებული გახდა იბერიაში გაქცევით ეშველა თავისთვის და როგორც ჩანს იქ თავისი მამის, ფარსმანის ტახტის დაკავებას შეეცადა – ტაციტუსის ცნობით, ფარსმანმა მოაკვლევინა რადამისტუსი. ჩანს, რომ ამ პერიოდის შესახებ ვრცელი მოთხრობა უნდა ყოფილიყო, რომელიც ალბათ არმენოფილმა რედაქტორმა შემდგომ განგებ შერყვნა. ვფიქრობ, ქართლის სამეფოს ეს პერიოდი მეტ ყურადღებას და საგულდაგულო კვლევას მოითხოვს.

[347] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“ ამის შემდეგ ქართლის მეფეთა მხოლოდ სახელებს ჩამოთვლის, ყოველგვარი დამატებითი ცნობების მოტანის გარეშე.

[348] „***დვალეთის გზა***“ – დვალეთის გზა ორჯერ იხსენიება „**ქართლის ცხოვ-რებაში**“ და ორჯერვე ოვსებთან დაკავშირებით. ვახუშტის მიხედვით, „**და სდიან ესე ჯევნი (როკისხევი და ბჟისხევი) დვალთგორასა, და დიან სამჯრეთად. ხოლო ბჟისჯევი სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამბლდაბდების ზეკარის კავკასი, და გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა ზახას და დვალეთს**“ (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 79-80). ბჟისხევი არის ახლანდელი სბა, ლიახვის მარჯვენა შენაკადი, ჯავის რ-ნი (იქვე, გვ. 323). სწორედ ამ გზას უნდა გულისხმობდეს „**დვალეთის გზა**“. დვალები იყვნენ ჩრდილოკავკასიაში მოსახლე ტომი, რომელთა ეთნიკური იდენტიფიკაცია დღემდე განსჯის საგანია, მგრამ ერთი რამ ცხადია, რომ დვალებმა დიდი როლი ითამაშეს ოსი ხალხის ფორმირებაში. დვალეთი იყო ძველი საქართველოს მხარე კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. არდონის აუზში, ამჟამად ჩრდილო ოსეთის ტერიტორია.

[349] ეს სიტყვები მოწმობს, რომ ოვსები არა ძარცვისა და ალაფის შესაგროვებლად იყვნენ გადმოსულები ქართლში, არამედ რაღაც პოლიტიკური მისიით, რადგან არ გააგზავნეს მარბიელი რაზმები ქვეყანაში და ეწადათ დედაქალაქის, მცხეთის აღება. საკითხს შესაძლოა ნათელი მოეფინოს პართია-რომის იმდროინდელი ურთიერთობის ისტორიის ფონზე, რაც შემდგომი კვლევის საგანია.

[350] „***ხუანხუა***“ – „**ეს. მილერის აზრით, ეს სახელი მოგვაგონებს ოსურ სახე-ლებს, რომლებიც გადმოსცემენ რაიმე სურვილს (დალოცვის მსგავსი):**

დიგორულად Xonxya ნიშნავს: „იყავ მთა“, ე. ი. **„მთასავით მაღალი“**, ანდა შესაძლოა იგი წარმოადგენდეს დამახინჯებულ ფორმას სიტყვიდან Хуänхаг **„მთიელი“**, **„მთიული“**. ვს. მილერი და მისი მიხედვით მ. ფასმერიც შესაძლებლად თვლიან ოსური Xuänxag დაუკავშირონ სკვითურ სახელს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებიდან Χαυχακο(ῦ) Στρατονεύκου“. ამ აზრს იზიარებს მ. ანდრონიკაშვილიც (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 509-510).

[351] ტექსტიდან არ ჩანს, თუ რამ გამოიწვია ამაზასპის პოლიტიკური კურსის შეცვლა, რაც, საბოლოოდ, მისთვის სავალალოდ დასრულდა.

[352] ***„თაკვერის გზა“*** – ვახუშტის მიხედვით, თაკვერი ლეჩხუმია, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს რაჭა და გზა რაჭის გავლით, როგორც ეს ვახუშტი ბაგრატიონის **„გეოგრაფიის“** აშიაზე მინაწერშია: **„პირველად თაკვერს უწოდებდენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩენს ცხოვრება, რამეთუ „გარდმოვლესო ოსთა გზა თაკვერისაო“**, ვინადგან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი“ (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 149, შენ.).

[353] ***„გუთისხევი“*** – გაურკვეველია, რომელი ხევი იგულისხმება ამ სახელში.

[354] ***„ლოღოთეთი“*** – ხელნაწერთა ვარიანტებია: ლოღოფეთისა, ლოღთეთისა. ძვ. სომხურ თარგმანშია **„ლოღოთაც“**, რაც ნიშნავს ლოღოთელს. ეს სახელი პირდაპირ კავშირში უნდა იყოს მირიან მეფის ცოლის, პონტოელი ნანას წარმოშობასთან და უნდა აღნიშნავდეს რომაულ თანამდებობას **„ლეგატს“** (შდრ. შენ. 384).

[355] ***„სეფელია“*** – გაურკვეველია სახელის ეტიმოლოგია. შესაძლოა იყოს ბერძნული სახელის – **„ზეფირია“** დამახინჯებული ვარიანტი.

[356] ***„რევ მართალი“*** – **„საშ. ირანული სახელი Rēv, რომელიც საფუძვლად უდევს ქართულ რევს, ფ. იუსტის აზრით, წარმოადგენს შემოკლებულ ფორმას სახელიდან Rēwnīz „სიცრუის დამამხობელი“** rēv, ახ. სპ. riv **„სიცრუე“**, **„სივერაგე“** + nīz < ავ. nyāncah **„დამამხობელი“**, **„დამთრგუნველი“**. ასეთ ინტერპრეტაციას ამართლებს ქართული ***რევ მართალი***, სადაც მართალი – გლოსაა ***რევნიზისა*** (***მართალი***, ე. ი. **„სიცრუის დამამხობელი“**). შდრ. სომხ. რევ. (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 489-490). აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ **„რევ[-ნიზ]“**, შემოკლებით – **„რევ“**, იყო ქართველი ფარნავაზიანი მეფის ზედწოდება, შერქმეული სახელი, სინამდვილეში კი, მას სხვა სახელი უნდა რქმეოდა.

[357] ***„ვაჩე“*** – ამ სახელის ეტიმოლოგია გამომდინარეობს ფალაური სიტყვიდან – Wačak = **„ყმაწვილი“**, **„ბავშვი“**, **„ბიჭი“** (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 466-467).

[358] ***„ასფაგური“*** – მ. ანდრონიკაშვილის აზრით, სახელი ჩრდილო-ირანული წარმოშობის უნდა იყოს: Aspār-ug, სადაც aspār = **„მხედარი“** და -uk//-ug – ჩრდილო-ირანულ საკუთარ სახელებში გავრცელებული სუფიქსი. ვ.

აბაევის ინტერპრეტაციით კი ამ სახელს შემდეგი ეტიმოლოგია აქვს: aspa = „**ცხენი**“ + ruk, ძვ. ირანული rauka, rauča = „**სინათლე**“, „**ნათელი**“, ე. ი. „**ნათელცხენიანი**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 425-426).

[359] „***უჯარმა***“ – ვახუშტის მიხედვით, უჯარმა მდებარეობს „**იორსა ზედა, ორთა მთათა შორის კახეთისა და კუხეთისასა**“, დღევანდელ საგარეჯოს რაიონში (ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 91).

[360] „***ქასრე ანუშირვან სასანიანი***“ – იგულისხმება სპარსეთის პირველი სასანიანი მეფე, სასანიანთა სამეფო დინასტიის დამაარსებელი, არდაშირ I (224-239 წწ). ეს ანაქრონიზმი მეტყველებს, რომ „**მეფეთა ცხოვრების**“ გვიანდელ რედაქტორს მთლად ნათელი წარმოდგენა არ ჰქონია არც მირიანის მამისა და არც არდაშირის ვინაობაზე. ქვემოთ ვნახავთ, რომ „**ქართლის ცხოვრების**“ გვიანდელმა რედაქტორმა, ისარგებლა „**აგათანგელოსის**“ სომხური რედაქციის ცნობებით და იქ მოხსენიებული არდაშირი გააიგივა მირიანის მამასთან, ხოლო შემდეგ არდაშირი შეცვალა ანუშირვანით, რისი ობიექტური მიზეზიც არსებობდა. საქმე ისაა, რომ ქასრე ანუშირვან სასანიანის სახელი, როგორც თვით „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორიც აღიარებს, აღებულია სპარსული წყაროდან: „**მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშარვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აჟღალანიანნი, რომელი იცნობების არდაბირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა**“. თითქმის უეჭველად უნდა ითქვას, რომ ეს „**სპარსთა ცხოვრება**“ რომელიღაც არაბულენოვანი სპარსული წყარო უნდა იყოს, რადგან არაბულ-მუსლიმურ პერიოდში სასანიანი მეფის ხოსრო ანოშარვანის (531-579 წწ.) სახელი ლეგენდებით შეიმოსა და ზოგადად სასანიან მეფეთა აღმნიშვნელი გახდა. ამერიკელი ირანისტი, პროფ. რიჩარდ ფრაი წერს: „**თუ ვინმე ჰკითხავს უბრალო სპარსელს, ვინ ააშენა რომელიღაც უსახელო, ძველი, ნანგრევებად ქცეული მიზგითი ან სხვა რაიმე ნაგებობა რომელიმე ადგილას, დიდია შანსი, მან გიპასუხოთ, რომ ეს იყო შაჰ–აბასი, სეფიანი მმართველი, რომელმაც შენობებით განამშვენა ქალაქი ისპაჰანი. თუ ნანგრევი იქნება აშკარად წინარე–ისლამური, პასუხი შეიძლება იყოს – ხუსრო, ანუ ხოსრო ანოშარვანი, „უკვდავი სული**“, შაჰაბაზის სასანური ორეული. მისი დიდი სახელი, კეისრის მსგავსი, არაბებისთვის გახდა სასანიან მეფეთა აღმნიშვნელი (ქისრა – არაბულად) და ბწყინვალებისა და დიდების სინონიმიც კი“.ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „**მეფეთა ცხოვრების**“ თავდაპირველ ტექსტში საუბარი ყოფილა იმაზე, რომ მირიანი არის სპარსეთის მეფის ძე, მაგრამ, ამასთან, მისი მამის სახელი აღნიშნული არ იყო. ტექსტის გვიანდელმა რედაქტორმა „**მირიანის ცხოვრება**“ შეავსო აგათანგელოსის „**ისტორიის**“ სომხური ვერსიიდან და მიიჩნია, რომ იქ ნახსენები „**არტაშირი**“ უნდა ყოფილიყო მირიანის სასანიანი მამა. მაგრამ, რადგან რედაქტორს დიდი

ხანი აშორებდა სასანიანთა ეპოქასთან და მასზე ნათელი წარმოდგენა არ ჰქონია, არაბულ-სპარსული წყაროების ლეგენდადქცეული ქასრე ანუშარვანი გააიგივა ამ არდაშირთან. შესაბამისად, ანაქრონიზმი დაშვებულია გვიანდელი რეაქტორის მიერ.

361 **„*აჟღალანიანი მეფეები*“** – იგულისხმებიან პართელი არსაკიდი მეფეების დინასტია (იხ. შენ. 280).

362 **„*არდაშირობა*“** – ნიშნავს სასანიანთა სამეფო დინასტიისადმი კუთვნილებას. ეს დინასტიური სახელი **„ქართლის ცხოვრებაში“** კიდევ რამდენჯერმე იხსენიება.

363 **„*სპარსელების ცხოვრება*“** – მეცნიერები ვარაუდობენ, რომ აქ იგულისხმება ან ჩვენამდე ვერ მოღწეული სპარსული **„მეფეთა ცხოვრება“** – **„ხვადაი-ნამაკი“**, ან ფირდოუსის **„შაჰნამე“**, რომელსაც **„ხვადაი-ნამაკი“** დაედო საფუძვლად, მაგრამ როგორც ვთქვით, ეს უნდა იყოს რომელიღაც გვიანდელი არაბულენოვანი სპარსული წყარო (იხ. შენ. 360).

364 **„*ოსარო*“** – სომხეთის მეფე, ხოსროვი პირველი სომეხი ქრისტიანი მეფის, თრდატის მამა.

365 სპარსელ სასანიანთა ბრძოლა არმენიასა და კავკასიაში ძალაუფლების მოსაპოვებლად აღწერილია სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში.

366 ეს და ქვემოთ მოთხრობილი ამბავი **„ქართლის ცხოვრების“** გვიანდელი რედაქტორის ჩანართი უნდა იყოს, რომელიც მან ამოიღო **„აგათანგელოსის“** თხზულების სომხური ვერსიიდან (Агатангелос, История Армении, Пер. с древнеармянского К. Тер-Давтяна и С. Аревшатяна. Ер., 2004, ст. 28-32).

367 აქ თავდება **„აგათანგელოსიდან“** ამოღებული ამბის თხრობა.

368 ***თრდატი*** – სომხეთის პირველი ქრისტიანი მეფე (287/298-330 წწ.).

369 ასფაგურის სიკვდილი, ისევე, როგორც სომხეთის მეფის, ხოსროვ/კოსაროს სიკვდილი, თარიღდება 240 წლით და ემთხვევა სპარსეთის მეფის, შაბურ I-ის გამეფებას.

370 **„*მაეჟანი*“** – ვარიანტია სახელებისა – ვეჟან, ბეჟან. ამოსავალია საშ. სპარს. Wēžan = **„ვეჯელი“**, ირანელთა (არიანელთა) მითიური სამშობლოს – **„ერანვეჯის“** მცხოვრები. ფორმა – **„მაეჟან“** ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს მიღებული ვეჟანიდან, ვ/მ ბგერათმონაცვლეობით (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 468-469).

371 ქართველთა მოთხოვნები, სპარსელებთან ზავის სანაცვლოდ, პუნქტობრივად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ა) სპარსთა მეფემ ქართლის მეფედ უნდა დასვას თავისი ძე; ბ) სპარსეთის მეფის ძემ უნდა შეირთოს უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფის ასული აბეშურა; გ) არ მოხდეს ქართველების აღრევა სპარსელებთან, რაც გულისხმობს, რომ სპარსელთა ჯარი არ უნდა განთავსდეს ქართლში; დ) ქართველ წარჩინებულებს შეუნარჩუნდეთ თავინთი პოზიცია და ხელშეუხებლობა; ე) ქართველების მამათა რჯული არ შეიცვალოს სპარსელების რჯულით.

[372] სპარსეთის მეფემ პირველ რიგში გამოიკითხა მცხეთის მდებარეობა და სიდიდე, შემდეგ კი ასფაგურის ასულის აბეშურას გვარეულობა, რის შემდეგაც დათანხმდა ქართველთა ყველა პირობას იმის გამო, რომ მცხეთა მას მოეჩვენა ახლომდებარე ქალაქებიდან ყველაზე სტრატეგიულად ქალაქად ჩრდილოელ ტომებთან საბრძოლველად და მთელი კავკასიის სამართავად. ამ საზავო პირობების ისტორიულობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

[373] „***აბეშურა***“ – ამ სახელის ეტიმოლოგია დაუდგენელია.

[374] ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ტექსტში რამდენჯერმე, საგანგებოდ ხაზგასმით იხსენიება სპარსთა მეფის მიერ ქართველებისადმი მიცემული „**ფიცი და აღთქმა**“, ან „**ფიცი**“, რომ ყველა თავისი პირობის შესრულებაზე სპარსთა მეფეს ქართველებისთვის ფიცი მიუცია. იქვე ვკითხულობთ სპარსთა მეფის ძის სახელთან დაკავშირებით, ერთი შეხედვით, უცნაურ ფრაზას: „**რომელსა ერქუა სპარსულად მიჰრან, ხოლო ქართულად მირიან**“. ამ ფრაზის უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ მემატიანე სხვაგან, სხვა მეფესთან დაკავშირებით, არსად ამახვილებს ყურადღებას მეფეთა სახელების სპარსულ და ქართულ წარმოთქმაზე: მაგალითად, იგი არსად ამბობს, რომ მირდატს სპარსულად ერქვა „**მიჰრდატ**“, ან თრდატს სპარსულად ერქვა „**ტირიდად**“ და ასე შემდეგ. რა კავშირი აქვს ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან? საქმე ის არის, რომ სპარსული mihr ღვთაება მითრას გარდა, ნიშნავს „**ფიცს**“, „**აღთქმას**“, „**სიტყვას**“, „**მეგობრობას**“, „**სიყვარულს**“. აქედან გამომდინარე, სახელი mihran ითარგმნება როგორც „**ფიცისა**“, „**აღთქმისა**“, „**მეგობრობისა**“, „**სიყვარულისა**“. აქედან გამომდინარე, „**მირიანი„ უნდა ყოფილიყო სპარსელი უფლისწულისთვის შერქმეული სახელი, ზედწოდება და არა მისი ნამდვილი სახელი. სინამდვილეში მირიანი უნდა იყოს შაბურ I-ის ძე, და მას უნდა რქმეოდა ამაზასპი. ეს ამაზასპი იხსენიება შაბურის 362 წლის ნაყში-რუსტამის წარწერაში იბერიის მეფედ. „ქართლის ცხოვრების**“ ცნობა მირიანის სასანიანობის შესახებ ისტორიულ სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. მირიანს რომ მართლაც ერქვა ამაზასპი, ეს „**ქართლის ცხოვრებისა**“ და „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს სხვა ადგილებიდანაც დასტურდება, რასაც ქვემოთ შევეხებით. მაშასადამე, მირიანი გამეფებულა 240 წელს შვიდი წლის ასაკში.

[375] როგორც ბოლო დროის გამოკვლევებმა აჩვენეს (ლ. პატარიძე, გ. ნარსიძე, დ. მუსხელიშვილი, ნ. ნიკოლოზიშვილი), ქართლში ეპისკოპოსისა და მღვდლების ჩამოსვლა, სამეფო ოჯახისა და მცხეთელთა ნათლობა, ჯვრების აღმართვა უნდა მომხდარიყო 326 წელს. გარდა ამისა, ჩემს დისერტაციაში გარკვეული მაქვს, რომ თხოთის მთის სასწაულის შედეგად მირიანს ქრისტე უნდა ერწმუნა 323 წელს. შესაბამისად, რადგან მირიან/ამაზასპი გამეფებულა 240 წელს, 7 წლის ასაკში, 323 წელს იგი უნდა ყოფილიყო 90 წლის, რასაც ადასტურებს „**ქართლის ცხოვრების**“ სიტყვებიც, რომ „**სიბერის ჟამს სცნო დამბადებელი ღმერთი**“.

[376] როგორც ზემოთაც ვთქვი, „**ქასრე არდაშირ სასანიანის**“ ქვეში იგულისხმება შაბურ I სასანიდი (იხ. შენ. 360).

[377] ეს ნიშნავს, რომ შაბურ I-მა თავისი ძე, ამაზასპ/მირიანი არა მხოლოდ ქართლის მეფედ დასვა, არამედ მას ჩააბარა მთელ კავკასიაზე კონტროლი, სპარსეთის ჩრდილოეთ საზღვრების ჩრდილო-კავკასიელ მომთაბარაეთაგან დასაცავად.

[378] ანუ მცხეთაში.

[379] „***შვიდი კერპი***“ – იგულისხმება გაცი, გა (აზოს მიერ მოტანილები), არმაზი (ფარნავაზის მიერ აღმართული), ზადენი (ფარნაჯომის აღმართული), აინინა, დანინა (საურმაგის აღმართულები) და აფროდიტე (რევ მართალის ცოლის, სეფელიას მოტანილი).

[380] პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე მირიანი დასაწყისში ათავსებდა ორ ერთმანეთთან შეუთავსებელ რელიგიურ აღმსარებლობას – კლასიკურ ზოროასტრიზმს და ქართულ კერპთაყვანისმცემლობას..

[381] „***ფარნავაზის საფლავი***“ – როგორც ვიცით, ფარნავაზის საფლავი მდებარეობდა არმაზის მთაზე, იქ სადაც მის მიერ აღმართული იყო არმაზის კერპი. შდრ. ცნობას ქართლოსის საფლავის შესახებ.

[382] სასანიან უფლისწულს, ამაზასპ/მირიანს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ ქართველთა თვალში იგი ლეგიტიმურ ქართლის მეფედ წარმოჩენილიყო.

[383] ასფაგურის, ქართველთა უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფის ასულის, აბეშურას სიკვდილით (248 წ.), მირიან/ამაზასპის ქართლში მეფობას მოაკლდა მონარქიული ლეგიტიმურობის ყველაზე არსებითი საბუთი – დინასტიური უწყვეტობა.

[384] „***ოლიღოტოსი***“ – სხვადასხვა ხელნაწერში გვაქვს ვარიანტები: უჰლატოსისი, ულიოტორისი. ძვ. სომხურ თარგმანშია: „**ულიტოსის ასული**“. ეს „**სახელი**“ კავშირში უნდა იყოს რევ მართალის ცოლის წარმოშობასთანაც, რომელიც იყო საბერძნეთიდან, ასული „**ლოღოთეთისა**“ (იხ. შენ. 354). შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს რომაული თანამდებობა „**ლეგატი**“, ხოლო „**ოლიღოტოსი**“ იყოს ამ წოდების გაბერძნულებული ვარიანტი სახელობითი ბრუნვის ნიშნით – ὶο λεγατο. შესაძლოა ასევე, რომ ეს იყოს ძველი ბერძნული სახელის ოლიგეთოსის – !Ολιγαιθο» ვარიანტი. მე უფრო დამაჯერებლად პირველი ახსნა მეჩვენება, მაგრამ ვთვლი, რომ საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

[385] მირიანი 40 წლის გახდა 372 წელს. სწორედ ამ დროს გარდაიცვალა სპარსეთის მეფე შაბურ I. 372-373 წლებში მოკლე ხნით (წელიწადი და 10 დღე) სპარსეთში მეფობდა შაბურის ძე ჰორმიზდ I, ხოლო 373 წელს გამეფდა შაბურის შემდგომი ძე ვარაჰრან I. ქართული წყაროების ბარტამი მომდინარეობს სპარსული სახელიდან – „**ვარაჰრან**“, ავესტ. „**ვერეთრანგა**“. ქართულ წყაროებში ამისი შესატყვისია: ვაჰრამ/ბაჰრამ/ბარამ. გადამწერს ადვილად შეიძლებოდა შეშლოდა და ბაჰრამის ან ბარამის ნაცვლად დაეწერა

ბარტამი, რაც კიდევ ერთი დამატებითი საბუთია „**ქართლის ცხოვრების**“ ცნობათა სანდოობისთვის.

386 სპარსეთის მეფის კართან არსებობდა უხუცესთა საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც კრიზისულ სიტუაციებში გადამწყვეტ სიტყვას ამბობდა.

387 „***ჯაზირეთი და შამი***“ – იგულისხმება შუამდინარეთი და სირია. ჯაზირეთი „**მეფეთა ცხოვრებაში**“ იხსენიება მხოლოდ ერთხელ, (ისევე, როგორც ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეში), ხოლო ჯუანშერის „**ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში**“ იხსენიება ათჯერ. შამიც „**მეფეთა ცხოვრებაში**“ იხსენიება მხოლოდ ერთხელ (ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეში – ორჯერ, ხოლო ჯუანშერის „**ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში**“ – სამჯერ. აქედან, ამ თხზულებებში, ხუთ შემთხვევაში შამი და ჯაზირეთი იხსენიება ერთად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მირიანის „**ცხოვრებაში**“ ეს ორი ტოპონიმი გვიანდელი რედაქტორის ჩანამატია, რასაც ვერ ვიტყვით ადარბადაგანზე.

388 „***ადარბადაგანი***“ – უწინდელი მიდიის ტერიტორია, დღევანდელი ირანის ჩრდილოეთ ნაწილი.

389 „***ფეროში და კავტია***“ – უნდა იგულისხმებოდეს ირანის ქალაქი ფეროზ-კავადი.

390 აქედან მოთხრობილი თრდატის ამბავი „**ქართლის ცხოვრების**“ გვიანდელი რედაქტორის მიერ ამოღებულია „**აგათანგელოსის**“ სომხური ვერსიიდან (Агатангелос, История Армении, Пер. с древнеармянского К. Тер-Давтяна и С. Аревшатяна. Ер., 2004, ст. 32-35).

391 აქ მთავრდება „**აგათანგელოსიდან**“ ამოღებული პასაჟი.

392 რომის დახმარებით თდატის გამეფება სომხეთში, წყაროების მიხედვით, მოხდა დიოკლეტიანეს გამეფების მეოთხე, ანუ 387 წელს.

393 „***ფეროზი***“ – ფეროზი სასანიანთა სამეფო საგვარეულოს გვერდითი შტოს წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რასაც ამტკიცებს ის ცნობაც, რომ მირიანს მისთვის მიუთხოვებია თავისი ასული. აქემენიდებიდან მოყოლებული, სპარსეთის სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს, ახლო ნათესავებს შორის ქორწინება სანაქებო საქმედ იყო მიჩნეული. სახელი მოდის საშ. სპარსული სიტყვიდან – Pērōč, Pērōz = „**გამარჯვებული**“, „**ძლევამოსილი**“ (მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, გვ. 488).

394 ფეროზის დანიშვნით ხუნანის, ანუ გარდაბნის (გარდმანი) საერისთავოში მირიანმა თავისი პოზიციები გაიმყარა ალბანეთსა და ზოგადად სამხრეთ აღმოსავლეთ საზღვრებზე.

395 „***სომხების ცხოვრება***“ – უნდა იგულისხმებოდეს აგათანგელოსის „**სომხეთის ისტორია**“ (სომხური ვერსია) და არა სხვა რომელიმე ძვ. სომხური ისტორიული ლიტერატურის ძეგლი.

396 მირიანის და ბარტამის (ვარაჰრან I) უმცროსი ძმა უნდა იყოს ნარსე, რომელიც სპარსეთში გამეფდა 293 წელს. ე. ი. მირიანსა და თრდატს შორის საომარი ვითარება გაგრძელდა 387 წლიდან 293 წლამდე.

[397] მირიანის და ნარსეს ერთობლივი, წარმატებული ლაშქრობა სომხეთისა და რომის წინააღმდეგ დაიწყო 294 წელს. შედეგად, სპარსეთმა აღადგინა სომხეთზე თავისი გავლენა. კონსტანტინე დიდის მოხსენიება აქ აშკარად ანაქრონიზმია. ამდროს რომის იმპერატორი იყო დიოკლიტიანე, ხოლო იმპერიის აღმოსავლეთ მხარეს განაგებდა კეისარი გალერიუსი.

[398] ეს გვიანდელი რედაქტორის ჩანართი შეთხზულია კონსტანტინეს მაქსენციუსზე გამარჯვების ამბის წაბაძვით.

[399] რომაელთა სპარსელებზე გამარჯვების ეს ამბავი ასახავს 296 წლის მოვლენებს, როდესაც დიოკლეტიანე და გალერიუსი შეიჭრებიან სპარსეთში, დაამარცხებენ ნარსეს და დაიბრუნებენ სოხეთს რომის გავლენის ქვეშ.

[400] „***ბაქარი***“ – „**ქართლის ცხოვრების**“ მიხედვით მირიან მეფის უმცროსი შვილია, „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მიხედვით კი – მირიანის ძის, რევის ძეა.

[401] „***რევი***“ – მირიანის უფროსი შვილი.

[402] 296 წელს დაწყებული ომი დამთავრდა სპარსეთის და მისი მოკავშირე ქართლის დამარცხებით. 298 წელს დაიდო სპარსეთსა და რომს შორის ნიზიბინის ზავი, რომლის მიხედვითაც სომხეთზე და ქართლზე დამყარდა რომის პროტექტორატი; იმავე ზავის პირობებით, რომმა დაუდგინა საზღვრები ქართლისა და სომხეთის სამეფოებს მტკვრისა და არაქსის აუზის წყალგამყოფ ქედზე; მირიანის ძეს რევს ცოლად მოჰყავს სომხეთის მეფის, თრდატის ასული, სალომე.

[403] შდრ. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“, სადაც წმ. ნინოს მამას, ზაბილონს ეწოდება „**მამა და ემბაზი ბრანჯთა**“

[404] „***სამი წელი***“ – ზოგ მკვლევარს ეს ადგილი ისე აქვს გაგებული, თითქოს „**სამი წელი**“ გულისხმობდეს იმ დროს, როდესაც მირიანი დამარცხდა სპარსელებთან ბრძოლაში და აქედან გამომდინარე მცდარად ადგენენ ქართლის მოქცევის ქრონოლოგიას. სინამდვილეში, ეს უნდა იყოს „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორის მიერ „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს სიტყვების მცდარი წაკითხვის შედეგი, სადაც წერია, რომ წმ. ნინო ქართლში მოსვლიდან სამი წელი ფარულად ქადაგებდა და მხოლოდ მეოთხე წელს დაიწყო ცხადად ქადაგება: „**ხოლო ნინო ... წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოჲსათა და ... მცხეთად ... და იყო სამ წელ ეგრეთ. ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთსა შებურვილსა ბრძამლითა მაყულისაჲითა. ... [დ]ა მეოთხესა წელსა იწყო თქუმად ქრისტე ღმერთი და შჯული**“ (შატბერდის კრებული, გვ. 322).

[405] აქედან მოყოლებული, წმინდა ნინოს ცხოვრებისა და ქართლის მოქცევის ამბები მოთხრობილია „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მიხედვით, რომელიც, შატბერდული რედაქციის თანახმად, ჩაიწერა სალომე უჯარმელმა და პეროჟავრი სივნიელმა. თუმცა, მასში ასევე მოთხრობილია აბიათარ მღვდელისა და მისი ასულის, სიდონიას ჩანაწერებიც.

[406] „***როცა წმინდა გიორგი კაბადუკიელი იწამა ქრისტესთვის***“ – გიორგი

კაბადუკიელი ეწამა 303 წელს. მისი წამების თარიღის ხსენება მიანიშნებს წმიდა ნინოს დაბადების თარიღზე, რომელიც ჩემი გამოკვლევით უნდა დაბადებულიყო 300-301 წელს.

[407] „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში, „**ქართლის ცხოვრების**“ ამ ნაწილის უშუალო წყაროში საუბარი არ არის კაბადოკიის ქალაქზე. იქ ნათქვამია ზოგადად, რომ ზაბულონი იყო კაბადოკიიდან

[408] „***მთავართა სწორი***“ – ეს სიტყვები მიანიშნებს, რომ წმ. ნინოს მამა არ იყო მთავარი, არამედ მათი სწორი, რომის იმპერიაში მეორე პრივილეგირებული ფენის, მხედრობის წარმომადგენელი.

[409] ჩემი აზრით, ზაბულონი რომის არმიაში მსახურობდა უმცროს ოფიცრად – ცენტურიონად, რადგან: ზაბულონის არც სენატორულ, არც რომელიმე უმაღლეს არისტოკრატიულ წარმოშობაზე არავითარი ცნობა არ გვაქვს. „**მოქცევაჲ**“-ს მიხედვით, ის იყო არა მთავარი, არამედ „***კაცი ვინმე მთავართა შესაბამი***“, ე. ი. მთავართა სწორი, მთავართან გათანაბრებული, რაც მაფიქრებინებს, რომ ის მიეკუთვნებოდა არა სენატორთა, არამედ იმპერიის მეორე პრივილეგირებულ ფენას – მხედართა ფენას. ამ აზრს ადასტურებს ჭელიშურ რედაქციაში ნინოს მისამართით ნათქვამი, ერთი შეხედვით, უცნაური გამოთქმა – „***ჰგავს [!] შჳლსა მთავართასა***“. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მიხედვით, ზაბულონი სამხედრო სამსახურში მიდის არა პოლიტიკური კარიერის გამო, არამედ წმინდა მატერიალური მოსაზრებებით („***წარვიდა ჰრომედ მეფეთა წინაშე მსახურებად და ნიჭისა მოღებად***“), რაც დამახასიათებელი იყო მხედართა ფენისათვის და სოციალური საფეხურით დაბლა მდგომი ბურჟუაზიისთვის. მათთვის დაწესებული ხელფასის გარდა, რომაელი ლეგიონერების შემოსავალს წარმოადგენდა სამხედრო ალაფი.

[410] „***კოლასტრა***“ – ბევრ მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს იყო ქალაქი კაპადოკიაში, მაგრამ სინამდვილეში არსად წერია, რომ კოლასტრა იყო კაპადოკიის ქალაქი. როგორც ჩემს სადისერტაციო ნაშრომში მაქვს ნავარაუდევი, ეს უნდა იყოს მცირე აზიის ერთ-ერთი პროვინციის, ფრიგიის ქალაქი კოლასა (იხ. პავლე მოც. ეპისტოლე კოლასელთა მიმართ).

[411] „***წმინდა აღდგომა***“ – იგულისხმება ქრისტეს საფლავი. მიუხედავად იმისა, რომ იერუსალემის მთავარი სიწმიდეები – გოლგოთა, მაცხოვრის საფლავი, III ს-ში შერყვნილი იყო და ამ ადგილებში წარმართული საკერპოები იყო აღმართული, იერუსალემს, როგორც წმიდა ქალაქს მაინც არ ჰქონდა დაკარგული თავის მნიშვნელობა. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ალექსანდრე იერუსალიმელ ეპისკოპოსის ცხოვრება († 250/251 წწ.), რომელშიც ნათქვამია, რომ სეპტიმუს სევეროსის სიკვდილის შემდეგ, საპყრობილედან გათავისუფლებული ალექსანდრე გაემგზავრა იერუსალემში „**სალოცავად და იმ ადგილთა ისტორიისათვის**“ („**для молитвы и ради истории тех ѣыјъ**“). იერუსალემის ეპისკოპოსად არჩევის შემდეგ, ალექსანდრემ იერუსალემში დააარსა საღვთისმეტყველო სკოლა (სადაც ასწავლიდა ორიგენე) და

მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც ევსები კესარიელიც კი სარგებლობდა თავისი „**ეკლესიის ისტორიის**“ წერისას (176, 473-474). ასე, რომ წყაროთა ცნობა, იობენალისა და სოსანას იერუსალემში წასვლის შესახებ ისტორიულ სინამდვილეს არაა მოკლებული.

412 „***დევტალარი***“ – როგორც ს. ყაუხჩიშვილმა დაადგინა, მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „**დეუტერარიოს**“, რაც ნიშნავს, მეორეს, მოადგილეს, თანაშემწეს. ამ შემთხვევაში, იერუსალიმის ეპისკოპოსის შემდეგ მეორე პირს საეკლესიო იერარქიაში.

413 „***ნიაფორი***“ – „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ნახსენებია ფორმით „**მიაფორი**“, რომელიც უნდა იყოს თავდაპირველი „**ნიაფორთან**“ შედარებით. უნდა მოდიოდეს ბერძნული ტერმინიდან „**მაფორიონ**“, რომელიც აღნიშნავდა ქალის სამოსს, რომელიც იფარავდა თავიდან ფეხამდე. ჩვეულებრივ, მაფორიონს ატარებდნენ დედათდიაკვნები, და სარა ბეთლემელი დედათდიაკონი უნდა იყოს. შდრ. სქიმოსანი, ან სქემით შემოსილი, მონაზონის აღსანიშნავად.

414 „***ბრანჯები***“ – ერთ-ერთი გერმანული ტომის – ფრანკების სახელწოდების არაბიზირებული ფორმა. ანტიკურ მწერლობაში, ზოგ შემთხვევაში, ფრნაკებში იგულისხმება რამდენიმე დასავლეთგერმანული ტომის ერთობა, ფედერაცია. ამ შემთხვევაში, საუბარი არ არის ფრანკთა სახელმწიფოზე, რომელიც V ს-ის ბოლოდან IX ს-ს შუა წლებამდე არსებობდა გალიის ტერიტორიაზე, არამედ მდ. რაინის აუზში მცხოვრებ გერმანულ ტომთა ფედერაციაზე.

415 „***პატალანის ველი***“ – „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს ჭელიშურ და უძველეს სინურ ვერსიებში ამ ველს ეწოდა „***პოლოტიანი***“. ჩემი აზრით, სწორედ ეს წაკითხვა უნდა იყოს თავდაპირველი და მართებული და უნდა გულისხმობდეს ლათინურ Palatinatum Rheni-ს. „**პალატინატ**“-ის სახელწოდებით ადრეულ და გვიან შუა საუკუნეებში ცნობილია რამდენიმე ტერიტორია, მაგრამ, როგორც წესი, ეს სახელწოდება უმთავრესად იგივდება რაინის პალატინატთან (გერმ. Pfalz). რაინის პალატინატის ტერიტორია მოიცავდა ზემო რაინის ორივე სანაპიროს და შუა საუკუნეებში მისი დედაქალაქი იყო ჰაიდელბერგი. ამჟამად ეს ტერიტორია გადანაწილებულია ბადენის, ბავარიის, დარმშტადტის, ნასაუს და პრუსიის მიწებზე. მართალია, ენათმეცნიერულად არსებობს „**კატალაუნ**“-ის „**პატალანად**“ ქცევის შესაძლებლობა (ნ. მარი), მაგრამ ვფიქრობთ, რომ ენათმეცნიერულადაც და, მითუმეტეს, ისტორიულადაც „***პოლოტიანი***“-ს ველში უნდა იგულისხმებოდს რაინის Palatinatum-ის ტერიტორია.

416 ზაბულონის, როგორც ცენტურიონის სავალდებულო სამსახურის ვადად უნდა ვიგულისხმოთ დაახლოებით 23-25 წელი. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჭაბუკი ზაბულონი სამხედრო სამსახურში წავიდა რომის იმპერიის კანონებით დადგენილი 17 წლის ასაკში, მაშინ გამოდის, რომ მას სოსანა უნდა მოეყვანა ცოლად დაახლოებით 40-42 წლის ასაკში, რადგან იმპერიის კანონთა თანახმად, ლეგატებისა და ტრიბუნების გარდა, სხვა სამხედრო მოსამსახურეებს სამსახურის პერიოდში დაოჯახება ეკრძალებოდათ. აქედან

გამოდის, რომ, თუკი მირიანის მოქცევის თარიღად ავიღებთ 326 წელს, ამას უნდა გამოვაკლოთ 23 წელი (ნინოს ასაკი მირიანის მოქცევისას) და ნინოს დაბადების თარიღად მივიღებთ დაახლ. 301 წელს. ამ თარიღს რომ გამოვაკლოთ ზაბულონის სამხედრო სამსახურში ყოფნის დაახლოებითი ვადა – 25 წელი (301 - 25 = 276) და მისი იერუსალემში მგზავრობის, სოსანას შერთვისა და კოლასტაში დასახლების პერიოდის გათვალისწინებით, მივიღებთ, რომ ზაბულონის ბრანჯებთან ბრძოლის ამბავი უნდა ვიგულისხმოთ 276 წელს. როგორც ჩემს ნაშრომში (ზაბულონიდან მირიანამდე, 2003) მაქვს გარკვეული, რომაელების ბრანჯებთან ბრძოლაში უნდა იგულისხმებოდეს რომის იმპერატორის, მარკუს ავრელიუს პრობუსის (276-282 წწ.) ბრძოლა გერმანულ ტომებთან 276 წელს, მდ. რაინის აუზში. ამ გამარჯვების აღსანიშნავად, სხვა ტიტულებს შორის, პრობუსს მიენიჭა ტიტული „**frankus**“. პრობუსის ისტორიკოსის, ფლავიანუს-ვოპისკუსის თქმით, იმპერატორის სარდლებმა დაატყვევეს გერმანელთა ბელადები, რომლებიც მიჰგვარეს იმპერატორს.

417 „***მეფეს და პატრიარქს***“ – თითქოსდა სრულიად დაუჯერებელია, რომ წარმართი იმპერატორის დროს, ბრანჯების ნოქცევაზე ზრუნავენ „**მეფე და პატრიარქი**“, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ იმპერატორ პრობუსის ოჯახის უახლოესი წევრების შესახებ ძველი წყაროების ცნობები: ყველა მართლმადიდებლურ თთვენში ძველი სტილით 4 ივნისს იხსენიება წმიდა მიტროფანე კონსტანტინოპოლელ პატრიარქი. მისი მამა დომეტიუსი იყო იმპერატორ პრობუსის ღვიძლი ძმა. ქრისტიანთა დევნის დროს დომეტიუსი თავის ორ შვილთან ერთად გადასახლებულა ქალაქ ბიზანტიონში, სადაც დაემოწაფა ეპისკოპოს ტიტოსს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტიტოსი ბიზანტიონის ეპისკოპოსი იყო 242-272 წლებში, უნდა ვიფიქროთ, რომ დომეტიუსმა რომი დატოვა III საუკუნის 50-იან წლებში, იმპერატორ ვალერიანუსის (253-260 წწ.) დევნის დროს. გარკვეული ხნის შემდეგ დომეტიუსი ტიტოსს მღვდლად უკურთხებია, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, მას ბიზანტიონის ეპისკოპოსის საყდარი დაუკავებია (272-284 წწ.). ჩემი აზრით, სწორედ დომეტიუსი უნდა იგულისხმებოდეს ქართულ წყაროებში მოხსენიებულ, ბრანჯების მონათვლის ერთ-ერთ ინიციატორ პატრიარქად, რომელიც შესაძლოა იმ დროს, იმპერიაში სამოქალაქო არეულობის გამო (პრობუსის დაპირისპირება ფლორიანუსთან), თავის ძმას ახლდა რაინის აუზში.

418 „***მოციქულთა დიდებანი***“ – მოციქულთა დიდება ეწოდებოდა ძველ საეკლესიო მწერლობაში, ზოგადად, მოციქულთა მოძღვრებას, კონკრეტულად კი მრწამსს, ქრისტიანობის სიმბოლოს.

419 იგულისხმება ზიარების საიდუმლო.

420 პრობუსის მეისტორიე ფლავიანუს-ვოპისკუსის ცნობით, პრობუსის წინაშე მუხლი მოიდრიკეს მის მიერ დამარცხებული გერმანული ტომების ცხრა

ბელადმა. ეს ცნობა პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ქართულ წყაროთა ცნობებთან, ზაბულონის მიერ ბრანჯთა ათი საერისთაოს მოქცევის შესახებ. ფრანკთა/ბრანჯთა ფედერაციაში გაერთიანებული იყვნენ დასავლურგერმანული ტომები: ბატავები, ზიგამბრები, ბრუქტერები, ხამავები, ამისავრები, ხატები, მარსები, ტუბანტები, დულგიბინები, ხატუარები და სხვ. ქართულ წყაროებში ამ ტომების („**საერისტავოების**“) სახელწოდება ძლიერ დამახინჯებულია, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ამოცნობა შესაძლებელია (იხ. ნ. ნიკოლოზიშვილი, ზაბულონიდან მირიანამდე, 2003).

421 „***დიდ და ღრმა მდინარეზე***“ – „**მოქცევაᲲ ქართლისაᲲ**“-ს ჭელიშური რედაქციაში ვკითხულობთ: „***მდინარესა მას ზედა დიდსა და ღრმასა***“. შატბერდული და სინური რედაქცია ამ მდინარეს უწოდებს „**ღდამარს**“. ჩემი ვარაუდით, ეს უნდა უკავშირდებოდეს მდ. რაინის აუზში მდებარე ტოპონიმს – „**ჰადამარ**“. ვ. გოილაძე, ეყრდნობა რა ჭელიშურ რედაქციას, თვლის, რომ მასში მოხსენიებული „**დიდი და ღრმა**“, გრან-მორენ-ის უშუალო თარგმანია, ეს უკანასკნელი კი საფრანგეთის მდინარე მარნას ერთ-ერთი შენაკადია. შესაბამისად, მკვლევარს ბრანჯების ნათლობის ადგილი გალიაში, კატალაუნის ველიდან კიდევ უფრო დასავლეთით (უფრო სწორედ, სამხრეთ-დასავლეთით), პარიზის მიმართულებით გადააქვს. ვფიქრობთ, რომ ამ ჰიდრონიმის იდენტიფიკაცია კიდევ მოითხოვს დამატებით კვლევას, მაგრამ ის, რომ მდინარე ღდამარა // ღდამრა-ს ჭელიშური „**დიდი და ღრმა**“ მდინარედ, გვიანდელი რედაქტორ-გადამწერის ინტერპრეტაციაა, ეჭვს არ იწვევს.

422 არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებენ რაინის და მოზელის აუზში ქრისტიანობის შეღწევას III ს-ის 70-იანი წლებიდან მოყოლებული: წმ. მათეს სააბატოში აღმოჩნდა ევროპაში ერთ-ერთი უძველესი კრიპტა, ქრისტიანული სარკოფაგით, თარიღდება დაახლოებით 270 წლით; იქვე გაითხარა ე. წ. „**წმ. ევქარიოსის სასაფლაო**“, უდიდესი ადრექრისტიანული სასაფლაო რაინის ველზე, სადაც აღმოჩნდა ხუთი ათასამდე (5000!) ქვისა და ტყვიის სარკოფაგი, თარიღდებიან IV ს-ის დასაწყისიდან მოყოლებული VI ს-ის ჩათვლით; ე.წ. „**ნოეს სარკოფაგი**“ თარიღდება 300-306 წლებით, ხოლო ასევე ქრისტიანული „**ცოდვილი ელევთერიას**“ და ეპისკოპ აგრიციუსის სარკოფაგები თარიღდება III-IV სს-ების მიჯნით. ამ რეგიონში აღმოჩნდა რვაასამდე ადრექრისტიანული წარწერა; რამდენიმე სარკოფაგი მოგვაგონებს სირიულ ანალოგებს, რამდენიმე ეპიტაფია კი, როგორც სასულიერო, ასევე საერო პირთა, შესრულებულია ბერძნულ ენაზე; ბონში აღმოჩნდა „**კრიპტა მემორია**“-ს სახელით ცნობილი შენობის ნარჩენები ქრისტიანული სიმბოლიკით. იგი აშენებულია წარმართულ სასაფლაოზე, რომელთაგან ბოლო თარიღდება დაახლ. 260 წლით. 300 წლისთვის, გაურკვეველი მიზეზის გამო კრიპტა გაუნადგურებიათ, მაგრამ IV ს-ის ბოლოს მის ადგილზე აუშენებიათ სწორკუთხა დარბაზული შენობა, სავარაუდოდ ეკლესია, სადაც ათავსებდნენ ქრისტიანულ სარკოფაგებს; ფრანკები, გერმანულ ტომთაგან ყველაზე ადრე, IV საუკუნეში უკვე გადასულან დაკრძალვის კრემაციული

წესიდან ინჰუმაციურზე. დაკრძალვის ინჰუმაციური წესი და დაკრძალვის ორიენტაცია (დასავლეთიდანდაღმოსავლეთით) ფრანკთა ტომებში ქრისტიანობის გავლენით აიხსნება (ნ. ნიკოლოზიშვილი, ზაბულონიდან მირიანამდე).

423 ყველა ქრონოლოგიური მონაცემით, საუბარი უნდა იყოს იერუსალიმის ეპისკოპოს ჰერმონზე (300-314 წწ.), მიუხედავად იმისა, რომ ის ქართულ წყაროებში იობენალად იხსენიება.

424 შდრ. შენ. 414.

425 **„კოლასტრა“** ანუ კოლასა, არ იყო ზაბულონის მშობლიური ქალაქი, როგორც ტრადიციულადაა მიღებული და რაც **„ქართლის ცხოვრების“** რედაქტორის ინტერპრეტაციაა. **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ს სარწმუნო ცნობების მიხედვით, კოლასტა წმ. ნინოს დედის, სოსანას მშობლიური ქალაქია და არა მისი მამის, ზაბულონის.

426 წმ. ნინოს დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ 301 წ (ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან).

427 რომის იმპერიის სამოქალაქო სამართლის მიხედვით, მამაკაცის სრულწლოვანების ასაკად ითვლებოდა 14 წელი, ხოლო ქალისად 12 წელი. მოგვიანებით, მარკუს ავრელიუსის ხანის რომაული კანონმდებლობით, ორივე სქესისთვის დადგინდა, რომ 7 წლამდე ასაკი ითვლებოდა ბავშვობის ასაკად, 14 წლამდე კი მცირეწლოვნად. 12-იდან 14 წლამდე ქალიშვილი უნდა ყოფილიყო მზრუნველის მეთვალყურეობის ქვეშ. სარა ნიაფორი წმ. ნინოს მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა ზუსტად ორი წლის განმავლობაში.

428 იგულისხმება მარიამ მაგდალინელი, მაცხოვრის მოწაქფე.

429 იგულისხმება მაცხოვრის მეგობრის ლაზარეს დები, მარიამი და მართა (იოან. 12.1-3).

430 ქრისტიანული მონაზვნობის ინსტიტუტი სათავეს იღებს III ს-ის დასაწყისიდან.

431 იხ. შენ. 429.

432 შდრ. იობ. 9:26, 15:23, 39:26-30; დან. 7:4.

433 განხორციელებული ძე ღმერთი, იესო ქრისტე.

434 მაცხოვრის ჯვარცმისა და სიკვდილის შესახებ იხილე: მათ. 27:32-50; მარკ. 15:20-37; ლუკ. 23:33-46; იოან. 19:16-34.

435 მაცხოვრის ტანსაცმელზე წილისყრის შესახებ იხილე: მათ. 27:35; მარკ. 15:24; ლუკ. 23:34; იოან. 19:23-24. ძველად, როგორც წესი, სიკვდილმისჯილს სასჯელის აღსრულების წინ ხდიდნენ სამოსს, რომელიც ხდებოდა ჯალათის საკუთრება. ევანგელისტების მიხედვით, რომაელმა ჯარისკაცებმა, როგორც სასჯელის აღმსრულებლებმა მიითვისეს მაცხოვრის ტამსაცმელი, რომლის ცალკეულ ნაწილზეც წილი ყარეს (ლოპუხინი, ტოლკოვაია ბიბლია).

436 მცხეთელი მოქალაქეების მონაწილეობა მაცხოვრის სამოსის წილისყრაში ნიშნავს, რომ მაცხოვრის სიკვდილში მათაც შეიტანეს გარკვეული წვლილი, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

437 მათ. 27: 57-66, 28:1-15; მარკ. 15:42-47, 16:1-8; ლუკ. 23:50-56, 24:1-12; იოან. 19:38-42, 20:1-10.

438 ***„პილატე“*** – პილატე პონტოელი, იუდეის რომაელი პროკურატორი (26-36 წწ.), რომელმაც ებრაელთა დაჟინებული მოთხოვნით გაასამართლა ქრისტე და მიუსაჯა ჯვარცმით სიკვდილი. ქრისტიანული გადმოცემის თანახმად, პილატე პონტოელმა თავი მოიკლა, მეორე ვერსიით კი იმპერატორმა დასაჯა სიკვდილით. 1961 წ. კესარიაში აღმოჩნდა წარწერა, რომელშიც იხსენიებიან იმპერატორი ტიბერიუსი და პილატე პონტოელი.

439 პილატეს ცოლის შესახებ თხრობა არ არის სახარებაში და მას აპოკრიფული ხასიათი აქვს. ვინ იყო და რა ერქვა პილატეს ცოლს, ამის შესახებ არ არსებობს სარწმუნო ცნობები. გადმოცემით მას ერქვა პროკლა ან კლავდია პროკულა და საბერძნეთის ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად (ხსენება 27 ოქტომბერს), რაც ამ გადმოცემის სიძველეზე მეტყველებს.

440 როგორც ჩანს, ლუკა მახარებელთან და პეტრე მოციქულთან დაკავშირებული ეს გადმოცემები თავიდანვე ბუნდოვანებით იყო მოცული.

441 საუბარია სამ ჯვარზე, ერთი მაცხოვრის და ორი – მის გვერდით ჯვარცმული ავაზაკების.

442 ჯვრების გამოჩენა იერუსალიმში მოხდა 325 წლის ბოლოს, ან 326 წელს, კონსტანტინე დიდის დედის, ელენე დედოფლის მიერ.

443 ***„უჟიკები“*** – ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ასევე ეწოდებათ ხუჟიკები. სახელწოდება მოდის სპარსეთის ძველი სახელწოდებიდან, ხუზისტანიდან (ძვ. ქართ. ხუჟასტანი), თუმცა ამ შემთხვევაში გულისხმობს ისტორიული მიდიის, გვიანდელი ადარბადაგანის ტერიტორიას.

444 ***„ეფესო“*** – ანტიკური ქალაქი ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

445 ***„წმინდა აღდგომის თაყვანსაცემად“*** – იგულისხმება ქრისტეს საფლავი (იხ. შენ. 414).

446 ***„ელენე დედოფალი“*** – კონსტანტინე დიდის დედა (გარდაიცვალა დაახლ. 327/328 წ.)

447 წმ. ნინოს ბიძა, იერუსალიმის ეპისკოპოსი ჰერმონი (ქართული წყაროებით – იუბენალი) ცნობილი იყო იმით, რომ საქადაგებლად აგზავნიდა მისიებს ველურ ხალხებში. მისი მოწაფეების გავრცელებულია ქრისტიანობა სკვითიაში, კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე (იხ. ნ. ნიკოლოზიშვილი, ზაბულონიდან მირიანამდე).

448 ამ დროს წმ. ნინო უკვე 14 წლის იყო, ანუ, რომის კანონების თანახმად, სრულწლოვანი.

449 აქედან იწყება რიფსიმეს და გაიანეს ამბების აღწერა სომხური წყაროების მიხედვით, კერძოდ, **„წამებაჲ წმიდათა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მათთასა“**, რომელიც ითარგმნა ძველ ქართულადაც (ი. აბულაძე, აგათანგელოსის **„რიფსიმეანთა მარტჳლობის“** ძველი ქართული თარგმანი,

ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე II, 1960, გვ. 145-180). აღნიშნული მარტვილობა აშკარად გვიანდელი თხზულებაა და მისი ისტორიული ღირებულება ფრიად საეჭვოა.

450 დაბ. 3:1-4.

451 „***უალერეს***“ – ვალარშის (სპარს. ვოლოგეზი) აშენებული.

452 „***თრდატი***“ – სომხეთის მეფე (287-330 წწ.)

453 „***იონების ქვეყანა***“ – ბერძნების ქვეყანა. სომხურად საბერძნეთს ეწოდება „**ჰუნასტან**“, რაც იონიელთა ქვეყანას ნიშნავს.

454 სომხური ტრადიციის თანახმად, ქრისტიანთა დევნის გამო თრდატ მეფე ტახად გადაიქცა და მხოლოდ ქრისტეს აღიარების შემდეგ დაუბრუნდა ადამიანის სახე.

455 აქედან კვლავ გრძელდება „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-დან ამბის თხრობა.

456 „***სტეფანეს მსგავსი დიაკონი***“ – იგულისხმება სტეფანე პირველმოწამე, მთავარდიაკვანი. იყო ერთ-ერთი იმ შვიდ დიაკვანთაგანი, რომლებიც მოციქულთა მიერ იქნენ დადგენილები (საქმ. 6:1-6). ქრისტეს ქადაგებისთვის ქვით იქნა ჩაქოლილი ებრაელთა მიერ 38 წელს (საქმ. 7:54-60). სტეფანე მთავარდიაკვანი იყო პირველი, ვინც ქრისტესთვის მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა, რის გამოც მას პირველმოწამე ეწოდა.

457 „***ზეცის მხედრობა***“ – იგულისხმება ანგელოსთა დასი.

458 ანუ რიფსიმეს, გაიანეს და სხვა ქალწულთა სულები.

459 „***ასპიტი და იქედნე***“ – შხამიანი გველების სახეობა, ამ შემთხვევაში, გადატანითი მნიშვნელობით უგულისხმებიან წარმართები. შდრ. ეს. 14:29; ფს. 90:13.

460 შდრ. მათ. 9:37

461 „***ორბანთა***“ – ეს არის „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ნახსენები „**ულოპორეთ**“-ის დამახინჯებული ვარიანტი. როგორც ჩემს სხვა ნაშრომში მაქვს ნავარაუდევი, ამ სახელწოდების ადგილი არ არსებობდა არც სომხეთში და არც ქართლში და იგი უნდა იყოს ბერძნული სიტყვის – „**ულოფოროს**“ (ტყით დაფარული, ტყიანი) მნიშვნელობის უცოდინრობის ნიადაგზე ტოპონიმად აღქმული (ნ. ნიკოლოზიშვილი, რა ენაზე მოგვითხრობდა წმინდა ნინო, გელათის აკადემიის ჟურანალი, №9, 2006). შესაბამისად, წმ. ნინოს სიტყვებით, მან რიფსიმეს, გაიანეს და სხვათა წამების შემდეგ, გაჭირვებით გამოიზამთრა ტყით დაფარულ ადგილას.

462 „***მეოთხე თვე, რომელიც არის ივნისი***“ – რომის იმპერიაში ახალი წელიწადი იწყებოდა მარტში.

463 ბოლო ვარაუდების თანახმად, წმ. ნინო საქართველოში შემოვიდა 317 წლის ივნისში (ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან, 2006).

464 „***ფარავნა***“ – საქართველოს უდიდესი ტბა ფარავანი. მდებარეობს ჯავახეთის ზეგანზე, დღევანდელი ნინოწმინდის რაიონში.

465 წმინდა ნინოს მიერ სომხური ენის ცოდნის შესახებ ინფორმაცია აშკარად „**ქართლის ცხოვრების**“ გვიანდელი რედაქტორის ჩანამატია. ამგვარი ცნობა არ მოიპოვება მის პირველწყაროში, „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში.

466 „***ელარბინი***“ – გაურკვეველია. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს ჭელიშურ რედაქციაში ეს გაურკვეველი ტოპონიმი საერთოდ ამოგდებულია: „**ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი**“, ხოლო სინურ რედაქციაში გვაქვს ასევე გაურკვეველი „**ელირგნით**“: „**ზოგნი დაბით ელირგნით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი**“. შატბერდული რედაქცია ამ ადგილას ნაკლულია.

467 „***საფურცლე და ქინძარი***“ – ადგილები მცხეთის ახლოს. საფურცლე დღევანდელი ნატახტარია (მცხეთის რ-ნი), ქინძარის ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია.

468 „***რაბატი***“ – ქალაქის დასახლებული ნაწილი (ზ. სარჯველაძე).

469 ეს მდინარე ცნობილია როგორც ფარავნის, ასევე ჯავახეთის მტკვრის სახელითაც. ხერთვისის ციხესთან მდ. ფარავანი უერთდება მტკვარს, რომელიც ჩამოედინება მცხეთაში.

470 უნდა იგულისხმებოდეს რომელიმე წმინდანი, ალბათ მოციქული პავლე, წარმართთა მოციქულად წოდებული.

471 „***ნახევრადთმიანი***“ – ნახევრად მელოტი.

472 „***რომაულად***“ – „**ჰრომაელებრ**“, ე. ი. ლათინურად.

473 ქვემოთ მოტანილი ეს „**ათი სიტყვა**“ არის ქალის მოციქულებრივი საქმიანობის აპოლოგია.

474 მტკვარი აღმოსავლეთისკენ იწყებს დინებას დღევანდელ ქ. ახალციხესთან.

475 „***ურბნისი***“ – ანტიკური ქალაქი და შემდეგ საეპისკოპოსო ცენტრი, დღევანდელი სოფელი ურბნისი ქარელის რ-ნში.

476 ურბნისში IV საუკუნის დასაწყისში ებრაული დიასპორის არსებობა სრულიად დასაშვებია.

477 ეს ხიდი უნდა ყოფილიყო იქ, სადაც დღეს ისტორიული ე. წ. პომპეუსის ხიდია. ეს ხიდი აერთებდა ქალაქ მცხეთას არმაზთან

478 აქ „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორს გაეპარა ზმნის პირველი პირის ფორმა, როგორც ეს არის მის უშუალო პირველწყაროში – „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში.

479 როგორც უკვე ზემოთ ითქვა, არმაზის კერპი იყო ზევს-აჰურამაზდას სინკრეტული ღვთაება (იხ. შენ. 216).

480 როგორც ზემოთაც ითქვა, გაცისა და გაიმის (გას) კერპები კიბელა-ატისის მსგავსი მომაკვდავ და აღდგომად ღვთაებათა კულტი უნდა ყოფილიყო (იხ. შენ 177). აღსანიშნავია, რომ რომაული კიბელას ქანდაკებები სწორედ ვერცხლისგან მზადდებოდა, რადგან ეს ძვირფასი ლითონი მდედრობითი საწყისის სიმბოლო იყო, მაშინ როდესაც ოქრო მამრობით საწყისს განასახიერებდა.

481 შატბერდულ რედაქციას თითქოს მოაქვს სამივე სიტყვის თარგმანი:„**რომელ არს კაცნი ღმრთის მჯდომნი, მბრძოლნი და წინა-აღმდგომნი**“. ჭელიშური და სინური რედაქციების შედარებით მარტივი განმარტებით, ისინი აღნიშნავენ „**ფრგულადჯბრანგულად: კაცნი ღმრთის მჯდომნი**“. ჩემი აზრით, „**ბრანგულ**“ ენაზე მითითება ადასტურებს იობენალ/ერმონის იგივეობის და მისი მისიონერული ღვაწლს სკვითებში, გოთებში და სხვა დუნაის თუ დნესტრისპირეთში მოსახლე ხალხებში. სინამდვილეში „**კაცნი ღმრთის მჯდომნი, მბრძოლნი და წინა-აღმდგომნი**“ არ უნდა იყოს ამ გაუგებარ სიტყვათა შინაარსობლივი თარგმანი, არამედ ეს უნდა იყოს ამ ბარბაროს ხალხთა სახელების ჩამონათვალი. მათში შესაძლოა იგულისხმებოდნენ როგორც დუნაის ჩრდილოეთით მოსახლე დაკიელები (Dacia), ასევე მის სამხრეთით მოსახლე თრაკიელები (Thrace), სვევები (Sueves, Suebes) და ბურგუნდები (Burgundiones), რომლებიც ჩემი წელთაღრიცხვის III ს-ში უკვე დუნაისპირეთში გვხვდებიან. ყოველშე მთხვევაში, ამ მოსაზრებას საბოლოოდ არ ვთვლი და ამ მიმართულებით კვლევა გასაგრძელებელია.

482 შდრ. ფს. 65:3.

483 „***უჩინარ სულები, წუთისოფლის მპყრობელი ბნელეთის მთავრები***“ – ბოროტი სულები, ეშმაკები.

484 „***ჩრდილოეთი სამხრეთთან ერთად ხარობდეს***“ – ჩრდილოეთი წმინდა წერილში ზოგადად სულიერი სიბნელის აღმნიშვნელი ტერმინია, რომელიც უპირისპირდება მზიან სამხრეთს. ამ შემთხვევაში საუბარია ქრისტეს ქადაგების მოფენაზე ჩრდილოეთის ქვეყნებში, რომელშიც კავკასია და ქართლიც სამეფოც იგულისხმებოდა.

485 „***ლიტრი***“ – საწყაოს ერთეული, დაახლოებით გირვანქა (ი. აბულაძე); საწყაო (ზ. სარჯველაძე).

486 იგულისხმება არმაზის ციხის ზღუდეები, რომელთა შიგნითაც იყო აღმართული არმაზის, გაცისა და გა/გაიმის კერპები.

487 „***ქალდეველთა ღმერთი ითრუჯანი***“ – „**ითრუჯანი**“//„**ითრუშანი**“ ქართულ ნიადაგზე ფონეტიკურად სახეშეცვლილი ფალაური „**ატრუშან**“// ატროშან“ = ცეცხლი უნდა იყოს (კ. კეკელიძე).

488 ამ ადგილის კომენტირებისას გაკვირვებას ვერ მალავდა კ. კეკელიძე, თუკი არმაზი აჰურამაზდაა და ითრუჯანის რელიგია ცეცხლმსახურების რელიგიაა, მაშინ რატომ იყვნენ დაპირისპირებული აჰურამაზდა-არმაზი და ითრუჯანი? საკითხი ნათელი ხდება ზოროასტრული რელიგიის ისტორიის ფონზე. უკანასკნელი აქემენიდების მიერ კერპების აღმართვის სიახლის დამკვიდრებამ ზოროასტრელ ქურუმთა წრეში დაპირისპირებული ბანაკები შექმნა. ეს დაპირისპირება გრძელდებოდა პართულ ირანშიც, მაგრამ სასანიდთა პერიოდში მან კულმინაციას მიაღწია: სასანიდებმა მათი მმართველობის დასაწყისშივე დაიწყეს ღვთისმსახურებისას ღვთაებათა გამოსახულებების – კერპების აკრძალვა, ტაძრებიდან გამოიტანეს

ქანდაკებები და სადაც ეს შესაძლებელი იყო, მათ ადგილას ცეცხლი მოათავსეს. ამ ახალი დინასტიის მმართველობის მთელი პერიოდი იყო ე. წ. „**ზოროასტრული სატომებრძოლეობის**“ პერიოდი. ასევე გაუქმდა არსაკიდთა შემწყნარებლური პერიოდისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა დინასტიური ცეცხლები. სასანიდთა იმპერიაში ამიერიდან მხოლოდ ერთი, სასანიდთა სამეფო ცეცხლი გიზგიზებდა. სახელმწიფო რელიგიის სტატუსში დაბრუნებული ზოროასტრიზმის მოგვებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და, გარკვეულწილად, აღმოფხვრეს კიდეც კერპთა თაყვანისცემა კულტიდან. იმავდროულად, მოგვები ენერგიულად ზრუნავდნენ იმპერიის მთელ ტერიტორიასა და ვასალურ ქვეყნებში ცეცხლის ტაძრების დაარსებაზე. სწორედ ამ კუთხით უნდა გავიგოთ ის მტრობაც არმაზ-აჰურამაზდას და „**ითრუჯანს**“ შორის – ეს იყო სინკრეტულ-ელინისტური ზევს-აჰურამაზდას მიმდევრებისა და „**მართლმორწმუნე**“ ზოროასტრელების დაპირისპირება.

489 თრდატის ამბავი „**ქართლის ცხოვრების**“ გვიანდელი რედაქტორის ჩანართია.

490 „***ბივრიტის თვალი***“ – იგივეა რაც ბივრილი; ეს თვალი ზღვისა და ცის ფერია (საბა); beryllus (ი. აბულაძე); ძვირფასი ქვა (ზ. სარჯველაძე); ტექსტის მიხედვით, არმაზს სამხრეეზზე ესხა ზურმუხტისა და ბივრიტის თვალი.

491 „***ძველი ციხე***“ – იგულისხმება არმაზის ციხის ძველი ნაწილი. ხომ არ აქვს კავშირი „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ნახსენებ ძველ მცხეთასთან: „**ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არ[ი]ან-ქართლად, მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას**“.

492 „***ბრინჯის ხე***“ – აკაკის ხე (საბა); celtis australis ან celtis caucasica, აკაკის ხე (ი. აბულაძე); ერთგვარი მცენარე (ზ. სარჯველაძე).

493 „***ბარტამ მეფე***“ – „**მეფეთა ცხოვრებაში**“ ამ სახელით ორი მეფე მოიხსენიება: 1. VII მეფე ბარტომ არტაგის ძე, არშაკუნიანი. მას „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში შეესაბამება VIII მეფე ბრატმანი, „**რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო**“; 2. ორმეფობის პირველი წყვილი – ბარტამი და ქართამი, რომელთაც „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში შეესაბამება ორმეფობის პირველი წყვილი – ქარძამ და ბრატმან, რომელთა დროსაც „**ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს**“. ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს პირველი ბარტომ/ბრატმანი, ორი მიზეზის გამო: 1. პირველი ბარტომ/ბრატმანის დროს დაიწყო მცხეთის შენება, რაც ნიშნავს, რომ მისი ძირითადი რეზიდენცია არმაზში იყო; 2. ორმეფობისდროინდელი ბარტომ/ბრატმანი მეფობდა მცხეთაში, ხოლო მისი მეწყვილე ქარძამ/ქართამო მეფობდა არმაზში.

494 „***საგრილებელი***“ – დასასვენებელი ადგილი.

495 „***ლოცულობდა იქ ექვსი დღე***“ – ე. ი., თუ არმაზის მთაზე სასწაული მოხდა ფერიცვალების დღეს, 6 აგვისტოს (იხ. შენ. 498), წმ. ნინოს იქ დაუყვია 12 აგვისტომდე..

496 ***„როდესაც ეს მოხდა“*** – იგულისხმება კერპთა სასწაულებრივი მსხვრევა სეტყვის მიერ.

497 ***„მეექვსე ჟამი“*** – ლიტურგიკული მეექვსე ჟამი შეესაბამება დაახლოებით 12 საათს, შუადღეს.

498 იგულისხმება ფერიცვალების უძრავი დღესასწაული, რომელიც აღინიშნება 6 აგვისტოს. ევმანუელი, ანუ ემანუელი ეწოდებოდა მაცხოვარს (მათ. 1:23). მოწაფეთა მოთავეებში იგულისხმებიან პეტრე, იაკობ და იოანე მოციქულები, რომლებიც მაცხოვარმა ფერისცვალების დღეს მთაზე აიყვანა სალოცავად. წინასწარმეტყველთა მოთავეებში იგულისხმებიან მოსე და ელია წინასწარმეტყველები, რომლებიც, როგორც მოციქულებმა დაინახეს, ლოცვის დროს მაცხოვარს გამოეცხადდნენ და ესაუბრებოდნენ. ის რომ ფერისცვალების სასწაული თაბორის მთაზე მოხდა, არ წერია არც ერთ სახარებაში, მაგრამ ამაზე ლაპარაკობენ ორიგენე, კირილე იერუსალიმელი და იერონიმე. VI-VII საუკუნიდან, თაბორის მთა მთელ ქრისტიანულ სამყაროში საყოველთაოდ იქნა აღიარებული ფერისცვალების სასწაულის ადგილად (ფერისცვალების სასწაულის აღწერა იხ. მათ. 17:1-8; მარკ. 9:1-13; ლუკ. 9:28-36; II პეტ. 1:16-18).

499 ***„სეფექალი“*** – დიდებულთ ქალი (საბა); სასახლის კარის მოსამსახურე ქალი (ი. აბულაძე); სამეფო კარის წარჩინებული მანდილოსანი (ზ. სარჯველაძე).

500 ***„მხოლოდ თავისი დედა-ძმების [ამბავი] არ აუწყა, რადგან ტყვე უწოდა თავის თავს“*** – ეს ფრაზა **„მეფეთა ცხოვრების რედაქტორის ჩანართია, იგი არ მოიპოვება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ში.

501 ***„სადაც ახლა არის ღმერთის მიერ აღმართული ის სვეტი და საკათალიკოსო ეკლესია“*** – ეს ფრაზაც გვიანდელი რედაქტორის ჩანართია. იგულისხმება სვეტიცხოვლის ეკლესია და მასში სასწაულებრივად აღმართული სვეტი.

502 ძველ აღმოსავლეთში მოგზაურისთვის ფეხზე ზეთის ცხება სტუმართმოყვარეობის გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა იყო.

503 ჩემს წერილში **„რა ენაზე მოგვითხრობდა წმინდა ნინო“** ნავარაუდევი მაქვს, რომ ეს ქალი, სამეფო ბაღის მცველის ცოლი ანასტოს, უნდა იყოს ებრაელი აბიათარის ასული, სიდონია. **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ში გვაქვს სახელი ანასტოს, რედაქციული ვარიანტების გარეშე. ამ ამბის შემდეგ ნინოს ცხოვრებაში აღარც ანასტოს და აღარც მისი ქმარი აღარ იხსენიებიან. ვინ არის ეს წყვილი? შატბერდულ ხელნაწერში ამ ადგილას ტექსტის გადამწერის ხელით აშიაზე მიწერილია: ***„ესე დედაკაცი იყო სიდონია, მოწაფჱ წმიდისა ნინოჲსი, რომელმან ესე ყოველი აღწერა“*** (უნდა იგულისხმებოდეს **„ნინოს ცხოვრების“** შემდეგი რამდენიმე თავი). ის, რომ ეს ქალი მართლაც სიდონია უნდა ყოფილიყო, ჩანს იმავე პასაჟში, ცოტა ქვემოთ, სადაც წმ. ნინო ამბობს, რომ სამეფო ბაღში ცხოვრებისას ძილში გამოცხადებულ ჩვენებათა შესახებ სიდონიასთვის მოუყოლია: ***„და უთხარ ესე დასა ჩემსა, ასულსა აბიათარისსა“***. მაგრამ აქ ისმის კითხვა, თუკი ანასტოს და სიდონია ერთი და იგივე პიროვნებაა,

რატომ იხსენიება ის ამ ორი სახელით? საქმე ისაა, რომ სიდონიას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ეწოდებოდა ანასტოს, ორი მიზეზის გამო: 1. ბერძნული ο»-ს დაბოლოება აშკარად მიუთითებს, რომ ეს სახელი არ შეიძლება ეკუთვნოდეს მდედრობითი სქესის წარმომადგენელს. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ის სამივე ხელნაწერში გვაქვს „**ანასტოს**“, მაგრამ „**ქართლის ცხოვრების რედაქტორ-გადამწერებს ეს შეუსაბამობა შეუნიშნავთ და ზოგიერთ ნუსხაში სახელი ჩაუსწორებიათ როგორც** – „**ანასტო**“, ან „**ანასტასია**“, თუმცა „**მოქცევაჲ**“-სეული „**ანასტოს**“ ბევრ მათგანშიც შენარჩუნებულია; 2. რომც ვიფიქროთ, რომ „**ანასტოს**“ გადამწერის მიერ დაშვებული დამახინჯებაა და თავდაპირველად უნდა გვქონოდა მდედრ. სქესის „**ანასტასია**“, მისი ძირის ქრისტიანული თეოლოგიური მნიშვნელობა – ***ἀνάστασις*** = ***აღდგომა***, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ სახელის არსებობა დავუშვათ წარმართულ ან იუდაურ წრეში. ამ ძირიდან ნაწარმოებ როგორც კაცის, ასევე ქალის სახელებს მხოლოდ ქრისტიანთა შორის ვხვდებით. საქმე უნდა გვქონდეს ბერძნული ზეპირი დედნის (როგორც ჩანს, წმინდა ნინო თავის ბიოგრაფიას ბერძნულად ჰყვებოდა) არასწორ გაგებასთან. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ვკითხულობთ: „***შე-რაჲ-ვედ შინა, ჯდა ესე დედაკაცი ანასტოს. და ვითარცა მიხილა, აღდგა და შემიტკბო მე***“ (ჭელიშ.: „***შე-რაჲ-ვედ შინა, ჯდა ესე დედაკაცი ანასტოს, რაჟამს მიხ[ი]ლა, აღდგა და შემიტკბო***“; სინ.: „***შე-რაჲ-ვედ შინა, ჯდა ესე დედაკაცი ანასტოს და რაჟამს მიხ[ი]ლა მე, აღდგა და შემიტკბო***“). რომ აღვადგინოთ ის, თუ წმ. ნინო ამას როგორ წარმოთქვამდა ბერძნულად, მივიღებთ, პირობითად, ამგვარ ფრაზას: **εἰσηὐλθην εἰν τωή᾽ οἰἰκωή᾽. ηὶ γυνη; καθἰζομεὐνη αἰνεστω᾽σα (ან: αἰναστα᾽σα; ან: αἰνεὐστη) ηὶνἰὐκα εἰἰ᾽δεν με και; εἰφἰὐλεσεν μεὐ = „*შე-რაჲ-ვედ შინა, მჯდომი ესე დედაკაცი აღდგა, რაჟამს მიხილა, და შემიტკბო.*“ აი, სწორედ ეს ηὶ γυνη; καθἰζομεὐνη αἰνεστω᾽σα (ე გჲუნე კათიძომენე ანესტოსა) = „*მჯდომი ესე დედაკაცი აღდგა*“ – უნდა გაეგო წმ. ნინოს მონაყოლის ჩამწერს, როგორც „*ჯდა ესე დედაკაცი ანასტოს*“, ანუ მიმღეობიდან – αἰνεστω᾽** (ანესტოს) მიიღო საკუთარი სახელი „**ანასტოს**“. მაგრამ, რადგან აღწერილი სიტუაცია ლოგიკურად მოითხოვდა მჯდომარე ქალის წამოდგომას, ბერძნული ზმნის სახელად ქცევის შემდეგ, საჭირო გახდა ქართული ზმნის – „***აღდგა***“ ხელმეორედ ხმარებაც. ასე ხელოვნურად მივიღეთ სიდონიას სახელად იუდეველისთვის და თანაც ქალისთვის არადამახასიათებელი და უჩვეულო – „**ანასტოს**“.

504 „***ნათლისფერი კაცი***“ – ანგელოზი.

505 „***ბაბილო***“ – მაღალი ვენახი (საბა); რტო, ნაყოფის მომცემი რტო, ანუ რქა; მაღლარი ვაზი, ხეზე აშვებული (ი. აბულაძე); ყლორტი, ნაყარი; მაღალი ვაზი (ზ. სარჯველაძე).

506 „***საეპისკოპოსო ზემო ეკლესია***“ – იგულისხმება დღევანდელი სამთავროს დედათა მონასტერი მცხეთაში, რომლის ეზოში დღესაც ყვავის მაყვლის ბუჩქი.

507 „***ნასხლევის ჯვარი***“ – იგულისხმება ვაზის ნასხლევის ჯვარი. საქართველოს

ეკლესიის უდიდესი სიწმინდე. ინახება თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

508 იგულისხმება მეფის მებაღე და მისი ცოლი, სიდონია, აბიათარის ასული.

509 წმ. ნინოს მიერ აბიათარის და სიდონიას დამოწაფების ამბავი აქ უადგილოდ არის ჩართული „**ქართლის ცხვორების**“ რედაქტორის მიერ.

510 „***ექვსი ჰურია ქალი***“ – „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში შვიდ ქალზეა საუბარი: „**და ოდეს-მე შჳდნი დედანი დაგჳმოწაფნა შჯულსა მისსა**“.

511 იგულისხმება, რომ წმ. ნინო სამი წელი ფარულად ქადაგებდა და კურნავდა მცხეთაში და მას შემდგომ ფრაზასთან აღწერილ მოვლენასთან ქრონოლოგიური კავშირი არ აქვს.

512 „***იმ ხანებში იყო***“ – ძვ. ქართ. „**მათ ჟამთა შინა იყო**“ ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ამ სიტყვების წინა და შემდგომ მოვლენებს შორის აუცილებლად უნდა იყოს ქრონოლოგიური კავშირი (შდრ. შენ. 404).

513 აქ ასახულია მირიან მეფისა და ნარსე სასანიანის 296 წლის ერთობლივი ლაშქრობა სომხეთსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში (იხ. შენ. 402). კონსტანტინე დიდის ამ ამბებთან დაკავშირებით ანაქრონიზმია..

514 „***წელიწადის წილხვედრილი***“ – იუდეველ მღვდლებს შორის წილის ყრის ტრადიცია ბიბლიის მიხედვით დავით წინასწარმეტყველის დროიდან მოდის. დავით მეფის დროს არსებობდა პირველი მღვდლის, აარონის ორი ძისგან მომდინარე ორი მემკვიდრეობითი სამღვდელო ხაზი – ელყაზარისა და ითამარისა. ელყაზარის შთამომავალთა სახლი თექვსმეტს ითვლიდა, ხოლო ითამარისა – რვას. აქედან გამომდინარე, სულ 24 სამღვდელო დასი არსებობდა, რომელთა შორისაც მთელი წლის განმავლობაში ტაძარში თანმიმდევრობით მსახურება, დავითის მითითებით, უნდა განაწილებულიყო წილისყრის მეშვეობით, რათა თვითოეულ დასს ღვთისმსახურების შესრულების თანაბარი პირობები და დრო მისცემოდა (I ნეშტ. 24: 1-31). წილისყრის ეს წესი არ ეხებოდა მხოლოდ მღვდელმთავრებს და მათ შთამომავლებს. აბიათარი კი „***მღდელი წილით ხუედრებული***“ ვერ იქნებოდა ორი უმთავრესი მიზეზით: 1. იუდეველი მღვდლის ფუნქცია იერუსალიმის ტაძარში ღვთისმსახურება იყო, რომლის უმთავრეს და ძირითად რიტუალსაც მსხვერპლშეწირვა შეადგენდა. და რადგან, რჯულის მიხედვით, მსხვერპლშეწირვა იერუსალიმის ტაძრის გარდა სხვაგან ვერსად შესრულდებოდა, შესაბამისად, დიასპორაში, მღვდელმსახურება კარგავდა თავის უმთავრეს აზრსა და დანიშნულებას; 2. აბიათარის მოღვაწეობის დროისთვის (IV ს-ის პირველი ნახევარი) ტაძარი უკვე დანგრეული იყო (ახ. წ. 70 წ.) და, ბუნებრივია, მსხვერლშეწირვაც დიდი ხნის შეწყვეტილი იყო. წინადადების აზრი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ისე, აბიათარის წინაპრები, მცხეთაში მოსვლამდე, იერუსალიმის ტაძარში „***წილით ხუედრებული***“ მღვდლები იყვნენ და აბიათარი მათი მემკვიდრეა. ეს ჩანს „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში, რომლის ჭელიშურ რედაქციაში ასტირონ გვასპურაგნელი ეუბნება აბიათარს: „***მღდელი იყავ წილით ხუედრებული მკჳდრი***“ (ძვ. ქართ. მკჳდრი = მემკვიდრე). სინურ

ვერსიაში ვკითხულობთ: „*მაუწყე, საყუარელო, შენ არა ჰურიათა მღდელი იყავა წილით ხუედრებული მკვდრი, მამანი შენნი აქა მოწევნითგან, რამეთუ არიან წელნი, ვინაათგან მამანი თქუენნი აქა მცხეთად მოვიდეს: ᲑᲐ ᲤᲒ*“. „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორმა თავისი პირველწყაროს ამ ბუნდოვანი წინადადების ნაწილი ამოაგდო და, მართალია წინადადება გრამატიკულად გაასწორა და გაამარტივა, მაგრამ მასში თავდაპირველად ჩადებული ინფორმაციის აზრი ფაქტობრივად დაამახინჯა.

515 „***ანტიოქია***“ – თანამედროვე ქალაქი ანტაკია თურქეთში, მდ. ასის (ორონტი) სანაპიროზე. 2003 წელს ჰყავდა 150 ათასი მცხოვრები. დაარსებულია სელევკოს ნიკატორის მიერ ძვ. წ. 300 წელს, მამამისის, ანტიოქოს I-ის სახელზე. დიდი ხნის განმავლობაში იყო სირიის დედაქალაქი. მდებარეობდა მდ. ორონტზე. შედიოდა რომის იმპერიის სამ უდიდეს და პოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს ქალაქთა რიცხვში რომისა და ალექსანდრიის შემდეგ. მოც. პავლეს და ბარნაბას ქადაგევბის შემდეგ, ანტიოქიელებს პირველებს ეწოდათ ქრისტიანები (საქმ. 26:28; I პეტრ. 4:16). 260 წელს დაიპყრეს სპარსელებმა; 526 წელს დაანგრია მიწისძვრამ; 540 წელს კვლავ დაიპყრეს სპარსელებმა, შემდეგ იუსტიანიანე I-მა; 638 წელს დაიპყრეს არაბებმა, 1098 წელს – არაბებმა. 1268 წ. ეგვიპტის მმართველებმა დაიპყრეს და დაანგრიეს ქალაქი; 1516 წლიდან თურქ-ოსმანთა ხელშია. შუასაუკუნეებში იყო ქრისტიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრი. ეწოდა ანტაკია.

516 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ვკითხულობთ: „**მას ჟამსა ჩემ თანა წიგნები მოსრულ იყო ჰრომით და ეგჳპტით და ბაბილოვნით ჰურიათაჲ, მღდელთაჲ და მწიგნობართაჲ**“

517 „***სამად გახლიჩა ღმერთმა ისრაელის სამეფო***“ – ძვ. წ. 63 წლიდან იუდეა იქცა რომის პროვინციად და იყოფოდა სამ ნაწილად: იუდეა, სამარია და გალილეა პეტრა (ტრანსიორდანია). ძვ. წ. 37 წ. იუდეა კვლავ იყოფოდა იუდეად, სამარიად (ჩრდ.) და იდუმეად (სამხრ.).

518 „***წინასწარმეტყველები დადუმდნენ...***“ – ძველი აღთქმის ბოლო წინასწარმეტყველები ზაქარია და მალაქია მოღვაწეობდნენ დაახლ. ძვ. წ. 400 წელს.

519 „***რომაელებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა*** “ – რომმა იუდეა დაიპყრო ძვ. წ. 63 წელს.

520 „***ვინც თავის თავს ქვეყანაზე ღმერთის ძედ აცხადებდა, მოკვდესო***“ – შდრ. II რჯ. 21: 23.

521 „***ნაზარეველი იესო***“ – ნაზარეთი (ივრ. ნაცარეტ, არაბ. ან-ნასირა) ქალაქი ისრაელში, ქრისტიანთა ერთ-ერთი წმინდა ქალაქი, რომელშიც გაატარა მაცხოვარმა თავისი ბავშვობის წლები, რის გამოც მას ეწოდა ნაზარეველი.

522 „***შვიდგზის ვიცით წიგნებიდან***“ – შდრ. ფს. 78: 12. ციფრი 7 სრული ციფრია და აღნიშნავს სისრულეს ზოგადად. იგულისხმება, რომ ებრაელებს

სრულად მიეზღვებოდა ის, რასაც ისინი იმსახურებდნენ.

523 ***„მწირი ქალი“*** – მწირი ძველ ქართულში გულისხმობდა ხიზანს. ღვთისმშობელს ხიზანი ეწოდება იმის გამო, რომ მან ბეთლემში მიმავალმა ბაგაში შეხიზნულმა შვა უფალი.

524 ***„სამასი წელი“*** – იგულისხმება, რომ ეს წერილი მიუღია აბიათარს ქრისტეშობიდან სამასი წლის შემდეგ. ამგვარი ქრონოლოგია, რა თქმა უნდა, მიახლოებითია და მას სიზუსტეზე პრეტენზია ვერ ექნება.

525 აქედან ჩანს, რომ IV ს-ის დასაწყისში, იუდეველთა წრეში იყო გარკვეული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ იესო ნაზარეველი მართლაც ღვთისგან (ზეციდან) იყო მოვლენილი.

526 წმ. ნინო აბიათარს განუმარტავდა ძველი აღთქმის წიგნებს ქრისტიანის პოზიციიდან, პირველ რიგში იმ ადგილებს, სადაც ნაწინასწარმეტყველები იყო მაცხოვრის ამ ქვეყნად ხორციელად მოსვლა, ჯვარცმა და აღდგომა.

527 იგულისხმება სიდონია.

528 ქრისტიანები ძველად ერად იწოდებოდნენ.

529 გულისხმობს ზიარების საიდუმლოს მიღებას.

530 ***„ჰეროდე“*** – ჰეროდე I დიდი (ლათ. *Herodus*). იუდეის მეფე ძვ. წ. 40 – ახ. წ. 4 წწ. ჰეროდიანების იდუმეური დინასტიის დამაარსებელი, იუდეის რომაელო პროკურატორის, ანტიპატროსის ძე. იუდეის მეფობა მიიღო ძვ. წ. 37 წ. რომის სენატის გადაწყვეტილებით. იყო ჰასმონიანთა პოლიტიკური პარტიის მოწინააღმდეგე. მიითვისა იერუსალიმის ტაძრის მღვდელმთავართა დანიშვნისა და მოხსნის უფლება. ააშენა იერუსალიმის ახალი ტაძარი. მიუხედავად ამისა, იუდეველები მას ბოლომდე აღიქვამდნენ როგორც უცხოელს და რომის პოლიტიკის გამტარებელს და უარი თქვეს მისთვის ერთგულების ფიცის მიცემაზე. ჰეროდემ ამოწყვიტა ჰასმონიანთა დინასტია, როგორც იუდეის ტახტის კანიერი მემკვიდრეები და მათი მიმდევრები, მათ შორის თავისი იუდეველი ცოლი. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება ის შიში, რომელიც მას გაუჩნდა მაშინ, როდესაც აღმოსავლელი მოგვებისგან გაიგო, რომ ბეთლემში უნდა დაბადებულიყო იუდეის ჭეშმარიტი მეფე (მათ. 2). სწორედ ამ მოვლენებს უკავშირდება ჰეროდეს ბრძანებით ბეთლემში ჩვილთა გაწყვეტა და მაცხოვრის ოჯახის გაქცევა ეგვიპტეში.

531 ***„ბოდი“*** – იგივე ბოდისი, წმ. ნინოს გარდაცვალების ადგილი. ჩანს, რომ ახ. წ. I ს-ში ბოდისში (დრევანდელი ნინოწმინდა საგარეჯოს რაიონში) იუდეველთა ორგანიზებული დიასპორა არსებულა, თავისი სინაგოგით.

532 ***„მღვდლები“*** – უნდა იგულისხმებოდნენ სინაგოგის რაბინები.

533 ***„კოდისწყარო“*** – უნდა იყოს სოფ. კოდისწყარო გორის რაიონში.

534 ***„მწიგნობრები“*** – ძველი აღთქმის წიგნების გადამწერები და რედაქტორები.

535 ***„სობის-კანანელი“*** – სობისი შეიძლება გულისხმობდეს სოფ. სობისს, გორის რაიონში. გაურკვეველია რა იგულისხმება, ამ შემთხვევაში, კანანელში.

536 „*მთარგმნელი*“ – ორიგინალში „**თარგმანი**“, იუდაურ სამყაროში წმინდა წერილის განმმარტებელი.

537 შდრ. მოგვთა თაყვანისცემის სიუჟეტი სახარებაში (მათ. 2:1-12).

538 ქრისტეშობიდან ოცდაათი წლის შემდეგ დაიწყო მაცხოვარმა ქადაგება.

539 „*ანა მღვდელი*“ – იუდეველი მღვდელმთავარი ახ. წ. 6-15 წლებში. მაცხოვრის ჯვარცმის დროს მღვდელმთავარი იყო კაიაფა, რომლის სიმამრიც იყო ანა (იგივე ანნა, ებრ. ანან), რომელიც უდიდესი გავლენით სარგებლობდა სინედრიონის წევრებს შორის (იხ. ლუკ. 3:2; იოან. 18:13, 24 ლოპუხინის განმარტებები).

540 იგულისხმება სამი მოგვი აღმოსავლეთიდან, რომლებმაც თაყვანი სცეს ახლადშობილ იესოს.

541 „*რომ აღვასრულოთ მოსეს მცნება*“ – იხ. შენ. 520.

542 „*უხუცესი*“ – ძვ. ქართ. „**უფრო მოხუცებული**“.

543 „*ელი მღვდლის ტომიდან*“ – იხ. მეფ. I. შდრ. შენ. 258.

544 „*ლონგინოზ კარსნელი*“ – კარსანი, სოფ. დღევანდ. მცხეთის რაიონში. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**აქეთ წარვიდეს ელიოზ მცხეთელი, ლონგინოზ კანისელი და თალენავ და მისაელ**“.

545 შდრ.. სახარება: „**ნათელი გამობრწყინებად წარმართთა და დიდებაჲ ერისა შენისა ისრაელისაჲ**“ ლუკ. 2:32.

546 იხ. შენ. 435.

547 იგულისხმება „**მეათე მეფე ადერკი, ბარტომის ძე, არშაკუნიანი**“, რომლის დროსაც, „**ქართლის ცხოვრების**“ მიხედვით, დაიბადა იესო ქრისტე (იხ. შენ. 253, 255).

548 არმაზაელ მეფის აქ მოხსენიება გამოწვეულია „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორის მიზნით, თავისი ტექსტი შეაჯეროს „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-სთან, სადაც ვკითხულობთ: „**მაშინ იყო შფოთი დიდი მცხეთას შინა მეფეთაჲ და მთავართაჲ და ყოვლისა ერისაჲ. და იხილა მეფემან ამაზაერ სამოსელი იგი იესუჲსი და უნდა წარღებაჲ მისი, ხოლო ზარსა მას ზედა დედაკაცისა მკუდრისა ჯელთ–გდებასა, შეშინდა და ვერ იკადრა**“.

549 „*ლიბანით მოტანილი ... ნაძვი*“ – *Cedrus Libani*, მარადმწვანე წიწვოვანი ძვირადღირებული ხის ჯიში. გამოირჩევა თავისი სიძლიერით, სიდიდით და სიმტკიცით. იმის გამო, რომ ამ ხეს აქვს მწარე გემო, მღრღნელები მას არ აფუჭებენ და ხანდახან 2 ათას წელსაც კი ძლებენ. გამოიყენებოდა მდიდრული და ძვირფასი მშენებლობების დროს.

550 „*ელიას ის ორმაგი მოსასხამი*“ – ძვ. ქართ. „**მრჩობლი იგი ხალენი ელიაჲსი**“. ძველი აღთქმის თანახმად, ზეცად ამაღლებამდე ელია წინასწარმეტყველმა ჰკითხა თავის მოწაფეს, ელისე წინასწარმეტყველს: „**მთხოვე, რა გაგიკეთო, ვიდრე ავმაღლდებოდე შენგან. მიუგო ელისემ: შენი სულის ორმაგი წილი გადმოვიდეს ჩემზე**“ (IV მეფ. 2:9) ელია წინასწარმეტყველის მოსასხამი, მისი ზეცად ამაღლების შემდეგ დარჩა ელისეს (IV მეფ. 2:13) იმის ნიშნად,

რომ მისი სურვილი შესრულდა და ელიას წინასწარმეტყველური სულის ორმაგი წილი (ანუ 2/3) გადმოვიდა მასზე. სწორედ ამიტომ ეწოდება ელიას მოსასხამს (ხალენს) ქართულ წყაროებში „**მრჩობლი**“, ანუ ორმაგი.

551 შდრ. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: შატბ. ვერსია – „**არს სხუაჲ-ცა ძალითა შემოსილი, მრჩობლი იგი-ცა, ხალენი ელიაჲსი ამას ქალაქსა შინა ჯელთა ჩუენთა, საკურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე, ქვათა შინა ულბოლველად ვიდრე ჟამადმდე მისა**“; შელიშ. ვერსია – „**და არს სხუაჲ-ცა ძალითა შემოს[ი]ლი მრჩობლი, ამას-ვე ქალაქსა შინა ჯ[ე]ლთა შინა ჩუენთა, არს საკურთხეველისა სიმტკიცესა შინა ქვათასა ხალენი იგი ელია[ჲ]სი უბოვნ[ე]ლად ვიდრე ჟამადმდე მისსა**“; სინ. ვერსია – „**არს სხუაჲ-ცა ძალითა შემოსილი მრჩუბლი, ამას ქალაქსა შინა ჯელთა ჩუენთა, არს საკურთხეველისა სიმტკიცესა შინა ქუათასა ხალენი უბოვნელად-ვე ვიდრე ჟამადმდე მისა**“.

552 „***იაკობის ადგილი, კიბედ ნანახი და ზეცას აღწეული***“ – იაკობი იყო ისააკისა და რებეკას ტყუპ ძეებს შორის უმცროსი. აბრაამისა და ისააკის შემდეგ ებრაელი ერის მესამე პატრიარქი. ხარანში მიმავალმა იაკობმა, ღამისთევის დროს ჩვენებაში იხილა მიწიდან აღმართული კიბე, რომელიც ცას სწვდებოდა და მასზე ანგელოზები ადი-ჩამოდიოდნენ. კიბის თავში იჯდა უფალი, რომელმაც იაკობს გაუმეორა აბრაამისთვის მიცემული აღთქმა, რომ მათ შთამომავლობას დაუმკვიდრებდა აღთქმულ მიწას. გამოღვიძებულმა იაკობმა ის ადგილი უფალს მიუძღვნა და უწოდა მას სახელად ბეთ-ელი – ღვთის სახლი (დაბ. 28:11-19).

553 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**ხოლო სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა შინა დასავალითსა, იყო კარსა მოგუეთისასა, მტკუარსა ზედა. და იყო მცირჱ ბაგინი, სამარხვოჲ მათი, რომელსა ზედა აღჰმართა წმიდამან ნინო ჯუარი ქრისტესი. და ერთი ერთსა ნათელ-სცემდა მუნ შინა ჯელითა იაკობ მღდელისაჲთა და პროსილა მთავარდიაკონისაჲთა, მთავართა შვილებსა, წიაღთა ქალაქისათა. და ერქუა ადგილსა მას მთავართა სანათლოჲ**“.

554 საუბარია მირიან მეფის ბაღზე, რომლის მცველებიც, ტრადიციულად, მცხეთელი ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ (იხ. შენ. 503).

555 იგულისხმება იესო ქრისტე.

556 „***წმინდა ტაძრის წართმევა***“ – 66-73 წლებში, იმპერატორ ტიტუსის დროს, იუდეაში იფეთქა ანტირომაულმა აჯანყებამ. იუდეველები ხუთი თვის განმავლობაში გამაგრებულნი იყვნენ ტაძარში. ამ ბრძოლების დროს, 70 წელს გაჩენილ ხანძარს შეეწირა ტაძარი, ხოლო ტაძრის გადარჩენილი ჭურჭელი და ძვირფასეულობა დაიტაცეს რომაელებმა. ამის შემდეგ ტაძარი არ აღდგენილა, რასაც მოჰყვა მთელ ქვეყანაზე ებრაელთა ახალი ტალღის გაფანტვა.

557 შდრ. მათ. 23: 37.

558 იხ. შენ. 397, 398, 402, 513.

559 ბაღის მცველის ცოლი უნდა ყოფლიყო სიდონია, აბიათარის ასული, როგორც „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს ტექსტის ანალიზიდან ჩანს (იხ. შენ. 503).

560 ახალი პავლე ეწოდა აბიათარს იმის გამო, რომ ისიც, როგორც პავლე მოციქული, იუდაური რელიგიის მიმდევრები, შემდგომში ქრისტიანობის მტკიცე დამცველებად იქცნენ.

561 იგულისხმება, რომ აბიათარი იყო ძველი აღთქმის ბწყინვალე მცოდნე და თამამად ქადაგებდა ქრისტეს მცხეთელ იუდეველებში.

562 ქვით ჩაქოლვა იყო იუდეველებში სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც იყენებდნენ დამნაშავის მიერ ღვთისგმობის (ლევ. 24:14), ჯადოქრობის (ლევ. 20:27), მრუშობის (II რჯ. 23:24) და კერპთთაყვანისმცემლობის (II რჯ. 17:7) შემთხვევებში. აბიათარის დანაშაული, იუდეველთა თვალსაზრისით, ღვთისგმობა უნდა ყოფილიყო.

563 ის, რომ მირიან მეფემ აბიათარი სიკვდილს გაარიდა, რადგან მეფეს ქრისტეს რჯულის შესახებ სმენოდა „**საბერძნეთიდან**“ და სომხეთიდან, „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორის ფანტაზიის ნაყოფია. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში მსგავსი რამ არსად წერია.

564 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში მსგავსი სასწაული აღწერილი არ არის. იგი შეთხზულია „**ქართლის ცხოვრების რედაქტორის მიერ, რათა შესავალი გაუკეთოს ნანა დედოფლის განკურნებას.**

565 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს თანახმად, ნანა დედოფალმა ირწმუნა ქრისტე წმ. ნინოს ქართლში მოსვლიდან მე-6-ე წელს, ანუ 322 წელს.

566 კ. კეკელიძე თვლის, რომ ნებროთის წიგნი არ არსებობდა და იგი სხვა არაფერია, თუ არა სირიულიდან ნათარგმნი „**განძთა ქვაბი**“.

567 „***ძველი წიგნები და ახალი [წიგნები]***“ – იგულისხმება ძველი და ახალი აღთქმის წიგნები.

568 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს თანახმად, ნანა დედოფალი მოიქცა წმ. ნინოს ქართლში მოსვლიდან მე-6-ე წელს, ხოლო მირიან მეფე – მე-7-ე წელს.

569 „***რომაელების მცდარი რჯული***“ – იგულისხმება ქრისტიანობა.

570 იხ, შენ. 487, 488.

571 ნათლობის წესიდან ფორმულა.

572 მირიან მეფის მოქცევა, თხოთის მთაზე მომხდარი სასწაულის შედეგად, ჩემი გათვლებით, მოხდა 323 წელს, სწორედ ამ წელს იყო 20 ივლისი შაბთი დღე (ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან, 2006).

573 „***თხოთის მთა***“ – სერი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რეხულასა და ქსნის ხეობებს შორის, კასპის-რ-ნი.

574 არ შეიძლება აქ დავინახოთ მზის დაბნელების ასტრონომიული მოვლენა, როგორც ამას მიიჩნევდა კ. კეკელიძე და დღესაც ზოგიერთი მეცნიერს მიაჩნია.

575 „***ქინძარი და ღართა***“ – ადგილის სახელები მცხეთის ახლოს. ქინძარის ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია, ღართისკარი მდებარეობს წიწამურის ზემოთ, მცხეთის რ-ნი.

576 არ უნდა გავიგოთ პირდაპირი გაგებით, არამედ ისე, რომ – ამ ამბებიდან მალე.

577 საუბარია ლიბანის ხეზე (Cedris Libanis).

578 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში არსადაა ნათქვამი, რომ სვეტიცხოვლის თავდაპირველ ტაძარს შვიდი სვეტი ჰქონდა. ეს „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორის ფანტაზიის ნაყოფია.

579 აქ და ქვემოთ მოთხრობილია ის ხილვები, რომლებიც ეშმაკმა მოავლინა ახლადმოქცეული ერის დასაბრკოლებლად.

580 წმინდა ნინოს მხნე ლოცვითა და ჯვრის ნიშნის გამოსახვოთ გაქრა ეს ეშმაკეული ჩვენება.

581 ე. ი. წმ. ნინო.

582 წმ. ნინოს ლოცვას და ეშმაკეული ჩვენების გაქრობას შედეგად მოჰყვა ანგელოზის გამოცხადება და სვეტის აღმართვის სასწაული.

583 „***ამაზასპანი***“ – „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შატბერდულ და ჭელიშურ რედაქციებში ეს სიტყვა არ გვხვდება. სამაგიეროდ, იგი დადასტურებულია სინურ რედაქციაში: „**სეფეწული ვინმე ყრმაჲ ამაზასპეანი, ყრმაჲ იდვა მრავალწლისა სნეული, წარმართი**“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „**მეფეთა ცხოვრების**“ ავტორი „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს ერთ-ერთ ძველ რედაქციას ეყრდნობოდა. როგორც ჩემს სხვა შრომაში მაქვს ნავარაუდევი, ისტორიულ რეალობას შეესაბამება „**მეფეთა ცხოვრების**“ ცნობა იმის შესახებ, რომ მირიან მეფე სასანიანი მეფის შვილი იყო. კერძოდ, რომ მირიან მეფე იყო ირანის შაჰის, შაბურ I-ის ძე და მისი ნამდვილი სახელი უნდა ყოფილიყო ამაზასპი, რომელიც მოხსენიებულია შაბურ I-ის ნაყში-რუსტამის ცნობილ წარწერაში, როგორც იბერიის მეფე. ჩემს მოსაზრებას ამტკიცებენ ქართული წყაროებიც, რომელთა მიხედვითაც, მცხეთაში, IV ს-ის 20-იან წლებში ყოფილა ვინმე სეფეწული ამაზასპეანი. ეს ნიშნავს, რომ იგი იყო მეფე ამაზასპის, ანუ მირიანის პირდაპირი ჩამომავალი, ალბათ მისი შვილიშვილი, რადგან ქართლში იქნებოდა მხოლოდ ერთი, მირიანის სეფე და რადგან სეფეწული ამაზასპენია, მაშინ სეფეს მთავარი, ანუ მეფეც ამაზასპი უნდა ყოფილიყო.

584 გულისხმობს მაცხოვრის ჯვრის ნაწილს, რომელიც 325 თუ 326 წელს იერუსალიმში აღმოაჩინა ელენე დედოფალმა.

585 ე. ი. წმინდა ნინოს სულიერი ზედამხედველობით.

586 შდრ. მარკ. 16:16.

587 „***ბარაბეანები***“ – ცნობილი ავაზაკის, ბარაბას შთამომავალნი. ბარაბა, იუდეველთა წინადადებით, პილატე პონტოელის მიერ გათავისუფლებულ იქნა სასჯელისგან, მაცხოვრის სანაცვლოდ (მათ. 27:15-26; მარკ. 15:7-11). ბარაბას შთამომავალთა მცხეთაში მოსვლის დრო და გარემოებები უცნობია. სავარაუდოა, რომ ბარაბეანნი მცხეთაში ტაძრის დანგრევის შემდეგ (70 წ.) მოვიდნენ.

588 „*ციხედიდი*“ – იგულისხმება ციხე მცხეთის დასავლეთით, არმაზთან ახლოს.

589 „*სიცოცხლის ხის ნაწილი*“ – მაცხოვრის ჯვრის ნაწილი. ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, რომ იოანე ეპისკოპოსმა ის პირველივე ჩამოსვლაზე ჩამოიტანა (იხ. შენ. 584). ეს ფაქტების აღრევა „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორისეულია.

590 „*ერუშეთი*“ – მხარე მტკვრის ზემო დინების აუზში, დღევ. თურქეთში.

591 „*წუნდა*“ – ნასოფლარი ასპინძის რ-ნში.

592 „*მანგლისი*“ – დაბა თეთრიწყაროს რაიონში.

593 დღევანდელი სამთავროს დედათა მონასტრის ადგილას. უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურეს იქ IV საუკუნის დასაწყისის ბაზილიკის არსებობა.

594 „*ნათელიღო წყლისა და მიწისგან*“ – მიწით ნათლისღებაში იგულისხმება უფლის დაფლვა და სამი დღის შემდეგ მისი აღდგომა (იხ. ნ. ნიკოლოზიშვილი, „**ნათელ-იღო წყლისა და მიწისაგან**“, ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 1991, №3).

595 „*სმენით ვიცით იმ ალვის ხის ამბავი*“ – იგულისხმება სამოთხის ხე.

596 საჯვარე ხის მოკვეთა მოხდა 326 წელს, როდესაც 25 მარტი იყო პარასკევი დღე.

597 ანუ პირველ მაისამდე.

598 რამ გამოიწვია საჯვარე ხის მოჭრა 25 მარტს და რატომ დამზადდა მისგან ჯვრები 1 მაისს? რატომ ინახებოდა ხე ეკლესიის სამხრეთ კართან 37 დღის განმავლობაში? რა რიტუალი იყო ეს ზოგადად? გამოთქმულია მოსაზრებები, რომ მცხეთაში საჯვარე ხის მოჭრის რიტუალი უკავშირდება წარმართული ქართლის რწმენა-წარმოდგენებს: ნ. ხაზარაძემ და თ. ცაგარეიშვილმა ივარაუდეს, რომ ეს რიტუალი უნდა უკავშირდებოდეს ხეთური მითოლოგიის მომაკვდავ და აღორძინებად ღვთაებას – თელეფინუს; ჩემი აზრით, სწორია რ. სირაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ამ ფაქტს ფრიგიულ კიბელა-ატისის კულტთან აკავშირებს. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ გაცისა და გას კულტი უნდა ყოფილიყო კიბელა-ატისის მსგავსი კულტი. III ს-ის ქრისტიანი აპოლოგეტების, არნობიუსისა და ფირმიკუს მატერნუსის ცნობებით, ამ კულტის მიმდევრები ყოველწლიურად, 22 მარტს ჭრიდნენ წიწვოვან (ფიჭვის) ხეს, მისი ტანის შუაში მიამაგრებდნენ ყმაწვილი ატისის გამოსახულებას და შეიტანდნენ „**წმიდათა-წმიდაში**“, ერთგვარ აკლდამაში, რომელიც კიბელა-ატისის ტაძრების ნაწილი იყო. ამ რიტუალით ხდებოდა ატისის რიტუალური დასაფლავება. განსაზღვრულ ღამეს, ქანდაკება სახით ზემოთ იდებოდა სარეცელზე, რომელსაც გლოვობდნენ შესაბრალისი გალობით. გარკვეული ხნის შემდეგ, გამოქვაბულში შეჰქონდათ სინათლე და ქურუმი წარმოთქვამდა სიტყვებს: „**გამხნევდით სულით, მისტებო – ღმერთი ხსნილია!**“, რის შემდეგაც „**მკვდრეთით აღმდგარ**“ კერპს ამოასვენებდნენ

საფლავიდან და გამოიტანდნენ გარეთ. ფირმიკუს მატერნუსის ცნობით, მომაკვდავ და აღდგომად ღვთაებას დასტიროდნენ 40 დღის განმავლობაში. შესაბამისად, 22 მარტიდან მე-40-ე დღე მოდის 1 მაისსზე. რაც შეეხება იმას, თუ რატომ მოჭრეს ქრისტიანებმა ხე 25 მარტს და არა 22 მარტს, ეს შეიძლება ორი მიზეზით ავხსნათ: ერთი მხრივ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ქრისტიანთა დაგვიანებული რეაქცია მცხეთელ წარმართთა რიტუალზე, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლოა, ეს ყოფილიყო ქრისტეს ჯვარცმის თარიღზე სიმბოლურად მისადაგებული ქმედება (ძველი ტრადიციით, მაცხოვრის ჯვარცმა მოხდა 25 მარტს). ამ შემთხვევაშიც ეს იქნებოდა არა რაიმე უძველესი ქრისტიანული ტრადიციული რიტუალის შესრულება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური აქტი, მცხეთაში არსებული კონკრეტული ვითარებიდან გამოწვეული სპონტანური, მაგრამ სიმბოლურად გააზრებული, ერთჯერადი ქმედება (ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან, 2006). სრულიად განსხვავებული განმარტება აქვს ე. ჭელიძეს, რომელიც მიუთითებს: „ნონსენსია 25 მარტს საჯვრე ხის მოჭრის დაკავშირება რაიმე სახის წარმართულ რიტუალთან თუ კულტმსახურებასთან. ერთადერთი ახსნა ზემორე მოვლენას მხოლოდ ის შეიძლება ჰქონდეს, რომ საჯვრე ხე იჭრება ხარება დღეს, რაც არის სწორედ 25 მარტი, ხოლო რადგან ხარების დღესასწაული დასაბამია ახალი აღთქმის ჟამისა, ძლევამოსილი ჯვრის ეპოქისა, იმ ჯვრის ეპოქისა, რომლითაც სათავე დაედო კაცობრიობის გამოხსნას ცოდვისა და წარწყმედილობის ბნელეთისგან (ამ მიზეზით ძველად საეკლესიო ლიტურგიკული წელიწადი საკუთრივ ხარებიდან, 25 მარტიდან იწყებოდა), საჯვრე ხეც იჭრება 25 მარტს, რითაც ეხარება და წინაეუწყება სრულიად ქართლს ახალი ეპოქის დადგომა, ახალი ჟამის მოწევნა, სულიერი განახლებისკენ შემოქცევა ქვეყნისა და ერისა“(ე. ჭელიძე, მცხეთა – სულიერი იერუსალიმი, გამოუქვეყნელი გამოკვლევა).

599 შვიდ მაისს მცხეთაში ჯვრების აღმართვის ისტორიულ ფაქტს კავშირი არ უნდა ჰქონდეს იერუსალიმში ჯვრის გამოჩენის დღესასწაულთან და ეს უბრალო დამთხვევად უნდა მივიჩნიოთ. განსხვავებული აზრი აქვს ე. ჭელიძეს, რომელიც მიიჩნევს: „მცხეთის ჯვარი არსობრივად იერუსალიმის ჯვარია, რაც თავის მხრივ მცხეთის მეორე იერუსალიმად გარდაქმნის დასაძირკვლებას მოასწავებს“ (ე. ჭელიძე, მცხეთა – სულიერი იერუსალიმი, გამოუქვეყნელი გამოკვლევა).

600 326 წელს მაისის პირველი პარასკევი და შაბათი მოდიოდა 6-7 მაისზე.

601 ***„ქვაბთათავი“*** – უნდა უკავშირდებოდეს ქვაბთახევის მონასტერს, კავთურას ხეობაში, კასპის რ-ნი.

602 წმ. ნინოს გადაწყვეტილება, რომ მეორე ჯვარი აღმართულიყო არა ბოდში, არამედ უჯარმაში, გამოწვეული იყო ერთი მხრივ პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე (სამეფო, ხალხმრავალი ქალაქი) და მეორე მხრივ, საღვთო განგებულებით, რომლის მიხედვითაც წმინდა ნინოს უნდა მოექცია ბოდი და

იქვე უნდა გარდაცვლილიყო, რის შემდეგაც მანამდე ეს უმნიშვნელო დაბა გახდებოდა ქრისტიანების ერთ-ერთი სიწმინდე.

603 როგორც ჩანს, ეპისკოპოსმა შეასრულა ჯვრის აღსამართი ადგილის სპეციალური კურთხევის წესი.

604 „***აღვსების ზატიკი***“ – სიტყვა – „**აღვსება**“ ძველ ქართულში აღნიშნავდა როგორც უშუალოდ აღდგომის დღესასწაულს, ასევე – დროის შუალედს აღდგომიდან სულთმოფენობამდე. ამ შემთხვევაში „**აღვსების ზატიკი**“ ნიშნავს აღდგომის დღესასწაულის ციკლს სულთმოფენობამდე და საუბარია ამ შუალედში ერთ-ერთ კვირა დღეზე.

605 326 წელს აღდგომა მოდიოდა 10 აპრილს, შესაბამისად, მარტვილიის, ანუ სულთმოფენობის წინა ოთხშაბათი უწევდა 25 მაისს.

606 მეცნიერების ვარაუდით, საუბარი უნდა იყოს მცხეთის ჯვრის მონასტრის მცირე ეკლესიაზე.

607 იხ. შენ. 414-422.

608 „***წობენი***“ – ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტი ახლ. დუშეთის რ-ნში, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, დაბა ჟინვალსა და სოფ. ჩინთს შორის. ადრინდელ შუა საუკუნეებში წობენი ერქვა ასევე არაგვის მარცხენა ნაპირზე საგურამო-ხერკის ჩრდილოეთით ჟინვალამდე მოსახლე თემს.

609 „***ჭართალი***“ – ჭართალის ხევი არის არაგვის მარჯვენა შენაკადი, დუშეთის რ-ნი.

610 „***ფხოელები***“ – ფხოვი ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდებაა.

611 „***წილკანი***“ – დღ. მცხეთის რ-ნი.

612 „***გუდამაყარი***“ – მთიულეთის ნაწილი, შავი არაგვის აუზი ფასანაურს ზემოთ, დუშეთის რ-ნი.

613 შდრ. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“: „**და ვითარცა ესე თქუა, წარიყვანა იაკობ მღდელი, საბერძნეთით მოსრული, და ერის–თავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს. და მოუწოდა მთეულთა, ჭართალელთა და ფხოელთა, და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოვებაჲ ქრისტჱსი. ხოლო მათ განუყარეს თავი და ერის–თავმან მცირედ წარჰმართა მახჳლი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად. და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ–სცა ერწუ–თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა, რომელნი უკუანაჲსკნელ იპოვნეს, თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა**“.

614 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მიხედვით, წმ. ნინომ მოიარა კუხეთი (კხოეთი) და გადავიდა კახეთშიც, სადაც დასნეულებულა და წამოსულა უკან, მცხეთისკენ და მოაღწია ბოდამდე (დღევ. სოფ. ნინოწმინდა, საგარეჯოს რ-ნი): „**და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით. და გარდავიდა კახეთა და დადგა ქცელ–დაბას. და მოიყვანნა კახნი მთავარნი და მონათლნა. და დასნეულდა და წარმოემართა მცხეთად. და ვითარცა მოიწია კხოეთას, დაბასა,**

რომელსა ჰრქჳან ბოდინი, ვერღარა ეძლო სლვად“.

615 როდესაც მეცნიერები საუბრობდნენ ქართლში ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე, ეს ფრაზა იყო ძირითადი, რომელსაც იყენებდნენ საქართველოში ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ ცნობების საწინააღმდეგოდ. საქმე ისაა, რომ, ამ ცნობების თანახმად, ანდრია მოციქულმა იქადაგა მეგრელებში, სამცხე-აჭარაში და ეგრის-სვანეთში, ხოლო მცხეთაში და მის აღმოსავლეთით (ძირითადი ქართლი და კახეთ-კუხეთი) მას არ უქადაგია. სწორედ ამაზეა ქართულ წყაროებში საუბარი.

616 საუბარია პირველ ქალ წმინდანებზე.

617 „*ჩემი დედის ძილით*“ – ჩემი აზრით, ლაპარაკია ღვთისმშობლის მიძინებაზე.

618 იგულისხმება წმინდა ნინო.

619 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შატბერდული ვერსიის მიხედვით: „**და შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა ქართლად მოსლვითგან მეათხუთმეტესა წელსა და ქრისტეს აღმაღლებითგან ტლჱ**“ (338) წელსა, დასაბამითგან ჭყლჱ“ (5838) წელსა“. ჭელიშური ვერსიის მიხედვით: „**და შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა უფლის[ა]თა და მიიძინა ძილი იგი სანატრელი (და აწ მეოხ არს ჩუენთჳს წინაშე ღმრთისა) ქართლს მოსლვითგან მისით ოც და მე[ა]თხუთმეტ[ე]სა წელსა და ქრისტეს ამაღლებითგ[ა]ნ სამ[ა]ს ოც და ათურამეტსა წელსა, დასაბამითგან ხუთი ათას რვაას ოცდა მეათურამეტძეჩსა წელსა**“. აქ ბევრი ქრონოლოგიური აღრევაა, მაგრამ უფრო სარწმუნო უნდა იყოს შატბერდული ვერსიის ქართლში მოსვლიდან მე-15-ე წელი და „**ქართლის ცხოვრების**“ ქართლში მოსვლიდან მე-14-ე წელი. ამის მიხედვით, წმ. ნინო გარდაცვლილა დაახლ. 330/331 წელს, რადგან, როგორც ზემოთ ვივარაუდეთ, იგი ქართლში შემოვიდა 317 წლის ივნისში (იხ. შენ. 463).

620 ბაქარის მცხეთაში დაბრუნება, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო 332-333 წლებში, სანამ დასრულდებოდა ზემო ეკლესიის მშენებლობა.

621 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შატბერდული ვერსიის მიხედვით ზემო ეკლესიის მშენებლობა დასრულდა წმ. ნინოს გარდაცვალებიდან მე-4-ე წელს: „**და წარვიდა მირეან მეფჱ და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ზემოსა ეკლესიასა ქვითა. და განიშორეს მეოთხესა წელსა**“. არ უნდა იყოს სწორი ჭელიშური რედაქციის ცნობა, რომლის მიხედვითაც მშენებლობა დასრულებულა წმ. ნინოს გარდაცვალებიდან მე-20-ე წელს: „**და წარვიდა მეფე მირიან და ყოველი ერი, რამეთუ იქმოდეს ეკლესიასა ზემოსა. და განასრულეს მეოცესა წელსა. და მეოცდაერთესა წელსა მოკ[უ]და მირიან მეფე**“.

622 „*სატფურება*“ – განახლებასა საქმისასა იტყვის წლითი წლად (საბა); ენკენიობა (ი. აბულაძე); განახლების დღესასწაული (ზ. სარჯველაძე).

623 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შატბერდული ვერსიის თანახმად, „**ოცდამესამესა წელსა აღმართებითგან პატიოსნისა ჯუარისა შეუქმნა კუბაჲ რევ და შეიქმნა საფლავი ქუემოსა ეკლესიასა. და მოკუდ[ა] რევ და დაემარხა**

ცოლითურთ“, ანუ 349 წელს. ჭელიშური ვერსიის თანახმად კი: „**მესამესა წელსა აღმართებითგან პატიოსნისა ჯუარისა შექმნა კუბოჲ რევ, მოკ[უ] და და დაემ[ა]რხა ცოლითურთ ქუემოსა ეკლესიასა**“. უფრო სანდო უნდა იყოს შატბერდული ვერსია.

624 ამის მიხედვით, მირიანი უნდა გარდაცვლილიყო 349 წელს, ისევე, როგორც რევი, რაც ყოველგვარ ქრონოლოგიას ეწინააღმდეგება. უფრო სანდოა „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შატბერდული რედაქციის ცნობა. გარდა ამისა, „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს სამივე რედაქციის თანახმად, სიკვდილის წინ მირიანმა ანდერძი დაუტოვა დედოფალ ნანას და რევს. „**ქართლის ცხოვრების**“ რედაქტორის „**შესწორებული**“ ვერსიით კი – დედოფალ ნანას და ბაქარს.

625 სასუფეველში უფლის მარჯვნივ მართალნი იმკვიდრებენ ადგილს.

626 აქედან მოყოლებული „**ქართლის ცხოვრების**“ მეფეთა ქრონოლოგია და ჩამომავლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს ცნობებისგან.

627 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შატბერდული და ჭელიშური ვერსიების თანახმად (სინური ამ ადგილას ნაკლულია) მირიანის შემდეგ მეფობდა რევის ძე ბაქარი: „**და დაჯდა მეფედ ბაკურ, ძჲ რევისი**“. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

628 როგორც ჩანს, ბაქარმა, სპარსელების მხარდაჭერის სანაცვლოდ, ტერიტორია ხუნანიდან ბარდავამდე, ანუ რანი დაუთმო სპარსელთა მიერ დასმულ სხვა მმართველს. გარდა ამისა, ფეროზისთვის სამშვილდიდან აბოცის თავამდე ტერიტორიების მიცემით, გაიმყარა საკუთარი პოზიციები ქართლში და სომხების მოსალოდნელი თავდასხმისგან გაამტკიცა სამეფოს სამხრეთ საზღვრები.

629 ეს გარიგება სრულიად რეალური ისტორიული გარიგება უნდა ყოფილიყო და არავითარი საფუძველი არ გვაქვს მის ისტორიულობაში ეჭვი შევიტანოთ, თუმცა შემდგომ დაკვირვებას მოითხოვს მისი ქრონოლოგია.

630 „***წილკნის ეკლესია***“ – ბაქარის აშენებული ეკლესიის ადგილზე ვახტანგ გორგასლის დროს (V ს.) ააშენეს სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც VII ს-ში გადააკეთეს გუმბათოვან ტაძრად.. იყო წილკნის საეპისკოპოსოს ცენტრი.

631 ბაქარი უნდა გარდაცვლილიყო მცხეთის ჯვრის აღმართებიდან 35-ე წელს, ანუ 360/361 წელს. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ვკითხულობთ: „**და შემდგომად მისა, მეათესა წელსა, ამან ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განეშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა. და მოკუდა და დაეფლა ქუემოსა ეკლესიასა**“.

632 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შატბერდული და ჭელიშური ვერსიების თანახმად (სინური ამ ადგილას ნაკლულია), ბაკურის შემდეგ გამეფდა მისი ძმა თრდატი. საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ამ მეფეს მიეწერება რუსთავის რუს გამოღება და ნეკრესის ეკლესიის მშენებლობა. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს ამიანუს მარცელინუსთან 361

წლის ამბებთან მოხსენიებული ქართლის მეფე „**მერიბანი**“.

633 „***თუხარისის ციხე***“ – ციხე ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე ოლთისისწყლის შესართავს ქვემოთ, დღ. თურქეთში.

634 „***ნერსე კათალიკოსი***“ – სომხეთის კათალიკოსი ნერსე (დაახლ. 353-373). ესეც ადასტურებს ჩემს მოსაზრებას, რომ ეს მირდატი უნდა იყოს ამიანუს მარცელინუსთან 361 წლის ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებული მერიბანი (იხ. შენ. 633).

635 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ვარაზ=ბაქარის უშუალო წინაპრის ვინაობა დასახელებული არ არის. ეს ვარაზ-ბაქარი უნდა იყოს ამიანუს მარცელინუსთან 361 წლის ამბებთან დაკავშირებული ასფაგური.

636 „***გადაჯდა იგი კახეთის ხევში და ააშენა ციხე ხიდარში***“ – გაურკვეველია ზუსტად რომელი ადგილი იგულისხმება კახეთში.

637 ამიანუს მარცელინუსის მიხედვით, ამ პერიოდის ისტორია ასე აღდგება: VI ს-ის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში ქართლშიც და სომხეთშიც მსგავსი პოლიტიკური მოვლენები ვითარდება. სპარსეთის მეფემ, შაბურ II-მ 368 წელს დაარღვია რომთან 363 წელს დადებული საზავო ხელშეკრულება, სომხეთში შეიჭრა და მეფე არშაკი დაატყვევა. ამის შემდეგ, შაბური შეიჭრა ქართლში, გააძევა იქიდან სავრომაკი, რომელიც რომის დახმარებით განაგებდა ქვეყანას და მეფედ დასვა ვინმე ასფაგური, რომელიც, სამართლიანადაა გაიგივებული „**ქართლის ცხოვრების**“ ვარაზ-ბაქართან და „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს ვარაზ-ბაკურთან. სომხეთის მეფის, არშაკის ძე პაპი და ქართლიდან გაძევებული სავრომაკი ხვდებიან იმპერატორ ვალენტის კარზე, საიდანაც მიიღებენ სამხედრო დახმარებას, რათა დაიბრუნონ თავიანთ ქვეყნებში მეფობა და აღადგინონ სომხეთსა და ქართლზე რომის სუზერენიტეტი. პაპი დაიბრუნებს სომხეთის სამეფო ტახტს, რაც გახდება სომხებსა და სპარსელებს შორის რამდენიმე სერიოზული ბრძოლის მიზეზი. რაც შეეხება სავრომაკს, როდესაც იგი რომაელთა 12 ლეგიონით მიადგა მდინარე მტკვარს, ასფაგური შეევედრა მას, როგორც ნათესავებმა ერთად ვიმეფოთო. რომაელები დათანხმდნენ ასფაგურის წინადადებას და ქვეყანა ორად გაყვეს: საზღვრად მდინარე მტკვარი დადეს ისე, რომ სავრომაკს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე მხარე ერგო, ხოლო ასფაგურს – ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე

638 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მიხედვით, ვარაზ-ბაკურის შემდეგ მეფობდა ბაკური, თრდატის, რევის მეორე ძის ძე.

639 შდრ. „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“, სადაც ეს ქმედება მირიანის შემდეგ მესამე მეფეს ეკუთვნის: **„და დაჯდა მეფედ ბაკურ, ძჲ რევისი... ამან ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიასა და განეშორა ოცდამეათხუთმეტესა წელსა. და მოკუდა და დაეფლა ქუემოსა ეკლესიასა. და დაჯდა მეფედ ძმაჲ მისი თრდატ. და მთავარებისკოპოსი იყო ნერსე სომეხთა კათალიკოზისა დიაკონი იობ. და მეფემან რუჲსთვისა რუჲ გამოიღო და ეკლესიისა**

საფუძველი დადვა. და მის ზე-ვე ნეკრესს კახეთისასა ეკლესიაჲ აღიშენა განსრულებით“.

640 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მიხედვით ფარსმანი იყო „**დისწული თრდატისი**“, ანუ მირიან მეფის ასულის ძე.

641 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში მირდატის უშუალო წინაპრის ვინაობა დასახელებული არ არის.

642 „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ამ ერისთავს ეწოდება „**პიტიახშ ვარაშ**“.

643 აქ დროის ათვლა ხდება მურვან ყრუს შემოსევიდან ე.ი. 735 + 50 = 785 წელი – ჭიჭნაუმის მოსვლის თარიღი. ხოლო ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანის თანახმად, ჭიჭნაუმი მოვიდა 748 წელს, რადგან მასში ორმოცდაათის ნაცვლად თორმეტი წელი წერია (იხ. ქართლის ცხოვრების ძვ. სომხური თარგმანი, ი. აბულაძის გამოც., თბ. 1953 წ., გვ. 204). სამეცნიერო საზოგადოებაში არჩილის წამების თარიღის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. დასახელებულია 787 წ., 761 წ. და სხვ.

644 ვინ არის ჭიჭნაუმ ასიმი? ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით იგი არის (ან შესაძლოა იყოს) არაბთა სარდალი **ხუზაიმა იბნ ხაზიმი** (მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული ასიმი შესაძლოა იყოს ხაზიმის დამახინჯებული ფორმა); კ. კეკელიძე: „არაბთა მხედართმთავარი ჭიჭნაუმი, რომელსაც ასიმი ეწოდება, არის **ჰაზიმ ხუზაიმა**, რომელც ალ-რაშიდმა დანიშნა მერვე-მეცხრე საუკუნეთა მიჯნაზე“ (კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., ტ. I, თბ. 1960 წ., გვ. 243); ჭიჭნაუმი = **Chusaima b. Chazim** (იხ. ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, ტ. I); დ. მუსხელიშვილის აზრით კი ჭიჭნაუმი არის **ასიმ იბნ-აბდულაჰი**, რომელიც მურვან ყრუმ დატოვა აქ.

645 „მოჰამედის ძე“ აქ აღნიშნავს ჭიჭნაუმის წარმომავლობას, რომ იგი იყო არაბი, ესე იგი მუჰამედის ერის შვილი. ან ასეც შეიძლება გავიგოთ, როგორც მუჰამედის სულიერი შვილი.

646 მეფეები აქ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ამ დროს ქართლს ერისმთავრები განაგებდნენ.

647 აქ ძველ ქართულში სიტყვა „პატიჟი“ წერია, რაც ამ შემთხვევაში ქრისტიანობისათვის დასჯას, ანუ ქრისტიანობისაგან განდგომის იძულებას გულისხმობს.

648 ძველ ქართულშია „სიკეთე“.

649 ძველ ქართულში არის „აწვევდა“.

650 სარკინოზად გადაქცევა გულისხმობს სარწმუნოებით გაარაბებას ე.ი. გამუსლიმებას.

651 ვინ არიან წანარები? როგორც ჩანს ეს ეთნიკური კუთვნილების აღმნიშვნელი სახელია. არჩილის მარტვილობის რუსულ თარგმანში წერია „цанари“.

652 აქ საუბარია ქართლის ერისმთავარ ადარნასეზე. ადარნასე ვიპატოსი იყო და არა მეფე, ამიტომ „მეფე“ ამ შემთხვევაშიც პირდაპირი გაგებით

არ უნდა მივიღოთ. ადარნასე ერისმთავრის ბარელიეფური გამოსახულება შემოგვინახა მცხეთის ჯვრის ტაძარმა.

653 საუბარია ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ მეორეზე. სწორედ იმ სტეფანოზზე, რომელმაც არაბთა სარდალ ჰაბიბ იბნ-მასლამას დაზავება შესთავაზა და მიღო კიდეც დაცვის სიგელი.

654 დიდი ვახტანგი, ანუ წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალი. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ არჩილის წინაპარი იყო ვახტანგ გორგასალი. წმიდა მოწამე არჩილი და მისი ძმა ანალოგიურად მოიხსენიებიან წმიდა დავით და კოსტანტინეს მარტვილობაშიც.

655 მირიან ქასრეს ძე, ანუ მოციქულასწორი წმიდა მეფე მირიანი, რომელიც მოაქცია წმიდა ნინომ. ქართლის ცხოვრების თანახმად იგი იყო სპარსეთის შაჰის ძე.

656 საუბარია ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეზე (610-641 წწ.). როგორც ცნობილია, მან ილაშქრა საქართველოში 627 წელს. სწორედ ამ დროს მომხდარ ამბავს აუწყებს გარდაბნელი მთავარი ჭიჭნაუმს – ჰერაკლე კეისარს თავისი საგანძური საქართველოში დაუფლავს.

657 ხოსროიანი ე.ი. სპარსეთის შაჰების მონათესავე და შთამომავალი.

658 ბერძენი აქ ბიზანტიელს აღნიშნავს ანუ საუბარია ბიზანტიის იმპერატორების საგანძურზე. აშკარად გაზვიადებული უნდა იყოს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჰერაკლე კეისარს მთელი თავისი საგანძური თან ეტარებინა. როგორც ჩანს „საგანძურში“ იგულისხმება სამხედრო ექსპედიციის ჩატარებისათვის განკუთვნილი საგანძური და ასევე ბრძოლებში მოპოვებული ნადავლი, რომლის თან ტარებაც გარკვეული მოსაზრებების გამო მიზანშეწონილი არ ყოფილა და ჰერაკლე კეისარს ქართლში გადაუმალავს.

659 ისევ საუბარია საქართველოში მურვან ყრუს შემოსევაზე.

660 განსხვავებულ ცნობას გვაწვდის არჩილის წამების შესახებ სომეხი მეისტორიე ლევონდი. იგი გვაუწყებს, რომ წმიდა არჩილი შუაზე გაგლიჯეს. არაბი ისტორიკოსი იაკუნთი გვაუწყებს, რომ იმ ხანებში არაბთა სარდალმა ხუზაიმა იბნ ხაზიმმა მრავალი ქართველი დასაჯა სიკვდილით.

661 რუსულ თარგმანში ასეა: „Годерзиани из Тбети “.

662 ძველ ქართულშია „აზნაურნი მამეანნი“. „მამეანნი“ სომხურშიც და რუსულ თარგმანშიც გადასულია საკუთარი სახელის სახით.

663 შემურვა ნელსაცხებლის ცხებას ნიშნავს. შდრ. სულხან-საბას ლექსიკონი: მიცვალებულს თუ ამ ნელსაცხებელს სცხებდნენ ერთ წლამდე არ გაიხრწნებოდა.

664 აქ საუბარია წმიდა მეფე რევზე.

შინაარსი

ლეონტი მროველი
მეფეთა ცხოვრება. დავიწყებ ქართველთა მეფეებისა და
ადრინდელი წინაპრებისა და ჩამომავლების
ცხოვრების თხრობას 3

ლეონტი მროველი
მირიან მეფის მოქცევა და მასთან ერთად მთელი
ქართლისა წმინდა და ნეტარი ჩვენი
დედის ნინო მოციქულის მიერ 62

ჯუანშერი
ვახტანგ გორგასლის ცხოვრება 109

ლეონტი მროველი
წამება წმიდა და დიდებული მოწამე
არჩილ ქართლის მეფისა..... 191

შენიშვნები 195

ამავე სერიის **„მამული, ენა სარწმუნოება”**

2 ტომში გამოსაცემად მზადდება

ქართლის ცხოვრების წიგნი

„მატიანე ქართლისა”

და

„ცხოვრება წმიდა მეფე დავით აღმაშენებელისა”